

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

# ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები

IV

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

თბილისი 2015

შრომებში იბეჭდება სამეცნიერო გამოკვლევები, რომელიც მიძღვნილია ისტორიის, ფილოლოგიის, თარგმანმცოდნეობის, დემოგრაფიისა და სამართლის აქტუალური პრობლემებისადმი.

### სარედაქციო კოლეგია

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე), აკადემიკოსი რინ მებრეველი, პროფესორი მინდია უგრესელიძე, პროფესორი ვახტანგ გურული, პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, პროფესორი მანანა ტაბიძე, პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი, პროფესორი ეკა დუდაშვილი, პროფესორი კარლო ბზიშვილი, პროფესორი ავთანდილ კიკნაძე, პროფესორი ნონა თოდუა, პროფესორი სულხან კუპრაშვილი, პროფესორი ჯემალ კარალიძე, ისტორიის დოქტორი ლევან ჯიქია (პასუხისმგებელი მდივანი).

ტომი გამოსაცემად მოამზადეს პროფესორმა ვახტანგ გურულმა და ისტორიის დოქტორმა ლევან ჯიქიამ

© გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

© ავტორთა ჯგუფი

ISSN 2346-7657

# **Works of Faculty of Humanities and Law**

## **IV**

**Publishing House „Georgian University“  
Tbilisi 2015**

The Collection contains scientific researches dedicated to the issues of History, Philology, Demography, Translation Studies and Jurisprudence.

### **Editorial board**

Professor **Sergo Vardosanidze** (Chairman), Academician **Roin Metreveli**, Professor **Mindia Ugrekheldze**, Professor **Vakhtang Guruli**, Professor **Giorgi Alibegashvili**, Professor **Tariel Putkaradze**, Professor **Manana Tabidze**, Professor **Rozeta Gujejiani**, Professor **Eka Dughashvili**, Professor **Karlo Bzishvili**, Professor **Avtandil Kiknadze**, Professor **Nana Todua**, Professor **Sulkhan Kuprashvili**, Professor **Jemal Karalidze**, Doctor of History **Levan Jikia** (Responsible secretary).

The Collection was prepared for publication by Doctor of History, Professor **Vakhtang Guruli** and Doctor of History **Levan Jikia**.

o s o m n o s

## უნივერსიტეტის საკითხი

ნიკო მარი აქტიურად ფიქრობდა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, განათლებისა და მეცნიერების კერების შექმნის თაობაზე, გვინდა განვიხილოთ მეცნიერის მიერ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში წარდგენილი მოხსენება, რომელსაც ეწოდება „О Кавказском университете в Тифлисе“. მოხსენება დაწერილია უმაღლესი სკოლის რეფორმების კომისიაზე განსახილველად. იგი თან ერთვის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ მეცნიერებათა და ფილოლოგიის განყოფილებათა IX ექსტრარდინალური სხდომის ოქმს (1918 წლის 24 მაისი (6 ივნისი)).

ნიკო მარი აღნიშნავს, რომ XX საუკუნის ათიან წლებში საქართველოში დაისვა ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი. ეს საქმე გარკვეული პოლიტიკური პროპაგანდის შუქზე მიდიოდა. დომინირებდნენ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები): „Грузинская национальная мысль подверглась тогда тяжкому испытанию. Более яркие ее носители в социалдемократическом движении усмотрели новую силу, угрожавшую национальному бытию грузинского народа и шедшую все из того же русского источника, откуда шли русские чиновники душившие всякие, самые законные проявления национальной жизни...“

ნიკო მარი აღწერს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საკმაოდ რთულ პოლიტიკურ ვითარებას, ყურადღებას მიაქცევს, რომ რუსული ადმინისტრაცია ანტიქართული მიმართულებით წარმართავდა თავის საქმიანობას. მეცნიერი მიიმე შეფასებას აძლევს ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის ქმედებებს, რომელიც ქვეყნისათვის დამთრგუნველი აღმოჩნდა (განსაკუთრებით გურიის რეგიონში). 1905-1907 წლების მოვლენებმა, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ (1907 წ.), ხალხის ეროვნული აღზნება გამოიწვია. ნიკო მარი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ საქართველოში ფართოდ იყო გამოხატული მისწრაფება ქართული მეცნიერების განვითარებისაკენ. ამ პირთა ერთ ჯგუფს, მათ შორის თავად ნ. თავდგირიძეს, მიუმართავს ნიკო მარისათვის თხოვნით, შეედგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წესდება. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ქართველების ეს წამოწყება იმ დროის საზოგადოებრივი მოძრაობის პირობებში უნიადაგო აღმოჩნდა. ეროვნული კულტურის განვითარების ინტერესი დიდი იყო. არც მეცნიერების განვითარების იდეა ჩამცხრალა. განსაკუთრებით დიდი იყო წარსულის შესწავლის ინტერესი. ეს აშკარად გამოჩნდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ფაკულტეტის მაგალითზე. ნიკო მარი წერს: „Грузины-студенты умножились на армяно-грузинском разряде и составили главный контингент вообще немногочисленной аудитории, грузинский студенческий научный кружок при факультете под руководством и при живом участии моих учеников-грузин развил интенсивную деятельность по изучению родной культуры, что сказалось на прилив студентов-грузин со всех факультетов и даже студенток-грузинок с Высших Женских Курсов на кавказоведении...“ აქედან გამომდინარე, ნიკო მარს ლექციები გადაუტანია დიდ აუდიტორიაში, რომელიც ფართოდ იტევდა მსმენელებს. მეცნიერს მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია საქართველოში კულტურის მოყვარულთა საზოგადოების შექმნა. 1911 წელს ჩამოყალიბდა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება, რომელმაც 1912 წელს ფართო საქმიანობა გაშალა. საზოგადოების კომიტეტის პირველი თავმჯდომარე იყო გიორგი ჟურული, მდივანი – იოსებ გუგულაშვილი.<sup>1</sup>

ნიკო მარი ხაზს უსვამს 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაარსებული „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ როლს ქართული მეცნიერული

<sup>1</sup> საზოგადოება საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაკეთდა ქართველ ხელოვანთა კავშირად, რომლის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს მუზეუმის ფონდი და ბიბლიოთეკა. იხ.: როინ მეტრეველი. კვალი განათლებული (ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი). თბილისი, 1975, გვ. 85-86.

აზროვნების განვითარებაში;<sup>2</sup> მიიჩნევს, რომ როგორც აკადემიური დაწესებულება იგი ფრიად მნიშვნელოვანი იყო.

ნიკო მარი განათლების სრულ ნაციონალიზაციას რევოლუციის შედეგად თვლის: „С первых же дней революции учительские съезды постановили национализацию начальных школ Грузии“. მეცნიერი ყურადღებას აქცევს ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის საქმიანობას, თანაც ძალიან საინტერესოდ ახასიათებს ამ ორგანოს („Союз лебедя, щуки и рака“). მართლაც ოზაკომი (Особый Закавказский Комитет), როგორც ამ დროებით ბურჟუაზიული მთავრობის ორგანოს უწოდებენ, შეიქმნა 1917 წლის 9 (22) მარტს, ქ. თბილისში და მის შემადგენლობაში შედიოდნენ IV სახელმწიფო სათათბიროს ამიერკავკასიელი დეპუტატები: კადეტები ბ. ხარლამოვი (თავმჯდომარე) და მ. პაპაჯანოვი, მუსავატელი მ. ჯაფაროვი, სოციალისტ-ფედერალისტი კ. აბაშიძე, მენშევიკი ა. ჩხენკელი. ოზაკომი იცავდა ამიერკავკასიის მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებს, ასევე პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას. ამ ორგანოს კონტრრევოლუციური პოლიტიკის გამო მასებში ავტორიტეტი არ ჰქონია. ცხადია, ოზაკომი არ იყო მოწოდებული ხალხის განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის, თუმცა მას შემდეგ, რაც მის შემადგენლობაში შევიდა ფედერალისტი კიტა აბაშიძე, სკოლების ნაციონალიზაცია დაჩქარდა. ნიკო მარი, ეყრდნობა რა ადგილობრივი გაზეთების ინფორმაციას (1917 წ. 12 სექტემბერი), აცხადებს, რომ „Оповещено утверждение высшей местной властью о фактической национализации всех среднеучебных заведений Кавказа“.

სწორედ ამ პერიოდში კვლავ დადგა საკითხი უმაღლესი სკოლის დაფუძნების შესახებ. ნიკო მარი მიიჩნევს, რომ ამ იდეას ქართული ნაციონალისტური საზოგადოებრივი ჯგუფები ბოლომდე გაუაზრებლად შეხვდა („распростертыми объятиями“). მეცნიერს მიაჩნია, რომ „Идея же сама и конструкция Грузинского Университета если не вся, то в основной оригинальной ее части принесена в Тифлис, судя по программе, из Петрограда, из круга моих учеников грузин“. თანაც ეს თავისი მოწაფეები მას იდეალისტურად, ეროვნულ-რომანტიკულად განწყობილად მიაჩნია, რომელთაც ცუდად იციან კავკასიის რეალური ცხოვრება და მისგან განსხვავებით სხვაგვარად ესმით საქართველოს კულტურული ინტერესები, სამეცნიერო ამოცანები და, კერძოდ, ის პრობლემები, რაც ჰუმანიტარულ კავკასიათმცოდნეობის წინაშე დგას.

ქართულმა უნივერსიტეტმა – როგორც უნივერსიტეტის პროგრამა გვაუწყებს – განსაზღვრა ის ამოცანები, რომლებიც საერთო იყო მსოფლიო უნივერსიტეტებისათვის. თავის უპირველეს მიზნად მიიჩნევს წარსულისა და თანამედროვე ადამიანის პრობლემების ყოველმხრივი შესწავლა. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ბუნების შესწავლა. შესასწავლ დარგებს შორის ფართოდაა წარმოდგენილი ქართველთმცოდნეობა, კავკასიათმცოდნეობა, საქართველოს არქეოლოგია, ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია, ეკონომიკური ისტორია, აგრარული საკითხი, საეკლესიო ისტორია, ქართული საერო ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის შესწავლა. დროთა განმავლობაში უნდა წაკითხულიყო ლექციები სპარსულ-ქართული, ბიზანტიურ-ქართული, სომხურ-ქართული, თურქულ-ქართული ლიტერატურული და ისტორიული ურთიერთობების შესახებ.

ნიკო მარმა მიიჩნია, რომ თბილისის უნივერსიტეტის წესდების მიერ დასახული ამოცანები არ იყო უცხო მეცნიერებისათვის. მათი წაკითხვა ხორციელდებოდა პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტზე, სამეცნიერო ტერმინები იგივე იყო, რაც პეტროგრადის უნივერსიტეტში. ნ. მარი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ საერთოდ იყო ამოღებული ტერმინი „იაფეტური“ და მის ნაცვლად თითქმის ყველგან „ქართული“ იხმარებოდა. ნიშანდობლივია, რომ ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებას მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა (ოზაკომი). ნიკო მარი მიიჩნევდა, რომ უნივერსიტეტის პროექტში განსაზღვრული სალექციო კურსების ერთ ჯგუფს პეტროგრადის მეცნიერთა გარდა ვერავინ წაკითხავდა: „Дело в том, что на всем Кавказе и вообще вне Петрограда нет никого, кто бы был подготовлен читать эти курсы“. ამასთან მეცნიერი ამატებს, რომ „...Так как я не имею основания не верить, что курсы эти всё-таки будут добросовестно читаться в Грузинском Университете в Тифлисе, то, следовательно речь идет об исходе из

<sup>2</sup> **როინ მეტრეველი.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. თბილისი, 1982. 1913 წლის 20 სექტემბერს „საზოგადოების“ საპატიო წევრად არჩეულ იქნა ნიკო მარი. საერთოდ საზოგადოებას 4 საპატიო წევრი ჰყავდა: ნიკო მარის გარდა ესენი იყვნენ – აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ცაგარელი და კირიონ III (კათოლიკოს-პატრიარქი).

факультета Восточных языков тех единственных пока специалистов, которые могут читать и читают эти именно курсы...“

ნიკო მარი მიიხნევს, რომ პეტროგრადის უნივერსიტეტთან მჭიდრო კავშირის გარეშე ქართულ უნივერსიტეტს გაუჭირდება მიზნის მიღწევა. იგი მიიხნევდა, რომ უნივერსიტეტის დაარსება ეს არ იყო მეცნიერების განვითარებისთვის გამოზნული, არამედ უფრო ეროვნულ ხასიათს ატარებდა. ამასთან ხაზს უსვამს, რომ თბილისი, ეს ისტორიულად ქართული ქალაქი რუსეთის მმართველობის საუკუნოვან პერიოდში მთელი კავკასიის ცენტრად იქცა. თბილისი შეიქმნა კავკასიის არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ კულტურული ცენტრი. ნიკო მარი ხაზს უსვამს, რომ ამ რეალურობას თუ ვინმე დაივიწყებს, მათ შორის არ იქნება რუსი ხალხი: „Русский народ не имеет право это забывать“.

ვფიქრობთ, გაუმართლებელი იყო ნიკო მარის პესიმიზმი, როცა აღნიშნავდა, რომ „...Рассматривая вопрос об университете в Тифлисе... мы видим, что ни у грузин, ни у армян нет пока в реальности научных сил, ни национальных ученых учреждений, способных независимо от российских или западно-европейских разсадников науки, создать их в ближайшие годы в достаточном количестве, чтобы обслуживать университетские нужды...“

ნიკო მარმა თავის მოხსენებით ბარათში, როგორც ჩანს, საკუთარი დებულებების გასამაგრებლად მოიტანა ფ. ბორკის წიგნზე „ქართველი ხალხი“ („Das Georgische Volk“) ა. დორის რეცენზია, რომელიც 1917 წლის მარტში დაიბეჭდა ჟურნალ „Peterman's Mitteilungen“-ში; „Культурные задачи, которые Кавказ имеет перед собою, настолько обширны, что автономный Кавказ без чужой помощи едва ли может их решать“.

ნიკო მარმა ასეთი დასკვნა გააკეთა: „В интересах с одной стороны мировой науки, с другой – как разноплеменного кавказского населения, так вообще Росийского государства, в интересах закрепления свободы, провозглашенных русской революцией, необходимо немедленно учредить Кавказский Университет в Тифлисе...“<sup>3</sup>

ცხადია, ნიკო მარის ამგვარი მოსაზრება მიუღებელი იყო ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლებისათვის. ეს საქმე კი რეალურად ასე იყო... გადმოგცემთ ვითარებას მოკლედ (ვრცლად იხილეთ: **როინ მეტრეველი**. კვალი განათებულში. ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ისტორიის საკითხები. თბილისი, 1975; მისივე. ტაძარი. თბილისი, 1993).

უნივერსიტეტის, როგორც პროგრესული იდეების ცენტრის, დაარსება ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება იყო. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-60-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცები უნივერსიტეტის გახსნას მოითხოვდნენ. ამ იდეას წინ ეღობებოდა ცარიზმი, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებისადმი თავის წინააღმდეგობას „ასაბუთებდა“ ხალხის ინტელექტუალური მოუმზადებლობით.

ქართველი ახალგაზრდობა, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობა-დაბრკოლებისა, მაინც ახერხებდა ევროპისა და რუსეთის სხვადასხვა სასწავლებლებში ცოდნის მიღებას. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში არაერთი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ამკობდა რუსეთის იმპერიის უმაღლესი სასწავლებლების პროფესურას.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული უნივერსიტეტის შექმნის საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა. ამ საქმის თაოსანი იყო ივ. ჯავახიშვილი, რომელიც იმუშავდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად მუშაობდა. იგი სწორედ პეტერბურგის უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დროს აანალიზებს იმ უშედეგო ბრძოლის გამოცდილებას, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებისთვის წარმართა და თავს უყრის ამ დიდი საქმისათვის დასაყრდენ სამეცნიერო-საზოგადოებრივ ძალებს. ივ. ჯავახიშვილმა შეიმუშავა ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების გეგმა (ეს გეგმა სრულიად განსხვავებული იყო, როგორც კავკასიის უნივერსიტეტის, ასევე სამეცნიერო აკადემიის დაარსების ნიკო მარისეული იდეისაგან). მას კარგად ესმოდა, რომ საქმე სწორედ ეროვნული უნივერსიტეტის შექმნით უნდა დაწყებულიყო. საამისოდ კი პირობები ძალზე მწირი იყო. არც მაშინდელი მთავრობისგან იყო მხარდაჭერა.

1907 წლის ბოლოს ივ. ჯავახიშვილის უშუალო თაოსნობითა და ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე (ამის შესახებ ნიკო

<sup>3</sup> მოხსენებითი ბარათის („О Кавказском Университете в Тифлисе“) ბოლოს არის თარიღი – 1917 წ. ეს ტექსტი, როგორც ზემოთაცაა მინიშნებული, დაერთო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიული მეცნიერებისა და ფილოლოგიის განყოფილებას IX ექსტრარდინალური სხდომის ოქმს – 1918 წ. 6 ივნისი (24 მაისი).



მარიც კმაყოფილებით აღნიშნავდა), რომელმაც გააერთიანა, უნივერსიტეტის გარდა, სხვა ინსტიტუტების სტუდენტები და ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელი ქართველი ქალები. ამ „წრემ“ უაღრესად კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა რუსეთში, კერძოდ, პეტერბურგში მყოფ ქართველ ახალგაზრდობაზე. ნაყოფიერი მუშაობაც გაჩაღდა საქართველოს წარსულის, ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და ენის შესასწავლად. სწორედ პეტერბურგის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ მოაწყო ანკეტით გამოკითხვა (1911-1912 წწ.) რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა. რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან იმედის მომგვრელი ცნობები მოდიოდა, გამოჩნდა, რომ ქართველ ახალგაზრდობაში ცოდნის დაუფლების წყურვილი მეტად დიდი იყო.

1914 წელს მეფის მთავრობამ იძულებით შეასრულა მისთვის მეტად მძიმე აქტი – გამოსცა კანონი რუსეთის იმპერიაში არარუსულ ენაზე კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლების დაარსების შესახებ. ეს კანონი ხელ-ფეხს უხსნიდა ივ. ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების საქმიანობას უნივერსიტეტის დაარსებისათვის.

უამთავსველ თავისას აკეთებდა... ქვეყანაში რევოლუციური გადატრიალებები ხდებოდა... 1917 წლის თებერვალი ახალი ძვრებით აღინიშნა... საზოგადოების განვითარებას ახალი მიმართულებები, ახალი გზები უჩნდება. უკვე შესაძლებელი ხდება ქართული უნივერსიტეტის დაარსებაზე ხმამაღალი ლაპარაკი და აშკარა საქმიანობა. ივ. ჯავახიშვილმაც არ დააყოვნა და თებერვლის რევოლუციის პირველივე დღეებში დიდი პრაქტიკული საქმიანობა გააჩაღა. მან თავის ბინაზე (პეტერბურგში, ლახტინის ქუჩაზე) შეკრიბა უნივერსიტეტის დაარსებით დაინტერესებული ქართველი მეცნიერები: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე და სხვ. მოითათბირეს უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, საჭიროდ ჩათვალეს საზოგადოებრივი აზრის შექმნა უნივერსიტეტის სასარგებლოდ. საჭირო იყო პეტერბურგში მყოფი ქართველების ჩაბმა ამ საქმიანობაში. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ეროვნული კომიტეტის მიერ მოწვეულმა კრებამ (კინოთეატრ „ელიტში“) იმსჯელა მის შესახებ. კრებაზე, რომელსაც ზურაბ ავალიშვილი თავმჯდომარეობდა, უნივერსიტეტის დაარსების შესახებ მოხსენება ივ. ჯავახიშვილმა გააკეთა. კრების მონაწილეთა გარკვეულმა ნაწილმა (შ. ნუცუბიძე და სხვ.) ივ. ჯავახიშვილს დაუჭირა მხარი. ერთი ჯგუფი (ნ. ნიკოლაძე და სხვ.) პოლიტექნიკუმის დაარსებას მოითხოვდა.

1917 წ. გაზაფხულზე ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგიდან თბილისში ჩამოდის და იწყებს პირველი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა იმავე წლის 12 მაისს. თბილისში ჩატარდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელსაც იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დაესწრნენ. მათ შორის იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ლუარსაბ ბოცვაძე, გრიგოლ ვეშაპელი, ილია ზურაბიშვილი და სხვ.

დამფუძნებელი კრება გახსნა ივ. ჯავახიშვილმა. მანვე გააკეთა მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ (ეს მოხსენება იმთავითვე დაიბეჭდა გაზეთში „სახალხო საქმე“, 1917, №№62, 63, 66, 68). მოხსენება მოაგონებდა ქართველ ხალხს საქართველოს უძველეს კულტურულ სიძლიერეს, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „ჩვენი ხალხი მეზობელ დაწინაურებულ დიდ სახელმწიფოებსა და ერებსა, ბერძენ-ბიზანტიელებსა, სპარსელებსა და არაბებს, განათლებითა და შემოქმედებითი სამწერლო მოღვაწეობით კვალდაკვალ მისდევდა. იყო დრო მეთორმეტე საუკუნეში, მაგ., როდესაც ჩვენმა წინაპრებმა მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ამ მხრივ უმაღლეს ხარისხს მიაღწიეს“.<sup>4</sup> მეცნიერი აცხადებდა: „ჩვენ წინაპართა დაუცხრომელმა მხნეობამ და სულიერ განვითარებისა და ცოდნისმოყვარეობისადმი შეუფერხებელმა მისწრაფებამ ქართველობას საზღვარგარეთაც ისეთი დაწესებულებანი შეუქმნა, რომელთა წყალობით საქართველოს საშუალება ჰქონდა მეზობელთა სამეცნიერო, სამწერლო და საკულტურო წარმატებისათვის თვალყური ედევნებინა და რაც მისთვის საჭირო იყო დროზე

<sup>4</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. მოხსენება წაკითხულია ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე 1917 წ. 12 მაისს თბილისში და 17 მაისს ქუთაისში.– თსუ შრომები. XXXIII. თბილისი, 1948, გვ. 1.

შეთვისებინა კიდევ“.<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა, რომ მომდევნო საუკუნეებშიც იყო მცდელობა საქართველოში სასწავლო ცენტრების შექმნისა. „... ერის ყოველი წარმატება თვით ნივთიერ კულტურის სფეროშია, კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული... ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორმს აღორძინებას ფესვები გაავშაროთ, მთელი ჩვენი ძალდონით ქართულ მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ“.<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი დაწერილებით მიმოიხილავდა იმ გზებს, რომლითაც შეიძლებოდა ამ ამოცანის შესრულება, თანაც მოითხოვდა, რომ დაარსებულიყო სწორედ უნივერსიტეტი და არა სამეცნიერო აკადემია, ან პოლიტექნიკუმი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც ამგვარად მოხდა: ჯერ უნივერსიტეტები დაარსდა, ხოლო შემდეგ აკადემიები შეიქმნა. სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტის ერთდროულად შენახვა იმდროინდელ საქართველოში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ივ. ჯავახიშვილს ნათლად ესახებოდა, რომ უნივერსიტეტთან შემდგომში შესაძლებელი გახდებოდა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური ინსტიტუტების დაარსება. მეცნიერის აზრით „ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდებისა და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება“.<sup>7</sup>

კრებაზე (ივ. ჯავახიშვილის წინადადებით კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ექვთიმე თაყაიშვილი, მდივნად ილია ზურაბიშვილი) ხანგრძლივი კამათის შემდეგ (ერთი ნაწილი კვლავ სპეციალური უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას უჭერდა მხარს) გადაწყდა, რომ დაარსებულიყო ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი. პირველად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი უნდა გახსნილიყო. ივ. ჯავახიშვილის წინადადებით შეიქმნა კომისია (ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. აფხაზი, ვ. ყიფიანი, ი. ლორთქიფანიძე, გ. ჟურელი), რომელსაც დაევალა საჭირო სახსრების გამონახვა-შეგროვება და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. აღნიშნულ კრებაზე შეიქმნა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის განსაკუთრებული საზოგადოება.

ფართო ხასიათის მუშაობა გაიშალა ქუთაისშიც. 1917 წლის 17 მაისს ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით ქუთაისში ტარდება კულტურულ, საკრედიტო დაწესებულებათა და პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენლების კრება (ესწრებოდნენ: ი. ოცხელი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ბაქრაძე, მ. თაქთაქიშვილი, გრ. გველესიანი, ი. პურადაშვილი, მ. ფაღავა, ს. წერეთელი, ვ. ჭილაძე, ი. ქუთათელაძე, ი. ჩიქოვანი, დ. ნიჟარაძე, გ. ურატაძე, ო. შუშანი, პ. ჯაფარიძე, ა. გორგაძე, კ. გაბარაშვილი, ვ. ბერიძე, ა. წერეთელი, ვ. იმნაძე, ვ. ყიფიანი, მ. ყაუხჩიშვილი, თ. აბაშიძისა, მ. გველესიანისა, ალ. ჯანელიძე)<sup>8</sup>, რომელიც ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხს იხილავს (კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ი. ოცხელი, მდივნად – ალ. ჯანელიძე). კრებამ მხარი დაუჭირა (ორი მონაწილის გარდა) ივ. ჯავახიშვილის წინადადებებს უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა კრებას გააცნო უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები. აირჩიეს კომიტეტი 11 კაცის შემადგენლობით, რომელსაც თბილისში არჩეულ კომიტეტთან ერთად უნდა გაეტარებინა სხვადასხვა ღონისძიებები უნივერსიტეტის დაარსების მიზნით.

როგორც ჩანს, ბევრს არარეალურად მიაჩნდა უნივერსიტეტის გახსნა თბილისში და თუმცა ფორმალურად კმაყოფილებას გამოხატავდნენ მისი დაარსებისათვის სამზადისით, ფაქტიურად კი განზე იდგნენ. 1917 წლის 24 მაისს და შემდეგ 28 მაისს დანიშნული უნივერსიტეტის ე.წ. დამხმარე საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის სხდომები დამსწრე წევრთა მცირერიცხოვნების გამო ჩაიშალა.

<sup>5</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. მოხსენება წაკითხულია ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე 1917 წ. 12 მაისს თბილისში და 17 მაისს ქუთაისში.– თსუ შრომები. XXXIII. თბილისი, 1948, გვ. 1.

<sup>6</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. მოხსენება წაკითხულია ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე 1917 წ. 12 მაისს თბილისში და 17 მაისს ქუთაისში.– თსუ შრომები. XXXIII. თბილისი, 1948, გვ. 7.

<sup>7</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. მოხსენება წაკითხულია ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე 1917 წ. 12 მაისს თბილისში და 17 მაისს ქუთაისში.– თსუ შრომები. XXXIII. თბილისი, 1948, გვ. 7.

<sup>8</sup> სერგო ჯორბენაძე. თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება.– კრებული „თბილისის უნივერსიტეტი (1918–1968)“. თბილისი, 1968, გვ. 16.

1917 წლის 3 ივნისს შედგა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოების კრება (დაესწრნენ: ივ. ჯავახიშვილი, კ. აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე, ვ. ყიფიანი, გ. ჟურული, გ. აბაშიძე, ფ. გოგინაიშვილი). აი პატარა ამონაწერი კრების ოქმიდან:

„თავ. ივ. ჯავახიშვილი: ამ საქმის დახანება მეტი არ შეიძლება. საჭიროა გამორკვეული იქნას საბოლოოდ, შეიძლება თუ არა მომავალ წლიდან უნივერსიტეტის გახსნა. მხოლოდ წინადგე დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ უსახსრობის გამო უნივერსიტეტის არსებობა უცბად არ შეწყდება. ამ შემთხვევაში გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავაყენებთ მოწვეულ პროფესორებს, რომელნიც ახლა უზრუნველყოფილი არიან რუსეთის უნივერსიტეტში და მხოლოდ ეროვნული იდეის გამო მზად არიან დასთმონ ახლანდელი თავიანთი ადგილები, ოღონდ კი სამშობლო მეცნიერებას ემსახურონ. ქართულ პროფესორთა კონტიგენტი სრულ საშუალებას გვაძლევს ამთავითვე ორი ფაკულტეტი დაგაარსოთ, სიბრძნის მეტყველებისა და საბუნებისმეტყველო, ოღონდ ნივთიერი სახსარი იყოს“.<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილის გამოსვლაში ნათლად ჩანს დიდი ოპტიმიზმი და ღრმა რწმენა, რომ მალე უნდა გაიხსნას უნივერსიტეტი. გადაწყდა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების პროექტის შემუშავება. ეს პროექტი უნდა წარდგენოდა შემდგომში მთავრობას დასამტკიცებლად. მისი შედგენა-მომზადება იკისრა ივ. ჯავახიშვილმა.

როგორც ჩანს, ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივი აზრის შექმნას უნივერსიტეტის სასარგებლოდ და თბილისს გარდა ქუთაისშიც დიდი მუშაობა მიმდინარეობდა ამ მიმართულებით. 1917 წლის 8 ივნისით დათარიღებულ წერილში ალექსანდრე ჯანელიძე ატყობინებდა ივ. ჯავახიშვილს, რომ ქუთაისში ჩასულა პრივატ-დოცენტი ა. რაზმაძე, მოუწვევია შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, ლ. შურღაია და ალ. ჯანელიძე და გაუცვინა უნივერსიტეტის საქმის მდგომარეობა, გადაუცია თუ რა კეთდება ამ მხრივ თბილისში და ზოგიერთ საკითხებზე აზრი უკითხავს. ალ. ჯანელიძე ივ. ჯავახიშვილს აცნობს თავიანთ მოსაზრებებსაც ტერმინოლოგიის დადგენის, უცხო მეცნიერების მოწვევისა და ქართული პროფესურისათვის პირობების შექმნის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისას ითვალისწინებდა ამგვარად მოწოდებულ წინადადებებსა და მოსაზრებებს. 1917 წლის 15 ივნისს კომისიამ განიხილა ივ. ჯავახიშვილის მიერ მომზადებული პროექტი. გარკვეული შენიშვნების გამოთქმის შემდეგ, 22 ივნისს წესდების პროექტის საბოლოოდ მისაღებად დაინიშნა სხდომა. ამ დღეს ივ. ჯავახიშვილმა წარმოადგინა წესდების შესწორებული პროექტი, რომელიც მოიწონეს და მირეს.<sup>10</sup> 3 აგვისტოს წესდების აღნიშნული პროექტი ნოტარიალური გაფორმების შემდეგ გადაეგზავნა მთავრობას დასამტკიცებლად. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა, რომელსაც იმხანად ხარლამოვი თავმჯდომარეობდა, უარყო წარმოდგენილი დოკუმენტიდან ძირითადი დებულებანი და იგი დროებითი მთავრობის განათლების სამინისტროს გადაუგზავნა, ხოლო წესდება (აქედან ლატარიის მოწყობის შესახებ მუხლი უნდა ამოშლილიყო) თბილისის ოლქის სასამართლოს გადაეცარეგისტრაციისათვის.<sup>11</sup>

ქართული უნივერსიტეტის ბედი გარკვეული იყო – მის გახსნას ვეღარავინ შეუშლიდა ხელს. საქართველოს მენშევიურ მთავრობას უნივერსიტეტის პატრონობა არ შეეძლო და ამიტომ იგი ქართველი პატრიოტების შესაწირი სახსრებით უნდა შენახულიყო.<sup>12</sup>

1917 წლის 3 ოქტომბერს გაიმართა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრება. დამსწრე საზოგადოებამ დიდი აღფრთოვანებით მოისმინა ივ. ჯავახიშვილის მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობისა და იმ მუშაობის შესახებ, რაც გაწეული იყო მისი გახსნისათვის. ამის შემდეგ მოხდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების ახალი წევრებით შევსება (საზოგადოებას შეემატნენ: შ. დადიანი, კ. გამსახურდია, ნ. ლომოური, ს. კლდიაშვილი, გ. ღამბარაშვილი, პ. ვაჩნაძე, ზ. ყანჩაველი, ნ. კეკეზერელი-კოპაძე, გ. მუხაძე, შ. მესხიშვილი, პ. გოთუა, გ. თარხნიშვილი, ა. სოლოლაშვილი, ი. თიკანაძე, თ. ჯავახიშვილი, ი. მერკვილაძე, ნ. ნაკაშიძე, ი.

<sup>9</sup> ცსა (თბილისი), ფონდი რ.-471, საქმე 1, ფურცლები 7–8; ჟურნალი „საისტორიო მოამბე“, 1967, №21–22, თბილისი, გვ. 331.

<sup>10</sup> იხ.: ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი დებულებანი, შედგენილი ივანე ჯავახიშვილის მიერ, ცსა (თბილისი), ფონდი რ.-471, საქმე 27, ფურცლები 33–35; ჟურნალი „საისტორიო მოამბე“, 1967, №21–22, თბილისი, გვ. 335–339.

<sup>11</sup> სერგო ჯორბენაძე. თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება.– კრებული „თბილისის უნივერსიტეტი (1918–1968)“. თბილისი, 1968, გვ. 17.

<sup>12</sup> დავით გვრიტიშვილი. ივანე ჯავახიშვილი. თბილისი, 1968, გვ. 199.

ელიაშვილი და სხვ.). კრებამ ქუთაისის საორგანიზაციო კომიტეტის წევრის მექი ფაღავას განცხადების საფუძველზე წვერებად მიიღო ქუთაისის წარმომადგენლებიც. 1917 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა საერთო კრება, რომელსაც 200-ზე მეტი წევრი და გარეშე პირი დაესწრო. ამ კრების ოქმი გვაუწყებს: „პრ.-დოც. ივ. ჯავახიშვილმა წარმოსთქვა სიტყვა სამოქმედო გეგმის შესახებ. უწინარეს ყოვლისა ივ. ჯავახიშვილი შეეხო უნივერსიტეტის ნივთიერ მხარეს“. <sup>13</sup> ბუნებრივია, ეს არსებითი საკითხი იყო და სათანადო ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. „მოსხენების მეორე ნაწილში ივ. ჯავახიშვილი შეეხო სამოსწავლო საქმის დაყენებას. მისი აზრით, ამ თავითვე შეიძლება დაარსდეს ფაკულტეტი სიბრძნისმეტყველებისა. ეს ფაკულტეტი შეიცავს ჰუმანიურ სამეცნიერო საგნებს – როგორც მაგალითად, ფილოსოფიას, საისტორიო, საფილოლოგიო და სპეციალურ საგნებს – ბუნებისმეტყველებისას და მათემატიკისას... თუ ამ თავითვე საბუნებისმეტყველო განყოფილების გახსნა შევიძლებით, მაშინ რაკი სამკურნალო ფაკულტეტის პირველი ორი კურსი იგივეა, რაც საბუნებისმეტყველო განყოფილებისა, ორი წლის შემდეგ შესაძლებელია მოეწიოს სამკურნალო ფაკულტეტი...“<sup>14</sup>

ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა კრებას განუმარტა, რომ უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებაზე ასწავლიან არაბულ და სპარსულ ენებსაც და „უნივერსიტეტი გაგზავნის ამ ქვეყნებში თვალსაჩინო მოწაფეთ მეცნიერებაში გასაწვრთნელად და მერე მათვე გამოიყენებს თავისთვის“.<sup>15</sup>

1917 წლის 26 ნოემბერს ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე შედგა საზოგადოების მიერ გამოყოფილი აკადემიური კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, დ. უზნაძე, აკ. შანიძე. სხდომის თავმჯდომარე იყო ივ. ჯავახიშვილი, მდივანი – ა. შანიძე. მიღებული იქნა დადგენილება, რომ დაარსებულიყო ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელსაც ექნებოდა 3 განყოფილება: 1) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, სოციალური მეცნიერებანი, პედაგოგიკა), 2) სამათემატიკო, 3) საბუნებისმეტყველო. პირველ რიგში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილება უნდა გახსნილიყო. ფ. გოგიჩაიშვილს დაევალა უნივერსიტეტისათვის ქართული გიმნაზიის შენობის მიღების საკითხის მოგვარება.<sup>16</sup>

1917 წლის 8 დეკემბერს უნივერსიტეტის მომავალ პროფესორებს (ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე) ივ. ჯავახიშვილმა აუწყა, რომ უნივერსიტეტის ძირითადი დებულება დამტკიცებული იყო. ამასთან განიხილა ფ. გოგიჩაიშვილის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის პროექტი.

დეკემბრის დამლევეს პრესაში გამოქვეყნდა განცხადება, ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ. ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი ოფიციალური სხდომა 1918 წლის 13 იანვარს შედგა. სხდომას ესწრებოდნენ პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ე. თაყაიშვილი, შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე. თავმჯდომარეობდა პ. მელიქიშვილი, მდივანი იყო ა. შანიძე. აირჩიეს უნივერსიტეტის გამგეობა და ჯავახიშვილს მიმართეს თხოვნით თავს ედო უნივერსიტეტის რექტორობა. ამ წინადადებაზე ივ. ჯავახიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა და თავის მხრივ სხდომას მოუწოდა რექტორად პეტრე მელიქიშვილი აერჩიათ, რომელიც, როგორც თვით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „დიდად ცნობილი მეცნიერია, როგორც რუსეთში ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტს“-ო... პროფესორთა კოლეგიამ მიიღო ეს წინადადება და პეტრე მელიქიშვილი აირჩია უნივერსიტეტის რექტორად. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს ივანე ჯავახიშვილი, პროფესორთა საბჭოს სწავლულ მდივანად – იოსებ ყიფშიძე.

დადგა 26 იანვარი 1918 წლისა... ამ დღეს წყნეთის ქუჩაზე №41-ში მდებარე გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი – ქართული უნივერსიტეტი.

<sup>13</sup> იხ.: ცსა (თბილისი), ფონდი რ.-471, საქმე 3-ა, ფურცლები 3-4; ჟურნალი „საისტორიო მოამბე“, 1967, №21-22, გვ. 334-335.

<sup>14</sup> იხ.: ცსა (თბილისი), ფონდი რ.-471, საქმე 3-ა, ფურცლები 3-4; ჟურნალი „საისტორიო მოამბე“, 1967, №21-22, გვ. 334-335.

<sup>15</sup> იხ.: ცსა (თბილისი), ფონდი რ.-471, საქმე 3-ა, ფურცლები 3-4; ჟურნალი „საისტორიო მოამბე“, 1967, №21-22, გვ. 334-335.

<sup>16</sup> ეს ის შენობაა, სადაც ამჟამად უნივერსიტეტია მოთავსებული, აგებული ხუროთმოძღვარ სიმონ კლდიაშვილის პროექტით. იხ.: **ვახტანგ ბერიძე**. ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი. – თსუ შრომები. XXXIII. თბილისი, 1945, გვ. 35-71.

პირველი ლექცია წაკითხა ივ. ჯავახიშვილმა 1918 წლის 30 იანვარს.<sup>17</sup> ლექციის თემა ასეთი იყო: „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობაში“.

ასე დაიწყო ქართული უნივერსიტეტის მაჯისცემა.

ცხადია, უნივერსიტეტის შექმნის მესვეურებს უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ ნიკო მარის პოზიციისადმი, რომელიც კატეგორიულად არ უჭერდა მხარს თბილისში უნივერსიტეტის დაარსებას, თვლიდა რა, რომ აქ უნდა დაარსებულიყო კავკასიის უნივერსიტეტი და სწავლაც რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო. ნ. მარისადმი მკაცრმა დამოკიდებულებამ თავი იჩინა უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებშივე, როცა მეცნიერმა სურვილი გამოთქვა უნივერსიტეტში თანამშრომლობისა (კონკრეტულად ლექციების წაკითხვის). პროფესორთა კოლეგიამ უარი უთხრა ნიკო მარს მის თხოვნაზე. ნიშანდობლივია, რომ ნიკო მარი ლექციის წაკითხვას აპირებდა ქართულად. ამ უარის განცხადება მეცნიერისათვის მოუხდა ივანე ჯავახიშვილს. აქ მართებულია ორიოდ სიტყვა ითქვას მათი ურთიერთობის შესახებ.

მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ივ. ჯავახიშვილსა და ნ. მარს. მათი ნაცნობობა პეტერბურგიდან დაიწყო. უნივერსიტეტში სწავლისას ივ. ჯავახიშვილმა თავისი სიბეჯითობა და მეცნიერული ცოდნის დაუფლებიანადმი დიდი აღლოთი სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. მის შემფასებელთა შორის იყო პროფესორი ნიკო მარი, რომელიც ივ. ჯავახიშვილს ახასიათებდა, როგორც რუსული და ევროპული ენების ზედმიწევნით კარგად მცოდნეს.<sup>18</sup> შემთხვევითი არ იყო, რომ ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე იქნა დატოვებული (1899 წ.) საპროფესოროდ მოსამზადებლად; მისი ძირითადი ხელმძღვანელი პროფ. ნ. მარი იყო. 1901 წლის 27 იანვარს ივ. ჯავახიშვილმა გამოცდები ჩააბარა და მოიპოვა ქართული სიტყვიერების მაგისტრის ხარისხი.<sup>19</sup> ამის შემდეგ იგი ბერლინის უნივერსიტეტში მიავლინეს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. საზღვარგარეთ ყოფნისას ივ. ჯავახიშვილი კავშირს არ სწყვეტს ნ. მართან, თავის მოსაზრებებსა და შთაბეჭდილებებს უზიარებს წერილობით. 1901 წლის 17 მარტს ივ. ჯავახიშვილი ნ. მარს სწერს: „ჩემს მიერ დასახულ ზოგიერთ სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის (საკითხებზე: „ქართულ-სომხური ეკლესიის გაყოფის შესახებ“, „ქრისტიანობის ხასიათი ძველ სომხეთსა და საქართველოში“, „ეკლესიის ორგანიზაცია“, „სამღვდელოების ფეოდალური ხასიათის შესახებ საქართველოში“, „მიწის ფეოდალიზაცია სომხეთსა და საქართველოში“, „საეკლესიო ხელისუფლებისა და ფეოდალების ბრძოლის შესახებ დავით აღმაშენებლიდან თამარის პერიოდამდე, ე.ი. XII–XIII საუკუნეებში“) სასურველია სპეციალურად შესწავლილი იქნას ქრისტიანული ეკლესიის დოგმათა ისტორია და საეკლესიო ლიტერატურა პროფ. ჰარნაკთან, აგრეთვე შუა საუკუნეების ევროპა და ფეოდალური ინსტიტუტების ისტორია გერმანიაში – პროფ. ლამპრეხთან. ჩემთვის, რაკი ქართველოლოგიას ვსწავლობ, აუცილებელია ბიზანტიოლოგიაში მუშაობა, რათა გათვალისწინებულ იქნას ბიზანტიის გავლენა საქართველოზე, სასურველი იქნება ვიმუშაო ბიზანტიოლოგიაში პროფ. კრუმბახერთან“.<sup>20</sup>

ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის ურთიერთობაში მეტად მნიშვნელოვანია ერთობლივი მოგზაურობა სინას მთაზე, ქართული ხელნაწერების მიკვლევისა და შესწავლის მიზნით (1902 წ. აპრილი-სექტემბერი). ნ. მარი ამ მოგზაურობაში კიდევ უფრო ახლოს გაეცნო ივ. ჯავახიშვილს, გულწრფელად მოსწონდა იგი, რის შესახებაც წერდა კიდევ, რომ „... ჯავახიშვილი მუშაობაში ძალიან ბეჯითი და ამტანი აღმოჩნდაო“.<sup>21</sup>

შემდგომში, თურმე, ამ მოგზაურობას ნ. მარი დიდი სიამოვნებით იგონებდა. ყვებოდა, თუ როგორ მოჰქონდათ მათთან იქაურ ბერებს სხვადასხვა ქართული ხელნაწერები. ამ სამსახურისათვის ბერები ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილისაგან გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ. და, აი, ერთ დღეს ივ. ჯავახიშვილს ხელში ჩაუვარდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ძვირფასი ხელნაწერი. ეს უდიდესი მონაპოვარი იყო. იგი მაშინვე მიხვდა თუ რა დიდმნიშვნელოვან ძეგლთან ჰქონდა საქმე. მადლიერ მოწაფეს ხელნაწერი მასწავლებლისთვის გადაუცია, თანაც დაუძენია:

<sup>17</sup> სერგო ჯორბენაძე. პირველი ლექცია თბილისის უნივერსიტეტში (წაკითხული ივანე ჯავახიშვილის მიერ)– გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 1966, თებერვალი.

<sup>18</sup> დავით გვრიტიშვილი. ივანე ჯავახიშვილი. თბილისი, 1968, გვ. 12.

<sup>19</sup> სამაგისტრო დისერტაცია უფრო გვიან, 1907 წლის 13 მაისს დაიცვა თემაზე: „Государственный строй древней Грузии и древней Армении“.

<sup>20</sup> წერილი მოგვყავს დავით გვრიტიშვილის ზემოდასახელებული წიგნიდან.

<sup>21</sup> სიმონ ფაუსტიშვილი. ი. ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.– ჟურნალი „მნათობი“, 1948, №3, გვ. 117.

პირველ რიგში ძეგლის გაცნობა-შესწავლა თქვენ გეკუთვნითო.<sup>22</sup> ნ. მარი თავის მოწაფის ამგვარ დიდბუნევენობას მაღალ შეფასებას აძლევდა.

მოგზაურობა ძალზედ ნაყოფიერი გამოდგა. გამოვლინდა ბევრი საინტერესო ძეგლი, რომლებიც ფოტოგრაფიულად იქნა გადმოღებული, ზოგი გადმოიწერა. ასე რომ, ექსპედიციამ სინას მთაზე დიდი როლი შეასრულა ქართველოლოგიური მეცნიერების წინსვლის საქმეში.

ნ. მარსა და ივ. ჯავახიშვილს შორის საქმიანი ურთიერთობა შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა, ეს თავისთავად დიდი საკითხია და ცალკე განხილვას მოითხოვს. ჩვენ კი გვინდა მკითხველს მივაწოდოთ ერთი ფრიად საინტერესო წერილი, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის დავალებით მიუწერია<sup>23</sup> ივ. ჯავახიშვილს ნ. მარისათვის. წერილი გარკვეულ შეფასებას აძლევს ნ. მარის დამოკიდებულებას ქართული უნივერსიტეტისადმი. ამასთან, ჩვენ საშუალება გვაქვს დავრწმუნდეთ იმ პირუთენელ პრინციპულობასა და პირდაპირობაში, რაც ეგრერიგად იყო დამახასიათებელი ივ. ჯავახიშვილისათვის:

„პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო ბ ნ ო ნ ი კ ო

თქვენი წერილის მიღებისთანავე მისი შინაარსი ვაცნობე ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიას და შევეკითხე „სასურველია თუ არა იაფეტურ ენათმეცნიერისაგან ერთ და ერთ დღეებანდელ მიწვევნილებაზე ლექცია რომ ყოფილიყო ჩვენს უნივერსიტეტში თქვენ მიერ ქართულად წაკითხული. თქვენი თხოვნის თანახმად ვაცნობებთ სრულებით გულწრფელად კოლეგიის საერთო აზრს და პასუხს. ჩვეულებრივს პირობებში უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგია სიამოვნებით შეეგებებოდა ამ სურვილს თქვენი „სხვაფრივ მოაზრობისდა“ მიუხედავად, მაგრამ თქვენ მიერვე შექმნილ პირობებში პროფესორთა კოლეგიას თქვენი სურვილის დაკმაყოფილება სრულებით შეუძლებლად მიიჩნია“. <sup>24</sup> აქ მხედველობაშია ის გარემოება, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნ. მარს ქართული უნივერსიტეტის დაარსება-საქმიანობა თავისებურად ჰქონდა წარმოდგენილი და, როგორც ჩანს, გარკვეულ დრომდე არ უყურებდა ამ საქმეს პერსპექტიულად; ყოველივე ამას უნივერსიტეტის მესვეურთა უკმაყოფილება გამოუწვევია და მეცნიერის წინადადებაზე, რომ ლექციები წაეკითხა, უარით უპასუხიათ.

ივ. ჯავახიშვილი წერილს ჩვეული სიდარბაისლით ამთავრებს: „მომავალშიაც მრავალგვარ ზემოაღნიშნულ უსიამოვნებისდა მიუხედავად ყოველთვის გულწრფელად მოხარული ვიქნებით პეტერბურგელ მკვლევარის თვითოეული თხოვლებისათვის... თქვენი წერილის დაბოლოება შემდეგი მრავალ-მეტყველი სიტყვებით გინებებიათ: „თუმც სხვაფრივ მოაზრე, სულ იგივე და მისივე მსურველი, რასაც თქვენ მიელტვით“-ო, ჩვენთვის ბედნიერება იქნებოდა ეს გარემოება რომ ყველასათვის ცხადი ყოფილიყო...

დავშთები მაინც მარად თქვენთვის კეთილის მოსურნე ივ. ჯავახიშვილი (ხელრთვა). 7 დეკემბერი 1923 წ. ქ. ტფილისი“.<sup>25</sup>

## X

X

X

ივ. ჯავახიშვილსა და ნ. მარს შორის არც ამის შემდგომ შეწყვეტილა ურთიერთობა. ისინი კვლავ დიდის პატივისცემით ეკიდებოდნენ ერთმანეთის მეცნიერულ ნაღვაწს, უზიარებდნენ მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხებზე. ნ. მარი გატაცებული იყო თავისი იაფეტური თეორიით და თავდაუზოგავად იკვლევდა მთელ რიგ საკითხებს. 1928 წლის 20 ნოემბერს ნ. მარი ლაიფციგიდან სწერდა ივ. ჯავახიშვილს: „სიბერის დღეს ნამეტარი სიმძიმე დამეჭრა თავზე, ერთი აღმოჩენა მეორეს მოსდევს, რომ ყველა მოგწერო, თქვენც არ დაიჯერებთ მგონი, იმდენად ჩემთვისაც მოულოდნელი გამოჩნდნენ ყველანი ერთად და თითო ცალკე სხვაგვრივ, ვიდრე ადრე, გამოშუქებით. ბევრი უწინდელი უნდა უკუვაგდო, არათუ როგორც აღმოჩენილი ფაქტი, არამედ

<sup>22</sup> ნიკო მარის მონათხრობი ჩვენ გადმოგვცა აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა.

<sup>23</sup> ნიკო მარს თბილისის უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვის სურვილი გამოუთქვამს და საგანგებო წერილიც დაუწერია სათანადო თხოვნით. წერილი, ნიკო მარის თხოვნით, შალვა ამირანაშვილს ჩამოუტანია თბილისში და ივანე ჯავახიშვილისათვის გადაუცია.

<sup>24</sup> Архив АН СССР, фонд 800, опись 3, дело 318.

<sup>25</sup> Архив АН СССР, фонд 800, опись 3, дело 318.

როგორც მთლიან აღმშენებლობის ნაწილი“. <sup>26</sup> ნ. მარი განსაკუთრებით დაინტერესებულია ეტრუსკული და ბასკური ენებით: „... ეტრუსკული და განსაკუთრებით (როგორც ცოცხალი ენა) ბასკური ენა საშველს არ მაძლევს“. <sup>27</sup> წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ნ. მარი თბილისის უნივერსიტეტში მიუწვევიათ ლექციების წასაკითხად, იგიც საგანგებოდ მომზადებულია ამ საქმისთვის. ნ. მარი მის მიერ თბილისის უნივერსიტეტში გამოგზავნილი წიგნებით სარგებლობას სთავაზობს ივ. ჯავახიშვილს (საჭიროების შემთხვევაში). ერთი სიტყვით, წერილი მეტად თბილი და კეთილმეგობრულია.

ნიკო მარი გასული საუკუნის ოცდაათიან წლებშიც სტუმრობდა საქართველოს და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მეცნიერებთან; არაერთი კეთილი და მნიშვნელოვანი საქმე გაუკეთებია. ზოგი მათგანის შესახებ (მაგალითად, გაყიდული ხახულის კარედის დაბრუნების საქმე) ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

მოვიტანთ გამოჩენილი მეცნიერების მიერ ნიკო მარის მეცნიერული შეფასების რამდენიმე ნიმუშს:

**ექვთიმე თაყაიშვილი** – „ნ. მარი გენიალური წყობის მეცნიერი იყო... ნ. მარის გამოკვლევა ქვეკუთხელია ჩვენი ენის, ლიტერატურის და, საზოგადოდ, წარსულის შესწავლისა“.

**ივანე ჯავახიშვილი** – „ნიკო მარმა ქართული ფილოლოგიის დონე იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის ფილოლოგია... ქართველთმცოდნეობის ისტორიაში ნ. მარის სახელი სამუდამოდ აღიბეჭდება“.

**აკაკი შანიძე** – „...ქართველთმცოდნეობის დროშა მადლა ეჭირა ნიკო მარს, რომელმაც ძველი ქართული ძეგლების მეცნიერული გამოცემისა და თარგმნის საქმე ძალიან მაღალ დონეზე აიყვანა, შექმნა თავისი სკოლა ქართველთმეტყველებაში“.

**არნოლდ ჩიქობავა** – „კავკასიათმცოდნეობაში არ ყოფილა და არ არის სხვა მკვლევარი, რომელსაც ასეთი ძლიერი სინთეზის ნიჭი და განზოგადების უნარი ჰქონდეს, როგორც ჰქონდა ნ. მარს“.

ცალკე გამოყოფთ აკად. **გიორგი ჯიბლაძის** შეფასებას, რომელიც ამბობს: „საჭიროდ მიმაჩნია ისიც დავადასტურო, რომ მარის სამწუხარო შეცდომების აღნიშვნა ათგვერდიან ბროშურას თუ შეადგენს, აღმოჩენები და მიღწევები კი მრავალ ტომს მოიცავენ“.

ტეშმარიტებაა გადმოცემული ივანე ჯავახიშვილის სიტყვებში: „ვინც კი აკად. ნ. მარის ნაშრომების თუნდაც მარტო სიას გასინჯავს, შეუძლია მისი შემოქმედების ნაყოფიერებით მისდამი განცვიფრებისა და პატივისცემის გრძნობა არ აღუძრას“.

მართლაც, ნიკო მარის 250-წლოვან იუბილეზე გვიხდება კონსტატირება, რომ მისი ბრწყინვალე შემოქმედებით, აღმოჩენებით, სიახლეებით ამა თუ იმ საკითხის მამაცური შეფასებებით, მრავალმხრივობითა და მეცნიერული სიღრმით მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მსოფლიოს მეცნიერ-კორიფთა და წარჩინებულ საზოგადო მოღვაწეთა რიცხვში.

**Roin Metreveli**

## The University Issue

### Resume

This paper deals with the attitude of a prominent scholar and public figure Niko Marr to the opening of national university in Tbilisi. Despite the fact that N. Marr was very eager the first-ever Caucasian university to be founded in the capital city of Georgia, it seemed to him impossible the functioning of the higher school in the Georgian language. He considered that lectures should be delivered in Russian by active participation of the professors from Petrograd University. The University community of Georgia did not take into account Niko Marr's viewpoint and the Georgian University was founded on 26 January, 1918 (according to new style calendar on December 8). The paper

<sup>26</sup> ნიკო მარის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, ცსა (თბილისი), ფონდი რ. – 471, საქმე 74, ფურცელი 179; ჟურნალი „საისტორიო მოამბე“, 1967, №21–22, გვ. 484–485.

<sup>27</sup> ნიკო მარის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, ცსა (თბილისი), ფონდი რ. – 471, საქმე 74, ფურცელი 179; ჟურნალი „საისტორიო მოამბე“, 1967, №21–22, გვ. 484–485.

mentions that N.Marr was denied lecturing at the University by the board of the University professors (Ivane Javakishvili's letter to Marr, December 7, 1921).

After some time, the situation had changed and Niko Marr started to collaborate with the University and continued close, friendly relationship with his former student, the founder of the university).



**საქართველოს ხელისუფლების მოდერნიზაცია ქუთაისის ოლქის  
ქლუხორის რაიონისა და თბილისის ოლქის ახალხევის რაიონის  
ათვისებისათვის  
(1943-1954 წწ.)**

1943 წლის 12 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, გაუქმდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სტავროპოლის მხარის ყარაჩაის ავტონომიური ოლქი. გაუქმებული ავტონომიის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილი ქუთაისის ოლქის ქლუხორის რაიონის სახით შევიდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში. 1944 წლის 7 მარტს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, გაუქმდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ჩენკო-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. გაუქმებული ავტონომიის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილი, ასევე ჩრდილო ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა თბილისის ოლქის ახალხევის რაიონის სახით. 1944 წლის 8 აპრილს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მცხოვრები ბალყარელები მშობლიური ადგილებიდან გადაასახლეს, ხოლო ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ყაბარდოს ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაიქმნა. ყოფილი ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური ტერიტორიის სამხრეთი ნაწილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადაეცა და შეურთდა ქუთაისის ოლქის ზემო სვანეთის რაიონს.

ამრიგად, 1943-1944 წლებში შეიცვალა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საზღვარი და რუსეთის ტერიტორიის ნაწილი საქართველოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. საქართველოსათვის გადაცემული ტერიტორია სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ყარაჩაელების, ჩენკების, ინგუშებისა და ბალყარელების დასჯის შესახებ სულაც არ იყო მოულოდნელი. მოულოდნელი იყო გაუქმებული ავტონომიების ტერიტორიების საქართველოსათვის გადაცემა. უფრო სავარაუდო იყო, რომ გაუქმებული ავტონომიების ტერიტორია რაიმე ფორმით ისევ რუსეთის შემადგენლობაში დარჩენილიყო. სავსებით ბუნებრივად იმის კითხვები:

1. რა მიზანს ისახავდა იოსებ სტალინი რუსეთის ტერიტორიის საქართველოსათვის გადაცემით?

2. საქართველოსათვის რუსეთის ტერიტორიის გადაცემა იყო დროებითი მოვლენა, თუ ეს ტერიტორიები საქართველოს შემადგენლობაში სამუდამოდ შევიდა?

3. სწამდა თუ არა იოსებ სტალინს, რომ საქართველოს ახლად შეერთებული ტერიტორიის ათვისებას შეძლებდა და თუ არ სწამდა, რატომ გადადგა ასეთი ნაბიჯი?

4. საქართველოსათვის რუსეთის ტერიტორიის გადაცემა ამით დასრულდებოდა, თუ მას კიდევ ექნებოდა გაგრძელება?

5. გრძნობდა თუ არა იოსებ სტალინი იმას, რომ რუსული პოლიტიკური და სამხედრო ელიტა მისი გარდაცვალების შემდეგ საქართველოსათვის გადაცემული რუსეთის ტერიტორიის კვლავ რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნებას მოითხოვდა?

ზემოთ დასმული ხუთი კითხვიდან ჯერ-ჯერობით შეიძლება მხოლოდ მეორესა და მესამეს ვუპასუხოთ. რუსეთის ტერიტორიის საქართველოსათვის გადაცემას იოსებ სტალინი არ განიხილავდა დროებით მოვლენად. ეს ტერიტორიები საქართველოს სამუდამოდ გადაეცა.

ყველაფერი კეოდებოდა იმისათვის, რომ საქართველოს ახლად შეერთებული ტერიტორია ათვისებინა. ამაზე მეტყველებს მრავალი ფაქტი, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი: **პირველი.** საქართველოსათვის ახლად გადაცემულ რაიონებში დაიწყო ქართველთა ჩასახლება, რაც დემოგრაფიული სიტუაციის ქართველთა სასარგებლოდ შეცვლისათვის იყო გამიზნული; **მეორე.** ახლად გადაცემულ რაიონებში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ (მინისტრთა საბჭომ), საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა (შინაგან საქმეთა სამინისტრომ), ცალკეულმა სახალხო კომისარიატებმა (სამინისტროებმა), სამრეწველო საწარმოებმა, კოლექტიურმა მეურნეობებმა, სხვადასხვა დაწესებულებამ მიაგლინა გამოცდილი სახელმწიფო მოხელეები და სამეურნეო მუშაკები; **მესამე.** ახლად გადაცემულ რაიონებში გაიგზავნა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სამშენებლო მასალა და სხვ.; **მეოთხე.** ახლად შემოერთებული ტერიტორიების თბილისთან, ქუთაისთან და სოხუმთან დაკავშირების მიზნით გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები (გაყვანილ იქნა სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის ხაზები, დაიწყო საავტომობილო გზებისა და ხიდების შეკეთება და მშენებლობა); **მესხუთე.** გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ეკონომიკის აღმავლობისათვის (კოლექტიური მეურნეობების გაერთიანება, სამრეწველო საწარმოების ამოქმედება, რეგიონების ელექტროენერჯით უზრუნველყოფა და სხვ.); **მეექვსე.** გატარდა ღონისძიებები საბავშვო ბაღების, საშუალო სკოლებისა და კურორტების ქსელის განვითარებისათვის; **მეშვიდე.** საქართველოსათვის ახლად გადმოცემულ რაიონებში ჩატარდა რაიონული საბჭოების, მოსამართლეთა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები; **მერვე.** არაქართული ტოპონიმები შეიცვალა ქართულით.

ყოველივე ზემოაღნიშნული საქართველოს დაუჯდა იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდურ თანხად. საქართველოს ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების გარდა ახლად შეერთებული რაიონების განვითარებისათვის ხდებოდა დამატებითი სახსრების მოძიება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ტერიტორიის ათვისება, იქ ქართველთა დამკვიდრება ხდებოდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს (1943-1945 წწ.) და ომის შემდგომ წლებში (1945-1953 წწ.), ნათელი გახდება აუცილებელი სახსრების მოძიების მთელი სიძნელე.

დანარჩენ სამ კითხვაზე, და კიდევ სხვა კითხვებზე, პასუხის გაცემა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. პასუხი ამ კითხვებზე იმ საარქივო და სხვა ხასიათის დოკუმენტებსა და მასალებშია, რომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შეუსწავლელია.

ქვემოთ ვაქვეყნებთ დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც წარმოაჩენენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლების მოღვაწეობას ახლად შეერთებული ტერიტორიის ათვისებისათვის. დოკუმენტების ნაწილი გამოქვეყნებული იყო, უმეტესი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

**დოკუმენტი №1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებულება რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სტავროპოლის მხარის ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციისა და მისი ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ**

## ПРЕЗИДИУМ ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР

У К А З

от 12 октября 1943 года

### **О ликвидации Карачаевской автономной области и об административном устройстве ее территории**

В связи с тем, что в период оккупации немецко-фашистскими захватчиками территории Карачаевской автономной области многие карачаевцы вели себя предательски, вступали в организованные немцами отряды для борьбы с советской властью, предавали немцам честных советских граждан, сопровождали и показывали дорогу немецким войскам, наступающим через перевалы на Закавказье, а после изгнания оккупантов противодействуют проводимым советской властью мероприятиям, скрывают от органов власти бандитов и

заброшенных немцами агентов, оказывая им активную помощь, Президиум Верховного Совета СССР постановляет:

а) Оставить в составе Ставропольского края Зеленчукский, Усть-Джегутинский и Мало-Карачаевский районы бывшей Карачаевской автономной области, подчинив эти районы Ставропольскому краевому исполкому советов депутатов трудящихся. Мало-Карачаевский район переименовать в Кисловодский сельский район.

б) Включить Преградненский район бывшей Карачаевской автономной области в состав Мостовского района, Краснодарского края - с юга, запада и востока в существующих границах, а на севере определить восточную границу района по линии: начиная от селения Куньша Краснодарского края, далее через высоты 1194, 1664, исключая селение Круглый, высоты 1274, 1225, с выходом на границу пастбищ Черкесской автономной области в районе высоты 1918.

Остальную территорию Преградненского района со станицей Преградной включить в состав Зеленчукского района Ставропольского края.

**სადგურ იშჩერსკაიასთან მდინარე თერგის ხის კოჭური ხიდის მშენებლობის საპროექტო დავალებისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საპროექტო დავალება იშჩერსკაიას სადგურთან მდინარე თერგის 160 მეტრი მანძილის ხის კოჭური ხიდის საპროექტო დავალება და მისი სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშება 1300 ათასი მანეთის რაოდენობით 1950 წლის 1 ივლისიდან შემოღებული ფასებით, დანართში აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს**  
**თავმჯდომარე**

**ზ. ჩხუბინაშვილი**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს**  
**საქმეთა მმართველი**

**ს. როსტიანაშვილი**

1950 წლის 16 ნოემბერი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება. 1950 წლის იანვარი. თბილისი, 1950, გვ. 142.

**დოკუმენტი №35.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 26 ივნისის დადგენილება ბარისახო-ახალხევის საავტომობილო გზის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოების პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების შესახებ

**დადგენილება №798**  
**საქართველოს სსრ მინისტრთა**  
**საბჭოსი**

**ბარისახო-ახალხევის საავტომობილო გზის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოების პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 30 მაისის №8404 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს (ამხ. ჯომარჯიძეს) აწარმოოს 1951 წლის 1 სექტემბრამდე ბარისახო-ახალხევის საავტომობილო გზის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები.
2. დამტკიცდეს ბარისახო-ახალხევის საავტომობილო გზის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოების პროექტები და ხარჯთაღრიცხვები 2412 ათასი მანეთის რაოდენობით, დანართის თანახმად.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს**  
**თავმჯდომარე**

**ზ. ჩხუბინაშვილი**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს**  
**საქმეთა მმართველი**

**ს. როსტიანაშვილი**

1951 წლის 26 ივნისი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება. 1951 წლის ივნისი. თბილისი, 1951, გვ. 538.

**დოკუმენტი №36.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 26 ივნისის დადგენილების დანართი ბარისახო-ახალხევის საავტომობილო გზის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოების პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების შესახებ

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 26/VI  
№798 დადგენილების დანართი

**ნაკრები ხარჯთაღრიცხვა**

**ბარისახო-ახალხევის საავტომობილო გზის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოებისა 1950 წლის 1 ივლისიდან შემოდებული ფასებით**

1. საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების დროებითი ნაგებობანი 1036 ათასი მან.
2. საწარმოო დანიშნულების დროებითი ნაგებობანი 234 ათასი მან.
3. დროებითი მისასვლელი გზები 186 ათასი მან.
4. სამშენებლო მექანიზმების, მოწყობილობებისა და ავტოსაგზაო მექანიზმების შექენა 956 ათასი მან.  
სულ: 2412 ათასი მან.

**საქართველოს მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი**

**ს. როსტიაშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი. 1951 წლის ივნისი. თბილისი, 1951, გვ. 539.

**დოკუმენტი №37.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება ბარისახო-ახალხევის გზის 10,3 კილომეტრიანი უბნის მშენებლობის ტექნიკური პროექტის დამტკიცების შესახებ

**დადგენილება №1477  
საქართველოს სსრ მინისტრთა  
საბჭოსი**

**ბარისახო-ახალხევის გზის 10,3 კილომეტრი უბნის მშენებლობის ტექნიკური პროექტის დამტკიცების  
შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს მიერ წარმოდგენილი და „სოიზდორპროექტის“ საქართველოს კანტორის მიერ შედგენილი ბარისახო-ახალხევის საავტომობილო გზის უბნის მშენებლობის ტექნიკური პროექტი და მისი ხარჯთაღრიცხვა შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით:

გზის სამშენებლო სიგრძე 9,9 კილომეტრი  
სოფ. ბარისახოს მისასვლელი გზა 0,4  
გასაღვლელი ნაწილი, ადგილობრივი ქვის  
მასალებით გაუმჯობესებული 5,5 მეტრი სიგანე  
ხელოვნური ნაგებობანი რკინა-ბეტონის 2 ხიდი, სიგრძით 35 გრძ. მეტრი  
გენერალური ხარჯთაღრიცხვა 9771 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. ბარისახო-ახალხევის გზის უბნის ტექნიკური პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით, ძალდაკარგულად ჩათვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 26 ივნისის №798 დადგენილების მუხ. 2.

3. ამ მიზნით უზრუნველყოფილ იქნას ბარისახო-ახალხევის გზის მშენებლობის კაპიტალურ სამუშაოთა 1951 წლის გეგმით შესრულება 5 მილიონი მანეთის რაოდენობით, ეთხოვოს სსრ კავშირის

მინისტრთა საბჭოს ნება დართოს, რომ დამტკიცდეს ბარისახო-ახალხევის გზის 10,3 კილომეტრი უბნის ტექნიკური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე**

**ზ. ჩხუბიაშვილი**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი**

**ს. როსტიაშვილი**

1951 წლის 16 ოქტომბერი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი. 1951 წლის ოქტომბერი. თბილისი, 1951, გვ. 259-260.

**დოკუმენტი №38.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 სექტემბრის დადგენილება  
წითელწყაროს მეცხოველეობის სამანქანო სადგურის ქუთაისის ოლქის ქლუხორის რაიონში  
გადატანის შესახებ

**დადგენილება №1452  
საქართველოს სსრ მინისტრთა  
საბჭოსი**

**წითელწყაროს მეცხოველეობის სამანქანო სადგურის ქუთაისის ოლქის ქლუხორის რაიონში გადატანის  
შესახებ**

იმასთან დაკავშირებით, რომ წითელწყაროს რაიონში არსებული 4 მანქანა-ტრაქტორთა სადგური სავსებით უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა საჭირო სატრაქტორო სამუშაოების შესრულებას, ხოლო წითელწყაროს მეცხოველეობის სამანქანო სადგური, ამ რაიონში სათიბების შემცირების გამო, სრულად არ არის დატვირთული და ქლუხორის რაიონში კი, სადაც მოიპოვება 33200 ჰექტარი სათიბი და 3000 ჰექტარი ტრაქტორით სახნავი მიწა, სრულად არაა მექანიზაცია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. წითელწყაროს მეცხოველეობის სამანქანო სადგური გადატანილ იქნას ქლუხორის რაიონში.
2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლი მეურნეობის სამინისტროს ა/წ ნოემბრამდე უზრუნველყოს წითელწყაროს მეცხოველეობის სამანქანო სადგურის გადატანა ქუთაისის ოლქის ქლუხორის რაიონში.
3. ეთხოვოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრს ამხ. ი. ა. ბუნედიქტოვს ნება დაერთოდ, რათა გადატანილ იქნას მეცხოველეობის სამანქანო სადგური წითელწყაროს რაიონიდან ქუთაისის ოლქის ქლუხორის რაიონში.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
თავმჯდომარე**

**ზ. კეცხოველი**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს  
საქმეთა მმართველი**

**ა. ბუნიაშვილი**

1952 წლის 13 სექტემბერი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი. 1952 წლის სექტემბერი. თბილისი, 1952, გვ. 237.

დოკუმენტი №39. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12 იანვრის დადგენილების დანართი ქლუხორის რაიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვის შესახებ

საქ. კვ. ც. კ-ის და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12/1 №37 დადგენილების დანართი №1

ბ ე ბ მ ა

ქლუხორის რაიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვისა 1954-1955 წლებში

(ჰექტრობით)

გეგმა

| სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასახელება | 1954 წლისათვის | 1955 წლისათვის |
|---|----------------|----------------|
| შემოდგომის ხორბალი                      | 20             | 20             |
| გაზაფხულის ხორბალი                      | 50             | 50             |
| გაზაფხულის ქერი                         | 100            | 130            |
| სიმინდი                                 | 40             | 40             |
| კარტოფილი                               | 270            | 300            |
| ბოსტნეული                               | 30             | 30             |
| საკვები და ჭარხალი                      | 50             | 70             |
| <b>სულ</b>                              | <b>560</b>     | <b>640</b>     |

1954 წლის 7 იანვარი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი. 1954 წლის იანვარი. თბილისი, 1954, გვ. 117

დოკუმენტი №40. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12 იანვრის დადგენილების დანართი ქლუხორის რაიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვის შესახებ

საქ. კ. კ. ც. კ-ის და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12/1 №37 დადგენილების დანართი №1

ბ ე ბ მ ა

ქლუხორის რაიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვისა 1954-1955 წლებში

(ჰექტრობით)

გეგმა

| სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასახელება | 1954 წლისათვის | 1955 წლისათვის |
|---|----------------|----------------|
| შემოდგომის ხორბალი                      | 20             | 20             |
| გაზაფხულის ხორბალი                      | 50             | 50             |
| გაზაფხულის ქერი                         | 100            | 130            |
| სიმინდი                                 | 40             | 40             |
| კარტოფილი                               | 270            | 300            |
| ბოსტნეული                               | 30             | 30             |
| საკვები და ჭარხალი                      | 50             | 70             |
| <b>სულ</b>                              | <b>560</b>     | <b>640</b>     |

1954 წლის 7 იანვარი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი. 1954 წლის იანვარი. თბილისი, 1954, გვ. 117.

დოკუმენტი №41. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12 იანვრის დადგენილების დანართი ქლუხორის რაიონისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყოფის შესახებ

საქ. კვ ცვ-ის და საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12/1 №37 დადგენილების დანართი №1

სია

ტრაქტორებისა, მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სეციალური მანქანებისა, რომელიც გამოეყოფა ქლუხორის მეცხოველეობის სამანქანო სადგურს 1954 წელს

| მანქანების დასახელება                      | რაოდენობა |
|--|-----------|
| 1. ბუდლოზერი ს-80                          | 1         |
| 2. სკრეპერი დტ-54-ზე                       | 1         |
| 3. ტრაქტორი ს-80                           | 1         |
| 4. ტრაქტორი დტ-54                          | 2         |
| 5. ტრაქტორი უნივერსალი 2                   | 3         |
| 6. ტრაქტორი კდ-35                          | 2         |
| 7. გრეიდერი                                | 2         |
| 8. საოშაგო გუთანი პლ-5-25                  | 4         |
| 9. ჭაობისა და ჯაგნარის გუთანი              | 2         |
| 10. ზვინდამდგმელი                          | 10        |
| 11. კარტოფილის სარგავი მანქანა             | 1         |
| 12. მწვერივთშორის დამუშავებელი კულტივატორი | 3         |

1954 წლის 7 იანვარი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი. 1954 წლის იანვარი. თბილისი, 1954, გვ. 118.



## ისტორიის რეპრეზენტაცია – დიდგორის „ძლევაი საკვირველის“ მოტივები ტრადიციულ ქართულ ყოფაში – სვანეთი

ქართული ეროვნული კულტურის განვითარების მრავალსაუკუნოვანი დინამიკა ავლენს ისტორიის რეპრეზენტაციის არაერთ ფაქტს და მოტივს. ქართველთა ყოფაში ისტორიის რეპრეზენტაციის ფაქტორი თვალსაჩინოა და დღესაც მოქმედი. საქართველოში სოციალური (კოლექტიური, ისტორიული) მახსოვრობის შრეები<sup>1</sup> ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობს და ამ შრეების სიცოცხლისუნარიანობით განპირობებულია ტრადიციული მსოფლხედვის მრავალი ასპექტი.

საქართველო მწიგნობრობის მრავალსაუკუნოვანი კერაა და ქართველთა ყოფაში, ბუნებრივია, შემონახულია ნარატივებიდან გადასული ინფორმაციები და სიუჟეტები. ისტორიის რეპრეზენტაციის კუთხით უდიდესი მნიშვნელობისაა საისტორიო თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“. ტრადიციულ ქართულ ყოფაში შემონახულია მრავალი ლოკალური სიუჟეტი, რომელიც იმეორებს „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითი“-საში აღწერილ „ძლევაი საკვირველის“ მოტივებს და სიუჟეტურ ქარგას. ამ მხრივ განსაკუთრებით მრავალფეროვანი მასალა სვანეთშია დადასტურებული.

ეთნოგრაფიული კვლევით მოპოვებული ისტორიული სიუჟეტები, ცხადია, დაცილებულია კონკრეტულ ისტორიულ გარემოსა და დროს, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგანაც კოლექტიური მახსოვრობა ხასიათდება კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლების გაფერმკრთალებითა და ზოგჯერ, გაქრობითაც. სოციალური მახსოვრობა ინახავს მხოლოდ მთავარ და არსობრივად მნიშვნელოვან ფაქტებს, რომლებიც, დროთა განმავლობაში, მითოსური ელფერით იმოსება.<sup>2</sup> მითოსური სახეებით შებურვილი საისტორიო სიუჟეტები გადადის თაობიდან თაობაში ყოფის განუყოფელ, ორგანულ ნაწილად. იგი ადამიანს უჩენს ეროვნული ისტორიის თანაგანცდისა და მუდმივად განახლების იმპულსებს.

სამეცნიერო საზოგადოებაში ინტერესი ისტორიული მახსოვრობის, როგორც საკვლევი თემატიკის, მიმართ (Memory Studies) დღითი დღე იზრდება.<sup>3</sup> ამ სახის კვლევები მით უფრო მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, სადაც ნარატიულ წყაროთა უმეტესობა სხვადასხვა ობიექტურ გარემოებათა გამო (ომიანობა, დამპყრობელთა მიერ სამეფო კანცელარიებისა და ბიბლიოთეკების განადგურება) დროთა ვითარებაში დაიკარგა.

ქართული ეთნოლოგიური სკოლა, ტრადიციულად, გამოიყენებს ზეპირ წყაროებს ისტორიის რეკონსტრუირებისათვის და კონკრეტული თემატიკა მრავალი საინტერესო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა.

ისტორიულ მახსოვრობაში არსებული და პერიოდულად აღდგენადი „ძლევაი საკვირველის“ მოტივი, დადასტურებული საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფულ მხარეში, ამგვარი კვლევისთვის საყურადღებო ეთნოგრაფიული არტეფაქტია.

სვანეთი ქართული წერილობითი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა იყო და სრულიად ბუნებრივია, რომ იქ ქვეყნის დაშლისა და კულტურის რეგრესის პირობებშიც კი

<sup>1</sup> კოლექტიური მახსოვრობის, როგორც ინდივიდუალური მახსოვრობის ჩამომყალიბებელი მექანიზმის, შესახებ პირველი საუბრობს მორის ჰალბვაქსი (M. Halbwachs) და ტერმინში იგი მოიაზრებს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისთვის მშობლიურად მიჩნეულ, საყოველთაოდ გაზიარებულ საერთო მახსოვრობას.

<sup>2</sup> მ. ხიდაშელი. რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში. თბილისი, 2005; მ. ხიდაშელი. საქართველოს ძველი კულტურის საკითხები. თბილისი, 2010; А. Я. Гуревич. Категории средневековой культуры. Москва, 1972; М. Элиаде. Космос и история. Москва, 1987; Ж. Ле Гофф. Цивилизация средневекового Запада, Москва, 1992.

<sup>3</sup> П. Нора. Проблематика мест памяти; Франция-память / П. Нора, М. Озуф, Ж. де Пюижеж. СПб, 1999, стр. 17-50. <http://ec-dejavu.ru/m-2/Memory-Nora.html>. Ф. Йейтс. Искусство памяти, Фонд поддержки науки и образования «Университетская книга», СПб, 1997; Ю.Е. Арнаутова. MEMORIA: «ТОТАЛЬНЫЙ СОЦИАЛЬНЫЙ ФЕНОМЕН» И ОБЪЕКТ ИССЛЕДОВАНИЯ. Образы прошлого и коллективная идентичность в Европе до начала Нового времени. Москва, 2003, с. 19-37. П. Рикёр. Память, история, забвение. Москва, 2004, стр. 136-143.

შენარჩუნდა ინტერესი საისტორიო და საეკლესიო თხზულებებისადმი. ცნობილია ის ფაქტიც, რომ გვიან შუასაუკუნეებში, საწერი მასალის არქონის გამო, სვანეთის მოსახლეობა ფიცრებს თხელ ფენებად თლიდა და მათზე ამოტვიფრავდა ამა თუ იმ სამართლებრივი შინაარსის „დაწერილს“, „განაჩენს“, ხელშეკრულებას. ამგვარი ხელნაწერების არაერთი ნიმუში დაცული იყო კალის წმიდა კვირიკეს მონასტერში.<sup>4</sup>

დიდგორის დიდი გამარჯვების ხსოვნა ქართველთა ეროვნული სიამაყის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასაზრდოებელი ფაქტია. საისტორიო წყაროებიდან შემეცნებული სიუჟეტები და ისტორიები თაობიდან თაობაში გადადიოდა, იმოსებოდა ხალხური ელფერით, ესადაგებოდა ადგილობრივ ყოფას, ადგილობრივ გარემოს. სვანეთში მომხდარ უთუო რეალურ ფაქტებს (ბრძოლებს შემოსეული მტრების წინააღმდეგ და სასწაულებრივ გამარჯვებებს) საკრალურობას კონკრეტული ისტორიული ამბის (დიდგორის ბრძოლის) მუდმივი რეპრეზენტირებაც ანიჭებს და ამგვარი საკრალიზებული სახით გადაეცემა იგი თაობიდან თაობას. დიდგორის ბრძოლის ხსოვნით ნასაზრდოები და გაჯერებული სხვადასხვა გადმოცემები დღემდე შემონახულია სვანეთის ყველა თემში.

სვანეთის როლი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საქმეში მნიშვნელოვანი იყო მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში და ჩვენს დროშიც. სვანები თავდადებით იცავდნენ ქვეყნის საზღვარს, ქმნიდნენ ძლიერ ჯგუფს სამეფო ჯარში. მათი გმირობის მაგალითები ასახულია მრავალ საისტორიო გადმოცემასა და, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა მხარეში განფენილ სვანურ საგვარეულოთა გენეოლოგიურ ლეგენდებში.

ცნობილია მრავალი ფაქტი, როდესაც საქართველოს მეფეები გამორჩეული სამხედრო ღვაწლისათვის ქვეყნის სხვადასხვა მხარეში უბოძებდნენ მიწა-წყალს მეომრებს სვანეთიდან. ასე გაჩნდა მარუშიანთა, იოსელიანთა, ჟორჟოლიანთა, ბენდელიანთა, გელოვანთა, ყიფიანთა, აფაქიანთა და სხვა საგვარეულოთა დასახლებები სვანეთს გარეთ, საქართველოს სხვადასხვა მხარეებში.

ქვეყნის ერთიანობის დაშლის შემდეგ სვანეთის საერისთავო მხოლოდ საკუთარი ძალებით იცავდა საქართველოს ჩრდილო საზღვარს – სვანეთის მონაკვეთზე. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროიდან აქტუალიზდება დიდგორის გამარჯვების მოტივი, როგორც მძლავრი ბერკეტი ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებისთვის და ღვთის მოწყალების იმედის მასაზრდოებელი ამბავი. სვანეთში შემონახულ მრავალ საისტორიო გადმოცემებში, რომლებშიც აღწერილია ჩრდილო კავკასიიდან შემოჭრილი მტრის ამოხრებული შემოსევა, ასახულია ქართველთა გმირობა და ქართველთა წინამძღოლად „განცხადებულად და ყოველთა სახილველად“ მოვლენილი წმიდა გიორგის ხატება. ვფიქრობ, ეს სიუჟეტები საკრალიზებულია დიდგორის „ძღვევაი საკვირველის“ მოტივებით, სვანეთის რეალურ ისტორიულ ფაქტებს აძლიერებს უდიდეს ისტორიულ გამარჯვებასთან დაკავშირებული მოტივების პერიოდული გაცოცხლება. ანუ, ხდება, ისტორიის საკრალიზება და მისი მუდმივი რეპრეზენტირება – მიმართული გადარჩენისა და სიცოცხლისაკენ, რაც სრულიად ბუნებრივი მომენტია ტრადიციული ყოფისათვის.

დიდგორის ბრძოლის შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს: „რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ კელი მაღლისა შეეწოდა, და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თუსითა მოსრვიდა ზედამოწვენულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თუთ იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგუთხრობდეს სასწაულსა ამას მთავრ-მოწამისა გიორგისსა, და ვითარითა ღონითა ოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯუთ და განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა“<sup>5</sup>

სვანეთის ტრადიციულმა ყოფამ შემოგვიჩინა ზეპირი ისტორიები და ინტერპრეტაციები შემოსეულ მტრებზე ქართველების (სვანების) გამარჯვებისა. გადმოცემათა უდიდეს ნაწილში, ქართველთა მხარდამხარ, საქართველოს წმიდა გეორგიც იცავს. გადმოცემებში იხსენიება

<sup>4</sup> პავლე ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვეთი II. თბილისი, 1941; გერონტი გასვიანი. სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატეანე– ჟურნალი „მაცნე“, ისტორიის სერია, №2, თბილისი, 1972; გერონტი გასვიანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. თბილისი, 1973; გერონტი გასვიანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები. თბილისი, 1979; ვალერი სილოგავა. სვანეთის წერილობითი ძეგლები. I. თბილისი, 1986. და სხვ.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. თბილისი, 1955, გვ. 340-341.

კონკრეტული გეოგრაფიული სივრცე – ბრძოლის კონკრეტული ადგილები, მაგალითად, ბენოს თემის სოფელ მაზერის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი, შიხრის მიდამოები, ლახამაულის თემის ხიდის წმიდა გიორგის მიმდებარე ტერიტორია, იფარის თემი, ფარის თემში ლაშხრაშის მთები და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ გადმოცემები არ სჯერდება ოდენ გეოგრაფიული სივრცის ლოკალიზებას, არამედ გეოთითებს კონკრეტულ ეკლესიებზე, რომელთაც უკავშირდება წმიდა გიორგის სასწაულები: ეკლესიები შიხრაში, ლახამულაში, კაიშიში, იფარში და სხვ. ანუ, გადმოცემებში ასახული ისტორია განმტკიცებულია მატერიალური არტეფაქტების მითითებითაც.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქუთაისი გიმნაზიის პედაგოგის ალექსი სტოიანოვის მიერ 1874 წელს ჩაწერილი ლეგენდა შიხრის წმიდა გიორგის სასწაულის შესახებ. ბენოს თემის სოფელ მაზერში სტუმრობის დროს ალექსი სტოიანოვმა და მისმა ეცერელმა მასპინძლებმა (თავადმა დადეშქელიანებმა) მოინახულეს შიხრის მიდამოები, საიდანაც ახლოსაა უშბა და გზა მიდის ჩრდილო-კავკასიაში გადასავლელი უღელტეხილისაკენ. შიხრის ტერიტორიაზე სტოიანოვს აჩვენეს წყარო (რომლის ფსკერიც ქვა ყოფილა), წმიდა გიორგის ეკლესია და მოუყვინნა ლეგენდას: „მწყემსმა მივიყვანა წმიდა გიორგის ეკლესიასთან, რომლიდანაც, გადმოცემის თანახმად, ამოფრინდა წმიდა გიორგი და შემუსრა სვანეთს შემოსეული ოსები. ძალიან ძველად ჩრდილოეთიდან გადმოსულან ოსები, დასხმიან სვანეთს, დაუხოცავთ მოსახლეობა და დაუწყიათ სოფლების ძარცვა. ერთ სვან ქალს დაუწყია ღოცვა, წმიდა გიორგი, გვიშველეო. უეცრად, წმიდა გიორგის ეკლესიის სახურავი ამონგრეულა და იქიდან წმიდა გიორგი და მისი რაში ამოფრინდნენ. წმიდა გიორგის ყველა ოსი შეუმუსრაეს. ბრძოლაში დაღლილ რაშს წყალი მოწყურებია, წმიდა გიორგის შუბი დაუკრავს ქვისათვის და იქიდან წყაროს ამოუხეთქავს. მწყემსის თქმით, როდესაც წყლის დონე იკლებს, ქვაზე დანაკრავი შუბის კვალი ახლაც შეინიშნებაო“. სტოიანოვი შევიდა ეკლესიაში, მას აჩვენეს ადგილი ჭერზე, საიდანაც ამოფრინდა წმიდა მხედარი. ა. სტოიანოვი ქართველ მთიელთა მენტალობის ამ მომენტს – რწმენას სასწაულისას – „მოსახლეობის პრიმიტიული მსოფლადქმით“ ხსნის.<sup>6</sup> რასაკვირველია, რელიგიური ადამიანი სასწაულს სხვაგვარი თვალთ უყურებს. განსჯა ამ საკითხისა ჩვენთვის ნაკლებ საინტერესოა, მნიშვნელოვანი თვით ფაქტია – 1874 წლისათვის სვანებს სჯეროდათ და სწამდათ, რაც მთავარია, „ცოცხლად“ ახსოვდათ (რეპრეზენტაციის გამოისობით) ისტორიული სიუჟეტი. ჰქონდათ სასწაულის თანაგანცდა და მძაფრი ემოცია.

აღსანიშნავია, ისტორიული მახსოვრობის სიცოცხლისუნარიანობა დასტურდება ჩვენს დროშიც. სვანეთის ერთ თემში (ფარი) ამჟამადაც ცოცხლად იხსენებენ წმიდა გიორგის სასწაულს და წმიდა მხედარს, ნიშნად მადლიერებისა, დღესაც უძღვნიან შუბებსა და ისრებს - მთავარმოწამე წმიდა გიორგის საქართველოსა და ქართული მხედრობის სიძლიერეს ავედრებენ. დღესასწაულს, სადაც ეს რიტუალი სრულდება „კაიშობა“ ჰქვია.

გადმოცემის თანახმად, ძველად, ყარაჩაიდან გადმოსულ მტერს მთელი ბალსქემო სვანეთი (სვანურად „ჩუბეხევი“ – ქვემო ხევი) აუოხრებია, მამაკაცების დიდი ნაწილი ბრძოლაში დაღუპულა. ჩუბეხევის თემის ქალები და ბავშვები მაღალ მთაზე აღმართულ კაიშის მთავარანგელოზების ეკლესიას შეჰფარვიან და წმიდა მხედრისთვის შევლა უთხოვიათ. სასწაულებრივად გამოჩენილი წმიდა გიორგი მტრის ურიცხვ ჯარს შებმია. წმიდა მხედარს ეკლესიის მახლობლად მდებარე სახატო ტყეში აღმართული ნაძვებიც მიშველებიან, შუბისა და ისრისპირებად ქცეულ ნაძვის წიწვებს მტერი დაუსეტყვავთ. შებინდებისათვის წმიდა მხედარს მტრისთვის სრულად მუსრი გაუვლია. მადლიერ სვანებს დღესასწაული დაუარსებიათ, სახელად „კაიშობა“. კაიშობის თარიღი მოძრავია და მას გამოითვლიან ადღგომის მიხედვით, ადღგომიდან ოთხი კვირის შემდეგ ორშაბათს აღინიშნება, რა დროსაც, ძველად მომხდარა ზემოთ აღწერილი სასწაული. როგორც უკვე ითქვა, კაიშობა ამ სასწაულის აღნიშვნას ეძღვნება და მადლიერი ჩუბეხეველები დღემდე სწირავენ ეკლესიას ხისაგან გამოთლილ შუბებსა და მშვილდ-ისრებს. იქვე მდებარე საეკლესიო ტყე ამჟამადაც სათუთადაა დაცული.

წმიდა გიორგისთან დაკავშირებული სასწაული დაცულია ლახამულაშიც: ლახამულის მასალით, „თათრები“ ხშირად ესხმოდნენ თავს ამ თემს. ერთხელაც იმდენი მტერი შემოჭრილა, რომ მტრის ჯარით ავსებულა მიმდებარე ტერიტორია. მაშინ ქვემო ლახამულელების მოთავეს თოფი გაუსვრია ხიდის წმიდა გიორგის ეკლესიის (ჯგირავ ბოგაშ) მიმართულებით და მთელი ხმით

<sup>6</sup> А. И. Стоянов Путешествие по Сванетии. ЗКОИРГО, к. X, вып. 2. Тифлис, 1876, стр. 381-382.

უყვირია: „**მაღლიანო წმიდა გიორგი, გვიშველე, თორემ დღეს ამოწყდება შენი მრევლი**“-ო. უეცრად ეკლესიიდან ისეთი სასწაულებრივი ქუხილის ხმა გავარდნილა, რომ სოფელს შემოსხვეული „თათრები“ ერთიანად დაბრმავებულან და ქართველებს ისინი მთლიანად ამოუწყვეტიათ.<sup>7</sup>

არსებობს უფრო ძველი ლეგენდაც: უხსოვარ დროში, როდესაც მშვილდ-ისრებით იბრძოდნენ და თოფები ჯერ არ არსებობდა, სვანეთს „თათრები“ შემოსევიათ, თათრებს ქართველების სრული ამოწყვეტა და მათ მიწა-წყალზე დასახლება სდომებიათ. ურიცხვი ყოფილა თათრების ჯარი. ერთ ქართველზე ასე თათარი მოდიოდა. სვანების ჯარს ერთხმად დაუწოქია და წმიდა გიორგის დახმარებას შევედრებია. მყისვე ცის კაბადონზე წმიდა გიორგი გამოჩენილა, ერთ მახლობელ გორაკზე გაჩერებულა და იქიდან თავისი მშვილდ-ისრით მტერი ერთიანად ამოუხოცავს. ასე გადაურჩენია მერამდენედ სვანეთი და ამის მერე ხალხს მისთვის სიყვარულით შეურქმევია „**წმიდა გიორგი მოისარი**“.<sup>8</sup> მოისარობის დღესასწაული (სვანურად „მეისარაბ“) ცნობილია მთელ დასავლეთ საქართველოში.<sup>9</sup>

საგულისხმოა, რომ მირქმის/მიგებების დღესასწაულის აღმნიშვნელი ძველი ქართული სახელი „ლამპრობა“ დღეისათვის მხოლოდ სვანეთშია ცოცხალი და საინტერესოა, რომ ადრექრისტიანული პერიოდის მირქმის თარიღის ცვალებადობა დღეისათვის შემონახულია მხოლოდ სვანეთში. **დღეობის დუბლირების შედეგად სრულდება მირქმაც და უძღების კვირას „ლამპრობა“-ც (ბალსქემოურად – „ლიჩედურად“).** ამ უკანასკნელის სადღეობო არსი და იდეა დროთა განმავლობაში შეცვლილია, იგი ტრანსფორმირებულია და ამჟამად წმიდა გიორგის ეძღვნება, რომელმაც, გადმოცემით, სვანეთში თათრების ურიცხვი ლაშქრის შემოსევის დროს გაამარჯვებინა ქართველთა ლაშქარს.

წმიდა გიორგისადმი თაყვანისცემას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. მთავარმოწამისადმი თაყვანისცემამ განსაკუთრებული მასშტაბები საქართველოში IX საუკუნიდან შეიძინა,<sup>10</sup> ამ დროიდან ითარგმნება წმინდანის ცხოვრებანი, იწერება გალობები, აკროსტიხები, იგება დიდი რაოდენობით მთავარმოწამის სახელობის ეკლესია-მონასტრები, ფრესკებზე კი გამოსახავენ უკვე არა მხოლოდ წმინდანის წამების, არამედ გმირობების, მეომრული ღვაწლისა და სასწაულების ამსახველ სცენებსაც, რამაც მღვდვარი გულჩინა აკოფაშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ წმიდა გიორგისადმი თაყვანისცემის ესოდენი განმტკიცება განაპირობა ქართულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა: ეს ის ხანაა, როდესაც ფეოდალიზმი საქართველოში უკვე გამარჯვებულია, ჩამოყალიბებულია ვასალურ ურთიერთობაზე დამყარებული სამხედრო წყობა, თავის ძღვევამოსილ სვლას სახელმწიფოებრივ ასპარეზზე იწყებს ქართული რაინდობა, რაინდული ლაშქარი.<sup>11</sup> მნიშვნელოვანია მეორე მომენტიც, ამ დროს ბიზანტიაშიც წმიდა გიორგი იმპერატორისა და მისი ლაშქრის პატრონად აღიარეს, შეცვალეს წმინდანის იკონოგრაფიული ტიპიც – მას უკვე მეომარ წმიდანად გამოხატავენ. გიორგი ჩუბინაშვილის აზრით, ამგვარი ხატების შექმნის იდეა საქართველოდან გავრცელდა ბიზანტიაში და არა პირუკუ. **საყურადღებოა, რომ ამ დასკვნამდე გიორგი ჩუბინაშვილი მივიდა სვანეთის სიწმიდეების შესწავლისა და ანალიზის შედეგად<sup>12</sup>.**

ქართული ეკლესია მთავარმოწამე წმიდა გიორგისადმი მიძღვნილ ორ დიდ დღესასწაულს აღნიშნავს, ამათგან ნოემბრის გიორგობას, წმიდა გიორგის ბორბალზე დაკვრის დღეს, მთელ მართლმადიდებელ მსოფლიოში მხოლოდ საქართველოში აღნიშნავენ და, საგულისხმოა, რომ თვესაც ქართველებმა გიორგობისთვის შეარქვეს.

წმიდა გიორგის წმიდა ნაწილები და სასწაულთმოქმედი რელიქვიები (მშვილდი, ისრები, ჯაჭვი...) ინახებოდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებშიც.

<sup>7</sup> სვანური ენის ქრესტომათია. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქაღდანმა და ზ. ჭუმბურიძემ. ა. შანიძისა და მ. ქაღდანის რედაქციით. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 21. თბილისი, 1978, გვ. 191.

<sup>8</sup> სვანური ენის ქრესტომათია. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქაღდანმა და ზ. ჭუმბურიძემ. ა. შანიძისა და მ. ქაღდანის რედაქციით. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 21. თბილისი, 1978.

<sup>9</sup> ნინო აბაკელია. ქრისტიანული წმინდანები დასავლურ-ქართულ რწმენა-წარმოდგენებში.– ჟურნალი „მაცნე“ ისტორიის სერია, 1985, №3.

<sup>10</sup> კორნელი კეკელიძე. „წმინდა“ მხედარი. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I. თბილისი, 1945.

<sup>11</sup> გულჩინა აკოფაშვილი. წმინდა გიორგის სახე ქართულ ფეოდალურ კულტურაში. – კრებული „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“. VII. თბილისი, 1999.

<sup>12</sup> Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Тбилиси, 1959.

წმიდა გიორგის ხატება გამოსახული იყო სამეფო (ბაგრატიონთა), სადროშოთა და დაწინაურებულ საგვარეულოთა გერბებზე. სახელი გიორგი დამკვიდრდა სამეფო სახელად.

წმიდა გიორგის სახელზე მთელ საქართველოში იგებოდა ეკლესია-მონასტრები, იქმნებოდა ხატები, ფრესკები. მხოლოდ სვანეთში ასზე მეტ წმიდა გიორგის ეკლესიას მოითვლიან, რომელთა შორისაც უდიდეს ისტორიულ ფუნქციას სვანეთის საერისთავოს სასულიერო და სოციალური ცენტრი – სეტის წმიდა გიორგის მონასტერი – ასრულებდა. ცნობილია, სეტის წმიდა გიორგის მონასტერში ქორეპისკოპოსები მოღვაწეობდნენ, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, შესაძლოა, სეტის მონასტერი საეპისკოპოსო საყდარიც ყოფილიყო.<sup>13</sup> იქვე ინახებოდა სვანეთის საერისთავო დროშა „ლემი“.

წმიდა გიორგის ეკლესიები აღმართულია ზემო და ქვემო სვანეთის ყოველ თემში, ზოგან – რამდენიმეც, ასევე დაღის სვანეთში (აჯარის წმიდა გიორგის ეკლესია, შყერის წმიდა გიორგის ეკლესია).

ეთნოგრაფიული კუთხით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბარად ჩასახლებულმა ეკომიგრანტმა ქართველმა მთიელებმა (სვანებმა) უკვე ახალ საცხოვრისებშიც ააგეს წმიდა გიორგის ეკლესიები (თეთრიწყაროს, მანგლისის, დმანისის, მარნეულის, გარდაბნის, წალკის რაიონებში) და გულმოდგინედ ზეიმობენ გიორგობის დღესასწაულებს.

სვანეთის ბევრი საგვარეულო ხაზგასმული სიამაყით თავის გვარს წმიდა გიორგის მრევლს („ჯგირაგიშ მაროლ“) უწოდებს. ეს საგვარეულოები (სეტიელები, ფალიანები, რატიანები, ნიგურიანები, მჭედლიანები, ჯაფარიძეთა ერთი შტო, გუჯუჯიანები, ქობალიები, ჭკადუების ზოგიერთი შტო, ქურდიანები და სხვ.) წმიდა გიორგის ამა თუ იმ ეკლესიის მრევლნი და მომვლელნი არიან.

სვანეთში აღინიშნება ოფიციალური საეკლესიო გიორგობის ორივე დღესასწაული, მაგრამ ამ მხარეში სხვა დროსაც ზეიმობენ წმიდა გიორგისადმი მიძღვნილ დღეობებს: ეს არის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიების სატაძრო, ასევე სხვადასხვა სათემო დღესასწაულები. ასეთ დღეებში მთელი თემი, სოფელი, ლასკარი ან გვარი თავს იყრის წმიდა გიორგის საყდრების გარშემო და იმართება ტრადიციული „ლიმზირ“-ი – ლოცვა.

გიორგობის დღესასწაულებს ქართული ენის სვანურ დიალექტებზე „ლიგერგი“-ს უწოდებენ. ტრადიციული ლოცვის აუცილებელი კომპონენტია სასულიერო საგალობელი – „ჯგირაგ“-ი. აკაკი შანიძის დასკვნით, „ჯგირაგ“ სწორედ გიორგია და სხვა კი არა, არამედ წმინდა გიორგია“.<sup>14</sup> დადგენილია, რომ „ჯგირაგ“-ი ყველა სვანურ კილოში წმიდა გიორგის ნიშნავს.

სასულიერო საგალობელი „ჯგირაგ“-ი დღესაც სრულდება სვანეთში. ეს საგალობელი წმიდა გიორგის ეძღვნება და გარდა საეკლესიო დღეობებისა, აღევლინება ხალხურ დღესასწაულებზეც, რომლებიც, ასევე, წმიდა გიორგის – დიდი მეომრის, საქართველოს მსხველმისაღმია მიმართული.

„წმიდაო გიორგი, შენ შეგვეწიე!  
როგორც ღმერთს შევსთხოვთ,  
ისემც შეგვეწვიხარ  
შენი მადლითა და წყალობით!“

ცნობილია, „ჯგირაგ“-ის სხვა ვარიანტიც:

„წმიდა გიორგიმც შეგვეწვიო,  
შეგვეწვიო,  
წმიდა გიორგი, შენ შეგვეწიე“.<sup>15</sup>

წმიდა გიორგის დღეობებს „ლიგერგი“, ხოლო შესაწირავ ზვარაკს „გერგაჲ“ ჰქვია.

საერთოდ, წმიდა გიორგის ხსენება უბრალოდ არ შეიძლება. ტრადიციული სვანი ამ წმიდანის ხსენებისას აუცილებლად მოკლე სადიდებელს მაინც წარმოთქვამს: „დიდება მიგსვლოდეს, წმიდა გიორგი, მადლიანო!“ და ა.შ.

სვანებმა შემოინახეს ძველქართული მენტალობის მრავალი ელემენტი, რომელთა შორისაა სუფრის გაძღოლის წესები, სადღეგრძელოები და ტერმინოლოგია. საყურადღებოა, რომ მესამე ლოცვა-სადღეგრძელო აქ ისევე, როგორც ძველად, ახლაც წმიდა გიორგისადმი აღევლინება და

<sup>13</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937.

<sup>14</sup> აკაკი შანიძე. სვანური კულტის ტერმინი ჯგირაგ– ჟურნალი „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, გვ. 112.

<sup>15</sup> სვანური პოეზია. I. თბილისი, 1939, გვ. 312-312.

საყურადღებოა, რომ ეს ტრადიცია სვანეთიდან საქართველოს სხვა მხარეებში ჩასახლებულმა ეკომიგრანტებმა ახალი დასახლებების ყოფაშიც გადმოიტანეს და დანერგეს.

სვანეთში დღემდე შემონახულია წმიდა გიორგის ეკლესიებისათვის შეწირული საეკლესიო მიწები და ტყეები (მესტია, მულახი, ეცერი, ფარი, ლახამულა, საყდარი, შეერი, ჩხალთა...). სვანეთში დაცულია ლეჩხუმის ხვამლის წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი ტყის მცირედი მონაკვეთებიც ეცერსა და ლახამულაში, წმიდა გიორგის საეკლესიო ტყეა ფარის თემში და სხვა.<sup>16</sup>

**ისტორიის რეკონსტრუირებისა და მისი მუდმივი რეპრეზენტაციის მთავარი მოტივი ხალხის განწყობაა, ანუ, ის ფაქტორები, რაც ქმნის კოლექტიურ განწყობებსა და მახსოვრობას.** ამ მხრივ, გარდა ნარატიული წყაროებისა და ნივთიერი მასალისა, ცხადია, საყურადღებოა ზეპირი საისტორიო წყაროებიც.

ფოლკლორი (ლეგენდა, გადმოცემა, ლექსი, ანდრეზი, არაკი...) რეალური ისტორიის მრავალი ამბის ანარეკლს შეიცავს. ხოლო როდესაც ტრადიციული მენტალობის ამა თუ იმ მხარეზე ვსაუბრობთ, ისტორიული მახსოვრობის დანაშრევეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მენტალობაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ლოკალურ ერთეულთან – ადამიანთა მჭიდროდ შეკავშირებულ (საერთო წარსული, საცხოვრისი, კულტურა...) ჯგუფთან მიმართებით.<sup>17</sup>

**წმიდა გიორგი ქართველთა მსოფლადქმით საქართველოს მსხნელია, ქართული მხედრობის მფარველია.** ისტორიული ძნელბედობიდან გამომდინარე, ქართველები მუდამ სამშობლოს იცავდნენ ურიცხვი მტრების შემოსევებისაგან. ომში მიმავალ ქართველს გულზე წმიდა გიორგის ხატი ეკიდა და ოჯახი მის მშვიდობიანად დაბრუნებას სწორედ წმიდა გიორგის ევედრებოდა. წმიდა გიორგი, სვანეთშიც, მსგავსად საქართველოს სხვა მხარეებისა, მეომართა, სამშობლოს დამცველთა მფარველადაა მიჩნეული. ამიტომაც წმიდა გიორგის ხატება და ხსოვნა საისტორიო თხზულებიდან შემეცნებული და თაობიდან თაობაში ზეპირი გზით გადასული დიდგორის ბრძოლის ანარეკლისა, ცოცხალი სახით გვხვდება სვანეთის მოსახლეობის მსოფლადქმაში.

„ჯგირაგ“-ისადმი მიძღვნილი რიტუალები და საერთოდ, ტრადიციული მენტალური მახასიათებლები, მსგავსია საქართველოს სხვა მხარეებში შემონახული საწესჩვეულებო ტრადიციებისა, მაგრამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, სვანეთი ტრადიციებისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩევა და აქ წმიდა გიორგისთან დაკავშირებული უძველესი ქართული საეკლესიო და საისტორიო თხზულებებიდან მომდინარე პლასტებია ცოცხალი სახით შემონახული. ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს, რომ დიდგორის ბრძოლამ უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინა სვანეთის მოსახლეობის ისტორიულ მახსოვრობაზე და იქცა მუდმივად განახლებად სიუჟეტად, რომელშიც იკვეთება რა ქართული ხალხური მენტალობის საერთო მარკერები, ვლინდება მისი ლოკალური – სვანური მახასიათებლებიც და ეს თავისებურებები კეთილი ტონალობებით ამიღვრებს ქართულ ეროვნულ ისტორიულ (კოლექტიურ, სოციალურ) მახსოვრობას და მისი რეპრეზენტაციის მუდმივ წყაროდაც გვევლინება.

<sup>16</sup> როზეტა გუჯეჯიანი. საეკლესიო მიწები სვანეთში.– ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. X. თბილისი, 2006.

<sup>17</sup> А. Я. Гуревич. Проблема ментальностей в современной историографии. Всеобщая история: Дискуссион, новые подходы. Вып. I. Москва, 1989, стр. 75-88.

**Rozeta Gujejiani**

**The Representation of the History – the Motives of the Admirable Victory  
in Didgori in the Traditional Georgian Life - Svaneti**

Resume

The factor of representation of the history in Georgian life is noticeable and still active. Many aspects of the traditional ideology are caused by the facts of the social (collective, historical) memory.

In the scientific society the interest towards the collective memory as the research theme (Memory Studies) is gradually actualizing. These types of research are very important for Georgia, where the most part of the narrative sources were lost due to the various objective reasons (wars, the destruction of the royal chancelleries and libraries by the conquerors).

The Georgian ethnological school will traditionally use the oral sources for reconstructing the history. The concrete themes give us the opportunity to make many interesting conclusions.

St. George in Georgians' worldview is the savior of Georgia and the protector of the Georgian army. Due to the historical difficulties Georgians have always defended their homeland from the enemy invasions. St. George is considered to be the guardian of the warriors and the protectors of their homeland in Svaneti as well as in other parts of Georgia. Svaneti is the region distinguished by its literary traditions, so it's natural, that the major historical collection "Kartlis Tskhovreba" ("The Life of Georgia") was spread there and the population knew the history of their homeland. This is the reason why the image of St. George and the memory of the reflection of the battle of Didgori that passed from generation to generation can be found in Svaneti.

The traditional life of Svaneti has saved us the oral stories and interpretations of the Georgians' victories on the invading enemies; according to most of the legends, together with the Georgians, St. George is protecting Georgia as well. The concrete geographic areas are mentioned in the legends – the battle areas, e.g. the north part of the village Mazeri of the community of Becho – the areas of Shikhri, the surrounding area of St. George of the bridge of Lakhamauli community, the Lashkrashi Mountains of Pari community etc. It's important that the legends don't only localize the geographic areas but point out the specific churches connected with the miracles of St. George: the churches in Shikhra, Lkhamula, Kaishi, Ipari etc. Thus the stories described in the legends are strengthened by pointing out the material artifacts.

## მოსკოვის საპატრიარქოს დაარსება (მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

რუსეთის ეკლესია დაარსების დღიდან (X საუკუნიდან) კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა. რუსეთის ეკლესიას სათავეში ედგა მიტროპოლიტი, რომლის რეზიდენცია X საუკუნიდან **პერეასლაველში**, XI საუკუნიდან – **კიევში**, XIII საუკუნიდან – **ვლადიმირში**, ხოლო XV საუკუნიდან – **მოსკოვში** იყო.

რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს (მოსკოვის რუსეთის) წარმოქმნის პროცესში (XV-XVI სს.) მოსკოვისა და სრულიად რუსეთის დიდი მთავრები და მეფეები **ივანე III** (1462-1505), **ვასილ III** (1505-1533), **ივანე IV (1533-1584)** და **თევედორე** (1584-1598) პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე რუსეთისათვის მიუღებლად მიიჩნევენ რუსეთის ეკლესიის კონსტანტინეპოლის საპატრიარქო იურისდიქციაში ყოფნას. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წ.) რუსეთმა მალე „**მესამე რომის**“ მისია იკისრა და ამდენად, რუსეთის ეკლესიის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში დარჩენა უკვე პოლიტიკური თვალსაზრისით უხერხულიც კი იყო. მიუხედავად ამისა რუსეთის ეკლესიას ავტოკეფალიის მოპოვება ძალზე გაუძნელდა. ეს იყო საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა მეფე თევედორეს (1584-1598) დროს.

კონსტანტინეპოლის პატრიარქს, ცხადია, არ სურდა რუსეთის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ბოძება, მაგრამ 1453 წლიდან კონსტანტინეპოლის პატრიარქის გავლენა რუსეთის ეკლესიაზე სულ უფრო სუსტდებოდა.<sup>1</sup>

მოსკოვის საპატრიარქოს დაარსების იდეა კიდევ უფრო მომწიფდა მაშინ, როდესაც რუსეთის საზღვრებს ანტიოქიის პატრიარქი **ილაკიმე** მოადგა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთს მართლმადიდებელი პატრიარქი ეწვია. ანტიოქიის პატრიარქის ვიზიტმა მეფე თევედორეს კიდევ ერთხელ მისცა საშუალება უკვე ხმამაღლა გაეჟღერებინა მოსკოვის საპატრიარქოს დაარსების იდეა. 1586 წლის 6 ივნისს პატრიარქი ილაკიმე უკვე **სმოლენსკში** იყო. 17 ივნისს პატრიარქი ილაკიმე მოსკოვისაკენ გამოემართა. სტუმარს დიდი პატივით შეხვდნენ რუსი სასულიერო და საერო პირები. მეფისა და პატრიარქის შეხვედრა შედგა 1586 წლის 25 ივნისს. შეხვედრას ესწრებოდა მიტროპოლიტი **დიონისე**, რომელიც ანტიოქიის პატრიარქს მისასალმებლადაც კი არ ეახლა. მიტროპოლიტ დიონისეს ეს საქციელი რა თქმა უნდა მეფესთან იყო შეთანხმებული. მიტროპოლიტ დიონისეს სურდა ამ ნაბიჯით ანტიოქიის პატრიარქისათვის ეხვეწებინა, რომ ის თავისი ეკლესიის უმაღლესი ხელისუფალი იყო: „Митрополит явно хотел дать почувствовать восточному престелю милостыни, что он – Русский митрополит, такой же автокефальный глава своей церкви, как и патр. Антиохийский, но только глава церкви большей, свободной и сильной, - а потому патриарху следовало бы первому идти к нему на поклон. А так как патриарх хочет обойти это поклонами царю, то и митрополит русский первый „шапки не ломает“.“<sup>2</sup> მიტროპოლიტი დიონისე ტაძარში სასულიერო პირებთან ერთად ესწრებოდა საღვთო ლიტურგიას. ლიტურგიის დასრულების შემდეგ კი ის თავად ეახლა პატრიარქ ილაკიმეს და კურთხევა მისცა. ანტიოქიის პატრიარქმა მაშინვე გაანალიზა, თუ რასთან ჰქონდა საქმე და თარჯიმნის მეშვეობით აღნიშნა, რომ ასეთი საქციელი მიტროპოლიტს არ შეეფერებოდა, მაგრამ იქვე მისგდა, რომ მისი მოსმენა არავის სურდა და კამათის არც დრო და არც ადგილი იყო: „Отрпевший патриарх, чорошо поняв нанесенную ему обиду, тут же через переводчика заявил, что так не следовало бы поступать, но увидел, что никто его не хочет слушать, что не место и не время спорить, и

<sup>1</sup> **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** რუსეთის ეკლესიის ისტორია (988-1801). ნაწილი პირველი. თბილისი, 2007, გვ. 43.

<sup>2</sup> **А. В. Карташев.** Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 12-13.



замолчал“. <sup>3</sup> როგორც ჩანს მიტროპოლიტ დიონისეს ასეთი საქციელი დიდი ხნის ფიქრისა და განსჯის შედეგი იყო. რუსმა „დიპლომატებმა“, საერო და სასულიერო ხელისუფლებამ შექმნეს ისეთი „ატმოსფერო“, რომელიც მათ პატრიარქობისა და საპატრიარქოს დაწესებისაკენ უბიძგებდათ. ანტიოქიის პატრიარქსა და რუსეთის სამეფო ხელისუფლებას შორის ამ საკითხთან დაკავშირებით დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკება, თუმცა ამ მოლაპარაკების თაობაზე არც ოფიციალური დოკუმენტები, არც მიმოწერა არ არსებობს. მოლაპარაკებების ასე გასაიდუმლოება ალბათ გამოწვეული იყო შიშით, რომ პოლონეთის ხელისუფლება და კვიპროსის საპატრიარქო რუსეთში პატრიარქობის დაწესების წინააღმდეგი იქნებოდა. მეფე თევდორესა და ანტიოქიის პატრიარქს შორის შუამავალი იყო ბოიარი **ბორის გოდუნოვი**. ბორის გოდუნოვი სთხოვდა პატრიარქ იოაკიმეს მსოფლიო საპატრიარქოსთან შეთანხმებითა და ნებართვით დაეარსებინათ მოსკოვის საპატრიარქო. მოსკოვის საპატრიარქოს დაარსების იდეას მხარი დაუჭირა ანტიოქიის პატრიარქმა. ამასთან ერთად დასძინა, რომ მოსკოვის საპატრიარქოს დაარსება უნდა ეცნო აღმოსავლეთის ყველა მართლმადიდებელ პატრიარქს და პირველ რიგში კონსტანტინეპოლის პატრიარქს. პატრიარქი იოაკიმე რუსეთის მეფესა და სამღვდელობას აღმოსავლეთის მართლმადიდებელ საპატრიარქოებთან შუამდგომლობასაც დაჰპირდა. <sup>4</sup> მოლაპარაკებები ბორის გოდუნოვსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის მალევე დასრულდა, მაგრამ როგორც ჩანს პატრიარქ იოაკიმეს მიტროპოლიტ დიონისეს საქციელის დავიწყება უჭირდა. თავად ბორის გოდუნოვსა და მიტროპოლიტ დიონისეს შორისაც ფარული თუ აშკარა დაპირისპირება იყო. მიტროპოლიტმა დიონისემ კარგად იცოდა, რომ ბორის გოდუნოვს მოსკოვის საპატრიარქო ტახტისათვის კანდიდატურა უკვე შერჩეული ჰყავდა და ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ საპატრიარქო ტახტზე საკუთარი კანდიდატურა დაეწინაურებინა. მიტროპოლიტი დიონისე ფიქრობდა, რომ ბორის გოდუნოვი ბერძნებთან რაიმე სახით დამოკიდებულებასაც კი დათანხმდებოდა, ოღონდ კი საპატრიარქო ტიტული მის რჩეულს – **იობს** მიეღო. ასეც მოხდა. 1587 წელს მიტროპოლიტი დიონისე გადააყენეს სამიტროპოლიტო კათედრიდან და მისი ადგილი დაიკავა ბორის გოდუნოვის რჩეულმა **იობმა**.

1587 წელს კვიპროსის პატრიარქი **ფეოლიპტი** სულთანის მიერ გადაყენებული იქნა საპატრიარქო ტახტიდან. კვიპროსის საპატრიარქო ტახტზე ზრუნვა დაავალეს იერემია II-ს (ტრანოსი). როგორც ჩანს ყოფილი პატრიარქი უღირსი საქციელითა და ინტრიგანობით გამოირჩეოდა. პატრიარქ ფეოლიპტს უამრავი ვალების გამო მთელი საეკლესიო ქონება და საპატრიარქო ტაძარიც კი ჩამორთმეული ჰქონდა. ახალ პატრიარქს მრავალი საზრუნავი დახვდა. პირველ რიგში პატრიარქ იერემიას უნდა ეზრუნა განადგურებული საპატრიარქო ცენტრის აღდგენაზე. რუსეთის ეკლესიისათვის კონსტანტინეპოლის პატრიარქს ნამდვილად არ ეცალა, მით უმეტეს, რომ მის სახელზე რუსეთიდან არანაირი წერილობითი დოკუმენტი ან სათხოვარი არ ყოფილა გაგზავნილი. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად პატრიარქმა **იერემია II-ემ** გადაწყვიტა დაევიწყებინა თავისი სიამაყე და 1588 წელს თავად ჩასულიყო მოსკოვში. ახალმა პატრიარქმა არ იცოდა, რომ მოსკოვში მისგან პასუხს სასწრაფოდ ელოდნენ. იერემია II-ის ჩასვლას ძალიან განცვიფრებულნი შეხედნენ მოსკოვში – რატომ იერემია და არა ფეოლიპტი? აქვე გაჩნდა ეჭვი – იყო კი იერემია კანონიერი პატრიარქი? მოსკოვში ცნობილი იყო კვიპროსის ეკლესიაში მომხდარი ცვლილებები, ამიტომ ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელი იყო მათთან ჩასულიყო არაკანონიერი პატრიარქობის კანდიდატი. სულ მალე მოსკოვში ნათელი გახდა პატრიარქ იერემიას ჩასვლის მიზეზი – ერთადერთი რაც იერემია II-ს სურდა ეს იყო მოსკოვიდან მატერიალური დახმარების მიღება და ვალების აკრეფა: „Но, увы, Иерофей откровенно пишет, что они приехали в Москву только „за милостыней и ради долгов, которые наделали в наши дни“. <sup>5</sup> მოსკოვში პატრიარქობის დაწესებასთან დაკავშირებით შედგა თუ არა ბორის გოდუნოვსა და პატრიარქ იერემია II-ს შორის საუბარი უცნობია. სავარაუდოა, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მოუსმინა რუს ბოიარს და დაჰპირდა, რომ მათ ამ მისწრაფებას და სურვილს სხვა პატრიარქებსაც გააცნობდა. იერემია II-ის ასეთმა პასუხმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია რუს დიპლომატებსა და საერო პირებს შორის. ცოტა ხანში კონსტანტინეპოლის პატრიარქი საპატიო ტყვედ იქცა რუსეთში. როგორც კი იერემია II-ემ

<sup>3</sup> **А. В. Карташев.** Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 13.

<sup>4</sup> **მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული.** რუსეთის ეკლესიის ისტორია (988-1801). ნაწილი პირველი. თბილისი, 2007, გვ. 44.

<sup>5</sup> **А. В. Карташев.** Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 21.

სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა კვლავ განახლდა მისთვის არასასურველ თემაზე საუბარი. რუსებმა პატრიარქი „მახეში გააბეს“ და შესთავაზეს, რომ იმ შემთხვევაში თუ მოსკოვში საპატრიარქო ტახტი დაარსდებოდა, მაშინ იერემია II ამ ტახტს დაეუფლებოდა. საინტერესოა, რომ ამ შეთავაზების თავკაცები რუსი დიდებულები იყვნენ. ეს წინადადება უშუალოდ მეფე თევდორესგან არ გაჟღერებულა. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ხმამაღლა განაცხადა: „Останюсь“.<sup>6</sup> მიტროპოლიტი **იეროფეი**, რომელიც ამ მოვლენების თვითმხილველი იყო პატრიარქს ურჩევდა, რომ ასეთი ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიეღო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს გადაწყვეტილება არაკანონიერიც იყო. მიტროპოლიტმა იეროფეიმ შეახსენა კონსტანტინეპოლის პატრიარქს, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მას არ ხელეწიფებოდა. მოსკოვის საპატრიარქოს დაარსებისათვის საჭირო იყო მსოფლიო საპატრიარქოების თანხმობა. ამას გარდა მიტროპოლიტმა იეროფეიმ გაიხსენა პატრიარქ იერემიას ვიზიტის ნამდვილი მიზანი. სინამდვილეში ხომ ის მოსკოვში ვალების ასაღებად და მატერიალური დახმარების სათხოვნელად იყო ჩასული: „Митр. Иерофей возражал патриарху: „владыко мой! этого делать нельзя; Константию Великий учредил патриаршество со вселенским собором, и Великий Юстиниан учредил Архидскую архиепископию с пятым вселенским собором и Иерусалимского патриарха ради страстей Христовых... нас же здесь только трое (архиереев); да притом, владыко, мы пришли (собственно) за милостыней к царю и ради долгов, которые наделаны в нвши дни“.<sup>7</sup> რა თქმა უნდა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ძალიან კარგად იცოდა ამის თაობაზე, მაგრამ მისი პასუხი ასეთი იყო: „Но если хотят, то я останусь здесь патриархом“.<sup>8</sup> საინტერესოა რატომ დათანხმდა პატრიარქი იერემია ასეთ წინადადებას? ამ კითხვაზე ორგვარი პასუხი შეიძლება ვივარაუდოთ: **პირველი**. პატრიარქი იერემია ალბათ ფიქრობდა, რომ ამ ნაბიჯით კიდევ უფრო გააფართოვებდა საკუთარი საპატრიარქოს საზღვრებსა და ძალაუფლებას და **მეორე**. შესაძლოა სიღარიბისგან შეწუხებული პატრიარქი მოიხიბლა რუსეთის სამეფოს სიმდიდრით და გადაწყვიტა მართლმადიდებლურ საპატრიარქო ტახტზე მშვიდად არ დაესრულებინა თავისი სიცოცხლე.<sup>9</sup>

1589 წელს მეფე თევდორე დარწმუნებული იყო, რომ მოსკოვში საპატრიარქო ტახტის დაარსების საკითხი გადაწყვეტილი იყო. ამიტომაც ამავე წელს მოიწვია თათბირი, სადაც ხმამაღლა განაცხადა, რომ იერემია II-ის საპატრიარქო რეზიდენცია იქნებოდა არა მოსკოვში, არამედ ვლადიმირში. კონსტანტინეპოლის პატრიარქის პასუხი რა თქმა უნდა უარყოფითი იყო: „Патриарх отделенный от царя – одна декорация, без силы и значения“.<sup>10</sup> ეს იმას ნიშნავდა, რომ პატრიარქი იერემია ვლადიმირში ცხოვრებაზე უარს ამბობდა. ბოიარი ბორის გოდუნოვი არაერთხელ ეცადა იერემია II-ე დაერწმუნებინა იმაში, რომ ვლადიმირში განწყობების მიუხედავად ის სრულიად რუსეთის პატრიარქი მაინც იქნებოდა, მაგრამ იერემია II-სათვის ეს არ იყო საკმარისი. იგი ჯიუტად იმეორებდა: „Нет, этого я никоим образом не сделаю“.<sup>11</sup> ცხადი იყო, რომ პატრიარქი იერემია პოზიციებს არ დათმობდა. ეს კარგად გაანალიზა მეფე თევდორემ და 1589 წლის 17 იანვარს მოიწვია თათბირი. თათბირს ამჯერად საერო პირებთან ერთად სასულიერო პირებიც ესწრებოდნენ, მათ შორის იყვნენ: სამი არქიეპისკოპოსი, ექვსი ეპისკოპოსი, ხუთი არქიმანდრიტი და სამი ბერი. მეფე თევდორემ შეკრებილთ სიტყვით მიმართა და ამცნო, რომ მათ მიერ რუსეთის საპატრიარქო ტახტის მფლობელად მოიაზრებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქი იერემია, რომლის რეზიდენციაც ვლადიმირში იქნებოდა, ხოლო მოსკოვში კვლავ შენარჩუნდებოდა სამიტროპოლიტი კათედრა, მიტროპოლიტ იობის ხელმძღვანელობით. მეფემ თათბირზე ასევე აღნიშნა ის ფაქტი, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქს ვლადიმირში ყოფნა არ სურდა. ამასთანავე მეფემ ისიც დასძინა, რომ იერემია II-ემ არც რუსული ენა, არც მათი ტრადიციები იცოდა და შესაბამისად მისგან ვერანარი რჩევას ისინი ვერ მიიღებდნენ. მეფე თევდორემ თათბირზე მყოფებს ამცნო, რომ მათ ერთადერთი გამოსავალი ჰქონდათ – პატრიარქ იერემიასათვის უნდა ეთხოვათ, რომ სრულიად რუსეთის საპატრიარქო ტახტზე ეკურთხებინათ მოსკოვის მიტროპოლიტი იობი. მიტროპოლიტი იობის ხელდასხმა კი უნდა მომხდარიყო ისევე, როგორც ეს მოხდა იერუსალიმის, ანტიოქიის და

<sup>6</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 22.

<sup>7</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 22-23.

<sup>8</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 23.

<sup>9</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 23.

<sup>10</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 23.

<sup>11</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 24.

აღექსანდრიის ეკლესიების პატრიარქების ხელდასხმისას.<sup>12</sup> მეფე თევდორეს ამ სიტყვების შემდეგ ნათელი იყო, რომ ყოველგვარი მოლაპარაკება თუ „თამაში“ რუსეთში პატრიარქობის დაწესებასთან დაკავშირებით დამთავრებული იყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იერემია II-ეს ამის გაკეთება უწევდა სხვა საპატრიარქოებთან შეთანხმების გარეშე, რაც კანონიკურობას სრულიად მოკლებული იყო. თათბირის შემდეგ მეფემ კონსტანტინეპოლის პატრიარქთან მოსალაპარაკებლად ამჯერად ბორის გოდუნოვთან ერთად ბოიარი ანდრეი შელკალოვიც გააგზავნა. ამ შესხვედრას ულტიმატუმის სახე უფრო ჰქონდა ვიდრე მოლაპარაკების. რუსი ბოიარები იერემია II-ს კატეგორიულად სთხოვდნენ რუსეთის ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე ეკურთხებინა მიტროპოლიტი იობი.<sup>13</sup>

რუსეთის თეოკრატიული მმართველობისათვის უცხო არ იყო ის ფაქტი, რომ მეფე წყვიტავდა საეკლესიო საკითხებს და მათ შორის იმასაც თუ ვინ დაიკავებდა რუსეთის ეკლესიის საპატრიარქო ტახტს. რუსეთის ეკლესიაში პატრიარქობის დაწესების იდეა დიდ ხნით ადრე მომწიფდა. პატრიარქი იერემია კი მხოლოდ ფორმალობისათვის იყო საჭირო. თავად რუსი სასულიერო პირებიც სრულად აღიარებდნენ მეფის ხელისუფლების უზენაესობას.<sup>14</sup>

მეფე თევდორემ პატრიარქ იერემიასთან კვლავ ანდრეი შელკალოვიც გააგზავნა. ამჯერად მათი მოთხოვნა ასეთი იყო: **პირველი.** უნდა ჩატარებულიყო სრულიად რუსეთის პატრიარქის არჩევნები; **მეორე.** რუსეთის ეკლესიაში პატრიარქობის დაწესება უნდა დადასტურებულიყო წერილობითი დოკუმენტით. კონსტანტინეპოლის პატრიარქს წინასწარ ამცნეს არჩევნებში მონაწილეთა კანდიდატურები. საპატრიარქო ტახტის პრეტენდენტები იყვნენ: **მოსკოვის მიტროპოლიტი იობი, ნოვგოროდის მთავარეპისკოპოსი ალექსანდრე და როსტოვის არქიეპისკოპოსი ვარლამი.** რა თქმა უნდა ესეც ფორმალობა იყო.

მიტროპოლიტ იობის საპატრიარქო ტახტზე გამორჩევა უსპენსკის მონასტერში მოხდა. საღვთო ლიტურგიას ესწრებოდნენ: მეფე თევდორე, პატრიარქი იერემია, სამღვდლო დასი და პატრიარქობის „მოსურნე“ მიტროპოლიტები, იობის გარდა. ჩატარდა კენჭისყრა. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა საღვთო ლიტურგიის შემდეგ დამსწრეთ ამცნო არჩევნების შედეგები. სრულიად რუსეთის პატრიარქად არჩეული იქნა მოსკოვის მიტროპოლიტი იობი. მეფე თევდორეს მითითებით მიტროპოლიტი იობი სასწრაფოდ იხმეს სმოლენსკის ტაძარში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მიტროპოლიტ იობს პირისპირ მოუწვევდა კონსტანტინეპოლის პატრიარქთან შეხვედრა. იერემია II-მ დალოცა და აკურთხა ახლადარჩეული პატრიარქი. მოსკოვის პატრიარქს კონსტანტინეპოლის პატრიარქისათვის თავის მხრივ მადლობა უნდა გადაეხადა საპატრიარქოს დაარსებისათვის, მაგრამ ეს ახლადგამორჩეულ პატრიარქს გადაავიწყდა.

1589 წლის 26 იანვარს მოხდა მიტროპოლიტი იობის ხელდასხმა. საზეიმო დღეების დასრულების შემდეგ კონსტანტინეპოლის პატრიარქმა სახლში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. იერემია II-ის გადაწყვეტილებებით უკმაყოფილი იყო მისი ბერძენი მეგობარი, მიტროპოლიტი **იეროფეი.** ბერძენი მიტროპოლიტი თვლიდა, რომ პატრიარქი „მახეში გააბეს“, „ხელზე დაიხვიეს“ და ამ ფორმით უკანონოდ დაარსებინეს მოსკოვის საპატრიარქო.<sup>15</sup> როგორც კი კონსტანტინეპოლის პატრიარქმა სახლში დაბრუნება გადაწყვიტა, მასთან კვლავ ბორის გოდუნოვი მივიდა და კიდევ ცოტა ხნით მოსკოვში დარჩენა სთხოვა. რუსებს კიდევ ერთი მიზანი ჰქონდათ – კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან ისინი წერილობითი ფორმით ამ მოვლენების დადასტურებასაც ითხოვდნენ. რუსები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ რაიმე ფორმით გაემყარებინათ რუსეთში პატრიარქობის დაწესების კანონიერება. საქმე იმაში იყო, რომ ასეთი სახის დოკუმენტზე მხოლოდ იერემია II-ის ხელმოწერა საკმარისი არ იქნებოდა. საჭირო იყო აღმოსავლეთის სხვა პატრიარქების ხელმოწერა და მათი დასტური. რუსებმა ისიც მოახერხეს, რომ ასეთი სახის დოკუმენტი შეადგინეს. ეს დოკუმენტი შედგა მეფის კანცელარიაში, თუმცა მას ისეთი ფორმა მისცეს, რომ ეს იყო საეკლესიო კრების გადაწყვეტილება. დოკუმენტი ირწმუნებოდა, რომ რუსეთში პატრიარქობის დაწესება მოხდა აღმოსავლეთის პატრიარქების სრული თანხმობით: „Тут утверждается об учреждении русского патриаршества якобы с согласия всего Востока: „по изволению царского величества“, по совету „со всем освященным собором великого российского и греческого царствия“ и согласно с „избраением“ самого

<sup>12</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 26.

<sup>13</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 26.

<sup>14</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 27.

<sup>15</sup> А.В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II, париж, 1959, стр. 35.

Иеремии цареградского „и прочих вселенских патриархов — александрийского, антиохийского, иерусалимского — и всего собору греческого, по правилам божественных апостол и св. отец“.<sup>16</sup>

აღნიშნულ დოკუმენტს ახლდა მეფის ბეჭედი ხელმოწერის გარეშე, ასევე იერემია II-ის და პატრიარქ იობის ბეჭდები ხელმოწერითურთ და 32 მიტროპოლიტისა და არქიეპისკოპოსის ხელმოწერა. დოკუმენტს ხელს აწერდნენ პატრიარქ იერემიას თანმხლები ბერძენი სასულიერო პირებიც: მიტროპოლიტი იეროფეი, მიტროპოლიტი არსენი და არქიმანდრიტი ქრისტეფორე. მიტროპოლიტი იეროფეი დიდხანს ყოყმანობდა. მისთვის გაუგებარი იყო რა სახის დოკუმენტი იყო ეს, ან რატომ არ იყო ის ბერძნულ ენაზე თარგმნილი. ამას გარდა ბერძენ მიტროპოლიტს ეშინოდა, რომ ეს დოკუმენტი ხელს შეუწყობდა „უფლის ეკლესიის“ გაყოფას. ცხადია, რომ ბერძენი სასულიერო პირისათვის რუსეთის ეკლესიის მესამე რომად ქცევის იდეა მიუღებელი იყო. მიტროპოლიტი იეროფეი თვითონ ბერძნული „პაპიზმის“ ნიადაგზე იდგა, მაგრამ რუსული „პაპიზმის“ ძალიან ეშინოდა და ამ საშიშროებას რელუგურად ხელავდა: „Иерофеѣ долго не подписывал, говоря, что он опасается, „как бы не разделилась церковь Божия и неявилась бы в ней другая глава и не произошла бы великая схизма“. Очевидно Иерофеѣ не переваривал московской идеи Третьего Рима. Сам стоя на уровне греческого Кплського „папизма“, он всерьез боялся „папизма“ русского. Он увидел, что русские считают себя главой Православия и хотели бы усвоить и "поглотить" в себе „вселенский“ патриархат“.<sup>17</sup>

მიუხედავად ამისა საბოლოოდ ბერძენ მიტროპოლიტს მაინც მოუწია აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერით დადასტურება. მიტროპოლიტმა იეროფეიმ აღიარა, რომ ეს ნაბიჯი მხოლოდ შიშმა გადააგმევინა: Иерофеѣ признает, что в конце концов он подписал грамоту только из страха, чтобы его не утопили в Москва-реке“.<sup>18</sup>

ამ მოვლენების შემდეგ პატრიარქმა იერემიამ სამშობლოში დაბრუნების უფლება მიიღო. მეფე თვედორემ სტუმრები დიდი ზემოთ, ძვირფასი ნივთებითა და ფულადი საჩუქრებით გამოისტუმრა. მეფეს მოსკოვში დარჩენის უფლება სთხოვა ერთ-ერთმა სტუმარმა — **არსენ ელასმა**. არსებობს ორი მოსაზრება, თუ რატომ მოინდომა ბერძენმა სტუმარმა მოსკოვში დარჩენა. პირველი მოსაზრების თანახმად, არსენი ელასი მოსკოვში საკუთარი პირადი ცხოვრების მოსაწყობად დარჩა, მეორე ვარაუდით კი ის მოსკოვში სპეციალურად პატრიარქი იერემია ტრანოსის მითითებით უნდა დარჩენილიყო, რათა მას თვალი ედევნებინა რუსეთის ეკლესიაში მიმდინარე მოვლენებისათვის. როგორც ჩანს ბერძენები ძალზე შეშინებულნი იყვნენ რუსების მხრიდან მოსალოდნელი პაპიზმით:

„Напрашивается предположение, что Арсений по соглашению с подозрительным Иерофеѣем и патриархом решил остаться в России помимо соображений карьеры и в качестве „наблюдателя“ за развитием пугавшего греков русского „папизма“.“<sup>19</sup>

1589 წლის მაისში ბერძენებმა რუსეთი დატოვეს. 1590 წელს იერემია II-მ მოიცალა რუსეთის ეკლესიისათვის და აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად მოიწვია საეკლესიო კრება. კრებას ესწრებოდა ანტიოქიის პატრიარქი **იოაკიმე** და იერუსალიმის პატრიარქი **სოფრონი**. საეკლესიო კრებას არ ესწრებოდა ალექსანდრიის პატრიარქი **მელიტი პიდასი**, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს დაარსების წინააღმდეგი იყო. მიუხედავად იმისა, რომ კრებას ალექსანდრიის პატრიარქი არ ესწრებოდა, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა გადაწყვიტა რუსები არ გაენაწყვენებინა და შემდეგ გადაწყვეტილება გამოიტანა: „Постановление в сокращенном изложении было таково: „во-первых, признаем и утверждаем поставление в царствующем граде Москве патриарха Иова, да почитается и именуется он и впредь с нами, патриархами, и будет чин ему в молитвах после иерусалимского; а во главе и начале держать ему апостольский престол Константинограда, как и другие патриархи держат; во-вторых, патриаршее имя и честь дано и утверждено ныне не одному только господину Иову, но произволяем, чтобы и по нем поставлялись московским собором патриархи в России по правилам, как началось от сего сослужбника нашего смирения и во Св. Духе возлюбленного брата нашего Иова. Для того и утверждена сия уложенная грамота на память во веки лета 1590, месяца мая“. Грамоту подписали патриархи: константинопольский Иеремия, антиохийский Иоаким,

<sup>16</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 36.

<sup>17</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 37.

<sup>18</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 37.

<sup>19</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 37.

иерусалимский Софроний (александрийская кафедра была тогда праздной) и бывшие на соборе 42 митрополита, 19 архиепископов и 20 епископов.

Итак:

1. русское патриаршество утверждено не в применении только к Иову, но и, как право русской церкви навсегда;

2. указано ему 5-е место<sup>20</sup>.

რუსეთში მაინც უკმაყოფილონი იყვნენ. დიპტისში რუსეთის ეკლესიის მესამე ადგილი მათთვის მიუღებელი იყო. სამაგიეროდ მიანდათ, რომ რუსეთის ეკლესიას წესითა და კანონით მესამე ადგილი უნდა დაეკავებინა: „Однако, уступая веским фактам, конечно, соглашалась признавать первым и вселенским КПльского. Второй, Александрийский патриарх, тоже владел „страшным“ титулом „папы, судии вселенной и 13-го апостола“! Так и быть, москвичи непоследовательно готовы были уступить и ему. Но уже 3-е место считали своим“<sup>21</sup>

რუსეთში უკმაყოფილონი იყვნენ იმიტაც, რომ საეკლესიო კრებას, რომელიც იერემია II-ის ინიციატივით ჩატარდა არ ესწრებოდა ალექსანდრიის პატრიარქი. მათთვის ცნობილი იყო აღნიშნული საკითხისადმი პატრიარქ მელიტის დამოკიდებულება. 1590 წელს საეკლესიო კრების მიერ გამოტანილი დადგენილება მათთვის არაფრის მთქმელი იყო. ამიტომ ითხოვნენ, რომ კვლავ მოეწვიათ საეკლესიო კრება სადაც საბოლოოდ გადაწყდებოდა რუსეთში პატრიარქობის დაწესების საკითხი და დიპტისში რუსეთის ეკლესიის მესამე ადგილიც. თავის მხრივ იერემია II-ეც ცდილობდა ალექსანდრიის პატრიარქის დათანხმებას. კონსტანტინეპოლის პატრიარქი ალექსანდრიის პატრიარქისადმი გაგზავნილ არაერთ წერილში სთხოვდა პატრიარქ მელიტის, რომ რუსეთის ეკლესიის სასარგებლოდ მიეღო გადაწყვეტილება: Иеремию так укорял в своих письмах Мелетий Александрийский: „Я очень хорошо знаю, что ты погрешил возведением московской митрополии на степень патриаршества, потому что тебе не безызвестно (если только новый Рим не научился следовать древнему), что в этом деле невластен один патриарх, но властен только собор и при том вселенский собор; так установлены донныне существующие патриархии. Поэтому ваше святейшество должно было получить согласие остальной братии, так как, согласно постановлению отцов третьего собора, всем надлежит знать и определять то, что следует делать, всякий раз когда рассматривается вопрособщий. Известно, что патриарший престол не подчиняется никому иному, как только кафолической церкви, с которой он соединен и связан исповеданием единой и неизменяемой православной веры. Я знаю, что ты будешь поступать согласно этим началам, и то, что ты сделал по принуждению, по размышлении уничтожишь словесно и письменно. Но так как наши слова не приводят тебя пока ни к чему доброму, а только к смущению, гневу и их последствиям, то я избавляю ваше святейшество от моих упреков и самого себя — от хлопот“<sup>22</sup>

შემდეგი საეკლესიო კრება კონსტანტინეპოლში 1593 წელს გაიმართა. კრებას ამჯერად ესწრებოდა ალექსანდრიის პატრიარქი მელიტი. საეკლესიო კრებამ ასეთი დადგენილება გამოიტანა: В речи к собору Мелетий объяснил, что вопрос решается ясно и непрерываемо на основании правил вселенских соборов. Можно ли учредить патриаршество в Москве? На это дает ответ 28-е правило Халкидонского Собора. КПльскому патриарху там даны преимущества ради царствующего града Нового Рима. Тоже применимо и к Москве. Другой вопрос о чести русского патриарха тоже предопределен правилами. Русскому патриарху подобает честь, „равная чином и достоинством“ с проч. патриархами. Но 6-е правило Никейского собора, 24-е Халкидонского и 36-е Трулльского строго установили порядок патриарших кафедр. И потому он, Мелетий, как папа и судия вселенной, не находит возможным менять этот канонический порядок. Русский патриарх должен примириться с 5-м местом после Иерусалима“<sup>23</sup>

ასეთი იყო კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრების საბოლოო გადაწყვეტილება. რუსებს სურდათ თუ არ სურდათ ამ გადაწყვეტილებას უნდა შეეგუებოდნენ. კრებამ მხარი დაუჭირა მოსკოვის საპატრიარქოს დაარსებას და მას მართლმადიდებელ საპატრიარქოთა შორის მესამე ადგილი (იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ) მიაკუთვნა.

<sup>20</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 38-39.

<sup>21</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 39.

<sup>22</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 41-42.

<sup>23</sup> А. В. Карташев. Очерки по Истории Русской Церкви. том II. Париж, 1959, стр. 44-45.

**Gvantsa Burduli**

## **Establishment of Moscow Patriarchate**

### **Resume**

The dream of the Russian patriarchate inevitably arose in half of the XV century, at the moment understanding of own role by the Russian church in universal mission of Orthodoxy, passed to it after falling of Byzantium empire. The idea of patriarchate integrally grew. All had it on mind. The question of patriarchate literally flashed in Moscow as soon as there received a message, that on border of Russia there was a patriarch Antioch Joaquim. East Patriarch Emergence on Russian soil was the unknown fact for all history of the Russian churches.

The main aim of the work is to introduce readers how was founded Moscow Patriarchate.

## მიხეილ ჯავახიშვილი საბჭოთა სამსჯავროზე (1925 წლის 18 ივლისი)

ცნობილი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი აქტიურად იყო ჩართული XX საუკუნის 10-20-იანი წლების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიხეილ ჯავახიშვილი თავდაპირველად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო, მოგვიანებით კი ის საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რიგებში აღმოჩნდა. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია განახორციელა. საქართველოში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა. მიხეილ ჯავახიშვილი, ისევე როგორც ქართველ პატრიოტთა უმრავლესობა, აქტიურად ჩაება ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაში. 1922 წლის აგვისტოში ხუთმა წამყვანმა ქართულმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიამ შექმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ („დამკომი“). დამკომში შევიდნენ შემდეგი პოლიტიკური პარტიები: საქართველოს სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატები, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტები, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატებს ჩამოშორებული ჯგუფი „სხიველები“, რომლებსაც დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებსაც ეძახდნენ. თითოეული პარტია დამკომში თითო წარმომადგენელს აგზავნიდა. დამკომმა შექმნა სხვადასხვა კომისიები, რომელთა შორის აღსანიშნავია ე.წ. „სამხედრო კომისია“, რომელშიც მიხეილ ჯავახიშვილი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა. საქართველოს საგანგებო კომისიისათვის („ჩეკა“) ცნობილი გახდა სამხედრო კომისიის საქმიანობის შესახებ და შესაბამისად 1923 წელს მიხეილ ჯავახიშვილი დააპატიმრა. საბჭოთა რეჟიმმა მიხეილ ჯავახიშვილს დახვეწა მიუსაჯა. ქართველი მწერლები, პავლე ინგოროყვას მეთაურობით, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის თავმჯდომარესთან სერგო ორჯონიკიძესთან გამოცხადდნენ და მიხეილ ჯავახიშვილის შეწყალება სთხოვეს. მოხდა სასწაული და სერგო ორჯონიკიძემ მიხეილ ჯავახიშვილი შეიწყალა. თუმცა ჯავახიშვილი იმდენად დათრგუნული აღმოჩნდა საპყრობილეში გატარებული დღეებით, რომ მან პოლიტიკურ საქმიანობაზე საერთოდ ხელი აიღო.

1924 წლის აგვისტოში საქართველოში ადგილი ჰქონდა მძლავრ ანტისაბჭოთა ეროვნულ აჯანყებას, თუმცა ის მარცხით დამთავრდა, რომლის შემდეგ დაიწყო აჯანყებაში მონაწილეებისა და „ექვმიტანილების“ დახვეწა-დაპატიმრების პროცესი. „**მიემართეთ მასობრივ დახვეწებს. იქნებ ცოტა გადააჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველება!**“ – აცხადებდა ჯალათი სერგო ორჯონიკიძე. 1925 წლის ივლის-აგვისტოში აჯანყების 47 ხელმძღვანელი პირის (რომლებიც დახვეწას სასწაულებრივად გადაურჩნენ) სასამართლო პროცესი გაიმართა. სასამართლო მიხეილ ჯავახიშვილის პიროვნებითაც დაინტერესდა, შესაბამისად ის პროცესზე მოწმის სახით გამოიძახეს. მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვის პროცესის მოსამზადებელი პერიოდი ძალზე გაჭიანურდა, რითაც მწერალი უკმაყოფილებას ვერ მალავდა. 1925 წლის 15 ივლისს მან ასეთი შინაარსის განცხადებით მიმართა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს: „აგარაკიდან დაებრუნდი ჩვენების მოსაცემად. მე ავადმყოფი ვარ. გარდა ამისა, ამ უამად ახალ რომანს ვწერ, რომელიც ჟურ[ნალ] „მნათობს“ უნდა ჩავაბარო 1 ენკენისთვის. მე ვშიშობ, რომ ზაფხულიც დამეკარგება და სამუშაოსაც ვერ დავასრულებ დროზე, თუ მე ჩვეულებრივი წესით, ე.ი. რიგით ვიქმნები დაკითხული და პროცესის გათავებამდის დატოვებული. გარდა ამისა, მე არსად ვმსახურებ და ჩემს თავსაც და დიდ ოჯახსაც მხოლოდ სალიტერატურო ჰონორარით ვინახავ.“

ამის გამო დაბეჯითებით გთხოვთ, თუ შესაძლებელია: 1) სხვებზე ადრე მე ჩამომართვათ ჩვენება და 2) ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ სრულებით გამანთავისუფლოთ. ამასთან ერთად, გაახლებთ ჟურ[ნალ] „მნათობის“ რედაქციის სათანადო მოწმობას.“<sup>1</sup>

<sup>1</sup>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 40, ფურცელი 686.

განცხადებით მიმართვიდან სამ დღეში, 1925 წლის 18 ივლისს, საბჭოთა სასამართლომ მიხეილ ჯავახიშვილი დაკითხა. სასამართლომ მიხეილ ჯავახიშვილს ბრალი ვერაფერში დასდო და ის ამჯერად დაპატიმრებას გადაურჩა.

ქვემოთ გთავაზობთ მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვის სტენოგრამას. სტენოგრამა ქვეყნდება დედნის სტილის შეუცვლელად, გასწორებულია მხოლოდ ორთოგრაფიული შეცდომები და პუნქტუაცია, კვადრატულ ფრჩხილში მოტანილი ტექსტი ეკუთვნის გამომცემელს.

\*\*\*

## მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვა

1925 წლის 18 ივლისის სხდომა

**თავმჯდომარე:** სთხოვეთ მოწმეს. თქვენი გვარი?

**ჯავახიშვილი:** ჯავახიშვილი.

**თავმჯდომარე:** სახელი?

**ჯავახიშვილი:** მიხეილი.

**თავმჯდომარე:** მამის სახელი?

**ჯავახიშვილი:** საბას ძე.

**თავმჯდომარე:** რა იცით ამ საქმის შესახებ?

**ჯავახიშვილი:** 21 წელს მარტის დამლევის და აპრილში ბათომიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან დაბრუნდენ ტფილისში დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრები. როგორ მოხდა? ჯერ ორი შეხვდა ერთმანეთს, მერე მესამე მოიწვიეს, მეოთხე და ასე, ამნაირათ შეიკრიბა ჯგუფი 6-7 კაცისაგან. აი, ისინი დადიოდენ ერთმანეთთან. ვერ ვიტყვი, რომ ეს იყო რომელიმე პარტიის კომიტეტი. ისინი შეადგენდენ უბრალო ჯგუფს, რომელიც ატარებდა დროს უბრალო ბაასში, ჩაის სმის ან ვახშმის დროს. 21 წლის განმავლობაში არავითარი საორგანიზაციო მუშაობა არ ყოფილა. იგი დაიწყო მხოლოდ 22 წლის დასაწყისში ნელ-ნელა შეუმჩნეველად. ამავე ხნის განმავლობაში ამ კომიტეტს დავარქვათ კომიტეტი, ვინაიდან მას შემდეგ მიეცა ასეთი ხასიათი, თუმცა შედგენილი იყო სხვის დაუკითხავად. ეს კომიტეტი აწარმოებდა ან მასთან აწარმოებდენ მოლაპარაკებას სოც[იალ]-დემოკრ[ატიული] პარტიის წარმომადგენელნი საერთო ფრონტის შესახებ, პარიტეტული კომიტეტის დაარსების შესახებ. ჩვენ მთელი ერთი წლის განმავლობაში წინააღმდეგობას ვუწევდით, არ ვთანხმდებოდით. მაგრამ შემდეგ 22 წლის მაისში თუ ივნისში უკვე შესდგა, დაარსდა პარიტეტული კომიტეტი. ამავე ხანებში იწყება გაფართოებული მუშაობა. მე პირადათ უნდა მოგახსენოთ, რომ 1921-1922 წ[ლებში] ისეთი თანამდებობა მეჭირა უმაღლეს საკანონო საბჭოში და ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატში, რომ ყოველ დღე 14-12 საათი ვმსახურობდი. ერთ და იმავე დროს მეჭირა 3 თანამდებობა: ფინანსიური განყოფილების გამგე, სარეცენზიო ბიუროს გამგე (ექსპორტის და იმპორტის საქმე) და ეკონომიური საბჭოს წევრი, სადაც კვირაში ექვსჯერ იყო კრება. გარდა ამისა, მე ვესწრობოდი ყველა ჩვენ კრებებს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ რადგან დატვირთული ვიყავი სამსახურის საქმეებით, ვერ ვიღებდი პარტიულ მუშაობაში ისეთ მონაწილეობას, როგორც ზოგიერთი, რომელნიც თავისუფალი იყვნენ. მე არ ვიცოდი და არც ეხლა ვიცი მუშაობის საქმე ისე, როგორც იმათ, ვინც ეწეოდენ ამ მუშაობას, ვინც თავისუფალი იყო. მე ვთხოვ სასამართლოს, მომცეს კითხვები და ვუპასუხებ.

**თავმჯდომარე:** სასამართლოს მეტს თქვენით ვერაფერს ეტყვი?

**ჯავახიშვილი:** მომეცით შეკითხვა რაიმე მოვლენაზე და...

**თავმჯდომარე:** თქვენ ამ კამად რომელი პარტიაში ითვლებით?

**ჯავახიშვილი:** არც ერთში.

**თავმჯდომარე:** წინათ?

**ჯავახიშვილი:** 1917 წლამდე [სოციალისტ]-ფედერალისტი ვიყავი, 1917 წლიდან ეროვნულ-დემოკრატი.

**თავმჯდომარე:** რომელ წლამდე?

**ჯავახიშვილი:** 1922 წლის დამლევაამდე.

**თავმჯდომარე:** ცეკას წევრი იყავით?



**ჯავახიშვილი:** ცეკას წევრად მე ამირჩიეს 1921 წ[ლის] იანვარში. მაშინ ჩვენ გვქონდა გამართული ყრილობა. ამ ყრილობაზე თავი მოიყარა 4 პარტიამ, რომელიც გაერთიანდა ერთ პარტიაში, დემოკრატიულ პარტიაში და ამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ვიყავი არჩეული წევრად. შემდეგ როდესაც დაიწყო არა ლეგალური მუშაობა მაშინაც.

**თავმჯდომარე:** მაშინაც იყავით?

**ჯავახიშვილი:** დიახ.

**თავმჯდომარე:** სამხედრო კომისია იყო თუ არა თქვენთან?

**ჯავახიშვილი:** მაგის შესახებ მოგახსენებთ.

**თავმჯდომარე:** სამხედრო კომისიის წევრი იყავით?

**ჯავახიშვილი:** პარტიის სამხედრო კომისიაში არ ვყოფილვარ.

**თავმჯდომარე:** არც გირჩენებიათ?

**ჯავახიშვილი:** თქვენ მეკითხებით პარტიის თუ პარიტეტულ კომიტეტის?

**თავმჯდომარე:** პარტიის.

**ჯავახიშვილი:** არ ვყოფილვარ და არც მიჩვენებია.

**თავმჯდომარე:** პარტიას სამხედრო ორგანიზაცია ჰქონდა თუ არა?

**ჯავახიშვილი:** ჰქონდა.

**თავმჯდომარე:** იყავით თუ არა წევრად იქ?

**ჯავახიშვილი:** არასოდეს.

**თავმჯდომარე:** თქვენ ჩვენებაში გაქვთ მიცემული.

**ჯავახიშვილი:** არა, არა მაქვს.

**თავმჯდომარე:** არა გაქვთ? მოახსენეთ სასამართლოს როგორი იყო წყობა თქვენი ორგანიზაციის როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ.

**ჯავახიშვილი:** ორგანიზაციას მე არ ვიცნობდი, საორგანიზაციო მუშაობაში არ ვიყავი ჩახედული. ვიცი მხოლოდ ის, რომ უმეტეს ნაწილად, სადაც გვქონდა სამაზრო კომიტეტები, ადღეენილი იქნა, ყველგან არა, მაგრამ უმეტეს ნაწილს კი. დაარსებულ კომიტეტებში ითვლებოდა, თუ არ ვცდები, ახლად შერჩეული პირები. ვინ იყვნენ არ ვიცი, იმიტომ, რომ აკი მოგახსენეთ საორგანიზაციო მუშაობას არ ვეწეოდი არც წინეთ და არც იმ დროს.

**თავმჯდომარე:** მოწმე, რამდენ ხანს გრძელდებოდა მოლაპარაკება პარიტეტულ კომიტეტის შესახებ?

**ჯავახიშვილი:** ერთი წელიწადი.

**თავმჯდომარე:** რატომ გაჭიანურდა?

**ჯავახიშვილი:** იმიტომ, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პირველ შეხვედრის დროს, როცა ჩვენ 6 თუ 7 კაცი შევხვედით ერთმანეთს, ასეთი გეზი მივიღეთ და ვამბობდით, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მხარს უჭერს მენშევიკებს იმდენად, რამდენადაც მხარს უჭერდით საქართველოს დამოუკიდებლობას და მასთან ვამბობდით, რომ მართალია ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის დიდი განსხვავება არის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან იმათაც მხარი დაუჭიროთ, თუ ისინი შეანარჩუნებენ საქართველოს დამოუკიდებლობას. რაკი ამ გზას დავადექით ჩვენ არ შეგვეძლო გავყოლოდით მენშევიკებს და ამიტომ მოლაპარაკებამ ჩვენსა და მათ შორის გასტანა თითქმის ერთი წელიწადი.

**თავმჯდომარე:** ვინ იყო თქვენი წარმომადგენელი პარიტეტში?

**ჯავახიშვილი:** იასონ ჯავახიშვილი.

**თავმჯდომარე:** აკეთებდა ხოლმე მოხსენებას?

**ჯავახიშვილი:** დიახ, აკეთებდა.

**თავმჯდომარე:** რა საკითხების შესახებ?

**ჯავახიშვილი:** უმთავრესად იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს მუშაობა პარტიებსა და კომიტეტს შორის, აგრეთვე პარტიების უფლებების და ფინანსური მხარეების შესახებ.

**თავმჯდომარე:** მეტ არაფერზე?

**ჯავახიშვილი:** მეტი არ მაგონდება.

**თავმჯდომარე:** აჯანყების შესახებ საკითხი არ ეყოფილა დასმული?

**ჯავახიშვილი:** არა.

**თავმჯდომარე:** თქვენ იცით, რომ თქვენ პარტიას დამოკიდებულება ჰქონდა ჩოლოყაშვილის ბანდებთან, გაგიგონიათ რამე ამის შესახებ?

**ჯავახიშვილი:** პირველად მე გავიგონე ეს ამბავი 22 წელს, მაისში. ცენტრალურ კომიტეტში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ხელისუფლება გზავნილს ჩოლოყაშვილთან. ჩოლოყაშვილის ტყვეში გავარდნის შესახებ ვიცოდი ერთი ორი თვის წინედ ადრე და აქ ამბობდენ, რომ მასთან გზავნილს მის დასაბრუნებლად გოგი ხიმშიაშვილს და როსტომ მუსხელიშვილს და ცენტრალურ კომიტეტში ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ კარგი იქნებოდა, რომ ამავე დროს ამ მოლაპარაკების დროს ჩოლოყაშვილს გვერდში ყოლოდა ვინმე ჩვენთან. ჩვენ გვინდოდა ამ შემთხვევით გვესარგებლა და ციხიდან გამოგვეშვა ჩვენი დატუსაღებული ამხანაგები – სპირიდონ კედია და ალექსანდრე ასათიანი და ამ მიზნით წავიდა მასთან შალვა ამირეჯიბი. მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ჩოლოყაშვილთან უნდა წასულიყო მთავრობის მიერ მოსალაპარაკებლად ხიმშიაშვილი და მუსხელიშვილი, სწორედ იმ დღეს ხიმშიაშვილი დააპატიმრეს. მგონი აგვისტოში იმავე წელს მე გავიგე ამბავი, რომ ჩოლოყაშვილი კახეთიდან დუშეთში გადმოვიდა, თან ყავდა ოციოდე კაცი. მთავრობამ უპოვნა მას კვალი, დაედევნა, შეუტყეს და დაიწყო უკან დაწევა. მას მისდევდა მილიცია და ჯარი და სამხედრო ორგანიზაციაში იყო ბაასი, რომ რამეფრად დახმარებოდენ და გადაერჩინათ ჩოლოყაშვილი. შემდეგ ამბავი მოვიდა, რომ ჩოლოყაშვილი გადარჩა და გასულა სადღაც.

**თაემჯდომარე:** რომელ სამხედრო კომისიაში იყო დასმული, თქვენ ცეკაში თუ პარიტეტულ კომიტეტში?

**ჯავახიშვილი:** სამხედრო ცენტრში.

**ოკუჯავა (მსაჯული):** გარკვევით მინდა ვიცოდე, სამხედრო ორგანიზაცია თქვენ პარტიულ ცეკასთან რომელი წლიდან იყო?

**ჯავახიშვილი:** ვერ გეტყვით, ყოველ შემთხვევაში უფრო ადრე ვიდრე დაარსდებოდა სამხედრო ცენტრი.

**ოკუჯავა:** შეიძლება ვთქვათ, რომ 21 წლიდან?

**ჯავახიშვილი:** არა. უკვე მოგახსენეთ, რომ 21 წელში პარტიული და საორგანიზაციო მუშაობა არ იყო.

**ოკუჯავა:** ამ სამხედრო მუშაობას სათავეში ვინ უდგა?

**ჯავახიშვილი:** მგონი დ[ავით] ვანნაძე იყო.

**ოკუჯავა:** დ. ვანნაძე ცეკას წევრი იყო თუ არა?

**ჯავახიშვილი:** იყო.

**ოკუჯავა:** პარიტეტულ კომიტეტში აზრთა სხვადასხვაობა ხომ არ იყო, გარკვეული ორი სხვადასხვა აზრი ხომ არ იყო?

**ჯავახიშვილი:** თუ გამახსენებთ, რომელი საკითხის შესახებ, იქნება მომაგონდეს.

**ოკუჯავა:** საგანგებო კომისიაში მიცემულ ჩვენებაში გაქვთ ნათქვამი, რომ პარიტეტულ კომიტეტში იქ, სადაც ამბობთ სამხედრო მუშაობაზე, ამბობთ იმას, რომ აზრთა სხვადასხვაობა იყო. როგორი აზრი იყო? იქ გაურკვეველი იყო და აქ გვინდა გამოვარკვიოთ, თუ გახსოვთ.

**ჯავახიშვილი:** ეგ შეეხებოდა სამხედრო ცენტრს. სამხედრო ცენტრში იყო ერთგვარი განხეთქილება. ეს გავიგე 22 წლის შემოდგომაზე თუ ზამთარში. ტაქტიკური საკითხის გამო აღძრული იყო ბაასი. მაგონდება, რომ კოტე აფხაზმა იმ ხანებში უცნაურათ შეიცვალა აზროვნება. ის მომხრე იყო უფრო აგრესიული მოქმედების. იმასაც კი ამბობდა, რომ მთელი ძალა უფლება უნდა გადაეცეს სამხედრო ცენტრს და პარტია უნდა დაექვემდებაროს ამ სამხედრო ორგანიზაციას. ამაზე იყო ერთგვარი უთანხმოება და კოტე აფხაზი ამ საკითხში მარტო დარჩა. ეს საკითხი მაშინვე მოიხსნა.

**ოკუჯავა:** სამხედრო ცენტრს კრებები ხშირათ ქონდა?

**ჯავახიშვილი:** არ ვიცი, იქ წარმომადგენლად იყო კოტე აფხაზი.

**ოკუჯავა:** სად გაიგეთ, რომ ასეთი კამათი იყო?

**ჯავახიშვილი:** კოტე აფხაზიდან, რომელიც წარმომადგენლად იყო სამხედრო ცენტრში.

**ოკუჯავა:** კერძოდ გითხრათ ეს თუ ცეკას სხდომაზე?

**ჯავახიშვილი:** კერძოდ და სანამ სხდომა დაიწყებოდა იყო ერთი-ორი ამხანაგი, არ მახსოვს ვინ იყვნენ ისინი. ეს იყო უბრალო თქმა. ცეკაში ეს საკითხი არც კი განხილულა.

**ოკუჯავა:** ხომ ვერ იტყვით თვეს, რომელი თვიდან იწყება თქვენი პარტიის კავშირი ჩოლოყაშვილთან?

**ჯავახიშვილი:** დაახლოებით 1922 წ[ლის] გაზაფხულიდან.

**ოკუჯავა:** ხომ არ იცით, როგორ მოხდა ჩოლოყაშვილის წასვლა?

**ჯავახიშვილი:** გაგონილი მაქვს ასეთი ამბავი: ჩოლოყაშვილი მსახურებდა წარმოკავშირში, იყო მისი წარმომადგენელი წნორის წყალზე და ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააპატიმრა, მერმედ გამოუშვეს. ჩოლოყაშვილი სწიოდა, მემუქრებოდენ დახვრეტითო. გავიდა 2 კვირა. ისევ დააპატიმრეს, ისევ გამოუშვეს, მერმედ კიდევ დააპატიმრეს, კიდევ გამოუშვეს. იმ კაცს უთქვამს: „სულ ერთია მე არ გადამარჩენენ და უმჯობესია ტყვეთ წავიდეთ!“

**ოკუჯავა:** ეს 1922 წელში იყო?

**ჯავახიშვილი:** დიას.

**ოკუჯავა:** ხომ არ უთქვამს თქვენთვის იმ კაცს, რამდენ ხანს იჯდა?

**ჯავახიშვილი:** არა, მე მას არ ვიცნობ.

**ოკუჯავა:** ხომ არ გსმენიათ, რომ ის თქვენი პარტიის დავალებით 1921 წელს აწარმოებდა მუშაობას, მაშინ როდესაც მსახურებდა, სამსახურის გამო მიდიოდა კახეთში და პარტიის დავალებებს ასრულებდა?

**ჯავახიშვილი:** არა, არ გამიგია. მხოლოდ ეხლა წავიკითხე.

**ოკუჯავა:** არც იცით არაფერი?

**ჯავახიშვილი:** არა, მე პირველად 1922 წელს გავიგე გაზაფხულზე, რომ ნაც[იონალ]-დემ[ოკრატიებს] ჩოლოყაშვილთან კავშირი ჰქონდათ. მე მას წინეთ არ ვიცნობდი. გამიგონია კი, მინახავს, იმიტომ რომ წინეთ თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა, ცხენოსანი პოლკის უფროსი იყო. შორიდან მინახავს, მაგრამ რას აკეთებდა არ ვიცი.

**ოკუჯავა:** არ იცით, 1922 წლიდან შეგიძლიათ სთქვათ, რომ ჩოლოყაშვილს თქვენ პარტიასთან კავშირი ჰქონდა?

**ჯავახიშვილი:** 1922 წლის გაზაფხულიდან.

**ოკუჯავა:** დასვით როდესმე საკითხი იმის შესახებ, რომ ჩოლოყაშვილის ბანდა ყოფილიყო დაშლილი, ან წასულიყო საზღვარგარეთ?

**ჯავახიშვილი:** მე მახსოვს ასეთი საკითხი იყო დასმული, წერილი მოეწერა, მგონი დავით ვანნაძეს გამოუგზავნა, მას ჰქონდა დამოკიდებულება ჩოლოყაშვილთან. ჩოლოყაშვილი თხოულობდა დირექტივებს: „ჩვენ ტყვეში ვართ რამდენი თვე, აქ ყოფნა მოგვებურდა“ და თხოულობდა ნებართვას დაეწყო მოქმედება. ამაზე გვქონდა მსჯელობა და ბოლოს დავადგინეთ მიეწერათ იმისთვის მტკიცეთ, გარკვეულად: „არაფერი არ გაბედო“. უნდა მოგახსენოთ, რომ ამაზე თავიდანვე იყო მსჯელობა, ერთი-ორჯერ კი არა მრავალჯერ ქონდა შეთვლილი, რომ არავითარი გამოსვლა არ გაებდა. უკანასკნელ დროს, როდესაც უფრო ღრმად ჩაუკვირდით საქმეს კატეგორიულად შევუთვალეთ, რომ არავითარ გამოსვლებს ადგილი არ ქონდა. რადგან მასთან კავშირი ჰქონდა დავით ვანნაძეს, როგორც რამდენიმე თვის შემდეგ შევიტყვეთ, მას გაუგზავნია სულ სხვანაირი ბრძანება. გარდა ამისა, იყო ლაპარაკი მასზე, ეს მაგონდება თუმცა ბუნდოვნად, რომ ის გადასულიყო, დაენებებია კახეთისათვის, რადგან რეპრესიები იმატებდა და ხალხი განიცდიდა ზარალს. ჩვენ ამას ანგარიში გაუწიეთ და ურჩიეთ მას გასულიყო ჩვენეთში ან დაღესტანში. ეს ასე იყო.

**ოკუჯავა:** აი, როდესაც დაისვა ეს საკითხი, მაშინ წინადადება მიიღეს თუ არა თქვენ პარტიაში მისი წასვლის შესახებ?

**ჯავახიშვილი:** ორიოდე თვე არაფერი ისმოდა ჩოლოყაშვილისაგან. ისე კავშირი ქონდა მათთან დავით ვანნაძეს. უნდა აღვნიშნო, რომ ეს წვერი ცენტრ[ალური] კომიტეტისა სრულიად არ ემორჩილებოდა ცენტრ[ალურ] კომიტეტს.

**ოკუჯავა:** აქ წერია, მესამე ტ[ომი], 234 ფურც[ელი], სადაც წინასწარ ჩვენებაში ნათქვამია: „მე წინადადება შევიტანე, რომ მიეღოთ ყოველგვარი ზომები ამ ბანდის დასაშლელად და ჩოლოყაშვილის საზღვარგარეთ გაგზავნის შესახებო. მაგრამ ეს ჩემი წინადადება მიღებული არ იქნა“ /კითხულობს რუსულად/.

**ჯავახიშვილი:** მოგახსენებთ, ურჩიეს გადასულიყო ჩვენეთში ან დაღესტანში და ასეც მოხდა.

**ოკუჯავა:** არაა მაგრე. „რასპუსტიც ბანდუ ი პერეპრავიც ზაგრანიცუ“.

**ჯავახიშვილი:** დიას. პირველი ნახევარი თქვენგან თქმულისა მაგრე იყო, მეორე ნახევარში კი უნდა აღვნიშნო, რომ დაღესტანი მიიღეს უცხოეთათ. მაშინ ეს ასეც იყო. თუ იქ გადავიდოდა საქართველოდან ჩოლოყაშვილი, საქართველოში შეწყდებოდა ყოველგვარი რეპრესიები.

**ოკუჯავა:** თქვენ რამე ცნობა ხომ არ გქონდათ იმის შესახებ, რომ ჩოლოყაშვილი დაღესტანში თავის შესაფარებლად წავიდა, თუ სხვა რაიმე დავალებით?

**ჯავახიშვილი:** მე ვიცი, რომ ჩოლოყაშვილს ქონდა მუდმივი ურთიერთობა ჩეჩნებსა და ლეკებთან და მათთან რაიმე დავალების შესახებ იქ წასვლა არ დასჭირდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვქონდა ჩოლოყაშვილი მოგვეცილებინა კახეთს, ვინაიდან ჩოლოყაშვილი მეტ გაჭირვებას განიცდიდა ამ ხანებში.

**ოკუჯავა:** თქვენ ბრძანეთ, ჩოლოყაშვილმა გამოგზავნა კაცი და პარტიას შეეკითხა, თქვენთან კავშირი მინდა, ამოძრავებს ვაპირებ და მოითხოვა თქვენგან ნებართვა არა? მან ითხოვა ნებართვა თავის მოქმედების შესახებ პარტიისგან? თუ გქონდათ ცნობები 22 წელს ჩოლოყაშვილის ბანდასთან მენშევიკებს ქონდათ კავშირი თუ არა?

**ჯავახიშვილი:** გაგონილი მქონდა, რომ ცდილობდნენ გაებათ კავშირი. დაასახელეს ვიღაც კაცი, ესეა არ მახსოვს და ის ცდილობდა კავშირის გაბმას, მაგრამ რით დასრულდა ეს ცდა არ ვიცი.

**ოკუჯავა:** ხომ არ გქონიათ ცნობა, რომ მენშევიკები დახმარებას აძლევდნენ ჩოლოყაშვილს ფულით?

**ჯავახიშვილი:** არ გამიგონია.

**ოკუჯავა:** პარიტეტული კომიტეტს ქონდა კავშირი და აძლევდა თანხას თუ არა?

**ჯავახიშვილი:** არ აძლევდა, მაგრამ მე მაგონდება ერთი ჩვენება.

**თავმჯდომარე:** თქვენ ადასტურებთ თუ არა?

**ჯავახიშვილი:** არა, მე მინდა განვმარტო პირველი ჩვენება, თუ გნებავთ წაიკითხოთ.

**ოკუჯავა:** /კითხულობს რუსულად და შემდეგ თარგმნის/: თქვენ სწერთ, რომ მენშევიკები თავის მხრით აგზავნიდნენ მასთან ხალხს და აძლევდნენ დახმარებას. ბოლოს გაიგეთ, რომ პარიტეტული კომიტეტიც უწევდა დახმარებას ფულით.

**ჯავახიშვილი:** გავიგე, მაგრამ დანამდვილებით რომ ეს მოხდაო ამას ვერ ვიტყვი, ვერც ვიტყვოდი და მადაც სწერია „სლიშაღ“.

**ოკუჯავა:** ვისგან გაიგონეთ?

**ჯავახიშვილი:** ერთ-ერთი ჩემი ამხანაგისაგან, დანამდვილებით ვერ გეტყვით ვისგან. ეს სამი-ოთხი წლის წინათ გავიგე, მაგრამ რამდენათ მართალია არ ვიცი, იქ იყო ცდა.

**ოკუჯავა:** ასეთი ხმები ხშირათ მოდიოდა?

**ჯავახიშვილი:** ეგ ხმა იყო 22 წლის დასასრულს.

**ოკუჯავა:** ხომერიკს ხვდებოდი თუ არა?

**ჯავახიშვილი:** ადრე არ ვიცნობდი მას, შევხვდი 22 წლის მგონი ნოემბერში ორჯერ.

**ოკუჯავა:** საუბარი გქონდათ რაიმე მასთან?

**ჯავახიშვილი:** მე მითხრეს, რომ ხომერიკი უკმაყოფილო იყო, რადგანაც სამხედრო ორგანიზაციაში გავლენა ეკუთვნოდა მხოლოდ დემოკრატიულ პარტიას. ამიტომ მას უნდოდა ეს გავლენა შეენელებია და შეეტანა თავისი გავლენა შემდეგი ხერხით: მან მოისურვა დაეარსებია ერთი ორგანიზაცია პარიტეტულ კომიტეტსა და სამხედრო ცენტრს შორის, ეგრედ წოდებული სამხედრო კომისია და მთხოვა შევსულიყავით მასში. იყო ჩემთან ორჯერ და მთელი დრო ამ ბაასში გავატარეთ. ახლა ჩამოსული კაცი იყო საზღვარგარეთიდან და ინფორმაცია მომცა მისი ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ რაღაც სახიფათო გზას ადგა. ის ამტკიცებდა, რომ ჩვენ უნდა ავჯანყდეთ, წითელი ჯარი აქედან უნდა გავდევნოთ. მე შევეკითხე ვისი იმედით, ვინ მოგვეშველება? მან სთქვა დიპლომატიური შეველა იქნებაო. მე დიპლომატიური ძალის არასოდეს არ მჯეროდა. ის ჯარი, რომელიც ძალით შემოვიდა, სიტყვით არ წავა. ცხადია, ყოველთვის ასე იყო. კანონი ასეთია და ჩემთვის შეუძლებელი იყო დამეჯერებია და იმედები დამემყარებია ისეთ ამბავზე, რომ ვიღაც საიდგანაც პარიზიდან თუ ლონდონიდან იტყოდა, რომ გაჩერდით, თავი დაანებეთ საქართველოს და ეს ასე მოხდებოდა. სხვა მან ვერაფერი სთქვა. გამოირკვა, რომ ჩვენ ჩვენი ძალით უნდა გავგვედევნა წითელი ჯარი და შემდეგ იმათ უბრძანებენ და ისინი შენერდებიან. ამით ამოიწურა მთელი ეს საუბარი და შემდეგ ჩვენ არ შევხვედრილვართ.

**ოკუჯავა:** მოწმე, თქვენ ჩვენებაში გაქვთ ნათქვამი აქტიური დახმარების შესახებ?

**ჯავახიშვილი:** დახმარების, დიახ.

**ოკუჯავა:** აქტიური დახმარების?

**ჯავახიშვილი:** ერთი იყო დიპლომატიური ჩარევა და მერმედ ამტკიცებდა, რომ ანტანტა მოგვიტანს იარაღს, სურსათს და ყოველივე მასალას. რომ შევეკითხე თქვენ დარწმუნებული ხართ თუ რაიმე საბუთი გაქვთ? მან გამოსთქვა იმედი „დარწმუნებული ვარო“. მაგრამ რა თქმა უნდა მისი

რწმენა ჩემთვის საკმარისი არ იყო. ისიც კი თქვა: „ჩვენ ადვილად ვიშოვნით ათას მაუზერს, დანარჩენს მერმე მოგვაწვდიან“.

**ოკუფაცია:** ამ იარაღს საზღვარგარეთიდან ელოდა?

**ჯავახიშვილი:** დიას.

**ოკუფაცია:** როგორ ფიქრობთ მოწმე, როდესაც ტანსაცმელს გაწვდიან, იარაღს გაწვდიან, ეს დიპლომატიური დახმარება არის?

**ჯავახიშვილი:** არა, მე ვთქვი ორნაირი დახმარება, ერთი დიპლომატიური ჩარევა, რომ წითელი ჯარი გაიყვანონ და მეორე საშუალება იყო იარაღის და მასალის მოწოდება.

**ოკუფაცია:** იმის გარდა, რომ საზღვარგარეთიდან შეველას მოელოდით, ამის გარდა შიგ მუშაობა იყო თუ არა?

**ჯავახიშვილი:** სამხედრო ცენტრი იყო.

**ოკუფაცია:** ის აწარმოებდა სამხედრო მუშაობას?

**ჯავახიშვილი:** დიას.

**ოკუფაცია:** ხომ ვერ იტყვით რამეს სახარინის შესახებ? რაღაც სახარინი მოსულა.

**ჯავახიშვილი:** სახარინი მოვიდა გიორგი ღლონტისთვის და რადგანაც ასე ადვილი არ იყო საბაჟოდან მისი გამოტანა, ამიტომ წინამძღვრიშვილმა მომიტანა მე. მე ვიყავი მაშინ სარეცენზიო ბიუროს თავმჯდომარე და ყოველივე საქონლის გატანა და შემოტანა ჩვენ ხელში იყო. მომიტანა კომსამენტი საბუთი. რადგანაც დროებით სახარინის შემოტანა აკრძალული იყო, ამიტომ პირადად მთხოვა: „თუ შეგიძლიან 200 ლირა მომეცი“. მე მაშინ 300 ლირა მქონდა, ფული ფულობდა მაშინ, ეს საბუთი დავიტოვე და ფული მივეცი.

**ოკუფაცია:** წინამძღვრიშვილი თქვენი ორგანიზაციის წევრი იყო?

**ჯავახიშვილი:** დიას.

**ოკუფაცია:** სახარინი პირადად წინამძღვრიშვილის იყო თუ ორგანიზაციის?

**ჯავახიშვილი:** წინამძღვრიშვილის იყო, ვილაცას მაგის ფული მართებდა და ფულის მაგივრად გამომიგზავნაო.

**ოკუფაცია:** წინამძღვრიშვილი ცეკას წევრი იყო?

**ჯავახიშვილი:** დიას.

**ქავთარაძე (მსაჯული):** იყო თუ არა მენშევიკურ პარტიასა და ნაც[იონალ]-დემ[ოკრატიულ] პარტიას შორის ბრძოლა ჩოლოყაშვილზე, თუ რომელ პარტიას აქვს მასზე გავლენა?

**ჯავახიშვილი:** ეს მქონდა გაგონილი 1922 წ[ლის] დამლევს, პირველად მოგვარი ყური, მენშევიკები ცდილობდნენ მის გადაბირებას. მაშინ ამ ნიადაგზე დაიბადა ერთგვარი ქიშპობა.

**ქავთარაძე:** ე.ი. თქვენ ამბობთ, რომ მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტს და პარტიას უნდოდა ჩოლოყაშვილის გადაბირება, უნდოდათ წაერთვათ ნაც[იონალ]-დემოკრატიებისთვის?

**ჯავახიშვილი:** ხმები იყო, მაგრამ რაში გამოიხატებოდა...

**ქავთარაძე:** რაში გამოიხატებოდა არ გეკითხებით. ფაქტი იყო თუ არა? როგორ სწარმოებდა, ეგ სხვა საკითხია. იყო ასეთი ცდა მენშევიკურ პარტიის მხრივ, რომ მას ჩოლოყაშვილი გამოეტაცა ხელიდან ნაციონალ-დემოკრატიებისათვის?

**ჯავახიშვილი:** ეს ცდა გამოიხატება იმაში როგორც ამბობდნენ, რომ ჩოლოყაშვილთან ვილაც გაეგზავნათ, მაგრამ რა შედეგი მოყვა ამ ცდას არ ვიცი.

**ქავთარაძე:** შეგიძლიათ დაადასტუროთ, რომ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას ისეთი გრძნობა ქონდა, რომ ეს ძალა ე.ი. ჩოლოყაშვილის ბანდა მას ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას გამოეყენებია მენშევიკების წინააღმდეგ?

**ჯავახიშვილი:** ამის შესახებ მე გამიგონია, შეიძლება ეს იყოს ცალკე რომელიმე პიროვნების სურვილი. ცენტრ[ალურ] კომიტეტს კი ამის შესახებ არავითარი ლაპარაკი არ ქონია.

**ქავთარაძე:** თუ გახსოვთ თქვენი ჩვენება, თქვენ ამბობთ, რომ „ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას განზრახვა ქონდა გამოეყენებია ეს შეიარაღებული ძალა მენშევიკების წინააღმდეგო“. მომენტის შესახებ თქვენ არაფერს არ ამბობთ, მაგრამ თქვენ ერთგვარი განზრახვა გაქვთ აღნიშნული.

**ჯავახიშვილი:** ეს იყო ცალკე მიმდინარეობა თვით პარტიაში, მაგრამ ეს მიმდინარეობა შეადგენდა უმცირესობას და რომ ვთქვათ, პარტიას ქონდა განზრახვა ასეთიო, ამის თქმა არ შეიძლება, იმიტომ, რომ მაგის შესახებ ცეკაში არავითარი მსჯელობა არ გვქონია.

**ქავთარაძე:** მაშასადამე, თქვენ უარყოფთ თქვენს წინანდელ ჩვენებას ამ შესწორებით. მაშინ ამბობდით პარტიას და ასეთ დეტალიზაციას არ უკეთებდით, ესეა კი ამბობთ უმცირესობაზე და ერთ მიმდინარეობაზე. აქ ან შეუთანხმებლობა არის ან მაშინ ამბობდით მართალს ან ახლა.

**ჯავახიშვილი:** მე არ მახსოვს, რომ ეგ მეთქვას, მაგრამ თუ დაწვერე ვგულისხმობდი ერთ მიმდინარეობას. ერთგვარი მიმდინარეობა იყო ეს იმ ჯგუფის, რომელიც უკმაყოფილო იყო პარიტეტული კომიტეტის ხელშეკრულებით. ის პირობები, რომლებიც აღნიშნული იყო ხელშეკრულებაში ამ ჯგუფს არ აკმაყოფილებდა. იმათ ჰქონდათ ასეთი განზრახვა, მაგრამ მთელ პარტიაზე ვერ ვიტყვით. ამას გადაჭრით მოგახსენებთ.

**ქავთარაძე:** როგორი დაგა იყო შემდეგი პრინციპიალურ საკითხზე, ორიენტაცია დასავლეთისკენ თუ რუსეთისაკენ?

**ჯავახიშვილი:** ეგ უდავო იყო 21 წელში იმ ჯგუფისათვის, რომელიც მაშინ მუშაობდა და რომელსაც თუმცა მიძნელებდა, მაგრამ როგორც წელან ვსთქვი, კომიტეტი უნდა დავარქვა. ჩვენ ვამბობდით, რომ თუ კომუნისტები დაიცავენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ლაპარაკი არ იყო საჭირო, ვურიგდებოდით რუსეთის ორიენტაციას. ჩვენ ასე გვესმოდა დამოუკიდებლობა. აბსოლიუტური დამოუკიდებლობა არ არსებობს, მით უფრო შეუძლებელი იყო ჩვენთვის. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის უნდა გამოსახულიყო როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ და სამხედრო კავშირში განსაკუთრებული ხელშეკრულებით. იყო აზრი და ბუნებრივია, სანამ დაარსდებოდა კავშირი იმ წესით, როგორც ესეა არსებობს, ეს მიმდინარეობა ამბობდა, რომ ჩვენი მინიმუმი არის დაახლოებით იმგვარი ავტონომია, როგორც ქონდა რუსეთისგან ფინლანდიას. 1921 წელში ჩვენი ჯგუფი ემხრობა ან ურიგდება რუსეთის ორიენტაციას.

**ქავთარაძე:** უკაცრავათ, რა ჯგუფი იყო ეს?

**ჯავახიშვილი:** 22 წელში, რომელიც შესდგებოდა 6-7 კაცისაგან. წინათ პარტიის ცეკაში იყო 36 კაცი, გასაბჭოების შემდეგ იყო 7 კაცი და როდესაც ვამბობ მე ცეკას და ჯგუფს ეს ერთი და იგივეა.

**ქავთარაძე:** მე არ მესმის, ეს ცეკა იყო რუსეთის ორიენტაციის მატარებელი?

**ჯავახიშვილი:** პირობით თუ შევინარჩუნებდით...

**ქავთარაძე:** პირობით თუ უპირობოთ, აქ უნდა დაუპირდაპიროთ ერთმანეთს ორი ორიენტაცია დასავლეთ ევროპისა და რუსეთის. თქვენ ამბობთ, რომ ჩვენი ცეკა იყო მომხრე რუსეთის ორიენტაციისა. ტექსტუალურათ ასე ამბობთ /კითხულობს რუსულათ/: ზადაჩი მომენტა ი სრედსტვა... თქვენ გახსოვთ ალბად, მთლიანად არ წავიკითხავ.

**ჯავახიშვილი:** დიას.

**ქავთარაძე:** მაშასადამე, იყო მომენტი, დროზე არ შეგჩერდები, როდესაც ნაც[იონალ]-დემ[ოკრატიულ] პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღიარებდა რუსეთის ორიენტაციას წინააღმდეგ ევროპისა?

**ჯავახიშვილი:** დიას, იყო, რადგანაც ის მომენტი იყო ერთგვარი დამოუკიდებლობას...

**ქავთარაძე:** მაშ, რა მიზნით იყო გაგზავნილი შალვა ამირაჯიბი ჩოლოყაშვილთან?

**ჯავახიშვილი:** წელან მოგახსენეთ, გავიმეორებ.

**ქავთარაძე:** სწორედ წელან ვერ გავიგე.

**ჯავახიშვილი:** 1 მაისს 1922 წ[ელს] ჩვენ გავიგეთ, რომ ჩოლოყაშვილთან უნდა წასულიყვნენ ხელისუფლების დავალებით გიორგი ხიმშიაშვილი და როსტომ მუსხელიშვილი და დაეთანხმებიათ ის კაცი ხელი აეღო მუშაობაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლაზე. ჩვენ გვინდოდა ამით გვესარგებლა, ხელსაყრელი პირობები იყო და გავაგზავნეთ ჩვენი კაცი გვეთქვა მისთვის, რომ თუ შეთანხმება იქნება პირობად დაედვა მთავრობისათვის ჩვენი დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება.

**ქავთარაძე:** მაშასადამე, ამირაჯიბს არ მოუხსენებია, რომ ჩოლოყაშვილი საბოლოოდ ემორჩილება ნაც[იონალ]-დემ[ოკრატიების] დავალებებს. როდესაც ის დაბრუნდა ჩოლოყაშვილთან, რა თქმა უნდა გითხრათ ასათიანის და კელიას განთავისუფლების შესახებ, მაგრამ იმის შესახებ არაფერი უთქვამს, რომ ამიერიდან ჩოლოყაშვილი სავსებით ემორჩილება ნაც[იონალ]-დემ[ოკრატიების] პარტიას და პარიტეტულ კომიტეტს?

**ჯავახიშვილი:** შეიძლება, მე არ მახსოვს. წელან მოგახსენეთ, რომ უკვე გაზაფხულიდან ჩვენ პარტიას ჰქონდა მასთან ურთიერთობა, მხოლოდ ამირაჯიბი დაბრუნდა მაისში. ლოლიკურად

შეუძლებელია, რომ იქ იყოს ნახსენები პარიტეტული კომიტეტი. ტექსტუალურად უსათუოდ შეცდომა არის.

**ქავთარაძე:** ნება მიბოძეთ წავიკითხო.

**თაგმჯდომარე:** წავიკითხეთ.

**ქავთარაძე:** „კომიტეტ პოსტალ ვ კახეთიუ შალვა ამირაჯიბი, კოტორი...“ აი, ამნაირად აქედან სჩანს, რომ დავალება, მისია შალვა ამირაჯიბის სულ სხვა იყო, ეს ნამდვილი პოლიტიკური მისია არის. უარყოფთ ამას?

**ჯავახიშვილი:** 3 წელიწადი გავიდა, რაც ეს ჩვენება დაწერილია. მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, ლოგიკურად შესაძლებელია მხოლოდ ერთი, ყოველად შეუძლებელია მაშინ პარიტეტულ კომიტეტის ხსენება, ვინაიდან ის არ არსებობდა. წედან მოგახსენეთ, რომ პარიტეტული კომიტეტი შესდგა ზაფხულის დამლევის. ეს ამბავი კი ჩვენ გავიგეთ 1 მაისს და 2 მაისს დილით შალვა ამირაჯიბი წავიდა კახეთში. მაშასადამე, მაქ უნდა შესწორდეს, პარიტეტული კომიტეტის მაგიერ უნდა იყოს პარტიული კომიტეტი.

**ქავთარაძე:** ჩოლოყაშვილი რომ გავიდა ტყეში, ეს ხომ არ იყო პარტიის დირექტივა?

**ჯავახიშვილი:** წედან ვთქვი, რომ არ გამიგია.

**იასონ ჯავახიშვილი (ბრალდებული):** რომ ყოფილიყო, თქვენ გეცოდინებოდათ თუ არა?

**მ. ჯავახიშვილი:** ეს უკვე უნდა მცოდნოდა როგორც ვსთქვი, მე მითხრეს, რომ ის კაცი ორჯერ-სამჯერ დააპატიმრეს და მერმედ სთქვა: „მე არ შემიძლიან აქ ყოფნა, სულ ერთია დამაპატიმრებენ“. ეს თუ ვიცი, ისიც უნდა მცოდნოდა.

**ი. ჯავახიშვილი:** პირველად კონტაქტი ცეკამ ჩოლოყაშვილის რაზმთან ვისი საშუალებით დაიჭირა?

**მ. ჯავახიშვილი:** დავით ვაჩნაძის.

**ი. ჯავახიშვილი:** პირველად ვინ გაიგზავნა ჩოლოყაშვილთან?

**მ. ჯავახიშვილი:** პირველად გაიგზავნა შალვა ამირაჯიბი.

**ი. ჯავახიშვილი:** შალვა ამირაჯიბი რომ გავგზავნეთ, მაშინ უკვე ორგანიზაცია იყო შექმნილი?

**მ. ჯავახიშვილი:** რამდენადაც მახსოვს კი.

**ი. ჯავახიშვილი:** ეპარცვოთ და ტერორი გამოუშვათო ხომ არ გვითქვამს?

**მ. ჯავახიშვილი:** არა.

**ი. ჯავახიშვილი:** თქვენ თვით დაესწართ კრებას?

**მ. ჯავახიშვილი:** დიახ, დავესწარი.

**ი. ჯავახიშვილი:** თქვენ ხომ არ იცით ვინ არის „სამფერი“?

**მ. ჯავახიშვილი:** მე მგონია, თქვენგან გამიგონია, რომ ეს უნდა იყოს ვაჩნაძე დავითი.

**ი. ჯავახიშვილი:** ეს მარტო ჩემგან გაგიგონიათ თუ ცენტრ[ალურ] კომიტეტმაც იცოდა ვინ იყო „სამფერი“?

**მ. ჯავახიშვილი:** ჯერ მე თქვენგან გავიგე და შემდეგ წერილი რომ გამოაქვეყნა „ზარია ვოსტოკა“-მ, ამან მოიყვანა აღშფოთებაში იასონ ჯავახიშვილი და მითხრა: აი უყურე, როგორ შეუსრულებია ამას ჩვენი დავალებაო. ჩვენი დავალებით ქაქუცას ფეხი არ უნდა გადაედგაო, თავს რომ დასხმოდენ არ უნდა ებრძოლაო, არ უნდა აეტყხა სროლა, უნდა ცდილიყო მხოლოდ თავის დასწევასო. ამის შესახებ ჩვენ გვქონდა სჯა-ბაასი და დავადასტურეთ დავით ვაჩნაძის მოქმედება.

**ი. ჯავახიშვილი:** თქვენ წერილის შესახებ გაიგეთ „პოსტფაქტუმ“?

**მ. ჯავახიშვილი:** დიახ, გაზეთიდან.

**ი. ჯავახიშვილი:** გასცა თუ არა კომიტეტმა განკარგულება, რომ ხევსურეთში ჩოლოყაშვილი აჯანყებით გამოსულიყო?

**მ. ჯავახიშვილი:** არა, ვერ ვიტყვი მაგას.

**ი. ჯავახიშვილი:** ეგებ საწინააღმდეგო განკარგულება გასცა ცეკამ?

**მ. ჯავახიშვილი:** მე მახსოვს, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ერთ ხანს ცდილობდა თავის მორიდებას. ეს სავსებით ეთანხმებოდა იმ დირექტივებს, რომელიც ჩვენ მას გაუგზავნეთ და უშუალოდ მიიღო კიდევ ეს დირექტივები. ასეთი დირექტივები იყო, მე ეს კარგად მახსოვს.

**ი. ჯავახიშვილი:** თქვენ იცით თუ არა რა ადგილი ეჭირა პარტიაში კალე მესაბიშვილს ვიდრე მას დააპატიმრებდენ?

**მ. ჯავახიშვილი:** ის იყო წარმომადგენელი, ცეკას წევრი. დააპატიმრების შემდეგ, როდესაც გამოუშვეს მგონი დეკემბრის დამლევის 22 წელში.

**ი. ჯავახიშვილი:** გამოშვების შემდეგ დებულობდა თუ არა მონაწილეობას არალეგალურ მუშაობაში?

**მ. ჯავახიშვილი:** თუგინდ დაწვრილებით მოგახსენებთ.

**თავმჯდომარე:** მოკლეთ უპასუხეთ.

**მ. ჯავახიშვილი:** მოკლეთ, იღებდა.

**ი. ჯავახიშვილი:** თქვენ ხომ არ იცით, როდესაც იმან დაიწყო მუშაობა ლეგალიზაციაზე, ჩვენ წინასწარ გვითხრა, თუ იძულებული იყო ელიარებინა ეს ფაქტი მაშინ, როდესაც გავიგეთ?

**მ. ჯავახიშვილი:** ეს შემდეგ იყო.

**ი. ჯავახიშვილი:** როგორ ახსნა თავის მოქმედება მან, სად ვმუშაობო?

**თავმჯდომარე:** რისთვის გესაჭიროება ასეთი საკითხის მიცემა?

**ი. ჯავახიშვილი:** იმისთვის, რომ კალე მისაბიშვილის მოკვლაში ბრალს სდებენ არა მარტო ჩვენს პარტიას, არამედ მთელ პარიტეტულ კომიტეტს იმიტომ, რომ ის მომხრე იყო ლეგალიზაციის.

**თავმჯდომარე:** თქვენ გინდათ დაამტკიცოთ, რომ არ მიუღია მის მოკვლაში თქვენს პარტიას მონაწილეობა?

**ი. ჯავახიშვილი:** თუ ნებას დამრთავთ მოგახსენებთ...

**თავმჯდომარე:** თქვენ გსურთ დაამტკიცოთ, რომ მის მოკვლაში თქვენს პარტიას მონაწილეობა არ მიუღია?

**ი. ჯავახიშვილი:** დიას, ეს ერთი და მეორე ის, რომ ის არ იყო ლოიალური ჩვენი პარტიისადმი არც ეროვნულ საკითხისადმი როგორც ეს გვესმოდა ჩვენ. ეს სწორეთ საჭიროა ჩემთვის.

**თავმჯდომარე:** თქვენთვის შეიძლება იქნეს საჭირო, საქმისთვის კი არ არის საჭირო.

**ი. ჯავახიშვილი:** მოწმის ჩვენებაში არის ეს ადგილი და თუ ამის შესახებ არ შემიძლია შეკითხვა მივსცე, მაშინ...

**თავმჯდომარე:** შეიძლება მოწმის ჩვენებაში ბევრი სხვა ადგილიც არის, რომელიც საქმის ვითარებას არ არკვევს, მაშინ სასამართლოს შეუძლია ეს ადგილები გამოუშვას.

**ი. ჯავახიშვილი:** თქვენ აჩვენებთ, რომ მე გითხარი, რომ მისაბიშვილი არის გამცემელი?

**მ. ჯავახიშვილი:** ეჭვი მიიტანეს იმაზე და მახსოვს, რომ დაიწყო საქმის გამოძიება.

**ი. ჯავახიშვილი:** გაგაფრთხილეთ თუ არა თქვენ, რომ ის გამცემელია?

**მ. ჯავახიშვილი:** დიას.

**თავმჯდომარე:** გაფრთხილებთ ბრალდებულს, რომ ეგ საკითხი სასამართლოს გამოძიების საგანს არ შეადგენს, მისაბიშვილი პროვოკატორი იყო თუ არა? თქვენ წამოყენებული გაქვთ კონკრეტული ბრალდება მისაბიშვილის სიკვდილის შესახებ. კითხეთ მოწმეს, შეუძლია დაადასტუროს, მიგიღიათ თქვენ მონაწილეობა თუ არა?

**ი. ჯავახიშვილი:** თუ ნებას მიბოძებთ, ერთი საკითხი.

**თავმჯდომარე:** მაგის შესახებ არ მოგცემ ნებას.

**ი. ჯავახიშვილი:** ნება მომეცით ერთი საკითხი მეც მივცე.

**თავმჯდომარე:** მაგის შესახებ არ მოგცემთ. სხვა საკითხი გაქვთ?

**ი. ჯავახიშვილი:** არა, მაგის შესახებ არა. იმ საკონსტრუქციო კომისიაში, რომელიც შედგენილი იყო ჩვენ და მენშევიკურ პარტიის მიერ და რომელშიაც შედიოდა ნოე ხომერიკი და მიხეილ ჯავახიშვილი, ხომ არ ეკავა რაიმე ადგილი მისაბიშვილს?

**მ. ჯავახიშვილი:** ხომერიკმა მთხოვა გამეგზავნა ვინმე მცირედი ტენიკური მუშაობის შესასრულებლად. მე გავგზავნე კალე მისაბიშვილი, მაგრამ მეორე დღეს იასონ ჯავახიშვილმა შემატყობინა, რომ ის კაცი საეჭვო არის. ეს მე შევატყობინე ხომერიკს და ის მაშინვე იქმნა მოხსნილი.

**თავმჯდომარე:** მოწმე, თქვენ შეგიძლიათ აღარ უპასუხოთ! თქვენ გაცვით სასამართლოს პასუხი, რომ მისაბიშვილი საეჭვო პიროვნება იყო, კომისიაში რა ადგილი ეკავა. მე მგონია საკმარისია. ერთ და იმავე საკითხზე არ შეიძლება 100 ჯერ პასუხი.

**ი. ჯავახიშვილი:** სამხედრო ცენტრის ან ცეკას წევრი იყო როდესმე პოლკოვნიკი ლეონიძე?

**მ. ჯავახიშვილი:** არ გამიგია.

**ი. ჯავახიშვილი:** ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი ან ჩვენთან ან თქვენთან იოსებ ცინცაძეს ან ზანდუკელს?

**მ. ჯავახიშვილი:** არ მახსოვს.



**ი. ჯავახიშვილი:** თქვენ ხომ არ იცით, რა წესებით ხდებოდა ჩვენ პარტიაში წევრების მიღება, წინასწარ უდებდით პირობას ან კაცი მოეკლათ ან გაეძარცვათ და მერმედ ვიღებდით?

**მ. ჯავახიშვილი:** არასოდეს არ გამოვიდა, რამე ასეთი არ მომხდარა.

**ი. ჯავახიშვილი:** მე გთხოვთ, ეს ნაწილი ჩვენების შეიტანოთ ოქმში.

**მესხიშვილი (დამცველი):** თქვენ წელან მოახსენეთ სასამართლოს ხომერიკის შესახებ. ხომ არ იცით საიდან მოელოდა ის 1000 რევოლვერს, ხომ არ იცით მიიღო თუ არა?

**მ. ჯავახიშვილი:** ეს არ უთქვამს, სთქვა: „ჩვენ მოვახერხებთ“.

**მესხიშვილი:** ამ დროის განმავლობაში რევოლვერები ვისმეს ხომ არ გამოუგზავნიან?

**მ. ჯავახიშვილი:** არა, არ გამოვიდა.

**მესხიშვილი:** ასე რომ, როგორც თქვენ ბრძანეთ ეს ხომერიკის რწმენა იყო?

**ანჯაფარიძე (ბრალდებული):** გთხოვთ მოწმე, მიპასუხოთ ერთ საკითხზე, რის შესახებ დაიწყეთ ლაპარაკი ხომერიკთან პირველად?

**მ. ჯავახიშვილი:** პირველად რა თქმა უნდა ლაპარაკი იყო ინფორმაციის შესახებ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, იმის შესახებ, რაზედაც უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, როდესაც ხვდები ვინმეს იქიდან დაბრუნებულს.

**ანჯაფარიძე:** ინტერვენციაზე ლაპარაკი ხომ არ გქონიათ ხომერიკთან?

**მ. ჯავახიშვილი:** ინტერვენციაზე ლაპარაკი არასოდეს არ შეწყვეტილა, ქუჩებშიდაც იყო, ლაპარაკი იყო ამის შესახებ, რომ ერთი სახელმწიფო გამოიწვევს მეორეს, მოხდება გართულება და მაშინვე დაიწყება საქართველოს ინტერვენცია.

**ანჯაფარიძე:** ხომერიკმა გითხრათ ინტერვენციის შესახებ რაიმე?

**მ. ჯავახიშვილი:** ხომერიკმა გამოსთქვა მხოლოდ იმედი, რომ მდგომარეობა მტკიცე არ არის, რომ დღეს თუ ხვალ ევროპა დაეჯახება საბჭოთა კავშირს და მოხდება ომი.

**ანჯაფარიძე:** ჩვენი საკითხის გულისათვის?

**მ. ჯავახიშვილი:** რა თქმა უნდა არ სჯეროდათ, რომ მარტო ჩვენი საკითხისათვის. ჩვენი საკითხი იყო მხოლოდ ერთი მუხლი ამ საერთო საკითხისა.

**თაემჯდომარე:** მოწმე სწორედ დადებით და სასამართლოს უპასუხეთ.

**ანჯაფარიძე:** რა გითხრათ, არის საჭირო აჯანყება?

**მ. ჯავახიშვილი:** ცხადია, საქართველოს განთავისუფლებლად.

**ანჯაფარიძე:** თუ ის მოელოდა განთავისუფლებას სხვა გზით, რაღა საჭირო იყო აჯანყება?

**მ. ჯავახიშვილი:** იმას ქონდა ასეთი გეზი: თუ იმ დროს, როცა შევემზადებოდით, რაიმე გართულება ატყდებოდა, მით უმეტესი, თუ არ ატყდებოდა, მაშინ თვითონ აჯანყდებითო, წითელ ჯარს გაგაძევეთ საქართველოდანო. ამას მოყვება ორნაირი დახმარება ევროპის მიერ, პირველი – დიპლომატიური ჩარევა და ომის შეჩერება და მეორე – სამხედრო მასალების გამოგზავნა. მე შევეკითხე: ამ დახმარების სამზადისი არის თუ არაო? მან სთქვა: ყოველიფერი ეს იქნება თავის დროზეო.

**ანჯაფარიძე:** მის შემდეგ, რაც ხელისუფლება განდევნილი იქნებოდა, თუ ამ ხელისუფლებასთან შესაბრძოლებლად?

**მ. ჯავახიშვილი:** არა შემდეგ.

**თაემჯდომარე:** როგორ ფიქრობთ, თქვენ ასეთი მდგომარეობა რომ შექმნილიყო, ხელისუფლება წასულიყო აქედან შინაური ძალების საშუალებით, შემდეგ რაღა საჭირო იქნებოდა ევროპის დახმარება და მისი გამოგზავნილი ტყვია-წამალი? ასე ლაპარაკობდა ხომერიკი, რომ მერე გამოგზავნიან ამ ათას მაუხერსო?

**მ. ჯავახიშვილი:** არა, ათას მაუხერს ქალაქში საბრძოლველად გიშოვნითო. აჯანყება დაიწყება დასავლეთ საქართველოდანო, ჩავიგდებთ ხელში განაპირა უბნებსო და ამ დროს მოგვეშველება ევროპაო.

**ქარცივაძე (ბრალდებული):** როდის იყო მაგ ლაპარაკი?

**მ. ჯავახიშვილი:** ეს უფრო დეკემბერში ან იანვრის დამდეგს.

**ქარცივაძე:** რად აჩვენეთ წინასწარ გამოძიების დროს: „ვ სკორე პოსლუ პრიეზდა ხომერიკი“?

**მ. ჯავახიშვილი:** „ვ სკორე სლიშკომ რასტიაჟიმოე პონიატიე“. მე მგონია, რამდენათაც მაგონდება, ხომერიკი წამოვიდა ოქტომბრის დამდეგს ან ნოემბრის დასაწყისში და აი, ამ ორ თვეზე შეიძლება ითქვას „ვ სკორე“.

**ქარცივაძე:** ხომერიკი რომ გელაპარაკებოდა, პარტიისას გელაპარაკებოდა თუ თავის კერძო აზრებს?

**მ. ჯავახიშვილი:** მე არ შემიძინებია, რომ ყოფილიყოს პარტიის დავალება, რადგანაც „პარტია“ ეს სიტყვა არ უხსენებია.

**თავმჯდომარე:** თქვენ გჯერათ, რომ ხომერიკი თავისი სახელით ლაპარაკობდა, რომ ის პარტიის გარეშე გელაპარაკებოდა?

**მ. ჯავახიშვილი:** მე არ მგონია ეგ.

**თავმჯდომარე:** იცით თუ არა ხომერიკი რისთვის ჩამოვიდა? ის ხომ აცხადებს რისთვისაც ჩამოვიდა და ამის შემდეგ თქვენ სასამართლოს წინაშე ლაპარაკობთ, რომ ის პარტიის სახელით არ გელაპარაკებოდა?

**მ. ჯავახიშვილი:** ფიზიკურათ მას ჩემთან პარტია არ უხსენებია, რომ ამ საგანზე მელაპარაკებოდა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მე ვფიქრობ, რომ ის ლაპარაკობდა მთელი პარტიის ან და პარტიის რომელიმე მიმდინარეობის სახელით.

**ქარცივაძე:** თქვენ ბრძანებთ, რომ სამხედრო ცენტრი აწარმოებდა მუშაობას. არ შეგიძლიათ დაგვისახელოთ კონკრეტულად?

**მ. ჯავახიშვილი:** ცოტა ადრე ზაფხულზე, როცა დაარსდა სამხედრო ცენტრი, მოგვივიდა ინფორმაცია უცხოეთიდან: შეიძლება პოლიტიკური ვითარების გამო წითელმა ჯარმა დასტოვოს საქართველო, მაშინ საქართველოს მეზობლები და განსაკუთრებით ოსმალეთი დაიჭერენ სადაო ადგილებს ბათუმს, ახალქალაქს და ახალციხეს და ვინაიდან შესაძლებელია, რომ სწრაფათ მოხდეს ევაკუაცია, შეიძლება საქართველოში მოხდეს არეუ-დარევა, ამიტომ გევალებათ გექმნათ ისეთი მდგომარეობა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში შესძლოთ ჯარის ნაწილების შექმნა წესიერების აღდგენა და საზღვრების დაცვა. ეს იყო პირველი საფუძველი, პირველი საბაბი სამხედრო ორგანიზაციის დაარსებისა. სამხედრო ორგანიზაცია, სანამ პარტიაში ვმუშაობდი აწარმოებდა აღრიცხვით ხასიათის მუშაობას. აღრიცხვაზე აყავდა ხალხი, იარაღი და ყოველგვარი მასალები, რომელიც საჭირო იყო ჩვეულებრივ ომისათვის ან ჯარისათვის.

**ქარცივაძე:** ვისი საშუალებით შვებოდით მაგ აღრიცხვას?

**მ. ჯავახიშვილი:** კარგათ არ მახსოვს, მაგრამ მგონი დაარსებული იყო ადგილობრივი განსაკუთრებული კომისიები, რომელთაც დავალებული ქონდათ აღრიცხვის მოხდენა.

**ქარცივაძე:** სამხედრო ცენტრზე გეკითხებით მე, სამხედრო ცენტრზე.

**მ. ჯავახიშვილი:** არა, მგონი ეს დავალებული ქონდა პარტიებს და პარტიები აწარმოებდნენ სამხედრო ცენტრისათვის მასალების შემზადებას.

**მესხიშვილი (დამცველი):** აი, თქვენ მოახსენეთ სასამართლოს, რომ გახსოვთ პროცესი მოლაპარაკებისა პარიტეტულ კომიტეტის შექმნის შესახებ. როგორი შეთანხმება მოხდა პარტიებს შორის? საკითხები როგორ უნდა გადაწყვეტილიყო?

**მ. ჯავახიშვილი:** ერთხმად.

**მესხიშვილი:** ეს შეთანხმების მუხლი გახლავთ თუ არა?

**მ. ჯავახიშვილი:** დიახ.

**მესხიშვილი:** მე მეტი არაფერი მაქვს.

**იშხნელი (ბრალდებული):** მოწმე, გთხოვთ მოახსენოთ სასამართლოს იმ დროს, როდესაც მე და თქვენ პრეზიდენტის წევრები ვიყავით, ხომ არ გახსოვთ ექსპროპრიაციის საშუალებით ხომ არავინ...

**მ. ჯავახიშვილი:** არასოდეს.

**იშხნელი:** საზოგადოთ თუ იყო ოდესმე დასმული საკითხი ექსპროპრიაციის შესახებ ან ახალგაზრდების ცეკაში, რომ ვითომ ლეო დგებუაძე აწარმოებს ექსპროპრიაციებს?

**მ. ჯავახიშვილი:** არ გამიგია.

**იშხნელი:** თუ გახსოვთ 1923 წლის თებერვალში თქვენი დაპატიმრების წინა დღით, როდესაც ერთად ვლაპარაკობდით, როდესაც გამოირკვა კალე მისაბიშვილი პროვოკატორი იყო, ვფიქრობდით ჩვენ თუ არა მის საზღვარგარეთ გაგზავნას?

**მ. ჯავახიშვილი:** იყო ლაპარაკი როგორც მახსოვს როგორმე ჩამოვაშოროთ ის აქაურობას, კარგი იქნება, რომ წავიდეს.

**იშხნელი:** იყო თუ არა ლაპარაკი, თანხა რომ გექონდეს გავაგზავნით საზღვარგარეთ?

**მ. ჯავახიშვილი:** დიახ, იყო, მაგრამ მე მგონია რამოდენიმე დღის წინეთ კი არა, არამედ 2-3 კვირის წინეთ ჩემ დაპატიმრებამდე.

**დადიანი (დამცველი):** იცნობთ თქვენ თუ არა ყველას თქვენ პარტიის წევრებს ტფილისში?

**მ. ჯავახიშვილი:** ყოველად დაუშვებელი იყო. საერთოდ მე მეტად დაშორებული ვიყავი პარტიის მუშაობასთან მუდმივ არა მარტო 1921 წლიდან, არამედ დღიდან პარტიის დაარსებისა.

**დადიანი:** რაიმე რეგისტრაცია სწარმოებდა თუ არა რამდენი წევრი იყო?

**მ. ჯავახიშვილი:** არ გამოვიცა.

**დადიანი:** თქვენ იცნობთ თუ არა ზურაბ ავალიშვილს, რომელიც საზღვარგარეთ არის?

**მ. ჯავახიშვილი:** პირადათ?

**დადიანი:** დიახ.

**მ. ჯავახიშვილი:** არა, პირადათ არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ არის ესა და ეს კაცი.

**დადიანი:** ხომ არ იცნობთ მის ძმას?

**მ. ჯავახიშვილი:** აბა რა მოგახსენოთ, მე ათას ვიცნობ, მაგრამ გვარი და სახელი რომ მითხრათ ვერ გეტყვით. მაჩვენეთ და მაშინ გეტყვით.

**დადიანი:** პარიტეტულ კომიტეტში შალვა ამირაჯიბი შედიოდა თუ არა?

**მ. ჯავახიშვილი:** არა, არ გამოვიცა.

**დადიანი:** შეეძლო შალვა ამირაჯიბს პარიტეტულ კომიტეტის სახელით დავალება მიეცა ვინმესთვის?

**მ. ჯავახიშვილი:** შეეძლო დავალების მიცემა ჯავახიშვილს. ამირაჯიბი არ იყო წევრი.

**დადიანი:** თქვენ რაიმე კავშირი ხომ არ გქონიათ ჩრდილო კავკასიაში?

**მ. ჯავახიშვილი:** საქართველოს გარეშე არავითარი კავშირი არავისთან ჰქონია ჩვენ პარტიას გარდა პარტიის განყოფილების სტამბოლში. იყო უბრალო მიწერ-მოწერა.

**ოკუჯავა (მსაჯული):** თქვენ პარტიას საიდან ქონდა სამუშაო თანხები?

**მ. ჯავახიშვილი:** ამის შესახებ მოგახსენებთ, რომ სანამ დაარსდებოდა პარიტეტული კომიტეტი და მას მოუვიდოდა ფული, პარტია ძალიან ხელმოკლე იყო, მით უმეტეს 22 წლის განმავლობაში, როცა არც ვმუშაობდით მაინცადამაინც და ფულიც არ იყო საჭირო. მახსოვს, რომ ერთხელ ჩვენ სტამბოლის განყოფილებიდან მოგვივიდა ექვსასი ლირა და ეს თანხა მეტად საგრძნობი იყო ჩვენთვის მაშინ.

**ოკუჯავა:** სხვა თანხებს საიდან ღებულობდით?

**მ. ჯავახიშვილი:** სხვა თანხები არ გვქონდა. თუ ვინმე პროვინციელი ამხანაგი ჩამოვიდოდა, აქ ადგილობრივი ორგანიზაციების ხარჯზე იყო და ისინი საიდან შოულობდნენ არ ვიცი.

**ქარცივაძე (ბრალდებული):** თქვენ ბრძანეთ, სანამ პარიტეტი დაარსდებოდა ასეთი იყო ჩვენი ფინანსური მდგომარეობაო. შემდეგ პარიტეტის დაარსებისა რაღა მოხდა?

**მ. ჯავახიშვილი:** მერე გავიდა დიდი ხანი და მგონი შემოდგომაზე თუ ზამთარში 22 წლისა გადმოგვცა პარტიამ თანხა.

**ქარცივაძე:** რამდენი თუ იცით?

**მ. ჯავახიშვილი:** რამოდენიმე ასი ლირა, სამასი თუ ოთხასი, არ ვიცი.

**ქარცივაძე:** ვისგან გაიგეთ ეს თქვენ?

**მ. ჯავახიშვილი:** მე იასონ ჯავახიშვილისაგან გავიგე.

**დადიანი (დამცველი):** თქვენ მოახსენეთ სასამართლოს, რომ პარტიაში იყო ერთი ნაწილი უკმაყოფილო, რითი იყო უკმაყოფილო ეს ნაწილი თქვენი პარტიისა, რა იყო ამის მიზეზი?

**მ. ჯავახიშვილი:** მიზეზი მრავალფეროვანი იყო. ერთი ნაწილი პარტიისა უკმაყოფილო იყო, რომ ხელისუფალმა პარტიამ ასე ადვილად წააგო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ და მაშასადამე, ასეთ პარტიასთან კავშირს არაფერი ფასი ექნებაო. მეორე, ჩვენ ურიგდებოდით რუსეთის ორიენტაციას იმდენად, რამდენადაც იმედი გვქონდა, რომ შეზღუდულ დამოუკიდებლობას მაინც შევინარჩუნებდით.

**ი. ჯავახიშვილი (ბრალდებული):** თქვენ დეკლარაციას მოაწერეთ ხელი?

**მ. ჯავახიშვილი:** რომელს აგვისტოსას?

**ი. ჯავახიშვილი:** დიახ.

**მ. ჯავახიშვილი:** მოვაწერე...

**ი. ჯავახიშვილი:** მარტო თქვენ?

**მ. ჯავახიშვილი:** არა, ცენტრალურ კომიტეტის ყველა წევრმა.

**ი. ჯავახიშვილი:** ამის გამო ხომ ტერორი უნდა მოგვეწყო, მოვაწყვეთ?

**მ. ჯავახიშვილი:** ფურცელი გამოუშვით მხოლოდ.

**ი. ჯავახიშვილი:** არ შეგვეძლო რომ მოგვეწყო?

მ. ჯავახიშვილი: რატომ არა, ოცი კაცი ვიყავით ცეკას წევრი ან ერთს მოვასწრებდით ან მეორეს.

თავმჯდომარე: კრებას ვსწვევებ ათი წუთით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 375, ტომი 1, ფურცლები 471-514.

**Levan Jikia**

### **Mikheil Javakhishvili in face of the Soviet court (July 18, 1925)**

#### Resume

A famous writer Mikheil Javakhishvili was actively involved in political life of Georgia in 10-20's of the 20<sup>th</sup> century. From the beginning, Mikheil Javakhishvili was a member of the Socialist-federalist party of Georgia, and later he turned out to be in the ranks of National-democratic party of Georgia. In February-March of 1921 the Soviet Russia performed an occupation and annexion of democratic republic of Georgia. The Soviet regime was established in Georgia. Mikheil Javakhishvili, as well as the most part of Georgian patriots actively joined in a anti-Soviet national movement. In August 1922 five leading opposition political parties of Georgia created "The Committee for the independence of Georgia" (so-called "Damkom"), which, in its turn, founded different commissions, among which so-called "Military commission" should be noted, in which Mikheil Javakhishvili was represented on behalf of the National-democratic party. The activity of Military commission became known for the Extraordinary Commission of Georgia ("Cheka") and as a result in 1923 Mikheil Javakhishvili was arrested. Soviet regime sentenced him to death by firing squad. Georgian writers, under the direction of Pavle Ingorokva, came to Sergo Orjonikidze, the Chairman of Transcaucasus regional committee (Bureau) of Russian communist party (bolsheviks) and appealed him for pardon. A miracle happened and Sergo Orjonikidze granted pardon to Mikheil Javakhishvili. However, Javakhishvili was so oppressed due to time spent in prison that he completely withdrew from political activity.

In August 1924 there were occurred a powerful national anti-Soviet uprising in Georgia, however it ended in failure, and afterwards the process of execution-imprisonment of uprising's participators and "suspected" persons has begun. In July-August 1925 the court process of 47 ringleaders of a rebellion (who were miraculously survived from execution) took place. The court also became interested in Mikheil Javakhishvili and he was interviewed as a witness. Stenograph of testimony given by Mikheil Javakhishvili on trial is brought to your notice.

## გენათელი მიტროპოლიტის ეფთვიმის წყევლა

რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის (1801-1825) მიერ 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას, ქვეყნის ოკუპაციას და ანექსიას 1811 წელს მოჰყვა მცხეთის უძველესი საპატრიარქოს ავტოკეფალიის (თვითმწყემსობის) გაუქმება. 1809 წელს იმერეთის მეფის სოლომონ II-ის ტახტიდან გადაყენებას, 1809-1810 წლებში ქვეყნის ოკუპაციასა და ანექსიას 1814 წელს მოჰყვა ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საკათალიკოსოს გაუქმება. ამ უკანონო აქტების შედეგად საქართველოს ეკლესიის უძრავი და მოძრავი ქონების სამართალმემკვიდრე გახდა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი. ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე რუსეთის მიერ საეკლესიო ქონების აღწერა თითქმის სერიოზული გართულებების გარეშე ჩატარდა. სამაგიეროდ ძალზე გამწვავდა ვითარება იმერეთში. რუსეთის საიმპერატორო კარმა მიზნად დაისახა ლიხთიმერეთის და აფხაზთა საკათალიკოსოს უძრავი და მოძრავი ქონების აღწერა, ეკლესიებისა და მონასტრებისათვის მიწების ჩამორთმევა და ამ მიწების სახელმწიფო ხაზინისათვის გადაცემა. ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა იმერეთის დროებით მმართველობასთან ერთად აქტიური მოქმედება 1819 წლიდან დაიწყო. რუსებმა მთელ რიგ ეკლესიებსა და მონასტრებს სადაოდ გაუხადეს ის მამულები, რომელთაც ეკლესიები და მონასტრები სრულიად კანონიერად ფლობდნენ. მიწებთან ერთად ეკლესიები და მონასტრები კარგავდნენ საეკლესიო გლეხებს – ისინიც ხაზინის მფლობელობაში გადადიოდნენ. შექმნილი ვითარებით ისარგებლა ზოგიერთმა ქართველმა თავადმა და აზნაურმა და საეკლესიო მიწებზე პრეტენზია განაცხადა. ამ პროცესს ყოველმხრივ ახალისებდნენ რუსები. სხვა ეპარქიებთან ერთად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა გენათის ეპარქია. გენათელი მიტროპოლიტ ეფთვიმეს (შერვაშიძეს) ეპარქიის კუთვნილ მიწებს და საეკლესიო გლეხებს ედავებოდნენ. რუსებთან სიმართლის პოვნის იმედი რომ დაკარგა მიტროპოლიტმა ეფთვიმემ, 1819 წლის 2 ნოემბერს დაწვევლა და შეაჩვენა ისინი, ვინც საეკლესიო მიწებისა და გლეხების უსამართლოდ მიტაცებას ცდილობდნენ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ გენათელი მიტროპოლიტის ეფთვიმეს (შერვაშიძის) წყევლას და შეჩვენებას.

დოკუმენტი დაცულია „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ თორმეტტომეულის პირველ ტომში (იხ.: Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею. Под редакцией А. Берже. Том I. Тифлис, 1866). დოკუმენტი ქვეყნდება „აქტებში“ დაცული ტექსტის მიხედვით, გასწორებულია მხოლოდ პუნქტუაცია. კვადრატულ ფრჩხილებში მოცემული ტექსტი ეკუთვნის გამომცემელს.

## გენათელი მიტროპოლიტის ეფთვიმის (შერვაშიძის) მიერ დაწერილი წყევლა და შეჩვენება

[1819 წლის 2 ნოემბერი]

ძ. მმ, გენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი, ვსწერ: დიდმა მეფე სოლომონ და მისმა ძმამ, კათოლიკოზმა იოსებ გურიიდან მომიყვანეს და გამზარდეს. სამოც-და ერთი წელიწადი არის იმერეთს ვარ, ორმოც-და ერთი წელიწადი არის გენათლათ ვარ, ოცს წელიწადს მეფეს და მის ძმას კათოლიკოზს ვახლდი და მათი ბრძანება და დაწესება სრულებით ვიცი. რა რომ ღმერთმა [მეფეს] ძლევა მისცა და ხვანთქრის ჯარს შეება და ფაშა დაიჭირა და გაიმარჯვა და თათრის ჯარი გაწყვიტა სრესილზე, ღმერთს აღთქმა მისცა და ტყვის ყიდვა გარდააგლო და ეკლესიებს დაკარგული მამულები ამოუგო და ისევ შესწირა. ქუთათელის მამული თარხანს ჰქონდა და

გამოართვა და ქუთათელს მისცა; **არგვეთს** გელათის ეკკლესიის მამული ბიძა მის გიორგი ბატონის-შვილს ჰქონდა, **აღის-უბანი, თხილთა-წყარო, ძვერი და ჩხარი** გამოართვა და გელათს შესწირა ხელახალი დავით. და ვისაც თათრისაგან ეკკლესიის კაცი დაეხსნა, თუ თეთრი ესესხებია, ამისი ასე განაწესა დიდმა მეფემ სოლომონ, ქვეყნის გამომსხნელმან და და სჯულის დამამტკიცებელმან: თეთრი გამონადები უნდა მისცემოდა და კაცი ეკკლესიას უნდა ჰყოლებოდა. **ქაქუჩელას, ჭუმბურძის მამას**, ყავდა ღვინეფაძე და მე თეთრი მიმაცემია და კაცი ეკკლესიისა ყავს გელათს; **ლიკლიკაძე** ყავდა **ღვინეფაძეს** და ამ მეფემ არჩილის შვილმა თეთრი მიგვაცემია და კაცი გელათს ყავს; ორი გლეხი **სულამანიძეები** მოურავს, დავით კლდია-შვილის ბაბუას, **ხოსია კლდია-შვილს**, ყავდა და ახლა გელათს ყავს. და მაგ ლევანია ღვინეფაძეს მეფის კარზე დაუწერეს მდივანბეგმა და მოსამართლემ: გამონადები მიეცეს და გლეხი გელათს ყავდეს. და ახლა არ ირწმუნა დიდი მეფის განწესება და სამართალი არ დაეჯერა. ამისთვის ჩვენ, ყოვლად-სამღვდელო **ბენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი** ვსწყევ და შევაჩვენებ წმინდის სამებისაგან, თორმეტი მოციქულსაგან, შვიდის კრებისაგან. ჩვენ, მღვდელმთ-მთავრის, და სიმონეთის მწვემისაგან შეჩვენებული იყოს სულით და ხორციით განუხსნელად და ყოვლის მართლ-მადიდებელის სჯულის თავის, ოთხის პატრიარქისაგან და მისის სამწესო მღვდელთ-მთავრისაგან და მღვდლისაგან. მისი პური ნაცრად გადაიქცეს და ღვინო სისხლად და ქვეყანამან ნაყოფი ნუ მოსცეს და ეკალი აღმოუცენოს და შეკრული იყოს სულით და ხორციით განუხსნელად, ამინ. და რამაც მღვდელმა ზიარების და ნათლვის მეტი რაიმე იმოქმედოს მის ოჯახზე – ან სახლი უკურთხოს, ან გვირგვინი უკურთხოს, ან მკვდარი დაუმარხოს, ან შენდობა მისცეს – ის მღვდელი განკვეთილ იყოს და შეჩვენებულ. და სიმონელმა კაცმა, ან აზნაურმა, ან გლეხმა, ან მოურავმა და ხელოსანმა, ან დიდმა და მცირემ, ან ასვას, ან აჭამოს, ან უმეზობლოს, ან უმოყვროს, ან ყანაშიდ მიეხმაროს, ან სნეული ნახოს და მკვდარი დაუმარხოს, ისეც შეჩვენებული იყოს წმინდის სამებისაგან და შვიდის კრებისაგან და რაც ამ წიგნშიდ წყვეა სწერია, მის თავზედ და ოჯახზედ იყოს. **ქორონიკონს ჩყით, ნოემბრის ორს [1899 წლის 2 ნოემბერი].**

**ბენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი**

[მიტროპოლიტის ბეჭედი]

**ბენათელი მიტროპოლიტის ეფთვიმის (შერვაშიძის) წყევლასა და შეჩვენებაში მოხსენიებული ისტორიულ პირები და მოვლენები**

„დიდმა მეფე სოლომონ“ – იმერეთის მეფე სოლომონ I (1752-1784)

„კათოლიკოზმა იოსებ“ – ლიხთიმერეთისა და აფხაზთა კათოლიკოს-პატრიარქი (1769-1776), იმერეთის მეფე ალესანდრე V-ის (1720-1752) ძე, სოლომონ I-ის ძმა.

„და თათრის ჯარი გაწყდა ხრესილზე“ – ხრესილის ბრძოლა გაიმართა 1757 წლის 14 დეკემბერს. იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა დაამარცხა ოსმალები.

„ეკკლესიების დაკარგული მამულები ამოუგო და ისევ შესწირა“ – სოლომონ I-მა უკანონოდ მითვისებული საეკლესიო მამულები (გლეხებითურთ) მფლობელებს ჩამოართვა და ისევ ეკლესიას დაუბრუნა.

„და ვისაც თათრისაგან ეკკლესიის კაცი დაეხსნა“ – იგულისხმება ოსმალთა ტყვეობაში მყოფი (ან მოტაცებული, ან ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი) ეკლესიის კუთვნილი გლეხი (საეკლესიო გლეხი).

„თეთრი გამონადები უნდა მისცემოდა და კაცი ეკკლესიას უნდა ჰყოლებოდა“ – საეკლესიო გლეხების ოსმალთა ტყვეობიდან განთავისუფლების მიზნით გაღებული თანხა უნდა ანაზღაურებულიყო, საეკლესიო გლეხის ვალი უნდა დაფარულიყო, ხოლო გლეხი კვლავ ეკლესიის საკუთრებად დარჩენილიყო.

„ამ მეფე არჩილის შვილმა“ – იგულისხმება მეფე დავით არჩილის ძე, რომელმაც იმერეთში სოლომონ II-ის სახელით იმეფა (1789-1810).

## ნაპოლეონ ბონაპარტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები

წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ ნაპოლეონ ბონაპარტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკვანძო მომენტებზე. შევეხებით საკითხის პერიოდიზაციას. ამ თემაზე სიტყვის თქმას უმთავრესად ის გარემოება გვაბეზინებს, რომ მასზე დღემდე ქართულ ენაზე არაფერი დაწერილა. ქართველი ისტორიკოსები ამ კუთხით აღნიშნულ საკითხს არ შეხებიან.

X X X

ნაპოლეონის ბობოქარ ეპოქას რამდენიმე მკვეთრად გამოკვეთილი მონაკვეთი გააჩნია და პირობითად ოთხ პერიოდად შეიძლება დაიყოს: 1. ნაპოლეონის სიჭაბუკე და აღზევება – 1769-1799 წლები. 2. კონსულობის ხანა – 1799-1804 წლები. 3. ნაპოლეონის იმპერია – 1804-1815 წლები და 4. ნაპოლეონის გადასახლება წმინდა ელენეს კუნძულზე – 1815-1821 წლები. თვის მხრივ ეს პერიოდები კიდევ იყოფა ქვეპერიოდებად, ხოლო ეს ქვეპერიოდები კიდევ იყოფა მონაკვეთებად, ეს არის საკითხის შიდა პერიოდიზაცია.

„ხელი შეუწევით მის დაწინაურებას, თორემ თითონ დაწინაურდება“. ეს სიტყვები მის მასწავლებელს გენერალ დუგომიეს ეკუთვნის, რომელმაც კარგად იცოდა მისი შესაძლებლობები. ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველი პერიოდი – 1769-1799 წლები – მოიცავს მის სიჭაბუკესა და აღზევებას. ფრანგმა ისტორიკოსმა **არტურ შიუკემ** ნაპოლეონის ცხოვრების ამ მონაკვეთს, ჭაბუკობის პერიოდს, სოლიდური სამტომიანი გამოკვლევა მიუძღვნა. მან პირველ წიგნს ბრიენი უწოდა, მეორეს – რევოლუცია, ხოლო მესამეს – ტულონი.<sup>1</sup> ფაქტობრივად, მან მოგვცა საკითხის პერიოდიზაცია. ჩვენ საესებით ვიზიარებთ ამ დაყოფას და მხოლოდ დავსძენთ ნაპოლეონის ცხოვრების ამ მონაკვეთის გასრულებას 1796 წელს იტალიაში დაშქრობით, როგორც ამას ა. შიუკე ჩადის, ნაადრევი, უნდა ჩანდეს და, ალბათ, გაცილებით უფრო უპირიანი იქნებოდა ის დაგვესრულებინა 1799 წელს. ნაპოლეონის ხელისუფლებაში მოსვლით.

პირველი პერიოდის შიგნით, ცხადია, მნიშვნელოვანი მიჯნა უნდა იყოს 1789 წელს დაწყებული საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომლის მნიშვნელობას ნაპოლეონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, **ალექსანდრე დიუმა** თავის საინტერესო წიგნში ნაპოლეონზე, რატომღაც დუმილით უვლის გვერდს, რაც, შეიძლება, რევოლუციისადმი მისი ნეგატიური განწყობილებით ყოფილიყო გამოწვეული.<sup>2</sup> შეიძლება არ დავეთანხმოთ ფრანგ ისტორიკოსს **ჟაკ ბენვილს** თითქოსდა ნაპოლეონი აუღელვებლად შეხვდა ბასტილიის დაცემას და საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისს გულგრილად მოეკიდა. ნაპოლეონის და რევოლუციის დაპირისპირება, რაც წითელ ხაზად გასდევს აკად. **ლუი მადლენის** მონუმენტურ თექვსმეტტომიან წიგნს „**კონსულობა და იმპერია**“ მეტად ხელოვნურად ჩანს და აღნიშნული საკითხის რეალურ სურათს ვერ გვიხატავს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტეხილს გულგრილად ეკიდება აკად. **ეგგენი ტარლე** თავის საინტერესო წიგნში ნაპოლეონზე.<sup>3</sup> ნაპოლეონი გულწრფელად მიემხრო რევოლუციას, რადგან ძველი რეჟიმის პირობებში მას თავისი ნიჭის გამოვლენის საშუალება ნაკლებად ექნებოდა. რევოლუციის დროს ნაპოლეონის სანკულოტიზმზე ლაპარაკი, როგორც ამას ხაზს უსვამდა პროფ. **ალბერტ მანფრედი**,

<sup>1</sup>A. Chuquet. la Jeunesse de Napoléon. T.1-3. Paris, 1897-1899.

<sup>2</sup>ალექსანდრე დიუმა. ნაპოლეონი. თბილისი, 2009.

<sup>3</sup>Э. Тарле. Наполеон. Москва, 1957, стр. 11-34.

აღბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს.<sup>4</sup> ნაპოლეონის ჭაბუკობის და აღზევების წლები ორ ქვეპერიოდად იყოფა: 1. ნაპოლეონის ჭაბუკობის ხანა – 1769-1789 წლები. 2. ნაპოლეონის აღზევება 1789-1799 წლები. თავის მხრივ ეს ორი ქვეპერიოდი კიდევ იყოფა მცირე მონაკვეთებად. პირველი ქვეპერიოდის შიგნით მნიშვნელოვან მიჯნად გვევლინება 1784 წელს ნაპოლეონის ჩარიცხვა ბრიენის სასწავლებელში. ისტორიკოსი **იუნგი**, რომელიც ნაპოლეონისადმი აშკარად უარყოფითადაა განწყობილი ირწმუნება, რომ ბრიენის სასწავლებელში ნაპოლეონის ჩარიცხვა მოხდა კანონის დარღვევით. სინამდვილეში ეს არ ყოფილა. ფრანგი ისტორიკოსი **ე. პერი** აღნიშნავს, რომ კარლო ბონაპარტეს არაფერში ჭირდებოდა საბუთების შეცვლა. მეორე ქვეპერიოდის შიგნით კი მნიშვნელოვანი ზღვარია ტულონის აღება 1793 წლის დეკემბერში. **ლევ ტოლსტოის** თქმით „ეს იყო პირველი ნაბიჯი დიდების გზაზე“ (შეიძლება ეს ქვეპერიოდი სამ მონაკვეთადაც გაიყოს. მის შიგნით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიჯნა უნდა ჩანდეს იტალიის ლაშქრობის დასაწყისი 1796 წელს, 1789-1793 წელი, 1793-1796 წელი და 1796-1799 წელი).

საიდან იწყება ფრანგი ისტორიკოსის აკად. **ალბერ ვანდალის** სიტყვებით, რომ ვთქვათ „**ბონაპარტეს აღზევება**“. აღნიშნული საკითხის შესახებ ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთსულოვნება არ სუფევს და გამოთქმულია დიამეტრალურად საპირისპირო მოსაზრებები. ერთნი ფიქრობენ, რომ ნაპოლეონის აღზევების ათვლის წერტილად უნდა ავიღოთ 1789 წელს დაწყებული საფრანგეთის დიდი რევოლუცია. მეორენი კი ამტკიცებენ, რომ ნაპოლეონის აღზევება დაიწყო ტულონის აღებით 1793 წლის დეკემბერში. მესამენი უფრო იმ აზრისკენ იხრებიან, რომ ნაპოლეონი აღზევა იწყება 1796 წელს იტალიაში ლაშქრობით.

რა თქმა უნდა, ნაპოლეონის აღზევება ერთბაშად არ მომხდარა. ის თანდათანობით პროცესი იყო. არც ტულონი და არც იტალიის ლაშქრობა არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია. მან მწვანე გზა მისცა ნიჭიერ ადამიანებს. მათ შორის, ცხადია, ნაპოლეონ ბონაპარტესაც. მან ეს შანსი ძალიან კარგად გამოიყენა.

ამრიგად, ნაპოლეონის მოღვაწეობის პირველი პერიოდი ნაპოლეონის სიჭაბუკე და აღზევება 1769-1799 წლები – ორ ქვეპერიოდად იყოფა: 1. ნაპოლეონის სიჭაბუკე – 1769-1789 წლები. ამ ქვეპერიოდის შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნაა 1784 წელი, როდესაც ნაპოლეონი ჩარიცხა ბრიენის სასწავლებელში. 2. ნაპოლეონის აღზევება – 1789-1799 წლები. ამ ქვეპერიოდის შიგნით მნიშვნელოვან ტეხილად გვევლინება ტულონის აღება 1793 წლის დეკემბერში.

1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბერი) სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რომელიც დეტალურად აღწერა გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა **ალბერ ვანდალმა** თავის წიგნში „**ბონაპარტეს აღზევება**“. <sup>5</sup> ფორმალურად საფრანგეთს სათავეში ჩაუდგა სამი კონსული. ფაქტობრივად კი, მთელი ძალაუფლება კონცენტრირებული იქნა ერთი პიროვნების, პირველი კონსულის ხელში. ეს ერთი პიროვნება, რა თქმა უნდა, ნაპოლეონ ბონაპარტე იყო. აქედან იწყება ის რასაც ისტორიკოსები „**ნაპოლეონის ეპოქას**“ უწოდებენ. ბევრს მიაჩნია, რომ „ნაპოლეონის ხანა“ საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაგრძელება იყო და რევოლუციის ეპოქად 1789-1815 წლებს მოიაზრებს. ამგვარ დამოკიდებულებას ჯერ კიდევ რესტავრაციის ეპოქის ისტორიკოსებმა ჩაუყარეს საძირკველი და დღესაც ყავს მომხრეები. <sup>6</sup> ზოგიერთი ისტორიკოსი იმპერიას არ მიიჩნევს რევოლუციის ხანად და საფრანგეთის რევოლუციას ასრულებს კონსულობის ეპოქით, ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევით 1804 წლის 2 დეკემბერს.<sup>7</sup>

1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალებიდან იწყება ნაპოლეონის ეპოქის მეორე პერიოდი, რომელსაც ისტორიკოსები „**კონსულობის ხანას**“ უწოდებენ. ის ქრონოლოგიურად მოიცავს 1799-1804 წლებს. ეს ნაპოლეონის მოღვაწეობის ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთია, რომელიც საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობისათვის, რაც მნიშვნელოვანწილად იმით იყო განპირობებული, რომ კონსულობის წლები შედარებით მშვიდობიანი გამოდგა.

<sup>4</sup> **А. Манфред**. Наполеон Бонапар. Москва, 1973.

<sup>5</sup> **А. Вандаль**. Вазвишение Бонапарт. Т. 1. СПб., 1905.

<sup>6</sup> **Ф. Минье**. История французской революции, СПб., 1906; **А. Тьери**. Консульство и империя. Т. 1-5. СПб., 1845-1849; **В. Ревуненков**. Очерки по истории Великой французской революции 1789-1814 гг. СПб., 1996.

<sup>7</sup> **А. Олар**. Политическая история французской революции, 1789-1804 гг. Москва, 1938; **Ф. Савьяк**. Гражданская заканадательство французской революции (1789-1804 гг.). Москва, 1928.



ნაპოლეონს შეეძლო არა მარტო ნგრევა, არამედ შენება. ის არ იყო მხოლოდ დამპყრობელი, ტირანი, დესპოტი, როგორც ამას ხაზს უსვამენ ანტიბონაპარტისტულ ლიტერატურაში. ის არაა „ევროპელი ჩინგიზ ხანი“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ის თავის კანონშემოქმედებით საქმიანობას მის მიერ მოგებულ ბრძოლებზე მალდა თუ არა მათ გვერდით აყენებდა. **„ჩემი დიდება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მე მოვიგე ორმოცი ბრძოლა... ის რაც იცოცხლებს მარად, ეს არის ჩემი სამოქალაქო კოდექსები“**.<sup>8</sup> ნაპოლეონის ტრიუმფალურმა სამხედრო წარმატებებმა, ეტყობა, დაჩრდილა მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობა. „სამხედრო ბონაპარტიზმთან“ ერთად არსებობს „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი“, რომელსაც უახლეს ისტორიაში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა. გენერალ შარლ დე გოლის თქმით „ნაპოლეონმა ერთიანი გენია ჩადო, როგორც სამხედრო ხელოვნებაში, ისე მმართველობაში“.<sup>9</sup> XX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსი კ. ჩერჩი მიიჩნევს, რომ სწორედ ნაპოლეონის მმართველობის დროს ჩაეყარა საფუძველი „XIX საუკუნის კლასიკური სახელმწიფო აპარატის სოციალურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს“.<sup>10</sup> თანამედროვე გერმანელი ისტორიკოსის **ჰანს შმიტის** აზრით „ნაპოლეონი იყო არა მხოლოდ დამპყრობელი, არამედ მან დასახა გზა, რომლითაც წარიმართა ევროპის განვითარება XIX და XX საუკუნეებში, საძირკველი ჩაეყარა იმ პრინციპებს, რომელსაც დღესაც ეყრდნობა მისი განვითარება“.<sup>11</sup> მისი თანამემამულის **ებერჰარდ ვაისის** აზრით, „ნაპოლეონი იყო არამხოლოდ დამპყრობელი და დიქტატორი, არამედ სახელმწიფო მოღვაწე, რომლის საქმეებიც დიდხანს ცოცხლობს“.<sup>12</sup> აქ, პირველ ყოვლისა, მათ, რა თქმა უნდა, ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა, „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი“ აქვთ მხედველობაში. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ მიუხედავად ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობისა შეიძლება ითქვას, რომ წითელი, პროგრესული, აშკარად ჭარბობდა შავს, რეაქციულს. ამიტომ ნაპოლეონი **„პროგრესული ცეზარიზმის“** ერთ-ერთ თვალსაჩინო წამომადგენლად შეიძლება მივიჩნიოთ.<sup>13</sup> თანამედროვე ავსტრიელმა ისტორიკოსმა, სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის პროფესორმა მარტინ ლაიონსმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ ნაპოლეონმა იურიდიულად გააფორმა და განამტკიცა საფრანგეთის დიდი რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. მისი პროგრესული მნიშვნელობა, სწორად ამაში მდგომარეობდა. ამიტომ „ნაპოლეონის რევოლუციის მესაფლავედ“ გამოცხადება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და მთლად დამაჯერებელი არ უნდა იყოს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის განდიდების, გაიდიდებისაგან, რაც ძალუმაღ იგრძნობა XIX-XX საუკუნეების ფრანგულ ისტორიოგრაფიაში. ეს გადაჭარბებული იყო. ღირსებებთან ერთად მას გააჩნდა ნაკლოვანი მხარეებიც. პირველ ყოვლისა ასეთი იყო საკანონმდებლო ხელისუფლების სისუსტე. აღმასრულებელი ხელისუფლება დომინირებდა საკანონმდებლო ხელისუფლებაზე.<sup>14</sup>

ნაპოლეონის მოღვაწეობის მეორე პერიოდი, კონსულობის ხანა, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს 1799-1804 წლებს პირობით ორ ქვეპერიოდად შეიძლება გაიყოს. ამ პერიოდის შიგნით მნიშვნელოვან ნიშანსვეტად გვევლინება 1802 წლის 14 თერმიდორი (2 აგვისტო), როდესაც ნაპოლეონი არჩეულ იქნა პირველ კონსულად სიცოცხლის ბოლომდე. გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის აკად. **ალბერ სორელის** თქმით „პირველი კონსული სწრაფად გადაიქცა ერთადერთად“. მეორე ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა **ალბერ სობულმა** თავის საინტერესო

<sup>8</sup> История Франции. Т. 2. Москва, 1973, стр. 123.

<sup>9</sup> **Дж. Туган – барановский.** Формирование бонопортического режима во Франции в годы консульство (1799-1804 гг.). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Москва, 1990, стр. 2.

<sup>10</sup> **Дж. Туган – барановский.** Формирование бонопортического режима во Франции в годы консульство (1799-1804 гг.). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Москва, 1990, стр. 15.

<sup>11</sup> Французские короли и императоры. Р/д. 1997, стр. 465.

<sup>12</sup> Французские короли и императоры. Р/д. 1997, стр. 421-422.

<sup>13</sup> **კოტე ანთაძე, მერაბ კალანდაძე.** საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბილისი, 2005; **მერაბ კალანდაძე.** ნაპოლეონი – დიქტატორი და რეფორმატორი.– ქართული დიპლომატია. წელიწადი. 15. თბილისი, 2011.

<sup>14</sup> **С. Боботов.** Наполеон Бонапарт – реформатор и законодатель. Москва, 1998; **Дж. Туган – барановский.** Наполеон и власть. Москва, 1993; **დ. ცისკარიშვილი.** ნაპოლეონი. წიგნი 2. იმპერატორი. თბილისი, 1997.

წიგნში „პირველი რესპუბლიკა“ გამოთქვა მოსახრება, რომ პირველი რესპუბლიკის ისტორია შეიძლება გაგვესრულებინა 1802 წელს.<sup>15</sup>

ნაპოლეონის ეპოქის ცნობილი რუსი მკვლევარი აკად. ე. ტარლე კონსულობის ხანას სამ მონაკვეთად ყოფს: დიქტატორის პირველი ნაბიჯები (1799-1800), მარენგო, დიქტატურის განმტკიცება, პირველი კონსულის კანონმდებლობა (1800-1803), ახალი ომი ინგლისთან და ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევა. როგორც ხედავთ, აკად. ე. ტარლე ამ პერიოდის შიგნით მნიშვნელოვან მიჯნად ნაპოლეონის მუდმივი ვადით კონსულად გამოცხადებას არ მიიჩნევს და სულ სხვა აქცენტებს სვამს. ესაა საკითხისადმი ერთი მიდგომა, რომელსაც გააჩნია მოქალაქეობის უფლება, მაგრამ საკამათოდ მიგვაჩნია.<sup>16</sup> ამგვარი პერიოდიზაცია დანაწევრებული ჩანს და, ჩვენი აზრით, შეიძლება ართულებდეს საქმის რეალურ ვითარებას. კონსულობის რეჟიმის დიქტატორულ ხასიათზე აპელირება, ალბათ, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს. ამგვარი ტენდენცია, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და სტალინური რეჟიმის პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეწოლის ლოგიკური შედეგია. აქ იგი ხარკს უხდის გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას, დიქტატს. ასეთია მეცნიერების ბედი ტოტალიტარულ სახელმწიფოში, როდესაც სახელმწიფო ძალით ახვევს თავს მეცნიერს მისთვის სასურველ იდეოლოგიას.

1804 წლის 2 დეკემბერს, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, ნაპოლეონი იმპერატორად ეკურთხა. საფრანგეთში რესპუბლიკა მონარქიამ ჩაანაცვლა. გენერალი ბონაპარტე ნაპოლეონ I გახდა. ამის თაობაზე პოლ ლუი კურიემ მოსწრებულად შენიშნა. „იყო ბონაპარტი და გახდა იმპერატორი! რა დაცემაა“.<sup>17</sup> აქედან იწყება ნაპოლეონის ბობოქარი ეპოქის მესამე პერიოდი, რომელიც მოიცავს 1804-1815 წლებს. პირველი იმპერიის ისტორია პირობით რამდენიმე პერიოდად შეიძლება დაიყოს. თავის მხრივ ეს პერიოდები იყოფა ქვეპერიოდებად. ფაქტობრივად, ეს არის იმპერიის ისტორიის შიდაპერიოდიზაცია.

პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ყურადღებას იპყრობს ისტორიული მონაკვეთი აუსტერლიციდან ტილზიტამდე – 1805-1807 წლები. მას ისტორიკოსები ხშირად მოიაზრებენ როგორც იმპერიის პირველ ქვეპერიოდს. ნაპოლეონი დიდების ზენიტში იმყოფება, როდესაც წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებულ ნაპოლეონის გენერალ გურგომ კითხა თუ როდის გრძნობდა თავს დიდების მწვერვალზე ექსიმპერატორმა მცირე პაუზის შემდეგ მიუგო – ტილზიტში. იგივეს ფიქრობდნენ სხვა თანამედროვეები. 1807 წელს თავადი კურაკინი იმპერატორ ალექსანდრე I-ს წერდა „პირინიდან ოდერამდე, ზუნიიდან მესინის სრუტემდე ყველაფერი საფრანგეთია“. ამიტომ ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ ისტორიკოსების თვალსაზრისს, რომლებიც ნაპოლეონის მოღვაწეობის მწვერვალად, აპოგეად, მიიჩნევენ მონაკვეთს აუსტერლიციდან ტილზიტამდე – 1805-1807 წლებს და არა 1810-1811 წლებს, როგორც ამას ამტკიცებდა მისი ზოგიერთი ბიოგრაფი (ა. სორელი, ლ. მადლენი, ე. ტარლე, ა. ტრაჩევსკი, ნ. კარევეი, მ. პეტროვი). სავსებით ვეთანხმებით აკად. ე. ტარლეს, რომ ამ ქვეპერიოდის შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნა უნდა იყოს 1806 წელი გერმანიის დაპყრობა და კონტინენტური ბლოკადა.<sup>18</sup>

ნაპოლეონის იმპერიის მეორე ქვეპერიოდია 1807-1811 წლები, როდესაც თავი იჩინა იმპერიის კრიზისის პირველმა სერიოზულმა სიმპტომებმა. ამ თვალსაზრისით ესპანეთის მაგალითი საყურადღებო უნდა იყოს. მოგვიანებით წმინდა ელენეს კუნძულზე გენერალ ბერტრანთან საუბარში ნაპოლეონმა აღიარა, რომ „ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა იყო ექცევიდნენ ესპანეთში“.<sup>19</sup> ამიტომ ნაპოლეონის დამარცხების საქმეში ესპანეთის წვლილის დაკნინება გამართლებული არ უნდა იყოს. ესპანელი ხალხის გმირულმა ბრძოლამ ფრანგი ოკუპანტების წინააღმდეგ მძლავრი სტიმული მისცა ევროპაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას. უნდა დავეთანხმოთ. აკად. ე. ტარლეს, რომ ამ ქვეპერიოდის შიგნით მნიშვნელოვანი ზღვარი იყო 1809 წელი – ავსტრიის დამარცხება.<sup>20</sup> ამავე დროს სერიოზულ ძვრებს აქვს ადგილი ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში. უწინარესად, რა თქმა უნდა, ყურადღებას იპყრობს ტალეირან-ფუშეს დაახლოვება, რომელიც

<sup>15</sup> А. Собыль. Первая республика. Москва, 1974.

<sup>16</sup> Э. Тарле. Наполеон. Москва, 1957, стр. 87-154.

<sup>17</sup> А. Вандаль. Вавзвшение Бонапарт. Т. 1. СПб., 1905, стр. 451.

<sup>18</sup> Э. Тарле. Наполеон. Москва, 1957, стр. 154-180; 180-211.

<sup>19</sup> С. Пожарская. Бурбоны в испании. „Новая и новейшая история“, №1, 1993. стр. 156.

<sup>20</sup> Э. Тарле. Наполеон. Москва, 1957, стр. 211-239.

იმპერატორის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს იყო ფრიად სერიოზული სიმპტომი. „ეს იყო სერიოზული ანტიბონაპარტისტული ძვრების მანქანებელი ბურჟუაზიისა და ახალი არისტოკრატის რიგებში, რომელიც დააფრთხო კორსიკელის ავანტურამ – მსოფლიოს დაპყრობის ილუზიამ“ – წერს ისტორიკოსი **იური ბორისოვი**.<sup>21</sup> თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსის **ჟან ტიულარის** აზრით, „ტალეირანის და ფუშეს სენსაციური დაახლოება გამოწვეული იყო მათი შიშით იმპერიის საზღვრების უსაშველოდ გაფართოვების გამო და პოლიტიკით, რომელიც მეტი აღარ შეესაბამებოდა რევოლუციის ლოგიკას“.<sup>22</sup> ეს ვერსია თითქოსდა თავის დადასტურებას პოვებს **ჟოზეფ ფუშეს** მემუარებში, მაგრამ ფუშე ხომ არ ცდილობს მიიწეროს ეს დამსახურება? ეს კიდევ უფრო ამყარებს ე. ტარლეს ვერსიას, რომ ამ ქვეპერიოდის შიგნით მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი უნდა იყოს 1809 წელი, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ პრიორიტეტობა მაინც საშინაო პოლიტიკის სფეროში მომხდარ ცვლილებებს უნდა მიეკუთვნოს. შემთხვევითი არ იყო, რომ ნაპოლეონი ძალიან შეაშფოთა ტალეირან-ფუშეს დაახლოებამ. მან კარგად იცოდა თუ როგორ უნდა მოეწოდებინა ავსტრიისთვის და მოუარა კიდევ, ხოლო ქვეყნის შიგნით ოპოზიციამ სერიოზულად დააფიქრა.

იმპერიის დიდების წლები უკან დარჩა. სახეზეა იმპერიის კრიზისის პირველი სერიოზული სიმპტომები. 1811 წელს ლიონის სავაჭრო პალატა ადგენს: „საფრანგეთს მეტი აღარ შეუძლია იმ პირობების გაძლება, რომელსაც მოითხოვს განუწყვეტელი საომარი მდგომარეობა“. ნაპოლეონის მარშალს მარმონს წამოცდა „საფრანგეთს ესაჭიროება დასვენება“.<sup>23</sup> საზღვაო მინისტრი დეკრე ამბობდა „ყველაფერი ეს დასრულდება კატასტროფით“. ნაპოლეონისა და იმპერიის ისტორიაში მნიშვნელოვან ტეხილად გვევლინება 1812 წელი. ამით იწყება ნაპოლეონის იმპერიის მესამე ქვეპერიოდი. მას ტალეირანმა ზედმიწევნით ზუსტად უწოდა „**დასასრულის დასაწყისი**“. გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა აკად. ლუი მადლენმა თავისი მონუმენტური, სოლიდური, თექვსმეტტომიანი ნაშრომის „**კონსულობა და იმპერია**“ მეთორმეტე ტომს, რომელიც შეეხება 1812 წლის ომს რუსეთში ზუსტად შეუჩინა დასათაურება „კატასტროფა“. ამიერიდან ნაპოლეონის იმპერიის კრიზისი შეუქცევად ხასიათს იღებს. ამიტომ თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსის ჟან ტიულარის მისწრაფება დააკნინოს ნაპოლეონის დამარცხების საქმეში რუსეთის წვლილი, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათოა.<sup>24</sup>

1812 წელს რუსეთში დამარცხების შემდეგ იწყება იმპერიის აგონია. ფაქტობრივად ეს არის პირველი იმპერიის ისტორიის მეოთხე ქვეპერიოდი, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს 1813-1815 წლებს. ის სამი მონაკვეთისაგან შედგება: 1. იმპერიის აგონია – 1813-1814 წლები. 2. ნაპოლეონის პირველი გადასახლება – 1814-1815 წლები. 3. ასი დღე ანუ „არწივის აფრენა“ – 1815 წელი.

1813-1814 წლებში სამშვიდობო მოლაპარაკებებზე უარის თქმა შეიძლება ნაპოლეონის შეცდომა იყო. ეტყობა, წარმატებებით თავბრუდახვეული იმპერატორი რეალობას მოწყდა და ხსნას ბრძოლის ველზე ეძებდა. ხელსაყრელი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული. 1814 წლის 6 აპრილს ნაპოლეონის გადადგომა ამის ლოგიკური შედეგი იყო. ფრანგი ისტორიკოსის **ჟაკ ბენვილის** თქმით „ეს იყო 18 ბრიუმერი გადმობრუნებული სახით“. ამ ქვეპერიოდის შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნა ჩანს 1813 წლის 17-19 ოქტომბერს ლაიფციგთან ბრძოლა. დამარცხებულმა ფრანგებმა უკან დაიხიეს. მოკავშირეები საფრანგეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ომის ხასიათში მკვეთრი ცვლილება მოხდა. ახლა ის საფრანგეთისათვის თავდაცვის ომად იქცა.

ნაპოლეონი კუნძულ ელბაზე გადაასახლეს. ეს არის ამ ქვეპერიოდის მეორე მონაკვეთი. ნაპოლეონი კუნძულ ელბაზეა 1814 წლის აპრილიდან 1815 წლის მარტამდე. ფუშეს თქმით „**ნაპოლეონი ელბაზე საფრანგეთის და იტალიისათვის იგივეა, რაც ნეაპოლისათვის ვეზუვი**“.<sup>25</sup>

ნაპოლეონმა გადაწყვიტა ესარგებლა ბურბონთა არაპოპულარობით და დაბრუნებულიყო საფრანგეთში. 1815 წლის 1 მარტს მან დატოვა კუნძული ელბა და კურსი სამხრეთ საფრანგეთისაკენ აიღო. 20 მარტს მან დაიკავა პარიზი. პირველი იმპერია აღსდგა. ერთი მოხუცი როალისტი ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა „ყველაფერი ეს ძალიან გავდა კერათაყვანისმცემლობას“. ასე დაიწყო „**ასი დღე**“ ანუ როგორც ფრანგ ისტორიკოსებს უყვართ თქმა „**არწივის აფრენა**“. ქართველმა მეცნიერმა პროფესორმა **დიმიტრი ცისკარიშვილმა** ამას

<sup>21</sup> **Ю. Борисов.** Шарль-морис Талеиран. Р/д, 1999, стр. 366.

<sup>22</sup> **Ж. Тюлар.** Наполеон. Москва, 1996, 1996. стр. 288.

<sup>23</sup> История Франции. Т. 2. Москва, 1973, стр. 147-148; **Ж. Тюлар.** Наполеон. Москва, 1996, стр. 310-314.

<sup>24</sup> **Ж. Тюлар.** Наполеон. Москва, 1996.

<sup>25</sup> **С. Пожарская.** Бурбоны в испании.– „Новая и новейшая история“, №1, 1993, стр. 732.

„ლომის უკანასკნელი ნახტომი“ უწოდა.<sup>26</sup> ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ლამაზად ედერს, მაგრამ რადგან ნაპოლეონის სახელი მაინც არწივთან ასოცირდება, ალბათ, მაინც პირველი ჯობია. „სიკეთიდან სიკეთეს არ ეძებენ“. არსებითად, ეს იყო პირველი იმპერიის მეოთხე ქვეპერიოდის მესამე მონაკვეთი. 1815 წლის 18 ივნისს ვატერლოს ბრძოლაში დამარცხებით დასრულდა ნაპოლეონის გამორეული ეპოქა. „ნაპოლეონმა ისეთი ძლიერი დარტყმა მიაყენა ფეოდალიზმს, რომლისგანაც ის წელში მეტი ვეღარ გასწორდა და ამაში მდგომარეობს იმ ეპოქის პროგრესული მნიშვნელობა, რომელიც მის სახელთანაა დაკავშირებული“ – დასძენს აკად. ე. ტარლე.<sup>27</sup> 1815 წლის 22 ივნისს ნაპოლეონი გადადგა.

დამარცხებული იმპერატორი წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს. ეს იყო ნაპოლეონის მოღვაწეობის მეოთხე პერიოდი – 1815-1821 წლები. იგი პირობით ორ მონაკვეთად იყოფა. ამ პერიოდის შიგნით მნიშვნელოვან მიჯნად გვეკვლინება 1818 წელი. თავდაპირველად ნაპოლეონი იმედოვნებდა პოლიტიკაში დაბრუნებას. მას იმედი ჰქონდა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის ლიბერალიზმის. ერთი იყო ილუზიები და სულ სხვა გახლდათ მკაცრი რეალობა. ნაპოლეონი „დაკარგული ილუზიების“ წინაშე აღმოჩნდა. „სადღეთო კავშირი“ შეუვალი იყო. ევროპაში ნაპოლეონის დაბრუნებაზე მას სიტყვის გაგონებაც არ სურდა. 1818 წელს **ახენის კონგრესის** გადაწყვეტილება მტკიცე იყო. ის უკრძალავდა ნაპოლეონს საფრანგეთში დაბრუნებას. ამის შემდეგ ექსიმიპერატორი, როგორც ეტყობა, საბოლოოდ შეეგუა ბედს.<sup>28</sup>

1821 წლის 5 მაისს, საღამოს 6 საათზე, ნაპოლეონი გარდაიცვალა. ტალეირანის თქმით „ეს მეტი აღარ არის მოვლენა. ეს უბრალოდ ფაქტია“. XIX საუკუნის მიწურულის ინგლისელი პოლიტიკოსის როზბერის აზრით, „ნაპოლეონმა უსასრულობამდე გადასწია ის, რაც მის გამოჩენამდე ადამიანის შესაძლებლობების ზღვარად იყო მიჩნეული“. ეს, ცხადია, ნაპოლეონის აპოთეოზად გაისმის. ცნობილი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის თქმით „დიდ პატივმოყვარეობას ძველთაგანვე ბევრი გონიერი ადამიანი ჰკუიდან შეუშლია“. ნაპოლეონი, ვფიქრობთ, ერთ-ერთი მათგანი იყო. სწორედ, ამაში მდგომარეობდა ნაპოლეონ ბონაპარტეს როგორც პიროვნების პლიუსები და მინუსები. ამიტომ არც ნაპოლეონ ბონაპარტეს მოღვაწეობის განდიდება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი XIX-XX საუკუნეების ფრანგულ და ევროპულ ისტორიოგრაფიაში და არც უშვერი ლანძღვა-გინება, მიწასთან გასწორება, რაც იგრობოდა ანტიბონაპარტისტულ ლიტერატურაში ცხადია, არ ღირს, ზედმეტია.<sup>29</sup>

X X X

ამრიგად, ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება. ნაპოლეონის ცხოვრება და მოღვაწეობა პირობით ოთხ პერიოდად შეიძლება დაიყოს. თავის მხრივ ეს პერიოდები კიდევ იყოფა ქვეპერიოდებად, ხოლო ამ ქვეპერიოდების შიგნით კიდევ გამოიყოფა მონაკვეთები. ფაქტობრივად, ეს არის საკითხის შიდაპერიოდიზაცია.

1. ნაპოლეონის სიჭაბუკე და აღზევება – 1769-1799 წლები. ამ პერიოდის შიგნით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან წყალგამყოფად 1789 წლის საფრანგეთის დიდი რევოლუცია გვეკვლინება. ეს პერიოდი ორ ნაწილად იყოფა. 1769 წლიდან, ნაპოლეონის დაბადებიდან 1789 წელს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე და 1789 წლის საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებიდან – 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) გადატრიალებამდე და ნაპოლეონის ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე. პირველი ქვეპერიოდის შიგნით აღსანიშნავია 1784 წელი, როდესაც ნაპოლეონი ჩაირიცხა ბრიენის სასწავლებელში. ის ორ მონაკვეთად გაიყო: 1769-1784 წლები და 1784-1789 წლები. მეორე ქვეპერიოდის შიგნით საყურადღებო უნდა იყოს ტულონის აღება 1793 წლის დეკემბერში. ის ასევე ორ მონაკვეთად გაიყო: 1789-1793 წლები და 1793-1799 წლები. 1799 წლის 18 ბრიუმერი (9 ნოემბერი), სახელმწიფო გადატრიალება წარმოადგენდა დასკვნით აკორდს „ბონაპარტეს აღზევების“ საქმეში. ამით მთავრდება ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველი პერიოდი და იწყება მეორე პერიოდი.

<sup>26</sup> დ. ცისკარიშვილი. ნაპოლეონი. წიგნი 2. იმპერატორი. თბილისი, 1997, გვ. 581-655.

<sup>27</sup> Э. Тарле. Наполеон. Москва, 1957, стр. 9.

<sup>28</sup> В. Сироткин. Изгнание и смерть Наполеона. – Журнал „Новая и новейшая история“, 1974, №4-5.

<sup>29</sup> მერაბ კალანდაძე. ისტორიკოსები ნაპოლეონზე – ჟურნალი „კლდეკარი“, 1998, №3.

2. ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის მეორე პერიოდს მკვეთრად გამოკვეთილი ქრონოლოგიური ჩარჩოები გააჩნია. ეს არის კონსულობის ხანა – 1799-1804 წლები. ის ორ ქვეპერიოდად იყოფა. ამ პერიოდის შიგნით მნიშვნელოვანი მიჯნა უნდა ჩანდეს 1802 წელი – ნაპოლეონის გამოცხადება კონსულად სიცოცხლის ბოლომდე.

3. ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მესამე პერიოდი. პირველი იმპერია – 1804-1815 წლები. ის პირობითად ოთხ ქვეპერიოდად შეიძლება დაიყოს: ა. ნაპოლეონი დიდების ზენიტში. აუსტერლიციდან ტილზიტამდე – 1805-1807 წლები. თავის მხრივ ეს ქვეპერიოდი ორ მონაკვეთად იყოფა. მათ შორის მნიშვნელოვანი ზღვარია 1806 წლის შემოდგომა: პრუსიის განადგურება და კონტინენტური ბლოკადის შემოღება. ბ. იმპერიის კრიზისის პირველი სიმპტომები – 1807-1812 წლები. ეს ქვეპერიოდში ორ მონაკვეთად შეიძლება დაიყოს: 1807 წელი – ტილზიტის ვაგრამამდე 1809 წელი და 1809 წელი – ვაგრამიდან 1811 წლის მიწურულამდე. გ. ნაპოლეონის ლაშქრობა რუსეთში 1812 წელს. „ეს იყო დასასრულის დასაწყისი“. ამის შემდეგ იმპერიის კრიზისმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. დ. პირველი იმპერიის კრიზისი და აღსასრული – 1813-1815 წლები. ის სამ მონაკვეთად დაყოფილი: 1813 წლიდან 1814 წლის აპრილამდე ნაპოლეონის პირველ გადადგომამდე. ნაპოლეონის გადასახლება კუნძულ ელბაზე – 1814 წლის აპრილი-1815 წლის მარტი და ცნობილი ასი დღე ანუ როგორც ფრანგ ისტორიკოსებს უყვართ თქმა „არწივის აფრენა“. 1815 წლის მარტიდან, კუნძულ ელბადან ნაპოლეონის დაბრუნებიდან, 1815 წლის 22 ივნისი ნაპოლეონის გადადგომამდე.

4. ექსორიაციული იმპერატორი. ნაპოლეონის გადასახლება წმინდა ელენეს კუნძულზე – 1815-1821 წლები. თავის მხრივ ის ასევე ორ მონაკვეთად იყოფა. ბრძოლა პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნებისათვის – 1815-1818 წლები და ცივი უარი. პოლიტიკიდან იზოლირება, წასვლა – 1818-1821 წლები. ეს მისი ბოლოქარი ეპოპეის ნაღვლიანი დასასრული იყო.

**Tamar Antadze**

**Merab Kalandadze**

## **Stages of Napoleon Bonaparte's life and career**

### **Resume**

In the above paper we will focus on the key moments of Napoleon Bonaparte's life and career. We will also refer to the periodization of the topic. The main circumstance that makes us say a few words about this topic is that nothing has been written in Georgian language about it until now. Georgian historians have not referred to this issue in this regard.

Conditionally, Napoleon's life and career may be divided into four periods. In their turn these periods are also divided into sub-periods and these sub-periods consist of the sections as well. In fact, this is inner periodization.

1. Napoleon's youth and rise – 1769-1799yy. Within this section the important thing is the beginning of a big revolution in France in 1789. These periods will also be divided into two sections. In the first sub-period the most noteworthy is Napoleon's enrollment in Brien Institute in 1784 and in the second sub-period an important event is invasion of Toulon in 1793.

1. The second period of Napoleon's life and career includes clear chronological frames. This is the epoch of Napoleon as a consul – 1799-1804. It is divided into two sub-periods. In this period the most significant boundary should appear in 1802 when Napoleon was declared as a consul till the end of his life.

3. The third period of Napoleon's life and career is the epoch of Empire -1804 – 1815yy. It is conditionally divided into four periods. From Austerlitz to Tilzit – 1805-1807yy when Napoleon is at zenith of fame. Symptoms of the crisis of Napoleon's Empire – 1807-1811yy. G. Napoleon's march in Russia in 1812. "It was the beginning of an end". After that Napoleon's crisis got irreversible character. 1813-1815yy. In their turn, these four periods are divided into sub-periods.

4. Napoleon's migration on Saint Helen's island – 1815-1821yy. This period is divided into two parts. Fight for returning to political arena – 1815-1818yy and strict refusal. Leaving politics – 1818-1821yy.

## ჩიხის სალოცავი

საქართველოს ისტორია მდიდარია, უპირველეს ყოვლისა, ისტორიულ-ტრადიციული ძეგლებით და ქრისტიანობის შემდგომ კი საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანულ სალოცავებსა და ტაძრებს, რომელთაც გადამწვევტი და უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ეროვნულ ფასეულობათა ფორმირების პროცესში.

არავისთვის უცხო და შორეული არ არის ის ფაქტი, რომ ქართველმა ერმა საუკუნეების მანძილზე შექმნა მსოფლიო კულტურის ისეთი შედეგები, როგორცაა ბოლნისის სიონი, სვეტიცხოველი, ნიკორწმინდა, ჯრუჭი, გელათი, ალავერდი, გრემი, ზარზმა, იყალთო, იშხანი, პარხალი... კლდეში ნაკვეთი ქალაქები – უფლისციხე და ვარძია.

ქართველები თავიანთ შესაძლებლობებს არა მარტო სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც დიდი მონღომებით იყენებდნენ, რისი ნათელი დასტურია ჯვრისა და თეკლას მონასტრები პალესტინაში, კაპათას მონასტერი იერუსალიმში, პეტრიწონის სავანე ბულგარეთში, ათონის ივერთა მონასტერი საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულზე, ქართული მონასტერი პლუსტანკაში (რუსეთი), ქურმუხისა და კახის ტაძრები აზერბაიჯანში და სხვა.

საზღვრებს გარეთ, ყველგან, სადაც კი ქართველმა ფეხი დადგა, სადაც კი სიყვარულით ერთი აგური მეორეს დაადო, უდიდესი კრძალვა და პატივისცემა გამოამჟღავნა და დღემდე ბრწყინავენ ეკლესია-მონასტრები და იქ დანთებული კელაპტრები.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, არა მარტო კომუნისტურმა რეჟიმმა, რომელსაც ასევე სამწუხაროდ და ურცხვად მიაწერენ ყველა სიცუდეს თუ სიავეს, არამედ გარდასულ ეპოქათა ურწმუნო დამოკიდებულებამ სოფლად თუ ქალაქად, შვა ათეიზმი და არასწორი დამოკიდებულება მართლმადიდებლობისადმი, რამაც ასახვა პოვა ყოველი მომდევნო თაობის სულიერ და ზნეობრივ ფასეულობებზე, რაც თითქმის ყოველთვის იწვევდა გაუკუღმართებულ დამოკიდებულებას მართალი და ჭეშმარიტი სარწმუნეობისადმი.

ცხადია, მოძღვრისა და მასწავლებლის გარეშე ძალიან ძნელი და რთულია ბიბლიის სწავლა-გაგება, მითუმეტეს დღეს, როდესაც კითხვა და მართალი სარწმუნეობის შემეცნება თითქმის არავის არ უნდა, მაგრამ, წინა საუკუნეებში ქართველებს ნამდვილად გვეყავდა გამორჩეულად ღირსეული სასულიერო და საერო მოღვაწენი, მთარგმნელები, წიგნის მკითხველები, ბიბლიის წიგნთა განმმარტებლები თუ მქადაგებლები, რომლებსაც დაინტერესებულ საზოგადოებამდე შეურყვნელად და მთელი სიზუსტით მიჰქონდათ ღმრთის სიტყვა და ამ ყველაფრის გათვალისწინებით ადამიანებმა შეიმეცნეს, გულსა და გონებაში დაიტოვეს ის საღმრთო მადლი, რომელთან მიახლება რჩეულთა ხვედრი იყო და რომლისგან განშორება თითქმის აღარავის ეწადა.

გარდასულ დღეთა ისტორია, იგივე მატიანე, მითუმეტეს პირუთენელი, მიუკერძოებელი და სიყვარულით დაწერილი ღაღადებს საქართველოს წარსულზე, მაგრამ ჩვენ რას ვუტოვებთ მომავალ თაობას? რა იდეებსა და ფასეულობებს ვაზიარებთ, მაშინ, როცა ჩვენვე განვუდექით უფალს და დღემდე გრძელდება ჯვარცმისდროინდელი მოთქმა და გოდება?

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დღევანდელი ისტორია ყალბდება, აღარ იწერება სიმართლე და მხოლოდ გაყვითლებულ, გაცრეცილ, მაგრამ სიყვარულითა და რუდუნებით შექმნილს თუ გადავცემთ მომავალ თაობებს, რომელთაც საძირკველს ნელნელა ვაცლით და ვადარიბებთ სულიერად თუ ზნეობრივად.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს საჩხერის რაიონის (ამჟამად მუნიციპალიტეტის) სოფელ ჩიხის ერთი მივიწვევადი, მაგრამ ამ სოფლის მოსახლეობისთვის ძვირფასი ადგილი, რომლის ზედსახელია „კოკორი“.

საჩხერის რაიონის სოფელი ჩიხა (შემდგომში ყველგან მოვიხსენიებთ მხოლოდ ასე „ჩიხა“) მდებარეობს ჩიხის მთის სამხრეთ კალთაზე მდინარე ყვირილას მარჯვენა ალუვიური ვაკის ნაპირზე, ზღვის დონიდან 520-570 მეტრზე, კუდვის ქედის საჯალაყელის მთის ჩრდილო-დასავლეთ განშტოებაზე.

დღევანდელი მონაცემებით სრულიად დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩიხა იყო არგვეთის საერისთავოს ყველაზე დაწინაურებული ციხე-ქალაქი და ამიტომაც იყო, რომ IX საუკუნის 70-იან წლებში აფხაზთა მეფემ გიორგი I აღწვეულმა<sup>1</sup> არგვეთიდან ჩიხაში გადაიტანა რეზიდენცია, რომელიც ორი მთავარი ფუნქციით აღიჭურვა – როგორც აფხაზ მეფეთა და უფლისწულთა რეზიდენცია.

„გამეფდა ძე ბაგრატისა დავით. ჟამსა ამას გამოვიდა მეფე აფხაზთა და დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ტინენ ძე დიმიტრისი. ხოლო შემდგომად, გარდაიცვალა რა გიორგი მეფე აფხაზთა, ცოლმან მისმან მოკლა ტინენ ძე დიმიტრისა და ეცრუა იოანე მთავარსაცა და შთააგდეს ძე დიმიტრისავე ბაგრატ ზღუასა შინა; არამედ ღმერთმან განარინა იგი და მივიდა კონსტანტინეპოლად“ წერს ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ და ეს არის ერთადერთი ყველაზე მართებული სამეცნიერო გადმოცემა ჩიხის ისტორიის შესახებ.

თუმცა, ლეონტი მროველთან სხვა სახით არის გადმოცემული, რაც არამართებულია და შესაბამისად, შემდეგ საუკუნეთა სამეცნიერო ნაშრომებშიც ასეთივე უზუსტობით ვრცელდებოდა, „მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი, დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი, და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსაც ერქვა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორია-ქმნილობით და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა, და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთააგდეს ბაგრატ ზღუასა. ხოლო ღმერთმან განარინა იგი, და მოიწია ქალაქად კონსტანტინეპოლედ“.<sup>2</sup>

ჩიხამ სწორედ ამ დროიდან (იქნებ უფრო ადრინადაც, თუმცა სამეცნიერო წყაროებში ამ დროიდან ივარაუდება) დაიშვილდა ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ნიკო ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ჩიხაში მდგარი ციხე და მასთან დაკავშირებული ეტიმოლოგიური ძიებანი (ან ციხეები) შემდეგი თანმიმდევრობით უნდა განვიხილოთ „ციხე რომ ჩიხესთან კავშირშია, როგორც ენობრივად, ისე შინაარსეულად, უდავოა. თავდაპირველად, საფიქრებელია, ის მოღობილი იყო (ღობერი) ზღუდის სახელ-ზუდერი და საქონლის (და ადამიანის) დასაცავს წარმოადგენდა (ჩიხი). ციხე, მოღობილი, თუ „მესერი“-ეს იყო გორის უმთავრესი კომპონენტი (და, შესაძლებელია ერთადერთი შინაარსიც).

ამ შინაარსის მოწმობაა ერთის მხრივ ჯიხა, მეორეს მხრივ ჩიხი (ყველა ეს – ჩიხა, სანხერე, ჩხარი, ჩხერი, ჩიხორი, „ციხეს“ ნიშნავს და ჩანს ამ მხარეში, ჩვეულებრივი საერთო სახელი იყო).

ამრიგად, ჩიხისაგან მივიღეთ – ჩიხა (ჩიხი)-ჩიხარი-ჩხერი-ჩხარი-ჩიხორი-სანხერე. გვარისა თუ ტომის ენების ნაშთია: ციხე (ციხერი), ზღუდერი (ზღუდე), ჩიხური (ჩიხა, ჩიხე, ჩიხური).<sup>3</sup>

აქვე უნდა ითქვას მეორე მოსაზრება აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილისა, რომელიც გადაჭრით აცხადებს, რომ „ჩიხაზე გადიოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ორი გზა შემდეგი მარშრუტით: ბრეთი-დვანი-ავნევი-ერკნეთი-წორბისი-ყორნისი-პერანგა-დარყა-ჭალა-ჩიხა და ატოცი-ოქონა-თიღვა-ძაღინა-ოჟორა-ხტენა-გომარეთა-ლომისი-პერანგა-ჭალა-ჩიხა-სანხერე“, <sup>4</sup> რაც სავსებით დასაშვებია, მისაღები და მართებულია.

1950-იან წლებში სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობისას პროფესორმა ოლღა სოსელიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ „ჩხეიძეთა“ გვარი მომდინარეობდა არგვეთის საერისთავოდან, კერძოდ „ჩიხიდან“.

„ერთი ცნობით, თავადი ჩხეიძეები „არიან ძირნი იმერეთიდან,“ ჩიხიდან.“ ამ საგვარეულოს წარმომადგენელნი „იყვნენ პირველი ჩიხის ერისთავნი.“ ეს ცნობა სიმართლეს უნდა შეიცავდეს. სარწმუნოა, რომ ჩხეიძეები „პირველი“ ე.ი. წინათ, ძველად, ჩიხორის თუ ჩიხას ერისთავებად იხსენიენ<sup>5</sup> – ბრძანებს დისერტაციის ავტორი, შემდგომში ცნობილი ისტორიკოსი.

<sup>1</sup> დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფე 861-868 წლებში მეფე ლეონ II-ის ძე.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება. **ლეონტი მროველი**. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **სიმონ ყაუხჩიშვილის** მიერ. თბილისი, 1955.

<sup>3</sup> **ნიკო ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტომი VIII. თბილისი, 1975, გვ. 365.

<sup>4</sup> **ნიკო ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტომი VIII. თბილისი, 1975, გვ. 400.

<sup>5</sup> **ო. სოსელია**. არგვეთის სათავადოები. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი, 1944.

პროფესორ ო. სოსელიას მოსაზრებას თუ მეცნიერულ ვარაუდს ჩხეიძეთა გვარის დაბადების ადგილად ჩიხა და ჩიხის საერისთავო სახელდებოდეს, მისასაღმებელი და სასიხარულოა, მაგრამ ჩვენ ამას ვერც გავიზიარებთ და ვერც უარვეყოფთ, ვინაიდან ამ საკითხის ირგვლივ წარმოდგენილი ნაშრომის გარდა სხვა სერიოზულს და ხელმოსაჭიდს ვერაფერს მივაგენით, თუმცა გამორიცხული ნამდვილად არ არის ჩხეიძეთა გვარი დაბადებულიყო ჩიხაში.

„ჩიხის ნამოსახლარი მდებარეობს საირხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან 7 კილომეტრით დაცილებულ სოფელ ჩიხაში. სოფლის ეკლესიის სამხრეთით (საუბარია ღმრთისმშობლის ტაძრის მიდამოებზე – მ. ც.) ადგილ გობინარში გაჭრილ სადაზვერვო თხრილში ადრეანტიკური ნამოსახლარი ფენის გარდა გამოიყო ელინისტური ხანის მატერიალური კულტურის შემცველი ფენა (ანდრეანტური – ძვ. წ. აღრიცხვის VI-IV სს. ელინისტური-ძვ. წ. აღრიცხვის IV-III სს.), რომელიც ხასიათდება წითლად მოხატული ნაპრიალები და წითლად შეღებილი კერამიკის ფრაგმენტებით. მსგავსი მასალა ჩვენს მიერ (მანამდე) დაზვერილ ძეგლებზე არ შეგვხვედრია. რაც თითქოს იმას უნდა უსვამდეს ხაზს, რომ აღნიშნული ძეგლები ელინისტურ ხანაში აღარ წარმოადგენდნენ დასახლებულ პუნქტებს.“<sup>6</sup> ჩვენის აზრით, ჯ. ნადირაძე ვარაუდობს, რომ როგორც ჩიხაში, ისე საირხეში ელინისტურ ხანაში დასახლებები უკვე აღარ იყო, ანუ განიცადა სოციალური რეფორმაცია, რაც მთლად ასე არ უნდა ყოფილიყო.

ის ადგილები სადაც სადაზვერვო სამუშაოები აწარმოა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, თავის დროზე წარმოადგენდა დასამუშაველ (სახნავი, სათესი) სავარგულებს, რომელთა მრავალჯერადმა „მიწის გადაბრუნებამ“ გადაშალა წარსულის მატთანე და არქეოლოგებს ნაკლები ხელმოსაჭიდი დაუტოვა, ხოლო გორაკ-ბორცვიან ადგილებში, იქ სადაც აღარ მიმდინარეობდა მსგავსი ტიპის (ხენა, თესვა) სამეურნეო საქმიანობა, ელინისტურ ეპოქამდე არსებული ნაკლები და მოპოვებული მასალის ფრაგმენტები უხვად იყო, რაც იმის დასტურია, რომ ამ ადგილების ათვისება შემდგომ საუკუნეებში აღარ ხდებოდა და მოსახლეობის ბარად გადასახლება გარდაუვალი აუცილებლობის გამო დაიწყო (ე.ი. ელინისტური ხანიდან, დაახლოებით ძვ.წ.ად. IV-III სს.).

„კოკორი“ წარმოადგენს პატარა ბორცვს, სადაც არის მართლმადიდებლური ტაძრის ნაშთები, თანასოფლელები ყოველი წლის 14 მაისს აღნიშნავენ „თამარობას“, ზეპირსიტყვიერი გადმოცემის თანახმად თამარს აქაც გაუვლია, რის გამოც ჩვენი სოფლის ქალები მიაგებენ დამსახურებულ პატივს ერთიანი საქართველოს დიდებულ წმიდა მეფე თამარის ხსოვნას, ანთებენ სანთლებს და მართავენ მცირე ტრაპეზს.

1980-იან წლებში „კოკორის“ მიდამოებში, საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის ადმინისტრაციამ ბორცვის სამხრეთ ნაწილში დაიწყო კირსაწვავის მშენებლობისთვის მიწის გატანა (ახლაც ეტყობა ნაკვალევი), რომელიც მალევე შეაჩერეს ხალხის მოთხოვნით.

თავისთავად ცხადია, კომუნისტური რეჟიმის დროს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნით საკოლმეურნეო თუ სამეურნეო დანიშნულების საკმაოდ მნიშვნელოვანი ობიექტის აშენების შეჩერება ვერ მოხერხდებოდა, რომ არა პარტიის მესვეურთა კეთილი ნება (შიში ღმრთისა და ეკლესიისკენ შემობრუნება) და თვით ამ ადგილის ისტორიული ღირებულება.

მიწის გატანის დროს სამხრეთით, სიღრმეში აღმოჩნდა კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, მათ შორის დოქის ყელი და სახელური, ფიალის ნარჩენები, გაშლილი კეცი ბრტყელი ძირით და სხვ., რომლებიც სკოლაში მივიტანეთ და ერთხანს ე.წ პიონერთა ოთახში ეწყო.

სამწუხაროდ მას ჯეროვანი ყურადღება არავინ დაუთმო. არც არავინ დაინტერესებულა ბავშვების მიერ მოძიებული ხელოვნების თუ საეკლესიო დანიშნულების ჭურჭლის ბედით (დღევანდელი ტერმინით – არტეფაქტებით), არა და დაკვირვებული თვალი და გონიერი ადამიანი ადგილად მიხვდებოდა თუ რა საიდუმლოს ინახავდა ეს ყველაფერი. მერე მოხდა 1991 წლის 29 აპრილის ცნობილი და ავადსახსენებელი მიწისძვრა და ყველაფერი თავდაყირა დადგა.

აქვე ვიტყვით, ჩვენი ამჟამინდელი შესწავლითა და გამოკვლევით, ასევე არსებული ლიტერატურით საცნაური ხდება, რომ მსგავსი ნაკეთობანი გვხვდება საირხისა და ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ მასალებში, რაც იმას დასტურებს, რომ წინარექრისტიანულ ხანაში წარმოებული ჭურჭლის ასეთი სახეობანი საკმაოდ გავრცელებულია ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარ ადგილებში და ჩიხის ტერიტორიაზე მოპოვებული ფრაგმენტებიც ცხადყოფს, რომ

<sup>6</sup> ჯურხა ნადირაძე. საირხე. საქართველოს უძველესი ქალაქი. ნაწილი I. თბილისი, 1990, გვ. 136.



„არგვეთის საფეოდალოს დიდი ნაწილი ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულში მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ეს დასახლებები თავდაპირველად სოციალური შინაარსით გორანამოსახლარებია, მაგრამ ძვ.წ.ად IV საუკუნიდან სხვადასხვა ტიპის საცხოვრისებად ფორმირდებიან.“<sup>7</sup>

ამ საკითხში აბსოლიტურად ვეთანხმებით მეცნიერს და შევნიშნავთ, რომ მთის ტიპის დასახლებებიდან ადამიანების ეტაპობრივი გადასვლა ბარისკენ განხორციელდა რიგი აუცილებლობიდან გამომდინარე, რისი ნათელი გამოვლინებაცაა „კოკორის“ მიდამოებში აღმოჩენილი საყოფაცხოვრებო თუ საეკლესიო ნაკეთობათა ფრაგმენტები.

კონკრეტულად ამ ფაქტების შესახებ მრავალი მასალის მოხმობა შეგვიძლია, მაგრამ ვინაიდან საქმე ეხება ჩიხის სალოცავს, იგივე კოკორს, მხოლოდ ამ საკითხზე შევჩერდებით.

რატომ დაინტერესდნენ ჩემი სოფლის დედაკაცები კოკორზე არსებული სალოცავით?

XX საუკუნემ თავისი ტკბილ-მწარე წარსულით დაგვამახსოვრა თავი, მაგრამ ყველაზე მტკივნეული მაინც ერთი უდიდესი ეპოქა იყო, კერძოდ, ღია თუ ფარული ბრძოლა მართლმადიდებლობისადმი (რაც დღეს უფრო „პროგრესულად“, „ცივილურად“ და მიზანმიმართულად გრძელდება), ნგრევა ეკლესია-მონასტრებისა და დევნა სასულიერო პირებისა. ამ მოვლენებმა განსაკუთრებულად უარყოფითად იმოქმედა ყოველ მომდევნო თაობაზე და ხშირად იყო დაპირისპირება მამებსა და შვილებს შორის, რომელიც დღესაც გრძელდება, თუმცა არის ერთი რეალობაც, რომლის თქმას თითქმის ყველა გაუბრუნდა.

ისევე საბჭოთა კავშირის მესვეურების, კერძოდ კი XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოღვაწე მაღალი რანგის ჩინოფიკების მხარდაჭერით ქართულმა ეკლესიამ აღიდგინა გარკვეული უფლებები და უკვე 60-იანი წლებიდან დაიწყო განახლების ახალი ეტაპი, რომლის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის სასულიერო მოღვაწეობის დაწყება ჯერ კიდევ 1963 წელს შემოქმედებულ ეპისკოპოსად და მცხეთის სამოძღვრო კურსების რექტორად.

სამწუხარო კიდევ ის არის, რომ უშუალოდ ჩემს სოფელს არ ჰყოლია და არც დღეს არ ჰყავს მეისტორიე, რომელიც დაინტერესებულთ მიაწვდიდა ანუ ჩვენამდე, მომავალ თაობამდე, მოიტანდა წერილობით ან ზეპირ გადმოცემებს ჩიხის ისტორიის შესახებ, მაგრამ ერთი ბედნიერება ის არის, რომ ამაზე მეტყველებს სოფელში სხვადასხვა დროს აგებული სამი ტაძარი და მეოთხე ტაძრის ნანგრევები.

ჩიხის მართლმადიდებელი ტაძრებიდან პირველი გახლავთ ამჟამად ღმრთისმშობლის შობის სახელობის, თავის დროზე კი წმიდა დიდმოწამე ბარბარეს სახელზე აგებული ტაძარი, რომელიც თითქმის ერთი საუკუნეა არ მოქმედებს (აქვე საინტერესო ის არის, რომ ტაძარს ნამდვილად თვითნებურად გადაარქვეს სახელი საქმის უცოდინარმა ადამიანებმა, თორემ საისტორიო წყაროები გვაუწყებენ და თვით ტაძრის ტიშპანზეც გარკვევით წერია, რომ ის აგებულია დიდმოწამე ბარბარეს სახელზე). მეორე არის „ჭიღლაძეების“ უბნის წმიდა სამების სახელობის (ძველი) ტაძარი, რომელიც დაახლოებით XVII საუკუნეშია აგებული და ერთნავიან ბაზილიკას განეკუთვნება, მესამე კი არის „ცუხიშვილების“ უბნის წმიდა სამების სახელობის (ახალი) ტაძარი, რომელიც ამჟამად მოქმედია, ისე კი მისი აშენების თარიღად მიჩნეულია 1910-იანი წლები (ამავე პერიოდში აშენდა საჩხერის წმიდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარი, ე.წ. „სობორო“) და მის აგებაზე ლოცვა-კურთხევა გაუცია იმერეთის მმართველ მღვდელმთავარს, ეპისკოპოს გიორგის (ალადაშვილი), თუმცა ტაძარი მაღევე, დაახლოებით 1920-იან წლებამდე დანგრეული ჩანს.

ამჟამად ტაძარში წირვა-ლოცვას აღავლენს სხვიტორის მაცხოვრის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი **მიქაელ კირვალიძე**.

როდესაც უნივერსიტეტში ჩავირიცხე (1994 წ.) დავინტერესდი ჩიხის ისტორიით და რამდენიმე ფაქტი შევისწავლე და ჩავიწერე ჩემი ახლობლებისგან და მიმანია სარწმუნოდ.

მამაჩემის ბიძაშვილი, აწ განსვენებული შოთა ცუხიშვილი, რომელიც პირადი ტრაგიკული მდგომარობიდან გამომდინარე 45 წლის განმავლობაში (1955-2000 წწ.) ეტლს მიჯაჭვული ცხოვრობდა, უადრესად განათლებული, დახვეწილი და გონებაგახსნილი ადამიანი იყო, სწორედ მან მიაბო შემდეგი „ახლა რომ კოკორს ვეძახით, ჩემს ბავშვობაში იმ ადგილს გარშემო წყალი უვლიდა, შესაბამისად საუკუნეებმა თავისი ჰქმნა და ეს ადგილი სოფელს უკავშირდებოდა საფეხმავლო ხილით, ბოგირით, ხოლო კოკორიდან ყვირილისკენ, რომლის მიდამოები მუხითა და

<sup>7</sup> ჯურხა ნადირაძე. საირხე. საქართველოს უძველესი ქალაქი. ნაწილი I. თბილისი, 1990, გვ. 136.

წაბლის ნარგავებით იყო საფარი (გასული XX საუკუნის 60-იან წლებზე, როდესაც გაურკვეველი დანიშნულების გამო 30 ჰექტარზე გაიხეხა მწვანე საფარი და „აშენდა“ აეროდრომი) ეშვებოდა პატარა ბილიკი. კოკორის შესახებ ბაბუა-ბებებისგან მსმენია, რომ აქ მდგარა სალოცავი, რომლის ნაშთები ახლაც კი ჩანს, მაგრამ მაშინ სახურავიც ჰქონია და ორი მხრიდან კარიც. ჩემს ბავშვობაში დიდი მოკრძალებით ჩავუვლიდით ხოლმე კოკორს გვერდს და ლოცვასაც კი ვამბობდით უფლისადმი“.

გარდა ამისა, ჩვენ მივაკვლიეთ აკადემიკოს ბორის კუფტინის ერთ წერილს სადაც ხაზგასმით საუბრობს ჩიხის სალოცავის შესახებ: „ნაშთები რომელიც ჩვენ ვიხილეთ ჩიხის სოფლის ტერიტორიაზე, მდებარეს სოფლის ცენტრში, გვაფიქრებინებს, რომ აქ იდგა ქრისტიანული ტაძარი, რომელიც ჟამთა სიავის შედეგად განადგურებულია“.<sup>8</sup>

ეს ფაქტები სიმართლესთან ძალიან ახლოს დგას, რასაც ადასტურებს კოკორზე, ანუ ბორცვის თავზე არსებული სხვადასხვა ზომის სამშენებლო ნაშთები და ჩრდილოეთ მხარეს არსებული ნანგრევები, რომელიც უდავოდ ტაძრის რომელიმე მინაშენის ნაშთია.

თავად კოკორის ანუ ბორცვის მთლიანი გარშემოწერილობა 0.2 კმ., ამ ბორცვს აღმოსავლეთიდან ჩამოუდის პატარა რუ, რომელიც სახელდება როგორც ეწრიდელე, დასავლეთიდან ოდნავ გაშლილი პატარა მოცულობის მინდორი, სამხრეთისკენ მდინარე ყვირილას საწისქვილო განშტოება და იქვე არის აუთვისებული მიწის ფართი ზომით 0, 06 კმ., ბორცვს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სოფელ ჭაღისკენ მიმავალი სამანქანო ასფალტირებული გზა და სოფლის ერთ-ერთი ძირითადი დასახლება – ცუხიშვილების უბანი.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ათეული წლების წინ მუშაობდა ღირსეული მეცნიერი ბატონი დომენტი ქორიძე, რომლის ერთ ნაშრომში ვკითხულობთ: „გვიან-ანტიკური ძეგლების განხილვით ჩვენ დავამთავრეთ საჩხერის რაიონში მოპოვებული იმ არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა, რომლებიც აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშია დაცული და სოფელ ქორეთის (საჩხერის რაიონი) სასკოლო მუზეუმის ფონდებს შეადგენენ. შესწავლილი ძეგლების ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი არ სცილდება გვიან ბრინჯაოს პერიოდის ადრეულ საფეხურს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლების დიდი ნაწილი შემთხვევით მონაპოვრებს წარმოადგენენ, ისინი აშკარად მეტყველებენ იმაზე, რომ ამ მხარეში უფრო ადრეული ხანისათვის დამახასიათებელი მეტალურგიული წარმოების მაღალი დონე გვიან ბრინჯაოს პერიოდსა და მის მომდევნო ხანაშიც მაღალ საფეხურზე აღიოდა. აქაური ამ პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლები აშკარად მეტყველებენ იმაზე, რომ უფრო ადრეულ პერიოდში აქ მცხოვრებმა ტომმა თავიანთი მეტალურგიული თუ კულტურული განვითარება მემკვიდრეობით გადასცეს შთამომავალთ – მათ მემკვიდრეებს, ხოლო ეს უკანასკნელნი ითვისებდნენ რა თავის წინაპრების შემოქმედებას, მათ მიერ შექმნილ კულტურას ავითარებდნენ ტექნიკურად და მატებდნენ ლაზათსა და სილამაზეს“.<sup>9</sup>

აღარავისთვის უცხო არ არის ის, რომ ევროპისა და აზიის კონტინენტის მეტალურგიულ ცენტრს სწორედ კავკასია წარმოადგენდა. ბრინჯაოს ხანა იყოფა სამ ეტაპად: ადრეული (ძვ. წ. III ათასწლეული), შუა (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარი) და გვიანი (ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარი).

გვიანბრინჯაოს ხანის მასალები კავკასიაში ორგანულად უკავშირდება როგორც წინამორბედ, ისე მომდევნო პერიოდის ძეგლებს და ადგილობრივი კულტურის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფეხურს წარმოადგენს. გვიანბრინჯაოს ხანაში საქართველოში მოხდა დიდი სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ძვრები, რამაც ხელი შეუწყო საწარმოო ძალთა და ზოგადად, წარმოების განვითარებას, რასაც დამატება რკინის აღმოჩენა და შესაბამისად მისი ათვისება (ძვ.წ.დ. II ათასწლეულის დასასრული).

ამ რევოლუციური მოვლენების შემდეგ მოხდა შრომის მესამე დანაწილება. ხელოსნობა გამოეყო მიწათმოქმედებას, გაღრმავდა პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პროცესი, რამაც ნიადაგი მოუშადა მოაზროვნე საზოგადოებათა ტრანსფორმაციას და სახელმწიფოების შექმნას.

<sup>8</sup> **Борис Алексеевич Куфтин.** Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию. Тбилиси, 1949. წერილის ქართული თარგმანი **ანუელა ლალიაშვილისა.**

<sup>9</sup> **დ. ქორიძე.** მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები. საჩხერის რაიონი. თბილისი, 1961, გვ. 129.

თანამედროვე საჩხერის ტერიტორიაზე როცა ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ არგვეთის საერისთავოს, რომელიც გადაჭიმული იყო თითქმის მდინარე რიონის პირამდე, უფრო მართებული იქნება ლეონტი მროველისეული ცნობის მოხმობა „მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳსთაგან და მეფე იქმნა ყოველისა ქართლისა და ეგუისა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განამწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი: ერ/თი გაგზავნა მარგვეს ერისთავად, მისცა მცირით მითთგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ[რ]ადმდე [ეგრისისა], რიონს ქვემოთ, და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა“.<sup>10</sup> ამ პერიოდში საჩხერის რაიონის ტერიტორიაზე უკვე ამზადებდნენ ბალთას, ცულს, წალდს, სატეკვარს, შუბისპირს, ხელშუბისპირს, თოხს, ქამრის აბზინდებს და სხვა, რამაც ასახვა ჰპოვა მომდევნო ათასწლეულების შემდეგ არქეოლოგიური გათხრების თუ შემთხვევით აღმოჩენების დროს, თუმცა, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, არ მოგვეპოვება არქეოლოგიური „არტეფაქტები“ ჩიხიდან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს სოფელი და მისი შემოგარენი ამ თვალსაზრისით დღემდე შეუსწავლელია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩიხის ღმრთისმშობლის სახელობის (ანუ დიდმოწამე ბარბარეს სახელობის) ტაძრის გაღვენის შიგნით, ერთ-ერთი საფლავის გათხრისას აღმოჩნდა გრძელეკლიანი სურა (დოქი), რომელიც ამჟამად ინახება საჩხერის მხარეთცოდნეობის მუზეუმში და რომელიც დათარიღებულია ძვ. წ. აღ-ის II ათასწლეულით და აბსოლუტურ მსგავსებაშია პროფესორ ჯურხა ნადირაძის მიერ მოდინახეზე აღმოჩენილ დოქთან.

ეს ყველაფერი გვაძლევს სრულ უფლებას ვთქვათ, რომ ჩიხა, ისე როგორც საჩხერის რაიონის სხვა სოფლები – პერევი, ქორეთი, საირხე, დარყა, ჭალა, ციხე-სიმაგრეები – მოდინახე თუ გორაძირი, ინახავს გარდასულ ათასწლეულთა მიწისქვეშა საიდუმლოს, რის ნათელ დადასტურებას ასევე წარმოადგენს ჩემს ბავშვობაში „კოკორის“ მიდამოებში ნაპოვნი და მერე უყურადღებობის შედეგად გაუჩინარებული არქეოლოგიურად ფასეული სახელოვნებო ნივთები.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ 1977 წლის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის XII გაფართოებული საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილიას (შიოლაშვილი) არჩევამ რევოლუციურად შეცვალა საქართველოს ტკივილით აღსავსე ისტორია, ხოლო ერს, ეკლესიას და მსოფლიოს მოეველინა ბრძენი ადამიანი.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II შრომა, გარჯა, ვაჟკაცობა, მართლმკვეთელობა და გამბედაობა გვაძლევს იმის უფლებას და საფუძველს, რომ ჩიხის მივიწყებული, მაგრამ უდავოდ მართლმადიდებლური სალოცავი, რომლის ზედსახელია „კოკორი“, დაეუბრუნოთ დედაეკლესიის წიადს და საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით ის აღირიცხოს როგორც ეკლესიის კუთვნილება, ეცნობოს შესაბამის სამინისტროებს და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს, რათა დროულად მოხდეს საკითხის დადებითად გადაწყვეტა – ანუ ამ ადგილზე კვლავ აღიმართოს ბაზილიკის ტიპის პატარა ტაძარი წმიდა მეფის თამარის სახელზე, რაც იქნება უდავოდ დიდი შენაძენი ჩვენი უძველესი, სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის – სადიდებლად ღმრთისა და გამაერთიანებლად ერისა.

აქვე ვიტყვით, რომ მიმდინარე წლის მაისში ჩვენ მივმართეთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და მოვითხოვეთ აღნიშნული ძეგლის არქეოლოგიურად შესწავლა, შუალედური პასუხი არაფრისმთქმელია, ველოდებით სააგენტოს მხრიდან პროფესიულ დონეზე საკითხის შესწავლას, რაც უდავოდ გაადვილებს პრობლემის დადებითად გადაწყვეტას.

<sup>10</sup>ქართლის ცხოვრება. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1955, გვ. 24.

**Mamuka Tsukhishvili**

## **Shrine of chikha**

Resume

Chikha is located in sachkhere municipality. Back to the 8 th century it was leading fortress-town of Argveti dominion. This letter elaborates the issue of remnants/debris of Chikha chapel that reached our time. The materials and the literature named in the letter gives us a full right to say that the said debris represents the orthodox church and its rehabilitation is absolutely to Chikha history.

3 0 3 3 3 3 0 3

## წმიდა ნინოს და წმიდა მეფე მირიანის ბიბლიური პარადიგმები

წმიდა ნინოს კაბადოკიელობა, ქართლში მოსვლა იერუსალიმიდან, ქართლის მიხნევა ჯერ ჩრდილოეთის, ხოლო შემდგომ – აღმოსავლეთის ქვეყნად, ელიას ხალენი და უფლის კვართი, ჯვარი ვაზისა, არმაზის მსხვერვა და სვეტი-ცხოველი, ქართლის მთათა სახელები, „მარტო – ხე“ და მისგან ირემთა განკურნება, ბაღი და წყარო, მთელი მცხეთის გარშემო ტოპონიმია, დედოფალ სუჯის მცხეთას შემოსვლა – საკრალიზებულია „წმიდა ნინოს ცხოვრებაში“. მაგრამ ეს საკრალიზება, თავისთავად, ქრისტიანული სიმბოლიკითაა დატვირთული. სიმბოლიზებულია ნინოს ეპითეტები: „ტყვე“ და „დედოფალი“ და მრავალი სახე თუ დეტალი – „წიგნი დაბეჭდული“, „ნაძვილი ბანით მოსრული“, ბივრილი და ფრცხილი, სხვადასხვა ფიზიოგნომიკური მოდელი, რომლებიც ქმნიან ერთიან საკრალურ კონტექსტს წმიდა ნინოს სახესთან მომართებით.

ცნობილია, რომ ქართლის განმანათლებლის უმთავრეს ბიბლიურ პარადიგმად ყოველადწმიდა ღვთისმშობელი, ხოლო მირიან მეფის „წინასახედ“ კი კონსტანტინე დიდი მოიაზრება. თუმცა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტიდან გამომდინარე, არც სხვა ბიბლიური პირველხატებია ნაკლებმნიშვნელოვანი, კერძოდ, წმიდა ნინოსთან ბიბლიური იოსების, ხოლო მირიან მეფესთან – პავლე მოციქულის სახეთა დაკავშირება.

საქართველოს განმანათლებლისა და იოსების ერთ ჭრილში განხილვის ერთ-ერთი საფუძველი მათი „ტყვეებად“ მოხსენიებაა. მოკლედ ჩამოვყალიბებთ, თუ როგორ განიმარტება იოსების სახე სხვადასხვა წმიდა მამის მიერ: იოსებმა სიყრმიდანვე მოასწავა ქრისტეს მოსვლა; „ვითარცა უფალი ჩუენი მოივლინა ჩუენდა წიადთაგან მამისათა ჩუენ ყოველთა ცხოვრებად, ეგრეცა ყრმაჲ იგი იოსები მოველინა წიადთაგან იაკობისთა ძმათა თვისთა და ვითარცა იგი უწყალოთა მათ ძმათა იოსებისთა იხილეს იგი, მი-რად-ეახლებოდა ძმათა თვისთა, იწყეს ზრახვად ძვირისა მისთვის, რომელსა მშვიდობაჲდა მიაქუნდა პირისაგან მამისაჲსა, ეგრეცა ჰურიათა გულფიცხელთა მარადის, ვითარცა იხილეს მაცხოვარი ჩუენი ქრისტე, იტყოდეს: ესე არს უცილობლად მკვიდრი მისი, აწ მოვედით და მოვკლათ იგი და ყოველივე ჩუენდა იყოს. ვითარცა – იგი სახედ იოსების ძმანი იტყოდეს, ვითარმედ მოვკლათ ეგე და განვერნეთ ჩუენებათაგან მაგისთა, ეგრეცა სახედ ჰურიანი იგი სამაგელნი ზატიკსა მას ჭამდეს ოდენ და მოკლეს მაცხოვარი ჩუენი ქრისტე. შთასლვაჲ იგი იოსებისი ეგვიპტედ აუწყებს მაცხოვარსა ჩუენისა მოსლვასა ქუეყანად“ (წმ. ეფრემ ასური, წმ. იპოლიტე რომაელი, წმ. ეპიფანე კვიპრელი).

ამ ციტატიდან გამოიყოფა იოსებისა და მაცხოვრის სახეთა ასეთი კავშირი: იაკობი – იოსები – იოსების ძმები – იოსების ძმების „ძვირის ზრახვა“ – ეგვიპტე, რომელსაც შეესაბამება: მამადმერთი – იესო ქრისტე – გულფიცხი ურიები – ჯვარცმა – მაცხოვრის ჯოჯოხეთში ჩახდომა. თავისი სიბრძნისა და თავშეკავების გამო იოსები დაჯდა ფარაონის ეტლზე და ყოფილმა ტყვემ მთელ ეგვიპტეზე მიიღო ხელმწიფება, ხოლო მაცხოვარი ზეცად ამაღლდა ნათლის ღრუბლით და დაბრძანდა მამადმერთის მარჯვნივ. ქრისტესთან მიმართებით გამოიყოფა, აგრეთვე, იოსების სისხლით შეღებილი სამოსელი, რომელზეც იაკობი წინასწარმეტყველურად ამბობს: „ცოცხალ არს სამოსელი ესე, ხოლო, ვითარ ვჰკონებ მე, არა მხეცმან შეგჭამა, საყუარელო, არამედ ხელთაგან განიძარცუე და მოიკალ“ (წმ. ეფრემ ასური). „ცოცხალ სამოსელში“, რა თქმა უნდა, მაცხოვრის კვართი ასოცირდება, რომელიც „შეუგინებელმცა არს სისხლისაგან“, ანუ: როგორც იოსების სამოსელი იყო შეღებილი სისხლით, ხოლო სინამდვილეში იოსებს არაფერი ვნებია, ასევე ვნებანი ვერ შეეხებიან „ღმრთეებასა მას“ ქრისტეს (წმ. ეპიფანე კვიპრელი).

განსაკუთრებულია იოსების სახეში მისი მოთმინების უნარი, რასაც თავისი კურთხევის წარმოთქმისას ჭვრეტს იაკობი. ამით იგი სინამდვილეში აკურთხებს არა თავის ძეს, არამედ იმას, ვის სახესაც იოსები ატარებდა ანუ იესო ქრისტესა და მის მადლს (წმ. იპოლიტე რომაელი).

მოსეს მიერ წარმოთქმულ კურთხევაში წმ. იპოლიტე რომაელი ასახელებს მაყვლოვანს, რომელიც ხდება ღვთისმშობლის საყოველთაოდ გავრცელებული სიმბოლო; მასში იოსებისა და

მოსეს სახეებთან ერთად ირეკლება ეკლესიაც. ვინაა ის, ვინც მოსეს მაცვლოვანში ეჩვენა? – სვამს კითხვას იპოლიტე რომაელი და პასუხობს: ესაა უფალი, მაცვლოვანი კი – ეკლესია, რომლის განჭვრეტითაც მოსემ „იხსნა ერი თვისი ქუეყანასა მისგან მეგვიპტელთაჲსა“.

იოსების სახესთან დაკავშირებული ლიტურგიკული ქვის – ბივრილის ფერებია მწვანე, ზურმუხტისფერ-მწვანე, ზღვის ტალღისფერიდან ცისფრამდე, ვარდისფერი და ყვითელი, მაგრამ წმ. ეპიფანე მის შეფერილობად სისხლისფერს გამოყოფს, რადგან სისხლითაა შეღებილი იოსების სამოსელი, „რომელი შეაღტვეს სისხლითა ძმათა მათ და მიუძღვანეს მამასა თვისსა იაკობს“ (დაბ. 37. 31). თავისი სიმშვიდისა და სიწმიდის გამო კი იაკობის უსაყვარლესი ძე – იოსები ჭეშმარიტი მადლით შეემატა, შეერთო ისრაელს. საკუთარი სიბრძნის წყალობით იგი „მიიწია ფლობილებასა და ხელმწიფებასა და საყუარელ-ყოფასა ფარაონსა მეგვიპტელთა მათ და ყოველსა სოფელსა“. ამიტომაც იოსების გამომხატველი პატიოსანი ბივრილი ამკობს „გვირგვინსა შარავანდეთასა და ედემის გვირგვინსა და სამკაულსა დედათა აზნაურთასა და შთაისუმის ბეჭედსაცა ხელმწიფეთასა და დიდ-დიდთასა“, – დაასკვნის წმ. ეპიფანე კვიპრელი.

როგორც ვხედავთ, იოსებისა და წმიდა ნინოს ერთ კონტექსტში წარმოდგენა ქართული ქრისტიანული კულტურისათვის მნიშვნელოვან რამდენიმე მოდელს, სახე-იდებს გამოყოფს: ტყვეობას, ქალის როლს ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში, სამოსელ-კვართს, მაცვლოვანს, ბივრილს – ყველა ერთად აღებული კი ქრისტემდელ და ქრისტეს შემდგომ საქართველოში არსებულ „ქრისტიანულ რეალიებზე“ მიუთითებს.

წმ. ნინოს ტყვეობასთან დაკავშირებული მოსაზრებები მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: ბიზანტიურ წყაროებში (რუფინუსი, თეოდორიტე, კვირელი, სოკრატე, სოზომენე) სახელი „ნინო“ არაა დაფიქსირებული, სამაგიეროდ მისი სახელწოდებაა „ტყვე“, რომელიც ყოველგვარი განმარტების გარეშეა მოცემული, არც ქართული წყაროებით ჩანს ნათლად, თუ რატომ ცხადდება იგი ტყვედ, მაგრამ „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ქართულ ვერსიებში პირდაპირაა ნათქვამი, რომ საქართველოს განმანათლებელი საკუთარ თავს თავიდანვე უწოდებდა ასეთ სახელს, რაც მას ისე შესთვისებია, რომ IV-V საუკუნეების ბიზანტიური ისტორიოგრაფია წმ. ნინოს, როგორც ვთქვით, მხოლოდ და მხოლოდ ასეთი სახელწოდებით მოიხსენიებს. თვითონ განმანათლებლის მიერ საკუთარი თავისადმი შერქმეული ეს სახელი უფრო მეტ შინაარსს უნდა შეიცავდეს, ვიდრე ეს დროებითი მდგომარეობის აღმნიშვნელ ამ სიტყვაში იგულისხმება.

თხზულებაში ზედწოდება „ტყვე“ რამდენჯერმე დატყვევებულის მნიშვნელობით იხმარება, რომელშიც ტყვეობისა და თავისუფლების ანტინომიაა ხაზგასმული. ამ ანტინომიის ქრისტიანული არსი ნათელია: ქრისტიანი ტყვეა, მონაა ღვთისა, ხოლო ამასოფლის ცოდვათაგან ის თავისუფალია და სხვათა გამათავისუფლებელი.

„წმიდა ნინოს ცხოვრების“ ერთ მონაკვეთში საქართველოს განმანათლებლის ეპითეტი „ტყვე“ შინაარსით მასთან ახლოს მდგომ სიტყვებთან ერთადაა მოცემული: „უცხო“, „მწირი“, „შეუწვენელი“, „უსმი“ და „უტყვი“ (ენის უცოდინარი) – ყველა ეს სიტყვა საერთო სემანტიკურ ველს ქმნის, რომელშიც უცხოოდ სხვაგანყოფის შინაარსია. ამავე მნიშვნელობასთან ახლოს დგას ამ სიტყვიდან წარმოებული „ტყუების“ შინაარსი, რაც ძალით აყრას და გადასახლებას ნიშნავს. ეს სრულიად აშკარად უკავშირდება ისრაელის ტყვეობასაც, აქედან გამომდინარე, „წმიდა ნინოს ცხოვრებაში“ საქართველოს განმანათლებლის მიმართ ხმარებულ ზედწოდებას „ტყუე“, შესაძლოა, „უცხოს“, სამშობლოს გარეთ მცხოვრების მნიშვნელობა ჰქონდეს მინიჭებული. ქართლში მოსვლის შემდეგ ნინოს მიმართავენ „დედოფლობით“ და თან ეკითხებიან, თუ რატომ აღნიშნავს თავის ტყვეობას. ნინოს პასუხში არსად ჩანს ტყვეობა. გარკვეული აზრით, ცნობა ნინოს ტყვეობაზე კონკრეტული ამბების კონტამინაციის შედეგი უნდა ყოფილიყო. როგორც უნდა იყოს, ნინოს ტყვეობას იმთავითვე სიმბოლური მნიშვნელობა უნდა მისცემოდა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ წმიდა ნინოს ისტორიულობიდან გამოირიცხოს მისი მართლაცდა ტყვეობა, რადგან ამას იმეორებს მასზე არსებული თითქმის ყველა წყარო.

სხვა მოსაზრებით, ნინოს ზედწოდება „ტყვე“ უნდა გავიგოთ „დატყვევებულის“, „კრულის“ მნიშვნელობით. აქ ფოლკლორული მასალის მოხმობაც დროული ჩანს: ქართლის მოქცევის ხალხურ ვარიანტებში ქალი, სახელად ნინო, ჯვრის მიერ არის დატყვევებული, ხოლო ჯვრის დატყვევებული, ისევე როგორც ჯვრის პატიმარი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში იხმარება ჯვრის მსახურის მნიშვნელობით. პატიმარი, გარკვეული აზრით, ბერია, განდევნილია, ე.ი. ის პირია, ვინც გამოცალკევებულია საზოგადოებიდან, საერთო ყოფიდან. ასე რომ, „წმიდა ნინოს ცხოვრების“

„ტყვევ“ საკრალური მნიშვნელობა აქვს და, გარკვეული აზრით, უახლოვდება ხალხური „პატიმრის“, „დაჭერილის“ საკრალურ მნიშვნელობას.

ისიც შენიშნულია, რომ „ტყვეობა“ ამქვეყნიური ცხოვრების დროებითი ხასიათის ხაზგასმია და თავისთავად გულისხმობს მის საპირისპიროდ მშობლიურ და მარადიულ სახელში დაბრუნების მოლოდინს. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ „წმიდა ნინოს ცხოვრებაში“ განმანათლებლის ეპიტეტს – „ტყვევ“ ყოველთვის თან ახლავს მისი საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა – „დედოფალი“, რომელიც უთუოდ უნდა გაეიგოთ, როგორც წმ. ნინოს ზედწოდების („ტყვევ“) მომავალი ესქატოლოგიური შინაარსის მქონე მეწყვილე.<sup>1</sup>

წმიდა ნინოს „ტყვეობის“ შინაარსს თითოეული მოსაზრება გარკვეულწილად აგებს და ნათლად წარმოაჩენს, თუ რაოდენ რთულია და მრავალმხრივადაა გააზრებული წმ. ნინოს სახე ქართულ ქრისტიანულ კულტურაში. ვფიქრობთ, ამ მხრივ, იოსების „ტყვეობის“ შინაარსიცაა გასათვალისწინებელი, რომელიც იაკობის უსაყვარლესი ვაჟი იყო მამადმერთისაგან მხოლოდშობილი ძის მსგავსად. იოსების ძმებმა გულფიცხი ურებივით გაყიდეს, ჯვარს აცვეს იგი; და როგორც მაცხოვარი ჩავიდა ჯოჯოხეთში სიკვდილის საკრველთა დასახსნელად და შემდგომ ზეცად ამაღლდა, ასევე იმყოფებოდა იოსები ეგვიპტეში, რათა ტყვეობიდან ეტლზე ამხედრებული დამშონებულ ეგვიპტეს მეუფედ მოვლინებოდა. ანალოგიათა მოძებნა წმიდა ნინოს სახესთან – ეს იქნება მისი მხოლოდშობილობა ან მარიამ დევისმშობლის ფუნქციის აღსრულება, სომხეთში რიფსიმიანებთან ერთად ტყვედ ყოფნა და შემდგომ ჩრდილოეთის ქვეყანაში მოსვლა, რაც სვეტიცხოვლის აღმართვით დაგვირგვინდა, გარკვეულწილად უკავშირდება იოსებისა და ქრისტეს ცხოვრების ისტორიულ და საკრალურ ასპექტებს.

ამ მოსაზრებას ერთგვარად ამყარებს პატრისტიკაში განმარტებული იოსებისა და მაცხოვრის პერანგების ურთიერთკავშირი და საქართველოში ქრისტეს კვართის შემოტანის ტრადიცია, მაყვლოვანთან კონტექსტში წარმოდგენილი იოსებისა და წმიდა ნინოს სახეები და, თავისთავად, ბივრილიც, რომელიც მისტიკური გზით ნინოს გადაეცა.

დამატებით შეიძლება ისიც შევნიშნოთ, რომ წმ. ნინოსადმი წარმოთქმული სიტყვები – „ტყვევ და ტყვეთა მხსნელო“ – ევანგელური სწავლების ცნობილ ფრაზას – „სიკვდილითა სიკვდილის დამთგრუნველობას“ ეხმიანება. ორივე მათგანი ანტინომიური შეწყვილებაა და მათი ერთმანეთის გვერდიგვერდ წარმოდგენით უფრო ნათლად ჩანს წმ. ნინოს „ტყვეობის“ არსი. თვალსაჩინოა, ასევე, ისრაელთან ასოცირებული, ერთი მხრივ, ტყვეობა და, მეორე მხრივ, აღთქმული ქვეყანა. ისრაელი იგივე იაკობია, ხოლო იაკობის უსაყვარლესი ძე იოსები – ტყვე და მხსნელი, მონა და მეფე და სხვ., მსგავსად მაცხოვრისა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაისვას ასეთი საკითხიც: საქართველოში შემოსული დევნილი ებრაელები, გარდა ბენიამინის ნათესაებისა (ახლადმოქცეული მეფე მირიანის კითხვას: „ურიანო, მოიქცევით და აღიარებთა ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა ჩუენ თანა, ანუ ჰგიეთ თქუენსავე სიცოფესა ზედა, რამეთუ შენ ხარ წინამძღუარ მათდაო?“ – აბიათარი პასუხობს: „მე, მეფე, თავისა ჩემისათუს ამას მიგიგებ, რამეთუ ვითარცა უწყიან მთავართა შენთა და ყოველმან ამან ქალაქმან, ნათესავით ვარ ბენიამინისი და სჯულითა მოსესმიერთა სწავლულ და ფრიად წურთილ წერილთა წინასწარმეტყველთასა და მეცნიერ ყოველსა მათ მიერ ქადაგებულსა, რომელსა აწ ვხედავ აღსრულებულადო“),<sup>2</sup> შესაძლებელია ყოფილიყვნენ იოსების შტოს წარმომადგენლებიც.

საბოლოოდ კი, უნდა შეინიშნოს, რომ „წმიდა ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციებში საქართველოს განმანათლებლის მიმართ ზედწოდება „ტყვევ“ გაფერმკრთალებულია, პრაქტიკულად აღარაა აქცენტირებული და მის ადგილს ძირითადად „ნეტარი“ იკავებს.

ქართლის მოქცევის სხვადასხვა რედაქციაში არმაზის სამხრეების შემამკობელ ძვირფას თვლებად დასახელებულია: ბივრიტი და იაკინთი, ზურმუხტი და ბივრილი, ფრცხილი და ბივრიტი. როგორც ვხედავთ, მხოლოდ შატბერდულ-ჭელიშურ ვერსიაშია ფრცხილი, ხოლო ბივრიტი-ბივრილი ყველგან დასტურდება.

<sup>1</sup>ზურაბ კიკნაძე. ქართლის მოქცევის ფოლკლორული ვარიანტები.– ჟურნალი „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, №1; ზურაბ კიკნაძე. ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა. თბილისი, 1985, გვ. 251-257; ლ. პატარიძე. ცხოვრება წმიდისა ნინოსი. თბილისი, 1993, გვ. 84-91.

<sup>2</sup>ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი III (მეტაფრასული რედაქცია, XI-XIII სს.). თბილისი, 1971, გვ. 37.



შენიშნავთ, რომ ფრცხილი, იგივე ონიქსი ანუ ანუქიონი, ბენიამენის შტოს გამომხატველი ქვაა, ბენიამენის ნათესავთაგანნი კი იყვნენ, ერთი მხრივ, პავლე და, მეორე მხრივ, აბიათარი („აბიათარი, ჰურიანოფილი იგი მდდელი, რომელი იყო მეორე პავლე, რომელი არა დასცხრებოდა ღამე და დღე ქადაგებასა ქრისტესსა“).

წმ. ეპიფანე კვიპრელის მიხედვით, ფრცხილი „აღსრულების ქვაა“ (შდრ.: ნეშტ. 29. 2), იგი აბოლოებს ყველა თვალს, „რომელნი განდგმულ არიან ზედა სიტყვიერსა და საშჯელსა მას ფიცარსა“ და პირველმდღედელთაგან აარონის შესამოსელის შემამკობელ პატიოსან ქვათა უკანასკნელ, IV რიგს. ისიც მითითებულია, რომ ამ თვალთ მზადდება სამეფო სასმისები. ფრცხილი ედემის ბაღს მიეკუთვნება (ეზეკ. 28. 13) და ამკობდა სოლომონის ტაძარს. მიუხედავად იმისა, რომ ფრცხილის შესაბამისი იაკობის მეთორმეტე ძე – ბენიამენი ნაბოლარა იყო, იგი ყველაზე წინ მეფობდა ისრაელზე (გაეიხსენოთ, რომ ებრაელთა პირველი მეფე საული ბენიამენის შტოდან იყო).

საყურადღებოა, რომ ბენიამენი იშვა ბეთლემის ახლოს. დედამ, რომელიც მშობიარობას გადაჰყვა, მას ბენ-ყონი – „ძე ჩემი ტკივილისა“ დაარქვა, ხოლო იაკობმა კი – ბენიამენ ანუ „ძე მარჯვენისა“ (დაბ. 35. 18), „ძე სიმაგრისა, ბედნიერებისა“.

წმ. იპოლიტე რომაელის განმარტებით, იაკობისგან მის მიმართ წარმოთქმული კურთხევის სიტყვებიდან – „ბენიამენ – მგელ მტაცებელ, განთიად ჭამდეს-ღა და მწუხრი განუყოფდეს საზრდელსა“ (დაბ. 39. 27). „მგელ მტაცებელ“ სრულიად აშკარად მიანიშნებს პავლეზე, რომელიც, როგორც ვთქვით, ბენიამენის ტომიდან იშვა და თავდაპირველად მტაცებელი მგელი იყო, რადგანაც გლეჯდა და ჭამდა „კრავთა ეკლესიისათა“. ამიტომ დედის მიერ სიკვდილის წინ ბენიამენისთვის შერქმეული სახელი „ძე საღმობისა ჩემისა“ მომავლის უწყებად უნდა გაეიაზროთ: ამით მოესწავა, რომ პავლე, რომელიც ბენიამენის ტომისგან იშვა, შემდეგში სწორედ საკუთარი დედის ანუ ეკლესიის მაურვებლად და მაჭირებლად მოგვევლინა, როდესაც მან უფლის სახელის მქადაგებლები ამოწყვიტა. ამრიგად, პავლე იშვა როგორც მგომბელი და მდევნელი, შემდეგ მოინანია და სულიერი და ზეციური საზრდო მოგვანიჭა ყველას, მანვე პირველმა ახარა წარმართებს ქრისტე.

ეგვევა განჭვრეტილი მოსეს მიერ წარმოთქმულ კურთხევაში – „დაემკვიდროს სასოებით და ღმერთი თავადი მფარველ ექოსო“, რადგანაც, როდესაც იგი დამასკოს გზაზე მიდიოდა, მფარველ ექმნა უფალი და მისი ძალით სასწაულებს ჰყოფდა.

როგორც ბენიამენი იყო ყველაზე უმცროსი და საყვარელი თვალ ფრცხილივით, ასევე გამორჩეული იყო მისი ნათესავთაგანი მშვენიერი და საყვარელი ეკლესიისა, ყველა მორწმუნის „ჭური რჩეული“ (საქმ. 9. 15) პავლე. როგორც მეფეთა და „სძალისათვისა“ სასურველი ქვა ფრცხილი, რომლისგანაც ისინი თავიანთ სასმისებს ამზადებინებენ, ასევეა ღვთისგან მოციქულად გამოჩინებული პავლე – ქრისტეს სძლისათვის, ეკლესიისათვის სულიერი სასმისის ანუ „პავლენის“ მიმპყრობი.

წმ. ეპიფანეს მიერ აღწერილ წმ. პავლეს მოქცევასთან დაკავშირებულ ბიბლიურ ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანია პავლეს გონების დაბნელება (სულიერი), რასაც დამასკოს გზაზე „აღსრულ ეტლთა და დიდთა განლაღებითა თავისმოთნეობითა“ წამოსული ქრისტიანების მდევნელი პავლეს თვალთა დაბნელებაც (ფიზიკური) დაემატა, „რადთა განმსწავლოთ მე და რადთა აღეხუნენ თუაღნი გულისა ჩემისანი და მოვიდე ღმრთისა ცნობისა“. უფლისაგან მოვლენილი სასწაულით განისწავლა პავლე, განეშორა მას თავხედობა, დამდაბლდა და გამოეცხადა საშინელება (შიშისმომგვრელი ხმა): „საულ, საულ, რადსა მდევნი მე? მან მიუგო და ჰრქუა: შენ ვინ ხარ, უფალო? ჰრქუა მას: მე ვარ იესო, რომელსა შენ მდევნი“ (საქმ. 9. 4-5). პავლეს მხლებლები გაოგნებულნი იდგნენ, ხმა კი ესმოდათ, მაგრამ ვერავის ხედავდნენ. წამოდგა პავლე, თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ ვერას ხედავდა. დამასკოში ხელპყრობით შევიდა და შეიცნო მან ჭეშმარიტება. ასე რადიკალურად გარდაისახა და ფერი იცვალა პავლემ: ეტლით გალაღებულად წამოსული „მთხოველივით“ ხელპყრობილი შეიქნა, მაშინ ერქვა საველე და აწ პავლეა, თავიდან მდევნელი იყო ქრისტიანებისა და მერე მოციქულად მოგვევლინა. წმ. ეპიფანეს თანახმად, პავლემ ფრცხილისაგან დამზადებული თასით ასვა „ყოველთა ცის-კიდეთა“ ღვთის მეცნიერების, მოძღვრების სასმელი. თავისი ნაშრომის საფასურად, როგორც ბენიამენს, მასაც ხუთწილად მიეზღო, რადგან ასე თქვა: „ხუთ გზის... ცემაჲ მოვიდე“ (II კორ. 11. 24).

პავლე მოციქულის სახეში ეპიფანე კვიპრელი ქრისტიანული ეკლესიის წინასახეს ჭვრეტს, რომლის გუმბათი სპილოს ძვლის გოდოლია, სვეტები – მარმარილოსი, ოქროს კვარცხლბეკზეა

დაფუძნებული, ხოლო მშვენიერებით ღიბანის ნაძვს და კედარს შეჰგავს, დამასკოსკენ მიუქცევია პირისახე (მდრ.: ქებ. 5. 15; 7. 5).

„მატბერდის კრებულში“ შეტანილ ეგზეგეტიკურ თხზულებებში წარმოდგენილი ეს განმარტებები უშუალოდ ეხმიანება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ უმთავრეს ეპიზოდს – მზის დაბნელებას, რასაც მოჰყვა ჯერ მირიანის და შემდეგ მთელი ქართლის გაქრისტიანება. ეს ეპიზოდი მეტნაკლები სხვაობით თითქმის ყველა წყაროში დასტურდება (ქართულში, ბერძნულში, სომხურში). თხოთის მთაზე სანადიროდ გასული მეფე მირიანი, მსგავსად პავლესი, „იტყოდა: შემო-რად-ვიქცე, შური ვიძიო (ქრისტიანებზე, კერძოდ, წმ. ნინოზე, ახლადმოქცეულ ნანა დედოფალსა და მავან მთავარზე – გ. ა.) მათგან შეურაცხებისათვის ღმერთთა ჩემთაჲსაო“; მაგრამ მას შემდეგ, რაც „კეთილისმყოფელმან ღმერთმან აქცია გონებაჲ მისი უცნობელობისაგან ცნობად და უმეცრებისაგან მეცნიერებად... მოვეო ცნობასა და განიზრახვიდა გულსა თვისსა... აღვიარო სახელი შენი (ქრისტესი) და აღვმართო ძელი ჯუარისა შენისაჲ და თაყუანის-ვსცე მას, და აღვიშენო სახლი სახლად შენდა და სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოდსსა და სჯულსა ზედა ჰრომთასა“. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ გამოუბრწყინდა მას მზე და მეფე მირიანი დანაპირების, ასე ვთქვათ, მისიონერულ აღსრულებას შეუდგა.

მირიანის ფერიცვალება განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს აბიათართან საუბრის დროსაც: „ვითარცა ესერა ხედვენ თუალნი შენნი, გამობრწყინდა ჩუენ ზედა ნათელი ჭეშმარიტებისაჲ და აღმოგყვანნა ბნელისაგან ნათლად და გვიხსნა მონებისაგან ეშმაკისა. აღვიარეთ ჭეშმარიტი ღმერთი და ნათელვიდებიეს სახელითა წმიდისა სამებისაჲთ. და შედგომილ ვარ მცნებასა და მოძღურებასა წმიდათა მოციქულთა და ქადაგთა მისთასა. აწ რად გნებაჲს თქუენ, ჰურიანო, მოიქცევით და აღიარებთ ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა ჩუენ თანა, ანუ ჰკიეთ თქუენსავე სიცოფესა ზედა, რამეთუ შენ ხარ წინამძღუარ მათდა? ხოლო აბიათარ ჰრქუა მეფესა: მე, მეფე, თავისა ჩემისათვის ამას მივიგებ, რამეთუ ვითარცა უწყიან მთავართა შენთა და ყოველმან ამა ქალაქმან, **ნათესავით ვარბენიამენისი** და სჯულითა მოსესმიერთა სწავლულ და ფრიად წურთილ, წერილთა წინასწარმეტყუელთასა და მეცნიერ ყოველსა მათ მიერ ქადაგებულსა, რომელსა აწ ვხედავ აღსრულებულად. და იგი ყოველნი ამისთვის წამებენ, ვითარმედ შეცვალებად იყო სჯული და სჯულის მღებელი და მოსლვად იყო ღმერთი ქუეყნად მსგავსად კაცთა, და წყალთა მიერ ნათლის ღებად და სამარესა დადებად და აღდგომად მესამესა დღესა. ხოლო მე პირველთა მათთვის უგუნურებათა მამათა ჩუენტასა ვტიროდე, რამეთუ განარისხეს შემოქმედი და ქმნეს ბოროტი წინაშე მისსა და გამოახუნეს თავნი მათნი სრულად წყალობისაგან ღმრთისა, რომლისათვის წარწყმდა სახსენებელი ჩუენი და მივეცენით მონებასა და ჰრომთა დაიპყრეს ქუეყანაჲ ჩუენი და მთავრობაჲ და ჩუენ განვიბნინით ყოველსა სოფელსა. ხოლო მიკვირდა, მესმოდა რად შედგომად იგი მოციქულთაჲ ქრისტესი და ესრეთ სიკუდილი მისთვის, და მივემთხვიე **ეპისტოლეთა ნათესავისა ყოველად ბრძნისა პავლესთა და გულისხმაყვავ ყოველი იგი წერილი მათ შინა**, და მოველოდე გამოხსნასა მოსაწყინებელისა ამისგან სჯულისა ჩუენისა. არავინ იყო მოძღუარ და მასწავლელ ჩემდა. აწ ოდეს ინება ღმერთმან და მოავლინა ქუეყანასა ამას წმიდაჲ ესე და საკვირველი დედაკაცი ნინო, და განვიცადეთ მოღუაწებანი მისნი მრავალჟამეულნი მაყუალთა და ვიხილენ სასწაულნი უადრესნი ბუნებათანი, რომელთა – იგი თქუენცა მეცნიერ ხართ, მეფეო, და შეუდგა მას ასული ჩემი და იქნა მოწაფე მისა. პირველად ასული ჩემი და შემდგომად მე და ყოველი ნათესავი ჩემი სწავლათა მისთა შედგომილ ვართ. და აწ ესერა მეცა მზე ვარ ნათლის ღებად სახელსა ზედა წმიდისა სამებისაჲს“.

ამის შემდეგ აბიათარი, „ჰურიან-ყოფილი იგი მღვდელი“, შეიქნა „მეორე პავლე, რომელი არა დასცხრებოდა ღამე და დღე ქადაგებასა ქრისტესსა“. ე.ი. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორი პერსონაჟის სულიერი განათლებით სახეზე გვაქვს ქრისტიანული ფერიცვალების ორი მაგალითი – ერთი უფლის სასწაულით აღსრულებული, ხოლო მეორე – შემეცნებითი მსჯელობით, კერძოდ, გარკვეული ინიციაციითა და „პავლენის“ გულისხმაყოფით. ხოლო ორივე პავლე მოციქულის პარადიგმასა და ღვთივმეცნიერებას აერთიანებს.

ამრიგად, მეფე მირიანი აპირებდა ქრისტიანების დევნას და ქრისტეს მოციქულად კი მოგვევლინა. წმ. ეპიფანე კვიპრელის მიერ პავლე მოციქულისადმი თქმული: „თუალთაჲ ესე დაბრმობად შეატყუებს და განანათლებს გონებათა დაბრმობილთა“, მირიანის მზის დაბნელების ბიბლიოლოგიურ ახსნას წარმოადგენს ეგზეგეტიკური ტრადიციის გათვალისწინებით. თუ მივესადაგებთ წმ. ეპიფანეს მიერ პავლე მოციქულის წარმონეწისათვის გამოყენებულ ქრისტოლოგიის დიქტომიურ პრინციპს, რომ წმიდანი დახასიათდეს ურთიერთსაპირისპირო

ნიშნებით, შეიძლება ვთქვათ: მირიანმა თავისი უკეთურების სანაცვლოდ უფლის მადლი მიიღო, რის შემდეგაც ქრისტიანთა მღევრობიდან ღირს იქმნა, მოციქულად წოდებულიყო. იყო მგმობარი და ზეციური საღმრთო „სახილაენი“ მოიხილა, იყო უმეცრებით შეცდომილი და გამოეცხადა „ზრახვანი დიდნი და საშინელნი“ – შეირაცხა წმიდანად.

**Giorgi Alibegashvili**

## **Biblical Paradigmes of Saint Nino and Saint King Mirian**

### Resume

The most important biblical paradigm of Saint Nino (IV c.) who spread Christianity in Georgia, is considered as Saint Mary, the King Mirian' archetype is the Emperor of Byzantium – Constantine the Great. However, the text gives the examples of other paradigms which are also very important. Particularly, from the text it is revealed that with Saint Nino is connected Joseph's (Jacob's son) image, but with Mirian that of Apostle Paul's. This proves the existence of other symbolic contexts too.

## ფუნქციური სტილები – საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის შედეგი თუ მიზეზი

თანამედროვე პრაგმატული ლინგვისტიკა ენის რეალიზაციის სხვადასხვა ასპექტისა და სფეროს შესწავლისას უსასრულოდ ადიფერენცირებს ენის მოხმარების ველებს და იმასაც კი აღწევს, რომ სხვადასხვა სოციალურ სფეროში გამოყენების თვალსაზრისით, ენობრივი მასალა აღნუსხოს, მოხმარების სიხშირეთა მიხედვით განაღვოს და განსაზღვროს ინფორმაციის ენობრივი რეალიზაციის ადრესატზე ზემოქმედების ხარისხი.

როგორც ცნობილია, საზოგადოების ენობრივი კომპეტენცია დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო დონეზე. ამ მხრივ, საქართველოში საზოგადოების სოციალურ ფენებად დაყოფის 90-იანი წლებში დაწყებული პროცესი დღეს უკვე დასასრულს უახლოვდება; საზოგადოება, სამეტყველო თავისებურებებისა და კომპეტენციის თვალსაზრისით, უკვე რამდენიმე მკაფიოდ გამოხატულ ჯგუფად და ქვეჯგუფად დანაწილდა. ამ ჯგუფების დახასიათებისას ვხედავთ, რომ ისინი ძირითადად საზოგადოების სოციალური ნიშნით დაყოფის საზღვრებში ხვდებიან და ადამიანთა სოციალური ერთობების ენობრივ ქვესისტემებს ქმნიან.

თანამედროვე გლობალისტური მიმართულებები სწორედ ამ თავისებურებას ეყრდნობიან და ცდილობენ „ძველი“, ტრადიციული ერთობების მოშლას და ახალი სოციალური კოლექტივების ჩამოყალიბებას. რას ვგულისხმობთ ამაში:

1. ტრადიციული ენობრივი საზოგადოება ყველგან, და ჩვენშიც, საერთო ენობრივ კომპეტენციას ფლობდა (ცხადია, იყო შიდა სოციალური კომუნიკაციური სისტემებიც, მაგრამ თავად ეს სისტემები გაერთიანებული იყო იმ საძირკვლით, რომელსაც ენის სიღრმეული პლასტები ქმნიდა; მაგალითისათვის, ფეოდალური საქართველოსთვის ქართული სალიტერატურო ენა, საეკლესიო წერითი და ზეპირი სამეტყველო სივრცე, ფოლკლორი და მწერლობა ერთდროულად უზრუნველყოფდა საერთო მეხსიერების შენახვას, საერთო ღირებულებათა და ცოდნის მემკვიდრეობითობასაც და ეროვნულ კონსოლიდაციასაც; როდესაც ამ ერთიანობაში რყევები შეიმჩნეოდა, ქვეყნის მოწინავე საზოგადოება ფუნდამენტის გამაგრებას ესწრაფოდა: სულხან-საბა ორბელიანი სიტყვის კონას ქმნიდა, ვახტანგ მეექვსე ვეფხისტყაოსნის სტამბურად გამოცემდა, ილია ჭავჭავაძე ე.წ. სამი სტილის თეორიას კრიტიკულად განიხილავდა და ენის სოციალური ნიშნით დაყოფის წინააღმდეგ გამოდიოდა;

2. თანამედროვე მსოფლიო, როგორც აღვნიშნეთ, ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს: ერთი მხრივ, არნახულ აქტუალურობას იძენს ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები, მეორე მხრივ კი, უკანა პლანზე გადადის სულიერი ფასეულობები და კულტურის თვითმყობადობის შენარჩუნება-განვითარების საყოველთაო მიზნად დასახვის საკითხი; ამასთან ერთად, ტექნიკური და სოციალურ-პოლიტიკური პროგრესის ტემპი ერთმანეთს აშორებს თაობებს და მემკვიდრეობითობაზე დაყრდნობილი ეროვნული ცოდნა თანდათან იკარგება; ადამიანი „თავისუფლდება“ იდენტობითი ჩარჩოებიდან და „ღია“ ახალი, სოციალური მეხსიერებისათვის; ამდენად არა მხოლოდ ერთგვაროვანი სამოსი, პოპმუსიკა, ინტერნეტი და კოპირებული ტელეგადაცემები შლის საკუთარს, ინდივიდუალურის ნაკვალევს, არამედ სწრაფ ცვალებადობას განიცდის სამოქალაქო საზოგადოებათა ენობრივი კომპეტენციაც; რა თქმა უნდა, ცვლილებები ყოველთვის ხდებოდა და ენა უეჭველად მონაწილეობდა ამ ცვლილებათა ასახვასა და შეფასებაში, მაგრამ ამჟამად ცვლილებათა ინტენსიობა, საზოგადოების სოციალური მგრძობიარობის ზრდა და

მსოფლიო საინფორმაციო სივრცის „გაერთიანება“ ამ ცვლილებების კონტროლირებას აძნელებს (ხშირად კი შეუძლებელს ხდის); ერთი მაგალითი გვსურს მოვიყვანოთ:

ყველაზე სტაბილური (გნებავთ, კონსერვატიული) ქართული ენის ფუნქციურ სტილთა შორის საეკლესიო რიტორიკული სტილია; ამ სტილშიც მნიშვნელოვანი ცვლილებებია მომხდარი, რადგან მრევლის ენობრივი კომპეტენციის ცვლის შესაბამისად იცვლება ქადაგებათა ენაც. თუმცა ეკლესიის მესვეურთა მიერ ყოველთვის გათვალისწინებული იყო, და არის, ენაში სოციალურ-კულტურული და ტრადიციული მთლიანობის შენარჩუნების აუცილებლობა. მოვიხმოთ ერთ ფრაზას წმ. გაბრიელ ქიქოძის ქადაგებიდან:

„მართლმადიდებელნი ძმანო ქრისტიანენო!

ამა ქვეყნიერთა კაცთა შორის არსებობს ერთი შესანიშნავი და სასარგებლო ჩვეულება: როგორც რომ გათავდება ძველი წელიწადი და დადგება ახალი, მაშინ ყოველი მოხელე და ყოველი თანამდებობის აღმასრულებელი კაცი შეადგენს თავის საქმის ანუ თანამდებობის წარმოების ანგარიშსა და წარუდგენს თავის უმფროსსა, ანუ თვითონვე მოიხმარს. მიეც, ძმანო ქრისტიანე, დღეს ანგარიში შენ სინდისსა და ღმერთსა, და შეიტყე, როგორ განატარე წასრულ წელს ქრისტიანული შენი ცხოვრება - სიწმინდით და კრძალულებით, ანუ დაფანტულად და უზრუნველად? მოუმატე შენ წარსულის წლის განმავლობაში რომელიმე მადლი და სიკეთე, ანუ უწინდელთა ცოდვათა შენ დაუმატე ახალნი ცოდვანი?“<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, მრევლისთვის მისაწვდომი დისკურსის შერჩევის მიუხედავად, ტექსტი სუფთაა ნასესხობებისა და კალკებისაგან, მდიდარია ქართული ენის სახისმეტყველებითი ლექსიკა-ფრაზეოლოგიით და ტექსტის აგებისას ზუსტად არის გათვლილი ექსპრესიულობა, ზომიერება და სტილური შესაბამისობა.

საქართველოს ეკლესიის მოღვაწეთა მიდგომა ამ საკითხისადმი არ შეცვლილა არც საუკუნის შემდგომ. ჩვენ კვლავ ვხედავთ გააზრებულ, მკაფიო ენობრივ პოლიტიკას (გნებავთ, კურსს) ქართული ეკლესიის წიადში; მაგალითად დავასახელებთ საქართველოს პატრიარქის ქადაგებათა ენას: მისთვის არ არის დამახასიათებელი ორატორული სამკაულების გამოყენება; იგი, შეიძლება ითქვას, სიტყვაძუნწია; მისი ქადაგებები ძირითადად ერთი ტექსტობრივი სქემითაა გაწყობილი, თუმცა ყოველთვისაა დაცული ქართული ენის უნივერსალური ნორმები, ტრადიციულ ქართულ სასულიერო ენასთან ღრმა კავშირისა და მრევლის ენობრივ კომპეტენციაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით დისკურსული შესაბამისობის უზრუნველყოფის ეროვნული და დიდაქტიკური მიზნები.

შევეცდებით მოკლედ დავახასიათოთ ის ტექსტობრივი სქემა, რომელსაც იყენებს საქართველოს პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე თავის ქადაგებებში:

1. **შესავალი.** საკითხის დასახელება უხშირესად იწყება ეკლესიის მიერ კონკრეტული მოსახსენიებელი დღის განმარტებით, და ამ დღესთან შესაბამისობაში სახელდება ქართული სინამდვილისათვის მწვავე თანამედროვე პრობლემა. მაგალითად: „**დღევანდელი დღე** თავისი სულიერი ძალითა და მნიშვნელობით გამოირჩევა. ეს არის **დღე** სულიერი განწმედისა და გადარჩენისა. ჩვენ **ყოველდღე** ვლოცულობთ და ვკითხულობთ „მამაო ჩვენოს“, სადაც ნათქვამია: „და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევეთ თანამდებთა მათ ჩვენთა“. ეს სიტყვები განსაკუთრებულია - ე.ი. ჩვენი გადარჩენა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, გავგანჩნია თუ არა უნარი **შენდობისა**, ცოდვათა მიტევებისა. **ვის უნდა შეგუნდოთ**, ან **ვინ უნდა შეგვინდოს?** ყველას? ახლობელს, თუ გარეშეს? ყოველ ადამიანს, ვისთვისაც რაღაც **ცუდი** გითქვამს, **ცუდი** გავიკეთებია, ან თუნდაც გიფიქრია, **შენდობა** უნდა სთხოვო. და არა მარტო მათ - წმიდა ეკლესია მოგვიწოდებს, იმათაც შეგურიგდეთ, ვინც ჩვენ გავიკეთა **ცუდი**.“ შესავალშივე კეთდება საუკეთესო რიტორიკული აქცენტები უმთავრესზე, რაც შემდგომში განვითარებას პოუვებს ტექსტის ძირითად ნაწილში; ამ მიზნით გამოიყენება გამეორების სტილისტიკური ხერხი: „**ვის უნდა შეგუნდოთ**, ან **ვინ უნდა შეგვინდოს?** ყველას? ახლობელს, თუ გარეშეს? ყოველ ადამიანს, ვისთვისაც რაღაც **ცუდი** გითქვამს, **ცუდი** გავიკეთებია... **შენდობა** უნდა სთხოვო... იმათაც შეგურიგდეთ, ვინც ჩვენ გავიკეთა **ცუდი**.“

2. ძირითადი ნაწილი:

ა) საკითხის ისტორია თუ კომენტარი სახარების, ბიბლიის საფუძველზე; ამ ნაწილში ყოველთვის არის ხაზგასმული წმინდა წიგნებიდან მოხმობილი ამონარიდის უნივერსალური,

<sup>1</sup> მოცემულ ფრაგმენტში „ანუ“ დღევანდელი „თუ“-ს მნიშვნელობითაა გამოყენებული.

საყოველთაო შინაარსი, და ამ ამავე ფრაგმენტის ქართულ საზოგადოებასთან, ჩვენს ყოფასთან მისადაგებელი ინტერპრეტაცია; აქაც გამოკვეთილია ის მთავარი ლექსემები და შეხიტიყვებები, რომელმაც მრევლისთვის სამახსოვრო უნდა გახადოს ძირითადი ღირებულებები:

„ამავე დროს, ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ არაწმიდა ვერ შევა სასუფეველში, ე.ი. დგას კითხვა: ნუთუ ყველა დაიღუპება?! არა. აღსარება, სულიერი განწმედა გადაარჩენს იმას, ვისაც გააჩნია ჭეშმარიტი სარწმუნოება, სიყვარული და თავმდაბლობა. თქვენ გახსოვთ, წმიდა წერილში წერია: „უფალი ამპარტავანსა შემუსრავს, ხოლო თავმდაბალს მოსცის მადლი“. ძალიან ძნელია, როცა ადამიანი, ვისთვისაც სიცოცხლესაც გაიღებდი, უეცრად გიღალატებს, სიკეთისა წილ ბოროტებას გაგიკეთებს. სწორედ ესაა მოწოდება ღვთისა, რომ ადამიანმა საკუთარ თავს სძლიოს. უფალი ბრძანებს: „შეიყვარე მტერი შენი“. ამის სანაცვლოდ კი ხშირად მოგვისმენია: „როგორ შეიძლება მტერი შეიყვარო? ეს წარმოუდგენელია!“ ვფიქრობ, ამ პროცესს აქვს საფეხურები. პირველი საფეხური არის ლოცვა შენი მტრისათვის. ღვთის მადლით ეს ლოცვა მას მოაქცევს. ამიტომ თქვენ და სრულიად საქართველოს ეძლევა ლოცვა-კურთხევა – **ჩვენც, თქვენც, მეც** – რომ ვილოცოთ მათთვის, ვინც მტრობს საქართველოს.“

მოსმობილ ნაწყვეტში (და პატრიარქის ქადაგებათა უმრავლესობაში) საუკეთესო რიტორიკულ (სტილებრივ) ხერხად დანდებია ჯერ სადისკუსიო საკითხზე შეკითხვის დასმა და მერე – მასზე პასუხის შეთავაზება. ყოველთვის ჩანს, რომ ქადაგების მომზადებისას, მრევლის საერო გამოცდილებითა და აზროვნებით დაბადებული უმთავრესი კითხვებია გათვალისწინებული და ქართული ტრადიციული რიტორიკული მოდელებისათვის დამახასიათებელი დიალოგური, მსმენელის პოზიციის თავმდაბლურად და კეთილგანწყობილად მიღების გზითაა შეთავაზებული პასუხი (აქ არ შეიძლება არ გაგვასხენდეს ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვები: „მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა, დღესა თუ ხვალე, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ...“);

ბ) **საკითხი დღევანდელი თვალთ.** ჩვენი პატრიარქი ქადაგებებში არასოდეს არ აყენებს თავს თავისი ხალხისაგან ცალკე, არასოდეს არ უხვამს ხაზს თავისი წოდების იერარქიულ სიმაღლეს; ის ყოველთვის ხალხის ნაწილია. აი, მაგალითად: „დღეს ყველამ ღრმად უნდა ჩავიხედოთ საკუთარ სულში. ადამიანი იმისათვის ცხოვრობს, რომ შემდეგ სასუფეველის მკვიდრი გახდეს. ცხოვრება წუთისოფელია, ესაა მუდმივი განსაცდელი, გამოცდა ადამიანისა და იგი ისე უნდა განველოთ, რომ სასუფეველის მკვიდრი გავხდეთ.“ სევე არასოდეს ტოვებს ერთ ადამიანს დანარჩენი საზოგადოების, ერისაგან მარტო. იგი მუდმივად ამბობს ამ სიტყვებს – **“თქვენ და სრულიად საქართველო”**;

გ) **საკუთარი კომენტარი.** სწორედ ის არაჩვეულებრივი განცდა, რომ ის მთელი ერის ნაწილია ათქმევენებს ხოლმე მქადაგებელს, რომ მასაც განუცდია ტკივილი, უძღურება და დაეჭვება საკუთარ ძალებში, რომ ის დიდ მოთხოვნას უყენებს საკუთარ თავს და ამით თავს უტოლებს ყველას, ვისაც ეჭვი, სისუსტე და უიმედობა განუცდია. იგი მაგალითის მიცემას საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზეც ცდილობს და ამით უჩვენებს სახარებისეულ ჭეშმარიტებასთან მიახლოების გზას გზის მაძიებელთ: „აი, უკვე 25 წელია, ღვთის განგებით, უფლისაგან ვარ დადგენილი ამ ძალიან მძიმე თანამდებობაზე. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა მინდოდა დავხმარებოდი ამა თუ იმ ადამიანს, ვინც არ დგას ჭეშმარიტების გზაზე და გადამერჩინა იგი. მაგრამ ვერ შევძელი ეს. ვერ შევძელი იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ძალა არ მყოფნიდა და არ მყოფნის. ალბათ, უფრო მეტი სულიერი ძალა უნდა მქონდეს. მეორე ის, რომ ადამიანს თავადაც უნდა ჰქონდეს სურვილი გადარჩენისა. ლოცვაში წერია: „არ არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არა სცოდოს“. პავლე მოციქული ამბობს: „ცოდვილთაგან პირველი მე ვარ“. და მე რა მეთქმის? **სრულიად საქართველოში, ყოველთა ქართველთაგან ყველაზე ცოდვილი მე ვარ. ამიტომ გთხოვთ, შენდობასა და პატიებას ცოდვათა ჩემთა გამო. შემინდეთ და მაპატიეთ ჩემი ცოდვები.**“

3. **დასკვნა.** ყოველი ქადაგების დასასრულს პატრიარქი გამოკვეთავს კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად საუკეთესო სულიერ მოქმედებას, იმედსა და სიყვარულს; დასკვნითი ნაწილი ერთნაირი მოდელის მქონეა, თუმცა არასოდეს არ არის ერთგვაროვანი, რადგან ყოველ დასკვნაში არის გამოკვეთილი შესავალში დასმული მთავარი თემის შეფასება:

„ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ, სრულიად საქართველო და ყოველნი ქართველნი, ჩვენი წინაპარნი და შეგინდოთ თქვენ და სრულიად საქართველოს ყოველნი ცოდვანი თქვენნი სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა! ამინ. ჩვენთან არს ღმერთი!“

ცხადია, აქ არ არის შტამპი, რადგან სწორედ ორატორული ოსტატობა, ესოდენ მოწესრიგებული, გააზრებული და ფიქრში მომზადებული სიტყვისა, რაც სამეტყველო წესებისა და საზოგადო ცოდნის ერთობლიობას გულისხმობს, გამორიცხავს შტამპსა და კლიშეს, რამდენადაც ორატორისა და აუდიტორიის სრულფასოვანი კონტაქტი სიახლეს მოითხოვს. საეკლესიო ორატორული სიტყვა მკვეთრად განსხვავდება ე.წ. საერო ორატორთა სიტყვების უმრავლესობისაგან. საეკლესიო სივრცეში აზრს კანონიკური ძალა აქვს და მჭევრმეტყველებითი ეფექტის გამო მისი შემოკობა სარისკოა. ანუ მოძღვარს, მქადაგებელს თავის სამეტყველო ფარგლებში საკმაოდ შეზღუდული აქვს იმპროვიზაციული სივრცე. სიახლე აქ ადამიანის ბუნებისა და ეპოქისეული თავისებურებების თემატური მრავალფეროვნებისა და სულიერი რეკომენდაციის სულ ახალ-ახალ გარემოებებთან დაკავშირებით წმიდა წერილის სათანადო მონაკვეთის აქტუალიზაციით მიიღწევა; სწორედ ამიტომაც მრევლისთვის „მოუწინარი“ და მუდმივად მნიშვნელოვანი მოძღვრის ქადაგებანი.

ამის საპირისპიროდ, პოლიტიკური ტექსტი, მისი აგებულებისა და სტილისტიკის თვალსაზრისით, თითქოს მეტ თავისუფლებას ფლობს, მაგრამ სინამდვილეში მთლად ასე არაა; საქართველოს საპარტიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის (2014 და 2015 წლების გამოშვება) სტუდენტების მიერ ერთად განხორციელებული პოლიტიკური ტექსტების ანალიზი (სასწავლო კურსი ლინგვოპოლიტოლოგიაში)<sup>2</sup> გვიჩვენებს, რომ ქართველ პოლიტიკოსთა პოლიტიკური ტექსტი ორმაგი სტანდარტისაა: საქართველოს მოსახლეობისათვის მიმართვისას ეს ტექსტები შედარებით უშუალო, და ამიტომ, შემოქმედებითა, ხოლო უცხოელის ყურისთვის განკუთვნილი ტექსტებში მუდმივად მეორდება ერთი და იგივე ტერმინები, სტანდარტული ფრაზეოლოგია, შეფასებითი კლიშეები. ასეთი სიტყვების შაბლონურობა ხშირად იმდენად თვალშისაცემია, რომ დეკლამატორის სახელისა და გვარის გამოცნობაც კი შეუძლებელია. როგორც სტუდენტები ერთხმად დაასკვნიდნენ, ამ სიტყვებს (გამოსვლებს) ისეთი ხასიათი აქვს, თითქოს ყველა უცხო ენაზეა დაწერილი და მერეა ქართულად ნათარგმნი. საინტერესოა, რომ ასეთი ჩარჩოები არა მხოლოდ პოლიტიკოსებს, არამედ პოლიტიკურ ჟურნალისტიკასაც ახასიათებს;

3. საყურადღებოა ისიც, რომ რიტორიკული სტილი, რომელსაც მიმართავენ ორატორები საქართველოს მოსახლეობასთან შეხვედრების დროს, ერთი შეხედვით, გათვლილია ქართველ აუდიტორიაზე, მაგრამ მკაფიოდაა გამოხატული ე.წ. „გუნდური მე“, რომელიც დასავლური მოდელებიდანაა აღებული და ყველა ასაკის ქართველი მსმენელისთვის არ არის მისაღები (თუმცა შეიძლება, ყველასთვის არც არის გამოიზნული), ეს რიტორიკული ხერხი უნივერსალური რიტორიკული მოდელების მიხედვითაა აგებული, თუმცა ზოგ გამოსვლაში ორატორები პერიოდულად ტრადიციულ ჩანარებსაც „აკეთებენ“.

საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული თავის სადოქტორო დისერტაციაში ქ. ადვიშვილს, რომელიც ერთმანეთს უდარებს სარკოზისა და სააკაშვილის სამეტყველო დისკურსს<sup>3</sup> და

<sup>2</sup> განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სტუდენტები (ამჟამად უკვე ბაკალავრები): **მარიამ კვერდელაძე, ნინო მჭავანაძე, რუსუდან კვალაიაშვილი, სალომე მათიაშვილი, ანა გიორგაძე, ანა ბეგაშვილი, თამარ დარბაიძე, თამარ ბედუკაძე, გაბრიელ თაგაური, რუსუდან ასანიძე, ანა დოლაშვილი, გვანცა ჩოჩია, თამარ კირკიტაძე...**

<sup>3</sup> უფრო ვრცლად: „სარკოზის დისკურსისთვის მკვეთრად დამახასიათებელია ეროვნული ფასეულობების აღმნიშვნელ სიტყვებთან ჩემი-ს გამოყენება. უდავოა, რომ თავის კუთვნილებას ყველა უფროხილდება. სწორედ ამიტომ ცდილობს იგი მსმენელის დარწმუნებას, რომ ეს ფასეულობები მართლაც მისია. ეს არის ფრანგულ დისკურსში მხოლოდობით რიცხვის კუთვნილებითი ფორმების დიდი ინტენსივობით გამოყენების დანიშნულება. სარკოზი პირველი პირის დეიქტიკს “ჩემი” ყველაზე ინტენსიურად აფიქსირებს სიტყვებთან ma France, ma république, mes amis. იგი იმავე არგუმენტაციული ტექნიკით საუბრობს სხვა ფასეულობებზე, როგორებიცაა: mes droits de l’homme, mon travail, mon innovation, ma tolérance, ma morale. იგი ხშირად გვხვდება აგრეთვე, ემოციური კონტრასტის მქონე სიტყვებთან: ma sincérité, mon amitié, mon coeur, mes valeurs, ma vie, ma patrie, ma vérité. სარკოზი მსმენელში ემოციის მაქსიმალურად გასაძლიერებლად სიტყვებს მსაზღვრელად რიგ შემთხვევებში ურთავს premier. რადგან, რაც პირველად ხდება ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის დასამახსოვრებელია, რაც შეეხება დეიქტიკის „ჩემი“ დოზირებას ქართულ დისკურსში, მისი გამოყენების სიხშირე ფრანგულ დისკურსს ბევრად ჩამოუვარდება. სააკაშვილი მას შემდეგ სიტყვებთან იყენებს: ჩემი მანდატი, ჩემი პრეროგატივა, ჩემი დავალება. ეს ჩემი დავალებაა და დღეს ეს როგორც არასდროს, ისე უნდა იყოს აქტუალური. მე, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტი, ვიღებ ამ გადაწყვეტილებას, რომ თქვენს სამსაჯავროზე გამოვიტანო თქვენი ნდობა, ჩემი მანდატი. პიროვნების იდენტობის აღმნიშვნელი მრავლობითი რიცხვის ლინგვისტური მარკერი “ჩვენ” ძალიან საინტერესოა პოლიტიკური დისკურსისთვის, რადგან არგუმენტატორს მისი საშუალებით სიტყვის რეფერენტის იმპლიციტურად შეცვლა შეუძლია, რაც მსმენელზე შემოქმედების კარგ საშუალებას წარმოადგენს. სარკოზის დისკურსში nous-ს რეფერენტი უმეტეს შემთხვევაში ფრანგი ხალხია. სააკაშვილი კი ჩვენ-ის რეფერენტად უმთავრესად საკუთარ პოლიტიკურ გუნდს მოიაზრებს. რაც შეეხება ადრესატს, სარკოზი nous-თი ძირითადად

დაასკენის, რომ „სარკოზის დისკურსისთვის მკვეთრად დამახასიათებელია ეროვნული ფასეულობების აღმნიშვნელ სიტყვებთან ჩემი-ს გამოყენება... ცდილობს იგი (სარკოზი) მსმენელის დარწმუნებას, რომ ეს ფასეულობები მართლაც მისია. ეს არის ფრანგულ დისკურსში მხოლოდითი რიცხვის კუთვნილებითი ფორმების დიდი ინტენსივობით გამოყენების დანიშნულება. რაც შეეხება დეიქტიკის „ჩემი“ დოზირებას ქართულ დისკურსში, მისი გამოყენების სიხშირე ფრანგულ დისკურსს ბევრად ჩამოუვარდება. სარკოზის დისკურსში nous-ს რეფერენტი უმეტეს შემთხვევაში ფრანგი ხალხია. სააკაშვილი კი ჩვენის რეფერენტად უმთავრესად საკუთარ პოლიტიკურ გუნდს მოიაზრებს. რაც შეეხება ადრესატს, სარკოზი nous-თი ძირითადად მიმართავს მსოფლიოს, ევროპას, ამერიკას და ა.შ. ხოლო სააკაშვილის ადრესატი ხშირად ქვეყნის საგარეო მტერია.“ ვფიქრობთ დასკვნა საყურადღებოა, და დასტურდება ჩვენი სტუდენტების მიერ ქართული პოლიტიკური დისკურსის კვლევის შედეგებითაც.

4. რაც უფრო ფართოა ენის გამოყენების სფეროები, მით უფრო მაღალია მისი ფუნქციურ-სტილისტიკური განვითარებულობა, თუმცა ფუნქციურ სტილთა განვითარება და ქანრული დიფერენციაცია ჩვეულებრივ ჩამორჩება ენის გამოყენების კომუნიკაციურ სფეროთა რაოდენობის ზრდის პროცესს ნებისმიერი სტრუქტურული და ფუნქციური განვითარების ენაში. „ტექსტური ფუნქცია“ ენებისა, ანუ ამა თუ იმ ენაზე სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების ტექსტთა ოპტიმების შექმნა, განაპირობებს ამ ენის სტილური დიფერენციაციის დონეს, ხოლო თავად ტექსტები ხელს უწყობს ამ ენის ფუნქციურ სტილთა ჩამოყალიბებას, ნორმალიზაციასა და კოდიფიკაციას. ტექსტების მოცულობა და ნაირგვარობა უშუალოდაა დამოკიდებული კონკრეტული ენის მფლობელთა წერილობითი ტრადიციის ხანგრძლივობასა და სოციოკულტურული განვითარების ხარისხზე. ანუ ამ გზით შეიძლება ენის სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრა;

5. ის, რასაც ენათმეცნიერება ფუნქციურ სტილისტიკას უწოდებს, ნათლად წარმოაჩენს ენის იმ შრეებს, სადაც ენის სოციალიზაციის პროცესი უკვე დაწყებულია (ზოგ შემთხვევაში კი – თითქმის დასრულებული). სოციოლოგიისთვის ფუნქცია გაიგება როგორც სოციალურ პროცესთა ურთიერთგანპირობებულობა ფუნქციურ ცვლადთა მიხედვით, და როგორც სოციალური მოქმედება, რეგულირებულია გარკვეული ნორმებითა და კონტროლის მექანიზმებით. ამ განსაზღვრებაში ექცევა ე.წ. ფუნქციური სტილისტიკაც, რომელსაც აქვს საზღვრები სტილთა შორის, ნორმები და კონტროლის მექანიზმები: მაგ., ჩვენ ცალ-ცალკე ვასწავლით აკადემიურ ენას, პუბლიცისტურ ენას, თარგმანის ენას (ტექსტის ქანრობრივი კუთვნილების მიხედვით). მუდმივ ფაქტორებად მიიჩნევა შინაარსობრივი კატეგორიები, ცვლადად კი – პირობები, რომელშიც აქტუალზდება კომუნიკაცია და სხვადასხვა დონის საკომუნიკაციო საშუალებები. და თუ მთლიანი ენობრივი ორგანიზმის ღირებულებრივი ცვლა ძალიან ძნელია, სამაგიეროდ გაცილებით ადვილია მისი ცალკეული ნაწილის მიზნობრივი რეგულირება; შესაბამისად, თუკი ქართული ენის საკომუნიკაციო ტრადიცია საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ ნორმებს გვთავაზობს, სამაგიეროდ, ცალკეულ ფუნქციურ სტილში ეს გამოცდილება ძალიან სწრაფად იცვლება და ახალი, გლობალური სემანტიკურ-კონოტაციური ნორმების მიხედვით ვითარდება.<sup>4</sup> კვლევის ამ დონეზე ძნელია აღნიშნული ტენდენციის შეფასება, ანუ გადაწყვეტა, მიმდინარე პროცესი უკანსვლია, თუ ენისა და ხალხის სიცოცხლისუნარიანობისა და გარემოს ცვლილებებთან ადაპტაციის ნიჭის გამოვლინება, მაგრამ ფაქტია, რომ ენის ფუნქციურ სტილებში ინტენსიური ცვლილებები ხდება და უახლოეს მომავალში ამ პროცესის კიდევ უფრო გაძლიერებაა მოსალოდნელი.

---

მიმართავს მსოფლიოს, ევროპას, ამერიკას და ა.შ. ხოლო სააკაშვილის ადრესატი ხშირად ქვეყნის საგარეო მტერია. კვლევაში გამოყენებული ლექსიკომპერტიული ანალიზით, დადგინდა, რომ სარკოზის დისკურსში პიროვნების წარმონიშნის ფორმებიდან „მე“ გაცილებით მრავალრიცხოვანია, ვიდრე ჩვენ. პირველი პირის დეიქტიკების დაახლოებით 77% მხოლოდითი რიცხვისაა, მაშინ როცა მხოლოდ 23%-ია მრავლობითში. სააკაშვილის დისკურსში, კი პირიქით, მრავლობითი რიცხვის დეიქტიკები (დაახლოებით 75%) ჭარბობს მხოლოდითს (25%).“ (ქ. ადვიშვილი, არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში (შეპირისპირებითი ანალიზი ფრანგული და ქართული ენების მასალაზე, ხელმძღვანელი პროფ. მ. დოხტურიშვილი, თბილისი, 2013. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1472.pdf>).

<sup>4</sup> მაგალითად, ისეთი ფორმულირება, როგორიცაა ქალის მიმართ სიტყვა „სექსუალურის“ გამოყენება, ქართულში ტრადიციით მიღებული მსაზღვრელის (ქალურის, მიმზიდველის, მომხიბლავის...) ნაცვლად, დღეს თაობათა კულტურული ერთობის დამარღვეველია; ამავე კატეგორიისაა „ამბიციური“ (რომელიც ტრადიციით ამპარტავნულს ნიშნავს, თანამედროვე გაგებით – მიზანსწრაფულს).



**Manana Tabidze**

## **Functional styles – result or the reason of social differentiation of society**

### **Resume**

The modern pragmatic linguistic differs the fields of using the language, over and over again, in the process of studding the various aspects and spheres of it's using. Even it is able to record the linguistic material, according to the frequency of use and deploy information to determine the degree of impact on the linguistic realization recipients, to the point of using it in different social spheres.

As it is known the language competence is largely dependent on the political and cultural levels of the country .In this regard, the process of the social stratificationfrom 90s, in Georgia is coming to an end .Society speech in terms of the nature and competence has been sub-divided and a clear political groups.See the description of these groups, they are mainly social reasons to divide the borders and people everyday life subsystems form a linguistic communities.

Georgian language communication standards established by tradition of centuries suggests, instead of separate functional style of this experience is changing rapidly, and a new, global semantic-konotatsive evolving standards. At the moment, the trend is difficult to assess the solution, the process is the example of regress, or it is the talent of the language and the people of the viability and adaptation to environmental changes manifestation, but the fact is that the language and functional styles of intense changes taking place and in the near future is expected to strengthen this process further.

**უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,  
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის  
მიტროპოლიტი ილია II – ქართველთა ერთიანობის სიმბოლო<sup>1</sup>**

XX საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული დღემდე ჩატარებული ყველა გამოკითხვის მიხედვით, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II საქართველოს მოსახლეობისთვის უალტერნატივო რჩეულია: საქართველოს მოქალაქეებისათვის კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ყველაზე რეიტინგული და სანდო პიროვნებაა; მაგ., 2014 წლის 23 ივლისიდან 7 აგვისტომდე პერიოდში I-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველოს პატრიარქის მოწონების მაჩვენებელი 91%-ით განისაზღვრა. მომდევნო სამი ადგილი პოლიტიკოსებს უჭირავთ.<sup>2</sup>

მეტიც, ამერიკელთა კვლევების მიხედვით, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოსახლეობა ცნობილ პიროვნებათა შორის პროცენტულად ყველაზე მეტ ნდობას უცხადებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს.<sup>3</sup> პირადად მე ინტენსიური ურთიერთობა მაქვს ირანში, თურქეთსა და რუსეთში მცხოვრებ ქართველებთან და შემძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, სხვა სახელმწიფოს ველში დარჩენილი ავტოქთონი ქართველების, შაჰ-აბასისა და გიორგი სააკაძის მიერ ირანში გადასახლებული ქართველების შთამომავლების, მუჰაჯირთა მემკვიდრეებისა თუ ახალი მიგრანტები აბსოლუტური უმრავლესება სრულ ნდობას უცხადებს საქართველოს ამჟამინდელ კათოლიკოს-პატრიარქს და მას ქართველი ერის მზრუნველ მამად თვლის.

ფეიქრობ, პატრიარქის პიროვნული თვისებების (სიკეთის, სიტბოს, დადებითი ენერჯის მუდმივი გამოსხივება; მიმტვევებლობა, სიდინჯე და სიღრმისეული განსჯა; საოცარი სიმშვიდე...) გარდა, ასეთ მაღალ ნდობას აპირობებს სხვა რამდენიმე გარემოება; კერძოდ:

1. არსებულ პოლიტიკურ, გეოპოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში მოსახლეობის უნდობლობა უიდეოლოგო პოლიტიკური სუბიექტების მიმართ; პოლიტიკოსთა უმრავლესობამ არაერთხელ გამოიცვალა ლიდერი თუ მსოფლმხედველობა, შესაბამისად, არჩევნების დროს ხალხს აქვს არჩევანი ცუდსა და უარესს შორის; უფრო და უფრო იზრდება ეს უნდობლობა;

2. ბოლო 25 წლის მანძილზე ინტელექტუალური წრეების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი გადაქცეული იყო ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის ღობისტად თუ „ლევის ფოთლად“; შესაბამისად, ხალხი ნაკლებად ენდობა ე.წ. ცნობად სახეებს;

3. უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორისადმი ნდობას უთუოდ აძლიერებს შემდეგი ფაქტიც:

საქართველოს ამჟამინდელმა კათოლიკოს-პატრიარქმა უმძიმესი თავდასხმების პერიოდში შეძლო არამხოლოდ საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნება, არამედ სწრაფი აღორძინებაც;

4. საქართველოს ამჟამინდელი კათოლიკოს-პატრიარქი განსაკუთრებულ სიტბოს იწენს მუსლიმანი ქართველების მიმართ; მისთვის ეროვნულობა ადამიანის არსებითი მახასიათებელია!

<sup>1</sup> საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია (მიმდგნა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის აღსაყდრებიდან 37 წლისთავს); 23 დეკემბერი, 2014 წელი.

<sup>2</sup> <http://www.geotimes.ge/archive/index.php?m=home&newsid=61266&lang=geo>.

<sup>3</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/213475-ilia-meore-gamokithkhvebis-mikhedvith-yofil-sabtcotha-qveynebs-shoris-saqarthvelos-marthlmadidebel-eklesias-da-patriarqs-yvelaze-metad-endobian.html?ar=A>.

ამგვარი მიდგომა და პატრიარქის საოცრად ტოლერანტული ბუნება პატრიოტი მუსლიმანი ქართველებისათვისაც წინა პლანზე აყენებს პატრიარქის ქართველობას, და არა - მის განსხვავებულ აღმსარებლობას; სწორედ ამგვარი გააზრების შედეგია საოცარი ფაქტი: ბოლო პერიოდში ირანში რამდენიმე ქართველმა საკუთარ შვილს სახელად დაარქვა ილია.

5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მაქსიმალური მიმტყვებლობით და სრული გულწრფელად ცდილობს, ითანამშრომლოს ყველა პოლიტიკურ სუბიექტთან თუ ხელისუფლებასთან, თუმცა, ძალიან კრიტიკულ სიტუაციაში არც საყვედურს ერიდება. პარალელურად, პატრიარქი სრულად გამოხატავს რა ქართველი ხალხის (საქართველოს მოსახლეობის) უმრავლესობის სურვილს, ასევე, საქართველოს ეკლესიის ისტორიულ არჩევანს,<sup>4</sup> ოფიციალურად აცხადებს, რომ საქართველოს ბუნებრივი გზაა ევროპული ოჯახი; მაგ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ 2015 წლის 19 მაისს ავსტრიის პრეზიდენტთან პაინც ფიშერთან შეხვედრაზე განაცხადა: „საქართველოს არჩეული აქვს ევროპის გზა: საქართველოს სურს, რომ გახდეს ევროპის დემოკრატიული სტრუქტურების ნაწილი და მისი წევრი. საქართველოს ევროპული არჩევანი ძალიან მტკიცეა და ჩვენ აუცილებლად მივალწევთ ამას“<sup>5</sup>. სამწუხაროდ, დასავლეთში ბევრს არასწორი ინფორმაცია აქვს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ევროპული არჩევანის შესახებ; ის, მაგ., კავკასიის საკითხების ცნობილი ექსპერტის, თომას დე ვაალის მცდარი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დასავლეთთან დაახლოება არ სურს და ძველი საქართველოს სიმბოლოა.<sup>6</sup> სინამდვილეში, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე ითხოვს, დაჩქარდეს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი; მაგ., ევროკავშირის უმაღლეს კომისართან, შტეფან ფულესთან შეხვედრაში მან განაცხადა:

"მე იმედი მაქვს, რომ ის პროცესები, რომლებიც დღეს ვითარდება ევროპაში, უკრაინაში, კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ არ შეიძლება ევროპასთან ინტეგრაციის საკითხი გადადებული იყოს შორეულ მომავალში".<sup>7</sup>

6. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დღენიადაც ცდილობს, უცხოეთში წარმოაჩინოს საქართველო და ქართველი ადამიანის ნიჭიერება; ის ერთნაირი სითბოთი ხვდება სხვა ქვეყნების იმ წარმომადგენლებს, რომელთაც შეუძლიათ დახმარების ხელი გაუწოდონ გეოპოლიტიკური გადაწვევების ეპიცენტრში მძიმე დღეში მყოფ საქართველოს.

7. პატრიარქისადმი ქართველი ერის უსაზღვრო ნდობას აპირობებს მის მიერ ყოველ ეპისტოლეზა თუ ქადაგებაში ხაზგასმული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარდაუვალობა და ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის თემა; ამ მიმართულებით გადაიდგა საინტერესო ნაბიჯიც: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა შექმნა იბერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი (2011); ამგვარი აქტიურობა აუცილებელია, რამდენადაც დღეს საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომის პირობებში დიდი დარტყმის ქვეშაა ქართველთა ეროვნული (ენობრივ-ეთნიკური) ერთიანობა.

**ქვემოთ შედარებით ვრცლად დავიმოწმებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რამდენიმე მოსაზრებას:**

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის აზრით, ადამიანს გამორჩეულად ოთხი რამ უნდა უყვარდეს: შემოქმედი, მოყვასი, მამული და ენა; კერძოდ, ჩვენი უწმინდესი ასე მიმართავს წმიდა გიორგის:

„დიდმოწამეო გიორგი, აღგვავეს დვთაებრივი სიბრძნითა, რათა ყოვლითა არსებითა შევიყვაროთ: შემოქმედი, მოყვასი, მამული და ენა...“<sup>8</sup>

პუმბოლდტმა თქვა: „ენა არის ერის სული“;

<sup>4</sup> საქართველოს ეკლესიის ისტორიული არჩევანის შესახებ მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტარიელ ფუტყარაძე. საქართველოს ეკლესია ისტორიულ გეოპოლიტიკურ კონტექსტში /დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების ძველი და ახალი შეცდომები საქართველოში/[http://orientacia.blogspot.com/2013/10/blog-post\\_2571.html?pref=bl](http://orientacia.blogspot.com/2013/10/blog-post_2571.html?pref=bl).

<sup>5</sup> <http://www.civil.ge/geo/article.php?id=29383>.

<http://www.liberali.ge/ge/liberali/news/125549>.

<sup>6</sup> <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24238620.html>.

<sup>7</sup> <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/98316-ilia-meore-me-dartsmuneba-ar-mtcirdeba-rom-saqarthvelo-evrokavshiris-tsevri-undagakhdes.html>.

<sup>8</sup> საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. წიგნი I თბილისი, 1997, გვ. 8.

ასევე ცნობილია გამოთქმები: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“; „ენა დედაა ერისა“...

ჩვენი პატრიარქი ახალ ფორმულას აყალიბებს:

ენა - ერის შინაგანი ენერგია:

„საქართველო სულ ბრძოლაში იყო; ამ ბრძოლაში შევინარჩუნეთ ჩვენი რწმენა, ჩვენი მიწა (თუმცა მთლიანად ვერა) და ჩვენი საყვარელი ენა - ის შინაგანი ენერგია, რომლითაც შემოქმედმა დაგვაჯილდოვა...“<sup>9</sup>

შდრ., ასევე:

„ერთი მთავარი წყაროთაგანი, საიდანაც ქართველები იღებდნენ თავიანთ სულიერ ძალებს - ესაა უძველესი და მადლიანი ქართული ენა, რომელზეც საოცრად მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა, ესაა ენა, რომლის შესახებ ღირსმა მამამ თქვა: “ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“ (1982).<sup>10</sup>

საქართველოს მტრები დღესაც ცდილობენ, ქართველთა ნაწილს წაართვან ეროვნული ენერგია - ისტორიული დედაენა. კათოლიკო-პატრიარქი ღიად ამხელს ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მოსურნეთ; მაგ., 2006 წლის 19 ივნისის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიმართა სვანეთისადმი მიძღვნილი კონფერენციის მონაწილეებს; კერძოდ მან ბრძანა:

„კარგად მოგეხსენებათ, რომ, სამწუხაროდ, არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც სურთ გაჰყონ ქართველი ერი და აქვთ სურვილი, წარმოაჩინონ სვანეთი და სვანური დიალექტი, როგორც ქართველი ერისაგან დამოუკიდებელი, განსხვავებული კულტურა. ეს ასევე შეეხება სამეგრელოს და სხვა კუთხეებსაც. ჩვენ კარგად ვიცით, საიდან მომდინარეობს ეს.

ეს ჯერ კიდევ 200 წლის წინ დაიწყო, როცა რუსეთი ცდილობდა, გაეყო ქართველი ერი. ვფიქრობ, რომ ის ადამიანი, რომელიც ცდილობს წარმოადგინოს სვანური კულტურა, როგორც დამოუკიდებელი ქართული კულტურისაგან, - არის მტერი არა მარტო სვანებისა, არამედ მთელი ქართველი ერისა“.

ერთ-ერთ საკვირაო ქადაგებაში ჩვენი პატრიარქი ასე წარმოადგენს ქარტველურ ენობრივ სამყაროს:

„მე მეცნიერებს შევთავაზებ, იქნებ ვთქვათ ასე - ქართული ენა თავისი განშტოებებით. მსგავსად იმისა, როგორც შტო ამოუვა ხეს, - ასეა დიალექტებიც, მაგრამ მათი საერთო ძირი და ფუძე არის ქართული ენა. უძველესი დროიდან არც ერთ მეგრელს ან სვანს თავში აზრად არ მოსვლია, რომ თავისი დიალექტისთვის ცალკე დამწერლობა შეექმნა, რადგან თავს მუდამ ქართველად მოიაზრებდა და მისი მშობლიური ენა ქართული იყო. განა დღეს რამე შეიცვალა?“<sup>11</sup>

**პატრიარქისადმი დიდ სიყვარულს აპირებებს ისიც, რომ თავის ეპისტოლეებში იგი ერთნაირი ყურადღებით მიმართავს საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოდან წასულ თანამემამულეებს:**

„ყოველდღესამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო საერო დასნო, მკვიდრნო საქართველოსა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო, ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!“<sup>12</sup>

**პატრიარქი ბრძანებს:**

„მინდა გამოვთქვა ჩემი, და საერთოდ, ყველას გულისტკივილი იმის გამო, რომ ბოლო დროს მრავალი ქართველი ახალგაზრდა წავიდა უცხოეთში. უმეტესობა გაჭირვებამ წაიყვანა... რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ზოგიერთი ვერ ან არ დაბრუნდება სამშობლოში. ეს იმას ნიშნავს, რომ მას დაეკარგება ენა, ეროვნება, ყველაფერი ის, რითაც ამაცობდა ქართველი“... „ფაქტიურად, ისინი დაკარგული შვილები შეიძლება გახდნენ ჩვენთვის...“<sup>13</sup>

<sup>9</sup> საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. წიგნი I. თბილისი, 1998, გვ. 66.

<sup>10</sup> საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. წიგნი I. თბილისი, 1997, გვ. 200.

<sup>11</sup> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის საკვირაო ქადაგება, 5 იანვარი, 2003 წელი; ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“, №1, 10-16 იანვარი, 2003. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე 19 იანვარი, 2003 წელი; ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“, №3, 24-30 იანვარი, 2003.

<sup>12</sup> ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“, №1, 10-16 იანვარი, 2008.

<sup>13</sup> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის საკვირაო ქადაგება, 5 იანვარი, 2003 წელი; ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“, №1, 10-16 იანვარი, 2003 წელი;

ქართველთა დიდ ნაწილს მოსწონს პატრიარქის პოზიცია ე.წ. ფსევდოლიბერალიზმის შესახებაც:

„თუ პიროვნებას, ხალხს, სახელმწიფოს არ აქვს სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად მტრების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად მთლიანად დაანგრევს ქვეყანას... უგნური ლიბერალიზმი, როგორც წესი, სათავეა მრავალი ნეგატიური მოვლენისა“.<sup>14</sup> ე.წ. უგნური ლიბერალიზმის წარმომადგენლებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სხვაგან უფრო მწვავედ აკრიტიკებს; კერძოდ, სტეფან ფულესთან შეხვედრისას მან ბრძანა:

„ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ იმით, რომ საქართველო, რომელმაც გამოიარა მძიმე კომუნისტური რეჟიმი, მიემართება ევროპულ სტრუქტურებში. ევროპის სტრუქტურები არის ის ორგანიზაცია, რომელსაც კარგად იცნობენ საქართველოში. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველო გახდეს სრულფასოვანი წევრი ამ დიდი ორგანიზაციის. მინდა ვთქვა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს საქართველოს ეკლესია აბრკოლებს ამ პროცესს. მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, რომ საქართველოს ეკლესია ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს იდეა განხორციელდეს... მე მინდა გითხრათ, რომ ამაში დარწმუნება არ მჭირდება. მე დიდი ხანია ამაში დარწმუნებული ვარ. არის ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ავრცელებენ ეკლესიის საწინააღმდეგოდ ამ იდეას და ამით ალბათ შოულობენ დახმარებებს. თქვენ თვითონ დარწმუნდებით საქართველოში ვიზიტისას. თქვენ დღეს ჩამობრძანდით, გქონდათ შეხვედრები, კიდევ შეხვედრებით სასულიერო პირებს, საზოგადოების წარმომადგენლებს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს იდეა განხორციელდეს“...<sup>15</sup>

ზემოთ წარმოდგენილი ფაქტები და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის პროდასავლური და დაბალანსებული, ქართველი ერისა და ერთიანი საქართველოს გადარჩენაზე ორიენტირებული პოზიცია ბუნებრივად აპირობებს, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის, ზოგადად, ქართველი ერისათვის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დღესარის ქართველი ერისა და საქართველოს ერთიანობის სიმბოლოა.

## Tariel Putkaradze

### **His Holiness and Beatitude, Catholicos-Patriarch of All Georgia, the Archbishop of Mtskheta-Tbilisi and Metropolitan bishop of Bichvinta and Tskhum-Abkhazia Ilia II – Symbol of Unity of All Georgians<sup>16</sup>**

#### Resume

According to all surveys having been conducted since the XX century, his Holiness and Beatitude, Catholicos-Patriarch of All Georgia, the Archbishop of Mtskheta-Tbilisi and Metropolitan bishop of Bichvinta and Tskhum-Abkhazia Ilia II remains to be an **unrivaled leader for the Georgian population**: he is the most popular and reliable person for the citizens of Georgia; **for instance, according to the survey conducted by NDI before the period between July 23 and August 7 in 2014, the approval rating of the Patriarch of All Georgia reached 91 per cent. The following three places are occupied by politicians.**<sup>17</sup>

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ქადაგება ნათლისღების დღესასწაულზე 19 იანვარი, 2003 წელი; ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“, №3, 24-30 იანვარი, 2003 წელი.

<sup>13</sup> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის 2001 წლის საადღომო ეპისტოლე; ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“, №16, 21-27 აპრილი, 2001 წელი.

<sup>14</sup> სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის 2001 წლის საადღომო ეპისტოლე; ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“, №16, 21-27 აპრილი, 2001 წელი.

<sup>15</sup> <http://www.tabula.ge/ge/story/80773-margvelashvili-umnishvnelovanesi-iko-shtefan-fules-ilia-meorestan-shevedra>

<sup>16</sup> Scientific Conference (dedicated to the 37<sup>th</sup> anniversary of the coronation of his Holiness and Beatitude, Catholicos-Patriarch of All Georgia, the Archbishop of Mtskheta-Tbilisi and Metropolitan bishop of Bichvinta and Tskhum-Abkhazia Ilia II) washeld by the St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia on December 23, 2014.

Moreover, according to the American research, the highest percentage of trust is granted to the head of the Georgian Orthodox Church, Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II by the population of the post-soviet countries<sup>18</sup>.

I have an intensive personal relationship with Georgians living in Iran, Turkey and Russia and I can confirm that like Georgian citizens, the majority of autochthon Georgians living in other states, descendants of those exiled by Shah Abbas and Giorgi Saakadze in Iran, descendants of Muhajirs and new migrants **grant full trust to the current Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II and they call him the caring father of the Georgian nation.**

I regard that apart from the Patriarch's personal traits (**kindness, warm-heartedness, constant exposure of his positive energy; forgiveness, steadiness and in-depth analysis; amazing calmness...**), such a high level of trust is determined by several other circumstances, particularly the following ones:

1. In the existing political, geopolitical and socio-economic situation, **distrust of the population towards the political figures with no ideology**; the majority of politicians have repeatedly changed leaders and their outlook, consequently, during the elections, people have to choose between something bad and worse; and this distrust is becoming bigger and bigger;

2. For the last 25 years, a large part of the representatives of the intellectual circles have turned into lobbyists or **'fog leaf'** of this or that political group; correspondingly, people show less trust towards the so-called celebrities;

3. The trust towards his Holiness and Beatitude Ilia II is also strengthened by the following fact: The current Catholicos-Patriarch of All Georgia managed not only to preserve the unity of the Georgian church during the period of severe attacks but also to revive it;

4. The Catholicos-Patriarch of All Georgia tends to be particularly attentive towards Muslim Georgians; he regards nationality to be the basic personal trait.

Such kind of attitude and remarkably tolerant character of the Patriarch bring up his Georgian nationality and not his different affiliation among Muslim Georgians; the consequence of this kind of attitude is the fact that **lately, several Georgians living in Iran named their children Ilia after the Patriarch of All Georgia Ilia II.**

5. Catholicos-Patriarch of All Georgia sincerely and with ultimate tolerance tries to cooperate with all political figures as well as the authority. However, he is not reluctant to reprimand them in critical situations. At the same time, Catholicos-Patriarch represents the choice of both the majority of the Georgian population as well as the historical choice of the Georgian church<sup>19</sup>, he officially declares that **the European family is a natural choice of Georgia**; for instance, on May 19, 2015, at the meeting with the Austria president Heinz Fischer Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II declared: 'Georgia has made an European choice: Georgia aspires to become the part and member of the European democratic structures. Georgia's European choice is firm and we will definitely achieve this<sup>20</sup>. Unfortunately, the west has access to a lot of incorrect information about the Catholicos-Patriarch's European choice; for instance, a well-known expert on Caucasian issues **Thomas de Waal regards** that Patriarch does not support the development of close relations of our country with the west and he claims that his Holiness is the symbol of the old Georgia **[1]**. But actually, Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II is interested in speeding up the process of Georgia's European integration; e.g. **at the meeting with EU Commissioner Stefan Fule, he declared:**

*'I hope that the processes that are now unfolding in Europe, Ukraine, once again demonstrates that the integration cannot be postponed into the distant future.'*<sup>21</sup>

1. Catholicos-Patriarch of All Georgia **constantly tries to promote Georgia and talented Georgians abroad**; he welcomes the representatives of those countries which can support Georgia in difficult situation while being the center of geopolitical division.

2. This infinite trust of the Georgian nation towards the Catholicos-Patriarch of All Georgia is supported by his epistles and preaching where he highlights **inevitability of the revival of the territorial and ethnolinguistic unity of Georgia; an interesting step have been taken in this direction: Catholicos-Patriarch of All Georgia created a new**

<sup>17</sup><http://www.geotimes.ge/archive/index.php?m=home&newsid=61266&lang=geo>.

<sup>18</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/213475-ilia-meore-gamokithkhvebis-mikhedvith-yofil-sabtkooha-qveynebs-shoris-saqarthvelos-marthlmadidebel-eklesias-da-patriarqs-yvelaze-metad-endobian.html?ar=A>.

<sup>19</sup>On the discussion of the historical European choice of the Georgian church, see: Taniel Putkaradze, Georgian Church from the Historical and Geopolitical Point of View /Old and New Mistakes of the Major Geopolitical Players in Georgia/ [http://orientacia.blogspot.com/2013/10/blog-post\\_2571.html?pref=bl](http://orientacia.blogspot.com/2013/10/blog-post_2571.html?pref=bl).

<sup>20</sup> <http://www.civil.ge/geo/article.php?id=29383>.

<http://www.liberali.ge/ge/liberali/news/125549>.

<sup>21</sup> <http://www.ambebi.ge/sazogadoeba/98316-ilia-meore-me-dartsmuneba-ar-mtcirdeba-rom-saqarthvelo-evrokavshiris-tsevri-undagakhdes.html>.

**treaty of the Iberian unity (2011)**; this kind of activity is essential in conditions of **information war** waged against Georgia while its national (ethnolinguistic) is under serious threat.

**ქართული ციხე-კოშკები  
(ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)**

საქართველოს ძველთუბელების მიწა-წყალი ძნელი წარმოსადგენია თავდაცვითი დანიშნულების სამხედრო და საცხოვრებელ ნაგებობათა გარეშე.

მუდამ მტრიანი („ცუდას რად უნდა მტერობა...“ – ვაჟა) და ბრძოლების ქარცეცხლიდან გამოუსვლელი ქართველი ხალხი უმძიმესი განსაცდელის ჟამს ამ ნაგებობებში პოულობდა მყუდრო თავშესაფარს, უშიშ, უხიფათო ალაგს, ნუგეშსა და ფიზიკური განადგურებისგან გადარჩენის სასოს.

საუკუნოვანი კოშკები (ამ მხრივ შეუდარებელია სვანეთი) თუ ციხე-სიმაგრეები დღესაც მყარად, ამაყად დგანან მრავლისმომწვევ ბებერ მიწაზე და ზვიადი მზერით მარადისობაში აცილებენ დღეებს, თვეებს, ასწლეულებს...

ქვის მკაცრ, ვაჟაკური სულისკვეთების სადარ სიმფონიაში განსხეულებულ ერის შემოქმედებით უნარს წრფელ აღტაცებაში მოჰყავს მრავალრიცხოვანი მნახველი.

უთვალსაჩინოეს ნიმუშად „შუღლწაუგები“ შატილის დასახელება იკმარებდა. ერთურთზე მიჯრით მიწობილი, მხარბუჭით ერთმანეთს მიქაძლებული ქვითკირები უმძაფრეს შთაბეჭდილებას ტოვებენ ადამიანში. ანონიმი დამგეგმარებლების, არქიტექტორების, ძველი ტერმინოლოგიით – „ქვთხურთა მოძღუართა“ მიერ ჩაფიქრებული ციხე-სოფლის ჟანგიან კედლებს, ჩარდახებსა და ქვითკირებს ის შორეული ეპოქებიც ცხადად ახსოვთ, როცა თოფისა და ტყვია-წამლის ნაცვლად ხმალი და მშვილდ-ისარი წარმოდგენდა თავმოყვარე მთიელთა უმთავრეს საომარ იარაღს:

**ძველი დრო მაშინ ყოფილა,  
მშვილდნი რო სჭექდეს რქისანი,  
ეყარა ციხის კარებში  
ნაღეწნი ფრანგულისანი...**

საქართველოს მთიან კუთხეებში შენდებოდა სახელობითი საგვარეულო კოშკებიც, რომელთა მფლობელებად კონკრეტული გვარისა თუ მამიშვილობის (ქვეგვარის) წარმომადგენლები ითვლებოდნენ. მათ ხელთ იყო თემსოფლის „სიმტკიცის ბჭეთა“ გასაღები. და, გამომდინარე უფლებრივი უპირატესობიდან, მათვე ეკუთვნოდათ პირველი სიტყვა მტრის შემოსევისა თუ მასზე გალაშქრების დროს...

ხალხური პოეზია – მეურნე და მეომარი ერის ზეპირი, უწერილობო ისტორია – ხაზგასმული სინანულითა თუ მადლიერებით ახსენებს ხოლმე იმ ამაგდარ, ვალმოხდილ ციხე-სიმაგრეებს, რომლებთანაც ამა თუ იმ „სოფლიონის“, გმირისა თუ გვარის თავგადასაველება დაკავშირებული.

**ახად, გოდერძის ციხეო, მოგიდგეს თენებაზედა...**

.....

**აბუღეთაურთ ციხესა კარი არ შაკვსნან ხისაო...**

.....

**ციხე სტირს შუქიაურთა, უხმობს ქვითკირის კარია...**

ისტორიკოსი შოთა მესხია აღნიშნავს: „ყველა იმ პირს, რომელიც თავისი შრომით ამა თუ იმ საქმეს ასრულებდა საერო თუ სასულიერო ნაგებობათა მშენებლობაში, „მ უ შ ა კ ნ ი“ და „მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ნ ი“ ეწოდებოდათ... იმათ კი, ვისაც ჰქონდა „ველოვნებად ხურთებისაჲ“, „ხურთნი“ ეწოდებოდათ. „ხურთ“, როგორც მშენებელ ხელოსანთა აღმნიშვნელი ტერმინი, ქვითხურთს, ხითხურთს და მშენებლობის სხვა წარმომადგენელთა (მაგ., ქვის მთლელნი და სხვ.) გამომხატველი იყო (შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. I თბ., 1982, გვ. 26).



ციხე-კოშკის აშენების განზრახვა და დაწყება შესაფერისი მასალის მოძიებას, შეგროვებას და დანიშნულების ადგილამდე მიტანას გულისხმობდა, რაც, რასაკვირველია, დიდძალ მუშახელსა და ტევადი, განსაცვიფრებლად მძიმე ფიზიკური სამუშაოს ჩატარებას საჭიროებდა.

მშენებლობისთვის სტრატეგიულად გამართლებული, ვარგისი, ხელსაყრელი, მოხერხებული ადგილი უნდა შერჩეულიყო. უბზარო ბალავერი აუცილებელ წინაპირობად ითვლებოდა იმისათვის, რომ თავდაცვითი ფუნქციის მქონე ობიექტის გამძლეობაზე, ჩამოშლევლობასა და დიდ სამომავლო პერსპექტივაზე ეფიქრათ...

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ადგილობრივ ოსტატებთან ერთად ციხე-კოშკებს ჩრდილოკავკასიელი ქვითხუროებიც აშენებდნენ. ჯალამბარის დახმარებით ქვის მადლა აზიდვისა თუ კედლების მოპირკეთების დიდი გამოცდილება ჰქონდათ და თავიანთ პრაქტიკულ ცოდნას, დადგენილი სახლურის სანაცვლოდ, მეზობელი ტომების ტერიტორიებზეც ასხამდნენ ხორცს...

ვაინახების სამშენებლო საქმეში განასაკუთრებული მნიშვნელობა ბალავერის სიმტკიცეს ენიჭებოდა. ნაშრომში „ვაინახური საგმირო ეპოსი“ (თბ., 2008) მექა ხანგოშვილი წერს: „საბრძოლო კოშკების მშენებლობაში ვაინახმა ხუროთმოძღვრებმა თავიანთი ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიეს...

.....

**საბრძოლო კოშკებს (ბოუ) არ გააჩნიათ საძირკველი და აშენებულია კლდიან საფუძველზე. კლდეც, კლდიან ქანს, რომელშიც შენდებოდა ნაგებობა, არ უნდა ჰქონოდა რაიმე ბზარი, ნაშალი. იგი უნდა ყოფილიყო მტკიცე და სალი. ამის დასადგენად კოშკის ასაშენებლად შერჩეულ ადგილზე ასხამდნენ რძეს და თუ ის არ იწოვებოდა ქანში, იდგა როგორც ჭურჭელში, იწყებდნენ მშენებლობას“ (გვ. 92-93).**

ციხე-კოშკების მშენებლობის დაწყებამდე ბუნების სტიქიისგან მათ დაუზიანებლობასა და უვნებლობაზეც კეთდებოდა აქცენტი. ამ კუთხით იქცევს ყურადღებას ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიული მნიშვნელობის ნაშრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (თბ., 1941) ერთი ნიშანდობლივი მონაკვეთი: **მთიულეები „აღაშენებენ სახლთა უსარკმლოდ და მრავალსა ერთმანეთსა ზედა და კოშკთა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მადალსა და კლდე გორიანსაზედა, ვინათგან გამოუნახავთ უმჯობესად ზვავისა კვეთებისათვის, რამეთუ არღარა ეკვეთის, გარნა ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა, ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დგას მტკიცედ“** (გვ. 111).

მიწის წიაღიდან ამოღებული თუ „კლდისგან ამოკაფული“ (აბუსერისძე ტბელი) ქვის ჯიშსა და სახეობაზე იყო დანდობილი და დამყარებული ციხე-სიმაგრეთა „სიჯანსაღე“, დღევრძელობა და მედევობა უმოწყალო, უნდობარი დრო-ჟამის წინაშე.

აკად. გიორგი ჩიტაია ლენხუმელთა სამშენებლო ცოდნისა და გამოცდილების განხილვისას ეხება და მიმოიხილავს საამისოდ საჭირო მასალის საკითხსაც და განასხვავებს სამი სახეობის, სამი ჯიშის ქვას. ესენია: ჩეთი, ბასრი და სიპი (პირველში რბილი და შლადი ქვა იგულისხმება, მეორეში მკვრივი, ხოლო სიპი იგივეა, რაც ფიქალი). მკვლევარი იქვე გვაცნობს ბალავერის ლენხუმურ შესატყვისს – „თამალი“ და ქვის ორ სახელწოდებას: „კასალქვა“ და „ბაღდადი“ (გ. ჩიტაია, შრ., ტ. III, თბ., 2001, გვ. 388).

დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა ქვის დამუშავება. **„მომჭრელნი ქვათა“** თავიანთ ნახელავს ქვის მთლელებს ანუ, მემატინანეთა ენით რომ ვთქვათ, **„ქვის მკაზმველთ“** გადასცემდნენ, რომელნიც სასურველ ფორმას აძლევდნენ უტყვ, უენო, უჯიათ მასალას.

**„მაშენებლებს“,** ხშირ შემთხვევაში, **„ქვეყნის დაგაკება“,** ადგილის მოსწორება უწევდათ, რათა უძრავი საძირკველი ჩაყრილიყო და სიპერდამდე, პირამიდულ სახურავამდე თუ ქონგურამდე მწყობრად წარმართულიყო წარმატებით დაწყებული სამშენებლო პროცესი.

ხალხურ პოეზიას თუ დავუჯერებთ, არა მხოლოდ არჩევდნენ მკვრივ, კლდოვან ადგილს, სიმაგრის საძირკველად სინასაც (სპილენძი – ა.ა.) იყენებდნენ. ციხის ნაშალი (იგულისხმება ბარისახოს „ხმალა“) ამბობს:

**შალგაის აგებული ვარ,  
სინისა მეღა ძირით.**

იგივე მეტალი ფიგურირებს საკულტო ძეგლის მშენებლობაში:

**გუდან აგებენ ბეღელსა,**

## ზღურბლად უდებენ სინასა.

არც რძის, კვერცხის გულისა თუ სხვა საკვები ინგრედიენტების ნაზავი ყოფილა უცხო ქართულ სამშენებლო პრაქტიკაში. ნაირფეროვანი სასიცოცხლო „ფერმენტების“ შემცველობითაა გამორჩეული სვანური ოთხკუთხა კოშკები. სვანეთში „კოშკი თავდაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა, ამიტომ ძველად ყველა ოჯახი ცდილობდა მის აშენებას. კოშკის მშენებლობაში მთელი სოფელი, თემი და ხშირად ხევიც კი ღებულობდა მონაწილეობას. კოშკის მშენებელ ოჯახს ეხმარებოდნენ მუშახელით, სურსათ-სანოვაგით, საშენი მასალითა და გამწვევი ძალით. სვანების გადმოცემით, კოშკების მშენებლობის დროს რძეში გახსნილ ჭვავის ფქვილს კირქვაში ურევდნენ. ამგვარი ხსნარით შეღუდაბებული კოშკები უფრო გამძლე და მონუმენტური იყო“ (გ. სოხაშვილი. სვანეთი. თბ., 1971, გვ. 7)...

ციხე-კოშკის სილამაზე და პროპორციულობა მის „მაშენებელთა“ ნიჭზე, თვალის სისწორესა და სიმარჯვეზე იყო დამოკიდებული.

ქვითხუროთა ინდივიდუალური ხელწერა, შემოქმედებითი „სილაღე“ და თავისთავადობა დასრულებული „ობიექტის“ გარეგან სახეზე აღიბეჭდებოდა.

სავალდებულო სტანდარტები, ალბათ, ყველგან და ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ცხადია ისიც, რომ ნებისმიერი ციხე-კოშკის ფორმაში, ქვათა წყობასა და არქიტექტურულ დეტალებში იყო რაღაც „სუბიექტური“, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი...

სადღეისოდ ასეულობით ფუნქციონირებული და დანიშნულებამოშლილი ციხის გამძლეობაზე იყო დაფუძნებული პატრიარქალური მთის ტრადიციული სოფლების მომავალი. ის, რაც ახლა არქიტექტურული ოსტატობის დონით და ხარისხით ფასდება, ერის ფიზიკური გადარჩენის უმძლავრეს ფაქტორად განიხილებოდა არცთუ ისე შორეულ წარსულში. ციხე-კოშკში შეხიზნულ მოსახლეობას ზოგჯერ კვირების განმავლობაში უწევდა მტრის მოგერიება და ამგვარ ვითარებაში, ბუნებრივია, სასიცოცხლო დატვირთვას იძენდა და ითავსებდა ყოველი ასეთი ნაგებობა...

სერგი მაკალათიას მონოგრაფიაში „თუშეთი“ (თბ., 1983) აღწერილია დართლოში მდებარე პირამიდულსახურავეიანი ნადირაანთ ციხე (უფრო ძველად ნაჭაურიძეების ციხე რქმევია), რომელიც ექვსი სართულისგან შედგებოდა და თვითველ სართულს თავისი დანიშნულება ჰქონდა: პირველ სართულზე, სადაც მეორე სართულზე ამოჭრილი ერდოდან ჩადიოდნენ, ტყვეებს ამწყვდევენ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულებზე სოფლის მცხოვრებნი თავსდებოდნენ, ხოლო მეექვსე სართული, სადაც მზვერავეები და მეციხოვნეები იდგნენ, საომრად იყო გამართული. ციხის მცველები ჩარდახებიდან ისროდნენ თოფებს, აგორებდნენ ქვებს და ამგვარად იგერიებდნენ კარს მომდგარ მტერს.

იმავე ციხის რამდენადმე განსხვავებული დახასიათებაა მოცემული გიორგი ბოჭორიძის ნაშრომში „თუშეთი“ (თბ., 1993). ავტორი აღნიშნავს, რომ თუშეთში ორი სახის ციხეა: „შეწვერილი“ და „სიპით დახურული“. ორივენაირ ციხეს მადლა სართულებში ჩარდახები, საომრები, სამხირები და „შუკუმები“ აქვს. ციხის პირველი თვალი (სართული – ა.ა.) ბარგის შესანახად არის განკუთვნილი. იქ მდგარა საპურე კიღობნები, საწყლე კოდები და სხვა მძიმე ბარგი... რაც შეეხება ნადირაანთ ციხეს, გ. ბოჭორიძის თანახმად, პირველ თვალში ტყვეები იმყოფებოდნენ, მეორეში დიაც-ყმაწვილი, დანარჩენი ოთხი თვალი მეომარი ხალხის განკარგულებაში იყო...

ციხე-კოშკები თუშეთში, ზოგადად, საზიარო ყოფილა კაცებისა და დიაცებისთვის. იყო გამონაკლისიც: „ციხის დედას“, რომელიც დართლოში, იდოიძეების ციხის ძირას მდგარა, ქალები და ბავშვები აფარებდნენ თავს, ხოლო კაცები იქვე აღმართულ წვერიან ციხეს მიაშურებდნენ მტრიანობის დროს (გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 56-58).

თუშეთის სინამდვილეშივეა დადასტურებული „სადიაცო ციხეები“, უფრო მოზრდილი და განიერი, სადაც შფოთიან დღეებში დიაც-ყმაწვილი და საქონელი თავსდებოდა ხოლმე (გიორგი ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1990, გვ. 12).

გ. ცოცანიძის თქმით, თუშეთის საგვარეულო ანდა სასოფლო ციხეები, ჩვეულებრივ, მიუვალ ადგილებში შენდებოდა და მხოლოდ ერთი მხრიდან შეიძლებოდა მათთან მისვლა ვიწრო ბილიკით, რომელსაც ყველა სართულიდან გამომავალი სათოფურები უთვალთვალებდა (იქვე, გვ. 12).

საქართველოს მთიანეთში ციხე-კოშკების რაოდენობა მათი პრაქტიკული საჭიროებით განისაზღვრებოდა. ნაგებობის სტრატეგიული დანიშნულება სასაზღვრო ადგილების დაცვასა და

გამაგრებაშიც მდგომარეობდა. რაც მეტი და ხშირი იყო მოლოდინი მტრის შემოსევისა, მით მეტი თავდაცვითი ობიექტის აშენება უწევდა კონკრეტულ კუთხეს, ხეობას, სოფელს.

ქვეყნის თავკაცთა და ხელისუფალთა მუდმივი ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული დარიალის კარი, საიდანაც სამხრეთ რუსეთის ველებზე მობინადრე ტომები (სკვითები, ალანები, ხაზარები) ემუქრებოდნენ იბერიის სამეფოს.

ერთ-ერთ ასეთ სტრატეგიულ გეოგრაფიულ პუნქტად მოიაზრებოდა ხადას ხეობა მთიულეთში, სადაც თავის დროზე სამოცი გამძლე ციხე მდგარა.

არის ასეთი ხალხური ლექსი:

**არ ვიცი ხანდო-ჭართალი,  
გუდამაყარი სად არი,  
ხადაში გამიგონია,  
სამოცი ციხე მაგარი.**

გამომდინარე აქედან, „ადგილს კლდოვანს და კოშკოვანს“ სამოცი ციხის ხეობის სახელწოდებითაც იცნობენ საისტორიო წყაროები და ზეპირსიტყვიერი მონაცემები.

დაბა ხადა, „მაღალს კლდესა ზედა მდებარე“ და „მოზღუდვილი კლდითვე“, საიმედოდ იყო დაცული ციხე-კოშკებით, რომლებშიაც მეციხოვნე ჯარი იდგა. ამ საფორტიფიკაციო ნაგებობათა გამაგრება ციხისთავების მოვალეობას შეადგენდა.

„ძეგლის დადების“ ცნობით, ხადაში ორი ციხისთავი ყოფილა. ერთი დიდველზე (გამოღმა მხარეს), ხოლო მეორე – ციკარეს (გაღმა უბანში)...

ციხე-სიმაგრე, თავისი ფუნქციური დატვირთვისა და დანიშნულების წყალობით, ისეთ სიწმინდეებთან ასოცირდებოდა, რომელთა შერყვნა და შელახვა მიუტკევებელ ადამიანურ ცოდვად ითვლება.

ამ თვალსაზრისით მისი შედარება სალაშქრო დროშასთანაც შეიძლება; დროშასთან, რომელიც თავის გარშემო უყრიდა თავს და აერთიანებდა მებრძოლებს; დროშასთან – ეროვნული იდენტიფიკაციის ნიშანთან, რომლის გაშლა (გრ. ორბელიანი: „თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი...“) მეომრებს ბრძოლის უნით მუხტავდა, აღანთებდა და უმაგალითო თავდადებას შთააგონებდა.

ციხე-კოშკი თუ გოლოლი, სიმბოლურ გააზრებასა და განზომილებაში, ცისა და მიწის კავშირის თავისებური განსახიერებაა. „ესაა არქიტექტურული განსხეულება მსოფლიო ხისა და ამგვარად, – სამყაროს კოსმიური საყრდენი“ (ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 2006, გვ. 113).

ციხის შუამავლური, მედიუმური, ზესკნელისა და შუასკნელის მეკავშირეობითი მისიის მითოსური კონცეფციის თვალსაჩინო გამოხატულებაა ლექსითი თქმულების შესანიშნავი ნიმუში „შურის ციხე“.

აკ. შანიძის მიერ ხევისურეთში ჩაწერილი ხალხური ლექსი შემდეგს გვაუწყებს: ბარისახოში „ხმალად“ ხმობილ ადგილას მდგარ ციხეს (ლექსში მრავლობითის ფორმაა გამოყენებული: „ვმაღას რო მდგარან ციხენი...“) ცამდე უწვდებოდა წვერი. „ცხრა-თვალი“ ციხე „დახედულ მშვენიერი“ ყოფილა. გვერდებზე ჩარდახები ჰქონია, კუთხეებში – სათოფურები. მიწის სიღრმეში გაჭრილი დარანით (გვირაბი – ა.ა.) წყაროზე ჩადიოდნენ. იქვე, შორიახლოს, მდგარა მირონმდინარი ალვის ხე, რომლითაც ციხე ღვთის კარზე თავს იწონებდა (ციხე, ამ შემთხვევაში, ღვთისშვილთა მიწიერ საბრძანისებთან – წმინდა ჯვარ-ხატებთანაა გათანაბრებული; ღვთის კართან კავშირი ამ უკანასკნელთა პრეროგატივაა). ალვის ხეს წვერზე ცხრაკეცი შიბი ჰქონია მიბმული. ხის ტოტებზე ოქროსფრთიანი ანგელოზები სხდებოდნენ და „წვრილი ხმით გალობდნენ“.

ამ ციხის აგებას ოცი წელი, ორმოცი „ქაჩალი“ (ქვის სათლელი იარაღი) და სამოცი ქვის სამტრევი „კვერი“ (ჩაქუჩი – ა.ა.) დასჭირდა.

ციხე, გადმოცემით, ბერძნებმა ააგეს. მათ საკვირველი ხელი ჰქონდათ. როცა დაასრულეს, სქელი კარი შეაბეს და, ვინაიდან მაშინ მთაში მდგელი არ იყო, ხევისბერს აკურთხებინეს. თანაც დალოცეს: ნუმც მტერი მოგერევა და იღბალიც ნუ გაგიტყდება; ისე მყარად და შეუდრეკლად იდექი, როგორც კლდენი დგანანო.

ურჯულოც ბევრჯერ ეომა, კარ-კლიტე უმტერია (შდრ.: გ. ლეონიძე: „მცხეთას ვუმტერიე საკეტურები, ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი...“), მაგრამ მაინც ვერ მოერია და, საბედნიეროდ, ვერც

ალვის ხეს ახლო ხელი. და ამაში ციხეს ხმალას სალოცავი შეელოდა; სალოცავი, რომლის ბეღელში უფროსები იხდნენ და ბჭე-ხევისბრები სალაშქრო დროშას ამზადებდნენ („ხკაზმეღეს“) საომრად.

ამ დროს ხევსურეთს მირონის ხის მოჭრის განზრახვით მეფის ჯარი შეესია და ერთიანად დაიჭირა მისი მთა-ველი. რიცხვმრავალ ჯარს თან ახლდა არიშაული (ვარ.: „ალშაურელი“) ბერი, სახელად სუმელჯა, რომელიც, ანდრეის ენით, „ანგელოზთ ეცხადებოდა, გასთეთრებიყო წვერია“. მოლაშქრეებმა სუმელჯა მოქრთამეს, საჩუქრებით ააესეს, ოქრო-ვერცხლი მისცეს, სახელარი და ხმლის ვადაზე შესაბამელი თემლაკი აჩუქეს და მანაც გასცა ალვის ხის მოჭრის საიდუმლო (მანამდე ღვთაებრივი ხე ცოდვილი ადამიანის ხელსა და იარაღს არ იკარებდა): მოაყვანინა კატა, დააკვლევინა, ხე უსურმაგის (უწმიდური, ანტიმსხვერპლი – ა.ა.) სისხლით „გაინათლა“ და წაიქცა.\* შეიმუსრა მთის სიმტიცე; დაირღვა მანამდე უძლეველი ციხე, გაიხლინა საკრალური სამყარო (მიკროსატი ქვეყნიერებისა), რაც ცისა და მიწის მეკავშირე ანგელოზთა გზის – ცხრაკეცი შიბის – ამგვარ ქმედებაში გათვალსაჩინოვდა:

**შიბ გაწყდა, ცისკე წაფიდა,  
წიოდა, როგორც გველიო.**

ასე რომ ციხე-სიმაგრეში, თვალმიდევნებელი ლექსის თანახმად, რელიგიური ველიც – ზეგარდმო ძალა და ღვთიური მადლი – მოიხრება. ეს კი საწინდარი და წინაპირობაა ცალკეული კუთხისა თუ თემ-სოფლის მონოლითური მთლიანობისა, ერთსულოვნებისა და მრავალჯამიერობისა.

ციხე, ამ გაგებით, ჩვეულებრივ სახლზე მეტია, აღმატებულია, ვინაიდან ის, ასე ვთქვათ, პოლიფუნქციურია: ითავსებს როგორც საკულტო, ასევე საომარ და პრაგმატულ ანუ ყოფით დანიშნულებას. ციხე-კოშკი ადვილად ხელმისაწვდომი როდია. ის თავისთავში მისტიკურსაც იმარხავს და ჰეროიკულსაც. ამიტომაც რიგითი „სოფლისაგანი“ მისგან, გარკვეული აზრით, დისტანცირებულია...

„შურის ციხე“, „ბრძანებდა ლაშარის ჯვარი“ და „იამბე, ციხის ნაშალო“ ზიარი შუაგულური მოტივის შემცველი არასაყოფიერო ლექსებია. ამ ლექსებში მთის თეოკრატიული მმართველობის თანდათანობითი მოშლის აპოკალიფსური პროცესია აღბეჭდილი. ლაშარის ჯვარი და ხმალას სალოცავი ფშაველთა და ხევსურთა დავლათიანობის „გარანტებად“ ითვლებოდნენ. ის ფაქტი, რომ ზემოსხენებულ პოეტურ ნიმუშებში აშკარაა ფშავ-ხევსურეთის სატიკვარის იდენტურობა, მათ აქტიურ ხასიათს მოწმობს...

გახტანგ კოტეტიშვილი ფიქრობს, რომ ღვთის მგმობი ზურაბ ერისთავი აქ შემთხვევითაა ნახსენები და რომ „...ეს თქმულება უძველესი ეპოქის ნაშთს წარმოადგენს. იქნებ ეს თქმულება, – ვარაუდობს მკვლევარი, – ტიგროსისა და ეფფრატის ჭალებიდან მოსდევს ჩვენს მოდგმას და შემდეგში დაუკავშირდა გარკვეულ ადგილს, ეპოქასა თუ პიროვნებას“ (გ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 364)...

ბრალია სახლ-კარის დარბევა, გადაწვა და აწიოკება. უფრო დიდი ცოდვა და დანაშაულია ციხის დაქცევა ანდა გადაბუგვა.

თავდაცვითი შენობის განსაკუთრებულ ფასეულობას უსვამს ხაზს მთიულეთის იურიდიულ-უფლებრივი ნორმების კრებული „ძეგლის დაღება გიორგი ბრწყინვალის მიერ“, სადაც ვკითხულობთ: „დარბაზით უბრძანებლად ვისცა ციხე დაუქციონ ანუ კვეის ბერმან, კაცმან ანუ ქვეყანამან ქუეყანასა ანუ სწორმან სწორსა და ვინც გინდა ვის დაექციოს და ამითის მტერობისათვის დაიქცეოდეს და ამათ შუა სხუა რაც სასაქმო იყოს, ვითა გაგუიჩენია, აგრე გარდასწყდეს და ციხის დაქცევისათვის დაიურგონ ნახევარი სისხლი, რასაც გუარისა არის და რასაც გუარის ციხის პატრონი იყოს, მისსა გუარსა ზედა ციხე აგრევე ააგოს დამქცეველმან და თუ ბრძანება ჰქონდეს და ბრძანებით დაექციოს და თავით გარდაჭდეს, არას ემართლებიან“ (ციტირებულია ს. მაკალათიას წიგნიდან „მთიულეთი“, ტფ., 1930, გვ. 22).

\* ამ მითოსური ამბის ანალოგიურია გადმოცემა, რომელიც ზურაბ არაგვის ერისთავის მიერ ფშავისხევის თორმეტი საყმოს საერთო სალოცავის ლაშარის ჯვარის ბერძენის მოჭრის შესახებ მოგვითხრობს. ლექსიც არის შემორჩენილი: „ბრძანებდა ლაშარის ჯვარი: ცას ვები ოქროს შიბითა, ხმელგორზე მედგა ბერძენა, ზედ ავდიოდი კიბითა, ჩემ საყმთ შემონაძღვენი ღმერთთან ამქონდა იქითა...“ გადმოცემაში წმინდა ხის წაქცევის საიდუმლოს გამცემად ვინმე ჯალაბაურია დასახელებული, ხოლო უკეთური საქმის აღმსრულებლად – აფციაურების გვარის კაცი.

„ძეგლისდება“ (პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“, 1889-1890 წ.წ.) იგივე იყო ქართული სამეფოსა და ქართველი ერისათვის, რაც „ძეგლისწერა“ (დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1886 წ.) ეკლესიისთვის, ხოლო ორივე სჯულმდებლობითი ნაშრომი, როგორც ნიკო ხიზანაშვილი მიუთითებს, „ხალხის დაცემული ზნეობის აღსადგენად დაიწერა“ (ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982, გვ. 276).

არაა შემთხვევითი, რომ მთიულეთზე ორიენტირებული ძეგლისდება მეფე გიორგისა საგანგებოდ ჩერდება არაგვისხეობელთა ცხოვრების სამხედრო მხარეზე და დიდი პატივით იხსენიებს ლაშქარს და დროშას, რომელიც ხევისბერს – „ლაშქართ თავადს“ – ებარა.

ნ. ხიზანაშვილი, როცა ძეგლისდების ამ ნაწილს განიხილავს, ბელეტრისტულ სტილში წარმოაჩენს მთის როლსა და ადგილს საქართველოს ისტორიაში: „**მთა იყო მოწინავე, მიუღვამელი ციხე სახელმწიფოსი და ამ ციხეში იწვრთნებოდა საუკეთესო ვაჟაკობა ძველი საქართველოსი**“ (იქვე, გვ. 229).

მთა – ციხე-კოშკებით მოფენილი მრავალფეროვანი ლანდშაფტის კრებითი ხატი.

მთა – ქავი („თავდაცვის მიზნით პატარა მონაკვეთზე აშენებული მაღალი კედელი“ – ალ. ჭინჭარაული), რომელიც დედასამშობლოს ათასი ჯურისა და ჯიშის გადამთიელთა ძალმომრეობისგან იცავს და იფარავს...

საბრძოლო კოშკი თუ გოდოლი – მთის მოსახლეობის ყოფითი სინამდვილის განუყოფელი ატრიბუტი – დროის დინების კვალდაკვალ კარგავს თავის რეალურ შინაარსს, დანიშნულებას და მნახველის თვალში მკაცრი რელიეფის არქიტექტურულ „სამკაულად“, სამშენებლო ხელოვნების ნიმუშად, ნამდვილ ხუროთმოძღვრულ სასწაულად აღიქმება.

ხოლო იმ ეპოქებში, როცა ფიცხელ კლდეებსა თუ ხორშაკი ქარებისგან მოლოკიდ მთა-გორებზე, სულწუხი ხეობის შესასვლელებსა თუ მზისგან დამწვარ უტყეო ზეგნებზე სათვალთვალ კოშკები და „რკინით შეჭედილი“ ჩარდახიანი ციხე-სიმაგრეები შენდებოდა, ხუროთმოძღვრების ამ ძვალმაგარ ძეგლებს სრულიად პრაქტიკული, „არაესთეტიკური“ განზომილება გააჩნდათ.

კოშკები მეტყველებენ მათ მფლობელთა და „მომხმარებელთა“ ცხოვრების ნირსა და რეჟიმზე, საბრძოლო შემართებაზე, ავბედითობასა და, საერთოდ, ისტორიულ თავგადასავალზე.

ამ მხრივ უადრესად მდიდარი და მრავლისმეტყველია სვანეთი.

ივანე მარგიანი წერს: „**სვანების წარსულსა და ომიანობას, შორს რომ არ წავიდეთ, თვით კოშკები გვიმტკიცებენ და გვეუბნებიან, რომ ძველად იგინი ძლიერ მეომარი ხალხი ყოფილა... არ არის სახლი, რომ მას კოშკი არ ჰქონდეს მიდგმული. ეს კოშკები, სწორეთა სთქვას კაცმა, სამაგალითო არქიტექტურულის გემოთი არიან აგებულნი: მაღალი, სწორი, მაგარი და თეთრად შეღესილი კოშკი იქაურობას ამშვენებს. ეს კოშკები აგებულია მე-13 საუკუნეში, როდესაც მთელი საქართველო აწეწილ-დაწეწილი იყო და ყველა თავისაკენ იწვედა. სვანეთიც მაშინ განზე გადგა და თავისი საკუთარი გამგეობა გაიჩინა, რასაკვირველია, არამტკიცე და დროებითი. მასაც მისი მტერი ჰყავდა: სამეგრელო, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სხვა. ყველას უნდოდა, რომ სვანეთი დაემორჩილებინა და მით ძლიერი ასაბია მოენახა, მაგრამ სვანეთის დაპყრობა ისე ადვილი არ იყო. „ერთობილნი სვანნი“, როგორც თვითონ იხსენიებენ წიგნებში (წარწერები საღმრთო წერილის წიგნებზე), პირიქით აბეგრებდნენ მათ და საქმეს უჭირებდნენ... სოფელი სოფელს ემტერებოდა, საზოგადოება საზოგადოებას, სადადეშქელიანო სვანეთი თავისუფალ სვანეთს და მეზობელი – მეზობელს. აი, ამისთანა დრომ გამოიწვია კოშკების აგება“ (ივ. მარგიანი, სვანეთი, იხ. კრებ. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973, გვ. 132-139).**

ნარკვევის ბოლოს ავტორი სინანულით ამბობს: „**წინეთ რომ ეს კოშკები სვანისათვის სასიქადულონი იყვნენ და სიამაყით გამოიცქირებოდნენ, ეხლა დაჰკარგეს მათ ფასი სვანის თვალში**“ (გვ. 163).

საქართველოს თვითეული კუთხე თავდაცვით ნაგებობათა სტილის მისეული ნიშნებითა და თავისებურებებით ხასიათდება. ქვის წყობის, სართულთა რაოდენობის, საკომუნიკაციო კიბის, ბილიკისა თუ დარანის (ფარული მიწისქვეშა გვირაბი) მიხედვით მსგავსებაც არსებობს და განსხვავებაც სხვადასხვა ქართული თემისა და საზოგადოების საფორტიფიკაციო ხელოვნების სფეროში.

სვანურ „მურყვამთან“, იგივე კოშკთან, ტიპოლოგიურ არქიტექტურულ სიახლოვეს გვიხვენებს ქვითკირით ნაგები რაჭული დუროიანი კოშკი, რომლის შესახებ ს. მაკალათია აღნიშნავს: „**თავდაცვისათვის საჭირო იყო კოშკები და დუროიანი (სათოფურიანი) სახლები, მაღალი გალანით შემოზღუდული, სადაც შესაძლებელი იქნებოდა გამაგრება და ქონების გადამაღვა. მშვილდ-ისრით**

თუ კაჟიანი თოფით შეიარაღებული მთიელიც ამ კოშკის მწვერვალთან ზეერავდა შემოპარულ მტერს და ის მუდამ მზად უნდა ყოფილიყო მის შესატყვად. მთის რაჭაც ამგვარი ციხე-კოშკებით იყო შემოზღუდული, რომელსაც არაერთხელ უკუ უქცევია კარზე მომდგარი მტერი, რასაც მოწმობენ აქ დღემდე დაცული დუროიანი სახლ-კოშკები“ (ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1987, გვ. 39)...

საქართველოს აღმოსავლეთ კუთხეებში ვარიანტებად არის გავრცელებული საგმირო-სამგლოვიარო ხასიათის ხალხური ლექსი „ზენ ბაცალიგოს“. ლექსის ძირითადი, დავით ხიზანაშვილის მიერ ფშავში ჩაწერილი, შედარებით მოკლე ვარიანტი, ამგვარი გახლავთ:

ზენ ბაცალიგოს თოვლი თოვს,  
ქვენ ბაცალიგოს შრებაო...  
თინიბექ, შენსა ციხესა  
მარჯვენა კუთხე ქსქდებაო,  
თავს შემომჯღარა ყორანი,  
ლიბოში გველი ძვრებაო.  
შიგა წევს ალუდაური,  
კვდება, ადარა რჩებაო.  
გვერდს უზის ცოლი ლამაზი,  
სანთელივითა დნებაო.

„ზენ ბაცალიგოს“, სახისმეტყველებითი თუ პირწმინდად ნარატიული თვალსაზრისით, უნიკალური პოეტური ქმნილებაა. უპირველესი, რაც მკითხველში უჩვეულობის განცდას აღძრავს, ამ ნიმუშში აღბეჭდილი ბინარული ოპოზიციები და სივრცული განზომილებაა.

**„ზენ – ქვენ“; „თავს“ – „ლიბოში“; „შიგ“ – „გვერდს“...**

ამ წყვილების თვითეული წევრი საგნობრივი და სიმბოლური მინიშნებაა იმისა, რაც თინიბექის ციხეს უახლოვდება და ემუქრება.

არასადაგი ატმოსფერული მოვლენა – სოფლის ერთ უბანში თოვა, ხოლო მეორეში თოვლის შრობა – ყოფითობის ჩვეული, რუტინული რიტმიდან ლოკალური გეოგრაფიული გარემოს მოულოდნელი „ამოვარდნის“ საბედისწერო სიგნალია. ცხადია ისიც, რომ ციხის „თავს“ შემომჯღარი ყორანი და ლიბოს დაღირებული გველი სასიკეთოს არაფერს უქადიან მომაკვდავი გმირის მანამდე საიმედო და მეგობარივით სანდო თავშესაფარს...

ხალხური გადმოცემა, „თინიბექაურთ“ ციხის მშენებლობისა და ნგრევის მიზეზთა პერიპეტიკებში რომ გვარკვევს, არგუმენტირებულ ახსნას უძებნის ინფორმაციას, ლექსის ორიოდ ტაქსში („თინიბექ, შენსა ციხესა მარჯვენა კუთხე სქდებაო“) რომ გაკრთება: „–თინიბექმა სოფელში ციხე ააგო, რომელსაც თინიბექაურთ ციხეს ეძახიან... ციხე ცხრასართულიანი იყო და მას თინიბექი ცხრა წელიწადს აშენებდა. ერთ-ერთი მშენებელი ქისტი იყო, რომლის შვილსაც თინიბექის შვილმა სამჯერ აჯობა ჭიდაობაში. ამით განაწყენებულმა მშენებელმა ციხეს მარჯვენა მხარეს საძირკველად ჩეთის ქვა (სუსტი, ადვილად შლადი ქვა) დაუდო და ციხემაც მარჯვენა მხრიდან დაიწყო ნგრევა“ (ბ. გამყრელიძე, ხევისურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, თბ., 1989, გვ. 14).

ლექსის ანონიმი ავტორისთვის ცნობილია ქისტი მშენებლის არაეთიკური საქციელის ამბავი, ციხის საძირკველში შლად ქვას რომ დებს და ამიტომ აკონკრეტებს, რომელი კუთხე სკდება ციხეს.

თინიბექის ციხის მაჰმადიანი კალატოზისგან განსხვავებით, სიტუაციაში გარკვევის შემდგომ, პატიოსნად იქცევიან ლეკი ოსტატები, მამა და შვილი, რომელთა შესახებ ს. მაკალათიას „თუშეთში“ ასეთი მონათხრობია მოტანილი: „ჭონთიოსა და გირევის ციხე, ხალხური თქმულებით, მამა-შვილ ლეკს აუშენებია. ჭონთიოს ციხე აუშენებია მამას, შვილს კი გირევის ციხე. ჭონთიოელები ოსტატს თურმე კარგად კვებადნენ, სულ ერბო-კარაქს აჭმევდნენ. ციხის აგებისათვის ითიურძეებს მისთვის 60 ძროხა მიუციათ. ერთხელ შვილს მამისათვის შეუწივლია: „შენ რომ ჭონთიოელები ერბო-კარაქით გკვებავენ, მე კი გირეველები მარტო საჩხრეკას მაჭმევენ, ამიტომ უნდა გუდალატო, ციხე ცუდად ავაგო, რომ თავზე დაენგრეთო“. მამას უთქვამს: „თვითონ გირეველები რასა სჭამენო?“

– ვოტსაო, – უპასუხნია გირეველ ოსტატს.

– მაშ შენთვის კარგად უჭმევიათ და არ უდალატო, რადგან ვოტზე უკეთესი რომ თვითონ ეჭამათ, იმაზე უკეთესს შენ მოგართმევდნენო“ (ს. მაკალათია, თუშეთი, თბ. 1983, გვ. 129-130)...

ხალხური ლექსებისა და გადმოცემების ციკლში, ფარსმის მაღალი ციხის თავგადასავალს რომ ეხება, თვალნათლივ ჩანს ამ ციხის საჩინო წვლილი მურთაზის – ქისტების სახელგანთქმული ბელადის – დამარცხებაში. კახოს თინას საკვირველი გმირობის ამბავიც ფარსმის გაუტყველ ციხეს უკავშირდება... ცნობილია, რომ ძლეულმა მურთაზმა ზარბაზანიც ფარსმაში მიატოვა და გაწბილებული ბეწვზე გადაურჩა უცხო მიწაზე სიკვდილს.

არანაკლებ შთამბეჭდავია ჰელოს ციხის (ვაჟა: „გვიამბე, ელიზბარათ, რა ამბავ მოხდა ელოსა...“) და ძველი დიკლოს ჩარდახიანი ციხე-სახლების ტრაგიკული ისტორიები. ლაროვნისა და პირიქითის ალაზნის ხერთვისში მთის თხემზე აღმართული ციხე ვაღმოსხდილი მეომრის სიამაყით გადაჰყურებს თავის კლდოვან მიდამოს...

ციხე-სახლების მასიურ ქვათა წყობაში ხალხი გრძნეული, ზებუნებრივი ძალების კვალსაც ხედავდა. დაუჯერებელი თუ არა, ძნელად წარმოსადგენი ჩანდა ადამიანის ხელით ასეთი გრანდიოზული სამშენებლო სამუშაოების წარმოება. და რაკი სხვაგვარი ახსნის მოძებნა ჭირდა, მიაჩნდათ, რომ „გმირთა სავანეებისა“ (ს. მაკალათია) თუ ცალკეული სიმაგრეების შენებაში ავსულები მონაწილეობდნენ.

„თებუორიკას“ – დემონურ პერსონაჟს, ხიბალკუდიანების მოგვარეს – მიეწერება ხოსიკურიძეების ჩარდახიანი სახლის მშენებლობა გირევიში და ოდოიძეების ციხისა – დართლოში.

გადმოცემა გვეუბნება, რომ ხოსიკურიძემ დამით დაიჭირა თავისი ბუნებით სულთამსუთავი არსება, ცერა თითის ფრჩხილი მოაჭრა (რაც მის განიარაღებას, გრძნეულებისგან განძარცვას ნიშნავდა) და თავის სასარგებლოდ მოიმსახურა; თვითონ ჯორით უზიდავდა ქვას და რაკი თებუორიკა, როგორც ეშმაკეული, დღის სინათლეს ემალებოდა, ღამის წყვილადში აშენებდა დამტყვევებლის სახლს...

სინერგიის (უფლისა და ადამიანის ნების თანხვედრა) მაღლით წამოწყებული სამშენებლო საქმიანობა წარუმატებელი იქნებოდა ამ მძიმე პროცესში ღონიერი გამწვევი ძალის მონაწილეობის გარეშე. გარდა იმისა, რომ ნაგებობისთვის შერჩეულ ადგილამდე მიმავალ ბილიკზე ქვასა და ლამკირს ურიცხვი კაცის „ხელი მიაწვდიდა ხელსა“, გამოიყენებოდა მებარგული შინაური პირუტყვიც: ხარი, კამეჩი, ჯორი... ნათქვამი, რასაკვირველია, ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების მშენებლობასაც ეხება. გერგეტის სამების კედლის ქვაზე ამოკვეთილი წარწერა „ხარი ღომა და მწყემსი თევდორე“ იმაზე მიანიშნებს, რომ ეს დიდებული ტაძარი ღომა ხარის (ერთი გადმოცემით: „დეგ-წიქარა ხარების“) და თევდორე მწყემსის მიერ ყანობიდან და ხურთისიდან მოზიდული ქვით არის აგებული.

ვ. ბარდაველიძის ნაშრომში „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები“ (ტ. III, ხევსურეთი, თბ., 1982) დამოწმებული ხალხური გადმოცემის მიხედვით, ხახმატში „ერთი ციხე იდგა, გზის ძირში, დაშალეს; ამ ციხეს „ქვითკირა“ ერქვა. ლაგაზათი (ქათინათი) იყო ეს ციხე. მათ 8 ჯორი ხყვანივა და შორით უზიდავ ქვა ციხისათვის; მერე მათ სხვა ციხე აუგიათ, ერთი თვალი დაკლებიათ, ლეკებმა მოუსწრეს და დახოცეს ქათინანი“ (გვ. 7).

ის, რომ ჯორი ერთ-ერთი მთავარი ტვირთმზიდი ყოფილა ციხე-კოშკთა აღმშენებლობის პროცესში, საქმროზე გუდამაყრელი ქალის ნატირალშიც ჩანს. ბექაურის „ღამაზი ქალი“ ლექსად იგლოვს თავის უბედობას და რიტორიკულ კითხვას სვამს:

**ციხენ სად უდგან თანგულასაო,  
თამარიშვილსა, ხოსისანიო?\***  
ჭალაით ქვათა ხოსისათაო  
აღმე და აღმე აზიდვიებსო  
ციხისა მასაწვერაგადაო...

ხოსის გამძლე ქვასთან ერთად „ბროლმარილას“ (ბროლი, მთის კაჟია) ქვაც ერთობ საიმედო საშენ მასალად არის მიჩნეული ხალხის მიერ:

**ბორბალ აგებენ ციხესა  
ბროლმარილას ქვისასა,**

\*„ხოსი“: რიყის მაგარი ქვა.

– ნათქვამია ერთ ხევესურულ ლექსში.

ღვთიურ სისპეტაკესთან ასოცირებული ბროლის ქვა, სამშენებლო მასალის სახით, ამირანის ეპოსშიც დასტურდება: სანადიროდ მიმავალმა, ოქროსრქიან ირემს გადევნებულმა ძმებმა გზად ცამცუმის კოშკი ნახეს – „ანაგები ბროლის ქვისა“ (ვარ.: „სალი კლდისა“); კოშკი, წვერიოთ ცას რომ წვდებოდა და უკარო იყო. ამირანმა სამ დღეს უარა გარს და რაკი შესასვლელი ვერ იპოვა, სადაც მუხლი ჰკრა და შელეწა, კოშკსაც იქ შეება კარი.

ნიშნულია, რომ სამი აღიდებული წყლისა და სამი ზვავის ღონის მქონე გმირს მზის სხივი ეხმარება „კერივი“ კოშკის სუსტი ადგილის მიგნებაში.

პრეისტორიული ხანის მითიური რეალის ხსოვნას ინახავს ფილოსოფიური ხასიათის ლექსი „რა ვქნის ციხე“, ჩაწერილი ჯ. ბარდაველიძის და გ. ბარნოვის მიერ ჩარგალში, 1956 წელს, ივანე გორზამაულისაგან:

**„რა ვქნისა“ ციხე ავაგე,  
ჯავრი შევაბი კარადა,  
საიქიოდან მოიდენ  
ამ ციხის სანახავადა.  
ბევრი უარეს ციხესა,  
კარ ვერ გატეხეს ძალადა,  
მემრე თქვეს: „დრო რო მოაღის,  
კარ გაიდების თავადა“.**

ნუთუ შემთხვევითია ამგვარი თანხვედრები ხალხური პოეზიის უკიდევანო სამყაროში?!

„რა ვქნის“ ციხე ხომ ნაირსახეა ცამცუმის კოშკისა, იოლად რომ არ თმობს თავის შეუვალობას და ელოდება დროს, როცა თავისთავად უნდა გაიდოს მისი კარი!..

ძველად, როგორც ჩანს, სწამდათ ისიც, რომ ციხის სიმტკიცეს მის ლიბუში განთქმული გმირების საომარი იარაღით ჩადებაც უწყობდა ხელს.

ასეთ რელიკვიადაა სახელდებული ხმალი თუშეთის სახალხო გმირის გორგი თილიძისა, ვინც, ხალხური ლექსის ცნობით, ნაკვეთაურის ციხეს რკინის კარი შესხნა და „დაწვა, დადაგა ხოშარა, ცამდის აუშვა აღია“.

უცნობი მელექის ნატვრაში გორგის ამაგდარი ხმლის მაგიური ძალა და სასწაულებრივი თვისებაა წინა პლანზე წამოწეული:

**ნეტარ არ გამაჰყიდდესა თილისძენ გორგის ხმალსაო?  
თუ გამაჰყიდდეს, ვიყიდდი, მივსცემდი ცხვარსა-დ რვალსაო.  
ჩავდებდი ციხის ლიბუში, გაიმაგრებდა ქავსაო,  
ლიბუში რო იქნებოდა, ლეკებს მისცემდა ზარსაო.**

ასეთივე ავგაროზული თვისებისა ჩანს კიდევ ერთი საუკეთესო, ხელთუქმნელი მახვილი, რომლის გამო ხალხურ ლექსში ნათქვამია:

**ბორბალ აგებენ ციხესა  
ბროლმარილაის ქვისასა,  
ლიბუდ უსხემდეს ვადათა  
ხახიკთ ხახონის ხმლისასა.**

თავდაცვითი ნაგებობა ხალხში – ფეხონსა თუ „ჯაროვაში“, მით უფრო ხშირად სახსენებელი და „საკვესურია“, რაც მეტია მის შექმნაში თემური საზოგადოების „მეწინავე“ წარმომადგენელთა პიროვნული წვლილი. კრძალვით შეჰყურებენ სიმაგრეს, რომლის კედლებში დვაწლმოსილი გმირების ძალ-ღონეა ჩახარჯული.

ხახმატში ორი - ალექსაურთ და ფერაულთ – ციხეები გუროელ ქალუნდაურს აუშენებია. ქალუნდაური ხუროდ მიუყვანიათ და შრომის საზღაურიც გადაუხდიათ.

მისი სახელი გმირობის შუქითაა შემოსილი ხალხურ პოეზიაში.



„ნაწილიანი“ (ერთი გადმოცემით – „მეხისპირიანი“) ხმლის პატრონმა მარცხის სიმწარე აწვევინა ზურაბ არავის ერისთავს და გამარჯვების ნიშნად ბეგენგორ ქვის სამანი „ჩაჰყუდა“.

მამუკა ქალუნდაური თვითონაც ნაწილიანი (დავლათიანი, ღვთიურ საწყისთან წილნაყარი) ყოფილა: როცა სალაშქროდ გაემართებოდა, წინ მანათობელი ვარსკვლავი გაუძვებოდა...

პირსისხლიანი ერისთავის ძლევა და ხევსურეთიდან განდევნა ქალუნდაურის საომარი საქმეების მხოლოდ ერთი ეპიზოდია და, ბუნებრივია, ასეთი პიროვნების აშენებულ ციხე-კოშკებსაც სხვაგვარი შნო და ავტორიტეტი ექნებოდათ...

საყოველთაოდ არის გავრცელებული ქვეყნის ინტერესებისთვის ადამიანის ზვარაკად შეწირვის მოტივი, რასაც შესაფერისი ხორცშესხმა უპოვია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.

თქმულების სიუჟეტური ქარგა, ძალზე ზოგადად, ასეთია: მტრის შემოსევის მოლოდინში იწყება ციხე-სიმაგრის შენება, მაგრამ საქმე წინ არ მიდის – კედელი ინგრევა. აშენებენ და ინგრევა... ამ დროს გადამწყვეტია მკითხავის ნათქვამი: ვიდრე ციხის კედელში დიდისერთა ვაჟს არ ჩაატანთ, ამას იქნება ყოველგვარი გარჯა... გამონჩდება თოთხმეტი წლის ყმაწვილი, ნებაყოფლობით რომ გადადგამს უმძიმეს ნაბიჯს... ციხის დასრულებას წინ აღარაფერი უდგას. ორ კედელს შორის ჩატანებული ჭაბუკი შიგნიდან იცავს ციხის სიმტკიცეს...

საქართველოში ასეთებია სურამის და ასკანის (მდებარეობს მდინარე ბახვისწყლის ხეობაში) ციხეები.

ცნობილია მწუხარე დედის მოთქმით მიმართვა სურამის ციხისადმი, მისი მხოლოდშობილი შვილის ძვლებით რომ გაიმაგრა და გადაირჩინა საკუთარი სხეული:

**სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო,  
ჩემი ზურაბ მანდ არის, კარგად შემინახეო...**

საერო და საკულტო ნაგებობები, არცთუ იშვიათად, ერთიანი არქიტექტურული კომპლექსის სახითაა წარმოდგენილი საქართველოს მთაში. ზოგჯერ ამის მიზეზი მოულოდნელი ჯვარჩენაა, ჰიეროფანიის იდუმალი მომენტი. ჩნდება, ფუნდება ახალი სამლოცველო და, ბუნებრივია, თავისსავე ადგილას რჩება ციხე-კოშკიც.

აღუდაურების წინაპარმა ღივამ ხახმატში ისეთი ციხე-სიმაგრე ააგო, რომ შემოსეულ მტერს შუბით და მშვილდ-ისრით ვერაფერი ევნო. გამოხდა ხანი და ყვერფში (კერა – ა.ა.) ხე ამოვიდა, ნიშნად იმისა, რომ ეს ფუძე-მიდამო ღვთისშვილის, ახალი საკულტო ობიექტის მფლობელობაში გადადიოდა. ადგა ღივა, მიატოვა ის ადგილი, ხეგვადმა გავიდა და ახლა იქ ააშენა თავშესაფარი, ცნობილი „საწმინდარ-სამანანულო ციხის“ სახელით. მალე ეს ციხეც, სიზმრის მიზეზით, წმ. გიორგის სახელობის ხატს დაუთმო...

უფრო მეტიც: ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დამოწმებულია შემთხვევები, ჯვარ-ხატად (ღვთიური ძალის ამქვეყნიური საბრძანისი – ა.ა.) თვით ციხე-კოშკი რომ ითვლება. ასეა თუშეთში, სახელდობრ, ფარსმასა და ჰელოში. ფარსმის აღმოსავლეთით ჩამწკრივებული სამი ციხე, შესაბამისად, წმ. თევდორეს, წმ. გიორგისა და დედა-მარიამ ღვთისმშობლის სახელს ატარებს, ხოლო ჰელოს ციხე-სიმაგრეთა კომპლექსში ივანე ნათლისმცემლის სახელობის სამლოცველო ხატი ფუნქციონირებს. მსგავსი სურათია დანოში, სადაც მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზის სახელით მოიხსენიებენ აშტოს ოდესღაც გალაგნიან ციხე-სიმაგრეს.

არც ხევის ყოფით – რელიგიური რეალობისთვის არის უცხო სტრატეგიული მიზნებით აშენებული კოშკებისა და ქრისტიანულ წმინდანთა სახელობის სათემო თუ საგვარეულო სალოცავების თანაარსებობა.

ვალერიან ითონიშვილის ნაშრომში „ხევის ტოპონიმია“ (თბ., 1971) სამი ასეთი ორგანოზომილებიანი ობიექტია გამოვლენილი: 1. ჩქარეულების ერთ-ერთი პატრონიმის კოშკი გორისციხეში, რომელმაც დროთა სვლაში დაკარგა თავდაპირველი ფუნქცია თავდაცვითი ნაგებობისა, გადაიქცა სალოცავად და დღეს ის მამაწმინდის ხატს წარმოადგენს; 2. ქუშაშვილების ნაკოშქარზე დადგმული წმ. გიორგის ნიში, გვარის სალოცავი ადდგომასა და ამადლებაზე სტეფანწმინდაში; 3. ე.წ. ყანანაზის ციხე კარკუჩის სიახლოვეს, რომლის ნანგრევი მოხვევებმა სალოცავად გაიხადეს და ამადლების ხატი დაარქვეს.

.....

ციხე-კოშკი ისეთივე სრულფასოვანი სუბიექტია საისტორიო თემატიკის ხალხური პოეზიისა, როგორც კაი ყმა, მისი პატრონი, ვინც იმისთვის გაუჩენია უფალს, ხალხს ემსახუროს, ცხელი

გულით მისი ჭირ-ვარამი ზიდოს და მტერსაც წარბეზებულად შეაკვდეს, თუკი ამით სამშობლოს არგებს და აამებს...

ვინ ჭრიდა საძირკველს, ვინ დებდა ღიბუში პირველ ქვას, ვის აჰყავდა ცისკენ ზემსწრაფი ისარივით სწორი კედლები...

**ორშაბათობით აშენდა  
ციხე-ქალაქი მთაზედა,  
ქვა შემოიფლო გალაგნად,  
ცა დაიხურა თავზედა.**

ამბავი ძველდება და ანდრეზად იქცევა.

პოეტურ თუ პროზაულ ნარატივში ჩნდება და სამუდამოდ რჩება ციხე-სიმაგრის ამგებთა ვინაობა, პირნათლიერი ხარის სახეობა.

იკვებება სიუჟეტი...

ხალხური სიტყვიერება აისბერგივითაა – ჩვენი თვალსაწიერი ყველაფერს ვერ ვწვდება; ბევრი რამ საუკუნოდაა დაფარული და გაუჩინარებული.

ასწლეულების ნისლსა და ბურუსში გახვეული ციხე-კოშკების საომარი თავგადასავლები ქართული ფოლკლორული შემოქმედებისა და ეთნოგრაფიული სინამდვილის ერთ-ერთი კოლორიტული წიბო-წახნაგია; მათ თავზე გადავლილი უსასტიკესი ქარტყილები – ჩვენი ზიგზაგოვანი ისტორიული წარსულის ნიშატი და განუშორებელი ნაწილი...

ის, რასაც დღემდე „სასწაულით მოდწეული“ ტაძრების შესახებ ბრძანებს გურამ ასათიანი, ნაწილობრივ ციხე-კოშკებსაც ეხება. გარდა იმისა, რომ ხალხური ხუროთმოძღვრების შედარებით მარტივ, პრიმიტიულ ნიმუშებში დაცულია ე.წ. „ოქროს კვეთის“ (დვთაებრივი პროპორციის) პრინციპი, თვალნათლივია მშობლიური მიწის საზღვრულ სივრცესთან მათი ბუნებრივი, ორგანული კავშირიც.

ქართული სულის ესთეტიკური ბუნების კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომში „სათავეებთან“ გ. ასათიანი წერს: „ქართული ხუროთმოძღვრების ერთი მთავარი ნიშანი – მიწასთან (ბუნების წიაღთან) განუყოფლობა – ნივთიერი გამოხატულებაა ქართული სულის ღრმა ნდობისა ბუნების მიმართ, რომელიც მათი თვალსაზრისით, თავად შეიცავს მშვენიერებისა და სიკეთის საწყისებს. მაგრამ, ამავე ღროს, თავისი სტრუქტურით ის მკვეთრად განსხვავდება არა მხოლოდ უცხო და შორეული, არამედ მომიჯნავე (ყველაზე ახლობელი) ფორმისგანაც, ვინაიდან მისი „ბუნებისგან განუყოფლობა“ არ ნიშნავს ნიადაგთან ჩაკერას, ჩაბჯენას, წიაღთა მიზიდულობით ჩამკვრივებას“ (გ. ასათიანი, II, გვ. 89).

ზეპირსიტყვიერებასა თუ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში ციხე-კოშკი, ქავი, ქვითკირი და მათი სარანგები – კაი ყმები და „პიროფლიანნი“ – უერთგულეს თანამებრძოლებად გვევლინებიან; თანამებრძოლებად, რომელთა სიმტკიცესა და შეუვალობაზე კონკრეტული სოფლის, კუთხისა თუ, საერთოდ, მთელი ქვეყნის ბედია დამოკიდებული.

**Amiran Arabuli**

## **Tell the Story, Castle Ruins...**

Resume

Creative talent and skills of Georgian nation are clearly demonstrated in the fortresses and castles of defense function. Many century-aged fortresses still stand soundly on our ancient land and charm numerous visitors with their perfect architecture.

Fate and future of traditional mountain villages, in the hard times, was closely related not only with the heroes protecting them, but also with the firmness and unassailability of fortresses.

National folklore and authentic ethnographic materials have maintained numerous interesting stories about construction and adventures of fortification buildings.

## ზვიად გამსახურდიას რუსთველოლოგიური ღვაწლი (რამდენიმე ასპექტი)

1991 წელს რუსთველოლოგიურ ლიტერატურას „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ შეემატა. შესავალში განაცხადა: „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველების შესწავლა, ჩვენი თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს პოემის ფაბულისა და სიუჟეტის, მისი მხატვრული სტრუქტურის სიმბოლურ და ალეგორიულ ინტერპრეტაციას, ვეფხისტყაოსნის ტროპიკის, გამირთა სახეების ფუნქციათა შესწავლას, მითოსური არქეტიპების კვლევას, ტიპოლოგიური კავშირების დადგენას მსოფლიო ლიტერატურის სხვადასხვა ძეგლთან.“ გარდა ამისა, ნაშრომმა მოიცვა უაღრესად საინტერესო საკითხები: ალეგორიული მეთოდის ევოლუცია ანტიკურ ხანასა და შუასაუკუნეებში, ქალის კულტი და მასთან დაკავშირებული კომპარატივისტული ძიებანი ევროპულ (ტრუბადურები, კურტუაზიული ურთიერთობანი, არტურის ციკლის რომანები) თუ აღმოსავლურ (სუფისტური მიჯნურობა, „რამაიანა“) ლიტერატურულ ძეგლებთან, ინტერტექსტუალური დაკვირვებანი („თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“), „ვეფხისტყაოსანი“ და წმინდა გიორგის კულტი; მიმართება სახარებასთან, გელათის საღვთისმეტყველო სკოლასთან, კერძოდ, პეტრიწის ფილოსოფიასთან; პოემის გამირთა სახელების სიმბოლიკა; ინიციაციის მხატვრული განზოგადება და სხვა.

ამ უაღრესად ფართო სპექტრის კვლევას ზვიად გამსახურდია მიჰყავს დასკვნამდე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სოფიოლოგიური ლიტერატურის ძეგლია, რომელიც ალეგორიულად გადმოგვცემს ბიბლიურ კონცეფციას მამის, ძისა და სულიწმინდის მიერ კაცობრიობის ხსნის შესახებ. პოემა „მხატვრული პირობითობის ენაზე ასახავს ინიციაციური სიბრძნის ძირითად იდეებს ქართული საღვთისმეტყველო აზროვნებისა და მითოლოგიისთვის დამახასიათებელი ფორმით.“

თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულობის შესახებ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ახალი არ არის და მას ჯერ კიდევ ვახტანგ VI უღებს საფუძველს, მაგრამ საამისო მტკიცებულებანი, არგუმენტაცია, წარმოდგენილი უაღრესად ფართო ერუდიციით, მრავალი სიხლის შემცველია და მიუხედავად იმისა, რომ მისი ყველა დებულება თანაბრად ვერ იქნებოდა გაზიარებული, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, გამორჩეულ ადგილს იკავებს სამეცნიერო ლიტერატურაში. პოემის სიღრმისეული გააზრება მის გარეშე დღეისათვის წარმოუდგენელია.

„ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ მკვლევარს, როგორც ჩანს, უკვე ჩაფიქრებული ჰქონდა, როდესაც დაასრულა მუშაობა წიგნზე „ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“. ნაშრომში თავმოყრილია რუსთაველის მსოფლმხედველობის ძირითადი საკითხები, ამასთან დაკავშირებული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია და სათანადო ტაეპები შედარებულია პოემის ინგლისურ თარგმანებთან, რომელთა ავტორები არიან: მარჯორი უორდროპი, ვენერა ურუშაძე, რობერტ სტივენსონი და კეტრინ ვივიენი.

მკვლევრის მიზანი ნათელია: ცხადყოს რამდენად ადეკვატურად აღიქმება ამ თარგმანებში რუსთაველი, როგორც მოაზროვნე. შეექმნება თუ არა უცხოელ მკითხველს სწორი წარმოდგენა პოეტის მსოფლმხედველობის შესახებ. სწორედ ამიტომ გახდა ზვიად გამსახურდიას სპეციალური შესწავლის საგანი ის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია, რომელიც გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. „ამ ტერმინებს – წერს იგი – აქვთ საინტერესო ისტორია. ისინი გარკვეულ კონტექსტებში გარკვეული მნიშვნელობით იხმარებოდნენ რუსთაველამდე, როგორც საღვთო წერილში, ისე პაგიოგრაფიულ ლიტერატურასა და ღვთისმეტყველებაში. მათ აქვთ აგრეთვე შესატყვისები უცხო ენებში და ამიტომ საჭიროა ლინგვისტურ-ფილოლოგიური და ფილოსოფიურ-

თეოლოგიური ანალიზის შემდეგ კრიტიკული შესწავლა იმ ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა, რომელთაც ქმნიან „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი“.<sup>1</sup>

იმ ტერმინთაგან, რომლებიც შესწავლილია ნაშრომში, ყურადღებას გავამახვილებთ მიჯნურობაზე, რომელსაც შაირობასთან ღრმა იდეოლოგიურ კავშირში განიხილავს მკვლევარი მონაკვეთში „მიჯნურობისა და შაირობის გაგებისათვის“.

ცნობილია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ერთ-ერთი თვალსაზრისი ე.წ. მიჯნურობის თეორიასთან დაკავშირებით, ასეთია: რუსთაველი განმარტავს მიჯნურობის რაობას, შემდეგ ერთგვარ კატეგორიებად ყოფს მას (სადვთო, ადამიანური), ამას ემიჯნება „სიძვად“ წოდებული ხორციელი ურთიერთობა, ხოლო რუსთაველის შემოქმედების საგნად მიხნეულია წმინდა სიყვარული ადამიანთა შორის – „ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხედებიან“. ზვიად გამსახურდია დეტალურად სწავლობს და ანალიზებს პროლოგის ამ მონაკვეთს, აზუსტებს მნიშვნელობას ლექსიკური ერთეულებისა „ქვენა“, „ჭკვიანი“, და აღნიშნავს, რომ ნამდვილი ადამიანური სიყვარული არის ანარეკლი, მიბაძვა სადვთო სიყვარულისა. ეს მიბაძვა კი პავლე მოციქულის ცნობილი ტერმინია, რომელსაც იგი იყენებს სწორედ სიყვარულთან დაკავშირებით. „შეუდევით სიყვარულსა და კბაძევით სულიერსა მას. (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინ ბაძვას, რომელიც ანტიკურობიდან იღებს სათავეს, მიჯნურობის თეორიაზე მსჯელობისას შეეხო რევაზ სირაძე და შესძინა უადრესად საგულისხმო ნიუანსი, კერძოდ, „ბაძვა“ აქ ნიშნავს არა მხოლოდ მიბაძვას, არამედ განსახოვნებასაც). ზ. გამსახურდიას აზრით, ბაძვა ნიშნავს ადამიანური სიყვარულის სუბლიმაციას, გაღვთაებრივებას. რუსთაველისთვის, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის, ეს ერთი მთლიანობაა. ღვთისადმი სიყვარული განუყოფელია მოყვასის სიყვარულისგან. ამიტომაც ემთხვევა ავთანდილისეული გაგება სიყვარულისა მოციქულთაგან შექმნულ სიყვარულს. „წაგიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?“ რომელ სიყვარულზე წერენ მოციქულნი, მარტო ღვთაებრივზე? ან მარტო ადამიანურზე? მოციქულნი წერენ სადვთო და ადამიანური სიყვარულის იმ ჰარმონიაზე, იმ ერთობაზე, რომელიც აგვამადლებს, „სიკვდილს მიგვაახლებს“.

მკვლევარი პარაფლეს ავლებს რუსთაველის მიჯნურობასთან დაკავშირებულ აფორიზმებსა და მაქსიმე აღმსარებლის შესაბამის გამონათქვამებს შორის წიგნიდან „სიყვარულისათვის“, იმოწმებს გურამიშვილის შემოქმედებას, რომლის შესწავლა დიდად გვეხმარება რუსთაველის პოეტური სამყაროს შემეცნებაში. მოხმობილია „ზუბოკა“, ნიშანდობლივი ალეგორიზმით, სწორედ იმით, რომ სატრფო, ქალი, ღამის კონკრეტული გარეგნული მახასიათებლებით, უეცრად გარდაიხსება, შეიმეცნება ქრისტედ ისე, რომ გამყოფი ხაზი უხილავია. მკითხველი ერთბაშად აღმოაჩენს, რომ ეს, ერთი შეხედვით, სამიჯნურო დრამა, უფალთან ურთიერთობაა, ვედრება და სწრაფვაა. ეს მოტივი უცხო არაა მსოფლიო ლიტერატურისთვის. ასეთივე მთლიანობაა სადვთო და ადამიანურ მიჯნურობას შორის რენესანსის დიდ შემოქმედებთან. ასეთია დანტესთვის ბეატრიჩე, პეტრარკასთვის ლაურა, რუსთაველისთვის კი თამარი. ადამიანურ სიყვარულში გამოსჭვივის სადვთო სიყვარული. მკვლევარი იმოწმებს დიონისე არეოპაგელის ნაშრომს „საღმრთოთა სახელთათის“, რომელშიც ნათქვამია, რომ არსთა კიბის რომელ საფეხურზეც არ უნდა ვლინდებოდეს ტრფიალება, იგი არსთა შორის მიზიდულობაა და ამავე დროს მათი აღზევება მიბაძვის გზით ყოფიერების უფრო მაღალი სფეროებისკენ. „იგი აღძრავს უკანასკნელთა და უდარესთა უხეშთაესთა მათ და უმეტესთა მიმართ მიქცევისა ყოფად.“ ამგვარი სიყვარულის ბიბლიური პარადიგმა „ქებათა ქებაა“, რომლის ძირითადი მოტივი განღმრთობილი ადამიანური სიყვარულია.

რუსთაველი ისეთ მიჯნურობას ევედრება ღმერთს, რომელიც თავად გაგვიტანს „სიკვდილდე“. რა სიკვდილია ეს? ზვიად გამსახურდიას ესმის ეს, როგორც სულიერ სამყაროსთან, ღმერთთან დაკავშირება სიცოცხლეშივე. ეს არის გოეტესეული „მოკვდი და იარსებე“, სოლომონ ბრძენის „ძლიერ არს ვითარცა სიკვდილი, სიყვარული“. ორივე, სიყვარულიც და სიკვდილიც, ღმერთთან მიმყვანებელია, ღმერთთან ზიარების ორი სხვადასხვა გზაა.

რატომ მიმართა რუსთაველმა ალეგორიზმს? ამისი მოტივაციაც თვითონვე მოგვცა:

„მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხედებიან,  
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავაღდებიან“.

<sup>1</sup> ზვიად გამსახურდია. „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე. 1984, გვ. 58.

იდეალი მიჯნურობისა საღვთო მიჯნურობაა, მაგრამ რამდენადაც მასზე უშუალოდ საუბარი ძნელია, პოეტმა მიმართა წმინდა სიყვარულს ადამიანთა შორის, როგორც საღვთო სიყვარულის მიწიერ იმიტაციას. ძვიად გამსახურდია იმ გარემოებასაც შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მკითხველთა ფართო წრისთვის იყო გამიზნული. „იგი რომ მხოლოდ ბრძენთათვის ყოფილიყო ჩაფიქრებელი, მაშინ იგავთა გარეშე, უშუალოდ იმეცყველებდა თავის საგანზე, ამჯერად კი თავისი იგავური ფორმის მეოხებით იგი მისაწვდომია ადამიანთა ფართო მასებისთვის და ამავე დროს ინარჩუნებს განუზომელ ეზოთერულ მნიშვნელობას ბრძენთათვის.“

მიჯნურობა აღმოსავლური ტრადიციაა. მიჯნური ამსოფლიური გაგების „ტკვიანთათვის“ შმაგად გამოიყურება. ამგვარი პერსონაჟი არც დასავლეთის კურტუაზიულ-რაინდული ტრადიციისთვისაა უცხო. ასეთია შმაგი როლანდი. (ზვიად გამსახურდია შექსპირსაც იხსენებს. რომელს: სიყვარული „კიდევ რა არის? სიგიჟეა ჩუმი და ბრძნული, მრავალი ახლავს ნეტარება, მრავალიც წყლული.“)

ტერმინ მიჯნურს ბინარული სემანტიკა აქვს: საერო და საღვთისმეცყველო. მიჯნური ეწოდება იმას, ვისაც აქვს „სადმროთ სიახლე“ და იმასაც, ვისაც „ქვე უცს ბუნება“. მიჯნურობის ერთიანობის იდეა აქაც ვლინდება.

რაც შეეხება შაირობას, „სიბრძნის დარგს“, მკვლევარი აზუსტებს, რომელი სიბრძნე იგულისხმება აქ, სოფია, საღვთო სიბრძნე თუ სიბრძნე სოფლისა. რუსთაველი თავად გვეხმარება ამის გარკვევაში, როდესაც ამბობს, „სადმროთ, სადმროთდ გასაგონი“. ცხადია, პოეტი სადმროთ სიბრძნეს გულისხმობს. აქედან გამომდინარე, რუსთაველისეული მიჯნურობის კრედო, ისევე როგორც შაირობისა, თავისი არსით ქრისტიანულია და ემყარება საღვთო წერილს და ქრისტიანულ ღვთისმეცყველებს. ეს არის გზა სუბლიმაციისა, სულიერი კათარზისისა და განდმრობისა ქრისტიანული თვალსაზრისით.“

ვეფხისტყაოსნით, ზვიად გამსახურდიამ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ რუსთაველისეული მიჯნურობის თეორია მართებულია განიხილებოდეს არა როგორც მიჯნურობის გვარების ერთგვარი კლასიფიკაცია, არამედ ერთიანი, განუყოფელი დისკურსი მიჯნურობის თემაზე, როგორც რუსთაველის შემოქმედების საგნისა და განსახოვნების ალგორითული ფორმის გაცხადება. პოეტის შემოქმედებითი არჩევანი არა ამქვეყნიური სიყვარულია, არამედ მიჯნურობა ღვთისა, რომელიც გადმოიცა იგავის მეშვეობით. ამ თვალსაზრისს გარდა ზემოწარმოდგენილისა, ეძებნება დამატებითი არგუმენტებიც. შემდგომი კვლევები აღნიშნულ თვალსაზრისს, ვიმედოვნებთ, კიდევ უფრო გაამყარებს.

სიყვარულის შემეცნება კიდევ ერთი ქვესაკითხია ზვიად გამსახურდიას ნაშრომისა. „ღმერთი სიყვარულია და ეს შესამეცნებელია მის მიჯნურთა მიერ.“

...თვითონაც მიჯნურთაგანი იყო, მოიმედე იმ ადგილისა, რომელზეც „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟიც ოცნებობდა:

„მომცეს ფრთენი და აფერინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,  
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“.

**Lia Karichashvili**

## **Zviad Gamsakhurdia's Contribution to Rustaveli Studies**

### **(Several Aspects)**

#### **Resume**

Work provides description of Zviad Gamsakhurdia's contribution to Rustaveli studies. In general, it presents the issues discussed in his book "Expressiveness of the Knight in the Panther's Skin". Attention is focused on certain views expressed in the work "Knight in the Panther's Skin in English" dealing with the philosophical-theological terminology in the poem, including in-depth discussion of the concepts of lovers and rhymes.

ქეთევან შენგელია, ფილოლოგიის დოქტორი

**სიმბოლოს ინტერპრეტაციები დრამატურგიაში  
(სამუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ და მორის მეტერლინკის  
„ლურჯი ფრინველი“)**

მხატვრული ლიტერატურა ძირითადად ფასდება იმის მიხედვით, თუ რას ამბობს ავტორი და როგორ ამბობს სათქმელს. რეალობასა და ირეალობას შორის დიდი მწერლის მიერ განცდილი ცხოვრებისეული სიმართლევც და ილუზიაც, ნაირგვარი ინტერპრეტაციისა და ფორმობრივი ვარიაციების მეშვეობით ემოციურ ზემოქმედებას ახდენს; ეს იწვევს მკითხველისა და მთხრობელის თანაგანცდას ძალდატანების გარეშე. ამგვარ მწერლებს მიეკუთვნებიან სამუელ ბეკეტი და მორის მეტერლინკი. ნაწარმოებები: „გოდოს მოლოდინში“ და „ლურჯი ფრინველი“, თხრობის ფორმობრივ თავისებურებათა და, შეიძლება ითქვას, გამარჯვებულ ექსპერიმენტთა მაგალითებს წარმოადგენენ მსოფლიო ლიტერატურაში. მათ შესახებ სხვადასხვაგვარი მოსაზრებებია გამოთქმული. მიგვაჩნია, რომ ამ ორ, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ნაწარმოებს, იდეური „ნათესაობა“ აკავშირებთ.

ადამიანის ბუნება ოდითგანვე მოწოდებული იყო შეეცნო ყველა დაფარული საიდუმლო, გაეგო და აღმოეჩინა, რაც მისთვის ჯერაც მიუწვდომელი და მიუღწეველი იყო. განათლებამ და მეცნიერულმა აღმოჩენებმა ვერ სრულყო, ვერ დაამშვიდა ის, რადგან ადამიანს მშვენიერი რეალობის, ღამაზი გარემოს, სიახლის მოლოდინის სურვილი ისევ შერჩა.

სამუელ ბეკეტის პერსონაჟების არსებობაც დაუსრულებელი მოლოდინი და იმედია. ისინი გოდოს ელოდებიან, რომელიც, რა თქმა უნდა არ მოდის. ნაწარმოებში არ ჩანს, ვინ არის მოლოდინის „საგანი“.

პიესის გმირების: ლაკის, პოცოს, ვლადიმირის, ესტრაგონის მეტყველება, აზრგამოცდილი და აბსურდულია. მათი ყოფა კი – უიმედო და კომიკური; თუმცა, ისინი ტრაგიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან და მუდამ ელიან ამოუცნობ არსებას – გოდოს. ესე იგი, იმას, ვინც მათთვის უკეთესი მომავლის დასაწყისის და უაზრო ყოფის დასასრულის მომტანი იქნება. უკეთესი, შინაარსიანი სინამდვილის ლოდინი ყველაზე ადამიანური თვისებაა და როცა ამის იმედი ქრება, მაშინ პიროვნების გრძნობები და ემოციები თითქმის განწირულია. ამ მეტაფიზიკის ირგვლივ ტრიალებს ავტორი. პიესის პერსონაჟებს ერთმანეთთან მნიშვნელოვანი არაფერი აქვთ სათქმელი. ბუნდოვანი და უაზროა მათი წარსულიც და ადამიანური ისტორიაც. მომავლისგან რას ელიან, თავად არ იციან.

ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია მომავალზე ფიქრის გარეშე, თუმცა მისი განჭვრეტა ძალზე იშვიათად ხდება. ბეკეტის პერსონაჟებს კონკრეტული არაფერი უნდათ და რაკი თავად ვერ განუსაზღვრავთ ცხოვრების მთავარი მიზანი და სურვილი, ამის გადაწყვეტას სხვისგან ელიან. ელიან „რადაცას“, რაც მათ უაზრო ცხოვრებას აზრს შესძენს ან მოაწესრიგებს გარშემო არსებულ ქაოსს.

„ბეკეტის პერსონაჟები ძალიან მშრალად ლაპარაკობენ. მათი ლექსიკონი ძალზე დარიბია, ფრაზები – დაუმთავრებელი და უმნიშვნელონი. როცა საჭირო სიტყვას ვერ პოულობენ, მიმიკას მოიშველიებენ ხოლმე. მნიშვნელობას მოკლებული და დაცარიელებული მეტყველებით, დიალოგებით, რაც პიესის მამოძრავებელი ძალაა, უნდა შეიქმნას მაგიური ძალა, რომელიც მაყურებელს ჩაითრევს. ამგვარი მეტყველებით გამოიხატება ადამიანის უაზრო არსებობა და საბოლოო განადგურების წინაშე (ბეკეტის პერსონაჟები ნელ-ნელა სრულ დეგრადაციას განიცდიან), სწორედ ამ უმნიშვნელო სიტყვებითა და ფრაზებით ცდილობს ადამიანი თავს უშველოს. უაზრო დიალოგები, ულოგიკო ფრაზები და დაუმთავრებელი აზრების შემცველი წინადადებები, რომლებიც არ შეესაბამება ტრაგიკულ სიტუაციას, პიესას სიმძაფრეს მატებენ.

ა. რობ გრიე მიიჩნევს, რომ ანტი-თეატრის ზოგიერთი დრამატურგის პიესაში მეტყველება თავის თავს შლის და იმ რეალობასაც ანგრევს, რომელიც უნდა დაიხატოს. ჟან რენე თვლის, რომ არ არსებობს ადამიანური ურთიერთობის ჭეშმარიტება, რადგან ყველაფერი სიტყვით გამოიხატება,

ხოლო ყოველი სიტყვა შეიცავს ტყუილს. იონესკო კი ფიქრობს, რომ ჩვეულებრივი საუბარი აღარ შეიძლება მიმდინარეობდეს პერსონაჟებს შორის, რადგან ჩვეულებრივი სიტყვებითა და დიალოგებით აღდგება სამყაროს ხედვის ესა თუ ის კონცეფცია. საუბარი, მეტყველება უნდა დაიშალოს. ამიტომ მიმართავს იგი ტავტოლოგიებს, წინააღმდეგობრივ ფრაზებს, გაურკვეველ ბეგრებს და შეუსაბამო გამოთქმებს<sup>1</sup>.

პიესაში დრო და სივრცე არ არის დაკონკრეტებული. სად არიან პიესის გმირები, საიდან მოდიან და საით მიდიან, არც ეს არის გარკვეული; ეს ფონი ასახავს პერსონაჟთა აბსურდულ მდგომარეობას და ამით, ალბათ, კაცობრიობის აბსურდულ ყოფაზეც მიგვანიშნებს ავტორი. მოვიგონებ ერთი ფილოსოფოსის აზრს: „დრო და სივრცე წესრიგის ის ფორმებია, რომელშიც მთელი სინამდვილე ჩამოსხმული... ჩვენ უნდა დავადგინოთ დროისა და სივრცის ჭეშმარიტი ბუნება ჩვენს ადამიანურ სინამდვილეში“<sup>2</sup>. აქედან გამომდინარე, დროისა და სივრცის უარყოფა ადამიანური ყოფისა და, რაც უფრო უარესია, აზროვნების მოუწესრიგებლობასა და არათანამიმდევრულობაზე მიუთითებს.

გოლო სიმბოლური ხატია, თუმცა, საინტერესოა, რომ თავად მწერალი ყოველგვარ სიმბოლიზაციას უარყოფდა ამ პიესაში, ალბათ იმიტომაც, რომ პერსონაჟთა ასეთი მდგომარეობის მიღმა იგულისხმება ნამდვილი, რეალური ტრაგიზმი, რომელიც არა მარტო აბსურდულ ყოფაში მცხოვრები ადამიანის სულში ჩნდება, არამედ, მასთანაც, ვისი ცხოვრებაც თითქოს მოწესრიგებული და მიზანმიმართულია. გონიერი კაცის არსებობა ხომ უფრო გულისხმობს ტრაგიზმს. დავიხმარებდი სიტყვებს: „სიმბოლოები ბუნებრივად უნდა ამოდიოდნენ სინამდვილის სიღრმიდან“<sup>3</sup>.

ურთიერთგაუგებრობისა და ურთიერთშეუწყნარებლობის გამო ხშირად იპყრობს ადამიანს სასოწარკვეთა. სწორედ ამგვარი ურთიერთობებით იტანჯებიან ბეკეტის გმირები. პიესის შესახებ არაერთი სავარაუდო ვერსია გამოითქვა კრიტიკოსთა და ლიტერატორთა მიერ; ნაწარმოების სახელიდან გამომდინარე ურთიერთგამომრიცხავი ასპექტები საგრძნობია (როგორც ყველასათვის ცნობილია „God“ ინგლისურად ღმერთს ნიშნავს. ავტორი კი აცხადებდა, რომ „არავითარი რელიგიური გრძნობა არ გამაჩნიაო!“). ზოგიერთი თვლიდა, რომ ღმერთს მოელოდა ღმერთდაკარგული კაცობრიობა; თავად ბეკეტი უარყოფდა ამ ვერსიას. ეს ის შემთხვევაა, როცა ურთიერთგამომრიცხავი აზრებითაც ვაღიარებთ გოდოს არსებობის აუცილებლობას, რომელიც ადამიანის გულში არსებულ, ალბათ, თანდაყოლილ იმედს მაინც ნიშნავს, თუ დიად სასწაულს არა.

ბეკეტს ჰკითხეს, თუ ვინ იყო გოდო და რას ნიშნავდა ეს სიტყვა; ავტორმა უპასუხა: „მე რომ მცოდნოდა პიესაში დაწვრილი“. ეს ცხოვრებისეული სიმართლე ლიტერატურულ სიმართლედ აქცია ავტორმა. თუ მისთვის ამოუცნობი არ იქნებოდა გოდო, ვერც მკითხველს დააჯერებდა, რომ მისი უჩინარი გმირი ბოლომდე შეუცნობელი იყო. შეუცნობელია თავად სამყაროც და ყველა დიადი მოსალოდნელი „ამბავიც“ ხშირად მოულოდნელობის ბურუსშია გახვეული.

ნაწარმოებზე მსჯელობის დროს აუცილებლად უნდა განვიხილოთ სხვა ვერსიაც: როცა არაფერს ნიშნავს ბეკეტის ცნობილი პასუხი კითხვაზე, თუ ვინ არის გოდო. ეს გაგრძელებული მწერლისეული ხერხია, როცა ხელოვანი თავის გმირებს ზურგს „უმაგრებს“ და ამავე დროს იქცევა ისე, თითქოს თავად არაფერ შუაშია. თუ ესტრაგონი, ვლადიმირი, პოცო და ლაკი ცხოვრობენ აბსურდულ სიტუაციაში, უღმერთო სამყაროში და ღმერთს ელოდებიან, ეს ტრაგიკომიკური ყოფაა. პერსონაჟთა ურთიერთობა ლოგიკას მოკლებული და უაზროა. აქ არ შეიძლება მათთან ღმერთი იყოს და იგივე მიზეზის გამოც, სწორედ მათთვის, ღმერთის მოლოდინია აუცილებელი. სიტუაციის გროტესკული ფონი უფრო უკეთ ძნელი დასახატია.

პიესაში დახატულ აბსურდულ სამყაროში ღმერთის მოლოდინი უაზრობაა, ამავე დროს, უაზრობაა ასეთ სამყაროში გამოცხადებული ღმერთიც, სხვაგვარად სამყარო აბსურდული არ იქნებოდა. სადაც ღმერთია, იქ ქაოსი და უგუნურება გამორიცხულია. ჰეგელის მიერ ნათქვამი ფრაზა – „ღმერთი მოკვდა“ (რომელსაც შემდგომ მხოლოდ გაიმეორებს ნიცშე), პიესაში მხატვრული ინტერპრეტაციის ნიმუშია. აქ ყველაფერი ღირებულებებს მოკლებულია, სამყარო კი უაზრობად ქცეულია. „ჩვენ ადამიანები ვართ“ – ამბობს ვლადიმირი და ამ ადამიანური ტკივილებისა და უსაშველო ყოფის გამო დაექებენ პიესის გმირები იმედს.

<sup>1</sup> მ. ბაქრაძე. სამეულ ბეკეტის მოთხრობა „გოდოს მოლოდინში“ – ჟურნალი „ხომლი“, 1972, №8, გვ. 207.

<sup>2</sup> ე. კასირერი. რა არის ადამიანი? თბილისი, 1983, გვ. 96.

<sup>3</sup> А. Пайман. История русского символизма. 1998, стр. 93.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მკითხველს შეუძლია ისე გაიგოს ნაწარმოები, რომ ეს ავტორისთვის სრულიად მოულოდნელი იყოს. უფრო ზუსტად, მკითხველი საკუთარი გამოცდილებისა და, რაც მთავარია, თავისი ეპოქის მოთხოვნების მიხედვით, ისეთ აქცენტებზე გაამახვილებს ყურადღებას, რაზეც ავტორს, ზოგჯერ, სრულიად არ უფიქრია. მხატვრული ნაწარმოების (და, არა მარტო მხატვრული ნაწარმოების, არამედ ფილოსოფიური სისტემებისაც), თანამედროვეობის პოზიციიდან ახსნა, სწორედ ამას გულისხმობს. „არასწორად გაგებულნი ძველი“, ეს არის ერთადერთი სწორი გაგება. ამ ხაზს მიჰყვებოდა კლასიკური ფრანგული დრამატურგია, რომ არაფერი ვთქვათ, კლასიკურ გერმანულ ესთეტიკაზე. თუმცა, ამ ყოველივეს არაფერი აქვს საერთო ეგრეთ წოდებულ „ნონ-ფინიტას“ თეორიასთან.

მწერალმა იცის, რომ ყველას თავის „გოდო“ ჰყავს. ადამიანები მიზნებით და სურვილებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თითოეული მათგანის მიზნის ასრულება მოლოდინსაც გულისხმობს. სურვილის, საწადელის ასრულებასთან ზოგჯერ ადამიანის სიცოცხლის აზრია (თუ თავად ასე მიიჩნევს) დაკავშირებული, ეს კი, ყოველთვის გულისხმობს ცვლილებებს, ერთფეროვანი ყოფის ნგრევას და პოზიტიურ სიახლეს. საამო ცვლილებების გარეშე ძალიან მძიმე ასატანი ხდება ყოველდღიური ცხოვრება, ამიტომაც, სასოწარკვეთილი ესტრაგონი და ვლადიმირი თავის ჩამოხრჩობას აპირებენ... ნაწარმოების ფინალში არაფერი ირკვევა. პიესა მთავრდება ისეთი დიალოგებით, როგორც დაიწყო. ამ აბსურდული საუბრებით ბეკეტი მნიშვნელოვან საკითხზე დაფიქრებას გვთავაზობს. ხატავს იმ ყოფას, რაც ადამიანისთვის შეუფერებლად მიანია, რითაც გვაფრთხილებს კიდევ. სიმბოლოში გამჟღავნებული იდეის მიხედვით, მწერალი გვეუბნება, თუ არსებობს „მშვენიერება“, მაშინ მოვა, თუ არა და... ადამიანი უკეთესი არსებობის მოლოდინს მაინც ვერ შეეღწევა.

მორის მეტერლინკის პიესაშიც სიმბოლოთა „ანსამბლია“ წარმოდგენილი. აქ ბავშვები ეძებენ ლურჯ ფრინველს, რომლის მოსაპოვებლადაც მრავალგვარი გასაჭირის დაძლევა უწევთ. ისინი აღმოჩნდებიან: ფერიის სასახლეში, მოგონებების ქვეყანაში, დამის სასახლეში, ტყეში, ბედნიერების წალკოტში და მომავლის ქვეყანაშიც კი... ბედნიერების მოსაპოვებლად ხომ უამრავი დაბრკოლება უნდა გადაილახოს: მუდამ შრომაში უნდა იყო, ცოდნის გზით ეძებდე ჭეშმარიტებას და მიიკვლევედე გზას შეუცნობელი სიხარულის მისაღებად. დაკონკრეტება იმისა, თუ რა არის ლურჯი ფრინველი, ალბათ, არასრულფასოვან მსჯელობამდე მიგვიყვანს. მის შესახებ, მხოლოდ, სავარაუდო ვერსია შეიძლება გამოითქვას.

ლურჯი ფრინველი ბედნიერების, ჭეშმარიტების, სიყვარულის და რაღაც „დიადის“ სიმბოლოა. მისი დაუფლების წყურვილი ყველა ადამიანისთვის ახლობელია (ერთია ოლონდ, ვინ რას ეძახის ბედნიერებას). სიმბოლური ხატი (ლურჯი ფრინველი), რომელიც მწერალმა შეარჩია თავისი ბუნებით (ის ხომ ფრთოსანია) და ლირიული ფერით მის აღმატებულ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს.

სიმბოლოს შინაარსი გულისხმობს მის დაუკონკრეტებელ ან ნახევრად დაკონკრეტებულ ჩანაფიქრს. შეიძლება მასში მოიაზრებოდეს როგორც ერთი, ასევე რამდენიმე „რამ“. ზოგჯერ „სიმბოლოს თვით იდეა წარმოადგენს – როგორც ამას პლატონი ფაქტობრივად გულისხმობს, როდესაც ამბობს, რომ ის არის, შესაბამისად, მარადიული აზრის ფორმა, რომელზედაც ცალკეული გამოსაცდელი საგანი მიუთითებს და რომელიც იგულისხმება გამგები გონის მიერ“.<sup>4</sup>

ავტორი ერთგან გვახსენებს იმასაც, რომ ის, რაც შორეული და მიუღწეველი გვერდია, თუკი ხელშესახები გახდება შეიძლება ფასი დაკარგოს. ასე იცვლის პიესაში ერთგან ფერს დამწყვედი ფრინველი და სილურჯეს კარგავს; ესე იგი, კარგავს მთავარს – ხიბლს, რის გამოც ის ასე სასურველი იყო. და-ძმა, ტილტილი და მიტილი, ამის შემდეგაც ავრძელებენ სანატრელი ბედნიერების ძებნას.

სამყაროს შეცნობა რომ დასრულდეს, დასრულება ძიების რთული და საინტერესო პროცესი. დასრულება განვითარება, რომელიც გულისხმობს მოძრაობას, მნიშვნელოვან სურვილებს და მოსალოდნელი ბედნიერების შესახვედრად გულში განჩინილ მზაობას. ლურჯი ფრინველი თუ დატყვევებული ან დაჭერილია, შესრულებული, განხორციელებული და მიღწეულია მიზანი; უკვე ჩვენს ხელთ არის რაღაც „დიადი“. ეს ყოველივე კი არაბუნებრივი იქნება, რადგან არ შეიძლება ადამიანს სამარადქამოდ ხელში ჰქონდეს მომწყვდიელი ბედნიერება, ჭეშმარიტება,

<sup>4</sup> რ. გუარდინი. რელიგია და გამოცხადება. თბილისი, 2008, გვ. 117.



სიყვარული... ძიების პროცესის დასრულება, ადამიანის სრული გაბედნიერების შემდეგ, მის გაუბედურებას გამოიწვევს. ის მოიწყენს, უფუნქციოდ დარჩება, ვეღარ იქნება აქტიური.

ტანჯვა მრავალგვარია: კაცთა შორის გაჩენილი მტრობა, გაუტანლობა, დაღატი, ავადმყოფობა და ნივთიერი გაჭირვება, უვიცობა, ბედის უკუღმართობა... ადამიანის გულში გაჩენილი უსაფუძვლო სევდაც კი. ნებისმიერ შემთხვევაში, ამგვარი ყოფის გამოსწორება, მისი დაძლევა, ბედნიერებისკენ სწრაფვაა. ეს კი, სიძნელეთა გადალახვას გულისხმობს. ამგვარი პროცესი არასდროს არ არის მოსაწყენი, ის მუდამ მთავარია და ჰქვია ცხოვრება.

„ლურჯ ფრინველში“ გამჟღავნებულია მწერლის ფილოსოფიური შეხედულებები და დამოკიდებულება სამყაროს მიმართ. ბავშვები არ უშინდებიან არც ბნელ, ბოროტ ღამეს, არც ტყეს, არც ნადირს. ისინი თავდაუზოგავად მიიწევენ წინ და არ ეპუებიან არანაირ სიძნელეს. ამით ავტორი კიდევ ერთხელ მიგვითითებს ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობებზე. მის უნარზე – გადალახოს ან თავად ეძიოს დასაძლევი „სიმაღლეები“. მწერალი არაპირდაპირ, არამედ მცირე, უმნიშვნელო მინიშნებით, გვახსენებს ძალიან მნიშვნელოვან ერთ-ერთ უპირველეს რეალობას, რომ ადამიანში ძალიან დიდი ენერჯიაა; მას თითქმის ყველაფერი შეუძლია, ოღონდ ამ ენერჯიის სწორად გამოყენებისათვის გასაღები ძნელი მოსაძებნია. ამისათვის ინტუიცია და ცოდნა, ძლიერი სურვილი, რწმენა, სიყვარული და კიდევ ერთი ამოუხსნელი „რამ“ არის საჭირო.

„გოდოს მოლოდინისაგან“ განსხვავებით, ამ პიესაში მწერალი გვახსენებს ამქვეყნიურ ბედნიერებებს, რომელთა მიმართაც ჩვენ შეიძლება თვალახელიანი ვერ აღმოვჩნდეთ და ვერ დავაფასოთ, რადგან ისინი ყოველდღიურ ყოფას ახლავს თან. ხშირად კი ის, რაც დიდი უბრალოებით ეძლევა ადამიანს, უფრო ძნელი დასანახია, ვიდრე შორეული და მიუწვდომელი ოცნება. პიესაში პერსონაჟებად ცოცხლდებიან: ლურჯი ცის ბედნიერება, ჯანმრთელობის ბედნიერება, მზიანი დღეების ბედნიერება, წვიმის მოსვლის ბედნიერება, ზამთრის ცეცხლის ბედნიერება, უმანკო ფიქრის ბედნიერება, სამართლიანობის სიხარული, გაგების სიხარული, სილამაზის შეგნების სიხარული, სიკეთის სიხარული, ფიქრის სიხარული, სიყვარულის სიხარული, დედის სიყვარული... ეს ყოველივე, როცა აკლდება ადამიანს მხოლოდ მაშინ ხვდება, რა სიმდიდრეს სთავაზობდა სამყარო წარსულში. ყველაზე გავრცელებული ადამიანური ნაკლი თუ შეცდომაა დაუფასებლობა არსებული სიხარულის და უზრუნველად ცხოვრების მიერ ბოძებული სიკეთისა. ეს ასპექტები ფაქიზად და ორიგინალურად, ყოველგვარი განსჯის გარეშეა გამომზეურებული ამ პიესაში.

ნაწარმოების ფინალში ყოველთვის აკუმულირებულია ხოლმე მწერლისეული კრედი. პიესის დასასრულს გოგონასა და ტილტილის საუბარია გადმოცემული: როცა სასოწარკვეთილი გოგონა დაკარგულ ფრინველს მისტირის, ტილტილი პასუხობს – „ნუ ტირი! არა უშავს რა, ისევ დავიტყრ!.. (წინ წარმოდგება და დამსწრე საზოგადოებას მიმართავს) თუ რომელიმე თქვენგანი დაიჭერს, ძალიან გთხოვთ, დაგვიბრუნოთ... ეგ ფრინველი ჩვენთვის საჭიროა, რომ შემდეგში ბედნიერები ვიყოთ“.<sup>5</sup>

პიესაში ერთგან ირკვევა, რომ გოგონას ლურჯი ფრინველი ჰყავს, ტილტილს კი იმაზე ბევრად ლურჯი ფრინველებიც უნახავს. ეს თითქოს ნიშნავს, რომ ჯერ-ჯერობით და-ძმის ინტერესს მათი ფრინველიც აკმაყოფილებს და იმავდროულად იგულისხმება, რომ აღმოჩენილი ჭეშმარიტების შემდეგაც გრძელდება სამყაროს ამოცნობა. ბავშვებმა შეიძინეს ცოდნა და გამოცდილება, შესწავლენ ამქვეყნიურ სიმაღლეს და სიკეთეს (ლურჯ ფრინველს); მაგრამ აზროვნებისა და სულიერების განვითარების გზა უსასრულოა; ამ ქვეყნად დაუსრულებელია ღმერთისკენ სავალი გზაც, ამიტომ სამყაროს შეცნობა გრძელდება.

ადამიანის ბუნება ისეთია, რომ მას სურს გაერკვეს, რა ხდება კოსმიურ სივრცეებში და ბუნების ყოველ საიდუმლოსთან მიახლება სასწაულის ტოლფასია მისთვის. უფრო ლურჯი ფრინველები ცოდნის, სიკეთისა და ზნეობის შემდგომი საფეხურებია. რაც შეეხება ლურჯ ფრინველს, ის, ბავშვებს მაინც გაუფრინდებათ, რადგან არ შეიძლება ერთხელ „მოპოვებულით“ სამუდამოდ დამშვიდდეს ადამიანი. სწორედ ამ იდეებს უნდა გულისხმობდეს სიმბოლო – „ლურჯი ფრინველი“.

საოცნებო, ამოუცნობი სამყაროს აღმოჩენის, ჭეშმარიტებისა და იდეალების ძიების სურვილი მუდამ თან სდევს კაცობრიობის ისტორიას, ძიება სამარადქამო პროცესია. სწორედ ეს საკითხია მეტად ორიგინალური პერსონაჟების მეშვეობით ახსნილი ამ ფილოსოფიურ პიესაში,

<sup>5</sup> მ. მეტერლინკი. ლურჯი ფრინველი. თბილისი, 1966, გვ. 101.

თუმცა, ეს ნაწარმოებიც, „გოდოს მოლოდინის“ მსგავსად, თავისუფალი აზროვნების და მსჯელობის საშუალებას ყოველთვის ტოვებს.

**Ketevan Shengelia**

**Interpretation of symbols in dramatic compositions  
(„Waiting for Godot“ by Samuel Beckett and „The Blue Bird“ by Maurice Maeterlinck)**

Resume

The work deals with Samuel Beckett and Maurice Maeterlinck's plays „Waiting for Godot“ and „The Blue Bird“.

When discussing these plays, above all, the focus is on symbols submitted by writers and talking about what there is in common between these two symbols of which the action takes place in the literary texts.

Beckett's characters are never-ending expectation and hope. They are waiting for Godot which is, of course, nowhere to be seen and it is not clear whether it will ever come. The writing hides, who is the subject of expectations. Godot is symbolic icon and we should assume that it is related to the future of the play's characters, the change of their dreary and absurd existence. They can not change their fate on their own and are waiting for salvation from Godot. The letter discusses these symbols and we move to the alleged conclusion that he is the embodiment of the idea: If there is beauty and goodness in this world, then someday they will reach it, and if not, a man still cannot stop expecting better existence.

In „The Blue Bird“ writer's philosophical views of the universe are set out. The brother and sister are looking for the blue bird which, as soon as it becomes accessible, loses color and then other, bluer bird existence becomes necessary in the writing. The above discussion leads us to presumable conclusion that this is the symbol of the knowledge, goodness and morals of high levels which implies the beauty of life. A man cannot rest easy by achieving something once, because life is an endless quest. Search for truth and ideals and the desire to wait is forever which is related to changes in life. This is the idea here offered by Maeterlinck.

## პოეტური ლიცენცია (ოკაზიური ფორმები) გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისა

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური მეტყველების ენა, სხვასამყაროულია. „რომ ქაოსიდან შექმნა წესრიგი – აი რა არის მართლა გმირობა“.<sup>1</sup> გალაკტიონის სულის უსივრცო სისავსიდან იშვება შუქურთმა პოეტური მშვენიერებისა, რომელიც განსახოვნება არის კეთილხმოვანი სიტყვისა. შეუმკრთალ-შეუნელები დეღვა – აღვსილი უშურველი მღერა მისტიური მოტივისა, სევდა-საგალობელი არის მიღმურ მარადისში მარად არსებულ უკვდავ წარუვალ სიტყვა საწყისისა, თანაგანმცდელისა თუ ზიარისა ყოველსმომცველი ერთარსება ზეარსისა, რომლისა მადლმოსილების გამოც, პოეტს ციურ მარადიულ შრებთან შენივთება ესახება გადარჩენის ერთადერთ ნეტარებად ვნებით დაისრული სულისთვის“. მე ვიცნობ ამ ქვეყნის ასავალ – დასავალს ქცეულს მწუხარებად“.<sup>2</sup> გალაკტიონის ტკივილი პოეზია ის მირონცვარული მადლია, რომელიც ტკივილს აკეთილშობილებს. „გულში მწუხარე ის მორევია, რომელსაც გული ვერ მორევია“. გ. ტაბიძის მსუბუქად ნათქვამი მგლოვიარება გულისა, არის აქდერებული ჩივილი სულის უწყმარ-უხმო, იღუმალ ძახილისა, სიცოცხლის უსამანო უსასოებაზე...

„ადარც ცრემლია, რომ გული დაღბეს,  
გზად გამოშუქდეს ნათელი სვეტი!..  
ვერ გადალკავ ამდენ სიყალბეს  
ვერა რა ძალა – სიკვდილის მეტი“.  
(უსათაურო)

ტკივილი სულისა გრძნობით – აღქმითი იმპულსი არის სიცოცხლისა. ტკივილი სიცოცხლის წყურვილის მარადი გამოძახილი არის, რომელიც ცნობიერად თუ არსობრივ – სახიერად შეგაყვარებს ხოლმე სიცოცხლეს ასეთს, თუნდაც უმწეოს. პოეტს ოცნების სუსტი, უსუსურ-უმანკო სხივი იმედად შერჩენია არსებობისათვის. იმედი თუნდაც მცირედი, ნიშან-ხატია მხოლოდ იმისა, რომ ცოცხალია... ვიდრე ოცნებობ არ კვდები... ოცნება სიკვდილს კლავს იდეურად მაინც...

გალაკტიონი არის თავისი ეპოქის მზეუამიერი... მზე – სასწაული, წარუვალ-უკვდავ სამყაროსა. უკვდავქმნილი შემოქმედება გალაკტიონისა – მუსიკა – პოეზია, ბგერითი ფერთა ფერადონებისა და ზეამაღლებულ სიტყვიერ გრძნობათა სულიერი საუფლოს განხატებაა...

„ეს იყო სიზმარი,  
დღე ნათილისმარი,  
დღე იყო ცისმარი“.  
(უსათაურო)

გალაკტიონის სულში მბორგავი გრიგალი გაბნეული ქარიშხლებად, სახიერად ასახავს ადამიანურ წყურვილს, უსასრულო სურვილსა და სწრაფვას, ვნება – წვადებას სულის ფარულ უფსკრულებში არსებულს, ამქვეყნიურ ცისქვეშეთში მშვიდობისა და კოსმიური სიმწყობრე-სიმშვიდის დასამკვიდრებლად. გამუდმებულ ბრძოლას სამყაროსთან, საკუთარ თავთან, ნათლად ასახავს ლ. ბეთჰოვენის სიტყვები: „მთელი თვეობით შემეძლო ტანჯვა და გაჩუმება, მაგრამ მაინც მიზნისკენ მივისწრაფოდი“. უმძაფრესი განცდები პოეტური ხატ-სახეებისა ნივთიერად ეთვისება

<sup>1</sup> გალაკტიონ ტაბიძე. საარქივო გამოცემა 25 წიგნად. წიგნი 15. თბილისი, 2008. გვ. 202.  
<sup>2</sup> გალაკტიონ ტაბიძე. საარქივო გამოცემა 25 წიგნად. წიგნი 15. თბილისი, 2008. გვ. 203.

და ელტოლვება პოეტის უნატიფეს ხატ – სახეს და მის მისტიურ, უსასრულო სისადავეში განფენილ „შეუმკრთალ“-შეუნელები შუქსხივით მოსილ პოეზიას.

„მორხევს ზვირთებს მრისხანე ბედი  
არსად არა სჩანს სული უნებო,  
ვისაც არა-რა დარჩენია, სიკვდილის მეტი,  
და იცის მხოლოდ ერთი გრძნობა: არდაბრუნება“.  
(„მიწა გამოჩნდა“)

პოეზია გალაკტიონისა განხატებაა გრძნობითი, სმენითი და ხედვითი აღქმისა...

პოეტს უკვე მიღმურში არსებულს აღარ ეფიქრება და ედარდება საკუთარი აღსასრული, რადგან ყოველთვის სწამდა, რაღაც უთქმელ-უცნაურ, უხილაგ-დუმალ მარადიული ძალის არსებობისა. სამყაროს უსასრულობაში განფენილი – სიცოცხლედ სახელდებული არსებობა, ყოფნას განაგრძობს სხვა ასტრალში, სხვა სიცოცხლის სახიერ-უსხეულო სახიერებასა და განზომილებაში. პოეტის მისტიურ ასტრალში არსებობა ახალი სიცოცხლის განსხეულების უცილობელი საჭიროებაა, რათა პოეტმა სიცოცხლის ხელახალი დაბადებით ისხვაფეროს... დასასრული დასაწყისის მარად-მუდმივ დუსრულებით... უკვდავ-სრული დასალიერი...

ბოლშევიკური ტერორის ავბედითი ჟამის დროს პოეტს არ უნდა ჰქონოდა სევდა, რადგან განახლებული ქვეყანა, რომელსაც ბოლშევიკები აშენებდნენ – „ახალი საქართველო“, დასახლებული – „ახალი ადამიანებით“, მხოლოდ დითირამბისა და დიდება – სადიდებელის საგნად იყო მიჩნეული...

„ — რა უქნეს ცისფერ ყანწელებს?

– აი რა უქნეს: ერთმანეს შეაჯახეს, მიიყვანეს ტყავტრესტში, გამოაცვლევინეს ფორმა: გალსტუკები, ჩოხები, სონეტი წაართვეს, რითმა მიუნგრეს, ასსონანსი შეაძულეს, არ გაბედო – უთხრეს და... დააწერინეს ლექსი, რომელსაც თვითონ ეშინია. და... წერტილიც დაუსხვეს“.<sup>3</sup>

„სული უნებო“ უწოდა გალაკტიონმა საკუთარ სულიერ მდგომარეობას. ნებისყოფის უნარს მოკლებული შემოქმედი უზენაესთან კავშირის გაწყვეტის საშიშროებას ხედავს, რაც მისთვის დაღუპვის ტოლფასია. პოეტი ცდილობს შეინარჩუნოს სულიერ-ინტუიტური სიახლოვე, ყოველდღიური ყოფის ყოფით-ყოველადობაში გადაკარგულ, ყოველდღიუფსა და ყოველსმომცველ, ჯერაც უცნობ-უპოვნელ უფაღთან...

„ხომაღდს მიჰყვება თოვლის მადონა  
და ყვავილები გაიადონა.  
შენთვის გაეკრა ჯვარზე იესო,  
სულო, ჭაობზე უნოტიესო“.  
(უსათაურო)

პოეტური სულიერების თანაგანმცდელი არსისათვის უმთავრესი საზრუნავი გამხდარა შენარჩუნება უხილავ – ზეარსთან კავშირისა, ვინაიდან კავშირის გაწყვეტა ტრანსცენდენტურ სამყაროსთან მოასწავებს მხოლოდ არსობრივი აზრის დაკარგვას – პოეზიის თხზვისა...

გალაკტიონისათვის ლექსის წერა სიცოცხლის ერთადერთი საზრისია. „ესთეტიკური იდეის სრული გადმოცემა მხოლოდ პოეზიაშია შესაძლებელი“.<sup>4</sup> რეალური ცხოვრების ნატურალისტური ხატ-სახეებით აღქმული ამსამყაროული განცდები, პოეტმა ლექსთა სიმფონიაში, ფერთა – ფერუვალ ბგერათა გამოთ ააქდერა, იმისათვის, რათა თანაგანმცდელნი ზიარგახადოს მისი უნატიფესი შემოქმედების – მუსიკა პოეზიისა. სამყაროსეულ ქაოსში გაბნეული ნეტარისი განცდები, კეთილსმოვანი არაქვეყნიური მუსიკა – ტონებისა, არის აქდერებული სევდა – საგალობელი, მდერა – ფერადოვნებით წარმოთქმული მისტიერ-მაგიური სიტყვისა, რომელიც პოეტმა პოეზიის იდუმალ – მეტყველებაში უნდა ასახოს...

კენიის მადლმოსილებით აღვსილი სული გალაკტიონისა, ჟამიერუსწრაფესად ისწრაფვის ნათელი მიზნისაკენ. პოეტი იღწვის იმისთვის, რომ სამყაროს როგორმე დაუბრუნოს დაკარგული

<sup>3</sup> გალაკტიონ ტაბიძე. საარქივო გამოცემა 25 წიგნად. წიგნი 14. თბილისი, 2008, გვ. 144.

<sup>4</sup> კანტის ესთეტიკა (გადმოცემა. ინტერპრეტაცია. კრიტიკა). თბილისი, 1967, გვ. 147.

მზე-ნათელი, უკვდავშობილი მშვენიერება, მარადისი სილაჟვარდე – სილამაზე ბუნების უცოდველ-უმანკობისა. მესიის ვალდებულებით აღვსილი გენიოსი ცდილობს ცის ქვეშეთში დაამკვიდროს სიმშვიდე-სიმწობრე, სულიერ-სხვასამყაროული იდილიისა

„აქ მრავალია ცისფერი ფერი!  
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,  
როგორც ქალწულის სახელი – მერი  
არის ცისფერი და მწუხარება“.  
(„გზაში“)

განცდისეულად საგრძნობ-საცნობელია გალაკტიონისეული უსასრულოდ მიმობნეული უშურველი განცდა – გალუცინაციები მოჩვენება – ზმანებათა, ცისიერ-ციაგებისა. ნეტარია სიტყვა გალაკტიონის უკვდავ – უამიერი სიყვარულისა... პოეტურ არსში განივთული განცდა – მარადიერი...

„...ან როგორც ასომთავრულს,  
მუდამ შევამჩნევ ცაზე  
სხვისთვის უხილავ – ფარულს“.  
(უსათაურო)

ცხოვრებისეულ ქარტეხილებში მრავალგზის მოხეტიალე მიუსაფარი პოეტი, როგორც კი მკაცრი სინამდვილის წინაშე აღმოჩნდება, ე.წ. ფსკერზე ცხოვრებისა, იმას იმედოდ არა ჰყავს ღმერთი...

ყოველი სული ეძიებს უფალსა, რათა შეიცნოს ამქვეყნიური ნათელი, არსი და აზრი ყოფისა. ვითარც უკვდავება მარადისობის კარიბჭესთან გაყინული მარადი მგზავრისა, დგას გალაკტიონის სული ღვთაებრივი ჭეშმარიტების კარიბჭესთან და საკუთარ სასწაულს ელოდება, რათა აღსრულდეს ნებისადმაგალი ნეტარისი განცდების შეღწოლვა-შენივთება ზეციურ-იერარქიულ ციერებასთან...

გალაკტიონის უსასო ყოფის უსახურ რეალობაში ჩასახული ერთადერთარსი ნათელნარევი სხივმოსილება იმედის, მაშინაც კი, როდესაც იმედი უკვე მკვდარი არის, აღარ არის და არ არის „არარაიმე“, მომცემია მცირედი იმედისა და ახალი დღის ნათელის გათენებისა. იგი ნიშან-ხატია იმისა, რომ გალაკტიონი განგებისაგან განწირული არ არის. ამგვარ რეალობაში ისახება და იკვეთება, ოდენ მხოლოდ უკვდავსულმკვდარი სხივი ნუგეშისა და იმედისა, ყოვლისმომცველისაგან გამომავალი, რომელიც სიცოცხლის საზრისს ჰპოვებს წამებული გალაკტიონის სულის უშორეს, წარმავალ-წარუვალი სიცოცხლის წყურვილშერჩენილ შრებში...

„არც ღმერთი, არც ცა არ სწყურია გაუგებარ სულს,  
არც სიყვარული, არც ღიმილი, არც სიტკბოება.  
შენ ვერაფერი დაგავიწყებს შხამიან წარსულს,  
შენთვის მკურნალი იმედები არ იპოვება“.  
(უსათაურო)

დაუნდობელი ეპოქა, აღსავსე მისთვის ჩვეული მანკიერებებით, პოეტს სასიცოცხლო არეალს უსპობდა. გალაკტიონს მისიონერული კეთილი მიზნების აღსრულებაში ხელს უშლიდა არსებული რეჟიმი, ე.წ. ბოლშევიკური მსოფლმხედველობა, რომელსაც ადამიანები შერჩეულნი ჰყავდა შემდეგი ნიშნით: უკვე „დაღუპულნი და დასაღუპავად გამზადებულნი“ (გ. ტაბიძე).

გალაკტიონისათვის პოეზია ბნელეთის დემონისათვის წართმეული ნათელია, რომელმაც დღენათელი უნდა გაუთენოს ქაოსურ ნისლოვანებაში მთვლემარე კაცობრიობას.

ბოლშევიზმი მიზანმიმართულად გამანადგურებელი, ადამიანური ღირსების დამთრგუნველი, სულიერებადაშრეტილი მსოფლმხედველობა იყო, რომელიც მოაზროვნე ადამიანების ჯვარზე საცმელად აღიმართა ზეციური საქართველოს ცარგვალის ქვეშე სულიერება-გალტოლვილ, მესიამკვდარ-ყოფის, უძებნელ-უპოვნელი უფლის უარყოფელ „ახალ საქართველოში“.

„(ეხლა ყველაფერი) ბინდში

შენაფერი,  
ეხლა ყველაფერი  
ოქროს ზღაპარია.  
არც ხმა, არც ჩურჩული,  
ბინა – მინაგები  
თვალე დაღურჯული  
თრთიან იალქნები“.  
(უსათაურო)

გალაკტიონის სევდა-პოეზია ცარგვალის ფერუვალფერთა ფარულ შრეებში ნებისად არეკლილი, სიცოცხლის იდილიის ამქვეყნად სრულყოფას ემსახურება. ჟამიერადი მღერა-გამოცხადება პოეტური არიებისა, ზეციურ-ზემსწრაფველი სულის, ზერეალური განცდითი-გამონათებებია, ცარგვალის ქვეშე გაბნეული მოჩვენებით იმედებად:

„თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი  
და დაღალული ფიფქით დამთოვა.  
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!  
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა“!  
(„თოვლი“)

გალაკტიონისეული „გულსაკვირველი“ მაღლი – პოეზია, ყოველი სულის, გულისმწუხრის ტკივილ-უჟამო იართა უმაღლესურნალი საგალობელია, რომელიც სხვადცვალებამდე, სიცოცხლის ფერუვალფერთა ციურ ფერისცვალებამდე უსათუოდ უნდა ამღერდეს, როგორც უკანასკნელი დაღადისი, როგორც სახსოვარი გამოსათხოვარი იავარქმნილი სულისა. მწუხარებაშემოსილი გალაკტიონის ურვით დაისრულ-დანისლული სულის უნათლეს, უსათუთეს შრეებში შენივთულ-შეკირული გლოვა-პოეზია, სიკვდილის მისტერიის აღსრულების ჟამიერადი გამოცხადებაა, აღსარებრივი მღერაა გედისა...

„რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,  
რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,  
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენგან ჩემი ქნარი...  
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!“  
(„მთაწმინდის მთვარე“)

სიცოცხლის ამქვეყნიური მისიის სრულყოფისა და სიცოცხლის კვდომის უეჭველი ნებელობის უფლებით გაჯერებული, უკვდავ-ცვალების არია – საგალობელი – „მთაწმინდის მთვარე“, პოეტის მიერ ინტუიტურად განიცდება პოეტის არსსა და ცნობიერებში, მერე კი მის პოეზიაში. სიკვდილ – სიცოცხლის გზაგასაყარზე ამოზიდული განცდა უცნობადისა მიმართ იდუმალებით მოცული „შეღამების ქნარი“, იმედის დარად ევლინება გალაკტიონს. ყოვლადუნვეი „მდუმარებით შემოსილი“ ყოფის – „მწუხარე სასაფლაოს“ სულთა უვნები აჩრდილები, შორეულ-ახლობელნი, საცნაურ-უცნობელნი, თუ შეგუებულ-შეუღვეველნი ამქვეყნიური სიცოცხლის ლაქვარდისი სიღამაზისა, განცდა – გაღუცინაციებია, გრადაციად გარდასახული პოეტური სულის სიკვდილმოსილი სიცოცხლისა... გალაკტიონი თამამად აცხადებს, რომ სიკვდილი სიცოცხლეს „ასხვაფერებს“, და სწორედ ამიტომ, პოეტის სულს სურს რომ განიცადოს ამგვარი სიცოცხლე, რაც რეალურად სიკვდილისთვის მზად ყოფნას ნიშნავს. იქ, სადაც შევებას და განსვენებას ჰპოვებს სული სიკვდილშეგებებული გალაკტიონისა, რეალურს მიღმა არსებული, ზერეალური მხარეა, ადგილი სადაც ჯერ „რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე“, რომელიც პოეტს „მსუბუქ სიზმარივით“ ეგებება. სხვასამყაროულის აღმნიშვნელი – „ასე ჩუმი ღამე“, მარადი ღამიერი არის დასალიერისა.

გალაკტიონის ჟამიერისი მწუხრი – „ციდან ცამდე“ ფრთებშესხმული გედის სიმღერა – საგალობელია, გაცხადებული სიცოცხლის ფერისცვალების წყურვილშერჩენილ, შეუნელებ-შეუღვეველ აღერსად შელტოლვილ-შეკირული „შეღამების“ ცაზე. მხოლოდ ამგვარ სულიერ ყოფაში არის შესაძლებელი იშვას და ისხვაფეროს პოეტის სულმა უკვდავშობილი სულის

შეგებისმომცემ ნეტარებად. არსად, არასდროს არ უნახავს გალაკტიონს ასე წყნარი მთვარე, რადგან ის, ამ საწუთროსთვის, ამოების მსახური ხალხისთვის არ შობილა. პოეტის სხვასამყაროული განცდა-გალუცინაციები, მხოლოდ ციური საუფლოს მარადმიღმეთის განხატებაა... ზეარსადქვეული გალაკტიონი სულითგანუყოფელია იმქვეყნიურისა, იგი ტოლი და სწორია ზენარისა. მისტიერ-მაგიური ძალით აღვსილი მგოსანი სიკვდილს, მოკვდავთათვის ოდენ განუცდელ, უცნობადობის სახიერისი განცდით – სიმღერა-საგალობლით ეგებება. მელოდიურობა ბგერაშეწყობილი სიტყვისა და რიტმისა, ლექსში ნებისად აჟღერებული, პოეტის უკანასკნელი აღსარების წინარე ლოცვაა. ლოცვა სულის წვრთნაა, უფლება-მოვალეობაა წარუვალში წარმავალი სულისა... ლოცვადნავედრალი დადადისი, ციერებასთან სამარადჟამოდ მისარქმელი, გალაკტიონისათვის არის მუსიკის მელოდიურ-მისტიურ განცდაში ნათლისად განბანილი ზეციური სიტყვა, რომელიც სიცოცხლეს ჰპოვებს ხოლმე პოეტის არსსა და ცნობიერებაში იმისთვის, რათა თანაშემოქმედთ, საუკუნეთა სულიერი ფერისცვალებით ეფსალმუნოს. მხოლოდ სიკვდილის მერე, ზესულიერმა სულმა შეიძლება იხილოს, ის, რაც გალაკტიონს დედამიწაზე არც უნახავს და არც განუცდია ხატ-სახიერისად. „არ არის ღამე დედამიწაზე“, ერთხელ ეს სიტყვები უბის წიგნაში ჩაინიშნა გულდაწყვეტილმა გალაკტიონმა. უხილვადი ღამე ყოფიერებაში არყოფილ-უშობელი, ხატ-სიმბოლოა მიღმურ არიალისა, რომელსაც პოეტი „ვარდისფერი გზის“ სასივრცეთში განფენილს ხედავს. გალაკტიონს სურდა რომ მის ვნებულ სულში ოდენ ყოვლისმომცველ ღამეს ჩაეხედა... სწყუროდა ხილვა-გამოცხადება უჟამო ღამის უხმო, უწუმარ-იდუმალებისა.

გალაკტიონის თვალსაწიერის სისადავეში სახიერქმნილი ღვთიურ-ღამეული სიმბოლოები, ხატად ხილვადდება მისტიერ-მელოდიურ ლექსში, სახსოვრის სანუკვარ განცდად აჩნდება თანაგანმცდელთა გულებს. ზეარსის (პოეტის) ერთადერთარსი ნეტარისი განცდა პოეტურ ზმანება – გამოცხადებაში, განგების ნებისად არეკლილი, ეული სულის შეგებისმომცემ სივრცით განზომილებად აღიქმება, სადაც ნამდვილად განისვენებს პოეტის ნატიფ წარმოსახვაში უდავოდ არსებული – „შეღამების“ მაცხოვრისი ღმერთი — ასე წყნარი მთვარე...

პოეტის მიერ ნათელსახიერ დათრგუნული განცდა – შიში სიკვდილისა მიმართ, სახიერისად სიცოცხლის უღვევი წყურვილით უმაღ აღვსილი, მაუწყებელია იმისა, რომ უცნობად-საშიშარისა განცდის დათრგუნვით მერმე და მერმე სიმშვიდე მოდის. იქ, სადაც სიმშვიდე სუფევს, სამყაროულ ფერთა ფერუვალ-ფერადებიც ჰარმონიულია... აუმიღვრეველი... სწორედ ამიტომ სხვადყოფნისაკენ მიმავალი გზა – მართალი, გზა ბედით-ნებითი მაშვრალი სულისა არის ვარდისფერი. იგი გზა, ვარდისაფერად სახელდებული ნაზავ-ნაერთია სისხლისფერი სიცოცხლის შეღტოლვებისა და ნათელცხებული სულიერების ღვთიურ-უმანკო განსხეულების, ერთადერთფერისად აღმნიშვნელი ფერის – უსპეტაკეს თეთრისა. გზა-სავალი, მიმყვანებელი პოეტისა გზა-გასაყართან, შემაერთებელ სამანთან ამქვეყნიურისა იმქვეყნიურთან, არის ვარდისფერი. არა ცისფერი, არა ღურჯი, არა ოქროსფერი. ვარდისფერი წარმოსდგება სიტყვისაგან ვარდი. ყვავილთა დედოფლად წოდებული – ვარდი, მარადი სიყვარულის სიმბოლოა, სიყვარულის უჭკნობი ყოფის მარადშორეთის ნიშან-ხატი, რაც ბედნიერებას ელტოლვება სულისმიერი მიზიდულობის კავშირით.

სულთა მაცისკროვნებელ-მაცხოვნებელი განცდა ნეტარითი-ნეტარება, რომელსაც უთუოდ ჰპოვებს ვნებული სული ღვთიურ-მისარქმელში, გალაკტიონისათვის არის უამრავ ვარდთა ხილვადი ვარდისფერეთი... ნათელი დაუსრულები ღვთიურქმნილი სილამაზის თვალხილულ, სიყვარულ-უშურველ სინარნარისა...

სიკვდილისა მისარქმელი დადადისი, უკანასკნელი მღერა გედისა, არის საგალობელი სადიდებელ-სავედრებელი მიღმურ-მარადიულში მაცქერალი სულისა, რომელიც სიცოცხლეშეუღვეველი ისევ და ისევ განაგრძობს უკვდავ-სულიერ არსებობას ამქვეყნიურ სასივრცეთში.

გალაკტიონი დღენიადაგ იწვის პოეზიის ჟამუკვდავ სამსხვერპლოზე ნებსით შეწირული, ბედით დაისრულთა და უნუგეშოდ უსასოთა სულთა ნატვრა – უკვდავ სურვილეთში, მირაჟის დარად, ჟამითი – ჟამად არეკლილი ხატხილვა – უხილვად იმედად.

სიტყვიერი ხატი არის ლექსი. ლექსისწერა, იგივე ხატწერა არის, არა ტილოზე, არამედ ქაღალდზე. არსი ერთია – სრულქმნა, სრულყოფა ხატოვან – სახიერადი აზრისა, სიტყვისა, რომელიც „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი მადლითა და ძალით იმოსება, რათა სრულყოს ხატსახიერება მარადღირებულისა სამარადჟამოდ. გალაკტიონი სამშობლოს სამსხვერპლოზე შეწირული მსხვერპლია. ციურ-სივრცული ცისკარეთის ცაზე მოციაგე მარადმნათი

ვარსკვლავი, მომლოდინე უკეთესი, ნათელსახიერადი მომავლისა. სრულყოფილების მიღწევით, საკუთარ თავზე (ადამიანურ ხატზე) ამაღლებით იშვება ცოცხალი არსი – ხატი განსულიერებული.

გალაკტიონის პოეზია მირონცხებული მადლია, რომელიც შეუნელები სწრაფვითა და ძალით განეფინება თანაგანმცდელთა მთვლემარე სულებს იმისთვის, რათა მოახდინოს განწმენდა-განსპეტაკება, უკვე მივიწყებული გრძობებისა, რომელიც დაბადებიდან ებოძა ადამიანებს არცთუ შორეულ წარსულში, ცით კეთილნაშობი სულისაგან, ხოლო უგუნურთა მოდგმამ ადამიანებისა, სიკეთე სახიერი, სიფაქიზე სულისა მიატოვეს... გალაკტიონის ფაქიზი პოეზია ყოველი სიკეთის მძებნელი სულის გამოძახილია, ყოველი გამოღვიძებული სულისა, რომელიც გადავიწყებულსა თუ გაუცხოვებული ცისიერი სიკეთის შენივთების აუცილებლობას, არსით საცნობელი სათნოების ნებსით დაბრუნების საჭიროებას განგვაცდევინებს.

გალაკტიონის პოეზია განსულიერებული, სიცოცხლეშეუღვეელი არსითი ხატია, რომელსაც დავიწყება, რაც დაღუპვის ტოლფასია არ უწერია... უკვდავებაც ხომ უკვდავშობილი პოეზიისა მუდმივ ყოფაში ვლინდება... მუდმივობაში ჰპოვებს საშვებელსა და განსასვენებელს ცოცხალი სიტყვა-ღეჭითი ხატი, მადლი-პოეზია, ვნებულ-მაშვრალი სულისთვის არის ოდენ მხოლოდ სულიერ-ხორციელი ხსნა-სანეტარო...

გალაკტიონის სულის უსასრულ-უსულიერესი სისავსიდან ნაშობი ხატ-სახეები პოეტური შექურთმა-სილამაზისა, განსხივოსნება არის პოეტიკაში ჯერაც უკვლევი ღვთიურ-ხმოვანი, უსათნოესი სათნოებით აღვსილი მისტიერ-რიტმული, უცნობად- უჩვევი სიტყვისა – ლიცენცია. შეუმკრთალ-შეუნელები დელვა-აღვსილი მღერა მიღმურ-მისტიური მოტივისა, მარადისი სევდა-საგალობელია მიღმურ არსთათანა მარად არსებული, უკვდავ-წარუვალ სიტყვა-საწყისისა, რომლის მადლმოსილებისა გამოც, გალაკტიონს „უკუნითი უკუნისამდე“ უკვდავება უწერია.

ავბედითი ჟამის თარეშის დროს, გალაკტიონს გადარჩენის ერთადერთ საზრისად, მაცხოვრისეულ ცასამყაროულ სამრეკლოებთან უცნობად-ბუნდოვან ნისლოვანებით შეკირული, აუღერებული განცდა-დაღადისი ბგერათა გამისა, მელოდია სიტყვის რიტმულ-ტონალობისა ხმიერება-ლიცენცია მიაჩნია.

ლიცენცია პოეტიკა (ლათ. licentia) – პოეტური თავისუფლება, თვითნებობა რითმის ან გრამატიკული კანონების მიმართ.

ლიცენცია პოეტიკურ სტილისტიკაში ცნობილია როგორც პოეტის თავისუფლება – მკაფიო პოეტური გამოსახვის მიზნით დაარღვიოს ლოგიკურ – აზრობრივი, გრამატიკული და სტილისტიკური ნორმა. ამ საფუძველზე შექმნილი სახე ინარჩუნებს მხატვრულობას, ემოციურობას.

„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,

ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!

არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,

ცივ და მიუსაფარი მღუმარების გარეშე“.

(„ღურჯა ცხენები“)

გალაკტიონის მიერ აღმოჩენილი სხვასამყაროული საცხოვრისის აღმნიშვნელი სიტყვა – „შენაპირი“ არის ლიცენცია. სახარებაში მაცხოვარი კაცობრიობას ჰპირდება, რომ ადამიანებს დამსახურებისამებრ მიეცემათ ღმერთისაგან საზღაური ზეციურ სასუფეველში, ე.წ. სამოთხეში. გალაკტიონის პოეზიაში ზეციური იერარქია იხსენიება სიტყვა – „შენაპირით“. საიდუმლო-სიმბოლო შესამოსელით შემოსილი სიტყვა „შენაპირი“, უცნობად-უხილველი, ცოდვა-განტყვევებულ მოკვდავთათვის შეპირებული ნაპირია, არაქვეყნიური, არამედ სხვა ნაპირი. ქვეყნიურს მიღმა უთუოდ არსებული „შენაპირი“ მხარე, „შენ“ (ი) < „ა“ (რის) < (ნა) „პირი“, შენთვის განკუთვნილი, ან „შენაპირი“ < (შენაპირებული), მხოლოდ შენთვის, უფლის ხატს შემსგავსებულთათვის, არსით ერთადერთარსის თანაზიართათვის განაპირა მარადსაცხოვრისი არე, მაცხოვრის მიერ ჭეშმარიტად პირობაშესრულებადი, შეპირებულ-აღთქმული, მხოლოდ ღირსეულთათვის შენაპირებული, ნეტარ-ოცნებითი, მოსასვენებ-განსასვენებითი არე, მხარე-ნავედრალი დამაშვრალთათვის... სხვასამყაროულ ნაპირს მიახლოვებული, „უსულდგმელო დღეებს“ განრიდებული, ბედისწერის „წყველით შენაწვენები“ ავბედითი ჟამის „თარეშს“ განაპირებული გალაკტიონი „საოცრების უბეში“ არ ეძიებს ნუგეშს. თითქოს ნუგეშმა იგი დიდი ხანია უკვე მიატოვა. სამარეს არის ახლა მისი განსასვენები. სამარე – დაღუპული ცხოვრება არის, სიცოცხლისთვის უდროოდ შეწყვეტილი უსურველი ყოფა. გალაკტიონი „სამარეში“, „სიცივის თარეშსა“ და სამუდამო სიმწუხარეში



მყოფობს უვედრი ოცნების ამარა. „ღურჯა ცხენები“ პოეტის ლოცვა – უვედრი სწრაფვაა, პიროვნული ზესწრაფვა ზეარსისა სრულყოფილებისკენ.

სულის სულმნათი მშვენიერების იდენტურია სწორუპოვარი, სწრაფლმავალი სვლა გალაკტიონისა ბედნიერებისაკენ. მისი მოპოვებისა და მარადი დამკვიდრებისა ამსამყაროულ სასივრცეთში. სამყარო ხომ დაუნაწევრებადი, მარადგანუყოფელი არსია კოსმიური სიმწყობრე – სილამაზისა და სიმშვიდე-ჰარმონიისა. სამყარო ამქვეყნიური მისტიური საიდუმლოს მატარებელი არსია, სადაც ბედნიერება (სიმშვიდე სულისა და სიკეთე ზეადამიანური, განგებით დაკისრებული ვალდებულებითი მშვენიერება ადამიანის ხორციელი ბუნებისა) როგორც ასეთი, არ არსებობს, არ იპოვება ამქვეყნიურ საუფლოში. „სიკეთე ვაჟკაცობაა“, წერდა ფ. ნიცშე. სიკეთისმქმნელი, ხდება თავისუფალი ადამიანი. იგი ყოველგვარ ყოფითისაგან თავისუფლდება სწორედ სიკეთისქმნადობის შედეგად. სიკეთისმქმნელი აღარ არის დამოკიდებული არარაიმეზე, არსებითსა თუ არსებობისთვის ოდენ საჭიროზე. ამგვარი თავისუფლება ადამიანს სულიერად ამაღლებს საკუთარ არსებაზე, განადიდებს ადამიანურ ხატზე, და ხორციელ ბუნებაზე. განწმენდს და აცისკროვნებს სულიერად. განწმენდას ზეარსისა (ადამიანური ხატის არამსგავსისა) ზეადგვლა, ღვთაებრივობამდის ამაღლება, იგივე განმდრთობა ეწოდება. სადაც თავისუფლებაა, ცრემლით, წამებითა და სისხლით მოპოვებული, ბედნიერებაც იქ არის ნეტარისი. პოეტური სიმბოლო საიდუმლოებითმოცული სიტყვისა – „ღურჯა ცხენები“ წამებული გალაკტიონის ვნებით მოპოვებული ნუგეშ-უვედრი, ტკივილშერჩენილი, ჯერაც ოცნებაუხდენელი ნეტერისი ხატია სამშობლოსა და პიროვნული თავისუფლებისა, რომელიც „ჩამავალ მზით ნაფერი“ სიცოცხლის ძნელბედობის „ბნელ ხვეულებში“, უსათუო სიკვდილისთვის განწირულთა „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით“ მიიჩქარიან ზეიერეტიულ უფსკრულებში შევანებული კოსმიური ჰარმონიის მოსაპოვებლად და დასამკვიდრებლად ცარგვალის ქვეშეთში, იგივე სამშობლოში, სადაც სულიერებაშერჩენილ სულს სიცოცხლე აღარ სურს და სურს მხოლოდ – „არარაიმე“...

„სიზმარიან ჩვენებით – ჩემი ღურჯა ცხენებით  
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან“!

„ღურჯი“ – სამშობლოს აღმნიშვნელი ციურნაზავი ნატიფი ფერია გალაკტიონის პოეზიაში არაერთგზის აღნიშნული („უდაბნო ღურჯად ნახავერდები“; „თოვლი“).

„გამოუცნობ ქიმერების“ მიერ უდროოდ დაღუპულნი „ყვაილნი არ არიან“ არსაით... ყოველი განსულიერებული სული ამაღლებულობისა გამო, არის დასჯილი. სულიერი სივიწროვისა და გონითი შეზღუდულობის ამარა დარჩენილი სამყარო, სახელად საქართველო, „უსულდგმულო დღეების“ სწრაფი მავლობით „ქვესკნელდება“...

მდუმარე იდუმალების განცლითა და მიუსაფრობის ტკივილ-შიშნარევე ციების გრძნობით აღესილი სული გალაკტიონისა, „ლოცვის სიმხურვალეში“ ელის „შენაპირი“, შეპირებული მხარისაგან, ზმანება-სიზმარეულ შევებას უკუნითი უამისთვის...

„ღურჯა ცხენები“ სამყაროული უკუნითი უამის, ღვთიურსახიერადი, ნათლისმიერი სახიერისი სახეა, პიროვნული თავისუფლებისა და ერის ბედნიერებისა, რომელიც უკვდავ-განცდად ჩაკირული პოეტის სასოებაშერჩენილ სულში ნეტარ-ნებისად, მდუმარ-ნატვრად განისვენებს ნეტარარსთათანა არსით თანაზიარი...

ლიცენცია – პოეტიკა განასახიერებს საიდუმლო იდუმალებას, დუმილს ჯერაც უჩვევი სიტყვისა. დაფარულ – მიუწვდომლობას სიტყვის ნატიფ-მელოდიური, სივრცე – უსრული, სიმბოლო-ხილვისა, რომელიც არავინ იცის როგორ ხილვადდება და განსხეულდება პოეტის გონის ცნობიერსა და – არაცნობიერში, ნებისად გაბნეულ უცდომელ-უმანკო ხატოდენად. ლექსში პოეტის მიერ თავნებანებისად მიმობნეული სიტყვა – ლიცენცია, იგივე დაშიფრული კოდი, მაგიურ-მისტიური ძალით მოსილი სიტყვისა, ახსნა-განმარტებას ხატ-სიმბოლოებისა ხატსახიერისად საჭიროებს...

ლიცენცია პოეტიკა (ოკაზიური ფორმები) – სიმბოლიზმის მისტიური სიმბოლოს განსახოვნება და იდუმალ-ფარულ ხატ-სიმბოლოთა სახიერისი ხატსახოვნება არის მისტიურ ენაზე აუღერებული, მიღმური ღაღსმიერებისა.

პოეტური ლიცენცია (ოკაზიური ფორმები) უცნობადის ნისლოვანებით შებურვული ამღერებული სიტყვა არის, რომელიც შესამეცნებლად ოდენ მხოლოდ ხედვითი და აღღქმითი განცლით არის საგრძნობ-საცნობელი...

ზეასოციაციურ ხილვა-გამოცხადებათა იდუმალ-მეტყველი, უცნობად-უტყვი, ბუნდოვანების ბურუსით მოცული, ზეგემოვნებიანი ლექსითი სირმებია ოკაზიური ფორმები შუქურთმამოსილი სიტყვისა. მისტიერ-მელოდიურ ბგერათა ტონების ნატიფ-ნაირგვარობათა ნაერთს განასახიერებს ლექსში ლიცენცია პოეტიკა (თავისებურება – თვითნებობა) პოეტურ ხატ-სახეებისა. ლექსში იდუმალარსებული ლიცენცია, უცნობელ-უჩვევი, მოკვდავთათვის ჯერაც უოქმელი, უწვდომელ-უტყვი საიდუმლოს მატარებელია, რომელიც მისტიციზმის ბუნდოვან ბურუსით ბურვული უკვდავანცდისეულ თანაგანცდას საჭიროებს თანაგანმცდელთაგან იმისთვის, რათა მოხდინოს განსულიერებული საიდუმლოს მადლისმიერი ძალის მიმობნევა ლექსში. არსთაგანუყოფელი პოეზია უკვდავ – მკურნალია ყოველი სულისა. მიღმური – ჟამცისიერი, პოეტის თავგანისცემის საგანია მარადი. ლაჟვარდ-ღურჯი „ლილიანდები“ მიღმური რეალიებისა ამსამყაროულ ქაოსში დღენიადგ დაბნეულთა სულის საშვებელ დარად არის ზენარისაგან გაჩენილი. ცათა შინა არსებულ შრეებში ცოდვა-უცოდველ შეკირული სული გალაკტიონისა საუკუნო სიცოცხლის გამოძახილს ნეტარსულთათანა ნატვრით ხატწერილ პოეზიაში ჰპოვებს. ლექსში სურვილ-უშურველი ფერადოვნებით მიმობნეული მღერა-მოშუქურთმება უკვდავშობილი ციურ-საიდუმლო სიმბოლო სიტყვისა არის ოკაზიური პოეზია, იგივე მისტიურ ბუნდოვანებით მოსილი, სინატიფით განსულიერებული მიღმასამყაროული-ნეტარპოეზია...

„ადამიანის წინმსწრაფი გონი მეტ-ნაკლებად ყოველთვის გრძნობს გარკვეულ უკმარისობას, რომ მან თავის ნაფიქრალს ადეკვატური გამოხატულება ვერ მოუპოვა. და ასეთი განცდა მით უფრო მწვავეა, რაც უფრო ძლიერია ამ უკმარისობის დაძლევის სურვილი. ამიტომ განსაგებია დიდი გოეთეს ჩივილი იმაზე, რომ ჩვენთვის სახმარი ენა ოდნავადაც ვერ გადმოსცემს ინტუიციით ნაგრძნობ-ნაფიქრალს და მწერალს თავისი დაკვირვების ზუსტად გამოსახატავად სჭირდება სულთა ენა (ე.ი. ფსიქიკაში ქვეცნობიერად ნაგრძნობის გამოხატველი ენა – კ. დ. ), მაგრამ ვინაიდან ის ამ ენას არ ფლობს, იგი განწირულია ბუნებაში არსებული არაჩვეულებრივი ურთიერთობანი გამოხატოს ადამიანური სიტყვებით, რომელნიც ყოველთვის არასაკმარისნი აღმოჩნდებიან ხოლმე.<sup>5</sup> პოეზია (ბერძნ. ποιēsis ქმნა, თხზვა ) ზეციური ზესწრაფვა არის ზეარსისია, (პოეტისა), რომელიც ინტუიტურ-ელტოლღება სხვასამყაროულ მიღმურ – მიხლებად მარადიულს, რათა განაცდევინოს სულს ნეტარება სამყაროს ჭეშმარიტი სილამაზისა...

ოკაზიური პოეზია იდუმალ-ხატქმნილი მადლია, რომელიც თანაგანმცდელთათვის ნუგეშის ხატადნატვრისი სხივი და მერმისის ნეტარგანცდითი იმედია...

სიცოცხლის წყურვილშერჩენილ არსში უკვდავსურვილ, იდუმალარსებული განცდა მშვენიერებისა, ციურშორეულ შრეებისა და მიწიერ უახლოესი ყოფის არსისეული აღქმისა, საწინდარი არის წარმავალ-მიწიერისა და წარუვალ-მიღმურის ერთიანობისა...

პოეტური ლიცენცია (ოკაზიური ფორმები) ბუნდოვანების ლაციც-ლანდებით მოსილი მისტიკა სიტყვის ხატსახოვნებაა, რომელსაც მაგიური სიტყვის მსუბუქი მღერა-ფერადოვნებით აცისკროვნებს პოეტური ხატწერა სახეობრივი ლექსისა, რომელიც ამსამყაროული სილამაზისა და სხვასამყაროული სილჟვარდის მარად ლაჟვარდღამისი სახიერება არის ეპოქალური შეღამების ეამისა...

ოკაზიური პოეზია მიღმურ-მარადიულსა და წარმავალ-მიწიერს შორის მარადმბორგავი სულის ჰარმონიის მიღწევის ნათელსახიერისი განსხეულებაა... სამყაროულ ქაოსში მეოფი კაცობრიობისათვის ლიცენცია პოეტიკის პოეტური ენა უცილობელი საჭიროება გამხდარა, რათა დედამიწაზე იყოს მშვიდობა და სულთაშვებისი იდილია...

ოკაზიური პოეზია მისტიურ სიტყვა-საოცრების, მიღმა არსებული სასივრცეთის, ციურ-შესივრცების უცდომელ აუცილებლობას მოითხოვს ყოველი თანაგანმცდელი სულისთვის, პოეტის მიერ ლექსით შუქურთმაში ნეტარნებისად განფენილი....

პოეტურ არსში უკვდავებისად იდუმალარსებული განცდა სიტყვის მშვენიერებისა, სულისმიერი ნატვრაარსითი ხმერება არის პოეტისა, ის ამოძახილია ნეტარ-განგებითი სულისა, რომელიც მარადი არსიდან ციუროცნებისად გამოხმობილი დედამიწაზე მარადმყოფობს კოსმიური ჰარმონიისა და იდუმალ-მისტიური სიმშვიდე-სიმწყობრის დასამკვიდრებლად.

განცდა მშვენიერისა და ამაღლებულისა, თანაგანმცდელთათვის სულით არის საცნობელი... განცდა არის ის, რასაც განცდისეულად განიცდი სულსა და სხეულში იმავდროულად. გრძნობა, უფრო ბიოლოგიურ-ხორციელია, სხეულებრივ საგრძნობელი. შეიგრძნობ ისე, თითქოს ესეები,

<sup>5</sup> კ. დანელია. ნარკვევები ქართული სამწერლო ენის ისტორიიდან. ტომი I. თბილისი, 1998, გვ. 383.

რადაც განსაკუთრებულს შენში, შენსავე სხეულში რომ ახალ სიცოცხლეს ჰპოვებს უამირად. გრძობა ცოცხლობს და მყოფობს პოეტურ არსში ნებისთ განივთული ხატხილვად-უხილვად ნუგეშგანცდისად ნეტარისი სიცოცხლისა...

გრძობად-განცდითი შეგრძნებებით ხატქმნილ-განხატებული სახეები ახილვადდება პოეტურ წარმოსახვაში სიზმარეულ ზმანებათა და „ჩვენება-გამოცხადება“ პოეზიად. „პოეზია სამუდამო გამოცანაა“ (გ. ტაბიძე). ოკაზიური პოეზია ბუნდოვანებით იდუმაღმოსილი, უცნობელობა არის სიტყვის მისტიერ-მიუწვდომლობისა. მოკვდავთა ენაზე გაგებინების ვერსითშეცნობისა სახე პოეტურ სიტყვა-გამოცხადებათა ლაჟვარდისი სილამაზისა. ეულსულთათანა თვითნებური განცდით შობილი ბუნდოვანებისი ხატოვანხმეირებაა ლიცენცია.

ოკაზიური პოეზია – ბუნდოვანების ნატიფ-სიტყვიერი ფერადოვნების მელოდიურ ენაზე ამეტყველება, მარადისის მიმართ ნავედრად-ნებელობით ავღლენილი ლექსითი სადიდებელი არის, რომლის ნეტარ-ზეარსი სილამაზისა გამოც, პოეტს მიიღმურუკუნისისათანა ნატვრაახდენილი არსებობა ებოძება...

ოკაზიური პოეზია ისეთივე შეუცნობელი უნდა დაარჩეს, როგორც უფალი, შემოქმედი სამყაროსა არის უცნობელი... შეუცნობლობა განგებულებაა ღვთისა, კეთილი ნებელობა ზენარისა. პოეზიაც, როგორც შემოქმედებითი აქტი სამყაროში მშვენიერების ქმნისა, უცოდველი სილამაზის შობისა და სიკეთის განფენილობისა ამქვეყნიურ სასივრცეთში, გაცხადებაა სიკეთის ყოვლისმომცველი ძალის შეუცნობლობისა, ვინაიდან ადამიანი სუსტი არსებაა იმისთვის, რომ სიკეთის ქმნის აუცილებლობის საჭიროება შეიცნოს. პოეტი, როგორც ზეადამიანი, ტოლი და სწორი შემოქმედისა, ემანაციაა ღვთაებრივი ძალისა დედამიწაზე, თანაშემოქმედი ახალი სამყაროსა.

გალაკტიონი ყოვლისმომცველი სიყვარულის ძალით უკუნითი-უკუნისამდე ავღსილი, უცდომელ-უცნობელობის მადლით იმოსება და იდუმალების ბურუსში ახვევს სიყვარულის ნეტარგრძობით ნაშობიდუმალპოეზიას, რომელსაც ენათმეცნიერნი ლიცენცია პოეტიკად (ოკაზიურ პოეზიად) შევიცნობთ...

„როცა ადამიანს გამოუმეშავებული აქვს ენის ნორმების გრძობა, სწორედ მაშინ იწყებს ის ამ ნორმათაგან დასაბუთებული გადახვევის მთელი სიმშვენიერის შეგრძნებას“<sup>6</sup> (აკად. ლევ. შჩერბა).

პოეტური თავისუფლების თვითნებური გამოცხადება ლირიული მოტივისა არის ოკაზიური პოეზია. გალაკტიონის შემოქმედება განსხეულებაა პოეტურ ხატ-სახეთა მოულოდნელობისა და გაოცების განცდის ნათლიერისი ნავლობისა, რომელნიც უცოდველობის სიწმინდე – სიწრფელითა და მართლისა უმანკოების ნეტარისი განცდით განისვენებენ სტრიქონებს შორის. „ლექსი არის უნებური სიზმრით შემოსეული“ (გ. ტაბიძე. „მოვა... მაგრამ როდის?) ოკაზიური პოეზია არის სიტყვის სიმსუბუქეში განფენილი საიდუმლო, რომელიც შორეთის შორითშორისი შრეების სიმადლეებს ესივრცება...

„რა არის ცარიელი სიტყვა?“

სიტყვას აქვს შინაგანი კანონები, რომლის საშუალებითაც იგი ძლევამოსილი ხდება. ეს კანონები უმრავლესობისათვის „terra incognita“-ა. ეს ის კანონებია, რომელიც გრიალის შთაბეჭდილებას აძლევს ლაქორგის პიმნს, დედამიწის გარდაცვალების გამო, რომელიც საბედისწერო იდუმალებად ხდის ედგარ პოეს უკვდავ ყორანს, რომელიც სიმწარით აქვითინებს ვერლენის შემოდგომის ჭიანურებს. ეს ის კანონია, რომელმაც ნისლში გაატარა ალექსანდრ ბლოკის „უცნობი ქალი“. აბსურდამდეა მოსული მთელი თანამედროვე პოეზია: არაფერი ამისი მსგავსი ეხლა არ იწერება“<sup>7</sup>.

შეცნობა-შემეცნება ლექსში გაცხადებული სიტყვის ინფორმაციულობის შემცველი მნიშვნელობისა, ლირიული მელოდიის სწორი აღქმით იწყება. ოკაზიური პოეზია მკვეთრად გამოხატული მუსიკალური ლექსია. მუსიკალური ტონების გამრავალფეროვნებით, უცნაურ-ასოციაციურ, მუსიკა-ტონებით გაჯერებული ბგერები სიტყვათა ხშირ შემთხვევაში ალიტერაციული თამაში თამაშით განფენილი ლექსთა სტრიქონებზე, დასტურია იმისა, რომ ოკაზიური პოეზიის მთავარი დანიშნულება ლექსში არის მელოდიის ღვთაებრივობა, რომ მუსიკა არის ერთადერთარსი ღმერთი და მხოლოდ მუსიკის განმდრთობის მერე ხდება შესაძლებელი სიტყვის განმდრთობა, ოდენ მხოლოდ მელოდიის სწორად გაგებინება მიგვაახლებს სიტყვის იმ ამოუცნობ საიდუმლოს,

<sup>6</sup> კ. დანელია. ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან. ტომი I. თბილისი, 1998, გვ. 385.

<sup>7</sup> გალაკტიონ ტაბიძე. საარქივო გამოცემა 25 წიგნად. წიგნი 13. 2006, გვ. 231.

რომელიც არის ადამიანთათვის მაინც შეუცნობელი ღმერთი... მუსიკა ოკაზიურ პოეზიაში ქრისტეს იპოსტასია, რომელიც კაცობრიობას მოველინა იმისთვის, რათა მამა ღმერთი, შემოქმედი ყოველივე ღირებულისა შეგვამეცნებინოს და განგვაცდევინოს, როგორც ერთდერთარსი ჭეშმარიტება და სინათლე მოვლემარე სულისა... მუსიკა, იგივე ცოცხალი სიტყვა (მაცხოვარი) არის შემაერთებელი მამასთან დაკარგული კავშირისა. ცოცხალი სიტყვის (მუსიკის) არსისეული აღქმა განაპირობებს მიახლება-ზიარებას სიტყვა-საწყისთან, რომელიც ქრისტიანულ მოძღვრებაში მამა ღმერთის ხატ-სიმბოლოა. სიმბოლო, რომელიც ადამიანთა სულიერ-ინტელექტუალური თვალსაწიერის სიფიწროვისა და სულიერების სიმცირისა გამო, რჩება უცნობელი...

ნათელსახიერია ის, რომ მუსიკა-პოეზია უფრო რიტმულ-მელოდიური განცდით საცნობელია და არა სიტყვის ინტუიტურ-მისტიური წვდომით. საიდუმლოებანი სიტყვისა მაგიური ძალით არიან განფენილნი მელოდიის უსასრულობის სულიერებაში, რომელიც სიტყვით უნდა აიხსნას. სიტყვა აქ ასრულებს პოეზიის არსის განმსაზღვრელ ფუნქციას. მას ევალება მუსიკის შემეცნების გზით ასახოს ლექსში სახიერად არგაცხადებული, უცნობადობის ფარულ განცდაში უთუოდ არსებული მოვლენა და წარმოაჩინოს აზრი, მთავარი სათქმელი პოეტისა.

ოკაზიურობა პოეზიისა საიდუმლოს შეცნობის შეუცნობლობის მშვენიერებაში მდგომარეობს. ღვთაებრივი საიდუმლო, რომელიც მარადმყოფობს პოეტურ არსში უკვდავებისად განივთული განგვაცდევინებს კოსმიური სიმშვიდისა და მსუბუქი სისადავე-მსვენეიერების უნატიფეს განცდას, მაშინაც კი, როდესაც სულს სწყურია შვება, ღონემიხდილი, ტკივილებით დასერილი სულისთვის...

„ნება მომეცით, ვიყო თქვენს ახლო,  
(თქვენს ახლო) როგორც უცნობი და შორეული.  
(ირონიული) მოუსვენარი სული უსახლო,  
(თქვენში) თქვენთან სიცილით ცამორეული.  
არ გთხოვთ სიყვარულს: ვიყავი ღირსი,  
და არ მეღირსა,(უბედურს) არასდროს იგი“.  
(უსათაურო)

უსაზღვრო სიყვარულის თანაზიარობის ნიშანს აცხადებს გალაკტიონი ლექსის სისადავეში. სახარება გვასწავლის: „ღმერთი არს სიყვარული“ და ოდენ მხოლოდ ღმერთის სიყვარულით არის შესაძლებელი იტვირთოს შემოქმედმა (პოეტმა) ცასა და მიწას შორის არსებული ცოდვა-მადლის ტვირთი, რომელიც ადამიანური ტრაგიზმითა და უიმედობის ტკივილით არის გაჯერებული. პოეტს სულის ხსნის უმთავრეს ელემენტად სიმღერა-პოეზია მიაჩნია, რადგან იგია ადამიანის ღვთაებრივი პროვედენციის გამოვლინებისა და მესიანური ფუნქციის გამომჟღავნების ნათელიერ-სახიერისი ფორმა, რადგან სულიერად ამაღლებული პოეტი დემიურგის თანაფარდი და თანაზიარია.

სიტყვის მელოდიურობა ორგანიულ კავშირშია აზრის განვითარებასთან და ასეთ შემთხვევაში სიტყვა პირველად მნიშვნელობას კარგავს, ამიტომ იგი განზოგადებულია და აბსტრაქტულის მნიშვნელობას იძენს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის პოეტური ხატის ჯერაც უცნობად-უცნობელი პოეტური ბუნების გამოვლინებასა და მის არსობრივ – აზრობრივ მნიშვნელობას...

„შეხედეთ თანამედროვე ადამიანს: მისმა უკანასკნელ საზღვართა (სულიერმა) ძებნამ გადააჭარბა ყოველგვარ ფანტასმაგორიას. მისმა სურვილებმა, რომ გამოზომილ იქნას სივრცეთა უფსკრულები უშორეს მზეების და ცისარტყელების სპექტრის საფუძველზე, მიიყვანა იგი გამოგონებათა უგონო ორგამდე“.<sup>8</sup>

სასიამოვნო განცდის დასაბადებლად პოეტი მიმართავს ენაში პოტენციურად არსებულ სიტყვათა ნაირფეროვან მოუამ-აქამომდე გაუმჟღავნებელ მარაგს. პოეტს ებოძება უხილავისაგან სიტყვიერი განცდის ინტუიტური არსითწვდომის უნარი, რომლის მეშვეობითაც პოეტი ახორციელებს ახალი სიტყვა-სინამდვილის, ახალი სიცოცხლის ლექსად დაბადების შესაძლებლობას. ამგვარი ქმედება ენათმეცნიერული თვალსაზრისით დასაშვებია, ვინაიდან „ადამიანის დაუდგრომელი და მაძიებელი გონი შინაარსის მისთვის სასურველი ფორმით გამოხატვის მისაღწევად იძულებულია ხშირად დაარღვიოს ენის საყოველთაოდ ხმარებული, უზუსით მიღებული ნორმები. ასეთი დარღვევის აუცილებლობას სხვაზე მეტად გრძნობს პოეტი და

<sup>8</sup> გალაკტიონ ტაბიძე. წინათქმა. საარქივო გამოცემა. წიგნი 23. თბილისი, გვ. 163.

ამ უკანასკნელს იმდენად ხშირად უხდება ტრადიციული ნორმიდან გადახვევები, რომ ბოლოს და ბოლოს მას, სხვათაგან გამორჩევით, მოპოვებული აქვს ამისი უფლებაც ე.წ. პოეტური ლიცენციის სახით“.<sup>9</sup>

ქართული ენა თვისი განუხაზღვრელი გამომსახველობითა და გამომხატველობითი შესაძლებლობებით, ქართულ სალიტერატურო-სამეტყველო ენას ცხადსახიერისად უმქლავნებს უსასრულო-უსაზღვროებას პოეტურ-სიტყვიერი ენის ნეტარისი სილამაზისა.

გალაკტიონის პოეტურ-ენობრივი აღდგომა მეშვეობით აღმოჩენილი მაგიურ-მელოდიურ ბგერათა შესიტყვებანი, სიტყვათა მსუბუქი თამაშითა და თამამი ნავარდით მიმოიბნევიან ხოლმე სტრიქონთა ხაზებზე, სადაც ოდენ-მარტოოდენ სიცოცხლეს ჰპოვებენ სულისთვის სამარადუამოს. პოეტის მიერ „ნოვატორული სიტყვებით“ აღმოჩენილი“ მრავალი ოკაზიური სიტყვა-ფორმა ცოცხლობს მხოლოდ ავტორის პოეტურ კონტექსტებში“ (ენათმეცნიერი ვინოკური) და არა ქართულ ენაში.

მშვენიერება ლექსისისა, იდეურ-ესთეტიკური ხასიათის შეცნობისა და მაღალემოციურ – მხატვრულობისა, მდგომარეობს ფორმისა და შინაარსის განუყოფელ ერთიანობაში. „შინაარსი არის მხატვრულ ნაწარმოებში გარდასახული სინამდვილე, საზოგადოებრივი მოვლენების, ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა მხარის ჩვენება ავტორის შეხედულებათა გარკვეული პოზიციიდან. მაგრამ იგი განსხვავდება კონკრეტულ-ემპირული ფაქტებისაგან და უპირატესად ამაღლებულისა და ამაღლებულების სახით გვევლინება“ (ა. ჭილაია. „ლიტერატურის მცოდნეობის ძირითადი ცნებები“).

ლექსში არარსებული იდეურ-ესთეტიკური მშვენიერება პოეტურ-სიტყვიერ ნიშან-ხატებისა, ოდენ მხოლოდ უსაგნო სიტყვათა თამაშს ემგვანება, თუ ლექსის შინაარსში სულიერ-ინტელექტუალური თვალსაზრისით ამაღლების დაუოკებელი ზემსწრაფველი სურვილი არ დევს, თუნდაც მცირედი, ახლადშეფთილული იდეურ კვირტად. თუკი იდეად წოდებულ ლექსით ხატში, სწრაფვას სრულყოფილებისაკენ, მისი დაუფლებისა და დაუნჯების დაუცხრომელ თანაგანცდას ვერ ამოვიკითხავთ, მაშინ იგი სიტყვათა თამაშისა მხოლოდ და არა ნამდვილი პოეზია. პოეზია უიდეო, ისეთივე უმწეო და უუნაროა, როგორც სიცოცხლე უშინაარსო... სიცოცხლე განცდისა და გრძნობის გარეშე, რომელსაც ასევე წარმართავს საზრისი – გონი და გონიერება, რაც ამქვეყნიურ სასივრცეთში სიცოცხლის უმთავრეს წეს-განგებულებას განაპირობებს. ყოფის ჭეშმარიტ არსს განსაზღვრავს...

ლექსში უცილობელ არსებული „ფორმა არის ნაწარმოების არა მარტო შინაგანი ორგანიზაცია, არამედ გამომსახველი კომპონენტების პოეტური შერწყმა, ამ მთლიანობის ესთეტიკური გამოვლენა“. ფორმის უმთავრესი ფუნქცია პოეზიაში განიცდება ერთადერთარსი დანიშნულებით: „ფორმა შინაარსის გამოვლენის ფორმაა“.<sup>10</sup>

პოეზიის უკვდავება და ხარისხი ლექსის პოეტური ოსტატობისა, მდგომარეობს ფორმისა და შინაარსის მუდმივ-შეწყობილ ერთობლიობაში, „ურთიერთდამოკიდებულებით“ განპირობებულნი რომ მიიღტიან მაღალ-მხატვრულ დონეზე ამაღლებისაკენ, მოკვდავთა ენაზე მარადიულს რომ ვეძახით...

პოეტურ ლიცენციაში, მიმართება ფორმისა და შინაარსისა, ხასიათდება შემდეგნაირად: ფორმა განასახიერებს მუსიკას, რომელიც მორგებული არის იმ სათქმელს, რაც ოდენ მხოლოდ ზეგემოვნებანი მკითხველისთვის არის გასაგები, თუ საცნობელი. სათქმელი ფორმაში ვლინდება და ამავე დროს ფორმა ფარავს თავის ფარულ-ფერთა გამაში, მისტიურ მელოდიკაში მთავარ სათქმელს, რომელიც არასგზით არ უნდა გამოვლანდეს, ცოტაოდენ მაინც უნდა ინარჩუნებდეს ზებუნდოვანების საიდუმლოსა და მაგიურ-მისტიურ ნიშანს.

პოეტურ ლიცენციაში განხატებული ხატ-სიმბოლოები, დაშიფრული კოდია, რომელიც ყოველთვის რჩება თანაგანმცდელობათვის იდუმალ-ფარული, შორეულ-ახლობელი, განცდისეულად განცდილი და ამავედროულად ჟერაც განუცდელი, უკვე მრავალგზის ნაცადი ფიქრისა და მცდელობისა, რათა ეზიაროს მკითხველი სამყაროს არსთაგანუშორებელისა და სულთაგან განუყოფელი, ნატვრაარსითი შემოქმედებისა მშვენიერებას, რომელსაც უმაღლესი აზროვნების სფეროს – პოეტურ ლიცენციასა და ოკაზიურ სირმებს ლექსით ხატ-სახისას ვეძახით. გალაკტიონის ამგვარი სახით არსებულ პოეზიას დიადი დიადება დაბადებიდან დაჰბედებია, სწორედ მუსიკა-

<sup>9</sup> კ. დანელია. ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან. ტომი I. თბილისი, 1998, გვ. 383.

<sup>10</sup> ა. ჭილაია. ლიტერატურის მცოდნეობის ძირითადი ცნებები. თბილისი, 1971, გვ. 512.

პოეზიაში უნდა ვეძიოთ ალბათობის ნებელობაში არსებული, მიღმა-გზამკვლევი ლაქვარდისი სილამაზე ჭკეშმარიტად ღირსარსი უკვდავობილი პოეზიისა...

„ჭკეშმარიტი პოეზიის თილისმურ ძალას შეუძლია, რომ ენობრივად აუტანელი ზოგჯერ ასატანად წარმოგვიდგინოს, ან ენობრივად არასწორ ფორმაში მაინც სწორი ფორმის შინაარსი გვაგულისხმებინოს ქვეცნობიერად, იმპულსურად. მაგრამ ენათმეცნიერს უჭირს ასეთ შემთხვევაში მიმტვევბელი დუმილი, მოურიგებელი რჩება პოეტური და ლინგვისტური თვალსაზრისები. როცა შინაარსი ეწირება ფორმას – ეს ასატანია პოეტისათვის, მაგრამ აუტანელია ენათმეცნიერისათვის. ასეთ „კონფლიქტურ სიტუაციაში“ ორივე მართალია თავ-თავისი პოზიციიდან“.<sup>11</sup>

გალაკტიონი, როგორც დიადი შემოქმედების დამბადებელი, ინარჩუნებს უფლებას ნამდვილი პოეზიის დანერგვისა ლიტერატურულ სივრცეში, რომელიც უსათუო და უდავო საჭიროებით გამოწვეული აუცილებლობით ხასიათდება... ამგვარ რეალობაში პოეტი რჩება მართალი და უცდომელი ენათმეცნიერების წინაშე. და მიმტვევბლობას ენათმეცნიერთაგან არ ელოდება, ვინაიდან, სადაც ცდომილებაა, პატივაც იქ არის უსაჭიროესი, თუ არარს ცოდვა, შენდობას არსებით გაიღებს შემნდობელი...

ლიცენცია-პოეტიკა აზრობრივ-არსისეული თვალსაზრისით სულიერ მგრძობელობას უკავშირდება. უმძაფრეს შეგრძნებებს, ინტუიტურ წვდომის უნარსა და განჭვრეტას მოითხოვს მკითხველისაგან, რათა დაშიფრული კოდი, სიტყვათა ხატ-სიმბოლოებისა, თანაგანმცდელთაგან განცდისეული განწყობის შექმნის გზით აიხსნეს. განცდა რაიმესი ნიშნავს ნებისით მიახლებას იმ სანუკვარ საიდუმლოსთან, იგივე პოეტურ საწახართან, რაც ტკივილისა ძალმოსილებისა გამოც გაბუნდოვანებას იწვევს სიტყვებისა, რამაც უნდა წარმოშვას მისტიკა-პოეზია. გალაკტიონს არ სჩვეოდა სიტყვიერი ჩივილი მწუხარებაშემოსილი სულის ტკივილისა. იგი ფიქრობდა, რომ ყველასათვის გამჟღავნება სულიერი მწუხრისა არაკეთილგონივრულია: „მე ვიცი ადამიანები, რომლებიც იტანჯებიან ჩუმიად, უსიტყვოდ. არავის არ ესმის მათი მწუხარება, რადგან ისინი არავის არ უზიარებენ თავიანთ ფიქრებს... მე მიყვარს ასეთი მწუხარება. სიტყვით ნათქვამი, ყველასათვის გასაგები მწუხარება – ყალბიცაა და დამახინჯებელიც“ (გ. ტაბიძე. უბის წიგნაკიდან). ტკივილი პოეტის მარადი საგზალია უსაჭიროესი, სხვა, უფრო დიდი და დიადი პოეტური ხატ-ქმნილების შესაქმნელად. ტკივილუკურნი სატკივარი გვირისტად ჩაკირული პოეტის გულის-გულში, თავნებისად ბადებს ხოლმე სათქმელს, ლექსის წერის უდავო საჭიროების აუცილებლობას...

იყო თანაგანმცდელი სხვისი ტკივილისა, ადვილებს ბუნდოვანების შექ-ჩრდილებით მოსილ სიტყვა-საიდუმლოსთან მისასვლელ გზას. საიდუმლოს არსი კი სწორედ რომ მდგომარეობს იმაში, რომ არასგზით არ იქნეს გაცხადებული ის საიდუმლობანი პოეტურ სიტყვა-შუქურთმებისა, რაც ყოველი სულისთვის არ იწერება. არ არის საჭიროება იმისა, რომ თანაგანმცდელი მას ისევე განიცდიდეს, როგორც ამას განიცდის პოეტი ან, სულიერ-ინტელექტუალურად ამაღლებული ზეგემოვნებიანი მკითხველი. ნათელია, რომ ბუნდოვანების პოეზია გალაკტიონისა გასაგები და ხელმისაწვდომი ვერ გახდება ყველასათვის. იგი მასისთვის არ იწერება...

„ნერონის ცეცხლზე იფიქრო კაცმა,  
ახალი გწავდეს მზე უვედრები  
და განიცადო ასეთი ჯვარცმა,  
უბედურება, რღვევა, ცხედრები.  
დახავსებული კარებით შევლა,  
სად ყვავილების ჩუმია შფოთი  
და განიცადო ასეთი წყევლა:  
გილიოტინა და ეშაფოტი“.  
(„თბილისი“)

მშვენიერება სიტყვისა და ტრაგიზმით შემოსილი მოვლენის არსისა მდგომარეობს პოეტური საიდუმლოს სიახლოვე-მიუწვდომლობაში, ნაცნობსა და უცნობადობის ღვთაებრივ ნისლოვანებაში, ღვთაებრივ ნებელობაში, თუ პოეტს არ სურს საიდუმლო გაცხადებული ვერ იქნება, სწორედ ბგერათა თანმიმდევრული თანწყობის შედეგად, რასაც ქმნის თავად გალაკტიონი, კოდირებული სიტყვა, ან ბგერათა რიტმული ნაერთი, რომელიც ხშირ შემთხვევაში შინაარსგამოურკვეველი

<sup>11</sup> კ. დანელია. ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან. ტომი I. თბილისი, 1998, გვ. 397.

რჩება, მხოლოდ გალაკტიონის მიერ არის საიდუმლოებით მოცული და მხოლოდ მას ძალუძს მისი გაგება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მკვლევარის თვითმიზანი არ უნდა იყოს შიფრის გახსნა, მთავარია მასში, რაღაც შენეულს მიაგნო და არ გახდეს ბრიყვი გამცხადებელი გალაკტიონის ენითაუწერელი ტკივილისა, რადგან არავის ძალუძს სხვისი ტკივილის სახიერი გადმოცემა. იმას, რასაც ერთი ინდივიდი განიცდის, ის მხოლოდ მისი კუთვნილებაა, სხვის ტკივილზე მაღალფარდოვანი სიტყვებით საუბარი, ყალბია და გარკვეულ უხერხულებებს ქმნის. პოეზიაში სიყალბე დაგმობილია. „და პოეზიის ნათელი დროშით იხავერდება ოცნება ჭრელი“ („საახალწლო ეფემერა“).

გალაკტიონის „ნათელი პოეზია“ ხელშეუვლები, შეუცნობელ-მიუწვდომელი პოეტური ხატქმნილებაა, რომელიც არსებობასა და სიცოცხლეს მხოლოდ და მხოლოდ საიდუმლო ყოფაში განაგრძობს...

„დგება თეთრი დღეები,  
რიდების სეზონი;  
გაჩნდნენ ორხიდები  
ყოველად უმიზეზონი“.  
(უსათაურო)

გალაკტიონის ხელთუქმნელი სილამაზე სულისა და ამ სულის ფარულ შრეებში უკვდავ-ლოცვად შენივთულ-შესივრცული, ფერუვალ ფერადონებით მოსირმული მუსიკა – სიტყვა ტონების თავნებანაველობა ლექსით სტრიქონებზე და რიტმულ-მელოდიური თამაში ბუნდოვანების სმიერებისა არის პოეტური ლიცენცია (ოკაზიური ფორმები).

მიუწვდომლობისა გამო, ამგვარი სახით არსებული პოეზია ინტერესისიშემცველია და ყოველთვის გამოირჩევა თავიანთი ცემის ღირსარსი გრძნობით.

ქართული სული ოკაზიურ შექურთმაში განფენილი, უცნობად-ნაცნობი განცდით ივანებს თანაგანმცდელთა გულებში, რათა თანაარსობითა და საიდუმლოსთან ზიარებით, ახალი სიცოცხლე შეიძინოს. სიცოცხლე, რომელიც ყოველთვის ნიშნავს არსებობას, ფეთქვას, ქმნადობასა და სურვილს ქმნადობისა და ყოველივე იმას, რაც სასიცოცხლოდ არის აუცილებელი. იმას, რაც არის და იმასაც, რაც ადამიანს სურს, რომ იყოს. იყოს, რადგან მარადისია მხოლოდ მარადიული, მარადმიღმური არე, რომელიც ყოველთვის მარადყოფნის ნატვრია... არყოფნად, მოსპობად, დასაღუპად რომ გენანება...

„ჩვენ ვეძებდით რამე ღრმას, გვსურდა რამე ქართული.  
რითმა – ნიუანსები, რიტმიული ლანდები.  
სად არიან ყველა ამ მორევებში ჩართული  
მენადები – გედები და ფრთები – ინფანტები?“  
(„გოტიეს“)

„გულსაკვირველი“ (გალაკტიონისეულია) „პოეზია შესწავლილი უნდა იქნეს, როგორც პირწმინდა ქლერადობა: უნდა ვიკითხოთ და გადავიკითხოთ იგი, როგორც მუსიკა, და დეკლამაციაში არ ჩავრთოთ არც აზრი და არც რაიმე განზრახვა მანამ, სანამ ზედმიწევნით არ აღვიქვამთ ბგერათა სისტემას, რამაც ლამის არარაობიდან უნდა შემოგვთავაზოს ლექსი.

მე მელოდიას უფრო ვუგდებ ყურს“ (გ. ტაბიძის უბის წიგნაკიდან).

გალაკტიონი ხშირად იხსენებდა ხოლმე გერმანელი რომანტიკოსის სიტყვებს: „როდესაც მდეღვარება შემიპყრობს და მისი გამოხატვა მსურს, მე ვეძებ არა სიტყვებს, არამედ ბგერებს“ (ჟან პოლ რისტერი).

„უსიტყვო რომანსების“ ავტორის – პოლ ვერნელის უნატიფესი ლექსი – „პოეზიის ხელოვნება“, რომელიც სიმბოლიზმის არსის ხატსახიერების განმსაზღვრელია, იწყება შემდეგი სიტყვებით:

„მუსიკა – უპირველეს ყოვლისა“!  
(„პოეზიის ხელოვნება“. პოლ ვერლენი).

გალაკტიონი ნებაკეთილი გავლენითა და განცდით აღვსილი (ვიგონებ ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას“) გამოეხმაურა პოეზიის მამას:

„პოეზია უპირველეს ყოვლისა“!

(„პოეზია უპირველეს ყოვლისა“. გ. ტაბიძე).

„არის პოეზიაში მუსიკა არა ქვების (მაღარმე), არა არტიკლების (გერმანელი პოეტები), არა ნიუანსების (ვერლენი), არამედ სხვა ნიჭის, ნიჭის და კიდევ ნიჭის. ეს მართალია პარადოქსია, მაგრამ სხვანაირად ვერ ახსნით ამას. სიტყვა არც რომანსია, არც სუიტა, არც ოპერა, – ამათ ჰყავთ თავიანთი კომპოზიტორები. სიტყვა გამოძახილია მხოლოდ სხვა დიდი მუსიკის, რომლის სახელიც უნდა მოინახოს“ (გ. ტაბიძე).

გალაკტიონი ნატრობს: „ჰქონდეს ნეტა – ენა  
დარდთა გამდენი,  
გვითხრას“ – რაიმე...

„საგნებს აქვს თავისი მუსიკა და პოეტმა სწორედ მას უნდა მიაგნოს“. გალაკტიონის წარმოსახვაში არსებული ყოვლისშემძლე „ნეტა – ენის“ მეშვეობით, პოეტისათვის შესაძლებელი ხდება მისტიერ-უგნებელი, ნეტარ-უცნობელი რეალიების აღმოჩენა და მშვენიერების პოეტურ ენაზე ამღერება-ამეტყველება და მისი მელოდიურობის ლექსით ხატში გადმოცემა.

პოეტური ლიცენციისა და ოკაზიური სიტყვათქმნადობის ნათელსახიერადი განხატებაა გალაკტიონის პოეზიაში ზომიერნებელობით შექმნილი ხატ-ქმნილებები პოეტის იდუმალმეტყველი პოეზიისა:

1. „აიადონებს“ („როგორც კი დილა გათენდება“).
2. „ცა უმორეო“ („დროის უარყოფელი“).
3. „ფრთები ნამკათათვარი“ (უსათაურო).
4. „ცას შეეშენები“ („დრო“).
5. არ საამსოფლო“ („ოფორტი“).
6. „ძლიერ საოცია“ („ვარსკვლავია“).
7. „ცავ, ლილიანო“ (უსათაურო).
8. „არ-აქაური“ (უსათაურო).
9. „ით მოაიაგებს“ („დაფნა“).
10. „მდუმარ ნასაკირალს“ („გურიის მთები“).
11. „შუქი აღმაცერი“ („ატმის ყვავილები“).
12. „წყალთა ლიკლიკი“ („ატმის ყვავილები“).
13. „კუპრის ნაკადია“ („რომელი საათია“).
14. „ალოცება სატანის“ („გვიანი ოცნება“).
15. „ცა გასალანდელი“ (უსათაურო).
16. „ცრემლთა ნაწამწამარი“ („დრო ისევ რუსთაველს ელის“).
17. „ოდეს ფანტომებს დაენდომები“ („ეფემერა“).
18. „ვარდებში რგული“ („ზღაპრებიდან“).
19. „ველი ნელეებს“ („ზრაპრებიდან“).
20. „დაისრული“ („აუზისაგან“).
21. „ცისმარი“ („მე მოვალ“).
22. „აშადრეგება“ („სახალწლო ეფემერა“).
23. „ანგელოსები უედემონი“ („ცხრაას თერამეტი“).
24. „ცრემლ-ნატოვარი“ („სიმღერის მინდა მე წამოწყება“).
25. „მარადისობად გახადა“ (უსათაურო).
26. „მარად ესახსოვრება“ („პოეზიის ინტეგრალები“).
27. „ცაიერადი“ („იერი“).
28. „მზით გადანაცხარო“ (უსათაურო).
29. „ჯეჯილის მარაო-ქროლა“ („გზაში“).
30. „ექებს ციაგებს“ („გზაში“).
31. „უპირქუბო“ („ათოვდა ზამთრის ბაღებს“).
32. „ფერი და ფერვალი“ („საუბარი ედგარზე“).
33. „არ დამცარო, მზე“ („ყვავილები დაღვინო“).
34. „სინაზეთი“ („ახსნა“).
35. „გზებს ალით შემოამძივებს“ („არწივებს ჩასძინებოდათ“).



36. „სიშორეში ჰაეროვნად ლილიანდები“. („შენ გვიანდები“).
37. „ზარით ებანიო“ („ათი ქალწული“).
38. „შევედრები“ (უსათაურო).
39. „ცას შელეკია“ („იმ, ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვაილებს“).
40. „ცად განიმედი“ (უსათაურო).
41. „შენ ნანიებ“ („ვარსკვლავია“).
42. „ეალუბლება“ („არასდროს ბედი არ ყოფილა ისე ცბიერი“).
43. „შეღამებამ ითანდათანა“ („ცხრაას თვრამეტი“).
44. „ქარივით მოქარავანე“ („თბილისი“).
45. „მოკისკასეთი“ („ადრიანი გაზაფხული“).
46. „ნათილისმარი“ („ელეგია“).
47. „ესარკებოდა“ („ისევ ვეფემერა“).
48. „ფრთებს განიმედებს“ („ზღვის ვეფემერა“).
49. „არ უნანავა“ („ქალაქში“).
50. „ქართლზე ვედრებდა ჯვარი“ (უსათაურო).

გენიოსის გენიით გაცხადებული გენილური ნება გალაკტიონის – იდუმალ-პოეზიისა, სიცხადის სახიერებაში ცნაურდება, როგორც სიყვარულშეუნელები უკვდავება, ნისლოვანება შევანებული, მიღმურ-მელოდიასიტყვისა, რომელიც თავად არის კეთილსამყაროსა შემოქმედი ღმერთი...

პოეტური ლიცენცია (ოკაზიური ფორმები) გალაკტიონის პოეზიისა, პოეზიის თხზვის განსაკუთრებული მეთოდია, ამ დროს შემოქმედი, არა მხოლოდ განსხეულებაა ღმერთის ღვთაებრივი ძალისა დედემიწაზე, არამედ თავად არის იგი ახალი ღმერთი, რომელიც თავად ბადებს ახალ სიტყვას, ახალ სათქმელს წერს ახალი სამყაროსათვის – განახლებული საქართველოსთვის, რომელმაც სიტყვა – მართალი მიივიწყა და გადაეწვია სიმართლეს...

ცოცხალი სიტყვა, რომელიც მაცხოვრის ხატად იშვა და მოეფინა ბნელით მოცულ ქვეყნიერებას, ადამიანებმა გადაკარგეს, უცნობადობის სივრცეში განუცდელად დააბინადრეს. ამგვარ ყოფაში ადამიანი სათნოებითი ცხოვრების წესრიგის განცდას კარგავს და რჩება შეუშოსავი და დაუცველი ქაოტური სამყაროს წინაშე.

პოეტი მესიანური ვალის აღსრულების სურვილით ფუნქციობს დედამიწაზე და ცდილობს სამყაროს ლაჟვარდისი მშვენიერება გამოსტაცოს ქაოსს, სიბნელესა და უმეცრებას. გალაკტიონის პოეტური ენა სხვასამყაროულია – „არ-აქური“. კოსმიური სიმწყობრე-სიმშვიდის მქადაგებელი – „ახალი ღმერთი“, (გალაკტიონი) სამყაროში ადამიანებს სხვათა ენაზე ესაუბრება. სხვათა ენა – პოეტური ლიცენციად წოდებული მელოდია – სიტყვებია, გამორჩეულად მშვენიერისი – „ნეტა ენა“ (გალაკტიონისეულია), ყოფით ენაზე მუსიკა პოეზია.

გალაკტიონის ღვთაებრივი მელოდიის იდუმალ – ლირიულობაში განფენილი ყოველი სიტყვა, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულის საიდუმლოს მატარებელია... საიდუმლოსი, რომელიც ფარულ-მდუმარებაში, სიტყვის უმეტყველო ხმიერებაში არსით საგრძნობ-საცნობელია. არსთაგანუყოფელი აუღერებული გრძნობა, სამყაროს ყოვლისმომცველი სიყვარულისა – პოეტური ლიცენცია და ოკაზიური მეტყველება პოეტური შექურთმებისა, სიტყვის მაგიურ მნიშვნელობას აუკვდავებს. ამგვარი სახით არსებობა პოეტური ხატ-სიმბოლოებისა, აადვილებს გზას უკვდავებისაკენ მიმყვანებელს და აზიარებს სულს ზნეობრივ მშვენიერებასთან, უმთავრეს სიტყვა – საწყისთან, რომელიც უდავოდ არის ჭეშმარიტი ღმერთი, ურომლისოდაც პოეტურ სულს ვერ ექნებოდა ნეტარისი განცდა ჟამუკვდავ ბედნიერებისა, დამაშვრალი სულისთვის.

პოეტური ლიცენციისა და ოკაზიური ფორმების ნატიფ-ნაირგვარობაში განხატებული, რიტმულ-ჰარმონიული უღერადობით ღექსში იდუმალგაცხადებული მშვენიერება სიცოცხლისა და სულიერისი მწუხრი, გალაკტიონის ვნებით დაისრული სულისა – პოეზიის საუფლოში „ნეტა ენად“ განიცდება.

ამსამყაროულისა და სხვასამყაროული ფერადონების ლაჟვარდისი სილამაზის ნეტარ-საიდუმლოს განხატებაა გალაკტიონის ღექსად ამღერებული იდუმალმეტყველი ლირიული მოტივი პოეტური ლიცენციისა და ოკაზიური სიტყვაფორმებისა. უცნობად-ნისლოვანების ბაკით მოსილი მშვენიერება სიტყვათა მისტიკურ-არიებისა, მუდმივინტერესშემცველია და მარად საფიქრალს

აღძრავს მკითხველში გალაკტიონის „გულსაკვირველი“ პოეზიის თანაგანცდისა და უკვდავშობილი სიტყვის შეცნობისა.

**Tamar Samsonishvili**

## **The poetic language of Galaktion Tabidze embodies the beauty of transcendental universe**

Resume

The poet tries to ostracize the chaos from the universe and introduce cosmic order.

Galaktion Tabidze is the victim of the repressive epoch of „Bolshevism“, who has experienced the cruelty of that time on himself. Georgia for the poet is the motherland of “black Lucifer”, where the God and the spirituality are dead and the people are oriented on satisfying their biological needs.

Galaktion tries to bring back the lost God and love to humans through creating occasional forms of words (nonce words) in his poetries. „Poetic license“ (occasional forms of words) in his poetries gives new life and meaning to existing words enriching the Georgian vocabulary. Galaktion Tabidze is the reformer of words in Georgian poesy. He pays much attention to musical traits of the word and creates melodious nonce words. Poet applies new mystical meaning and melodious sound to the word and puts it in a specific poetic context. Nonce words are unique and context bound and do not tend to find their permanent position in a language.

Symbols reflected in nonce words have multiple meanings. It's worth noting that the secret carried by the nonce word is never completely deciphered by the reader. The beauty of such words lies in its vagueness.

## „ღიარა“ ანუ საქორწილო ლხინი და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები სამეგრელოში

უძველესი საქორწილო წეს-ჩვეულებანი ჩვენში დღემდე არის შემონახული. წერილობითი ძეგლებიც სიუხვეს იხენენ ამ მხრივ, „ქართლის ცხოვრების“ ისტორიკოსი აღტაცებით აგვიწერს თამარის ქორწილს. აღნიშნულია, თუ რა წესი არსებობდა XII საუკუნეში ბრწყინვალე არისტოკრატთა შორის, მაგრამ იმავე „ქართლის ცხოვრებაში“ არაფერია ნათქვამი დაბალ ფენებში გაგრძელებულ ჩვეულებათა თაობაზე.<sup>1</sup>

XVIII ს-ის პოეტი თეიმურაზ II თავის „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასებაში“ დიდი დაკვირვებით აღწერს საქორწილო ჩვეულებებს.<sup>2</sup> ასეთი დეტალური აღწერა ამ ოდინდელი ჩვეულებისა ჩვენს მწერლობაში მეორე არ მოიპოვება. მასობრივი სახალხო წესების გაცნობა ჩვენ შეგვიძლია მდიდარი ეთნოგრაფიული მასალებით, რომელიც შეკრებილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.<sup>3</sup>

ძველი ჩვეულების მიხედვით, ქორწილს ყოველ საფეხურზე თან სდევს სიმღერა-მაყრული. განსაკუთრებით მაყრული ლექსი მრავლად ითქმის დედოფლის წაყვანის დროს გზაზე და მეფის სახლში.

წეს-ჩვეულება ისტორიულ კატეგორიას განეკუთნება. იგი საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე იხენს თავს და ამნაირადვე გარკვეულ საფეხურზე ქრება, ისტორიის არქივს გადაეცემა. ამ ბედს იზიარებს თვითონ წეს-ჩვეულების ამსახველი ზეპირსიტყვიერების დიდი ნაწილი, მაგრამ არა მთლიანად.<sup>4</sup>

ხანგრძლივი ისტორიული განვითარების მანძილზე ქართველმა ხალხმა შეიმუშავა ცხოვრების საუკეთესო წესი, შექმნა მდიდარი ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, ადათები, დღესასწაულები და შემდგომ თაობებს მემკვიდრეობად დაუტოვა სამოქმედოდ და სახემძღვანელოდ. ტრადიციის ცვალებადობა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველა ეტაპზე წარმოებდა.<sup>5</sup>

მეგრელთა საქორწილო წეს-ჩვეულება ოთხი ნაწილისაგან შედგება: 1. გინოძირაფა ანუ გასინჯვა საცოლისა (ფშავ-ხევესურული „დაკვლევა“). 2. შანუა ანუ დანიშვნა; 3. „მოყონაფა“ ანუ საცოლის მოყვანა საქმროს სახლში და 4. „ღიარა“ ანუ საქორწილო ლხინი. ქორწილი, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა, ყველა დღეს შეიძლებოდა.<sup>6</sup>

ჩვენ ამჯერად შევჩერდებით საქორწილო ლხინზე ანუ „ღიარაზე“. ქორწილი მეგრულად არის „ჩილის მოყონაფა“ ანუ ცოლის მოყვანა, ქორწილში იმართება ლხინი, რასაც მეგრულად ჰქვია „ღიარა“ (წარმოდგენილი ზმნისაგან – „ღიარუა“, რაც ჭმეულებას, ძონას ნიშნავს).<sup>7</sup>

რუსული საქორწილო რიტუალი რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა: 1. მაჭანკლის მიერ საპატარძლოს წინასწარ დაზვერვა, გადაკვრით (ნართაულად) ოჯახისათვის მოსვლის მიზეზის გამოცხადება; 2. შეთანხმება; 3. პატარძლის გამოთხოვება ახლობლებთან (გამოტირება „დევიჩნიკი“) ქალიშვილობის თმების დაწვნა; 4. ქორწილის დღე, 5. საქორწილო ლხინი.<sup>8</sup>

მეგრული „ვაშინერს“ იგივეა, რაც პოლინეზიური სიტყვა ტაბუ. ტაბუს თავისი შესატყვისი მოეპოვება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. სვანეთში მაადშიდ, ზემო იმერეთში მზნილობა (ბზნილობა), გურიაში ეს ტერმინი ცნობილია „ბრძნილობის“ სახით.

<sup>1</sup> მიხეილ ჩიქოვანი. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. თბილისი, 1952, გვ. 296-297.

<sup>2</sup> თეიმურაზ II თსზ. სრული კრებული. თბილისი, 1939, გვ. 26-27.

<sup>3</sup> მიხეილ ჩიქოვანი. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. თბილისი, 1952, გვ. 297.

<sup>4</sup> მიხეილ ჩიქოვანი. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. თბილისი, 1952, გვ. 482.

<sup>5</sup> გიორგი ახვლედიანი. ტრადიციების პრობლემა XIX საუკუნის II ნახევრის ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში.– ქართული ფოლკლორი, XII, თბილისი, 1982, გვ. 75.

<sup>6</sup> თედო სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი, 1956, გვ. 83.

<sup>7</sup> ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები. ტ. II. შემდგენლები კ. დანელია და ა. ცანავა. თბილისი, 1991, გვ. 553.

<sup>8</sup> А. Новиков. Русское народное поэтическое творчество. Изд. Второе, Москва, 1978, стр. 83-89.

ამრიგად, საწესჩვეულებო ტრადიციასთან დაკავშირებით ნახმარ პოლინეზიურ სიტყვა „ტაბუს“ თავისი შესატყვისი, ტოლფარდი ცნებები გააჩნია ქართველ ტომთა საწესჩვეულებო ტრადიციაში. „ბზნილობის“, „ვაშინერს“ და „მაადიშიდ“ ტერმინის სახით.<sup>9</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველყოფილმა პოეზიამ განუზომლად დიდი როლი ითამაშა წესჩვეულების სტრუქტურულ ჩამოყალიბებაში, მისცა მას ფორმა და ამ ფუნქციას დღემდე ინარჩუნებს.

ა. ნ. ვესელოვსკიმ პირველმა გამოყო ეთნოლოგიის მნიშვნელობა პოეზიის გენეზისის გაგებისაგან და, ნაწილობრივ, შეიმუშავა თეორია პირველყოფილი სინკრეტიზმისა ხელოვნების სახეებისა და პოეზიის გვარეობებისათვის. ამ სინკრეტიზმის აკვანი, ვესელოვსკის კონცეფციის თანახმად, იყო პირველყოფილი ჩვეულება, ე.წ. ხალხური-საწესჩვეულებო თამაშობანი.<sup>10</sup>

საწესჩვეულებო პოეზიის არსებითი ნიშანია ტექსტის სტრუქტურული შესატყვისობა წესჩვეულების შინაგან მოძრაობასთან, ხშირად ტექსტის სიუჟეტი მიჰყვება რიტუალს, თუმცა იშვიათად ახდენს მის სრულ კოპირებას. საწესჩვეულებო-რიტუალურ ტექსტში კარგად მოჩანს რამატულის შესრულების პლასტები, სათამაშო მომენტები.<sup>11</sup>

ჟანრობრივად სუფრული სიმღერა უძველესი წარმოშობისაა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული ბუნებით ხასიათდება. ამჟამად ჩვენ ვისაუბრებთ იმ საქორწილო სიმღერებზე, რომლებიც უშუალოდ სრულდება მეგრულ სუფრაზე ანუ „დიარაზე“.

ეთნოგრაფიული კვლევის საფუძველზე ირკვევა, რომ ქართული სუფრა, როგორც ეთნიკური კულტურის ორგანული ნაწილი, გენეტიკურადაა დაკავშირებული უძველეს ხალხურ საწესო ქმედებათა და სანახაობათა საწყისებთან.<sup>12</sup>

იგივე ითქმის მეგრულ ქორწილზე, რადგანაც იგი ერთიანი ქართული სუფრის შემადგენელი ნაწილია მცირეოდენი კუთხური თავისებურებებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქორწილის დღეს ქალიშვილის, ასევე ვაჟის მშობლების ოჯახში იმართებოდა დიარა-საქორწილო სუფრა, რომელსაც, ბუნებრივია, თავისი წესი ჰქონდა და მისი დაცვა მტკიცედ ევალებოდა ყველას. სასიძოს მაყარს თავად სიძე არ მიეყვებოდა. მათ ახლდა ნდობით მოსილი სიძის ახლო ნათესავი, რომელიც მაყრიონის თავკაცად ითვლებოდა. მას თავისი ფუნქციები ჰქონდა. ის ცდილობდა ქალის ოჯახიდან მალე წამოსულიყო ისე, რომ მაყარი არ დამოგრაღიყო, ერთი სიტყვით, სუფრას ამთავრებდა. ქალის მხარე, რა თქმა უნდა, ხელს უშლიდა, დროს უწვლავდა. თავკაცის ოსტატობაზე იყო დამოკიდებული თუ როგორ ჩქარა და აყალმაყალის გარეშე გამოვიდოდა ქალის ოჯახიდან. მაყრიონი გზადაგზა მღეროდა საქორწილო სიმღერებს, მათ შორის „კუნტა ბედნიერას“ („მოკლე ბედნიერს“), რომლის მისამღერი იყო „მა თინარე მახარენს“. ამ ტრადიციის გამომხატველია ლექსი:

მა თინა რე მახარენს  
მე ისაა, რომ მახარებს  
მოჭყულუ მეყუნცუ მაყარეფც,  
პატარძალი მიჰყავთ მაყრებს  
ახალგაზრდა ბოშეფს დო  
ახალდაზრდა ბიჭებსა და  
ცირეფც-მუში მახანეფც.  
მის თანატოლ გოგოებს.  
მოჭყულუს ქიმიყუნანა,  
პატარძალს რომ მოიყვანენ,  
კუნთხუს ქეკნარინუნა,  
კუთხეში დააყენებენ  
ქიცას ქიგნაფორანა დო.  
მანდილს გაადაფარებენ და

<sup>9</sup> ა. ცანავა. ქართული საქორწილო პოეზიის ზოგიერთი ასპექტი.— „ქართული ფოლკლორი“, XII, თბილისი, 1982, გვ. 67-68.

<sup>10</sup> Е. Мелетинский. Поэтика Мифа. Москва, 1976, стр. 124.

<sup>11</sup> ე. მაკარაძე. საწესჩვეულებო-რიტუალური მოქმედება და პოეტური ტექსტი. ქუთაისური საუბრები-VII, სიმპოზიუმის მასალები. 1999, გვ. 113-114.

<sup>12</sup> გ. გოცირიძე. ტრადიციული სუფრის ეტიკეტი და მისი სოციალური დინამიკა. ქუთაისური საუბრები-VI, სიმპოზიუმის მასალები, 1999, გვ. 71.

კოც ვენაჯინუანა,  
კაცს არ შეახედებენ,  
ამსერ (ი) თაში თხილანა დო  
ამელამ ასე უვლიან და.<sup>13</sup>

მეგრულად მზითევს ოჭყუდური ჰქვია. ეს სიტყვა წარმოებულია ზმნა ჭყვიდუასაგან, რაც უდრის ქართულ წყვეტას და რაც ტექსტუალურად ნიშნავს იმას, რასაც მოჰყვება აქტი გაწყვეტისა. აქედან სახელი გასათხოვარი ქალისა, რომელსაც ის დანიშვნის შემდეგ ატარებს, მეგრულად არის „მოჭყუდუ“, მოტაცებული ან ვინც მოელისაგან ძალადაა მოშორებული. ნამდვილი მნიშვნელობა ამ ორი სიტყვისა ოჭყუდური (მზითევი) და მოჭყუდუ (პატარძალი) ჩვენთვის გასაგები იქნება, თუ წარმოვიდგენთ მეგრული ქორწილის სურათს, სადაც ერთი მოქმედი პირთაგანი – პატარძალი, სხვა გვარის წევრის მიერ არის მოტაცებული, თავისი სურვილის წინააღმდეგ, გამოეყოფა თავის მშობლიურ გვარს, ის, რაც მას თან მიჰყვება ანუ მზითევი, არის ოჭყუდური, ე.ი. ნივთები, რაც მოტაცებულს მიჰყვება.<sup>14</sup>

„მოჭყუდუს“ გაგებასთან დაკავშირებით ნამდვილად ვერ დავითანხმებით თ. სახოკიას, რომლის განმარტებით „მოჭყუდუ“ ჭყვდუას („ამოწყვეტას“) ნიშნავს. დვილად „მოჭყუდუ“ ნიშნავს არა ამოწყვეტას, არამედ მოწყვეტას („მოჭყვადუას“) პატარძლის მოწყვეტას მამის ოჯახიდან. ამ აზრს იზიარებს ასევე კ. სამუშია. აქვე დავძენთ, სამეგრელოში მოტაცების ინსტიტუტი მართლა არსებობდა, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, მაგრამ ეს ნამდვილად არ გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ სამეგრელოში ოჯახები მხოლოდ საცოლის მოტაცების გზით იქმნებოდა. ფიქსირებულია ოჯახის შექმნის სხვადასხვა გზები.

მეგრული ცდილობს დიდი მონდომებით და ზემოთ გადაიხადოს ქორწილი. ამისთვის ის არ ზოგავს არც ხარჯს და არც შრომას. დღევანდელი ქორწილი ამის უდაო მაგალითია. ძველად ქორწილში მსახურთა როლს მეზობლები კისრულობდნენ, ყოველგვარი საზღაურის გარეშე. დღეს ცოტა სხვანაირადაა ანუ ფერი იცვალა ამ ჩვეულებამ.

ყოველთა უწინარესად ეზოში კეთდებოდა „შეფა“ ანუ წკნელის გრძელი კარავი, ზემოდან ჩალით გადახურული. „შეფა“ სამყოფელია სიძისა, რომელსაც მაფა (მეფე) ჰქვია. პატარძალს „დედოფალს“ ეძახიან. შეფაში ორ წყებად სუფრის მაგივრად დამაგრებულია ფიცრები; ხოლო შეფის სიღრმეში ტახტის მსგავსი რამე დგას, ამადლებული – ეს არის „დასაბრძანებელი“ „მეფისა“ და „დედოფლისა“. თვით ეზო გადაქცეულია სამზარეულოდ: ცის ქვეშ დიდი ცეცხლია დანთებული, ზედ შედგმულია საქორწილო დიდი სპილენძის ქვაბები და შიგ იხარშება ღვინისათვის დაკლული ხარების, ცხვრებისა და ღორების ხორცი, აქვე იხარშება ღომი.<sup>15</sup>

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მაყრიონი გზაში სიმღერით მოეშურებოდა სიძის სახლისაკენ. სასიძოს სახლთან მიახლოებისას უფროსი გამოეყოფა მახარობელს, რომელიც ცხენის ჭენებით ყველაზე ადრე შეირბენდა ეზოში. მახარობელს უნდა შეხვედროდა მანდილოსანი ხონჩით ხელში. ხონჩაზე საჭმელ-სასმელთან ერთად იდო საქონლის მოხარშული წვივი, განკუთვნილი ორივე მახარობლისათვის (ერთი პატარძლის და მეორე სიძის მხრიდან). ცხენიდან ჩამოსვლამდე მათ კბილი უნდა დაეღვათ იმ ადგილისათვის, სადაც წვივის კუნთები მყესზე გადადის და უმაგრებს ქუსლის ძვალს (ეს ადგილი ყველასათვის ცნობილი ბერძნული ლეგენდარული გმირის აქილევსის სახელს ატარებს). მყესზე კბილის დადგმა სიმბოლურად აღბათ მახარობლის სიმარდეს და სასიხარულო ცნობის სწრაფად მოტანას გულისხმობდა. საინტერესოა აქილევსის ქუსლის, როგორც სუსტი ადგილის სიმბოლიკის და კოლხური საქორწილო რიტუალის ამ დეტალის როგორც ფუნქციონირების დაპირისპირება.<sup>16</sup>

მახარობელი რაიმე სახუმარო ლექს-სიმღერას შემოსძახებდა და უკან გაბრუნებული მაყრიონს მიეგებებოდა. მის თაობაზე შექმნილი ვინმე საბაიას მიერ ერთ-ერთ ქორწილში ნათქვამი ლექსი:

დუღმაყარე გოხოლუთუ.

<sup>13</sup> კ. სამუშია. ქართული ხალხური პოეზიის საკითხები. მეგრული ნიმუშები. თბილისი, 1979, გვ. 28.

<sup>14</sup> თედო სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი, 1956, გვ. 87-88.

<sup>15</sup> თედო სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი, 1956, გვ. 90.

<sup>16</sup> ე. ფიფია. ქორწილი და მასთან დაკავშირებული რიტუალი სამეგრელოში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVI-XVII. თბილისი, 1972, გვ. 378.

მაყრიონის თავკაცი გახლავართ  
საბაია ბარდუფული,  
საბაია ბარდუფული,  
ხვალე მობრთინ ვაიჩქუდან,  
მარტოდ მოსული არ გეგონოთ,  
ართო ვორეთ არყებული!  
[ყველა] ერთად ვართ დაძრული!

პასუხი იაკობ გულუასაგან, ექსპრომტად თქმული მასპინძლის მხრიდან:

ვითი ხოჯი დოიყვილით,  
ათი ხარი დაგიკალით,  
ხოლო ვარე ბაღებული,  
კიდევ არაა საკმარისი,  
ირკოჩ ართო მუს მიშით?  
ყველანი ერთად რად მოდიოდით?  
დუდ რყოფუნა არდებული!  
ყოფილხართ თავაგდებული!<sup>17</sup>

სიძის ოჯახში შესვლისთანავე მაყრიონი ცნობილ საქორწილო სიმღერას „კუჩხიბედნიერა“ (ფეხბედნიერი) შემოსდახებდა.

კალისტრატე სამუშია ასკვნის, რომ სამეგრელოში სამი საბედნიერო ქორწილთან დაკავშირებით სიმღერაა ცნობილია) საქორწილო მგზავრული – როცა პატარძალი მოჰყავთ გზაზე ბ) კუჩხიბედნიერი – როცა პატარძალი სასიძოს ეზოში შემოდგამს ფეხს და გ) გრძებედნიერა – საქორწილო სუფრაზე სამღერი.<sup>18</sup>

„კუჩხიბედნიერის“ სიმღერით ნეფე-დედოფალი სახლისაკენ გამოემართებიან. ორი მაყარი კარის თავზე ხმლებს გადაუჯვარედინებს და ამ სახელდახელო თაღქვეშ უნდა გაიაროს მეფე-დედოფალმა. მაგრამ სანამ ზღრუბლზე გადააბიჯებდნენ ფეხს, კარებთან შეტრიალებულად თეფშს დაუდებენ: ზღრუბლთან სიძე თეფშს ფეხს დაადგამს და გასტეხავს. მაყურებელნი იცინიან და ხარობენ. გასატეხი თეფში სიმბოლოა დედოფლისა, რომელიც უმანკო იყო (თეფშის მსგავსად მთელი), მაგრამ სიძის სახლის ზღრუბლს რომ გადასცდება, თავისი ქალწულობა მსხვერპლად უნდა შესწიროს თავის „პატრონს.“ ამით აიხსნება მეგრულად ქალწულის წოდება – „უტახუ“ (გაუტეხელი), ხოლო სიქალწულემოკლებულ ქალსა ჰქვია ტახილი – გატეხილი.<sup>19</sup>

სპეციალურ სეფაში (შეფაში), მამაკაცები ადგილს მარჯვენა მხარეს იკავებენ და უფროს – უმცროსობის მიხედვით სხდებიან. ქალებს კი მარცხენა მხარე აქვთ დათმობილი.<sup>20</sup> სუფრასთან ჯდომის მსგავსი პრინციპები საქართველოში არსებობდა V საუკუნეში, როცა დედაკაცს არ ჰქონდა მამაკაცთან „პურის ჭამის უფლება“ „– ოდეს ყოფილ არს აქამოდღე, თუცა მამათა და დედათა ერთად ეჭამათ პური?“<sup>21</sup> ა. ლამბერტის ცნობით „ქალები და კაცები სუფრასთან ცალ – ცალკე სხდებიან.“<sup>22</sup> ცოცხალ მეტყველებაში დღემდე შემორჩენილია სუფრასთან მიპატიება შემდეგი სიტყვებით: „ადამიანეფქ, ოსუპატონეფქ, ართო ართ მხარეს მოზოჯით დო დოზოჯით, ქომოლკათაქ, ქომოლეფქ ართო ართ მხარეს დოზოჯით. „ადამიანები, ქალბატონები, ერთად ერთ მხარეს მობრძანდით და დაბრძანდით, ხოლო მამაკაცები ერთად ერთ მხარეს დაბრძანდით. თანამედროვე ყოფაში ეს წესი ცოტათი შეიცვალა<sup>23</sup> (პ. ა). იოსებ ქობალიას ხელნაწერი ამ კუთხით მეტად საინტერესოა, სადაც ოჯახში სუფრასთან ჯდომის შემდეგი წესია აღწერილი: „მოლენ ყებურცე ბაბა დო ხუთი ჯიმა ბხედით. ბაბა კველას, თუდო ხედვ ჩქე გენძე სკამეიკას, ეი ვოხედით. აქ დაცულიდვ უნჩამ უკლაშალა სტროგას (ბუხრის ერთ მხარეს იჯდა მამა და ხუთი ძმა. მამა

<sup>17</sup> კ. სამუშია. ქართული ხალხური პოეზიის მასალები. თბილისი, 1971, გვ. 102.

<sup>18</sup> კ. სამუშია. ძველი კოლხური (მეგრული) ლექს-ნამღერები. ზუგდიდი, 2001, გვ. 54.

<sup>19</sup> თედო სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი, 1956, გვ. 99-100.

<sup>20</sup> თედო სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი, 1956, გვ. 100-101.

<sup>21</sup> იაკობ ხუცესი. შუშანიკის წამება. ქართული მწერლობა. ტ. 1. თბილისი, 1987, გვ. 230.

<sup>22</sup> არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1938, გვ. 48.

<sup>23</sup> პ. ა. – პირადი არქივი.

ჯორჯოზე იჯდა, ჩვენ გრძელ სკამზე ვიჯექით. აქ უმცროს-უფროსობა მკაცრად იყო დაცული). მოლენ ყებურც ხოლო თაშიდვ: ნანა თულო ხედვ კველას, ძღაბეფ კველას გეხედეს უნჩაშ უკლაშალაში მეჯინათ (ბუხრის მეორე მხარეს დედა და დები ისხდნენ. დედა დაბალ ჯორჯოზე იჯდა, გოგოები გრძელ სკამზე უმცროს-უფროსობით).<sup>24</sup>

ამდენად, ქალები და მამაკაცები არა მარტო „დიარა“ ანუ საქორწილო სუფრასთან ჯდებოდნენ ცალ-ცალკე, არამედ ოჯახში, ჩვეულებრივ, სადილობის დროსაც მტკიცედ იცავდნენ ამ წეს-ჩვეულებას.

სუფრაზე ლხინის დაწყებისას ორ-სამ სადღეგრძელოს არყით დაღვედნენ, ამას გილახვამა (ურთიერთგაცნობის სადღეგრძელო) ეწოდებოდა. გილახვამა ორი სიტყვისგან შენდგარი ზმნაა. გილა რთული ზმნისწინია და აღნიშნავს მიმართულებას („მიმო“) ხოლო ხვამა არის ლოცვა.<sup>25</sup>

„დიარაზე“ ოჯახის უფროსი ირჩევდა თამადას (ტოლბაშს) – სუფრის გამძღოლს. ტოლბაში ასახელებდა მოპასუხეს სტუმრების მხრიდან. მას ბილბაში ერქვა. სამეგრელოში ამ ტერმინების – „ტოლუმბაშისა“ და „ბილბაშის“ გავრცელების მიზეზი თურქულის გავლენით აისხნება. ტოლუმბაშს და ბილბაშს ერთი კვირით ადრე აფრთხილებდა ოჯახის უფროსი. თამადა მთელი კვირის განმავლობაში მარილიან მჭადს ჭამდა, რომ მოწყურებოდა და ბევრი ღვინო დაეღია. ტოლუმბაშს სუფრაზე ნახვას-ს („ლომის ქერქს“) დაუდებდნენ, რომელიც, რესპოდენტთა გადმოცემით, ხელს უწყობდა მსმელს ღვინის დაღვევაში.<sup>26</sup>

ოჯახის უფროსი თამადის არჩევას ლექსად წარმოთქვამდა. მოგვეყავს ტექსტი:

–ათე ჭირქას ეფტოფუ დო  
პირადო სი დგეახვამა,  
გვალო ტყურაით ვარ,  
ტოლუმბაშობას მიგახვამა  
სუფრას რჩქილა ოკორდას,  
ბრელი ვაღაჭალუა,  
ჭირქეფ (ი) ირო ეფშა რდას,  
ცარიელს ვავხარჭალუა;  
ტოლუმბაშობა ვაგინქგდას  
გვალო ჭიჭე სამსახური,  
ირკოც ვეშიალეპე ვარა,  
ბრელცე აფუ ეშა გური;  
თეშენი, რე სი განდენქენ;  
გაგეგებუ ჯგირ დო ფური,  
ჩქიმ სუმარებც პაატი ქოცი,  
ქვალუე ჩქიმი დუდქუ!  
სადღეგრძელო გეგანწყე დო  
მაშუმალეფ ვაგაწყვალა,  
ვაშუნცუნ, ის დუდ განები,  
ვეგიოძახა, ვამწყვალა  
ტოლუმბაშ რექუნჩაშ რექ,  
საზოგადო სი გარჩქილე,  
ნება გიდუ. გინქგდას,  
მუჭო გოკონ, თეშ გარჩქინე,  
სუმარეფი დაშუმე დო  
მენძელეფი ეკართინე!..

–ამ ჭიქას ავიღებ (ხელში) და  
პირადად შენ გილოცავ,  
მთლად უბრალოდ  
თამადობას მოგილოცავ.  
სუფრაზე სმენა უნდა იყოს,  
ბევრი არ იყვირო,  
ჭიქები მუდამ სავსე იყოს,  
ცარიელად არ აფხაკუნო;  
არ იფიქრო, თამადობა იყოს  
მთლად პატარა სამსახური,  
ყველა ვერ შეძლებს, თორემ  
ბევრს უწევს ამაზე გული;  
ამიტომია, შენ რომ განდობ;  
გაგეგება ავ – კარგი,  
ჩემს სტუმრებს პატივი დასდე,  
შემოგველოს ჩემი თავი!  
სადღეგრძელოები დააწყესე და  
მსმელები არ გააწყვალო,  
ვინც არ სვამს, მას თავი გაანებე,  
არ დააყვედრო, ნუ დასძრახავ.  
თამადა ხარ, უფროსი ხარ,  
საზოგადოება შენ გისმენს,  
ნებამოსილი ხარ, იცოდე,  
როგორ გინდა, ისე დააწყესო.  
სტუმრები დაათვრე და  
მასპინძლები წააქციე!..<sup>27</sup>

<sup>24</sup> ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (ამჟამად დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი).

<sup>25</sup> ო. ქაჯაია. მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, 2001, გვ. 329.

<sup>26</sup> ხ. ხარჩილაგა. საქორწილო სუფრა და მასთან დაკავშირებული ტერმინი სამურზაყანოში. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები. XIX. თბილისი, 2008, გვ. 103.

<sup>27</sup> კ. სამუშია. ქართული ხალხური პოეზიის საკითხები. მეგრული ნიმუშები. თბილისი, 1979, გვ. 141-142.

ზემოთ მოხმობილ ლექსში ნათლად ჩანს თამადის ფუნქცია და დანიშნულება. მისი დამოკიდებულება სმისადმი და ის წესი, რომლის დაცვაც მას ევალებოდა. ვაზი ქათველთა ცნობიერებაში ყველაზე სათუთი და მოსაფერებელი მცენარეა, რადგანაც მისი ნაყოფიდან ხდება ღვთითდარღვევილი სითხის – ღვინის დაყენება. მეგრულად ვაზს „ჯინჯ ღულა“ (ძირგადაგრეხილი) ჰქვია. ვაზი უმეტესად ხეებზეა აზიდული, როგორც ტრაპიზონში გადმოგვცემენ იტალიელი მოგზაურები იოსაფა ბარბარო და ამბროჯიო კონტარინი.<sup>28</sup> საინტერესოა გამოცანა, რომელშიაც ვენახი, მაჭარი და ღვინოა ნაგულისხმევი:

მუმა ღულა, დიდა თელი,  
სქუა ჰამო, მოთა შერი

მამა მრუდე, დედა მთელი,  
შვილი ტკბილი, ბადიში შტერი.<sup>29</sup>

დადე და მაყრები პირველად შემოიყვანდნენ პატარძალს და სუფრასთან დასვამდნენ. გაიმართებოდა შესაწევარი – „გინოთამა“ და პატარძალს ეწოდნენ ფულთ თუ ნივთებით. ნეფე-პატარძალს ყველანი ასაჩუქრებდნენ, გარდა ქალის მაყრებისა, რომლებსაც შესაწევრის გაღება არ ევალებოდათ. ამის შემდეგ დედოფალს დადე პირბადეს ახდიდა. მაშინ პირველად დაინახავდნენ დედოფალს, სინჯავდნენ მას და სიხარულის ნიშნად თოფებს ისროდნენ. შემდეგ შემოიყვანდნენ ნეფეს და ახლა იგი გაუმასპინძლებოდა მაყარს სასმელითა და თამბაქოთი. ნეფე – დედოფალს ერთად დასვამდნენ და დაიწყებოდა მათი დალოცვა.<sup>30</sup> სიძის ნათესავეები, ფულადი შესაწევარის გარდა, ნივთიერადაც ეწევიან: ჩვეულებრივ, მოჰყავთ ხარები, რომელთაც იქვე დაჰკლავენ ქორწილისათვის. შესაწევრის ამ სახეს ჰქვია ოჭიშაფუ (ურთიერთ დახმარება)<sup>31</sup> (შესაწევარი იყოფოდა, შუაზე: ერთი ნაწილი ქალს ეძლეოდა, მეორე კი ვაჟს. ქალის წილი ქალის საკუთრებას წარმოადგენდა. ვაჟის კი საერთო ქონებაში შედიოდა.<sup>32</sup>

სიძე-პატარძლის დასალოც ლექსებს ტოლუმბაში (თამადა) წარმოსთქვამს რეჩიტატივის ფორმით, გამომეტყველებითა და შთამბეჭდავად. მგვარი სადღეგრძელოები დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათისაა. იგი შეიცავს მოწოდებას, თუ რა გააკეთოს სიძე-პატარძალმა საკუთარი ოჯახის, მშობლების, ნათესავეებისა და ახლობლების საკეთილდღეოდ.<sup>33</sup> ერთ-ერთ ლექსში, რომელსაც ეწოდება „სინჯა დო მოჭყუელუში ოხვამალი“ (სიძისა და პატარძლის დასალოცი) ასეთი მორალია გამოხატული:

ართიანც ალურენა,  
ჯგირი ბოში დო ჯგირი ცირა,  
სასახელო ყოფედას –  
თენეფიში აკოძინა...  
ჯგირი ჩილი დო ქომონჯობა,  
თენეფც გუუტარებუდანი,  
მუნეფიში მარდუაღეფგუშა  
გური გუუხარებუდანი...

ერთმანეთს (მხარში) უდგანან,  
კარგი ბიჭი და კარგი გოგო,  
სახელოვანი იყოს  
მათი შეერთება...  
კარგი ცოლ-ქმრობა  
მათ გაეტარებინოთ,  
თავიანთი გამზრდელებისათვის  
გული გაეხარებინოთ...<sup>34</sup>

ლხინის სუფრაზე ასევე წარმოითქმებოდა საღალბო სიმღერები. მოგვყავს ნიმუში:

ჰოი, ოღეხახუნე,  
სტოლ ქოდუნწყუათ დო  
კოჩ ქოდახუნე!

ჰოი, ოღეხახუნე,  
მაგიდა დავაწყოთ და  
კაცი დასვი!

<sup>28</sup> უერნალი „მოამბე“, 1894, №11.

<sup>29</sup> კ. სამუშია. ქართული ხალხური პოეზიის საკითხები. მეგრული ნიმუშები. თბილისი, 1979, გვ. 169.

<sup>30</sup> სერგი მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი, 2006, გვ. 336-337.

<sup>31</sup> თედო სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი, 1956, გვ. 102.

<sup>32</sup> ნ. ხარჩილავა. საქორწილო წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხები სამურზაყანოში. ისტორიულ-ეთნოგრაფიული. V. თბილისი, 2002, გვ. 352.

<sup>33</sup> ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები. ტ. II. შემდგენლები კ. დანელია და ა. ცანავა. თბილისი, 1991, გვ. 554-555.

<sup>34</sup> ფ. არქ. ს. 232:192-194- შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, სამეგრელოს კოლექცია ჩაწერილი ა. კვარაცხელიას მიერ. 1966.



ჰოი, ოლეხახუნე,  
მოჭყუდუს ვავშკიდა დო  
დადე ქახუნე,  
დადე ქახუნე  
ჰოი, ოლეხახუნე,  
ტოლუმბაში ვავშკიდა დო  
ბილბაში ქახუნე,  
ჰოი, ბილბაში ქახუნე...

ჰოი, ოლეხახუნე,  
პატარძალს არ ვკადრებ და  
მდადე (გარეთ) გასვი,  
მდადე (გარეთ) გასვი.  
ჰოი, ოლეხახუნე,  
ტოლუმბაშს არ ვკადრებ და  
ბილბაში (გარეთ) გასვი,  
ჰოი, ბილბაში (გარეთ) გასვი...<sup>35</sup>

სუფრულ სიმღერებს მიეკუთნება აგრეთვე:

ჩქიმი ჯიმა გუჯმახანი,  
აკა ღვინი ქვდმახვამი

ჩემო ძმაო, გუჯმახანო,  
ერთი ღვინო გადმომილოცე.<sup>36</sup>

სუფრაზე შაირობდნენ მხიარული და სააშკიო ლექსებით:

დაბალ ქვანას ვოსორანქი,  
ათომილუ ჭოროფაქი,  
მალა –მალას ვაგორწყექი,  
გინომილუ ოროფაქი.  
ჩქიმი ჩონგური, ჯგირ ჩონგური  
ჯგირი კოჩიშ ნათოლარე,  
ჩქიმი ქომონჯი საცოდარი  
ჩქიმი თოლიშ ნაგორარე.

დაბალ ქვეყნის მოსახლე ვარ,  
ლამის ავდარმა წამლეკოს,  
სშირად რომ ვეღარ გხედავ,  
სიყვარულმაც გაიარა.  
ჩემი ჩონგური, კარგი ჩონგური  
კარგი კაცის განათალი,  
საცოდავი ჩემი ქმარი,  
ჩემი თვალთ მონაძებნი.<sup>37</sup>

მეგრული სუფრული სმურები საღალღობო ფუნქციით არის წარმოდგენილი, რომელიც საშუალებას გვაძლევს პარალელი გაავლოთ აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ დალოცვის ტექსტთან („დაილოცოს ეს სახლი, საძირკველი და სხეენი, ფიცრული და კირული, სპილენძი და ჩინური, გეჯა და ვარცლი, გუთანი და კალო, მარგილი და პალო“ და ა.შ).<sup>38</sup>

მსგავსი სმურის ერთ-ერთი მთქმელია სენაკის რაიონში მცხოვრები ანდროკოსტას ძე ეჯიბია

გუგახარას,  
ცუდი დაგიფარას,  
ბუნება მერჩანს ფარას,  
კეთილო მუგახვარას,  
დაბადებაშე გარზი  
ართო ოშ წანას...  
ათე ჩქიმი სადღეგრძელო  
დასურო ამინ ყუას,  
აწი ნება ქომუჩით დო  
ანდრო ქათაშუანს.

გაგახაროს,  
ცუდი დაგიფაროს,  
ბუნება მოგცემს ფულს,  
კეთილად მოგეხმაროს,  
დაბადებიდან გაძელი  
ერთი ას წელს...  
ეს ჩემი სადღეგრძელო (დალოცვა)  
მართლაც ამინ (დასტური) იყოს,  
აწი ნება მომეცით და  
ანდრო ბოლომდე დაცლის.<sup>39</sup>

მეგრულ სუფრულ რეპერტუარში შედის ასევე საღალღობო სმური, რომელიც მიმართულია მოცეკვავე გოგოს მისამართით:

ქოსხაპ, ძღაბი, დოფიგურე, ნა

იცეკვე, გოგო, ილეოები გააკეთე  
(„დააფიგურავე“), ნა,

<sup>35</sup> ტ. გუდავა. ქართული ხალხური სიტყვიერება. თბილისი, 1975, გვ. 108.

<sup>36</sup> იოსებ ყიფშიძე. რჩეული თხუზულებანი. თბილისი, 1994, გვ. 132.

<sup>37</sup> სერგი მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი, 2006, გვ. 336-337.

<sup>38</sup> ქართული ხალხური სიტყვიერება (ქრესტომათია). შემდგენელი ქ. სიხარულიძე. თბილისი, 1970, გვ. 59.

<sup>39</sup> ფ. არქ. ს. 230:305-306- შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, სამეგრელოს კოლექცია.

თეჯგუა სხაპუა სო დიგურე, ნა,  
ჰარი, ჰარირა, ნა  
ჰარი, ჰარირა, ნა...

ამისთანა ცეკვა სად ისწავლე, ნა,  
ჰარი, ჰარირა, ნა,  
ჰარი, ჰარირა, ნა...<sup>40</sup>

საინტერესოა აგრეთვე, რომ პიროვნება, რომელიც სუფრასთან ვერ დაღვედა, უსათუოდ უნდა ამდგარიყო სუფრიდან:

ვარა გეშვი, ვარა გელი,  
ვაგილ დოხუნაში ბელი.

ან დალიე, ან ადექი,  
არ გაქვს დაჯდომის ბელი.<sup>41</sup>

იუმორის მახვილი განსაკუთრებით სიძისაკენ იყო მიმართული, პატარძალი დაზღვეული იყო ყოველგვარი გაკილვისაგან:

სინჯა მურსია  
მოსოფუნსია,  
სინჯაში ნაბადი  
მიქონსუნსია.

სიძე მოდისო,  
(გზებს) მონგრევსო,  
სიძის ნაბადი  
მოიხვეტებაო.<sup>42</sup>

იყო შემთხვევა, როცა ჭკუნაკლული პატარძლის ახლობლები გახარებული იყვნენ, რომ მოახერხეს მისი გათხოვება. მოგვეყავს ამ შემთხვევასთან დაკავშირებული ექსპრომტად შექმნილი ნიმუში:

ჟი ჭვემა დო თუდო თირი,  
უნთხორღულელი ქუმონთირი  
ჩქი გოხოლუთ ლაგვილეფი  
მასხაპალეფ, მაბირეფ.

ზემთო წვიმა და დაბლა თოვლი,  
ჭკუნაკლული მოგიყვანეთ,  
ჩვენ გახლავართ ლაგვილეფი,  
მოცეკვავე, მომღერლები.

სიძის მხრიდან მასპინძლების შეპასუხება, საიდანაც ირკვევა, რომ მათი სიძეც ჭკუნაკლული ყოფილა:

მუჭომ მომინთირითინი,  
თიცალ დუგოხვამილეთ.

როგორიც მომიყვანეთ,  
ისეთი დაგახვედრეთ.<sup>43</sup>

მეგრულ სუფრაზე სმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დიდი სიხარულით შესვდებოდნენ თუ ვინმე შეძლებდა, დაცლილი სასმისი შაირ – მიღეკსებით გადაელოცა სხვისთვის. ექსპრომტს თუ ექსპრომტითვე უპასუხებდნენ, ვაჟკაცობად ითვლებოდა. ასეთ შემთხვევასთან დაკავშირებითაა შექმნილი დასახელებული სტროფები:

გეშვია, გეშვია,  
ახალი დო ჯვეშია,  
ჯვეში კოჩიში ოშმეში  
ღვინიში ოწგრეშია...  
გეშვი დო ქგდმახვამი,  
აშო მომინაკალე,  
მა თიქ ვეშმაშუდა,  
მარან გგოსარგალემ!

დალიე, დალიე,  
ახალი და ძველია,  
ძველი კაცის უღვაშები  
ღვინის საწურველია.  
დალიე და გადმომილოცე,  
აქეთ მოაჩაქჩაქე,  
მე თუ ის ვერ გამოვცადე,  
მარანი შემომაჩოჩილემ!<sup>44</sup>

<sup>40</sup> ტ. გუდავა. ქართული ხალხური სიტყვიერება. თბილისი, 1975, გვ. 35.

<sup>41</sup> ტ. გუდავა. ქართული ხალხური სიტყვიერება. თბილისი, 1975, გვ. 381.

<sup>42</sup> ა. ცანავა. ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები. თბილისი, 1970, გვ. 69.

<sup>43</sup> მთქმელი ნ. ქორთულია, 60 წლის ჩამწერი ნ. არველაძე-პ.ა.

<sup>44</sup> კ. სამუშია. ქართული ხალხური პოეზიის საკითხები. მეგრული ნიმუშები. თბილისი, 1979, გვ. 29.

საქორწილო ცერემონიალის დროს ხალხურ დრამატულ სანახაობას რომ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ამის დამადასტურებელია ქორწილში „ბერიკაობის“ შესრულება. „ბერიკაობის“ თავისებურ სახეს წარმოადგენდა აჭარაში საყოველთაო ცნობილი „ფადიკო ქოჩეგურა,“ რომელიც ალ. მსხალაძის აღნიშვნით, განსაკუთრებით ზემო აჭარაში „ქორწილის ერთ-ერთი შემაღლებელი ნაწილი ყოფილა“.<sup>45</sup>

ქორწილში ხშირად დააბამდნენ ხოლმე ფერხულსაც. მაგ; ქართლსა და იმერეთში – „მადლი მახარობელსა“, აჭარაში – ვოკალური მუსიკის აკომპანიმენტზე – ცეკვა „მაყრულისა“ და „სუფრულის“, „გადახვევის“ დროს საცეკვაო: „პაი ნანი“ (ქედის რაიონში) „ნანი და ნანაი“ მამაკაცთა წრეგახსნილი სახუმარო ფერხული „ოჰოი, ნანა“ (ხულოს რაიონში, სხალთის ხეობაში) სამეგრელოში – „ჩაგუნა, ჩაგუნა“, სვანეთში – „ლილეს“, „შინა ორგილი“, „იციბილ ბაცბილი“, „რაშოვლა“, „ბუბა ქაქუჩელა“ და სხვა. მღეროდნენ ძმობაზე, ურთიერთდანილობაზე, მეგობრობაზე, თავმდაბლობასა და პატიოსნებაზე, მოკლედ, კაცურ-კაცობაზე.<sup>46</sup>

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქორწილში დრამატულ სანახაობასაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ამას ადასტურებს მამანტი კვიციანის მოგონება, სადაც მოგვითხრობს, რომ პატარძალი მოჰყავდათ სენაკის მაზრის სოფ. ეკიდან. სტუმარ მაყრებს მოჰყავდათ თავიანთი მეწონგურე-მედაირე. მათ იქ საინტერესოდ წარმოადგინეს ხალხური ოპერეტა „ჯამუ და კოკოხე.“ ეს ოპერეტა ნამდვილ ამბავზეა შექმნილი<sup>47</sup>.

სოფლის მოზარდ ქალებსა და ბიჭებს ქორწილში ჩვეულებრივ არ იწვევდნენ, ცნობისმოყვარეობა რომ დაიკმაყოფილონ და შეძლონ გაშინჯვა პატარძლისა და მოლხინეთა, მოაწყობენ „მითოძირაფა“-ს ანუ მოლხენათა გაშინჯვას შეფის ჭუჭრუტანიდან.<sup>48</sup>

მ. კვიციანის სწორედ ჭუჭრუტანიდან აღვნიშნავთ თვალს იმ ოპერეტას, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ.

სუფრის თამადა (ტოლუმბაში) ყოველთვის ცდილობს წეს – ჩვეულებას პატივი სცეს და იმდენი დალიოს, რამდენის ატანას შეძლებს. თამადა თავისი მოვალეობის დამთავრების შემდეგ სუფრას მოპასუხე ბილბაში აგრძელებს. იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, რომ თამადა ვერ წარმოთქვამს იმ სადღეგრძელოებს, რომელიც მას ეკუთვნის. ამ შემთხვევაში სუფრას აგრძელებს ხათირბაში ანუ თამადის გვერდით მჯდომი.<sup>49</sup> ხათირბაშის შემდეგ სუფრის მოვალეობას კისრულობს ბილბაში. ბილბაშის გვერდით მჯდომს ბითურბაში ჰქვია (პ. ა). სუფრას, როგორც წესი, მელიქიფე (მეღვინე) ემსახურება.

სმურებში თავისი გამოსატყულება ჰქონდა წმინდა გიორგის. ყველაზე ძლიერი ხატი სამეგრელოში წმ. გიორგის სახელობისაა. აღმოსავლეთ საქართველოშიც ცნობილია ამ ტიპის სმურები. ღმერთისადმი მიმართვის შემდეგ თამადა ლოცავს ოჯახს, სიზე-პატარძალს და სუფრის ყველა წევრს.

დიდება ღმერთსა,  
დიდსა, მოწყალესა,  
ღმერთო, მოწყალეა მიე  
აქა ბრძანებულსა,  
ნეფესა და დედოფალსა  
სახე მშვენიერსა.  
წყვილი ვაჟიშვილი მიე  
საწლეულო წელსა – და ა.შ.<sup>50</sup>

საერთოდ, სმურებში მეტ-ნაკლებად ყველგან შეინიშნება საღალღობო განწყობა, ეს მისი სპეციფიკაა, რომელიც შეპირობებულია თავისებური აუდიტორიით, სადაც მხიარულება სუფევს:

<sup>45</sup> ს. ჩოხელი. საქორწილო პოეზიის ერთი ასპექტისათვის.– ჟურნალი „ცისკარი“, 1986, №2, გვ. 158.

<sup>46</sup> ს. ჩოხელი. საქორწილო პოეზიის ერთი ასპექტისათვის.– ჟურნალი „ცისკარი“, 1986, №2, გვ. 158-159.

<sup>47</sup> მ. კვიციანი. კვიმატი. თბილისი, 2001, გვ. 62.

<sup>48</sup> თედო სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი, 1956, გვ. 103.

<sup>49</sup> მოქმედი თინა ქობალია, 74 წლის, სოფელი განმუხური, ჩამწერი ნ. აბულაძე – პირადი არქივი.

<sup>50</sup> გ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. თბილისი, 1961, გვ. 251.

გუგატიბუ დუღო ღორონთქ,  
ცხოვარ-მაცხოვარი ხატიქ...  
თავარ ანგელოზ-ფოცხურქ,  
ღვთის მოწმობელი-ხეთურქ,  
ყული დო ალერტიქ...  
წმინდა გიორგი ილორქ,  
წმინდა გიორგი ჯვარულქ,  
წმინდა გიორგი-ლაკადურქ,  
ოთხი ხოლო მაკათურქ;  
გიძინას ირფელიშა:  
თხაშა, შხურიშა,  
ორიჯიში და ერჯიშია...

გაგითბეს (გწყალობდეს) თვით ღმერთი  
ცხოვარ-მაცხოვარი ხატი...  
მთავარანგელოზ – ფოცხოსი,  
ღვთისმოწამე – ხეთისა,  
ყულევი და ალერტი...  
წმინდა გიორგი-ილორის,  
წმინდა გიორგი – ჯვარისა,  
წმინდა გიორგი – ლაკადისა  
ოთხივე ერთად შეყრილი.  
გემატოს (გიმრავლოს) ყველაფერი  
თხა, ცხვარი,  
საქონელი და ვაცები...<sup>51</sup>

თვით ქორწილის მთელი ცერემონიალი მონაწილეებისაგან მოითხოვდა ამტანობას და ვაჟკაცობას. გავისხენოთ ერთ-ერთი მექორწილის ნათქვამი:

ბალხამიშივლის ქორწილი  
მიკვირს და გამკვირვებია,  
სამი დღე ვიყავი ომში და  
ისე არ გამჭირვებია.<sup>52</sup>

საინტერესოა პეპუიაშ დიარა (პეპუიას ქორწილი), რომელიც ამტანობის შესანიშნავი მაგალითია:

ირკოს შეთიოტყვიუნა –  
პეპუს ნოდვე დიარა,  
ჭიჭე, დიდი ვათმოსქიდ,  
მეურს თელი ქიანა.  
ენი ხოჯი დუყვილუნა,  
ენდოხუთი ჯაკელა,  
სუმონენი თხალეფიში  
მირჩქილეთ პეტელია.  
ჟანრენ ჩუანი ღუმუ დო  
ენდოვითი ხაჭაპური,  
ჭვილი – ჭვილი ქოთომეფი,  
კოს გუგანწყუმუ გური,  
ვით ბოჭკაში ეფშა ღვინი,  
თიში დიდი ყანწეფია,  
შუმა თიცალი ქიყი, ნამდა  
მემინქ ვაგურზ ბოშეფია.  
ათი თექი მალ ვორექ  
ჯგირო დიბრძღე დო გებშვე,  
ჯიმალეფი, შვიდობით,  
ულირ ვორექ ანწი ხეშე.

ყველას ატყობინებენ –  
პეპუს ჰქონია ქორწილი,  
დიდი-პატარა არ რჩება,  
მიდის მთელი ქვეყანა,  
ათი ხარი დაუკლავთ,  
ოცდახუთი დეკეული,  
სამოცი თხის  
მოისმინეთ კიკინი.  
ორმოცი ქვაბი ღომი და  
ოცდაათი ხაჭაპური,  
შემწვარი ქათმები,  
კაცს გაგეხსნება გული,  
ათი კასრი სავსე ღვინით,  
თავისი დიდი ყანწებით,  
სმა ისეთი იქნება, რომ  
მგონი, ბიჭები ვერ გაუძლებენ.  
მეც იქ წამსვლელი ვარ,  
რომ კარგად გავძღე და დავლიო.  
ძმებო, მშვიდობით,  
აწ ხელიდან წასული ვარ.<sup>53</sup>

სუფრის ბოლოს მიღებული იყო დაელიათ „ოულურკულა“ (წასვლის კულა), რათა გზა დაელოცათ სტუმარ – მაცურისათვის. ოულურკულა (წასვლის კულა) – მზადდებოდა ბზისაგან, ჩიბუხის ფორმა ჰქონდა და თავდასშეული იყო; ჰქონდა თითის სიმსხო ტარი, საიდანაც უნდა

<sup>51</sup> თსუფთა №11330 ჩაწ. დ. კილასონია. 1971-თბილისი ივ. ჯავახიშვილი სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი.

<sup>52</sup> ხალხური სიტყვიერება. 1. ე. თაყაიშვილის რედაქციით. თბილისი, 1945, გვ. 280.

<sup>53</sup> ტ. გულაგა. ქართული ხალხური სიტყვიერება. თბილისი, 1975, გვ. 18.

ჩაესხათ და შემდეგ გამოეწრუპათ ღვინო. კულას გრძელი და ვიწროყელიან სურასაც ეძახდნენ. მისი დაუღვლელობა სირცხვილად ითვლებოდა.

ჰოოი დო კულა რე,  
ჰოოი დო კულა რე,  
თესი მითი ვაშუნსუნი, ნანა,  
თელო ღურა რე.  
ჰოოი დო ოლური კულა რე,  
ჰოოი დო ოლური კულა რე,  
თესი მითი ვაშუნსუნი, ნანა,  
თელო ღურა რე,  
ჰოოი დო ჯინჯი ღულა რე,  
ჰოოი დო ჯინჯი ღულა რე,  
თესი მითი ვაშუნსუნი, ნანა,  
თელო ღურა რე.

ჰოოი და კულაა,  
ჰოოი და კულაა,  
ამას ვინც არ დაღვეს, ნანა  
ცოცხლად სიკვდილია.  
ჰოოი და წასვლის კულაა,  
ჰოოი და წასვლის კულაა.  
ამას ვინც არ დაღვეს, ნანა,  
ცოცხლად სიკვდილია.  
ჰოოი და ძირდაგრეხილია,  
ჰოოი და ძირდაგრეხილია,  
ამას ვინც არ დაღვეს, ნანა,  
ცოცხლად სიკვდილია.<sup>54</sup>

„წასვლის კულა“ საოცრად მელოდიური სიმღერაა, იგი უაღრესად არქაული და საყოველთაოდ გავრცელებულია სამეგრელოში.

**დასკვნა:** როგორც ვხედავთ, „დიარა“ ანუ საქორწილო ღვინო და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები თავისი მნიშვნელობით და ფუნქციით ნამდვილად შემადგენელი ნაწილია ზოგადქართული სმურებისა. თავისი სფეციფიკური ფორმით მეგრული დიარა მეტად საინტერესოა და ის არის ძარღვიანი შენაკადი ერთიანი ქართული კულტურისა.

**Nana Abuladze**

## **„DIARA“ or Wedding Feast and verse-songs related to it spread in Samegrelo region**

### Resume

Ancient wedding traditions and customs have been kept in Samegrelo nowadays.

According to the ancient traditions, the wedding ceremony is accompanied by relevant songs during the whole procession. Especially the wedding verses are said while the bride is still on the way to the groom's house, various songs and poems are performed in the groom's house as well.

There are numerous feast songs which belong to the genre art. These songs differ according to the regions; they have different nature, polyphony, and so on. Now we are going to talk about the wedding song that is specifically performed at the Mengelian wedding party that is called „DIARA“.

„DIARA“ or wedding feast and the songs related to this ceremony are very interesting and it is the vital part of the Georgian verbal culture.

<sup>54</sup> ა. ცანავა. ქართული ფოლკლორის საკითხები. თბილისი, 1990, გვ. 122.

# თარგმანმცოდნეობა

## კოზმა იერუსალიმელის საუფლო დღესასწაულების კანონთა მიმართებანი ბიბლიურ წიგნებთან და მათი ასახვა იადგარისეულ ქართულ თარგმანებში

ქრისტიანული ღვთისმსახურების წიადში ჩამოყალიბებულ საეკლესიო საგალობლებს სამართლიანად თვლიან მკვლევარნი (კ. ბეკი, ნ. ტომადაკისი, თ. ქსიდესი, ვ. ბიჩკოვი და სხვა) მხატვრულ პოეტურ ქმნილებებად. ჰიმნოგრაფია ეყრდნობა და იყენებს ბიბლიურ სიუჟეტებსა და სახეებს. თავად ჰიმნოგრაფის ინდივიდუალიზმი კი გამოიხატება იმაში, თუ როგორი ინტერპრეტაციით წარმოადგენს იგი ამ სახეებს. ბიზანტიური ჰიმნოგრაფიული კანონისა თუ უფრო ადრეული კონტაქიონის წაკითხვისას აშკარად ჩანს, რომ ავტორი ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თემატიკას იმეორებს. განსაკუთრებით შეიმჩნევა ეს ფაქტი საუფლო დღესასწაულებისადმი მიძღვნილ საგალობლებში.

საეკლესიო პოეზიის წარმოშობას, ბუნებრივია, თავისი მიზანი და ფუნქცია ჰქონდა. ბიბლიური სიბრძნის შემეცნებისაკენ სწრაფვამ განაპირობა პოეტურ-მუსიკალური აზროვნების ჩამოყალიბება.<sup>1</sup> მისი განვითარება ლოგიკური მოვლენა იყო ბიზანტიურ ტრადიციაში, რადგანაც მას წინ უსწრებდა, ერთი მხრივ, ანტიკურ პოეზიის მდიდარი მემკვიდრეობა, მეორე მხრივ კი, ძველი აღთქმის ფსალმუნის არსებობა, რამაც ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა ქრისტიანულ ლიტურგიაში საგალობლის დასამკვიდრებლად. ამის შესაბამისად, მეცნიერთა შორის არსებობს განსხვავებული მოსაზრებანი ქრისტიანული საგალობლის წარმოშობის შესახებ. ზოგი მკვლევარი მასში სირიული გალობის და ფსალმუნის ანარეკლს ხედავს (ე. ველეში, პ. ხრისტოსი), მკვლევართა გარკვეული ნაწილი კი ბიზანტიურ გალობაში (ნ. ტომადაკისი, თ. დეტორაკისი) ანტიკური ბერძნული პოეზიის ელემენტებსაც გამოყოფს. ამ თეორიათა შესახებ მსჯელობა ჩვენი მიზანი არ არის. ამჯერად აღენიშნავთ მხოლოდ, რომ მხატვრული სახეებით ანუ პოეტური აზროვნება ქრისტიანულ ლიტურგიაში ყველაზე მკაფიოდ საეკლესიო საგალობლით გამოიხატა, სწორედ ამიტომ იწოდება იგი პოეტურ ქმნილებად, რომ არაფერი ვთქვათ საგალობლის ფორმაზე, მის რიტმულ და მეტრულ სახეზე, რომლის არსებობაც დიდი ხანია უკვე საკამათო აღარ არის.

ღვთისმსახურების მთელი სიტყვიერი ინფორმაცია ბიზანტიური საგალობლის სახით მუსიკალურ-პოეტურ ფორმაში გაერთიანდა<sup>2</sup>. საეკლესიო პოეზიის ერთ-ერთი ფუნქცია ემოციურ-ესთეტიკური იყო. თავისებურად ხსნის საეკლესიო საგალობლის როლს იოანე ოქროპირი: „არაფერი ისე არ ამადლებს ადამიანის სულს, ასხამს მას ფრთებს, აშორებს მიწიერებას, ეხმარება ცხოვრებულსეული საგნების მოძულებაში, როგორც შეწყობილი მელოდია და რიტმით მართული ღვთაებრივი გალობა“.<sup>3</sup>

ესთეტიკური ფუნქციის გარდა საეკლესიო პოეზიას გნოსეოლოგიური ანუ შემეცნებითი მნიშვნელობაც ჰქონდა. სწორედ ამ უკანასკნელმა განაპირობა ბიბლიურ სახე-სიმბოლოთა მხატვრული ინტერპრეტაციით წარმოდგენა, საერთოდ პოეტური ხატის შექმნა. გრიგოლ ნოსელის ნააზრვის მიხედვით, სიტყვიერი ხელოვნებით გამოხატული პოეტური ხატი მკითხველმა უნდა განჭვრიტოს ამ სახის -ი (იდეა). აქედან გამომდინარე, გამომსახველობითი ხელოვნება ზოგადად და პოეზიაც, როგორც მისი ერთ-ერთი სახეობა, გრიგოლ ნოსელის მიერ მოიაზრება როგორც თავისუფალი ხელოვნება. სწორედ ეს თავისუფლება აძლევს უფლებას ჰიმნოგრაფს ბიბლიური მეტაფორა, სიმბოლო თუ სახე თავისებურ კონტექსტში წარმოადგინოს. ამგვარ მხატვრულ გამომსახველობას შედეგად მოჰყვება საკუთარი ფერებით დახატული, განუმეორებელი ინფორმაცია, რაც არის სწორედ შემეცნებითი და ესთეტიკური ხედვა ერთად.<sup>4</sup>

<sup>1</sup> В. В. Бычков. Византийская эстетика. 1977, стр. 54.

<sup>2</sup> В. В. Бычков. Византийская эстетика. 1977, стр. 55.

<sup>3</sup> В. В. Бычков. Византийская эстетика. 1977, стр. 122.

<sup>4</sup> В. В. Бычков. Византийская эстетика. 1977, стр. 142-153.

ამ თეორიული მსჯელობის ფონზე განვიხილავთ კოზმა იერუსალიმელის საუფლო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი კანონების მიმართებებს ბიბლიური წიგნების ტექსტებთან. მიმართებებს წარმოვადგენთ ყოველი კანონის მიხედვით ცალ-ცალკე, განვიხილავთ კანონთა მხოლოდ იმ ტროპარებს, რომლებიც საინტერესო სურათს გვიჩვენებენ ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებისა და სახეების განმეორებისა თუ მხატვრული ინტერპრეტაციის თვალსაზრისით. აქვე შევნიშნავთ, რომ არსებობს თეოდორე პროდრომოსის კომენტარები კოზმა იერუსალიმელის შობისა და განცხადების კანონთა შესახებ. პოეტური ტროპარების ზოგიერთი რთული ადგილის გასაგებად მოვიხმობთ ამ კომენტარებსაც.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ასპექტია ჰიმნოგრაფიისა და ბიბლიური სახეების ურთიერთმიმართებებზე დაკვირვება და, ამავე დროს ისიც, თუ როგორ აისახა კანონთა ქართულ თარგმანებში ეს მიმართულებანი. როგორც კანონთა ტექსტების თარგმანების დედნებთან შედარებითი კვლევისას გამოჩნდა, მთარგმნელი რიგ შემთხვევაში ზუსტად იმეორებს ბერძნული დედნის სახეებს, ზოგჯერ კი თავისებურად ცვლის. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო საინტერესოდ გვეჩვენება სამხრივი დამოკიდებულება კოზმას ტექსტისა ბიბლიურ წიგნებთან, კანონის ქართული თარგმანის მიმართება შესაბამის ორიგინალთან და თვით ქართული თარგმანისავე დამოკიდებულება ბიბლიურ წიგნებთან. იმისთვის, რომ სწორად წარმოვიდგინოთ კოზმას კანონებში რა არის ბიბლიური წიგნებიდან აღებული და რა თავად ჰიმნოგრაფის პოეტური შემოქმედების ნაყოფი, საჭიროა წარმოვანიხლოთ, თუ როგორი მხატვრული თავისებურებებით ხასიათდება კოზმას პოეზია ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოყალიბებული ესთეტიკურ-შემეცნებითი ფუნქციის მიხედვით. ამის საფუძველზე კი ნათლად გამოჩნდება ქართველი მთარგმნელის დამოკიდებულება კანონების დედნებთან. აისახა თუ არა თარგმანებში ადეკვატურად ბიბლიური წიგნებისა და კოზმას ჰიმნოგრაფიის მხატვრული სახეები. კოზმა იერუსალიმელის საუფლო დღესასწაულების კანონებს შესანიშნავად ახასიათებს თ.ქსიდესი, როცა წერს: „ჰიმნოგრაფი (კოზმა) იღებს წმინდა წერილის საღმრთო სიბრძნეს და განაბნევს მას ცალკეულ კანონებში, რაც ქმნის საერთო თემას მთელი კანონისთვის, ხოლო ამ თემის სხვადასხვა დეტალს ამუშავებს ოდების ფარგლებში“.<sup>5</sup>

ამრიგად, ძირითადი ღერძი კოზმას პოეზიისა არის სახარებისეული თემატიკის გადამუშავება. რაც შეეხება მის მხატვრულ სახეებს, მათ ერთი შეხედვით არც გარეგნული და არც შინაგანი მოკაზმულობა არ ახასიათებთ.<sup>6</sup> ამ შეფასებაში იგულისხმება ის, რომ კოზმა წმინდა წერილის სახეებსა და სიუჟეტებს კი არ ცვლის ტექსტობრივად, არამედ სრულიად სხვა ხერხით სძენს მას თავისებურ პოეტურობას. უმთავრესი პრინციპი არის უმოდრაო ხატის ამოდრავება, ან მოვლენის ფერწერული დასახიათება, რითაც მიიღწევა სწორედ ესთეტიკური და შემეცნებითი სახის შექმნა. ეს თავისებურება შეინიშნება ყველა საუფლო დღესასწაულის კანონში. ამგვარ შემთხვევებს წარმოვადგენთ ცალკეული კანონების ტროპართა მიხედვით. კოზმას საუფლო დღესასწაულების კანონთა მიმართებები ბიბლიურ წიგნებთან აღნიშნული აქვს ე.ლოვიაგინსაც. ამ მიმართებათა ანალიზისას ვიყენებთ მეცნიერის ზემოთ აღნიშნულ ნაშრომს.

### შობის კანონი

მთელი კანონის ცალკეულ ოდებში, როგორც კანონის თარგმანის განხილვისას აღვნიშნეთ, მაცხოვრის შობის თემის ვარიაციას ვხვდებით. პირველ ოდაში გადმოცემულია ქრისტეს განკაცების მესიანისტური არსი, რაც ხატოვანი სურათებით არის წარმოჩენილი. აქ დოგმატური შინაარსი პოეტური ხატების საშუალებით გამოიხატება<sup>7</sup> ე.ლოვიაგინის დაკვირვებით ტროპართა შინაარსი ემყარება იოანეს სახარებისა და პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს.<sup>8</sup>

<sup>5</sup>Ξύδης Θ. Ξύδης Θ., Βυζαντινή Υμνογραφία, Αθήνα, 1978, 13.

<sup>6</sup>Ξύδης Θ. 23.

<sup>7</sup>Ξύδης Θ. 10.

<sup>8</sup> **Е. Ловягин.** Богослужебные каноны на греческом, славянском и русском языках, СПб., 1875.

ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანებისთვის ვხარგებლობთ შემდეგი გამოცემებით:

ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. კომენტარები დაურთო **ივ. იმნაიშვილმა**. 1979.

პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსაცემად მოამზადეს **ქ. ძოწენიძემ** და **კ. დანელიამ**. აკაკი შანიძის რედაქციით. 1974.

ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები (X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით). მზ. შანიძე, 1960. მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისი, ქება ქებათა სოლომონისი, წინასწარმეტყველთა წიგნები: ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი) გამოსაცემად მოამზადა **ელ. დოჩანაშვილმა**. 1985.



მოვიყვანთ ახალი აღთქმის წიგნების ციტატებს და შევადარებთ მათ კოზმას ტროპარებს.

Καὶ ὁ λόγος σάρξ ἐγένετο καὶ ἐσκήνωσεν ἐν ἡμῖν, καὶ ἐθεασάμεθα τὴν δόξαν

αὐτοῦ, δόξαν ὡς μονογενοῦς παρὰ Πατρός, πλήρης χάριτος καὶ ἀληθείας.

და სიტყუად იგი ჯორციელ-იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის, და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ, ვითარცა მხოლოდშობილისაჲ მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა (იოან. 1,14)

- 1) Ἴδὼν ὁ Κτίστης ὀλλύμενον./τόν ἄνθρωπον, χερσὶν ὄν ἐποίησε./κλίνας  
οὐρανοὺς κατέρχεται./τοῦτον δὲ ἐκ Παρθένου θείας ἀγνῆς,/ ὄλον οὐσιοῦται, ἀληθεία σαρκωθείς, ὅτι  
δεδόξασται (1<sub>1</sub>)

რაჟამს იხილა შემოქმედმან

ჯრწნილებასა შინა კაცი, რომელი

ველითა თვისითა შეექმნა, ამან ცანი მოდრიკნა,

გარდამოკდა

და ქალწულისაგან

ჭეშმარიტად განკაცნა, რამეთუ დიდებულ არს.

თემატურად სახარების მუხელი და კოზმას ტროპარი ერთნაირია. ორივე მათგანი მაცხოვრის განკაცებას გადმოსცემს, მხოლოდ კოზმა სახარების შინაარს საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცემს: Ἴδὼν ὁ Κτίστης ὀλλύμενον, τόν ἄνθρωπον, χερσὶν ὄν ἐποίησε~ (რაჟამს იხილა შემოქმედმან

/ ჯრწნილებასა შინა კაცი, რომელი / ველითა თვისითა შეექმნა)

პავლე მოციქულის ეპისტოლის თავისებური ინტერპრეტაცია ჩანს შემდეგ ტროპარში.

Ἄλλὰ λαοῦμεν Θεοῦ σοφίαν ἐν μυστηρίῳ, τὴν ἀποκεκρυμμένην ἢ προῶρισειν ὁ Θεός πρό τῶν αἰῶνων ἐ  
ἰς δόξαν ἡμῶν (I korint. 2,7)

არამედ ვიტყვ სიბრძნესა ღმრთისასა საიდუმლოდ დაფარულსა მას, რომელ-იგი პირველადვე განაჩინა ღმერთმან უწინარეს საუკუნეთა სადიდებელად ჩუენდა.

- 2) Σοφία, Λόγος καὶ Δύναμις Ὑἱὸς ἅν τοῦ Πατρὸς καὶ ἀπαύγασμα./ Χριστὸς ὁ Θεός, δυνάμεις λαθῶν, / ὅσας ἔπε  
ρκοσμίους, ὅσας ἐν γῆ καὶ ἐνανθρωπήσας/

ἀνεκτήσατο ἡμᾶς, ὅτι δεδόξασται (1<sub>2</sub>)

სიბრძნე ღმრთისაჲ და ძალი მისი

სიტყუად მამისაჲ და ბრწყინვალებაჲ მისი,

ძჳ მხოლოდ, ღმერთი ჭეშმარიტი, საიდუმლოდ ძალთაგან

ზეცისათა

კუალად დამბადებს ჩუენ

ქალწულისა მუცელსა, რამეთუ დიდებულ არს.

ეპისტოლეში საუბარია უფლის სიტყვის განხორციელების საიდუმლოზე, რომელიც ქრისტეს შობით გაცხადდა. კოზმას ტროპარში კი განმარტებულია ეპისტოლის შინაარსი. აქ ჩანს განკაცებული უფალი, როგორც `Σοφία, Λόγος καὶ Δύναμις Ὑἱὸς ἅν τοῦ Πατρὸς καὶ ἀπαύγασμα~ (სიბრძნე ღმრთისაჲ და ძალი მისი / სიტყუად მამისაჲ და ბრწყინვალებაჲ მისი) თეოდორე პროდრომოსი ამ ფრაზაში ებრაელთა მიმართ ეპისტოლის შემდეგი ადგილის ὅς ἅν ἀπαύγασμα τῆς δόξης~ (ებრ. 1,3) ანარეკლს ხედავს.

ქართული თარგმანი ტროპარისა მისდავს კოზმას ტექსტს.

ჩუენი აზრით, მათეს სახარების ტექსტის საინტერესო ვარიაცია ჩანს კანონის IV ოდის მეორე ტროპარში: /

- 3) τοῦ μάντεως πάλαι Βαλαάμ τῶν λόγων μυητᾶς σοφούς./ἀστεροσκοποῦς χαράς ἐπλησας, ἀστὴρ ἐκ τοῦ Ἰακώβ  
ἀνατείλας Δέσποτα, ἐθῶν ἀπαρχὴν εἰσαγομένους, ἐδέξω δε προφανῶς./ δόξα τῇ δυνάμει σου, Κύριε (IV2).

ვითარცა პირველ ბალაამი,

იყვნეს მოგუნი მოწვევულ სიბრძნესა მას ვარსკულავთ

რიცხუვისასა, ხოლო შენ ახარე მათ, რამეთუ გამოჰბრწყინდი

The Old Georgian Version of The Prophets. Ed. by B.Blake. Patrologoa Orientalis. F. Graffin. Paros. T XXIX. 1961.

ბიბლიური წიგნების ბერძნული ტექსტი მოგვყავს შემდეგი გამოცემების მიხედვით:

Septuaginta. Edidite Alfred Ralfs. Editio minor. Duo volumina in uno. 1979.

Καινή Διαθήκη. Εν Αθηνάϊς και Κωνσταντινουπόλει, ἔτει 1900.

ვარსკულავი იაკობისაგან ქრისტე და წარმართნი შემოკრიბენ.

მოვიყვანთ სახარების მუხლს:

Ἰδοῦτες τε τὸν ἀστέρᾳ ἐχάρησαν χαρὰν μεγάλην σφόδρα (mat. 2, 10-11)

ხოლო მათ ვითარცა იხილეს ვარსკულავი იგი, განისხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად.

სახარების ამ ეპიზოდში საუბარია ვარსკულავზე, რომელიც წინ უძღოდა მაცხოვრის შობის აღვილიკენ მიმავალ მოგვებს. კოზმას ტროპარში ამ ვარსკულავს სიმბოლური დატვირთვა აქვს. იგი არის სახე თვით მაცხოვრისა, რაც კარგად ჩანს შემდეგ ტაეპში ἄστηρ ἐκ τοῦ Ἰακώβ ἀνατείλας Δέσποτα (გამოჰბრწყინდი ვარსკულავი იაკობისაგან ქრისტე).

ყველა განხილული მაგალითი გვიჩვენებს, რომ ქართული თარგმანი იმეორებს დედნის ტექსტის მიმართებებს ბიბლიურ სიუჟეტებთან და არავითარი ცვლილება არ შეაქვს.

ახლა მოვიყვანთ თარგმანის ისეთ შემთხვევებს, რომლებიც რამდენადმე სხვაობენ დედნისაგან.

- 4) Ἰδοὺ ἡ Παρθένος ὡς πάλαι φησὶν./ ἐν γάστρῳ συλλαβούσα ἐκήσσε Θεὸν ἐνανθρωπήσαντα καὶ μένει Παρθένος/ δι' ἧς καταλλαγέντες Θεῷ οἱ ἄμαρτολοί, Θεοτόκου κυρίως /οὔσαν ἐν πίστει ἀνυμνήσωμεν (V2)

ესერა

ქალწული მიუდგა და შვა,

ვითარცა თქუა პირველად ესაია,

ღმერთი ძლიერი და ჳელმწიფე ძედ მოგუეცა ჩუენ

და მშობელი დაადგრა ქალწულად საუკუნოდ და მან

დამაგნა ღმერთსა.

ქართული თარგმანი აკონკრეტებს წინასწარმეტყველებას „თქუა ესაია“. ე.ი. აქ აშკარად მითითებულია, ძველი აღთქმის რომელ წინასწარმეტყველებას ეყრდნობა ჰიმნოგრაფი.

Διὰ τοῦτο δώσει κύριος αὐτός ἡμῖν ἰδοὺ ἡ παρθένος ἐν γάστρῳ ἔξει καὶ τέξεται ὑιὸν καὶ καλέσεις τό ὄνομα αὐτοῦ Ἑμμανοὺηλ (esaias 7,11)

ამისთვის მოგუეცეს უფალმან სასწაული: აჰა, ესერა, ქალწულმან მუცლად-ილოს და შვეს ძე და უწოდოს სახელი მისი ევმანოელ.

ეს ფაქტი ნიშნავს იმისა, რომ ქართველი მთარგმნელი ითვალისწინებს კოზმას ტექსტების ბიბლიურ საფუძველს და თარგმანშივე აღნიშნავს ამას.

ესაიას წინასწარმეტყველების გარდა ამ ტროპარში მკვლევარნი ეზეკიელის წინასწარმეტყველების ანარეკლსაც ხედავენ.

καὶ εἶπεν Κύριος πρὸς με Ἡ πύλη αὐτῆ κεκλεισμένη, ἔσται οὐκ ἀνοιχθήσεται

καὶ οὐδεὶς μὴ διέλθῃ δι' αὐτῆς, ὅτι ὁ Θεὸς τοῦ Ἰσραὴλ σίσελεύσεται δι' αὐτῆς

καὶ ἔσται κεκλεισμένη (iez. 44,2)

და მრქუა უფალმან: ბჭე ესე და დაჯშულ იყოს და არა განელოს და არცა განვიდეს მის მიერ, რამეთუ უფალი ღმერთი ისრაელისად შევიდეს მიერ და იყოს დაჯშულ.

კოზმას ტროპარი ერთგვარი პასუხია ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებისა. ბიბლიის მეტაფორას, Ἡ πύλη αὐτῆ κεκλεισμένη (ბჭე დაჯშულ) ტროპარში შეესაბამება Ἡ Παρθένος (ქალწული).

ქართველი მთარგმნელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავრცობს კანონის ტექსტს და შესაბამისად ძველი აღთქმის ციტატაც გავრცობილია და განმარტებული ჰენდიადისით. ბიბლიური ფრაზის ქართულ თარგმანში დედნის Ἐὸς τοῦ Ἰσραὴლ გადმოღებულია როგორც „უფალი ღმერთი ისრაელისად, დედნის სიტყვებს ემატება „უფალი“. ანალოგიური მაგალითი გვაქვს კოზმას ტროპარის თარგმანშიც. ბერძნული დედნის ერთ სიტყვას „Κύριος“ ქართულში მთელი წინადადება ენაცვლება; „ღმერთი ძლიერი და ჳელმწიფე ძედ მოგუეცა ჩუენ“.

ასეთივე თავისებურებას გვიჩვენებს VI ოდის მეორე ტროპარის თარგმანი. დედნის ტროპარში არ არის მითითებული, რომ მასში გადმოცემული შინაარსი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებას ეყრდნობა, ქართველი მთარგმნელი კი ჩაურთავს ორ ტაეპს, რომლითაც კონკრეტულად მიუთითებს წინასწარმეტყველებაზე. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ტროპარის ტექსტსა და მის თარგმანს:

- 5) Νεὸν ἔξ Ἀδάμ παιδίον φεράματος./ ἐτέχθη Ὑἱὸς καὶ πιστοῖς δέδοται τοῦ δέμῆλλοντος οὐτός ἔστιν αἰώνιος Πατήρ καὶ ἀρχων, /καὶ καλεῖται τῆς μεγάλης βουλῆς Ἄγγελος /οὐτός ἰσχυρός Θεός ἔστι, καὶ κρατῶν ἔξουσί α τῆς κτίσεως(VI2)

მოგუესწავა ჩუენ

პირველთაგან წერილთა

ახალი ყრმად ადამის ბუნებისად, რომელ-იგი არს

მერმეთა მათ საუკუნეთა მთავარი,

ღმერთი ძლიერი და ხელმწიფე გამოგზნდა,

ესე დამბადებელი დაბადებულთად

და დამბადებელი დაბადებულთად

ქართული თარგმანის ფრაზას „მოგუესწავა ჩუენ/პირველთაგან წერილთა“ ბერძნულ დედანში შესატყვისი არა აქვს. კოზმას ეს ტროპარიც ესაიას წინასწარმეტყველების ინტერპრეტაციაა:

ὅτι παιδίον ἐγενήθη ἡμῖν, υἱός καὶ ἐδόθη ἡμῖν, οὗ ἡ ἀρχὴ ἐγενήθη ἐπὶ τοῦ ὄμου αὐτοῦ, καὶ καλεῖται τὸ ὄνομα αὐτοῦ Μεγάλης βουλής Ἄγγελος ἐγὼ γὰρ ἄξω εἰρήνην ἐπὶ τοὺς ἀρχοντας, εἰρήνην καὶ ὑγίαιαν ἀπὸρῆ (esai 9,6).

რამეთუ ყრმად იშვა ჩუენდა ძე, და მოგუეცა, რომლისა მთავრობად იყო მჯარსა მისთა და პრქჳან სახელი მისი დიდისა ზრახვისა ანგელოზ, საკრცველ თანამზრახი, ღმერთი ძლიერი, ხელმწიფე, მთავარი მშველობისად, მამად მერმისა საუკუნისად.

კოზმას ტროპარში ბიბლიური ფრაზის ზუსტ ციტაციას ვხვდებით ἡ καλεῖται τὸ ὄνομα αὐτοῦ Μεγάλης βουλής Ἄγγελος~ ქართულ თარგმანში აღნიშნული ფრაზა უგულებელყოფილია, მთარგმნელი ბიბლიურ ციტატას არ იმეორებს.

შობის კანონის ორ ტროპარში ლუკას სახარების ტექსტი შემოკლებულად არის გადმოცემული. მოვიყვანთ სახარების მუხლების ბერძნულ ტექსტს ქართულ თარგმანებთან ერთად და შევადარებთ კოზმას ტროპარებს:

καὶ ποιμένες ἦσαν ἐν τῇ χῶρᾳ τῇ αὐτῇ ἀγραυλοῦντες καὶ φυλάσσοντες φυλακὰς τῆς συκτὸς ἐπὶ τὴν ποίμνην αὐτῶν. καὶ ἄγγελος Κυρίου ἐπέστη αὐτοῖς καὶ δόξα Κυρίου περιέλαψεν αὐτούς, καὶ ἐφοβήθησαν φόβον μέγαν (ლუკ. 2, 8-10).

καὶ ἐξαίφνης ἐγένετο σὺν τῷ ἀγγέλῳ πλῆθος στρατιᾶς οὐρανοῦ αἰνοῦσάντων τὸν Θεὸν καὶ λεγόντων Δόξα ἐν ὑψίστοις Θεῷ καὶ ἐπὶ γῆς εἰρήνη ἐν ἀνθρώποις εὐδοκία (ლუკ. 2, 13-14)

და მწყემსნი იყვნეს მასვე სოფელსა, ველთა დგებოდეს და ჳუმბილვიდეს საჳმბილავსა ღამისასა სამწყსოსა მათსა. და აჰა, ანგელოზი უფლისად დაადგრა მათ ზედა, და დიდებად უფლისად გამოუბრწყინდა, და შეეშინა მათ შიშითა დიდითა.

და პრქჳა მათ ანგელოზმან მან უფლისამან: ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა, ესერა გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოველისა ერისა. და მეყსეულად იყო ანგელოზთა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათად, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა. და ქუეყანასა ზედა მშველობად, და კაცთა შორის სათნოებად.

6) Ποιμένας ἀγραυλοῦντες ἐκπλαγοῦς φωτοφανείας ἔτυχον./ δόξα Κυρίου γὰρ αὐτούς περιέλαμψε καὶ Ἄγγελος./ ἀσυμνήσατε, βῶν, ὅτι ἐτέχθη Χριστός./ ὁ τῶν πατέρων Θεὸς εὐλογητός εἶ (VII<sub>1</sub>).

7) ἕξαφαινης σὺν τῷ λόγῳ τοῦ Ἄγγελοῦ./ οὐρανοῦ στρατεύματα, δόξα, ἐκράυγαζον./ Θεῷ ἐν ὑψίστοις, ἐπὶ γῆς εἰρήνη./ ἐν ἀνθρώποις εὐδοκία Χριστός ἔλαμψεν./ ὁ τῶν πατέρων Θεὸς εὐλογητός εἶ (VII).

მწყემსთა უდაბნოდსათა,

ვითარცა გამოჩნდა ნათელი,

განკვრვებულნი ჰხედვიდეს,

ხოლო დიდებამან ღმრთისამან

ანგელოზისა მიერ ასწავა გალობად:

მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

ზეცისა გუნდნი ესრეთ

მაღლით გამო იტყოდეს ღაღადებით:

დიდებად მაღალსა ღმერთსა,

ქუეყანასა ზედა მშველობად,

რამეთუ კაცთა შორის ქრისტე გამობრწყინდა,

რომელი-იგი არს ღმერთი საუკუნეთად.

კოზმას ტექსტი შინაარსობრივად ძალიან ახლოს დგას სახარებისეულ მუხლებთან.

კანონის ტროპარში სახარების ზუსტი ციტაცია არის მოცემული Ἄδξα ἐν ἡσίοις Θεῷ καὶ ἐπὶ γῆς εἰρήνῃ ἐν ἀθρώποις ἐβδόμῃ. ამ ტროპართა შინაარსის მხატვრულობაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თქსიდესი. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შობის კანონის ამ ტროპარებში ღვთაებრივი სასწაულის მომლოდინე შობის ღამეა აღწერილი, „ღვთაებრივი სინუმე, მწყემსთა აგრიპნია და შემდეგ ანგელოზთა გალობა“. ეს ხატი მომდინარეობს სახარების შესაბამისი მუხლებიდან, რასაც მათი ტექსტობრივი შედარებაც ცხადყოფს. მიუხედავად ამისა, ტროპართა შინაარსს მხატვრულობას სძენს თვით კოზმა. ჩვენი დაკვირვებით ჰიმნოგრაფის მიერ შექმნილი ინდივიდუალური პოეტური შინაარსი ტროპარში განპირობებულია სიტყვით ἔκπλαγους (განკვრევებულნი), რაც მწყემსთა განცდის გამომხატველია. სწორედ ამის გამო იძენს მთლიანად სურათი სახარების ტექსტისაგან რამდენადმე განსხვავებულ ელფერს. კოზმას მხატვრულ შინაარსს უცვლელად იმეორებს ქართული თარგმანი.

ყურადღებას შევაჩერებთ VIII ოდის მეორე ტროპარზე.

- 8) Ὅργανα παρέκλινε τό πένθος ᾠδῆς./ οὐ γάρ ἦδον ἐν νόθοις οἱ παῖδες Σιών/ Βαβυλῶνιός λύει δε πλάνην πᾶσαν καὶ μουσικῶν ἄρμονίαν, /Βεθλεέμ ἐξανατείλας Χριστός./ διὸ ἀουμνήτες ἀναμέψαμεν εὐλογοῦντα ἢ κτίσις πᾶσα τὸν Κύριον./

καὶ ὑπερψοῦται εἰς πάντας τοὺς αἰῶνας (VIII<sub>2</sub>).

ნესტჯსა და ებნის ჳმანი ოვრიდეს,

შესხმისა ზარი განაფრთვობდა

გულსა მგლოვარეთასა,

ხოლო სიონისა ზეთა

შეურაცხევნეს განცხრომანი ბაბილონელთანი

და ბეთლემისათა თანა იტყოდეს:

აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა.

თეოდორე პროდრომოსი ამ ტროპარში 136-ე ფსალმუნის 1-4 მუხლების გავლენას ხედავს და თავად ვრცელ კომენტარს უძღვნის მას<sup>9</sup>. ფსალმუნის ტექსტში გადმოცემულია ბაბილონის ტყვეობაში მყოფ სიონის ძეთა გოდება.

ἐπὶ τῶν ποταμῶν Βαβυλῶνιός ἐκεῖ ἐκαθίσταμεν καὶ ἐκλαύσαμεν ἐν τῷ μνηστῆρῃ ἡμᾶς τὴν Σιών. ε

ἔπι ταῖς ἰτεαῖς ἐν μέσῳ αὐτῆς ἐκρεμάσαμεν τὰ ὄργανα ἡμῶν. ὅτι ἐκεῖ ἐτήρωθησαν ἡμᾶς οἱ αἰχμαλωτῆρ σαυτες ἡμῶν λόγοις ᾠδῶν. καὶ οἱ ἀπαγάγουτες ἡμᾶς ἤμουσι Ἕαισατε ἡμῖν ἐκ τῶν ᾠδῶν Σιών. πᾶς ᾄσῃται τὴν ᾠδὴν κυρίου ἐπὶ γῆς ἀλλυτρίας (ფსალმ. 136, 1-4).

მდინარეთა ზედა ბაბილონისათა მუნ დავსხედით და ვტიროდით, რაჟამს მოვისხენეთ ჩვენ სიონი. ძეწნთა ზედა შორის მისთა მუნ დავჰკიდენით საგალობელნი ჩვენნი, რამეთუ მუნ მკითხვიდეს ჩვენ წარმტყუენველნი ჩვენნი სიტყუათა მათ ქებათასა და წარმყვანებელნი ჩვენნი გალობასა: ვგალობდეთ ჩვენ გალობათა მათგან სიონისათა, ვითარმედ ვგალობდეთ გალობასა უფლისასა ქუეყანასა უცხოასა.

თეოდორე პროდრომოსის კომენტარის მიხედვით, ფსალმუნისეული „სიონის ძეთა მწუხარება განაქარვა ბეთლემიდან გამობრწყინებულმა მხსნელმა. ქრისტეს შობით განქარდა ბაბილონელთა ცდომილება სწორედ სიონის მეუფების ქვეშ“. პროდრომოსის კომენტარს დავუმატებთ, რომ კოზმას ტროპარში ფსალმუნის ტექსტის შინაარსით არის გადმოცემული განკაცებული მაცხოვრის მიმართ გალობა. ფსალმუნის დამწუხრებული, ტყვექმნილი სიონის ძენი აწ მხიარულებას მოუცავენ, რადგან ხორციელად იშვა ღმერთი. ფსალმუნისა და ტროპარის ამგვარი შინაარსობრივი მიმართება ქართულ თარგმანში, დედნის ტროპართან შედარებით, შემოკლებულად არის გადმოცემული. მიუხედავად ამისა, ფსალმუნის ანარეკლი თარგმანშიც შენარჩუნებულია. უფრო ზუსტად შეიძლება ითქვას, რომ თეოდორე პროდრომოსის კომენტარს შესანიშნავად უპასუხებს ტროპარის ქართული თარგმანი: „ხოლო სიონის ძეთა / შეურაცხევნეს განცხრომანი ბაბილონელთანი / და ბეთლემისა თანა იტყოდეს: აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა“.

<sup>9</sup> Theodore Prodromos. Comentarii in Carmina Sacra melodorum Cosmae Hieroslymitani et Ioannis Damascini. Ed. H.M Stevenson. Rome, 1888, p. 90.

## განცხადების კანონი

კოზმას ამ კანონსაც უძღვნა თეოდორე პროდრომოსმა კომენტარები. იგი, პირველ ყოვლისა, ჰიმნოგრაფიული კანონის ტექსტის განხილვისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აკროსტიქს, რომელშიც მთელი კანონის შინაარსი მოკლედ არის გადმოცემული. პროდრომოსი განცხადების კანონის აკროსტიქს ἘΒΑΠΤΙΣΜΑ ῥῶσις γῆγεινῶν ἀμαρτάνων~ ცალკე განმარტებას უძღვნის და მიანიხი, რომ მისი შინაარსი გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვების *λοῦσατο, ἀλλὰ κήθηρεν ἀμαρτάνων* (განიბანე, რათა განიწმინდო ცოდვითაგან) განვლენით არის დაწერილი. ქრისტეს ნათლისღება ადამიანის ცოდვიანი ბუნების განწმენდას ნიშნავს<sup>10</sup>.

კანონის ტროპარები სხვადასხვანაირად იმეორებენ ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებს. კანონის I ოდის პირველ ტროპარში 73-ე ფსალმუნის 13-14 მუხლების საინტერესო ანალოგიას ვხვდებით.

- 1) Ἄδὰμ τὸν φθαρῆντα ἀναπλάττει ῥείθροισ Ἰορδάνου, / καὶ δρακόντων κεφαλὰς ἐμφαλευόντων διαθλάττει, / ὁ Βασιλεὺς τῶν αἰῶνων Κύριος, ὅτι δεδόξασται (I<sub>1</sub>)

ადამ განწმენილი განაახლა დღეს

წყალთა შინა იორდანისათა

და თავი ვეშაპისად დამალული მათ შინა

შემუსრა ძლიერმან უფალმან, რამეთუ დიდებულ არს.

Σὺ ἐκραταίωσας ἐν τῇ δυνάμει σὺν τῇ θάλασσᾳ, σὺ συνέρψυξας τὰς κεφαλὰς τῶν δρακόντων ἐπὶ τοῖς δράκοντος. Ἐδῶκας αὐτὸν ῥῆμα λαοῖς τοῖς Αἰθίοψιν (fsalm. 73, 13-14)

შენ განამტკიცე ძალითა შენითა ზღუად, შენ შეკუმუსრე თავები ვეშაპთა წყალთა ზედა, შენ შეკუმუსრე თავი ვეშაპისა მის და მიეც იგი საჭმელად ერსა მას ჰინდოეთისასა.

ის აზრი, რაც ფსალმუნშია გადმოცემული სახე-სიმბოლოებით „ზღვისა“ და „ვეშაპის“ სახით, გამონდა კოზმას ტროპარში, ოღონდ აქ ამ სახეებს სხვაგვარი შინაარსი აქვთ. „წყალი“ არის ნათლისღების, ანუ განწმენდის სიმბოლო, ხოლო „ვეშაპი“ ადამიანური ცოდვის. ტროპარის ქართული თარგმანი ამ მხრივ რაიმე თავისებურებას არ გვიჩვენებს.

იოანეს სახარების 1-14 მუხლის განსხვავებულ ინტერპრეტაციას ვხვდებით განცხადების კანონის I ოდის მეორე ტროპარში (შდრ. შობის კანონი).

- 2) Πυρὶ τῆς Θεότητος ἀψλα σάρκα ὑλικὴν ἡμφιεσαμένους Ἰορδάνου περιβάλλεται τό νῆμα ὁ σαρκωθεὶς ἐκ Πατρὸς σου Κύριος. ὅτι δεδόξασται (I<sub>2</sub>).

ნათელმან ღმრთისამან უსხეულომან

შეიმოსნა ჯორცნი ნივთიერნი

და შეიმოსნა წყალნი იორდანისანი,

რომელ არს მეუფე საუკუნოდ.

კოზმა მაცხოვრის განკაცების თემას ამ ტროპარში ამატებს ნათლისღების თემასაც და ამ მხრივ შობის კანონისაგან განსხვავებულ კონტექსტში წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან თავისებურებას გვიჩვენებს IV ოდის ქართული თარგმანი მის ბერძნულ დედანთან და პავლე მოციქულის ებრაელთა მიმართ ეპისტოლესთან შედარებით. მოვიყვანთ პარალელურად ბერძნულ და ქართულ ტექსტებს:

- 3) Ῥυπτόμενον ἦλιος τις εἶδεν, / ὁ κήρυξ βοᾷ, τὸν ἐκλαμπρον τῇ φύσει, ἵνα σε ὕδασι, ἀπαύγασμα τῆς δόξης, / Πατρός χαρακτήρ αἰδίου, ἐκπλύνω, καὶ χόρτος ἂν πυρὶ ψάσσω τῆς σῆς Θεότητος, σὺ γὰρ εἶ Χριστός, Θεοῦ σφία καὶ δύναμις (IV<sub>1</sub>).

მზე განწმედად ვინ იხილა,

რომლისა ბუნებად არს ელვარე და მცხინვარე,

ხოლო რადთა გიცნან შენ მხოლოდ ხატი ძლიერებისად,

შევეხო დღეს თივად ცეცხლსა მას

ღმრთეებისა შენისასა.

შენ ხარ, ქრისტე,

სიბრძნე ღმრთისად და ძალი მისი.

<sup>10</sup> Theodore Prodromos. *Comentarii in Carmina Sacra melodorum Cosmae Hieroslymitani et Ioannis Damascini*. Ed. H.M Stevenson. Rome, 1888, p. 92.

კოზმას ტროპარის შინაარსი მომდინარეობს, როგორც აღვნიშნეთ, პავლეს ეპისტოლედან. ὅς ὡς ἀπαύγασμα τῆς δόξης καὶ χαρακτήρ τῆς ὑποτάσεως αὐτοῦ φέρωσ τε τὰ πάντα τῷ ῥήματι τῆς δυσάμεω σ αὐτοῦ, καθαρισμόν τῶν ἁμαρτιῶν ποιησάμενος ἐκάθισεν ἐν δεξιᾷ τῆς μεγαλοσύνης ἐν ὑψηλοῖς (ebr. 1,3).

რომელი-იგი არს ბრწყინვალეობად დიდებისად და ხატი ძლიერებისად მისისად, უტვროვან ყოველნი სიტყვთა მით ძლიერებისა მისისადთა თავისა მიერ თვისისა, განწმედად ცოდვთა ჩვენთადყო, და დაჯდა იგი მარჯვენით სიმდიდრესა მისსა მაღალთა შინა.

ეპისტოლის ტექსტთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ კოზმა იმეორებს მოციქულის სიტყვებს: ἁπαύγασμα τῆς δόξης (ბრწყინვალეობად დიდებისად) ზუსტად და ოდნავი ცვლილებით Πατρός χαρακτήρ αἰδίου (კოზმა) χαρακτήρ τῆς ὑποτάσεως αὐτοῦ (ეპისტოლე). ეპისტოლის ტექსტშიც და კოზმას ტროპარშიც საუბარია ქრისტეს ღვთაებრივ არსზე, რაც მოციქულისეული ეპითეტებით არის გამოხატული ტროპარში. ამავე დროს კოზმა ტექსტს მხატვრული სახეებით თავისებურად ამდიდრებს. პირველივე ფრაზაში Πυρπτόμενον ἦλιος τις εἶδεν (მზე განწმედად ვინ იხილა) ἦλιος „მზე“ ქრისტეს სიმბოლოა. ამრიგად, ზემოთ აღნიშნული ორი ეპითეტი კოზმასთან ეპისტოლეს ანალოგიურია, ერთი კი ἦλιος თავად კოზმა შემოაქვს. ვნახოთ, როგორ არის ასახული ეს ეპითეტები ქართულ თარგმანში. ქართველი მთარგმნელი ბერძნული დედნის შინაარსობრივ მიმდევრობასა და სტილს ცვლის. დედნის კითხვითი შინაარსის წინადადებები; ἔκπλυνσ ψάσσω τῆς σῆς Θεότητος გამომოქვს თავისებურად „ხოლო რადთა გიცნან შენ მხოლოდ ხატი ძლიერებისად / შევეხო დღეს თივად ცეცხლსა მას“. იგივე ითქმის დედნისეულ ეპითეტზეც ἁπαύγασμα τῆς δόξης „ბუნებად არს ელვარზე და მცხინვარზე“, Πατρός χαρακτήρ αἰδίου „ხატი ძლიერებისად“. როგორც ვხედავთ, ქართული თარგმანი სახარებისა და კოზმას ტროპარის შინაარსის განსხვავებულ ვარიაციას იძლევა. თარგმანში არ არის ასახული ადეკვატურად ბერძნული ტროპარისა და ეპისტოლის ტექსტის ურთიერთმიმართება.

სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებას გვიჩვენებს ქართული თარგმანი სახარების ტექსტთან, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ ბერძნულ დედანთან.

- 4) Συνελθόντων ἀπειρών λαῶν ὑπὸ Ἰωάννου βαλτισθῆναι, αὐτὸς ἐν μέσῳ ἔσθη. προσεφώνει δὲ τοῖς παροῦσι./ τίς ἔδειξεν, ἀπειθεῖς, τὴν ὀργὴν ἡμῖν ἐκκλιναίτην μέλλουσας, καρπούς ἀγίους Χριστοῦ ἐκτελείτε. / παρῶν γὰρ νῦν εἰρήνην χαρίζεται (V1)

მოვლა კრებული ერისად ნათლისღებად  
იორდანესა, რაჟამს დგა იგი შორის,  
და უღადადებდა: ნაშობნო იქედნეთანო,  
ვინ გიჩუენა თქვენ სივლტოლად მომავლისაგან,  
აწ უკუნ-ყავთ ნაყოფი,  
ღირსი უფლისა ჩუენისა,  
რომელსა თაყუანის-ვსცემთ.

კოზმას ამ ტროპარში მათეს სახარების გამოძახილია:

Ἰδὼν δὲ πολλοὺς τῶν Φαρισαίων καὶ Σαδδουκαίων ἐρχομένους ἐπὶ το βάπτισμα εἶπεν αὐτοῖς. Γεννήματ α ἐχιδνῶν, τίς ὑποδέξεν ἡμῶν φυγεῖν ἀπὸ τῆς μαλλοσύτης ὀργῆς (მათე. 3,7).

და ვითარცა იხილა ფარისევლები და სადუკევლები, მომავალნი ნათლის-ღებად მისგან, პრქუა მათ: ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქვენ სივლტოლად მერმისა მისგან მომავლისა რისხვისა?

ამკარად ჩანს, რომ ჰიმნოგრაფი სახარების მუხლის თემას იმეორებს, ასევე მიჰყვება დედნის ტექსტს ქართული თარგმანი. ყურადღებას შევაჩერებთ კოზმას ტროპარის ერთ სიტყვაზე ἀπειθεῖς (ურწმუნონი) ამ სიტყვით ჰიმნოგრაფი ცვლის სახარების სიტყვებს: Γεννήματα ἐχιδνῶν. ტროპარის ქართულ თარგმანში კი გადმოტანილია სწორედ სახარებისეული ციტატა „ნაშობნო იქედნეთანო“ და განმეორებულია სახარების ქართული თარგმანის შესაბამისად თითქმის მთელი ფრაზა. „ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქვენ სივლტოლად მერმისა მისგან მომავლისა რისხვისა“. (სახარება) „ნაშობნო იქედნეთანო, / ვინ გიჩუენა თქვენ სივლტოლად მომავლისაგან (კოზმა).

ამ შემთხვევის მიხედვით ძნელია ვიფიქროთ, რომ კანონის ქართველი მთარგმნელი მიმართავდა სახარების თარგმანს, უფრო მეტად დასაშვებია სხვა მოსაზრება. სახარების აღნიშნული ფრაზა იმდენად ცნობილია, რომ კანონის მთარგმნელს ზეპირად უნდა სცოდნოდა, მით უმეტეს, რომ ტროპარის ბერძნული დედანი სწორედ სახარების ამ სიუჟეტს იმეორებს ზუსტად და

ამიტომაც მთარგმნელმა გააზრებულად ჩართო აღნიშნული ფრაზა ნაცვლად კოზმასეული ἄπειθεῖς-ისა.

ყურადღებას შევაჩერებთ განცხადების კანონის VII ოდის პირველი ტროპარის თარგმანზე.

- 5) Γεννηθεῖς ἄρρεστως ἐκ Θεοῦ καὶ Πατρὸς, / ἐκ τῆς Παρθένου δίχασαρκουταίρπου Χριστός, / οὐ τὸν ἰμάτια, τὴν ἕξ ἡμῶν τοῦ Λόγου συνάφειαν, / λύειν ἀμήχανον, διδάσκει ὁ Πρόδρομος, / γηγενεῖς ἐκ πλάτης λυτρούμεν ος (VI).

შობილი მამისაჲ

შეუგინებელად ქალწულმან გვშვა, რომლისაჲ თქუა იოვანე:

ვერ შემძლებელ ვარ

ღირსად საბელისა ჯამლთა მისთასა ტვრთვად, ესე მდგომარე არს

შორის თქუენსა გამოკსნისათვის

ჯრწნილებისაგან და სიკუდილისა.

კოზმას ამ ტროპარში ელოვიაგინი ლუკას სახარების შინაარსს ხედავს<sup>11</sup>. მოვიტანთ შესაბამის მუხლებს:

Μὴ ποτέ αὐτός εἶη ὁ Χριστός, ἀπεκρίνατο λέγων πᾶσιν ὁ Ἰωάννης: ἐγὼ μὲν ὑδατι βαπτίζω ὑμᾶς. ἔρχεται δὲ ὁ ἰσχυρότερος μου, οὐκ εἶμι ἰκανός λῆσαι τὸν ἰμάτια τῶν ὑποδημάτων αὐτοῦ. (ლუკ. 3,16)

მიუგო ყოველთა და ეტყოდა: მე ნათელ-გცემ თქვენ წყლითა: მოვალს უძლიერესი ჩემსა, რომლისა არა ღირს ვარ ჯამლთა მისთა ტვრთვად.

კოზმას ტროპარში სახარების ტექსტის ზუსტი ციტაცია არ გვხვდება, მაგრამ აშკარად ჩანს თუ სახარების რომელ მუხლს ეყრდნობა ავტორი ἔκ τῆς Παρθένου ... λύειν ἀμήχανον διδάσκει ὁ Πρόδρομος~ (შეუძლებელია საბელთა დახსნა – გვასწავლის წინამორბედი).

ტროპარის ქართულ თარგმანში კი სახარების შესაბამისი ადგილიდან მთელი წინადადება თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი „ვერ შემძლებელ ვარ / ღირსად საბელსა ჯამლთა მისთასა ტვრთვად“.

ანალოგიური შინაარსის სიუჟეტია მოცემული მათეს სახარების 3.11 მუხლში. ἔκ τῆς Παρθένου ... λύειν ἀμήχανον διδάσκει ὁ Πρόδρομος~ (შეუძლებელია საბელთა დახსნა – გვასწავლის წინამორბედი). ორი სახარების მუხლთა შედარებით ჩანს, რომ ლუკას სახარების ბერძნული ტექსტი ქართულად ზუსტად არ არის თარგმნილი (არა ვარ ღირსი, რომ გავხსნა მის ხამლთა საბელნი), ხოლო მათეს სახარების ქართული თარგმანი ასეთია „არა ღირს ვარ ჯამლთა მისთა ტვრთვად“, ე.ი. ლუკას და მათეს სახარებათა აღნიშნული ტექსტობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული მუხლები ქართულად ერთნაირად არის თარგმნილი.

დავუბრუნდეთ ტროპარის ქართულ თარგმანს. „ვერ შემძლებელ ვარ / ღირსად საბელისა ჯამლთა მისთასა ტვრთვად“. იგი ნათელყოფს, რომ მთარგმნელი, ერთი მხრივ, იცნობს და იყენებს სახარებისეულ თარგმანს და, მეორე მხრივ, ტროპარის დედნის სიტყვას „τα ὑποδήματα“ თარგმნის. ეს მაგალითი აშკარა დადასტურებაა იმისა, თუ როგორი თავისუფალი დამოკიდებულება აქვს მთარგმნელს როგორც კოზმას ტექსტის, ასევე სახარების თარგმანთანაც. საკუთარი ინტერპრეტაციის მიხედვით ცვლის და იყენებს ორივე ტექსტს.

ჩვენი აზრით, საყურადღებოა კანონის VIII ოდის პირველი ტროპარის თარგმანიც, რომელშიც ჩნდება დედნისგან განსხვავებული სახარებისეული ციტატა.

- 6) Ἄποθου φόβον ἄπαντα, ὁ Λυτρωτῆς τῷ Προδρόμῳ ἔφησεν. / ἔμοι δὲ πειθάρχει, ὡς χρηστῷ, μοὶ πρόσελθε. / τοῦ το γὰρ φύσει πέφυκα. ἔμῳ προστάγματι εἶξον, / καὶ βαπτισόν με συγκαταβάνα. / ὄν εὐλογοῦσι λαοὶ καὶ ὑπεροψοῦσιν εἰς πάντας τοὺς αἰῶνας (VIII)

წინამორბედსა ჰრქუა მჯსნელმან:

ყოველი შიში განაგლე და მორჩილ მექმენ,

მიიღე და ისწავე, რამეთუ მშვედ ვარ და მდაბალ გულითა

და ჯმასა ცემსა ჰმსახურე

და ნათელ-მეც გამოუკულებელად,

<sup>11</sup> Е. Ловягин. Богослужбные каноны на греческом славянском и русском языках. СПб. 1875, стр. 18.

რომელსა მიღადადებს ყოველი სული მე უკუნისამდე.

თეოდორე პროდრომოსს ტროპარის კომენტირებისას მოჰყავს სახარებისეული ციტატა:

ὁ δὲ Ἰησοῦς εἶπεν αὐτῷ: τι με λήγεις ἀγαθόν, οὐδείς ἀγαθός ἐί μὴ εἷς ὁ Θεός  
(ლუკ. 18,19).

ხოლო იესუ ჰრქუა მას: რაღსა მეტყვებ სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა ღმერთი მხოლოდ“.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში კოზმას ტროპარის სახარების ციტატასთან მიმართება ერთი შეხედვით მკაფიოდ გამოხატული არ არის, მაგრამ კანონის კომენტატორი თვლის, რომ მასში არეკლილია სახარებისეული ფრაზის შინაარსი. საკითხის უკეთ წარმოსახენად მივმართავთ პროდრომოსის განმარტებას. კომენტარის თანახმად, მხოლოდ ქრისტე, უფალი არის თავად სახიერი ბუნებით, სახიერი ἄγαθὸν არსის მქონე და სანდო. ამიტომ კოზმას სიტყვები: ἔμῳ προστάγματι εἶξον. ἐμοὶ δὲ πειθάρχει (მორჩილ მექმენ) გულისხმობს „მენდე და მიეახლე ჩემს სახიერებას“<sup>12</sup>. ამ განმარტებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება სახარების ჰიმნოგრაფისეული ინტერპრეტაცია მაცხოვრის ნათლისღების სიუჟეტის გადმოცემისას, როცა უფალი მიმართავს იოანე ნათლისმცემელს: Ἐπὸς θὸν φόνον ἄπαντα, ... ἐμοὶ δὲ πειθάρχει (ყოველი შიში განავლე და მორჩილ მექმენ). ამგვარი კავშირი პოეტურ ტროპარსა და მახარებლის ფრაზას შორის კიდევ უფრო გამოკვეთილია ტროპარის ქართულ თარგმანში, სადაც დამატებით შემოტანილია სახარების სხვა ციტატა: „მიიდე და ისწავე, რამეთუ მშვედ ვარ და მდაბალი გულითა“ (მათ. 11,29). ეს ფრაზა მეტ მხატვრულობას ანიჭებს ტროპარს და უფრო ნათლად ასახავს სახარებისეული ტექსტის გავლენას.

მათეს სახარების 3,17 მუხლის საინტერესო ინტერპრეტაცია გვხვდება VIII ოდის მესამე ტროპარში.

- 7) Τριαδὸς ἡ φανέρωσις ἐν Ἰερδάνῃ γέγινεν./ αὐτῆ γὰρ υπέρθεος φύσις, ὁ Πατὴρ ἐφώνησεν./ οὗτος ὁ βαπτιζόμενος ὕιός ὁ ἀγαπητός μου./ τό Πνεῦμα συμπληρῆν τῷ ὁμοίῳ,/ ὁ ἐυλογοῖσιν λαοὶ καὶ ὑπερψοῖσιν εἰς πάντας τοὺς αἰῶνας (VIII)

ახლა მოვიყვანთ თავად სახარების ციტატას:

καὶ ἰδοὺ φωνὴ ἐκ τῆς οὐρανῶν λέγουσα Οὗτός ἐστιν ὁ ὕιός μου ὁ ἀγαπητός ἐμῷ εὐδόκησῃ (მათ. 3,17).

და ჳმად იყო ზეცით და თქუა: ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ.

სახარების ამ მუხლში ძე ღვთისას განცხადებაა გადმოცემული, ამავე შინაარსს იმეორებს კოზმა ტროპარში, ოღონდ არა სახარების ციტატას სახით. ბუნებრივია, იგივე თემაა წარმოჩენილი ტროპარის ქართულ თარგმანში, თუმცა განსხვავებულად.

განცხადნა დღეს იორდანეს სამებად,

უზეშთაესი ყოველთა კაცთა გონებათა,

მამად ზეცით წამებდა ზისა სიყუარულისთვს

და სული წმიდად იხილვა

სახედ ტრედისა გარდამოსრული, რომელსა ვაკურთხევთ

ჩუენ და აღვამაღლებთ მას უკუნისამდე.

ქართველი მთარგმნელი, ბერძნული დედნისაგან განსხვავებით, სახარების ფრაზას „ ὗτός ἐστιν ὁ ὕιός μου ὁ ἀγαπητός ἐμῷ εὐδόκησῃ “, რაც ტროპარის ბერძნულ ტექსტში ზუსტად მეორდება, თხრობითი ფორმით გადმოსცემს. „წამებდა ძისა სიყუარულისთვს“. სამაგიეროდ, სული წმიდის გარდამოსვლის სიუჟეტს კი, დედნის ტროპარისაგან განსხვავებით, ზუსტად სახარებისეული სახე-სიმბოლოთი გამოხატავს: „და სული წმიდად სახედ ტრედისა გარდამოსრული“ (ტროპარის ქართული თარგმანი). „სული ღმრთისად გარდამომავალი, ვითარცა ტრედი“ (მათ. 3,16). როგორ აიხსნება ეს შემთხვევა? აქაც, ვფიქრობთ, როგორც ზემოთ აღნიშნულ მაგალითებში, სამების განცხადების სიუჟეტი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, ტროპარის ქართველი მთარგმნელი, თარგმანის პრინციპიდან გამომდინარე, თავისებური ინტერპრეტაციით გადმოსცემდეს ნაცნობ ეპიზოდს. ერთი მხრივ, კოზმას ტექსტის მიხედვით, და მეორე მხრივ, თვით სახარების მუხლების ანალოგიით.

<sup>12</sup> Theodore Prodromos. Comentarii in Carmina Sacra melodorum Cosmae Hieroslymitani et Ioannis Damascini. Ed. H.M Stevenson. Rome, 1888, p. 97.



გამოვეყოფთ კანონის IX ოდის მეორე ტროპარს. ეს სტროფი, თეოდორე პროდრომოსის თანახმად, ერთდროულად ძველი აღთქმის ესაიას წინასწარმეტყველებასა და იოანეს სახარებასთან არის დაკავშირებული.

- 8) Ἡσαίας λούσασθε, καθάρητε, φάσκει./ τας ποιηρίας ἔναυτι ἀφέλεσθε Κύριοι, οἱ διψῶντες ὑδᾶρ ἐπὶ ζῶν πορεύσθε. ῥανεῖ γὰρ ὑδᾶρ καινοποιῶν Χριστὸς τοῖς προστρέχουσιν αὐτῷ πίστει, / καὶ πρὸς ζῆν τὴν ἀγίῳ βαπτίσει Πνεύματι (IX<sub>2</sub>)

თქუა ესაია;

განიბანენით, განიწმიდენით,

და მოისპეთ დღეს

უკეთებდა სულთაგან თქუნთა.

რომელთა გწყურის,

წარვედით თქვენ წყლად ცხორებისად,

სხურებითა წყლისადთა ქრისტემან

განახლნა დღეს ყოველნი

ნათესავნი, ღირს-ყვნა

ცხორებასა საუკუნესა.

პროდრომოსის კომენტარიდან გამომდინარე, ამ ტროპარში ერთად არის წარმოდგენილი ძველი და ახალი აღთქმის თემატიკა და სწორედ ამ თვალსაზრისით არის იგი საინტერესო<sup>13</sup>. კოზმას ტროპარში ჩანს „წყლის“ სიმბოლო, რომელსაც ორგვარი მნიშვნელობა აქვს: წყალი, როგორც ცოდვათაგან განმწმენდილი, რომლითაც ნათლისდება აღსრულება და წყალი, რომელიც სულიერი საზრდოს აღეგორიან, მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელი. ეს უკანასკნელი სიმბოლო მომდინარეობს იოანეს სახარების 4,14 მოხლიდან:

ὅς δ' ἂν πιῇ ἐκ τοῦ ὑδατος οὗ ἐγὼ δῶσα αὐτῷ οὐ μὴ διψῆσει εἰς τὸν αἰῶνα, ἀλλὰ τὸ ὑδᾶρ ὃ δῶσα αὐτῷ γενήσεται ἐν αὐτῷ πηγὴ ὑδατος ἀλλομένου εἰς ζῆν αἰῶνον (იოან. 4,14).

ხოლო რომელმან სუას წყლისაგან, რომელი მე მივსცე მას, ექმნეს მას შინა წყარო წყლისა, რომელი ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ.

ამრიგად, განვიხილეთ კოზმა იერუსალიმელის საუფლო დღესასწაულების (ქრისტესშობისა და განცხადების) კანონთა ტექსტობრივი მიმართებანი ძველი და ახალი აღთქმის წიგნებთან. წარმოვადგინეთ ჩვენი დაკვირვებანი, თუ როგორი გამოძახილი პოვა ამ მიმართებებმა ქართულ პოეტურ თარგმანებში. ვფიქრობთ, აღნიშნულმა დაკვირვებებმა წარმოაჩინა საინტერესო სურათი. კოზმა, როგორც პოეტი, ძირითადად ბიბლიური სიუჟეტების სახე-სიმბოლოებს ეყრდნობა. ზოგჯერ ზუსტი ციტაციაც მოჰყავს წმინდა წერილის შესაბამისი ნაწილებიდან, ზოგიერთ შემთხვევაში კი აშკარად ვლინდება მისი ინდივიდუალური შემოქმედება, მაშინ როცა ბიბლიურ სიუჟეტსა თუ სახეს გარკვეულწილად მხატვრული ინტერპრეტაციით გამოხატავს. განსაკუთრებით გამორჩეულია კოზმაიერუსალიმელის პოეზია შინაგანი ღირსებით, რაც ერთდროულად ლოცვა-ვედრებისა და უღრმესი თეოლოგიური შინაარსის ერთიანობით ცხადდება.

ზემოთ განხილული ქართული თარგმანების მიხედვით, რიგ შემთხვევებში, მთარგმნელი ითავისებს და იმეორებს ჰიმნოგრაფის შექმნილ პოეტურ ხატს ისეთივე მიმართებით ბიბლიურ წიგნებთან, როგორც ეს თავად დედანშია წარმოდგენილი. ზოგჯერ კი მთარგმნელი რამდენადმე ცვლის კოზმას მხატვრულ სახეს, ხან მასში ასახული ბიბლიური ციტატის გავრცობით ან შეკვეცით, ხან სრულიად უგულებელყოფით. იმავდროულად იგი წარმოდგება, როგორც შემოქმედი, რადგანაც ბიზანტიურ პოეზიას თარგმანში პოეტურ სახოვანებას არ უკარგავს.

<sup>13</sup> **Theodore Prodromos.** Comentarii in Carmina Sacra melodorum Cosmae Hieroslymitani et Ioannis Damascini. Ed. H.M Stevenson. Rome, 1888, p. 97.

**The relationship of Cosma Jerusalem's Canons of the Lord's Feasts to Biblical books and their reflection in Georgian translations of Iadgari**

Resume

The paper deals with Cosma Jerusalem's relationships of the Canons of the Lord's Feasts to biblical books. It is revealed how these relationships are reflected in proper Georgian translations. A conception, that Byzantine hymnography basis on and uses Biblical symbol-characters is accepted in scientific literature and the individualism of separate hymnographer is expressed in what kind of interpretation be presents Biblical characters. Reflection of subject matter of new and old testament in Cosma Jerusalem's hymnography is interesting with this point of view. Poetry of Cosma is characterized in the following way: "HymnographerCosma gets wisdom of the Holy Scripture and spreads it in various Canons, which creates common theme for the whole Canon and treats different details of the theme in the limits of ode" (Th. Detorakis).

Theodore Prodomos points to the connection of Biblical symbol-characters and Canons of the Lord's Feasts in his commentaries.

The main axis of Cosma's poetry is the treatment of Evangelical theme, his artistic characters aren't described with external smartness. Basic principle of poetry is the motion of the immovable icon or pictorial description of the phenomenon with which creation of aesthetic character is achieved. On the basis of studying relationship between the text of Canons of Nativity, Theofania and their translations to Biblical books, it has been proved that Cosma mainly changes Biblical theme or quotation and in certain cases gives their precise citation. In most cases, in Georgian translations of Canons is adequately repeated the directions presented in Cosma's poetry. In Georgian translations some cases were confirmed, when Georgian translator concretizes content of Biblical phrase given in original.

Thus Georgian translations of Cosma's poetry present creator-translators who in certain cases give the images and subjects (descended from Biblical books) of Cosma's Canons sometimes analogically to original and sometimes distinctively.

## თარგმნითი თავისებურებები ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „წინასწარმეტყველის“ სამი ქართული თარგმანის მიხედვით

მწერლის, პოეტის, ფილოსოფოსის, მისტიკოსის, მხატვრისა და ჰუმანისტის ჯიბრან ხალილ ჯიბრანის სახელი მე-20 საუკუნის ლიბანის სიმბოლოდ იქნა აღიარებული. მას მრავალ ქვეყანაში იცნობენ; მსჯელობენ მისი შემოქმედების შესახებ და ხშირად მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ცხარე კამათის საგანი ხდება.

იუნესკომ ჯიბრან ხალილის დაბადების 100 წლისთავი მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღნიშნა და 1983 წელი მის წლადაც გამოაცხადა; ამით მსოფლიო საზოგადოებრიობამ პატივი მიაგო მწერლის ხსოვნას და კიდევ ერთხელ შეახსენა კაცობრიობას უდიდესი შემოქმედის ღვაწლი. იუნესკომ ჯიბრან ხალილი ვაგნერის, ლუთერის, სტენდალის, კაფკასა და სხვა შემოქმედთა გვერდით მოიხსენია, რაც უდაოდ დიდი პატივია, თუმცა იგი ამ პატივს ნამდვილად იმსახურებს თავისი შემოქმედების უნივერსალურობითა და თვითმყოფადობით.

დღესდღეობით ჯიბრან ხალილი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული არაბი ავტორია, ვის შემოქმედებასაც ინტერესით თარგმნიან და კითხულობენ მთელ მსოფლიოში. ოგიუსტ როდენი მას „მე-20 საუკუნის უილიამ ბლეიკს“ უწოდებდა, რადგან მისი ნაწარმოებების სულისკვეთება დიდი ინგლისელი მისტიკოსი მწერლისა და მხატვრის მონათესავედ მიაჩნდა.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი დაიბადა 1883 წლის 6 იანვარს ლიბანის ჩრდილოეთით მდებარე პატარა მთიან სოფელში – ბშარში, ღარიბი მარონიტი ქრისტიანის ოჯახში. მარონიტები ითვლებიან მიმდევრებად იმ ერთ-ერთი კათოლიკური სექტისა, რომელიც მე-5 საუკუნეში ბიზანტიის ეკლესიაში ჩამოვარდნილი განხეთქილების შემდგომ წმინდა მარონის მიერ დაარსდა და ფართოდ გავრცელდა მთელ ახლო აღმოსავლეთში. მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა და ბოსტონის ჩინურ კვარტალში დასახლდა. ჯიბრანმა განათლება ლიბანში, აშშ-ში და შემდგომ პარიზში მიიღო. 1905 წელს საზოგადოებამ პირველად გაიცნო იგი, როგორც მწერალი. ჯიბრანი ორენოვანი მწერალი იყო; წერდა არაბულ და ინგლისურ ენებზე.

ჯიბრან ხალილი გარდაიცვალა 1931 წელს 48 წლის ასაკში ნიუ-იორკში. მწერლის ანდერძის თანახმად იგი დაკრძალეს ლიბანში, თავის მშობლიურ სოფელში. საფლავის ქვაზე კი შემდეგი სიტყვები წააწერეს: „აქ განისვენებს ჩვენი მოციქული ჯიბრანი“. ქ. ბოსტონში ერთ-ერთ პარკს მისი სახელი მიანიჭეს და მემორიალური დაფაც გაუხსნეს. ჯიბრანის სახელი მოხსენიებულია ამერიკულ ენციკლოპედიურ ლექსიკონებში ცნობილ ამერიკელ მწერლებთან ერთად. ჯიბრანის შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცეს არამარტო არაბულ სამყაროში, არამედ ამერიკულ და ევროპულ განათლებულ წრეებშიც.

მისი შემოქმედება მრავალმხრივ საინტერესო აღმოჩნდა ლიტერატურის კრიტიკოსთათვის. მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას არაერთი სამეცნიერო პუბლიკაცია მიეძღვნა. ჯიბრანი მხატვრობითაც იყო გატაცებული. მან პარიზში ნატიფი ხელოვნების აკადემია დაამთავრა და რამდენიმე პერსონალური გამოფენაც მოაწყო ნიუ-იორკში. მწერლის ყველა წიგნს ახლავს მის მიერ შესრულებული ნახატები.

ჯიბრან ხალილი ლიტერატურაშიც მაღალი დონის მხატვრად და ფილოსოფოსად გვევლინება. მისი მხატვრული თხზულებების, ესეების, ჩანახატებისა თუ წერილების გაცნობისას თვალში საცემია მისი განსაკუთრებული ხედვა. ქართულ ენაზე თარგმნილია არაერთი ნაწარმოები როგორც არაბულიდან, ისე ინგლისურიდან. ინგლისურენოვან თხზულებებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „იესო, ძე კაცისა“ და „წინასწარმეტყველი“. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მხატვრულ ესეს, რომელიც 1923 წელს გამოქვეყნდა ნიუ-იორკში და მაშინვე დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მოკლე დროში ეს პატარა წიგნი მსოფლიოს 20 ენაზე ითარგმნა და ათმილიონიანი ტირაჟით გავრცელდა. სალიტერატურო კრიტიკა აღფრთოვანებით შეხვდა „წინასწარმეტყველს“. ამ ნაწარმოებში ყველაზე კარგად გამოჩნდა ჯიბრანი, როგორც უდიდესი მოაზროვნე, ჰუმანისტი, ესთეტი, მწერალი. „წინასწარმეტყველში“ მწერალი რჩევა-დარიგებებს

ცხოვრების სხვადასხვა სფეროზეც იძლევა. თუ როგორ უნდა იცხოვროს ერთმა ადამიანმა მარტო და ყველამ ერთად; „გვთავაზობს ქცევის კანონებს, რომელთა დაცვა ადამიანს მიიყვანს ბედნიერებასთან, დაამყარებს საყოველთაო კეთილდღეობას და გაუხსნის გზას სრულყოფილებისაკენ ანუ უმაღლესი იდეალის – ღმერთის შესაცნობად“.<sup>1</sup>

„წინასწარმეტყველში“ თავისებური კომპოზიციით არის წარმოდგენილი ფილოსოფიური ფიქრები სიყვარულზე, მეგობრობაზე, ქორწინებაზე, სილამაზეზე, მოწყალებაზე, თავისუფლებაზე, კანონებზე, დანაშაულსა და სასჯელზე და სხვ. ნაწარმოების მთავარი თემა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაა.

ესსე, რომელიც ინგლისურენოვანი არაბული ლიტერატურის კლასიკად იქცა, დღეს უკვე ორმოცდაათამდე ენაზეა თარგმნილი, მათ შორის ქართულადაც **მ. გიგინეიშვილის, დ. გოგიბედაშვილის** და **ნ. დოლიძის** მიერ. თავად ავტორს განსაკუთრებით უყვარდა ეს ნაწარმოები და ყოველთვის აღნიშნავდა, რომ „წინასწარმეტყველის“ რითმა წმინდა წიგნებიდან მოდიოდა.

„წინასწარმეტყველი“ განეკუთვნება ბელეტრისტიკის ფუნქციურ სტილს. ჟანრის თვალსაზრისით, ამ წიგნში რამდენიმე ჟანრია, მათ შორის გამოიყოფა ე.წ. „სიბრძნის ლიტერატურა“ და „ქადაგების“ ჟანრი.

მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჩამოყალიბდა ე.წ. სინთეზური ფორმები; რაც ნიშნავს, რომ მწერალს შეუძლია, ერთი ჟანრის ელემენტები წარმატებით გამოიყენოს მეორე ლიტერატურული ჟანრის ტექსტში. მაგალითად: სამეცნიერო ბელეტრისტიკის ჟანრში ჩართოს სამეცნიერო ფუნქციური სტილისა და ბელეტრისტიკული სტილის ელემენტები. სინთეზური ჟანრის მშვენიერი მაგალითია ბიბლია, სადაც რამდენიმე ლიტერატურული ჟანრი – იგავ-არაკი, მატიაზე, ისტორიული თხრობა და ა.შ. გაერთიანებულია ეპიკურ ჟანრში.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „წინასწარმეტყველი“ რამდენიმე ჟანრის სინთეზურ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს. პირველ ყოვლისა, სიუჟეტის დონეზე ცხადად იგრძნობა „სიბრძნის ლიტერატურის“ ჟანრის შტრიხები: ადამიანების ყოველდღიურ ყოფასთან დაკავშირებული საგნები, როგორცაა სახლები, ჭამა-სმა, სამოსი, შესაძლოა მიმართებაში იყოს ისეთ მარადიულ, უნივერსალურ ცნებებთან, როგორც არის: სიყვარული და სიკვდილი, დრო და ცოდნა, ღოცვა და რელიგია და ა.შ. ჯიბრანის „წინასწარმეტყველში“ თვით ყველაზე ტრივიალური ნივთებიც კი ალგორითულ დატვირთვას იძენს და ოსტატურად არის ჩაწული ეპიკური თხრობის ქსოვილში.

მეორე დამახასიათებელი თავისებურება, რომელიც საშუალებას გვაძლევს „წინასწარმეტყველი“ ეპიკური სინთეზური ჟანრის ნაწარმოებად მივიჩნიოთ, გახლავთ ის, რომ ყველა მოვლენა (თუმცა თხზულება მოქმედებებით დახუნძლული არ არის) თითქოსდა ერთ დღეში ხდება. დრო უმნიშვნელოა, გარდა იმ ეპიზოდისა, სადაც ნათქვამია, რომ მთავარი გმირი მრავალი წლის მანძილზე ელოდებოდა თავის გემს. დრო გაყინულია, თითქოს ყველაფერი დროშია შეჩერებული.

აღმუსტაფას მოკლე საუბრები მცირე ქადაგებებს ჰგავს. ის მასწავლებელია, ხოლო ორფალესის მაცხოვრებლები – მისი მოწაფეები. მას „მასწავლებელს“ უწოდებენ. ამ ჟანრის არსებითი მახასიათებლებია: აღმუსტაფას გამონათქვამების აფორიზმული ეფექტი; მის მიერ გამოყენებულ სახეთა ალგორითული ხასიათი; საგანთა, რომელთაც ის ეხება, ეპიკური ბუნება და მეტყველების ადმატეპული ტონი. გარკვეული დოზით წარმოდგენილია დიდაქტიკაც, მაგრამ დიდაქტიკურ-კომუნიკაციური ფუნქცია სრულყოფილ განხორციელებას მაინც ვერ ჰპოვებს. ჟანრის კანონების მიხედვით, ის აუცილებელია, თუმცა ეწირება თხრობის პოეტურ ტონს.

ქადაგება უპირატესად ზეპირი ჟანრია. ის ზეპირ შესრულებას გულისხმობს, თუმცა ხშირად სწორედ წერილობითი ფორმით იქმნება და იკითხება აუდიტორიის წინაშე. მისი ძირითადი ლინგვისტური ფუნქციებია კომუნიკაცია და ზეგავლენა. ჟანრის მიზანია ადრას ძლიერი გრძნობები, გავლენა მოახდინოს ადამიანის შეხედულებებსა და სულიერ მდგომარეობაზე და, ამრიგად, მისი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს. თანამონაწილეთა კომუნიკაციის თვალსაზრისით, აქ ორი მხარეა ჩართული – მღვდელი (ჩვეულებრივ, მღვდელი წარმოთქვამს ქადაგებას) და აუდიტორია – მისი სამწყსო.

როგორც წესი, ქადაგების კომპოზიცია კომპლექსური არ არის. გეხვდება საკვანძო საკითხი ან გარკვეული პრობლემატიკის შემცველი განცხადება, რომელიც ფონს ქმნის თემის

<sup>1</sup> მ. ქუთელია. არაბული რომანტიზმი. თბილისი, 2009, გვ. 141.

შემდგომი განვითარებისა და ინტერპრეტაციისათვის. ორატორის მიერ გაკეთებული განცხადებები და დასკვნები გამყარებულია სანდო წყაროებიდან მოხმობილი ციტატებით, რომლებიც, ჩვეულებრივ, რელიგიური ბუნებისაა, ან კონტექსტის შესატყვისი სხვა მტკიცებულებებით.

მას შემდეგ, რაც მოხდება თემის გაშლა-განვითარება, ორატორი საბოლოო დასკვნებს აკეთებს და მოუწოდებს მსმენელს მისდოს მის რჩევა-დარიგებებს. უანრი იყენებს სხვადასხვა რიტორიკულ ხერხს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია საზეიმო მიმართვა მსმენელისადმი - ორფალევის მკვიდრთათვის, ასევე რიტორიკული კითხვები: „რა გეკუთვნის შენ გარდა იმ საგნებისა, რომელთაც ინახავ და დაჰფოფინებ ხვალინდელი დღის შიშით?“ ანდა: „რა არის მოთხოვნილების შიში, თუ არა თავად მოთხოვნილება?“ და ა.შ.

მღვდლის (ან წინასწარმეტყველის) სიტყვებმა ხალხს უნდა შთააგონოს მოწიწება და შედეგად მიიღოს მორჩილება. მიმართვის მნიშვნელობა ხაზგასმულია ოფიციალური, არქაული და ლიტერატურული სიტყვებით, რომელთა მნიშვნელობაც გასაგები უნდა იყოს თვით ყველაზე გაუნათლებელი მსმენელისათვისაც კი. შესაბამისად, საზოგადოდ გამოყენებული ლექსიკა ჭარბობს ოფიციალურ და ლიტერატურულ ენას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხერხი, რომელიც ამ უანრის ლიტერატურულ ნაწარმოებში გვხვდება, სანდო წყაროების მოშველიებაა. „წინასწარმეტყველი“ სინთეზური ფორმის თხზულება გახლავთ, ამიტომაც ყოველთვის როდი მისდევს ქადაგების უანრის წესებს. ჯიბრანი ხშირად მიმართავს ციტირებას, თუმცა ამას საკმაოდ ნატიფად ახერხებს; ციტატები და ტექსტი ერთ ორგანულ მთლიანობას ქმნის.

ნაწარმოებში გვხვდება სხვა უმნიშვნელოვანესი რიტორიკული ხერხებიც: პარალელიზმი და კონტრასტი. პარალელური კონსტრუქციების გამოყენებით ჯიბრანი გამორჩეულ რიტმს ქმნის ერთ ან რამდენიმე სტრიქონში. განსხვავებული სიტყვების გამოყენებით ერთი იდეის გამოხატვა განსაკუთრებულ სიცხადეს სძენს მას (იდეას).

ჯიბრანის თხრობა ზედმიწევნით პოეტურია. ტექსტში უხვადაა პოეტური ლექსიკა და სახეები, რომლებიც ევფონიის (მხატვრულ ნაწარმოებში – კეთილხმოვან ბგერათა შერჩევა მხატვრული ეფექტის მისაღწევად) და დიდებულების ზოგად ეფექტს ქმნის. რობინ უოთერფილდი – ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, მკვლევარი და მთარგმნელი, ჯიბრანის ერთ-ერთი ბიოგრაფი, მწერლის არაბული თხზულებების წინასიტყვაობაში წერს: „პროზაული პოემის, როგორც საკუთრივ არაბული ფორმის ჩამოყალიბება ჯიბრანისა და სხვა მწერლების, მათ შორის, ამეენ რეიჰანის, სახელებს უკავშირდება. პროზაული პოეზია შეიძლება განისაზღვროს როგორც პროზა პოეტური განცდებითა და რიტმით; ჯიბრანი დაესესხა სხვა პოეტებს, განსაკუთრებით, უიტმენს და ეს ფორმა სრულყო არაბულში“. <sup>2</sup>

ჯიბრან ხალილის თხზულებათა მკვლევარნი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ნაწარმოებები გამორჩეული მხატვრულ-ფილოსოფიური შინაარსისაა და მათში მოცემულია ბიბლიური სიუჟეტების თავისებური ინტერპრეტაცია. სწორედ ამიტომ საინტერესოა მხატვრულ-ფილოსოფიური პოემის სტილიზებული ქართული თარგმანების განხილვა. ბიბლიური სიუჟეტების თარგმნითი ტრანსფორმაციების სამი მთარგმნელისეული ინტერპრეტაციების წარმოჩენა და ანალიზი.

**ნაწარმოებში უხვად მოიპოვება ბიბლიური სიტყვები, მაგალითად:**

„scourge“ – „with hook and scourge“ – გაშოლტვა, გამათრახება;

„harness“ – „a harness and a chain“ – შეკაზმვა, აღკაზმვა;

„sluggard“ – მცონარე;

„fouling“ – შესვარვა, შებღალვა;

„alms“ – მოწყალება;

ასევე გვხვდება ბიბლიური ფრაზეოლოგია:

„to deliver unto one’s hand“ – „მიეცეს ვიღაცის ხელში“;

„to become a stranger unto“ – „უცხოქმნა“;

„to walk among something or someone“ – „განვლო შორის“;

„to take alms, to be satisfied“ – „გასცე მოწყალება“ და სხვ.

<sup>2</sup> **Е. Бочарова, М. Конурбаев.** A Case Study of Biblical and Oriental Poetic Motives in Kahlil Gibran's Prose Poem The Prophet. Published by Max Press in 2001.

ჯიბრანი ხშირად იყენებს პირდაპირ ან მცირედ შეცვლილ ციტატებს ბიბლიიდან:

„a divided house“ შევადაროთ:

„And Jesus knew their thoughts, and said unto them, Every kingdom divided against itself is brought to desolation; and every city or house divided against itself shall not stand“ (Mt. 12:25).<sup>3</sup>

„იციოდნა იესო ზრახვანი იგი გულისა მათისანი და პრქუა მათ: ყოველი მეუფეობაი, რომელი განევთის თავსა თვისსა, მოხრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევთის თავსა თვისსა, ვერ დაემტკიცოს“ (მათე, 12:25).<sup>4</sup>

„a den of thieves“ შევადაროთ:

„And he said unto them, It is written, My house shall be called the house of prayer; but ye have made it a den of thieves“ (Mt. 21:13).<sup>5</sup>

„და პრქუა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა“ (მათე, 21:13).<sup>6</sup>

ზოგიერთი ზმნის ფორმა და დამხმარე სიტყვები – წინდებულები და კავშირები დღეს არქაიზმებად მიიჩნევა და იშვიათად გამოიყენება.

მაგალითად:

„needs must, to suffer to do something, in the midst of“ პოეტური ფორმაა და ხშირად იხმარება შემდეგი ფორმების ნაცვლად „in the middle of“, „unto“, „upon“, „even“, „as“, „so“.

„წინასწარმეტყველის“ ერთ-ერთ თავში ჯიბრანი ლოცვის ეფექტის შესაქმნელად მიმართავს სტილიზაციას. ვნახოთ ეს ნიმუში:

„Our God, who are our winged self, it is **thy** will in us that **willeth**.

It is **thy** desire in us that **desireth**.

It is **thy** urge in us that would turn our nights, which are **thine**, into the days which are **thine** also.

We cannot ask **thee** for **ought**, for **thou knowest** our needs before they are born in us:

**Thou art** our need; and in giving us more of **thysself thou givest** us all.”

(On Prayer. 67)<sup>7</sup>

„უფალო, ღმერთო ჩვენო, რომელიც ხარ ფრთაშესხმული ჩვენი არსი, შენი ნებაა ჩვენს არსებაში და იგი წარმართავს ჩვენს ნებას;

შენი სურვილია ჩვენს არსებაში და იგი წარმართავს ჩვენს სურვილებს;

შენი ზრახვაა ჩვენს არსებაში და იგი წარმართავს ჩვენს ღამეებს, რომლებიც

შენია, – და ცვლის მათ დღეებად, რომლებიც აგრეთვე შენია.

ჩვენ ვერაფერს გთხოვთ, რამეთუ წინასწარ იცი საჭიროებანი ჩვენნი“.<sup>8</sup>

„უფალო ჩვენო, დაფრთიანებულო ჩვენი არსობა

შენი ნებაა ჩვენში ვნებული.

იგი ნდობაა შენი, ჩვენში მონდომებული,

იგი ზრახვაა შენი, იმ ჩვენ დღეებს, შენ რომ

გეკუთვნის, იმ ღამეებად რომ აქცევს, ასევე შენი რაცაა.

ჩვენ ვერაფერს შეგთხოვთ, რადგან შენთვის

ცნობილია ჩვენი სათხოვნელი, სანამ ისინი გაგვიჩნდებიან.

შენი არს ჩვენი სათხოვნელი და ბევრის გაცემისას

<sup>3</sup> The New Testament of our lord and saviour Jesus Christ; King James Version, 1977.

<sup>4</sup> ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. თბილისი, 1963.

<sup>5</sup> The New Testament of our lord and saviour Jesus Christ; King James Version, 1977.

<sup>6</sup> ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. თბილისი, 1963.

<sup>7</sup> Kahlil Gibran, The Prophet, Alfred A., Knopf, Publisher, New-York, 2001.

<sup>8</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. „იესო, ძე კაცისა“; „წინასწარმეტყველი“; „წინასწარმეტყველის წალოცვა“; „სიმღერები“ ინგლისურიდან თარგმნა მ. გიგინეიშვილმა, თბილისი, 2006, გვ. 312.

შენ ყველაფერს გვაძლევ<sup>9</sup>  
 „ღმერთო, ჩვენო გაფრთიანებულო არსებაჲ,  
 ეს შენს ნებას ნებაჲს ჩვენი თავი,  
 ეს შენს სურვილს ვსურვართ ჩვენ,  
 შენი გულისწადილი აქცევს ჩვენს ღამეებს, რომელიც  
 შენ გეკუთვნის, დღეებად, ასევე შენია.  
 ვერაფერს შევთხოვთ, რადგანაც ჩვენი გაჭირვება და  
 მწუხარება იცი მანამდე, ვიდრე ისინი ჩვენში გაჩნდება.  
 გვჭირდები და ყოველთვის, როდესაც გვაძლევ შენი არსების  
 უმეტეს ნაწილს, გვაძლევ ყველაფერს“.<sup>10</sup>

ბიბლიური ეფექტის შესაქმნელად ჯიბრანი იყენებს ბიბლიისთვის დამახასიათებელი ნაცვალსახელებისა და ზმნების არქაულ ფორმებს: „thy“, „thee“, „thou“, „givest“, „knowest“, „desireth“ და ა.შ. მწერლის წინადადებათა აგებულება ბიბლიის წინადადებათა სტრუქტურასთან ასოცირდება: ტექსტში ხშირია დამოკიდებულ წინადადებაში ქვემდებარედ გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელები: „which“, „that“, „who“, ასევე „for“ კავშირით შეერთებული მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები. ჩვეულებრივია მოდალური ზმნის „shall“-ის გამოყენებაც. საინტერესო იქნება ვნახოთ, როგორ გადმოიტანეს ქართველმა მთარგმნელებმა ზოგიერთი ეს ფორმა.

სიტყვათშეთანხმებები, რომლებიც ნაწარმოების რამდენიმე თავში მეორდება ანუ ერთი თავიდან სხვებში გადადის და მეორდება. ესეც ერთერთი მახასიათებელია ჯიბრანისთვის და გამოხატავს მწერლის ინდივიდუალურ სტილს. ამის დასტურად გამოდგება შემდეგი ნიმუშები: „Speak to us of...“; „And he answered, saying:“; „Oftentimes have I heard you say:“; „Some of you say:“; „But I say (unto you):“ და ა.შ.

მეტასემიოტიკურ დონეზე განვიხილავთ სიტყვათა მნიშვნელობების გაფართოებისა და შეკვეცის პოტენციალს. სწორედ აქ ჩნდება ცნება კონოტაცია. ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით, კონოტაცია (ენობრივი ერთეულის დამატებითი, თანმდევი მნიშვნელობა) არის ემოციურ-გამომსახველობით ობერტონი, რომელიც იქმნება ტექსტში სიტყვების სპეციფიური შერჩევითა და განლაგებით. ზოგიერთ სიტყვას გააჩნია მეტი სემანტიკური პოტენციალი, რომელიც მხატვრული ნაწარმოების კონტექსტში სხვადასხვაგვარად არის ხორცშესხმული. დამატებითი სემანტიკურ-შეფასებითი ობერტონების „შტანტჰმა“ მკითხველის გონების თვალში ქმნის თავისებურ მეტარეალობას. სწორედ ამ თვალსაზრისით გამოვყოფდით ორი ძირითადი ტიპის კონოტაციას: პირველი ტიპის საშუალებით მკითხველის შემეცნებაში იქმნება მეტარეალობა; მეორე კი მხოლოდ აძლიერებს სხვადასხვა ლინგვისტური ხერხებით შექმნილ საერთო ესთეტიკურ განცდას. უხეშად რომ ვთქვათ, სახელობით ბრუნვაში სიტყვათა ძირითადი მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით შესაძლოა გაფართოვდეს (იძენს რა დამატებითი მნიშვნელობის იერსა და შეფასებით ელფერს სხვა სპეციფიური სიტყვების გარემოცვაში), ან პირიქით, კონტექსტუალურად შეიკვეცოს (ეს ნიშნავს მათ ტერმინოლოგიური და წმინდა ესთეტიკურ-დეკორატიული მიზნით გამოყენებას, სიტყვებისა და ფრაზების სემანტიკური და შეფასებითი შესაძლებლობების გაზრდას, ანდა განსაზღვრული კონცეფციისა თუ იდეისადმი ყურადღების მიპყრობას).

ეს ყველაფერი ზედმიწევნით შეესაბამება ჯიბრანის თხზულებას. მისი ენა გამომსახველობითი და კონოტაციურია – ზოგი სიტყვა არსებითად კონოტაციურია: „serenity“, „beauty“, „joy“ და ა.შ. ზოგიერთიც კონოტაციურია პოეტურ გარემოში, სხვებს გარკვეულ კონტექსტში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს.

სიტყვათა კონოტაციური გამოყენების პირველი მაგალითი მოხმობილია წიგნის შესავალში „გემის დაბრუნება“.

„And you, vast sea, sleepless mother,  
 Who are alone are peace and freedom to the river and the stream,  
 Only another winding will this stream make, only another murmur in this glade,  
 And then I shall come to you, a boundless drop to a boundless ocean“.

(The Coming of The Ship, 3)<sup>11</sup>

<sup>9</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა დ. გოგობედაშვილმა. თბილისი, 2007, გვ. 76.

<sup>10</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა ნ. დოლიძემ. თბილისი, 2013, გვ. 86.

„და შენ, უკიდევანო ზღვაო, მარად ფხიზელო დედაო!  
შენ ერთადერთი ხარ სიმშვიდე და თავისუფლება მდინარეთა და წყაროთა.  
კიდევ ერთხელ გაიკლაკნება ეს ნაკადული, კიდევ ერთხელ ჩაიხურჩულებს ამ  
კორდზე.  
და მერმე მოვალ შენთან, მე – გარემუქვერელი წვეთი – მოგაშურებ შენ –  
გარემუქვერელ ოკეანეს“.<sup>12</sup>

„მოვლემარე დედაო, ზღვაო უხმელეთო, მდინარენი  
და ნაკადულნი შენში ჰპოვებენ სიმშვიდესა  
და თავისუფლებას.  
მხოლოდ ერთხელ მოიქცევა მდინარე, მხოლოდ  
ერთხელ გაიჩქაფუნებს ველად და მეც  
შემოვიღვრები შენში, უსასრულო წვეთი უსასრულო  
ოკეანისა“.<sup>13</sup>

„ჰოი, შენ, უნაპირო ზღვაო, უძინარო დედავ, მხოლოდ შენში ნახულობენ  
სიმშვიდესა და თავისუფლებას მდინარეები და ნაკადულები.“  
კიდევ ერთხელ შეირხევა ეს ნაკადულიც, ერთხელაც ჩაიხურჩულებს ამ ველზე,  
და შემდეგ მოგენდობი – უკიდევანო წვეთი უკიდევანო ოკეანეს“.<sup>14</sup>

გავაანალიზოთ ტექსტში სიტყვათა სემანტიკური პოტენციალი, კონტექსტში სიტყვების სხვადასხვა ელფერი, რაც უშუალო კავშირშია აღმოსავლურ კულტურასა და ფუნდამენტალურ რელიგიურ დოქტრინებთან. მაგალითისათვის მოგვყავს განსაზღვრებითი ფრაზა „boundless drop“, რომელიც კონტექსტში განხილული უნდა იყოს მომიჯნავე ფრაზასთან ერთად – „boundless ocean“. სიტყვა „boundless“ ნიშნავს „უსაზღვროს“, „უღიმიტოს“. „Boundless“ გულისხმობს არა მხოლოდ „უსასრულო რაოდენობას“, არამედ „საღზვარდაუდებელს“. „წინასწარმეტყველის“ იდეაა შეერწყას „ერთს“ (უკიდევანო ოკეანეს), რომელიც ყველაფერია, დაკარგოს მასში საკუთარი „მე“, როგორც უსასრულოდ მცირე წვეთი უჩინარდება უზარმაზარ და უსაზღვრო ოკეანეში. ჯიბრანი ეთამაშება ოკეანის უკიდევანობის იდეას: უსასრულოდ განფენილი და საკუთარ თავში დაუსაზღვრელი – ყველაფერი ეს არის „ერთი“ ოკეანე. როდესაც წვეთი უერთდება ოკეანეს, საკუთარ საზღვრებს კარგავს და ოკეანის დიდებულებას ერწყმის. ამრიგად, ოკეანისა და წვეთის ალგორითული სახეების მოხმობით, სიტყვა „boundless“ მნიშვნელობა ფართოვდება: როდესაც წვეთი მთლიანად უჩინარდება ოკეანის უსაზღვრო სივრცეში, ხდება ისეთივე დიადი და უკიდევანო, როგორც თავად ოკეანე.

სწორედ ამ ნიშნით იხელმძღვანელებს ქართველმა მთარგმნელებმა, რომლებმაც ინგლისური „a boundless drop to a boundless ocean“ შემდეგნაირად გადმოიტანეს ქართულ თარგმანებში. მ. გიგინეიშვილმა – „გარემუქვერელი წვეთი გარემუქვერელ ოკეანეს“, დ. გოგიბედაშვილმა – „უსასრულო წვეთი უსასრულო ოკეანისა“ და ნ. დოლიძემ – „უკიდევანო წვეთი უკიდევანო ოკეანეს“. როგორც ზემოთ ვნახეთ, „Boundless“ გულისხმობს არა მხოლოდ „უსასრულო რაოდენობას“, არამედ „საღზვარდაუდებელს“, ვფიქრობთ ქართული შესატყვისები – „უსასრულო“ (დ. გოგიბედაშვილი) და „უკიდევანო“ (ნ. დოლიძე) კარგად გამოხატავს მწერლის იდეას; ხოლო რაც შეეხება მ. გიგინეიშვილის მიერ გამოყენებულ სიტყვას „გარემუქვერელი“, ეს სიტყვა ხშირად გვხვდება „წმინდა წერილის“ ტექსტში ანუ აქ საქმე გვაქვს ისევ სახარებისეული ლექსიკის გამოყენებასთან. ეს ტერმინი გვხვდება **მათეს სახარებაში** „...დმრთისაი, პირველ საუკუნეთაი, უხილავი, **გარემუქვერელი**, უხორციო, დასაბამისაგან დასაბამი“.

შემდეგი მაგალითი მოყვანილია თავიდან „On Giving“ „წყალობის გაღება“:

„And there are those who give with pain and that pain is their **baptism**“.<sup>15</sup>

<sup>11</sup> Kahlil Gibran, The Prophet, Alfred A., Knopf, Publisher, New-York, 2001.

<sup>12</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. „იესო, ძე კაცისა“; „წინასწარმეტყველი“; „წინასწარმეტყველის წაღკოტი“; „სიმღერები“ ინგლისურიდან თარგმნა მ. გიგინეიშვილმა, თბილისი, 2006, გვ. 257.

<sup>13</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა დ. გოგიბედაშვილმა. თბილისი, 2007, გვ. 12.

<sup>14</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა ნ. დოლიძემ. თბილისი, 2013, გვ. 13.



„ზოგნი გასცემენ სიხარულით და სწორედ ეს სიხარულია საზღაური მათი. ზოგნი ისე გასცემენ, არც ტკივილი იციან, არც სიხარულს ეძიებენ, არც სიქველზე ფიქრობენ“.<sup>16</sup>

„ვინც ტკივილით გასცემს, ასეთებიც არიან და ტკივილი მათი ნათლობაა“.<sup>17</sup>

„ზოგიერთები გასცემენ ტკივილით და ეს ტკივილია მათი მირონცხება“.<sup>18</sup>

ტრადიციული გაგებით, სიტყვა „baptism“ აღნიშნავს თავზე წყლის დასხმით ქრისტიანული ეკლესიაში ინიციაციას. გვხვდება სხვა ტერმინიც – „baptism by fire“ - ცეცხლით მონათვლა.

როგორც ცნობილია, ადრექრისტიანულ პერიოდში კათაკმეველებს ხშირად აპატიმრებდნენ და კლავდნენ, სანამ ისინი მონათლავდნენ. მათ აღიარებდნენ ეკლესიის ჭეშმარიტ წევრებად, რადგან თავიანთი რწმენისთვის სიცოცხლე გაიღეს (მათ ხანდახან წვაგდნენ კიდევ). "ცეცხლით ნათლობა" საკმაოდ ხშირი იდომია ინგლისურ ენაში. ის აღნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ინიციაცია მიიღწევა ბრძოლით და არა სწავლების სხვა, უფრო გავრცელებული გზებით.

მოცემულ შემთხვევაში ჯიბრანი „ცეცხლს“ „ტკივილით“ ანაცვლებს („ტკივილით მონათვლა“). ამით მიაჩნებს, რომ ხსნა მხოლოდ ტრადიციული ხერხებით როდი მიიღწევა, არამედ იმითაც, რომ საკუთარი თავი უარყო (გაიღო სხვებისათვის).

რაც შეეხება ქართულ ვერსიებს, განვიხილოთ თარგმანები: მ. გიგინეიშვილმა ეს წინადადება რატომღაც არ თარგმნა, დ. გოგიბედაშვილმა სიტყვა „baptism“ თარგმნა, როგორც „ნათლობა“, ხოლო ნ. დოლიძემ – „მირონცხება“. „ნათლობა“ და „მირონცხება“ ქრისტიანული ეკლესიის შვიდ საიდუმლოთა შორის არის, და რომლებსაც ქრისტიანობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. პირველი საიდუმლო ქრისტიანის ცხოვრებაში სწორედ ნათლობაა. ნათლობისასვე სრულდება „მირონცხება“, ანუ მღვდელი მონათლულს სცხებს მირონს შუბლზე, თვალებზე და ა.შ. ანუ მთარგმნელების მიერ შერჩეული სიტყვები შესაბამისად გადმოსცემენ მწერლის ჩანაფიქრს.

წმინდა ექსპრესიული თვალსაზრისით გამოყენებული სიტყვების მაგალითები გაცილებით ხშირია. ჩვეულებრივ, ეს სიტყვები მნიშვნელობით ერთმანეთთან ახლოა და შეიძლება სინონიმებადაც ჩაითვალოს. სინონიმური კონდენსაცია შესაძლოა მივიჩნიოთ გამომსახველობის გაზრდისა და წინადადებაში რიტმის შექმნის ერთგვარ ხერხად. ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი ნიმუშები:

„...sharing peace and serenity“. „Serenity“ ნიშნავს მშვიდსა და წყნარ სულიერ მდგომარეობას, გაყუჩებას. ასე რომ, სიტყვა „peace“ მხოლოდ ექსპრესიული ელფერის მატარებელია.

„...you may find in them [clothes] a harness and a chain” - „შესაძლოა იპოვო მათში (სამოსელში) აღვირი და ჯაჭვი“ – „აღვირი“ სპეციალური ღვედია, რომელსაც ცხენის დასაბმელად იყენებენ. ორივე სიტყვა (აღვირი და ჯაჭვი) კონტექსტში მეტაფორული მნიშვნელობით არის გამოყენებული და ნიშნავს ისეთ რამეს, რაც არჩევანის თავისუფლებას გიზღუდავს, დომინირებს და გარკვეულ აკრძალვებს გიწესებს. სიტყვა „ჯაჭვი“ იღვის გადმოსაცემად სრულიად ზედმეტია, მაგრამ, რიტმული ჟღერადობის თვალთახედვით, არსებითი მნიშვნელობა აქვს. მსგავსი მაგალითებია:

„the holy and the righteous” – „წმიდა და მართალი“;

„of magnificence and splendour” - „დიდებული და ბრწყინვალე“;

„the pure and the innocent” - „უმანკო და უცოდველი“;

„a yoke and a handcuff” - „უღელი და ბორკილი და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „წინასწარმეტყველში“ სიტყვათა განსაზღვრული ჯგუფი პირდაპირ ასოცირდება ბიბლიასთან, ანდა უშუალოდ გამოყენებულია „წმინდა წერილში“. ეს ჯგუფი დიდ როლს თამაშობს ბიბლიური ელფერის შექმნაში. თარგმნისას აუცილებელი იყო ისეთი ეკვივალენტების დაძებნა, რომლებიც ქართველ მკითხველში შესატყვის ბიბლიურ ასოციაციას გამოიწვევდნენ. ნაწარმოების სიუჟეტები ტექსტობრივი კონტექსტით შევადარეთ ბიბლიის ქართულ თარგმანს, რათა გვეჩვენა, რომელი სიტყვები ქმნიდა ბიბლიურ ეფექტს ან ასოციაციურად იმეორებდა თუ არა ბიბლიური წარმოშობის სიტყვებს. მართალია, ქართული ბიბლია თარგმნილია

<sup>15</sup> Kahlil Gibran, The Prophet, Alfred A., Knopf, Publisher, New-York, 2001.

<sup>16</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. „იესო, ძე კაცისა“; „წინასწარმეტყველი“; „წინასწარმეტყველის წაღკოტი“; „სიმღერები“ ინგლისურიდან თარგმნა მ. გიგინეიშვილმა, თბილისი, 2006, გვ. 268.

<sup>17</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა დ. გოგიბედაშვილმა. თბილისი, 2007, გვ. 26.

<sup>18</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა ნ. დოლიძემ. თბილისი, 2013, გვ. 33.

ბერძნულიდან. მეფე ჯეიმსის ვერსია კი ეფუძნება ლათინურ წყაროს. ორივე თარგმანი ზედმიწევნითი სიზუსტით ცდილობს ორიგინალთან სიახლოვეს; მათ ახასიათებთ ფრაზების სიტყვასიტყვითი თარგმანი და კალკირება, რაც ზოგადად ნიშანდობლივია ბიბლიის ტექსტის ყველაენოვანი რედაქციისთვის. თითოეული სიტყვის მიმართ განსაკუთრებულმა სიფრთხილემ განაპირობა ბიბლიის სხვადასხვა ვერსიებში გარკვეულ ლექსიკურ მსგავსებათა და აუცილებელ ეკვივალენტთა ჩამოყალიბება.

მეფე ჯეიმსის ვერსიაში გამოყენებული სიტყვის “*verily*” ქართული შესატყვისია „ჭეშმარიტად“. თვალსაჩინოებისთვის შევადართო შემდეგი ციტატა ბიბლიიდან:

„**Verily** I say unto you, There be some standing here, which shall not taste of death, till they see the Son of man coming in his kingdom“ (Mat. 16:28).<sup>19</sup>

„ამინ გეტყვი თქვენ, რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოი სიკუდილისაი, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისაი, მომავალი სუფევითა თვისითა“ (მათ. 16:28).<sup>20</sup>

„წმინდა წერილში“ ხშირად განმეორებული ფრაზის „But I say unto you“ ტრადიციული ქართული ეკვივალენტია „ხოლო მე გეტყვით თქვენ“.

ბიბლიური სიტყვა „*season*“ – „წელიწადის დრო“ ჩვეულებრივ, „დროის“, „ჟამის“ მნიშვნელობით იხმარება, რასაც ინგლისურში შეესაბამება სხვა სიტყვა „*time*“.

ვნახოთ შემდეგი მონაკვეთი ბიბლიიდან:

„To every thing there is a **season**, and a time to every purpose under the heaven... (Eccl. 3:1)<sup>21</sup>

და მისი ქართული შესატყვისი:

„ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცის ქვეშეთში...“

(ეკლ. 3:1)<sup>22</sup>

ამგვარად, მხოლოდ სინტაქსური ხერხებით მხატვრული ტექსტისთვის ბიბლიური და არქაული ელფერის მინიჭება სავსებით შესაძლებელია.

ქართული სიტყვის „სასჯელის“ შესატყვისად ინგლისურ ბიბლიაში ჩნდება სიტყვა „*chastisement*“.

მაგალითად: ...the **chastisement** of the Lord...“ (Deut 11:2)<sup>23</sup> „...თქვენი ღმერთის, სასჯელი...“ (რჯლ. 11:2)<sup>24</sup> ან

„...the **chastisement** of our peace...“ (Is. 53:5)<sup>25</sup> „...სასჯელი ჩვენი სიმრთელისთვის...“ (ეს.53:5)<sup>26</sup>

თანამედროვე ინგლისურ ენაში სიტყვა „*chastisement*“ აღნიშნავს „მკაცრი კრიტიკისა და საყვედურის“ ფორმას. მის ქართულ ეკვივალენტად შესაძლოა შეგვერჩია „მკაცრი საყვედური“. ძველ დროში „*chastisement*“ ნიშნავდა ფიზიკურ სასჯელს, განსაკუთრებით, ცემით დასჯას. ბიბლიური ტრადიციის თანახმად, სიტყვის უფრო მართებული თარგმანი იქნებოდა სწორედ „სასჯელი“. საინტერესოა ჯიბრანის მიერ გამოყენებული ეს სიტყვა როგორ გადმოიტანეს ქართველმა მთარგმნელებმა. თავში „სიამოვნების შესახებ“ ვკითხულობთ:

„But regret is the beclouding of the mind and not its chastisement“ (On Pleasure, 70).<sup>27</sup>

„მაგრამ წუხილი დაბინდვაა გონებისა და არა – სასჯელი“.<sup>28</sup>

„ეს სინანული უფრო გონების დაბნელებას ჰგავს და არა დასჯას“.<sup>29</sup>

„მაგრამ დანანება გონების დაბრკოლებაა და არა მისჯა მისი“.<sup>30</sup>

<sup>19</sup> The New Testament of our lord and saviour Jesus Christ; King James Version, 1977.

<sup>20</sup> ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. თბილისი, 1963.

<sup>21</sup> The Bible, Authorized Version, The Bible Society, Oxford University Press, 1995.

<sup>22</sup> ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 1989.

<sup>23</sup> The Bible. Authorized Version. The Bible Society, Oxford University Press, 1995.

<sup>24</sup> ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 1989.

<sup>25</sup> The Bible. Authorized Version. The Bible Society, Oxford University Press, 1995.

<sup>26</sup> ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989.

<sup>27</sup> Kahlil Gibran, The Prophet, Alfred A., Knopf, Publisher, New-York, 2001.

<sup>28</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. „იესო, ძე კაცისა“; „წინასწარმეტყველი“; „წინასწარმეტყველის წაღკოტი“; „სიმღერები“. ინგლისურიდან თარგმნა მ. გიგინეიშვილმა. თბილისი, 2006, გვ. 314.

<sup>29</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი ინგლისურიდან თარგმნა ნ. დოლიძემ. თბილისი, 2013, გვ. 88.

პირველ ორ შემთხვევაში მთარგმნელებმა მოძებნეს ზუსტი ეკვივალენტი, ხოლო რაც შეეხება მესამე ვარიანტს, აქ არის სიტყვა „მისჯა“, რაც მიგვანჩნია, რომ უმართებულოა, რადგან „მისჯა“ არის სასჯელის გამოტანა, სასჯელის დადება (სასამართლოს გადაწყვეტილებით). მაგ: სიკვდილის მისჯა

სიტყვა „beloved“ ორივე ენაში ამადლებულ ელფერს ატარებს. მისი საუკეთესო ქართული შესატყვისია „საყვარელი“, ვინაიდან მარტივად ასოცირდება „ქებათა ქებასთან“ და სასურველ ბიბლიურ და პოეტურ ეფექტსაც ქმნის.

სიტყვა „sluggard“ თანამედროვე ინგლისურში მოძველებულად უღერს. „იგავთა წიგნში“ „ზარმაც“, „უქნარა“ ადამიანს აღნიშნავს. ისინი ნეიტრალური სიტყვებია და არც არქაულ ელფერს ატარებენ. შესაბამისად, თარგმნისას მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობის შენარჩუნება საკმარისი არ არის.

მეფე ჯეიმსის ვერსიაში არქაული ფორმის ზმნიზება „yea“-ის ადგილას ქართულ თარგმანში გვხვდება „ჰე“, რაც თანამედროვე ქართულში ნიშნავს „ნამდვილად, უცილოდ, ჭეშმარიტად“. თუ ინგლისურ ბიბლიაში „yea“ ხშირად გამოიყენება, ბიბლიის ქართულ ტექსტში „ჰე“ გაცილებით იშვიათია.

საინტერესოა ის თავისებურებები, რომლებიც თან ახლავს ბიბლიური ფრაზების გამოყენებას ინგლისურ ენაში. პირველ შემთხვევაში, ეს არის „ბიბლიეზმების“ ტრანსფორმაცია და მათი არატრადიციული გამოყენება, როცა ხდება არა მხოლოდ ფრაზების, არამედ მთელი ციტატების გამოყენება. მეორე შემთხვევაში, ავტორი თავის ნაწარმოებში მისეულ კომენტარს უკეთებს ბიბლიური წარმოშობის სიტყვას ან ფრაზას. და ასეთი მაგალითები ბევრია „წინასწარმეტყველში“.

გვინდა განსაკუთრებულად გამოვყოთ ბიბლიური ფრაზელოგიზმების ანუ „ბიბლიეზმების“ თარგმნის ხერხები და მეთოდები. თუ გავაგვლებთ პარალელს ქართულ-ინგლისურ „ბიბლიეზმებს“ შორის, დავინახავთ, რომ „ბიბლიეზმები“ არ ითარგმნება ერთნაირად; ამასთანავე თარგმნისას ჩნდება მთელი რიგი სიძნელეები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს მთარგმნელმა

ტრადიციული ბიბლიური ფრაზებისა და იდიომების ეკვივალენტები უფრო თვალსაჩინო ხდება, როდესაც მათ ქართული ბიბლიის თარგმანის შესატყვის ფრაზებს ვადარებთ. ბუნებრივი იქნება, თუკი „წინასწარმეტყველის“ ბიბლიიდან ნასესხებ ფრაზებს ქართული ბიბლიიდან უცვლელად გადმოვიტანთ. მაგალითად:

„a divided house“ - „განყოფილი სახლი“ და „a den of thieves“ - „ავაზაკთა ქვაბი“. ვნახოთ როგორ არის მოცემული ეს ფრაზები „წმინდა წერილის“ ინგლისურ და ქართულ ვერსიებში:

„...Every kingdom divided against itself is brought to desolation; and every city or **house divided against itself shall not stand**“. (Mt. 12:25)<sup>31</sup>

„...ყოველი მეფეობა, რომელი განევთის (გაიყოფა) თავსა თვისსა, მოოხრდის; და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევთის თავსა თვისსა, ვერ დაემტკიცოს“ (მათ. 12:25).<sup>32</sup>

„And he said unto them, It is written, My house shall be called the house of prayer; but ye have made it **a den of thieves**“ (Mt 21:13).<sup>33</sup>

„და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი ქუაბ (ბუნაგი) ავაზაკთა“ (მათ. 21:13).<sup>34</sup>

საინტერესოა ბიბლიის ეს ციტატა როგორი ინტერპრეტაციით არის ნაწარმოებში გადმოცემული და როგორია მისი ქართული თარგმანი:

„For a divided house is not a den of thieves; it is only a divided house“ (On Good and Evil, 64).<sup>35</sup>

„...რამეთუ გაყოფილი სახლი არ არის ქურდების ბუნაგი. იგი ზიარი სახლია მხოლოდ და მხოლოდ“.<sup>36</sup>

<sup>30</sup> ჯიბრან სახილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა დ. გოგიბედაშვილმა. თბილისი, 2007, გვ. 78.

<sup>31</sup> The New Testament of our lord and saviour Jesus Christ; King James Version, 1977.

<sup>32</sup> სახლი ალექსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. თბილისი, 1963.

<sup>33</sup> The New Testament of our lord and saviour Jesus Christ; King James Version, 1977.

<sup>34</sup> სახლი ალექსა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. თბილისი, 1963.

<sup>35</sup> Kahlil Gibran, The Prophet, Alfred A., Knopf, Publisher, New-York, 2001.

„...რადგან გატეხილი სახლი ქურდების ბუნაგი არ არის. ის უბრალოდ გატეხილი სახლია.“<sup>37</sup>

„...რადგან გაყოფილი სახლი მპარავთა ბუნაგი როდია, ის მხოლოდ და მხოლოდ გაყოფილი სახლია.“<sup>38</sup>

მ. გიგინეიშვილი და დ. გოგიბედაშვილი თარგმანში სიზუსტეს ინარჩუნებენ, მაშინ როცა ნ. დოლიძემ ინგლისური სიტყვა „დივიდედ“, რომელსაც ქართულ ენაში მოექებნება შესატყვისი „გაყოფილი“, რატომღაც თარგმნა, როგორც „გატეხილი“, რომლის ინგლისური თარგმანი არის „ბროკენ“. შინაარსობრივად, ვფიქრობთ, არც ერთი მთარგმნელი არ იზიარებს ავტორის ჩანაფიქრს. ჯიბრანის მიდგომა ამ საკითხის მიმართ ასეთია: „გაყოფილი სახლი არ არის ქურდების ბუნაგი, ეს არის უბრალოდ სახლი, სადაც არ არის ერთი აზრი, არ არის ერთობა“.

თითქმის ყველა თავში წინასწარმეტყველის ქადაგებას უძღვის ფრაზა: „and he answered, saying“. სახარების ინგლისურ ვერსიაშიც იესოს სიტყვები წარმოდგენილია იდენტური მყარი შესიტყვებით: „he answered and and said...“ ქართული ბიბლია იყენებს ფრაზას: „მიუგო მან და თქვა“.

იმავე ფრაზას მიმართავს მ. გიგინეიშვილი თავის თარგმანშიც: „და მიუგო მან და თქვა“.  
(გვ. 282)

ნ. დოლიძე ასე თარგმნის: „უთხრა პასუხად“ (გვ. 52). დ. გოგიბედაშვილთან – „და საპასუხოდ მან მიუგო...“ (გვ. 43).

ბიბლიური ფრაზის – „in the sweat of thy face“ ტრადიციული ქართული ეკვივალენტია „ოფლითა შენითა“. ჯიბრანის „the sweat of your brow“ ძალიან ახლოსაა ბიბლიურ ფრაზასთან. შესაბამისად, ის უნდა შეიცვალოს ზემოხსენებული ქართული გამოთქმით, ან მისი ვარიაციებით, თანაც ისე, რომ აზრობრივი შრე უცვლელი დარჩეს (არაგონივრულად მივიჩნიეთ „სახის“ იგივე „პირის“ შეცვლა „შუბლით“ ან „წარბით“, თუმცა ჯიბრანთან არის სწორედ „წარბი“). გაგანალიზოთ თარგმანის სამი ვერსია თავიდან „შრომის შესახებ“.

„...then I answer that naught but the sweat of your brow shall wash away that which is written“  
(On Work, 25).<sup>39</sup>

„...მაშინ გეტყვით: მხოლოდ ოფლი პირისა თქვენისა წარეცხავს იმას, რაც შუბლზე გაცხიათ დაღად.“<sup>40</sup>

„...გიპასუხებთ: – ოფლის გარდა დაწერილს ვერაფერი წაშლის.“<sup>41</sup>

„...მე გიპასუხებთ, რომ ამ ნაწერს ველარაფერი ჩამორეცხავს თქვენივე ოფლის გარდა.“<sup>42</sup>

მ. გიგინეიშვილმა თარგმანში გამოიყენა ბიბლიური „ოფლი პირისა თქვენისა“, მაგრამ დაუმატა ფრაზა – „შუბლზე გაცხიათ დაღად“, რომელიც არ არსებობს დედანში. ტექსტობრივი სიზუსტე უფრო მეტად არის შენარჩუნებული ნ. დოლიძის და დ. გოგიბედაშვილის თარგმანებში. მათ ასევე გაითვალისწინეს ბიბლიის აზრობრივი დატვირთვა და სრულიად უგულვებელყოფეს სიტყვა „წარბი“, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ფრაზა „to lay the axe unto the evil tree“ მეტაფორული აზრით იხმარება. უდალა მისი კავშირი სახარებასთან:

„And now also the axe is laid unto the root of the trees: therefore every tree which bringeth not forth good fruit is hewn down and cast into the fire“ (Mt 3:10).<sup>43</sup>

„რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“ (მათ. 3:10).<sup>44</sup>

„წინასწარმეტყველის“ თავში „შრომის შესახებ“ გვხვდება შემდეგი გამოთქმა:

„to become a stranger unto the seasons“, რომელიც ერთ-ერთი ფსალმუნის გამოძახილია, კერძოდ:

<sup>36</sup> ჯიბრან სალილ ჯიბრანი. „იესო, ძე კაცისა“; „წინასწარმეტყველი“; „წინასწარმეტყველის წალკოტი“; „სიმღერები“. ინგლისურიდან თარგმნა მ. გიგინეიშვილმა. თბილისი, 2006, გვ. 308.

<sup>37</sup> ჯიბრან სალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა ნ. დოლიძემ. თბილისი, 2013, გვ. 82.

<sup>38</sup> ჯიბრან სალილ ჯიბრანი. „წინასწარმეტყველი“ ინგლისურიდან თარგმნა დ. გოგიბედაშვილმა. თბილისი, 2007, გვ. 70.

<sup>39</sup> Kahlil Gibran, The Prophet, Alfred A., Knopf, Publisher, New-York, 2001.

<sup>40</sup> ჯიბრან სალილ ჯიბრანი. „იესო, ძე კაცისა“; „წინასწარმეტყველი“; „წინასწარმეტყველის წალკოტი“; „სიმღერები“. ინგლისურიდან თარგმნა მ. გიგინეიშვილმა. თბილისი, 2006.

<sup>41</sup> ჯიბრან სალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა დ. გოგიბედაშვილმა. თბილისი, 2007.

<sup>42</sup> ჯიბრან სალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა ნ. დოლიძემ. თბილისი, 2013.

<sup>43</sup> The New Testament of our lord and saviour Jesus Christ; King James Version, 1977.

<sup>44</sup> სახალი ალთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. თბილისი, 1963.

„I am become a stranger unto my brethren...“ (Psalm 69 verse 8).<sup>45</sup>  
მოენახოთ მისი ქართული შესატყვისი:

„უცხო ვექმენ მე ძმათა ჩემთა“ (ფსალ. 69:8).<sup>46</sup>

საინტერესოა, როგორ არის გადმოტანილი ეს მონაკვეთი „წინასწარმეტყველის“ ქართულ თარგმანებში:

„რამეთუ უქნარობა გაგაუცხოებთ წელიწადის დროთაგან...“<sup>47</sup>

„რადგან უსაქმურობა თქვენთვის წელიწადის დრონისგან განდგომას ნიშნავს...“<sup>48</sup>

„რადგან უსაქმურობა ჩამოგაშორებთ წელიწადის ყველა დროს...“<sup>49</sup>

როგორც ვხედავთ, სამივე მთარგმნელმა თავისებურად თარგმნა ფრაზა „to become a stranger“. ჩვენი აზრით, მას ზუსტი შესატყვისი მოუძებნა მ. გიგინეიშვილმა და გამოიყენა ქართული სიტყვა „გაგაუცხოებთ“, რაც ვფიქრობთ ძალიან კარგად მოერგო თარგმანს. ამავე დროს დედანთან მიმართებაშიც არ დაირღვა დამოკიდებულება. დ. გოგობედაშვილმა აირჩია სიტყვა „განდგომა“, ხოლო ნ. დოლიძემ ქართული შესატყვისი „ჩამოშორება“. არც ერთი და არც მეორე სიტყვა არ არის ზუსტი თარგმანის ნიმუში. ამასთანავე, მათ არ გაითვალისწინეს ფსალმუნის გავლენა „წინასწარმეტყველზე“, რაც შესანიშნავად გამოიყენა მ. გიგინეიშვილმა.

კიდევ ერთი საინტერესო ნიმუშია ზმნა „to satisfy“. მისი ქართული შესატყვისია „დაკმაყოფილება“. ბიბლიაში ეს ზმნა ძირითადად ვნებით გვარში გვხვდება: „to be satisfied“ – „კმაყოფილი“.

„Blessed are you who hunger now, for you shall be satisfied. Blessed are you who weep now, for you shall laugh“.

(Luke 6:21).<sup>50</sup>

„They wander about for food And growl if they are not satisfied“ (Psalms 59:15).<sup>51</sup>

ქართულ ბიბლიაში მისი შესატყვისებია: „სავსე“, „ნაყროვანება“. თავში „ყიდვა-გაყიდვის შესახებ“, ჯიბრანი ზმნის ვნებით ფორმას მიმართავს:

„It is in exchanging the gifts of the earth that you shall find abundance and be satisfied. Yet unless the exchange be in love and kindly justice, it will but lead some to greed and others to hunger“ (On Buying and Selling, 37).<sup>52</sup>

ვნახოთ როგორ გადადის ეს შესიტყვებები თარგმანში:

„მიწისგან ბოძებულს გაცვლით და მოიპოვებთ შეძლებას, კმაყოფილებას. აღებმიცემობას თუ სიყვარული, სიკეთე და სამართლიანობა არ ახლავს, ზოგს სიხარბემდე მიიყვანს, ზოგს – შიმშილამდე“.<sup>53</sup>

„მიწის ძღვენს გადაცვლით, სიმდიდრესა და კმაყოფილებას მიიღებთ. მაგრამ თუ ცვლაში სიყვარული და სათნო სამართლიანობა არ იქნება, ზოგი ანგარებამდე მივა, ზოგი კი – შიმშილამდე“.<sup>54</sup>

„შეძლებულნი და კმაყოფილნი იქნებით, თუ მიწის საჩუქრებს ერთმანეთს გაუცვლით. მაგრამ თუკი ეს გაცვლა სამართლიანობის და სიყვარულის გარეშე მოხდება, ის ზოგს სიხარბემდე მიიყვანს, ზოგს – შიმშილამდე“.<sup>55</sup>

ტრადიციულად, მწერალი იყენებს ლექსიკურ-სემანტიკურ კონტრასტს: სიტყვათა წყვილი ურთიერთგამომრიცხავი შინაარსისაა: „find abundance and be satisfied“: ეწინააღმდეგება „it may lead some

<sup>45</sup> The Bible, Authorized Version, The Bible Society, Oxford University Press, 1995.

<sup>46</sup> ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 1989.

<sup>47</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. „იესო, ძე კაცისა“; „წინასწარმეტყველი“; „წინასწარმეტყველის წაღკოტი“; „სიმღერები“. ინგლისურიდან თარგმნა მ. გიგინეიშვილმა. თბილისი, 2006, გვ. 273.

<sup>48</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა დ. გოგობედაშვილმა. თბილისი, 2007, გვ. 31.

<sup>49</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა ნ. დოლიძემ. თბილისი, 2013, გვ. 40.

<sup>50</sup> The New Testament of our lord and saviour Jesus Christ; King James Version, 1977.

<sup>51</sup> The Bible, Authorized Version, The Bible Society, Oxford University Press, 1995.

<sup>52</sup> Kahlil Gibran, The Prophet, Alfred A., Knopf, Publisher, New-York, 2001.

<sup>53</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. „იესო, ძე კაცისა“; „წინასწარმეტყველი“; „წინასწარმეტყველის წაღკოტი“; „სიმღერები“. ინგლისურიდან თარგმნა მ. გიგინეიშვილმა. თბილისი, 2006, გვ. 282.

<sup>54</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა დ. გოგობედაშვილმა. თბილისი, 2007, გვ. 43.

<sup>55</sup> ჯიბრან ხალილ ჯიბრანი. წინასწარმეტყველი. ინგლისურიდან თარგმნა ნ. დოლიძემ. თბილისი, 2013, გვ. 52.

to greed and others to hunger“. კონტრასტის შესანარჩუნებლად, „to be satisfied“ ქართულად უნდა ითარგმნოს როგორც „აღვსილი“ და არა როგორც „კმაყოფილი“:

ანალიზმა ცხადყო, რომ ქართულში ბიბლიური სიტყვებისა და ფრაზების უმრავლესობა მოკლებულია იმ სტილისტურ ელფერს, რაც უხვადა მოეპოვება მათ ინგლისურ შესატყვისებს: sluggard, chastisement, season(s), to take alms, to suffer to do something. ერთ-ერთი შესაძლო გზა არქაული ელფერის შესანარჩუნებლად არის ბიბლიის სინტაქსური მოდელების გამოყენება, რაც თავისთავად განაპირობებს არქაულ ჟღერადობას. ასევე დასაშვებია არქაული სიტყვის მომიჯნავე ნეიტრალური სიტყვის შეცვლა მსგავსი ლექსიკური ერთეულით.

ამრიგად, მხატვრულ-ფილოსოფიური პოემის სტილიზებული ქართული თარგმანების განხილვით წარმოვაჩინეთ ბიბლიური სიუჟეტების თარგმნითი ტრანსფორმაციების რამდენიმე თავისებურება.

**Marina mamulashvili – Botkoveli**

### **Translation peculiarities of three Georgian translations of „The Prophet“ by Gibran Khalil Gibran**

#### **Resume**

The book „The Prophet“ which has become a bestseller in the pre-war America is Gibran's best-known work. Nowadays a poetic essay has been translated into over 50 languages. A closer look at the style and the concept of the book shows that it would be practically impossible to understand it without having a profound knowledge of its deep linguistic and cultural background. „The Prophet“ belongs to the functional style of fiction.

The genre of „The Prophet“ by Kahlil Gibran can also be called a „synthetic form“ of several genres. First of all, it has obvious traits of the „wisdom literature“ genre, among the subjects, connected with the common, every-day life of people, such as houses, eating and drinking, clothes, there are subjects that can be referred to as eternal, universal, like those of love and death, time and knowledge, prayer and religion. In Gibran's book even the most trivial, every-day objects are used for allegoric purposes and are masterfully woven by the writer into the fabric of epic narrative.

Another distinctive feature that allows us to consider „The Prophet“ as an example of an epic synthetic genre is that all events, though there is not much action going on, take place, as it seems, within one day. Time is not very important except when it is said that the main character had to wait for his ship for many years. Time seems to be frozen, everything is as if suspended in time.

Other crucial rhetoric devices used in the book are parallelism and contraries. By means of parallel constructions Gibran creates particular rhythm within one line or between several lines. It also helps to clarify a certain idea through repeating it in different words. Gibran's narrative is very poetic. The text abounds in various figures of speech and poetic lexis creating the general effect of euphony. „The Prophet“ includes words and word combinations that are directly associated with the Bible

We have compared three translations done by Georgian translators M. Gigineishvili, D. Gogibedashvili and N. Dolidze.

# დემოკრატია

## კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული სტრუქტურა XX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში

კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა XX საუკუნეში, მიუხედავად ცალკეულ პერიოდებში უძიმესი პირობებისა, საგრძნობლად გაიზარდა. კავკასიელ ხალხთა დემორტაციამ და ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ხალხთა ბუნებრივი დემოგრაფიული განვითარება.

გაცილებით ტრაგიკული გამოდგა ამ მხრივ პირველი და მეორე მსოფლიო ომების შედეგები, რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონია საერთოდ კაცობრიობის ბედზე. ბუნებრივია, ამ ტრაგიკულ შედეგებს ვერ გადაურჩნენ კავკასიელი ხალხები, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას სისხლისმღვრელ ბრძოლებში.

დაღუპულთა შორის კავკასიის ხალხთა ასიათასობით წარმომადგენელი იყო. საკმარისია ითქვას, რომ გერმანელთა წინააღმდეგ ომში, საქართველოდან, რომლის მოსახლეობა ომის დაწყების დროს 3700 ათას კაცს უდრიდა, 700 ათასამდე მეომარი მონაწილეობდა და აქედან 300 ათასი მებრძოლი დაიღუპა. დიდი იყო დანაკარგი შობადობის შემცირების შედეგად. მაგალითად, თუ დავუშვებთ, რომ ომის ცალკეულ წლებში (1941-1945 წწ.) მშვიდობიანობის შემთხვევაში საქართველოში იმდენი ბავშვი დაიბადებოდა, რამდენიც დაიბადა ომისწინა, 1940 წელს (100060 ბავშვი), მაშინ ომის წლებში შობადობის შემცირების შედეგად გამოწვეულმა დემოგრაფიულმა დანაკარგებმა 232757 ბავშვი შეადგინა. ძირითადად მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის დარღვევის გამო, ომის შემდეგ წლებშიც დაბადებულ ბავშვთა აბსოლუტური რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირე იყო 1940 წელთან შედარებით და მხოლოდ 1959 წელს მიაღწია მან 1940 წლის დონეს. სულ შობადობის შემცირების შედეგად საქართველოში 1941-1958 წლებში, დაახლოებით 500 ათასი ბავშვით ნაკლები დაიბადა.

ნაშრომში მოსახლეობის რაოდენობა და შემადგენლობა ძირითადად გაანალიზებულია საბჭოთა კავშირში 1926, 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის საფუძველზე. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში შემავალმა რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მოსახლეობის ბოლო აღწერა კავკასიის ქვეყნებში სხვადასხვა წლებში ჩატარდა, კერძოდ, რუსეთში (და, მაშასადამე, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში) და საქართველოში – 2002 წელს, აზერბაიჯანში – 1999 წელს, ხოლო სომხეთში – 2001 წელს (საქართველოში, სულ ბოლო, 2014 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემები, ისევე, როგორც აზერბაიჯანის და სომხეთის, ჯერ სრულად არ არის დაჯამებული და ოფიციალურად გამოქვეყნებული), რაც ართულებს დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების დინამიკაში განხილვას. მიუხედავად ამისა, კავკასიის შესახებ დემოგრაფიული მახვენებლები შედარებულია 2002 წელთან, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო. შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად ეს მონაცემები მაინც დიდ ცდომილებას იძლევა. მაგალითად, სომხეთის მოსახლეობა 2001 წელს აღწერის მონაცემების მიხედვით 3213,0 ათას კაცს უდრიდა, ხოლო 2002 წლის დასაწყისისათვის მიმდინარე აღრიცხვის მიხედვით – 3211,9 ათას კაცს, ე.ი. 1000 კაცით ნაკლებს.<sup>1</sup> აზერბაიჯანის მოსახლეობა კი 1999 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით 7953,4 ათას კაცს შეადგენდა, 2002 წელს – 8141,1 ათას კაცს – 188 ათასით მეტს.<sup>2</sup> შესადარისობის თვალსაზრისით ვითარებას ართულებს ისიც, რომ ეთნოდემოგრაფიული კონფლიქტების გამო, 1989 წლის შემდეგ მოსახლეობის აღწერა არ ჩატარებულა მთიან ყარაბაღში, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“. ამიტომ 2002 წელს აზერბაიჯანისა და საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შესახებ მახვენებლები მოტანილია ამ ქვეყნების ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის მიხედვით. ცდომილება ამ შემთხვევაშიც არ არის მიუღებელი, რის შესახებ ქვემოთ იქნება აღნიშნული. ამასთან, 1926 წლის აღწერის მონა-

<sup>1</sup> Статистический ежегодник Армении. Ереван, 2005, стр. 25.

<sup>2</sup> Population of Azerbaijan. Baku, 2006, p. 19.



ცემები ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ეროვნული ავტონომიის შესახებ, სხვადასხვა წყაროში განსხვავებულია. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ 1920-იან და 1930-იან წლებში მოხდა ავტონომიების საზღვრების შეცვლა ან მათი გაერთიანება. ნაშრომში უშუალოდ 1926 წლის აღწერის მონაცემებია გაანალიზებული ყოველგვარი შემდგომი დაზუსტების გარეშე, ისე როგორც ეს უმრავლეს სამეცნიერო ნაშრომშია მოცემული.

კავკასიის მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შემაფერხებელი რეალური ფაქტორების არსებობის მიუხედავად, XX საუკუნეში მისი მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც განაპირობებდა შობადობის უაღრესად მაღალი და მოკვდაობის დაბალი დონე. 1926-2005 წლებში კავკასიის მოსახლეობა მთლიანად 3,0-ჯერ გაიზარდა. მოსახლეობის ზრდის ტემპით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩრდილოეთ კავკასია, სადაც მოსახლეობა აღნიშნულ პერიოდში 3,8-ჯერ, ხოლო სამხრეთ კავკასიაში – 2,7-ჯერ გაიზარდა. №1 ცხრილის მონაცემები XX საუკუნეში კავკასიის მოსახლეობის რაოდენობის დინამიკის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის. კავკასიის მოსახლეობის რაოდენობის ზრდის საერთო ფონზე თვალში საცემია საქართველოს მოსახლეობის უაღრესად ნელი ზრდა სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. კერძოდ, თუ 1926-2005 წლებში საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ 1,6-ჯერ გაიზარდა, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობა, შესაბამისად, 3,6-ჯერ და 3,7-ჯერ გაიზარდა. ასევე, მოსახლეობის მნიშვნელოვან ზრდას ჰქონდა ადგილი ინგუშეთში (6,4-ჯერ), ჩრდილოეთ ოსეთში (4,6-ჯერ), ყაბარდო-ბალყარეთსა (4,4-ჯერ) და სხვა რესპუბლიკებში. სომხეთის მოსახლეობის ზრდის მაღალი მაჩვენებელი ბუნებრივი მატების მაღალ დონესთან ერთად ახსნას პოულობს საბჭოთა კავშირში თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობის სომხების შემოსვლაში. კავკასიის რეგიონში საქართველოს მოსახლეობის დაბალი ზრდის შესახებ კი შეიძლება ითქვას შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ კავკასია ერთი მთლიანი რეგიონია, სადაც ბუნებრივ-კლიმატური პირობები საგრძნობლად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, და, სადაც ტრადიციები და წეს-ჩვეულებები გარკვეულწილად ერთმანეთის მსგავსია, დემოგრაფიული მაჩვენებლები საქართველოში დიდად განსხვავდება მეზობელი ქვეყნების დემოგრაფიული მაჩვენებლებისაგან. კერძოდ, საქართველოში დემოგრაფიული განვითარების მთავარი განმაზოგადებელი მაჩვენებელი – შობადობა, მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე აზერბაიჯანში, სომხეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში. ეს აიხსნება ეთნიკური თავისებურებებით, ისტორიულად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესით, ტრადიციებით, განათლებისა და ურბანიზაციის დონითა და განსაკუთრებით, რელიგიური აღმსარებლობით. რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებიც თამაშობენ გარკვეულ როლს. საქართველოში, რომლის მოსახლეობის 83% ქრისტიანულ რელიგიას აღიარებს, შობადობა შესამჩნევად დაბალია იმ მეზობელ რესპუბლიკებთან შედარებით, სადაც გაბატონებული მდგომარეობა მაჰმადიანურ რელიგიას უკავია.

XX საუკუნის პირველ ნახევარში, ისე როგორც მთელ XIX საუკუნეში, კავკასიაში მოსახლეობის მრავალრიცხოვნობით საქართველო გამოირჩეოდა. 1926 წელს კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილი 35,1% იყო. ე.ი. ყოველი მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა. საქართველოს შემდეგ კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო აზერბაიჯანი, რომლის მოსახლეობა კავკასიის მთელი მოსახლეობის 30,4 %-ს შეადგენდა, მაშინ, როდესაც მთელი ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის წილი 22,9%-ს არ აღემატებოდა. 2005 წლისათვის ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ძირითადად ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გავლენით, კავკასიის მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილმა 19,8% შეადგინა ნაცვლად 35,1%-ისა 1926 წელს. სამაგიეროდ, ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა აზერბაიჯანის მოსახლეობის წილი – 30,4%-დან 36,6%-მდე.

## კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა 1926-2005 წლებში

| №   | ქვეყნები                               | წლები |       |       |       |       |       |       |       |
|-----|--|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
|     |  | 1926  | 1939  | 1959  | 1970  | 1979  | 1989  | 2002  | 2005  |
| 1.  | <b>კავკასია</b>                        |       |       |       |       |       |       |       |       |
|     | აბსოლუტურად                            | 7617  | 10827 | 12712 | 16659 | 18865 | 21032 | 22182 | 22610 |
|     | %                                      | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| 2.  | <b>მათ შორის:<br/>სამხრეთ კავკასია</b> |       |       |       |       |       |       |       |       |
|     | აბსოლუტურად                            | 5872  | 8027  | 9505  | 12295 | 14052 | 15727 | 15537 | 15884 |
|     | %                                      | 77,1  | 74,1  | 74,8  | 73,8  | 74,5  | 74,8  | 70,2  | 70,5  |
| 3.  | <b>მათ შორის:<br/>საქართველო</b>       |       |       |       |       |       |       |       |       |
|     | აბსოლუტურად                            | 2677  | 3540  | 4044  | 4686  | 4993  | 5401  | 4371  | 4321  |
|     | %                                      | 35,1  | 32,7  | 31,8  | 28,1  | 26,5  | 25,7  | 19,8  | 19,8  |
| 4.  | <b>აზერბაიჯანი</b>                     |       |       |       |       |       |       |       |       |
|     | აბსოლუტურად                            | 2315  | 3205  | 3698  | 5117  | 6028  | 7021  | 7953  | 8347  |
|     | %                                      | 30,4  | 29,6  | 29,1  | 30,7  | 31,9  | 33,4  | 35,9  | 36,6  |
| 5.  | <b>სომხეთი</b>                         |       |       |       |       |       |       |       |       |
|     | აბსოლუტურად                            | 881   | 1282  | 1763  | 2492  | 3031  | 3305  | 3213  | 3216  |
|     | %                                      | 11,6  | 11,8  | 13,9  | 15,0  | 16,1  | 15,7  | 14,5  | 14,1  |
| 6.  | <b>ჩრდილოეთ კავკასია</b>               |       |       |       |       |       |       |       |       |
|     | აბსოლუტურად                            | 1745  | 2800  | 3207  | 4364  | 4813  | 5305  | 6645  | 6726  |
|     | %                                      | 22,9  | 25,9  | 25,2  | 26,2  | 25,5  | 25,2  | 30,0  | 29,5  |
| 7.  | <b>მათ შორის:<br/>ადიღე</b>            |       |       |       |       |       |       |       |       |
|     | აბსოლუტურად                            | 114   | 242   | 285   | 386   | 404   | 432   | 447   | 445   |
|     | %                                      | 1,5   | 2,3   | 2,2   | 2,3   | 2,1   | 2,0   | 2,0   | 2,0   |
| 8.  | <b>ყარაჩაი-ჩეჩქეზეთი</b>               |       |       |       |       |       |       |       |       |
|     | აბსოლუტურად                            | 102   | 243   | 278   | 345   | 367   | 415   | 439   | 435   |
|     | %                                      | 1,3   | 2,3   | 2,2   | 2,1   | 2,0   | 2,0   | 2,0   | 1,9   |
| 9.  | <b>ყაბარდო-ბალყარეთი</b>               |       |       |       |       |       |       |       |       |
|     | აბსოლუტურად                            | 204   | 359   | 420   | 588   | 666   | 753   | 902   | 897   |
|     | %                                      | 2,7   | 3,3   | 3,3   | 3,5   | 3,6   | 3,6   | 4,0   | 3,9   |
| 10. | <b>ჩრდილოეთ ოსეთი –<br/>ალანია</b>     |       |       |       |       |       |       |       |       |
|     | აბსოლუტურად                            | 152   | 329   | 451   | 553   | 592   | 633   | 710   | 704   |
|     | ათასი პროცენტობით                      | 2,0   | 3,0   | 3,5   | 3,3   | 3,1   | 3,0   | 3,2   | 3,1   |
| 11. | <b>ინგუშეთი</b>                        |       |       |       |       |       |       |       |       |
|     | აბსოლუტურად                            | 75    | 697   | 710   | 1064  | 1156  | 1270  | 467   | 482   |
|     | %                                      | 1,0   |       |       |       |       |       | 2,1   | 2,1   |
| 12. | <b>ჩეჩნეთი</b>                         |       |       |       |       |       |       |       |       |
|     | აბსოლუტურად                            | 310   |       |       |       |       |       | 1104  | 1141  |
|     | %                                      | 4,1   | 6,4   | 5,6   | 6,4   | 6,1   | 6,0   | 4,9   | 5,0   |
| 13. | <b>დაღესტანი</b>                       |       |       |       |       |       |       |       |       |
|     | აბსოლუტურად                            | 788   | 930   | 1063  | 1428  | 1628  | 1802  | 2576  | 2622  |
|     | %                                      | 10,3  | 8,6   | 8,4   | 8,6   | 8,6   | 8,6   | 11,6  | 11,5  |

**შენიშვნა:** მოსახლეობის რაოდენობა 2005 წელს მოცემულია მიმდინარე აღრიცხვის, ხოლო დანარჩენ წლებში მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით.

**წყარო:** Всесоюзная перепись населения 17 декабря 1926 г. Выпуск IV, Москва, 1928, с. 78-81, 124, 128; Итоги Всесоюзной переписи населения 1970 года. Т. I, Москва, 1972, с.12; Численность и состав населения СССР. Москва, 1985, с. 7, 76, 80, 82, 84; Социально-экономическое положение республики Армения. Ереван, 2006, с. 144; Population of Azerbaijan. 2006, Baku, p. 19; Statistical yearbook of Georgia. Tbilisi, 2005, p. 33; Численность и размещение населения. Итоги Всероссийской переписи населения 2002 года. Москва. т. 1, 2004, с. 97-113; Российский статистический ежегодник 2005, Москва, 2006, стр. 82; მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ სხვა ანალოგიურ ცხრილებშიც აღნიშნული წყაროების გამოყენებული.

კავკასიის მოსახლეობა XX საუკუნეში, მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, საგრძობლად გაიზარდა 1926-1970, განსაკუთრებით კი 1926-1939 წლებში (იხ.: ცხრ. №2).

**ცხრილი №2**

**ტიტულოვანი ერებისა და რუსების რაოდენობა კავკასიის მოსახლეობის მთელ რაოდენობაში 1926-2002 წლებში**

| ქვეყნები                 | წლები |       |       |       |       |       |       |
|--------------------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
|                          | 1926  | 1939  | 1959  | 1970  | 1979  | 1989  | 2002  |
| <b>კავკასია</b>          |       |       |       |       |       |       |       |
| აბსოლუტურად              | 7617  | 10827 | 12712 | 16659 | 18865 | 21032 | 22182 |
| %                        | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| <b>რუსები</b>            |       |       |       |       |       |       |       |
| აბსოლუტურად              | 502   | 1764  | 2212  | 2411  | 2330  | 2145  | 1220  |
| %                        | 6,6   | 16,3  | 17,4  | 14,5  | 12,3  | 10,2  | 5,6   |
| <b>სამხრეთ კავკასია</b>  |       |       |       |       |       |       |       |
| აბსოლუტურად              | 5872  | 8027  | 9505  | 12295 | 14052 | 15727 | 15537 |
| %                        | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| <b>რუსები</b>            |       |       |       |       |       |       |       |
| აბსოლუტურად              | 336   | 888   | 965   | 974   | 917   | 785   | 225   |
| %                        | 5,7   | 11,1  | 10,2  | 7,9   | 6,5   | 5,0   | 1,4   |
| <b>ჩრდილოეთ კავკასია</b> |       |       |       |       |       |       |       |
| აბსოლუტურად              | 1745  | 2800  | 3207  | 4364  | 4813  | 5305  | 6645  |
| %                        | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| <b>რუსები</b>            |       |       |       |       |       |       |       |
| აბსოლუტურად              | 166   | 876   | 1247  | 1437  | 1413  | 1360  | 995   |
| %                        | 9,5   | 31,3  | 38,9  | 32,9  | 29,3  | 25,6  | 15,0  |

1979-2002 წლებში მოსახლეობის ზრდა შედარებით ნელი ტემპით ხდებოდა. მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატების საერთო ფონზე კავკასიის მოსახლეობის რაოდენობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა რუსების მიგრაციული პროცესები კავკასიაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1926-1939 წლებში რუსების რაოდენობა კავკასიაში 502 ათასიდან 1764 ათასამდე გაიზარდა, ანუ 1262 ათასი კაცით. თუ იმ პერიოდში რუსების ბუნებრივ მატებას გავითვალისწინებთ, მაშინ 1926-1939 წლებში კავკასიაში საცხოვრებლად შემოვიდა სულ ცოტა მილიონი რუსი. ამ წლებში რუსების რაოდენობა 251,4%-ით გაიზარდა, ხოლო ტიტულოვანი ერებისა – მხოლოდ 28%-ით. 1959 წელს რუსები უკვე შეადგენდნენ კავკასიის მთელი მოსახლეობის 17,4%-ს, მაგრამ მათი წილი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში. კერძოდ, თუ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში რუსები შეადგენდნენ 10,2%-ს, ჩრდილოეთ კავკასიაში მათი წილი 38,9%-ს უდრიდა. რუსები რაოდენობრივად ყველაზე მეტნი იყვნენ კავკასიაში მოსახლეობის 1970 წლის

აღწერის მონაცემების მიხედვით. ამის შემდეგ მათი რაოდენობა მცირდება და მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის (2002 წ.) მიხედვით, კავკასიაში ცხოვრობდა 1220 ათასი რუსი, ანუ 925 ათასით ნაკლები 1989 წელთან შედარებით. სამხრეთ კავკასიაში რუსების რაოდენობა 2002 წელს 225 ათასს უდრიდა (მთელი მოსახლეობის 1,1%), ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში – 995 ათასს (15,0%).

ამრიგად, კავკასიის მოსახლეობის სწრაფი ზრდა ორმა ფაქტორმა განაპირობა. პირველი, ესაა მკვიდრი მოსახლეობის უაღრესად მაღალი ბუნებრივი მატების დონე, რომელიც დამახასიათებელი იყო მთელი XX საუკუნის განმავლობაში უკლებლივ ყველა კავკასიელი ხალხისათვის ქართველები-სა და ნაწილობრივ სომხების გარდა. მეორე ფაქტორია რუსების მასობრივი შემოსვლა მუდმივ საცხოვრებლად კავკასიაში, განსაკუთრებით 1920-იანი წლების მეორე ნახევარსა და 1930-იან წლებში. რუსეთი კავკასიაში თავისი იმპერიული მიზნების განსახორციელებლად, აქ საიმედო დასაყრდენის შექმნისათვის ყოველმხრივ ცდილობდა რუსი მოსახლეობის დასახლებას კავკასიის რეგიონში. კავკასიაში ეკონომიკის ინდუსტრიული განვითარების საბაზით ამ პერიოდში უამრავი რუსი მუდმივად დასახლდა საცხოვრებლად როგორც სამხრეთ, ისე განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში. აღიღესა და ჩერქეზეთში რუსებმა მოსახლეობის უმრავლესობაც კი შეადგინეს. კერძოდ, 1926 წელს აღიღეს რუსები მთელი მოსახლეობის 26%-ს შეადგენდნენ, ხოლო 1939 წელს – 71,1%-ს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსებმა მასობრივად დატოვეს კავკასიის რეგიონი. ეს პროცესი ძირითადად გამოიწვია კავკასიის რეგიონის ცალკეულ რაიონებში არსებულმა და მოსალოდნელმა ეთნო-პოლიტიკურმა კონფლიქტებმა, სოციალურ-ეკონომიკური პირობების არსებითმა გაუარესებამ, თავისი ისტორიული სამშობლოსაკენ სწრაფვამ, სადაც მათ უკეთესი ცხოვრების პირობებიც ეგულებოდათ. როგორც აღვნიშნეთ, 2002 წელს მთელ სამხრეთ კავკასიაში რუსების რაოდენობამ 225 ათასი შეადგინა, მაშინ, როდესაც 1989 წელს მხოლოდ აზერბაიჯანში 392 ათასი რუსი ცხოვრობდა. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსების რაოდენობა განსაკუთრებით შემცირდა ჩეჩნეთში, რაც ჩეჩნეთში ომს უკავშირდება. ძირითადად ამ მიზეზით ჩეჩნეთი და ინგუშეთი დატოვა დაახლოებით 250 ათასმა რუსმა. 2002 წელს ჩეჩნეთსა და ინგუშეთში 45 ათასი რუსი ცხოვრობდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანია დაღესტნის რესპუბლიკა. მისი მოსახლეობა 2005 წელს ჩრდილოეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 39%-ს უდრიდა. დაღესტნის შემდეგ ყველაზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობდა ჩეჩნეთში (16,2%), ყაბარდო-ბალყარეთში (13,7%), ჩდილო ოსეთში (10,8%), ინგუშეთსა (6,9%) და აღიღესი (6,8%). ყველაზე მცირერიცხოვან რესპუბლიკას წარმოადგენს ყარაჩაი-ჩერქეზეთი (6,6%). აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ცალკეული რესპუბლიკების მოსახლეობის წილი ჩრდილოეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში მთელი XX საუკუნის განმავლობაში ნაკლებად იცვლებოდა. ცვლილებები ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიის ამა თუ იმ რესპუბლიკაში დეპორტაციებთან და ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებთან იყო დაკავშირებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ყველა რესპუბლიკაში მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ბუნებრივი მატების დაახლოებით თანაბარი დონით (ჩვენს შემთხვევაში მაღალი) იყო განპირობებული.

ამ საერთო კანონზომიერებიდან გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 1989-2002 წლის აღწერის მონაცემები. კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ 2002 წლის აღწერის მონაცემების შედარება 1989 წლის აღწერის მონაცემებთან ბევრ კითხვას ბადებს. აღწერებს შორის პერიოდში საგრძობლად გაიზარდა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის, განსაკუთრებით ინგუშების, ჩეჩნების, ყაბარდოელებისა და დაღესტნის ხალხების რაოდენობა (იხ.: ცხრ. №3). ბუნებრივია, ისმის კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად დაითვალეს 2002 წლის აღწერის დროს რუსეთში მცხოვრები ხალხები. საჭიროა აღინიშნოს, რომ რუსეთში ეროვნული შემადგენლობის შესახებ ცნობების ძირითადი წყაროა მოსახლეობის აღწერა. რუსეთში არც ისე დიდი ხნის წინ აუცილებელი იყო ეთნიკური კუთვნილების (ეროვნების) ფიქსაცია, რომელიც აღინიშნებოდა ბუნებრივი მოძრაობის – დაბადებისა და გარდაცვალების – ცნობებში. ეთნიკური კუთვნილების შესახებ კითხვა ფიგურირებდა მოსახლეობის ყველა აღწერაში. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ რუსეთის იმპერიაში 1897 წელს ჩატარებული აღწერა, რომლის დროსაც ეროვნება განისაზღვრებოდა მშობლიური ენის საფუძველზე.

კავკასიის ტიტულოვანი ერების რაოდენობა და განსახლება ყოფილ საბჭოთა კავშირში, რუსეთსა და საკუთარ რესპუბლიკებში 1959-2002 წლებში (ათასი)

| ხალხები                  | წლები            |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
|--------------------------|------------------|---------|----------------------|------------------|---------|----------------------|------------------|---------|----------------------|---------|----------------------|
|                          | 1959             |         |                      | 1970             |         |                      | 1989             |         |                      | 2002    |                      |
|                          | საბჭოთა კავშირში | რუსეთში | საკუთარ რესპუბლიკაში | საბჭოთა კავშირში | რუსეთში | საკუთარ რესპუბლიკაში | საბჭოთა კავშირში | რუსეთში | საკუთარ რესპუბლიკაში | რუსეთში | საკუთარ რესპუბლიკაში |
| <b>ქართველები</b>        |                  |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
| აბსოლუტურად              | 2692             | 58      | 2601                 | 3245             | 69      | 3131                 | 3981             | 131     | 3787                 | 198     | 3661                 |
| %                        | 100,0            | 2,2     | 96,6                 | 100,0            | 2,1     | 96,5                 | 100,0            | 3,3     | 95,1                 | -       | -                    |
| <b>აზერბაიჯანელები</b>   |                  |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
| აბსოლუტურად              | 2940             | 71      | 2494                 | 4380             | 96      | 3777                 | 6770             | 336     | 5805                 | 622     | 7205                 |
| %                        | 100,0            | 24      | 84,8                 | 100,0            | 2,2     | 86,2                 | 100,0            | 5,0     | 85,7                 | -       | -                    |
| <b>სომხები</b>           |                  |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
| აბსოლუტურად              | 2787             | 256     | 1552                 | 3559             | 299     | 2208                 | 4623             | 532     | 3084                 | 1130    | 3145                 |
| %                        | 100,0            | 9,2     | 55,7                 | 100,0            | 8,4     | 62,0                 | 100,0            | 11,5    | 66,7                 | -       | -                    |
| <b>ადიგელები</b>         |                  |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
| აბსოლუტურად              | 80               | 79      | 66                   | 100              | 98      | 82                   | 125              | 123     | 95                   | 129     | 108                  |
| %                        | 100,0            | 98,7    | 82,5                 | 100,0            | 98,0    | 81,0                 | 100,0            | 98,4    | 76,0                 | 100,0   | 83,7                 |
| <b>ყარაჩაელები</b>       |                  |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
| აბსოლუტურად              | 81               | 71      | 68                   | 113              | 107     | 97                   | 156              | 150     | 130                  | 192     | 169                  |
| %                        | 100,0            | 87,7    | 84,0                 | 100,0            | 94,7    | 85,8                 | 100,0            | 96,1    | 82,7                 | 100,0   | 88,0                 |
| <b>ჩერქეზები</b>         |                  |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
| აბსოლუტურად              | 30               | 29      | 24                   | 40               | 38      | 31                   | 52               | 51      | 40                   | 61      | 50                   |
| %                        | 100,0            | 96,7    | 80,0                 | 100,0            | 95,0    | 77,5                 | 100,0            | 98,1    | 76,9                 | 100,0   | 82,0                 |
| <b>ყაბარდოელები</b>      |                  |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
| აბსოლუტურად              | 204              | 201     | 190                  | 280              | 277     | 265                  | 391              | 386     | 364                  | 520     | 499                  |
| %                        | 100,0            | 98,6    | 93,1                 | 100,0            | 98,9    | 94,6                 | 100,0            | 98,7    | 92,8                 | 100,0   | 96,0                 |
| <b>ბალყარელები</b>       |                  |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
| აბსოლუტურად              | 42               | 35      | 34                   | 60               | 53      | 51                   | 85               | 78      | 71                   | 108     | 105                  |
| %                        | 100,0            | 83,3    | 81,0                 | 100,0            | 83,3    | 85,0                 | 100,0            | 91,8    | 83,5                 | 100,0   | 97,2                 |
| <b>სები</b>              |                  |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
| აბსოლუტურად              | 413              | 248     | 216                  | 488              | 313     | 269                  | 598              | 402     | 335                  | 515     | 445                  |
| %                        | 100,0            | 60,0    | 52,1                 | 100,0            | 64,1    | 55,1                 | 100,0            | 67,2    | 56,0                 | 100,0   | 86,0                 |
| <b>ჩეჩნები</b>           |                  |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
| აბსოლუტურად              | 419              | 261     | 244                  | 613              | 572     | 509                  | 957              | 899     | 735                  | 1360    | 1032                 |
| %                        | 100,0            | 62,3    | 58,2                 | 100,0            | 93,3    | 83,0                 | 100,0            | 93,9    | 64,8                 | 100,0   | 73,7                 |
| <b>ინგუშები</b>          |                  |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
| აბსოლუტურად              | 106              | 56      | 48                   | 158              | 137     | 114                  | 237              | 215     | 164                  | 413     | 361                  |
| %                        | 100,0            | 52,8    | 45,3                 | 100,0            | 86,7    | 72,1                 | 100,0            | 90,7    | 58,2                 | 100,0   | 87,6                 |
| <b>დაღესტნის ხალხები</b> |                  |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
| აბსოლუტურად              | 944              | 797     | 736                  | 1365             | 1152    | 1061                 | 2064             | 1749    | 1444                 | 2606    | 2230                 |

| ხალხები | წლები            |         |                      |                  |         |                      |                  |         |                      |         |                      |
|---------|------------------|---------|----------------------|------------------|---------|----------------------|------------------|---------|----------------------|---------|----------------------|
|         | 1959             |         |                      | 1970             |         |                      | 1989             |         |                      | 2002    |                      |
|         | საბჭოთა კავშირში | რუსეთში | საკუთარ რესპუბლიკაში | საბჭოთა კავშირში | რუსეთში | საკუთარ რესპუბლიკაში | საბჭოთა კავშირში | რუსეთში | საკუთარ რესპუბლიკაში | რუსეთში | საკუთარ რესპუბლიკაში |
| %       | 100,0            | 54,4    | 78,0                 | 100,0            | 84,4    | 77,7                 | 100,0            | 84,7    | 70,0                 | 100,0   | 84,3                 |

რუსეთის მოსახლეობის 2002 წლის აღწერის დროს ეროვნული კუთვნილების შესახებ კითხვაზე მიღებულ იქნა 800-ზე მეტი სხვადასხვა ვარიანტის პასუხი, რომლებიც ერთმანეთისაგან ხშირად განსხვავდებოდა მხოლოდ ენის დიალექტისა და ეთნიკური ჯგუფის ადგილობრივი თვითსახელწოდების მიხედვით. საბოლოოდ აღწერის მასალები დამუშავდა 140 ეროვნებისა და მათში შემავალი 40 ეთნიკური ჯგუფის მიხედვით.

ამჟამად მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემოგარემოცვითი ფაქტორები. ადრე საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა ჩაკეტილ სისტემას და გარემოგარემოცვითი ფაქტორი არავითარ როლს არ ასრულებდა ხალხების რაოდენობის დინამიკაზე. 1989-2002 წლებში რუსეთში სომხების 2,1-ჯერ გაზრდა ძირითადად უკავშირდება სწრაფ მიგრაციულ პროცესებს. სომხები მთიან ყარაბაღში მომხდარი სისხლისმღველი კონფლიქტისა და საერთოდ, როგორც თავისი, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით გადასახლდნენ მუდმივ საცხოვრებლად რუსეთში და რიგ რაიონებში რუსების შემდეგ რაოდენობით მეორე ადგილზე იმყოფებიან. მაგალითად, ყუბანში, სოჭში, ტუაფსეში, ადღერში, სადაც ადრე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ მეორე ადგილი უკრაინელებს ეკავათ. ამავე დროს, მაშინ, როდესაც რუსეთის მოსახლეობა იკლებს და ამ კლებას ძირითადად განსაზღვრავენ რუსები, რადგან ისინი ქვეყნის დიდ უმრავლესობას შეადგენენ. ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების რიცხოვნობა 1982-2002 წლებში არნახული ტემპით გაიზარდა, რაც ამ ხალხების ბუნებრივი დემოგრაფიული განვითარების ტენდენციას სრულად არ გამოხატავს, ასე ვთქვათ, ამოვარდნილია ამ ტენდენციიდან. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ არც მიგრაციულ პროცესებს, არც მოსახლეობის ბუნებრივმა ტემპმა არ შეიძლება გამოეწვიოს ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების (ინგუშების, ჩეჩნების, დაღესტნელების – ყუმიხების, დარგინელების, ლეზგების და სხვ.) ასეთი უაღრესად სწრაფი ზრდა. ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხებიდან მიგრაციის შედეგად გაიზარდა ძირითადად ოსების რაოდენობა – დაახლოებით 60 ათასი კაცით. ამავე დროს 178 ათასი ლეზგი ცხოვრობს აზერბაიჯანში და ოფიციალური რეგისტრაციის მიხედვით აზერბაიჯანიდან 20 ათასი ლეზგი შევიდა მუდმივ საცხოვრებლად რუსეთში (ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიაში), მაგრამ ლეზგების მთლიან მატებას (154 ათასი) მხოლოდ ამ ფაქტორით ვერ ავსხნით. ჩრდილოეთ კავკასიელ დანარჩენ ხალხებს საზღვარგარეთ დიდი ჯგუფები არ ყავთ.

ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხის მნიშვნელოვან ზრდას 1989-2002 წლებში ზოგჯერ ხსნიან შობადობის არნახული ამაღლებით, მაგრამ მიმდინარე აღრიცხვის მონაცემები საწინააღმდეგო მოვლენაზე მიუთითებენ. მართალია, შობადობა მაღალია ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებში, მაგრამ 1990-იან წლებში დაბადებათა რაოდენობა შემცირდა. ზოგჯერ ამას ხსნიან არასწორი აღრიცხვით. მაშინ ისმის კითხვა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა მაღალ შობადობას უზრუნველყო ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების გაცილებით უფრო მაღალი მატება, ვიდრე წინა აღწერათშორის პერიოდში. ამისათვის საჭირო იყო 1998-2002 წლებში შობადობა გაცილებით უფრო მაღალი ჰქონოდათ, ვიდრე 1979-1988 წლებში. იმისათვის, რომ ეპასუხათ კითხვაზე „გაიზარდა თუ არა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების შობადობა საუკუნეთა მიჯნაზე“, აღწერის მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშეს შეილიანობის ინდექსი, რომელიც წარმოადგენს ჰიპოთეზური თაობის შობადობის დონის ირიბ მაჩვენებელს. იგი განისაზღვრება დაბალი ასაკის ბავშვების (ძირითადად 0-4 წლის ასაკისა და 0-9 წლის ასაკის ბავშვებისათვის) რაოდენობის შეფარდებით იმ ქალების რაოდენობასთან, რომლებიც ასაკით შეიძლება იყვნენ მათი დედები.

მე-4 ცხრილში მოტანილია რუსეთის ხალხების შვილიანობის ინდექსის შესახებ ინფორმაცია უკანასკნელი სამი აღწერის მიხედვით. ინფორმაცია თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების შობადობა გაცილებით მაღალია რუსეთის ხალხებთან შედარებით. ამავე დროს შობადობის დინამიკა არავითარ ეჭვს არ ტოვებს იმის შესახებ, რომ მხოლოდ შობადობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების რიცხოვნობის სწრაფი ზრდის მიზეზი. მათი შობადობა დიდი ხანია მცირდება. ამიტომ დემოგრაფიულს გარდა, გასაგებია ის ფაქტორები, რომლებსაც შეიძლება გავლენა მოეხდინათ ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა რიცხოვნობის ცვლილებაზე 1998-2002 წლებში. ამისათვის შობადობის, მოკვდაობისა და მიგრაციის ფაქტორების ელიმინირება უნდა მოვახდინოთ.

**ცხრილი №4**

**რუსეთის ცალკეული ხალხების შვილიანობის ინდექსი (10 წლამდე ბავშვთა რიცხვი 20-49 წლის ყოველ 1000 ქალზე მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით)**

| ხალხები         | წლები |       |      | ინდექსის მატება, % |           |
|-----------------|-------|-------|------|--------------------|-----------|
|                 | 1979  | 1989  | 2002 | 1979-1989          | 1989-2002 |
| ინგუშები        | 1432  | 1203  | 945  | -16                | -21       |
| ჩეჩნები         | 1400  | 1267  | 942  | -9                 | -26       |
| აზერბაიჯანელები | . . . | . . . | 903  | . . .              | . . .     |
| ხუნძები         | 1496  | 1291  | 831  | -14                | -36       |
| დარგუელები      | 1604  | 1374  | 797  | -14                | -42       |
| ყუმუხები        | 1302  | 1227  | 766  | -6                 | -38       |
| ლეზგები         | 1445  | 1280  | 710  | -11                | -45       |
| ყაბარდოელები    | 1029  | 1014  | 585  | -1                 | -42       |
| ყარაჩაელები     | 1028  | 994   | 572  | -3                 | -42       |
| სომხები         | 764   | 987   | 543  | 29                 | -45       |
| ოსები           | 795   | 831   | 524  | 4                  | -37       |
| ადიღეელები      | 823   | 839   | 512  | 2                  | -39       |
| ჩერქეზები       | 941   | 935   | 507  | -1                 | -46       |
| ბალყარელები     | 915   | 924   | 495  | 1                  | -46       |
| ბაშკირები       | 858   | 862   | 474  | 0                  | -45       |
| რუსები          | 655   | 759   | 384  | 16                 | -49       |
| თათრები         | 621   | 713   | 354  | 15                 | -48       |
| გერმანელები     | 496   | 588   | 199  | 19                 | -49       |
| კორეელები       | 274   | 372   | 199  | 36                 | -46       |
| უკრაინელები     | 310   | 340   | 116  | 10                 | -66       |
| ბელორუსები      | 220   | 250   | 94   | 13                 | -62       |

*შენიშვნა: ხალხები რანჟირებულია 2002 წლის ინდექსის ხიდიდის მიხედვით.*

*წყარო: <http://demoscope.ru/2008/0319/tema03.php>*

1997 წლამდე პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტში აღინიშნებოდა ეროვნება, ხოლო დემოგრაფიული მოვლენები (შობადობა, მოკვდაობა და ა.შ.) ეროვნულ ჭრილში შემდგომ წლებშიაც მუშავდებოდა. 1989 წლიდან მუშავდება ემოგრანტთა და იმიგრანტთა ეროვნული შემადგენლობა, რაც 1989 და 2002 წლების აღწერის მიხედვით მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მონაცემების, ცალკეული ხალხების მიხედვით ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციის მონაცემების ერთმანეთთან შედარების საშუალებას იძლევა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია შეფასდეს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დინამიკაზე „არადემოგრაფიული“ ფაქტორების გავლენა.<sup>3</sup> ამრიგად, 1989

<sup>3</sup> <http://demoscope.ru/2008/0319/tema04.php>.

წლის აღწერის მონაცემების, 1989-2002 წლებში ბუნებრივი მატებისა და მიგრაციის სადღოს შეჯამება 2003 წლის დასაწყისათვის ცალკეული ხალხების რიცხოვნობის შეფასების საშუალებას იძლევა. აღმოჩნდა, რომ რუსეთში პრაქტიკულად არც ერთი ხალხის რიცხოვნობა, აღწერის მიხედვით არ დაემთხვა მიმდინარე აღრიცხვის (დაბადება, გარდაცვალება, ჩამოსვლა, წასვლა) მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ რიცხოვნობას. განსაკუთრებით დიდი იყო განსხვავება ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების რიცხოვნობის მიხედვით (იხილეთ ცხრილი №5).

**ცხრილი №5**

**რუსეთში მცხოვრებ ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა გაანგარიშებული რიცხოვნობის შედარება აღწერის მონაცემებთან**

| ხალხები       | შეფასება (2003 წლის დასაწყისისათვის) | აღწერა (09. 10. 2002) | სააღწერო მონაცემები მეტია (+) ან ნაკლებია(-) შეფასებაზე |                        |
|---------------|--------------------------------------|-----------------------|---|------------------------|
|               |                                      |                       | აბსოლუტური მონაცემები                                   | პროცენტობით აღწერასთან |
| ხუნები        | 700,1                                | 814,5                 | 114,4   | 14,0                   |
| აღლები        | 22,4                                 | 28,3                  | 5,9   | 21,0                   |
| დარგულები     | 457,6                                | 510,2                 | 52,5  | 10,3                   |
| ეუმუხები      | 345,7                                | 422,4                 | 76,7  | 18,2                   |
| ლაკები        | 126,9                                | 156,5                 | 29,6  | 18,9                   |
| ლეზგები       | 349,0                                | 411,5                 | 62,5  | 15,2                   |
| ნოღალები      | 84,9                                 | 90,7                  | 5,8   | 6,4                    |
| რუთულები      | 24,9                                 | 29,9                  | 5,1   | 16,9                   |
| თაბასარანლები | 127,3                                | 131,8                 | 4,6   | 3,5                    |
| წახურები      | 8,9                                  | 10,4                  | 1,4   | 13,8                   |
| ინგუშები      | 282,1                                | 413,0                 | 130,9   | 31,7                   |
| ჩეჩნები       | 1109,4                               | 1360,3                | 250,9   | 18,4                   |
| ბალყარლები    | 87,4                                 | 108,4                 | 21,0  | 19,4                   |
| ყაბარდოელები  | 443,6                                | 520,0                 | 76,3  | 14,7                   |
| სები          | 468,9                                | 514,9                 | 46,0  | 8,9                    |
| ადიღეელები    | 131,2                                | 128,5                 | -2,6  | -2,1                   |
| ყარაჩაელები   | 172,8                                | 192,2                 | 19,4  | 10,1                   |
| ჩერქეზები     | 55,9                                 | 60,5                  | 4,6   | 7,6                    |

*წყარო:* <http://demoscope.ru/2008/0319/tema04.php>.

აშკარად გამოჩნდა ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების 2002 წლის აღწერის შედეგად მიღებული რაოდენობრივი სიჭარბე. აღწერათშორის პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ინგუშების, ჩეჩნების, ყაბარდოელებისა და დაღესტნის ხალხების რაოდენობა. მაგალითად, ინგუშების რაოდენობა 1989 წლის აღწერით რუსეთში 215 ათას კაცს უდრიდა (ინგუშეთში – 164 ათასს), ხოლო 2002 წლის აღწერით – 413 ათასს (ინგუშეთში – 361 ათასს). ამრიგად, სულ რაღაც 13 წელიწადში მათი რაოდენობა რუსეთში გაორმაგდა, ხოლო ინგუშეთში 2,2-ჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ამ მოვლენის ულოგიკო მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებთან შედარებით. კერძოდ, მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებით, 2003 წლის დასაწყისისათვის ინგუშების რაოდენობა რუსეთში 282,1 ათას კაცს უდრიდა და არა 413 ათასს, როგორც ეს 2002 წლის ოქტომბერში ჩატარებულმა აღწერამ გვიჩვენა. მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებთან შედარებით, ჩრდილო კავკასიელი ხალხების რაოდენობა საშუალოდ 15,0%-ით, ანუ ამ ხალხების რაოდენობის თითქმის მეექვსედით გაიზარდა, ხოლო ინგუშების ზრდამ 31,7% შეადგინა. მიგრაციას, ეთნიკურ პროცესებსა და შობადობას არ შეეძლო ჩრდილო კავკასიელი ხალხების რაოდენობის ასეთი ზრდა



გამოეწვია. რჩება მხოლოდ ერთი ფაქტორი – 2002 წლის აღწერის დროს ადგილი ჰქონდა მოსახლეობის რაოდენობის ხელოვნურ მომატებას (ორმაგი აღრიცხვა, მიწერები, „მკვლარი სულები“ და ა.შ.) ერთადერთი გაანგარიშებით, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე აღრიცხვაში დაშვებულ უზუსტობებს, ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების რიცხოვნობის მინიმალური ხელოვნური მატბა 820 ათას კაცს უდრიდა. აქედან 400 ათასს დადესტნის ხალხები, 300 ათასზე მეტს ჩეჩნები და ინგუშები, ხოლო არანაკლებ 100 ათასს ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხები შეადგენდნენ. ამ მოვლენაზე, როგორც მიუთითებენ, ზეგავლენას ახდენს ფაქტორები, რომლებიც უპირატესად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. როდესაც აღწერის მნიშვნელობის პოლიტიზაცია ძალიან შორს მიდის, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის შემთხვევაში, ამან შეიძლება გამოიწვიოს მონაცემთა დამახინჯება, პირდაპირი მიწერები, ე.ი. ფალსიფიკაცია.<sup>4</sup> ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში 1937 წელს ჩატარებული აღწერის შედეგები სწორედ პოლიტიკური მოტივებით იქნა უარყოფილი, რადგან 1930-იან წლებში განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების შედეგად, რომელსაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ სასურველი მონაცემები ვერ მიიღეს. მოელოდნენ, რომ აღწერა უჩვენებდა მოსახლეობის რიცხოვნობის „მკვეთრ ზრდას“. გაზეთ „პრავდას“ მოწინავეში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში „მოსახლეობა უფრო სწრაფად მატულობს, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში“. იგულისხმებოდა, რომ აღწერის შედეგებს უნდა გადაეჭარბებინა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVII ყრილობაზე ი. სტალინის მიერ დასახელებული მოსახლეობის რიცხვის – 168 მილიონი კაცისათვის 1933 წლის ბოლოს. გაკეთებული პროგნოზის შედეგად ელოდნენ, რომ 1937 წელს საბჭოთა კავშირის მოსახლეობა 180,3 მილიონი კაცი იქნებოდა. ამაში ხედავდნენ სოციალიზმის ერთ-ერთ ძირითად უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით. ჰიპოთეზა მოსახლეობის ავტომატური მატების შესახებ გადაიქცა ოფიციალურ კონცეფციად. მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა. მოსახლეობის 1937 წლის აღწერის წინასწარი შედეგების თანახმად, საბჭოთა კავშირში 162 მილიონი კაცი ცხოვრობდა.<sup>5</sup> 1937 წლის აღწერის მონაცემები შეჯამებისთანავე გამოცხადდა, როგორც დეფექტური, ხოლო აღწერის ზოგიერთი ორგანიზატორი რეპრესირებული იქნა.

1990-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში სისხლისმღვრელმა კონფლიქტებმა ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. როგორც ჩანს, ამის მისაჩქმალავედ, აღწერის მონაცემები ხელოვნურად დაამახინჯეს.

ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ ეთნიკური ცვლილებების „დემოგრაფიული“ ფაქტორების შეფასება, მაგრამ რეალურად გვაქვს მხოლოდ მოსახლეობის 2002 წლის ოფიციალური აღწერის შედეგები.

კავკასიის მოსახლეობა XX საუკუნეში მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა ცალკეული კავკასიელი ხალხების ზრდაში დიდი განსხვავება შეიმჩნევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფის რუსეთში მოსახლეობის პირველი და უკანასკნელი აღწერა ჩატარდა 1897 წელს. ამ აღწერის მიხედვით ეროვნება განისაზღვრებოდა მშობლიური ენის საფუძველზე, რაც მეტად ართულებს განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ზუსტი რიცხოვნობის დადგენას. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ჩერქეზულ ტომებს შორის, რომლებიც თავიანთ თავს უწოდებენ ადიღელებს, პირველი ადგილი რაოდენობისა და კულტურის მიხედვით ეკუთვნოდათ ყაბარდოელებს – 98561 კაცი. დანარჩენი ჩერქეზული ტომები არ აღემატებოდა 46286 კაცს. დანარჩენ ჩერქეზულ ტომებში იგულისხმებოდა ჩერქეზები.<sup>6</sup> ადიღელებიც ჩერქეზებს იყო მიკუთვნებული. ამასთან, მე-19 საუკუნეში, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები ძირითადად აღიწერა მაშინ არსებული ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ყუბანისა და თერგის ოლქებში. ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა ახლანდელი განსახლების არეალი ნაკლებად თანხვედბა მე-19 საუკუნეში მათი განსახლების არეალს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დადესტნის ოლქი, რომლის საზღვრები მეტ-ნაკლებად თანხვედბა აშუამინდელ დადესტნის რესპუბლიკის საზღვრებს. ამიტომ იმის გაგება, თუ როგორ შეიცვალა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მოსახლეობის რაოდენობა ბოლო საუკუნის მანძილზე, შეუძლებელი ხდება (ან მეტად ძნელია).

ამ მხრივ ვითარება გაცილებით უკეთესადაა სამხრეთ კავკასიაში, სადაც მოსახლეობა მე-20 საუკუნეში, კერძოდ, 1897-2005 წლებში 4816 ათასიდან 15884 ათასამდე გაიზარდა, ანუ 3,3-ჯერ. ასეთი

<sup>4</sup> <http://demoscope.ru/2008/0319/tema06.php>.

<sup>5</sup> Ю. Поляков, В. Жиромская, И. Киселев. Полвека молчания (Всесоюзная перепись населения 1937 г.). Журнал „Социологические исследования“, №6, 1990, стр. 18.

<sup>6</sup> Общий свод по Империи результатов разработки данных первой всеобщей переписи населения. Т. II. С. Петербург, 1905, с. XXVIII, 44.

ზრდა ძირითადად განაპირობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოსახლეობის უაღრესად სწრაფმა გამრავლებამ. ამავე პერიოდში მისი მოსახლეობა 1807 ათასიდან 8347 ათასამდე გაიზარდა (4,6-ჯერ), საქართველოსი – 2109 ათასიდან 4321 ათასამდე (2,1-ჯერ), ხოლო სომხეთის მოსახლეობა – 900 ათასიდან 3216 ათასამდე (3,6-ჯერ). შესაბამისად შეიცვალა მათი წილი სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში. თუ 1897 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 43,8%-ს, აზერბაიჯანისა – 37,5%-ს, ხოლო სომხეთისა 18,7%-ს შეადგენდა, 2005 წელს ეს თანაფარდობა შესაბამისად 27,2%-ს; 52,5%-ს და 20,3%-ს უდრიდა (იხილეთ ცხრილი №6).

სამხრეთ კავკასიისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთ კავკასია ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა და, შეიძლება ითქვას, ამ მხრივ იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ჭრელი რეგიონია.

**ცხრილი №6**  
**საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობის**  
**რაოდენობა 1897 და 2005 წლებში (ათასი)**

| №  | ქვეყნები                | წლები |       |
|----|-------------------------|-------|-------|
|    |                         | 1897  | 2005  |
| 1. | <b>სამხრეთ კავკასია</b> |       |       |
|    | აბსოლუტურად             | 4816  | 15884 |
|    | %                       | 100,0 | 100,0 |
|    | მათ შორის:              |       |       |
| 2. | <b>საქართველო</b>       |       |       |
|    | აბსოლუტურად             | 2109  | 4321  |
|    | %                       | 43,8  | 27,2  |
| 3. | <b>აზერბაიჯანი</b>      |       |       |
|    | აბსოლუტურად             | 1807  | 8347  |
|    | %                       | 37,5  | 52,5  |
| 4. | <b>სომხეთი</b>          |       |       |
|    | აბსოლუტურად             | 900   | 3216  |
|    | %                       | 18,7  | 20,3  |

*შენიშვნა: საქართველოს მოსახლეობა 2005 წელს ნაჩვენებია, როგორც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად, ისე არაკონტროლირებად (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) ტერიტორიაზე.*

ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, კავკასიაში არაერთი ხალხი ცხოვრობდა, რომლებსაც საკუთარი ენა და კულტურა ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეპოქამდე ბევრი ენოსი და ენა გაქრა, ახლაც, კავკასიაში მრავალი ხალხი ცხოვრობს, რომლებიც კავკასიურ, თურქულ და ინდოევროპულ ენებზე ლაპარაკობენ. კერძოდ, კავკასიურ, ანუ, როგორც ადრე უწოდებდნენ, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს მიეკუთვნებიან: ჩრდილოეთ კავკასიაში – აბაზები, აფხაზები, ყაბარდოელები, ჩეჩნები, ჩერქეზები და დაღესტნის 30-მდე სხვადასხვა ხალხი, ადიღეელები, ხოლო სამხრეთ კავკასიაში – უდიები და აზერბაიჯანის მკვიდრი კრიშები, ჰინალულები და ბუქდუხები. თურქულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებიან სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ აზერბაიჯანელები, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში – ბალყარელები, ნოღაელები, ყარაჩაელები და ყუმიხები. ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნება სომხური ენა, ხოლო ამ ოჯახის ირანულ ჯგუფს ოსების, თათების და თალიშების მეტყველება. აქედან მხოლოდ ოსები არიან წარმომავლობით ჩრდილოეთ კავკასიიდან. რაც შეეხება ქართველებს, მათ ენას ჯერ აკუთვნებდნენ ინდოევროპულს, შემდეგ კი ქართველი და ჩრდილოეთ-კავკასიელი ხალხების ენების საერთო წარმომავლობის ჰიპოთეზა ბატონობდა, თუმცა საბოლოოდ მათი ნათესაობის მეცნიერულად დამაჯერებელი დასაბუთება ვერ მოხერხდა. არც ცალკეული ლექსიკური დამთხვევა და არც მსგავსი სუფიქსები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ამ ენებს შორის ნათესაობა ვამტკიცოთ. ყოველივე ეს შეიძლება ამ ენების გენეტიკური ერთობის

შედგებიც იყოს და არც იყოს.<sup>7</sup> ჯერჯერობით, როგორც ირკვევა, ქართველებს მონათესავე არც ენობრივი და არც ეთნიკური ჯგუფი არ ყავს.

საბჭოთა კავშირში კავკასიური ხალხები ძირითადად თავისთ რესპუბლიკებში ცხოვრობდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ სომხები, რომელთა რაოდენობა, მაგალითად, 1989 წელს საბჭოთა კავშირში 4623 ათას უდრიდა და აქედან მხოლოდ 3084 ათასი (66,7%) ცხოვრობდა სომხეთში. სამაგიეროდ რუსეთში ცხოვრობდა 532 ათასი სომხები (სომხეთა საერთო რაოდენობის 11,5%), საქართველოში – 437 ათასი (9,5%), აზერბაიჯანში – 391 ათასი (8,4%), უკრაინაში – 54 ათასი (1,2%), უზბეკეთში – 51 ათასი (1,1%) და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამავე წელს საბჭოთა კავშირში მცხოვრები ქართველების (3981 ათასი) 95,1% და აზერბაიჯანელების (6770 ათასი) 85,7% თავიანთ რესპუბლიკებში ცხოვრობდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ ისტორიულად სომხები გაცილებით უფრო მიგრირებადი ერია, ვიდრე სხვა კავკასიელი ხალხები.

მთლიანად კავკასიაში 2002 წელს კავკასიელი ხალხების რაოდენობა 20723 ათასს უდრიდა ანუ მთელი კავკასიის მოსახლეობის 93,4%-ს. კავკასიელი ხალხების 26,6% (5515 ათასი კაცი) ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდა, ხოლო სამხრეთ კავკასიაში – 73,4% (15208 ათასი კაცი). ამრიგად, სამხრეთ კავკასიაში 2,8-ჯერ მეტი კავკასიელი ხალხი ცხოვრობდა, ვიდრე ჩრდილოეთ კავკასიაში. ამასთან, სამხრეთ კავკასიაში კავკასიელი ხალხების რაოდენობა მთელი მოსახლეობის 96,4%-ს შეადგენდა, საკუთრივ სამხრეთ კავკასიელი ხალხებისა – 95,7%-ს. ჩრდილოეთ კავკასიაში კი კავკასიელი ხალხების რაოდენობა მთელი მოსახლეობის 83,0%-ია, საკუთრივ ჩრდილო-კავკასიელი ხალხებისა – 80,2%. აღნიშნული მაჩვენებლები მოსახლეობის წინა აღწერის დროს შესამჩნევად დაბალი იყო. მაგალითად, 1989 წელს სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში კავკასიელი ხალხების წილი 91,8%-ს უდრიდა, ნაცვლად 96,4%-ისა 2002 წელს. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში. ასეთი ვითარება ძირითადად გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა, ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა, რომლის შედეგად კავკასიაში მცხოვრები არამკვიდრი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დატოვა კავკასია და შესაბამისად, კავკასიის მთელ მოსახლეობაში ამაღლდა ავტოქტონური მოსახლეობის წილი.

**ცხრილი №7**

**ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა რაოდენობა რუსეთში, ჩრდილოეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში**

| ხალხები            | რუსეთი | ჩრდილოეთ კავკასია | ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები |                  |                   |                |         |          |           |       |
|--------------------|--------|-------------------|---------------------------------|------------------|-------------------|----------------|---------|----------|-----------|-------|
|                    |        |                   | ადიღე                           | ყარაჩაი-ჩეჩენეთი | ყაბარდო-ბალყარეთი | ჩრდილოეთ ოსეთი | ჩეჩნეთი | ინგუშეთი | დაღესტანი |       |
| <b>აბაზები</b>     |        |                   |                                 |                  |                   |                |         |          |           |       |
| აბსოლუტურად        | 37942  | 32979             | 71                              | 32346            | 514               | 21             | 7       | –        | –         | 20    |
| %                  |        | 100,0             | 0,2                             | 98,0             | 1,6               | 0,6            | 0,0     | –        | –         | 0,1   |
| <b>ადიგელები</b>   |        |                   |                                 |                  |                   |                |         |          |           |       |
| აბსოლუტურად        | 128542 | 109194            | 108115                          | 309              | 584               | 81             | 17      | 20       | 20        | 68    |
| %                  |        | 100,0             | 99,0                            | 0,3              | 0,5               | 0,1            | 0,0     | 0,0      | 0,0       | 0,1   |
| <b>აღულები</b>     |        |                   |                                 |                  |                   |                |         |          |           |       |
| აბსოლუტურად        | 28297  | 23455             | 27                              | 28               | 18                | 26             | 16      | 26       | 26        | 23314 |
| %                  |        | 100,0             | 0,1                             | 0,1              | 0,1               | 0,1            | 0,1     | 0,1      | 0,1       | 99,4  |
| <b>ბალყარელები</b> |        |                   |                                 |                  |                   |                |         |          |           |       |

<sup>7</sup> გ. მელიქიშვილი. ქართველთა წარმომავლობა. იხ.: საქართველოს ისტორია. ტ. I. თბილისი, 2006, გვ. 31.

| ხალხები                                   | რუსეთი  | ჩრდილოეთ კავკასია | ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები |                   |                   |                |                     |                |                |
|---|---------|-------------------|---------------------------------|-------------------|-------------------|----------------|---------------------|----------------|----------------|
|   |         |                   | ადიღე                           | ყარაჩაი-ჩერქეზეთი | ყაბარდო-ბალყარეთი | ჩრდილოეთ ოსეთი | ჩეჩნეთი             | ინგუშეთი       | დაღესტანი      |
| აბსოლუტურად<br>%                          | 108426  | 105675<br>100,0   | 18<br>0,0                       | 476<br>0,4        | 104951<br>99,4    | 117<br>0,1     | 72<br>0,1           | 9<br>0,0       | 32<br>0,0      |
| <b>დარგულები</b><br>აბსოლუტურად<br>%      | 510156  | 427560<br>100,0   | 108<br>0,0                      | 290<br>0,1        | 504<br>0,1        | 401<br>0,1     | 696<br>0,2          | 35<br>0,0      | 425526<br>99,6 |
| <b>თაბასარანელები</b><br>აბსოლუტურად<br>% | 131785  | 110877<br>100,0   | 165<br>0,1                      | 58<br>0,1         | 135<br>0,1        | 237<br>0,2     | 128<br>0,1          | 2<br>0,0       | 110152<br>99,4 |
| <b>ინგუშები</b><br>აბსოლუტურად<br>%       | 413016  | 387245<br>100,0   | 151<br>0,0                      | 173<br>0,0        | 1236<br>0,3       | 21442<br>5,5   | 2914<br>0,8         | 361057<br>99,3 | 272<br>0,1     |
| <b>ლაკები</b><br>აბსოლუტურად<br>%         | 156545  | 142964<br>103     | 103<br>0,1                      | 349<br>0,1        | 1800<br>1,3       | 685<br>0,5     | 245<br>0,2          | 50<br>0,0      | 139732<br>97,0 |
| <b>ლეზგები</b><br>აბსოლუტურად<br>%        | 411535  | 338978<br>100,0   | 300<br>0,1                      | 29<br>0,0         | 867<br>0,3        | 848<br>0,3     | 196<br>0,0          | 40<br>0,0      | 336698<br>99,3 |
| <b>ნოღაელები</b><br>აბსოლუტურად<br>%      | 90666   | 57323<br>100,0    | 15<br>0,0                       | 14873<br>26,0     | 409<br>0,7        | 194<br>0,3     | 3572<br>6,2         | 1<br>0,0       | 38368<br>66,8  |
| <b>ოსები</b><br>აბსოლუტურად<br>%          | 514875  | 460134<br>100,0   | 413<br>0,1                      | 3333<br>0,7       | 9845<br>2,2       | 445319<br>6,8  | 230<br>0,0          | 106<br>0,0     | 897<br>0,2     |
| <b>რუთულები</b><br>აბსოლუტურად<br>%       | 29929   | 24374<br>100,0    | 14<br>0,1                       | 21<br>0,1         | –<br>–            | 18<br>0,1      | 21<br>0,1           | 2<br>0,0       | 24298<br>99,6  |
| <b>ყაბარდოელები</b><br>აბსოლუტურად<br>%   | 519958  | 503229<br>100,0   | 309<br>0,1                      | 915<br>0,2        | 498702<br>99,1    | 2902<br>0,6    | 133<br>0,0          | 35<br>0,0      | 233<br>0,0     |
| <b>ყარაჩაელები</b><br>აბსოლუტურად<br>%    | 192182  | 170682<br>100,0   | 64<br>0,0                       | 169198<br>99,1    | 1273<br>0,8       | 58<br>0,0      | 15<br>0,0           | 9<br>0,0       | 65<br>0,1      |
| <b>ყუმუხები</b><br>აბსოლუტურად<br>%       | 422409  | 388542<br>100,0   | 103<br>0,0                      | 244<br>0,1        | 713<br>0,2        | 12659<br>3,3   | 8883<br>2,3         | 136<br>0,0     | 365804<br>94,1 |
| <b>ჩერქეზები</b><br>აბსოლუტურად<br>%      | 60517   | 50402<br>100,0    | 642<br>1,3                      | 49591<br>98,4     | –<br>–            | 83<br>0,2      | 13<br>0,0           | 26<br>–        | 47<br>0,1      |
| <b>ჩეჩნები</b><br>აბსოლუტურად<br>%        | 1360253 | 1225420<br>100,0  | 1122<br>0,1                     | 1757<br>0,1       | 4241<br>0,3       | 3383<br>0,3    | 103164<br>7<br>84,2 | 95403<br>7,8   | 87867<br>7,2   |
| <b>წასურები</b><br>აბსოლუტურად            | 10366   | 8184              | 4                               | –                 | 2                 | 6              | 4                   | –              | 8168           |

| ხალხები                                | რუსეთი  | ჩრდილოეთ კავკასია | ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები |                  |                   |                |         |          |           |        |
|--|---------|-------------------|---------------------------------|------------------|-------------------|----------------|---------|----------|-----------|--------|
|  |         |                   | ადიღე                           | ყარაჩაი-ჩეჩენეთი | ყაბარდო-ბალყარეთი | ჩრდილოეთ ოსეთი | ჩეჩნეთი | ინგუშეთი | დაღესტანი |        |
| %                                      |         | 100,0             | 0,0                             | –                | 0,0               | 0,0            | 0,0     | 0,0      | –         | 100,0  |
| <b>ხუნძები</b>                         |         |                   |                                 |                  |                   |                |         |          |           |        |
| აბსოლუტურად                            | 814473  | 764186            | 310                             | 207              | 386               | 610            | 4133    | 102      |           | 758438 |
| %                                      |         | 100,0             | 0,0                             | 0,0              | 0,1               | 0,1            | 0,5     | 0,0      |           | 99,3   |
| <b>სულ ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხები</b> |         |                   |                                 |                  |                   |                |         |          |           |        |
| აბსოლუტურად                            | 6041827 | 5331312           | 112054                          | 274197           | 626180            | 489081         | 105294  | 457059   |           | 231979 |
| %                                      |         | 100,0             | 2,1                             | 5,1              | 11,7              | 9,2            | 19,7    | 8,6      |           | 43,6   |

*შენიშვნა: რუსეთში 2002 წელს ცხოვრობდა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხის – შავსულების 3231 წარმომადგენელი, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში მხოლოდ 8 კაცი, კერძოდ, ადიღეში.*

**Vazha Lordkipanidze**

### **The population of Caucasus and national structure in the 20th century and in the beginning of the 21th century**

Resume

The research analysis populations of Caucasus and national structure in 20<sup>th</sup> century and in the beginning of the 21<sup>st</sup> century. The processes that influenced dynamics of the population and national composition are discussed. In particular, those influences which were inflicted by: the World Wars I and II, massive deportations of Caucasian peoples and ethno-political conflicts in the Caucasus region. Above mentioned processes are discussed on the examples of individual ethnoses in North and South Caucasus. The research also provides the comparative analyses of these processes.

# სამართალი

## აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

### I. აზრი

აზრი – ეს არის რაიმე საკითხზე ადამიანის მსჯელობის, დაკვირვების, ანალიზის ან გონების „უეცარი განათების“ გზით მიღებული შემოქმედებით-ინტელექტუალური ნაყოფი. მზა პროდუქტის, „აზრის“ მისაღებად საჭიროა მასალა (თემატიკა, ინფორმაცია, იდეა, საკითხი), რომელიც უნდა დამუშავდეს. „აზრის“ შემქმნელი არის მხოლოდ ადამიანი და არავინ სხვა. „აზრის“ მომხმარებელი მხოლოდ ადამიანია, იგი სხვას არავის არ სჭირდება. „აზრი“ ქონება, ღირებულება და სიმდიდრეა, რომელიც თავისთავად არამატერიალურია, მაგრამ ნებისმიერ დროს შეიძლება მატერიალურ ღირებულებად გადაიქცეს. „აზრი“ სიკეთეცაა და ბოროტებაც, კარგიც და ცუდიც. არსებობს საჯარო და ქვეცნობიერი აზრი.

საჯაროა აზრი, რომელიც შინაგანი დარწმუნებით, ეჭვიმუქვანლად „დაუბრკოლებლად ცხადდება და ფიქსირდება“. ქვეცნობიერია აზრი, რომელსაც საკუთარი „მე“ გვეკარნახობს, გვაფრთხილებს და გვაფერხებს. ამ დროს ადამიანი გაორებულია საკუთარ „აზრში“, დარწმუნებული არაა, ეჭვი ეპარება და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ელოდება „რადაც დამატებით არგუმენტებს“.

აზრის თავისუფლებას ორმაგი ბუნება, ორმაგი დატვირთვა გააჩნია. იგი სრულიად უნივერსალურია თავისი ხასიათით. ის ერთდროულად მიზანიც არის და საშუალებაც. იგი არა მარტო თავისთავადი სიკეთე და ღირებულებაა, არამედ იმავდროულად სხვა ღირებულებათა დაცვის საუკეთესო საშუალებაცაა. „აზრის გამოსატვის“ მოთხოვნილება იმანენტურად ახასიათებს ადამიანს, როგორც მოაზროვნე არსებას. იგი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ გონება ადამიანის ბუნებრივი შემადგენელია, ხოლო შემეცნების შესაძლებლობა – მისი განუყოფელი ატრიბუტი. აქედან წარმოდგება „ადამიანის ბუნებითი უფლება, თავისუფლად გამოსატოს თავისი აზრი, რასაც გონება, როგორც არ უნდა ცდებოდეს ის, კარნახობს ჭეშმარიტების სახით“.<sup>1</sup>

ამდენად, აზრის გამოსატვის თავისუფლება პიროვნების თვითრეალიზაციის აუცილებელი საშუალებაა. იგი, როგორც ბუნებითი უფლება, ეფუძნება იდეებისა და შეხედულებების არა მარტო საკუთრივ გამოსატვის ბუნებრივ მოთხოვნილებას, არამედ სხვა ადამიანებისათვის მათი გაზიარების, მათ ჭეშმარიტებაში სხვათა დარწმუნების ასეთსავე ბუნებრივ მოთხოვნილებას. აქედანვე წარმოდგება ადამიანის უფლებაც, შეიტყოს სხვათა შეხედულებები საკუთარის შესამუშავებლად.

აზრის გამოსატვის თავისუფლება არა მარტო თვითრეალიზაციის, არამედ ადამიანის ყოველმხრივი თავისუფალი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. იგი ჭეშმარიტების გამოვლენის, მისი მიღწევის საშუალებაა, რის გარეშეც ყოველგვარი პროგრესი წარმოუდგენელია. ამასთან დაკავშირებით აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ჰოლმსმა შესანიშნავი მეტაფორა შექმნა: „იდეათა თავისუფალი ბაზარი“, ჭეშმარიტების საუკეთესო საზომი – ეს არის საბაზრო კონკურენციისას თავისთავად აღიარებული აზრის მეუფება“.<sup>2</sup>

აზროვნების თავისუფლება აუცილებელი საშუალებაა სიმართლის აღმოსაჩენად. არ შეიძლება გვერდი აუვაროთ ინგლისელი ფილოსოფოსისა და იურისტის ჯონ სტიუარტ მილის (1806-1873) ტრაქტატს „თავისუფლების შესახებ“, რომელშიც იგი ინდივიდუალურ თავისუფლებას ორ ნაწილად ჰყოფს: შინაგან სფეროდ (სინდისის, აზრის, გრძნობის, შეხედულებებისა და სიმპათიების თავისუფლება, აზრის გამოსატვის და გავრცელების თავისუფლება) და გარეგან სფეროდ (საქმიანობის, პროფესიის, ცხოვრების წესის თავისუფლად არჩევის, მოქმედების, თავისუფლება). იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აზრისა და სიტყვის თავისუფლებას, რომელიმე აზრის

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში. თბილისი, 2002, გვ. 249.

<sup>2</sup> ევა გოცირიძე. გამოსატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში. თბილისი, 2008, გვ. 19.

გამოთქმის აკრძალვა იგივეა, რაც საზოგადოების მხრიდან თავისი უცოდველობის, თავისი შეუმცდარობის აღიარება.<sup>3</sup>

## II. სინდისი

ადამიანი შეშინილია ღმერთის მიერ მის ხატად და მსგავსად. ადამიანი ღმერთისთვის ყველაზე საყვარელი არსებაა მის მიერ შექმნილთა შორის. ღმერთმა მას მისცა უფლება, ჰქონოდა თავისუფლება. თავისუფლების გარეშე ადამიანი არ იქნებოდა სრულყოფილი არსება. თავისუფლება თავის თავში გულისხმობს არჩევანის საშუალებას. მის გარეშე თავისუფლება არ არსებობს.

თავისუფლება „აბსოლუტური უფლებაა“. ის, როგორც სიცოცხლე, ღმერთისგანაა ბოძებული და არა ჩვენ მიერ შექმნილი. „აბსოლუტური თავისუფლება“, ისევე როგორც აბსოლუტური სიკეთე, სიყვარული, ძალაუფლება და სხვა, მარტო ღმერთის თვისებაა. აქედან გამომდინარე, „აბსოლუტური თავისუფლება“ ადამიანისთვის არ არსებობს, იმიტომ, რომ ადამიანი მას ვერ ზიდავს, ვერ ასწევს. ადამიანისთვის არსებობს, შეიძლება ითქვას, მხოლოდ „განსაზღვრული თავისუფლება“ დაწერილი, დადგენილი და გააზრებული გარკვეულ ჩარჩოებსა და საზღვრებში.

რამდენადაც ადამიანი შედგება ორი ბუნების – სულისა და ხორცისაგან, ამდენად მისი ცხოვრებაც ორგვარია: ამქვეყნიური და იმქვეყნიური. ამქვეყნიური ცხოვრება გრძელდება მხოლოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხოლო იმქვეყნიური – სამარადისოდ, იმისდა მიხედვით, როგორ იცხოვრებს ადამიანი ამ ცხოვრებაში.

ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანისთვის არსებობს „ორგვაროვანი“ ტიპის ქცევის წესი, კანონი, სამართალი. პირველი არის „ხილული წესები, კანონები და სამართალი“, რომელიც მოფიქრებულია, შექმნილია, დადგენილია ადამიანის, სახელმწიფოს, ხელისუფლების მიერ, ადამიანისავე სამართავად, გასაკონტროლებლად, შესაბოჭად, ჩარჩოში მოსაქცევად, ან მასზე საბატონოდ. ამიტომ დაიწერა კონსტიტუციები, კოდექსები, კანონები. მეორე არის „სინდისი (მორალი, ზნეობა)“, რომელიც შექმნილია ადამიანისთვის, მისავე საკეთილდღეოდ, ის არაა შექმნილი სახელმწიფოს და ხელისუფლების მიერ, შეიძლება ითქვას, იგი უსწრებდა თვით სახელმწიფოს შექმნასა და ჩამოყალიბებას, რადგან ადამიანს ღმერთმა შესაქმნეშივე უბოძა. იგი გახლავთ ერთგვარი „ქცევის წესი, ოღონდ დაუწერელი, „უხილავი“ სახით. იგი უფრო ძველია, ადრეულია, ვიდრე „ხილული წესები“. პირველი შექმნილია ადამიანის ფიზიკური არსებობისთვის, მეორე – ადამიანის სულისთვის.

სინდისის (მორალის, ზნეობის) სამყოფი, გავრცელების ადგილი და ერთგვარი ნაესაყუდელი მისი სულია, ხოლო წყარო და საფუძველი – ღმერთი.

სამართალი და კანონები ხილულია, ხოლო სინდისი, ისევე როგორც სული, უხილავია. ის მხოლოდ ქცევითა და მოქმედებით გამოიხატება. მას ვერ დაინახავ, მისი მხოლოდ შინაგანად აღქმა და შეგრძნება შეიძლება. „ხილული წესები“ ადამიანზე ფიზიკურად მოქმედებს, ხოლო „უხილავი წესები“ – მხოლოდ სულზე. სინდისი არის მაკონტროლებელი სხეულისა. რაც უფრო ძლიერია ადამიანში სინდისი, მით უფრო კეთილშობილია ადამიანი და ცდილობს, ფიზიკურმა სხეულმა შეცდომები არ დაუშვას. სინდისი სხვა ღირებულება და მოცემულობაა, ვიდრე სამართალი. სამართალი ცვალებადია დროსა და სივრცეში, ხოლო სინდისი ძირითადად უცვლელია. ის უძლებს დროს, ეპოქებს. ადამიანს დაწერილი სამართლისა და კანონის გარეშე შეუძლია არსებობა, ხოლო სინდისის (მორალის, ზნეობის) გარეშე ის ადამიანად ვერ ჩაითვლება, ცხოველს დაემსგავსება. „დაწერილი სამართალი“ ადამიანზე ამქვეყნიად ბატონობს, ხოლო „უხილავი წესები“ სინდისის სახით აწრობს, ავარჯიშებს სულს უკვდავებისათვის. სინდისი ადამიანს უწესებს სავალდებულო „კანონებს“, რათა ამით განსაჯოს, დააჯილდოვოს ან დასაჯოს. სინდისი ეწოდება პრაქტიკულ შემეცნებას. იგი გახლავთ სულის ძალა, რომელიც შეიმეცნებს სამართალს, „კანონს“ და თავისუფლებას (უფლებას), განსაზღვრავს ურთიერთდამოკიდებულებას ნებასა და მოქმედებებს შორის. სინდისში ხედავენ კანონმდებელს, მოწმეს, ან მსაჯულს.<sup>4</sup>

<sup>3</sup> ვვა გოცირიძე. გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში. თბილისი, 2008, გვ. 55.

<sup>4</sup> Феофан Затворник. Начертание христианского нравоучения. Москва, 1998, стр. 267.



### III. რელიგია

რელიგია (რელიგიო) ლათინური სიტყვაა და იგი განიმარტება, როგორც „კავშირის აღდგენა“. ლაქტანციუსი (240-320 წწ.) ამ სიტყვაში ხედავდა კავშირის იდეას. რელიგია არის აღდგენა კავშირისა, რომელიც ოდესღაც არსებობდა და რაღაც კატასტროფის შედეგად გაწყდა. ეს არის ადამიანურ (ხილულ) და ღვთაებრივ (უხილავ) სამყაროებს შორის კავშირი.

ადამიანის არსების (ჰომო დელიგიოსუს), როგორც ქმნილების, სხვადასხვა განზომილებათა ერთ მთლიანობაში გააზრებისას, რელიგიური ცნობიერება უმნიშვნელოვანეს თანდაყოლილ ნიჭად უნდა მივიჩნიოთ. ეს უნარი არის რწმენა, რომელიც ადამიანს ქმნის რელიგიურ კაცად. ადამიანი აფასებს, მსჯავრს სდებს საკუთარ ფიქრს და ქცევას არა მხოლოდ როგორც მორალური, არამედ როგორც რელიგიური არსება; აფასებს არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ღვთაებრივი პოზიციებიდან, ანუ იმ დამკვირვებლისა და მსაჯულის თვალთ, რომელიც მასზე უსასრულოდ მაღლაა სამყაროს იერარქიაში. ჰომო დელიგიოსუს თავის აზროვნებაში, თავის ქცევასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელმძღვანელობს ღვთაებრივი და არა მხოლოდ ადამიანური კრიტერიუმებით. ის უფრო მეტს ხედავს თავის ყოფიერებაში და მთელ საგნობრივ სამყაროში, ვიდრე აღქმით ან, თუნდაც, გონების თვალთ შეიძლება იქნას დანახული.

რწმენა ენათესავება ადამიანის ისეთ უნარებს, როგორც არის ნდობა: ნდობა, იმედი (სასოება), მოლოდინი. მათზე შეიძლება ლაპარაკი, როგორც რწმენის ნაირსახეობებზე. რწმენა ჩამოთვლილთა შორის აღმატებულია, ის უნარია, რომელსაც ძალუძს დაბადოს ცოდნა. რწმენა ხდება საღმრთო ცოდნის წყარო. როგორც წერდა ილია ჭავჭავაძე: არის საგანი, რომელსაც, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ.<sup>5</sup>

იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც ზემოქმედება მოახდინეს და კვლავაც ახდენენ კაცთა მოღვაწის ბედის ფორმირებაზე, ყველაზე ძლიერია ის, რომლის ზეგავლენასაც ჩვენ რელიგიას ვუწოდებთ. რელიგიური ფაქტორი საფუძვლად უდევს ყველა სოციალურ ინსტიტუტს; სწორედ ისაა ადამიანთა გამაერთიანებელი ყველაზე მძლავრი იმპულსი. ძალიან ხშირად რელიგიური კავშირი უფრო მტკიცეა, ვიდრე ნებისმიერი სხვა კავშირი. ცნობილია, რომ ადამიანები, რომლებიც ერთ ღმერთს სცემენ თაყვანს და ერთ სარწმუნოებას აღიარებენ, უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, ვიდრე ერთი ოჯახის წევრები, თვით ღვიძლი ძმები.<sup>6</sup>

რელიგიის მიზანია ღმერთის წვდომა წარმოდგენების საშუალებით.<sup>7</sup>

ზოგადად რელიგიის და რწმენის რაობაზე ჩამოყალიბებულია ორგვარი ტიპის შეხედულება: თეოლოგიური და ფილოსოფიური (სოციოლოგიური).<sup>8</sup> თეოლოგიური მიდგომა ეფუძნება გამოცხადებებს, ხილვებს, დოგმატებს, წმინდა მამების სწავლებებს, რომლებიც დადგენილი და დადასურებულია ეკლესიის წიაღში; ხოლო ფილოსოფიური (სოციოლოგიური) მიდგომა თავისი არსით ცვალებადია და შეიძლება დაექვემდებაროს განსჯას, კრიტიკას, გადასინჯვას, შეცვლას.

ნებისმიერ შემთხვევაში, რელიგიას, რწმენას სურს გადალახოს გრძნობად აღქმათა სამყაროს საზღვრები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ და ცდილობს გაიგოს, რა არის მათ მიღმა. მასში არის რაღაც იდუმალი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა რელიგია ცდილობს და ამტკიცებს მნიშვნელოვან ფაქტს: ადამიანის გონს ამა თუ იმ მომენტში შეუძლია ამაღლდეს არა მარტო გრძნობად აღქმებზე, არამედ ლოგიკურ მსჯელობებზეც. ამ დონეზე ასული, ის აწყდება ფაქტებს, რომლებსაც ვერც გრძნობებით აღვიქვამთ და ვერც ლოგიკური გზით ვაცნობიერებთ. ეს ფაქტები საფუძვლად უდევს მსოფლიოს ყველა რელიგიას (იგულისხმება მონოთეისტური რელიგიები).

ადამიანი ადამიანად რჩება ვიდრე ბუნებაზე ამაღლებას ცდილობს, როგორც თავის საკუთარ, ისე მის გარემომცველ ბუნებაზეც. ეს მოიცავს არა მარტო წესებს და კანონებს, არამედ გაცილებით უფრო მეტს – სუბსტანციასაც, რომელიც არსებითად ის ძალაა, ჩვენს გარეთ არსებულ ბუნებაზე რომ ახდენს ზემოქმედებას. ამრიგად, რელიგია გარდა ნუგეშისა, რასაც ჩვენ მასში ვპოულობთ, არის ადამიანური გონების წვრთნის ყველაზე საუკეთესო და ქმედითი საშუალება.

<sup>5</sup> რელიგიები საქართველოში. თბილისი, 2008, გვ. 12-14.

<sup>6</sup> სვამი ვივეკანანდა. ჯნანა-იოგა. თბილისი, 1996, გვ. 3.

<sup>7</sup> რელიგიური ფილოსოფიის პრობლემები. თბილისი, 1995, გვ. 47.

<sup>8</sup> უურნალი „რელიგია“, 1993, №10-11, გვ. 62.

ადამიანის გონებისთვის არ არსებობს რელიგიაზე უფრო დიდი მოტივაცია. მხოლოდ რწმენას შეუძლია ჩაუნერგოს მას ესოდენ დიდი ენერჯია. სამყაროს მამოძრავებელი ძალა რელიგია და რწმენაა.<sup>9</sup>

რელიგიის ძალა მე-20 საუკუნეში საგრძნობი გახდა ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროში, რამაც საერთაშორისო ასპარეზზე საკანონმდებლო ბაზის შექმნის აუცილებლობა გამოიწვია. ადამიანის რელიგიურ უფლებათა აპოლოგია უნდა ვეძებოთ რელიგიური უფლებების განსაკუთრებულ კავშირში ადამიანის სხვა, როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ უფლებებთან. ის გამომდინარეობს იმ შინაგანი ღირებულებებიდან, რაც ადამიანის პიროვნებას მიეწერება და რაც, საბოლოო ჯამში, ინდივიდის ყველა უფლების საფუძველს ქმნის.

რელიგიის თავისუფლება საყოველთაოდ არის აღიარებული ადამიანის უფლებათა ერთ-ერთ საფუძველად. რელიგიის თავისუფლება, ფაქტობრივად, ყველა ერისთვის იქცა კონსტიტუციით განცხადებულ ნორმატიულ პრინციპად. რელიგიურ უფლებებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ თანამედროვე სამყაროში ადამიანის უფლებების გააზრების მხრივ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებში „რელიგიის თავისუფლება ყველაზე ფუნდამენტურ“ თავისუფლებად იქნა აღიარებული.<sup>10</sup> ცხადია, რომ რელიგიის თავისუფლების გარეშე აშკარა საფრთხე ემუქრება სიტყვის თავისუფლებას. ასევე ნათელია, რომ ადამიანის რელიგიური უფლებების აღიარების გარეშე საფრთხის ქვეშ დგას ზოგადად უფლება განსხვავებულობაზე. როგორც შერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ ჩარლზ ევანს პიუზმა აღნიშნა: „როდესაც ვკარგავთ უფლებას, ვიყოთ განსხვავებულნი, ჩვენ ვკარგავთ უფლებას, ვიყოთ თავისუფალნი“.

როდესაც სახელმწიფო პატივს სცემს რელიგიურ უფლებებს, იგი თავისი მოქალაქეების ღირსებაზე რეალურ ზრუნვას გამოხატავს. თუ კარილო ალბრონოზის სიტყვებს მოვიშველიებთ, სავსებით ლოგიკურია იმის მტკიცება, რომ „თუ საზოგადოება პატივს არ სცემს რელიგიასა და მის თავისუფლებას, არავინაა უზრუნველყოფილი, რომ მის მიმართ გამოიჩინენ პატივისცემას“.<sup>11</sup>

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება ნიშნავს, რომ პირი არ შეიძლება დაექვემდებაროს მოპყრობას, რომლის მიზანია აზროვნების წესის შეცვლა. იგი ნიშნავს, რომ პირს აქვს უფლება, არა მხოლოდ გამოაგლინოს თავისი რელიგია და მრწამსი, არამედ თავი შეიკავოს მისი გამოვლენისგანაც. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება მოიცავს თავისუფლებას, პირს ჰქონდეს, ან არ ჰქონდეს რელიგიური მრწამსი და იყოს, ან არ იყოს რელიგიის მიმდევარი.

**Zaza Vashakmadze**

## **Freedom of Thought, Conscience and Religion**

### **Resume**

The paper represents the main idea of freedom of thought, conscience and religion. The work defines each of the freedom separately. The article examines variety of thoughts and its double nature as well as universal character of freedom of thought. It also distinguishes internal and external aspects of freedom of thought.

According to the article freedom of conscience is connected with the soul of a human being. It is considered as a controlling mechanism of a body in terms of morality. The work compares „written law” and “invisible rules” the latter is determined as a controlling of conscience.

As for religion it is defined in the context of theology and philosophy, the former is dogmatic and the latter has changeable character. As to belief it is related to faith, hope and expectation. Religion is characterized as a motivator and belief as the source of religion.

In accordance with the paper freedom of thought, conscience and religion means that one should not be subjected to a treatment that has a purpose to change manner of thinking. The freedom means that a person not only has a right to express its religion and belief but to refrain from expressing it as well. Freedom of thought, conscience and religion involves a right of a person to have a religious belief or not to follow any religion.

<sup>9</sup> უკრნალი „რელიგია“, 1993, №10-11, გვ. 77.

<sup>10</sup> რელიგიის თავისუფლება. თბილისი, 2004, გვ. 55.

<sup>11</sup> რელიგიის თავისუფლება. თბილისი 2004, გვ. 56.

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვა: საკანონმდებლო ასპექტები, პრობლემები და შესაძლებლობები

### პრეამბულა

განათლების უფლება არის ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება, ხოლო უმაღლესი განათლება, რომელიც წარმოადგენს ცოდნის გაფართოებისა და განვითარების გადამწყვეტ ფაქტორს, არის განსაკუთრებით ღირებული კულტურული და მეცნიერული მიღწევა, როგორც ყველა ადამიანისათვის, ასევე საზოგადოებისათვის.

განათლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშვიდობის, ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობის განმტკიცებაში; ხალხთა და ქვეყნებს შორის ურთიერთნდობის დამკვიდრებაში.

განათლების სისტემათა დიდი მრავალფეროვნება მსოფლიოში, წარმოადგენს მისი კულტურული, სოციალური, პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური, ეკონომიკური მრავალფეროვნების ანარეკლს, რაც არის განსაკუთრებული მონაპოვარი და მოითხოვს ყოველმხრივ პატივისცემას.

ხარისხიანი უმაღლესი განათლება თანამედროვე, კონკურენტუნარიანი და სამართლიანი სახელმწიფოს შენების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. საქართველოს მომავალი განვითარება დიდ წილად არის დამოკიდებული სწორედ განათლების ხარისხსა და მის ხელმისაწვდომობაზე.

დღეს ყველა ერთად თანხმდება უმაღლესი განათლების როლისა და მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის განვითარებაში. უფრო მეტიც, უმაღლესი განათლების შესახებ რიტორიკა სწორედ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და საზოგადოების ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე ამყარებას იმედებს. ამ კონტექსტში განვითარებადი და ახალი ქვეყნებისათვის უმაღლესი განათლება სტრატეგიული მნიშვნელობის სამიზნე ხდება კონკრეტული ქვეყნის კეთილდღეობისა და წინსვლის საქმეში.

საქართველოს უმაღლესი განათლება 2004 წლის 21 დეკემბრის უმაღლესი განათლების ახალი კანონის მიღების შემდეგ სერიოზული ტრანსფორმაციის ობიექტია და ეს პროცესი ჯერაც არ დამთავრებულია. საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ 2004 წლის დეკემბრიდან დღემდე 500-ზე მეტი ცვლილებაა<sup>1</sup> შესული. თუმცა ამ ხნის განმავლობაში უმაღლესი განათლების სექტორში მიმდინარე ორგანიზაციული ცვლილებები, უნივერსიტეტების მართვის მოდელი, როგორც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ასევე კერძო უნივერსიტეტების სტრუქტურა და მათი კორპორაციული მართვის მექანიზმები იშვიათად ყოფილა სერიოზული სისტემური შეფასების საგანი.

უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმა მიზნად ისახავდა უმაღლესი განათლების სივრცეში ინტეგრაციას. საქართველო 2005 წლიდან შეუერთდა ბოლონის პროცესს,<sup>2</sup> რითაც იკისრა ვალდებულება ეროვნული საკანონმდებლო ბაზა ერთის მხრივ ჰარმონიაში ყოფილიყო ბოლონის პროცესის ძირითად დოკუმენტებში<sup>3</sup> დეკლარირებული პრინციპებისა, ხოლო მეორეს მხრივ სამართლებრივი რეგულაციების შინაარსი ორიენტირებული უნდა ყოფილიყო საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარებაზე. განხორციელებული წარმატებული ცვლილებების მიუხედავად, დღეს უმაღლესი განათლების სისტემა კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, გამომდინარე აქედან აუცილებელია სისტემაში არსებული პრობლემების ობიექტური იდენტიფიცირება და მის საფუძველზე გააზრებული რეფორმის დაწყება. სისტემის

<sup>1</sup> <https://matsne.gov.ge/>. ნანახია 17. 06. 2015.

<sup>2</sup> 1999 წლის 19 ივნისს ევროპის 29 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა იტალიის ერთ-ერთ უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქში ხელი მოაწერეს ბოლონის დეკლარაციას, რომლის მიზანია: უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის შექმნა. (<http://www.bologna-bergen2005.no>).

<sup>3</sup> ბოლონის პროცესის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna/>.

განვითარებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფასა და კონსენსუსის საფუძველზე საერთო პრინციპებზე შეთანხმებას. მნიშვნელოვანია რეფორმის პროცესებში აკადემიური, პროფესიული და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ უმაღლესი განათლების კანონში ბევრი ცვლილება განხორციელდა, თუმცა არცერთი მათგანი არ ეხმიანებოდა უნივერსიტეტის მართვის თანმიმდევრული მოდელისა და მექანიზმის დანერგვას. ამ მხრივ საგულისხმოა განსაკუთრებით კერძო უნივერსიტეტების მართვის საკითხი, რადგან უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თანახმად მართვის მოდელი და სტრუქტურული ერთეულები<sup>4</sup> სავალდებულოა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტებისათვის და არ ვრცელდება კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უნივერსიტეტებზე.

წინამდებარე სტატიის მიზანია საქართველოში არსებულ უნივერსიტეტების ავტონომიისა და არსებული მართვის მოდელების მიმოხილვისა და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე განვიხილოთ უნივერსიტეტების მართვის ძირითადი მოდელები და მათი ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობები. ყურადღება გამახვილდება უნივერსიტეტის ავტონომიურობის პრინციპზე, უნივერსიტეტების არსებულ მართვის მოდელებზე – გავარკვევთ რამდენად აქვთ გააზრებული უნივერსიტეტებს ინსტიტუციის ეფექტური მართვის განსაკუთრებული როლი წარმატებულ საუნივერსიტეტო საქმიანობაში. გამახვილდება ყურადღება უნივერსიტეტების დებულებით განსაზღვრულ სავალდებულო სტრუქტურული ერთეულების შინაარსზე – ეს არის უნივერსიტეტის საჭიროებებსა და გამოწვევებზე ორიენტირებული სტრუქტურა და მართვის მექანიზმები თუ ერთმანეთის მიბაძვითა და სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტის სტრუქტურის ბრმად დანერგვის პრინციპი, რომელიც არ არის ორიენტირებული ინსტიტუციის სტრატეგიულ განვითარებაზე?

## 1. უნივერსიტეტის ავტონომია

უნივერსიტეტების დიდი ქარტიის (1988)<sup>5</sup> მიხედვით უნივერსიტეტების არსებობის მთავარი ფუნდამენტური პრინციპი მათი ავტონომიურობაა: <sup>6</sup> „უნივერსიტეტი არის ავტონომიური დაწესებულება განსხვავებული ისტორიული მემკვიდრეობისა და გეოგრაფიული პირობების გამო სხვადასხვაგვარად ორგანიზებულ საზოგადოებებში, რომელიც ქმნის, ამოწმებს, აფასებს და ავრცელებს კულტურას კვლევისა და სწავლების გზით“.

უნივერსიტეტების ავტონომიურობის მნიშვნელობა აღნიშნულია ბოლონის პროცესის ყველა დოკუმენტში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციებში და დასაბუთებულია სამეცნიერო ნაშრომებში.

ლუკ ვებერი (2006) აღნიშნავს, რომ „...უნივერსიტეტის ავტონომიურობა მაღალი ხარისხის განათლებისა და კვლევის განხორციელების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა“.<sup>7</sup> ავტონომიური უნივერსიტეტი უკეთ პასუხობს თანამედროვეობის გამოწვევებს. ცხადია, ასევე მნიშვნელოვანია ადამიანური და მატერიალური რესურსები და მათი გონივრული მართვა. მაგრამ, თავის მხრივ მართვა ავტონომიურობის შეზღუდული ხარისხის პირობებში არაეფექტურია – შესაბამისად დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან და სხვა ინსტიტუტებისაგან უნივერსიტეტს აძლევს თავისუფლად მოქმედების საშუალებას და ზრდის მის კონკურენტუნარიანობას. მაგრამ დამოუკიდებლობა არ უნდა გავიგოთ, როგორც უპასუხისმგებლობა: უნივერსიტეტების ავტონომიურობის პარალელურად უნდა არსებობდეს ანგარიშვალდებულების მექანიზმებიც. უნივერსიტეტები პასუხისმგებლები არიან არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების წინაშე – XXI საუკუნის გამოწვევები საზოგადოებასთან დამოკიდებულების ახლებურად გააზრებას

<sup>4</sup> იგულისხმება კანონით განსაზღვრული მართვის ორგანოები, რომელიც სავალდებულოა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტებისათვის (რექტორი, აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ა.შ.).

<sup>5</sup> [www.magna-charta.org](http://www.magna-charta.org).

<sup>6</sup> ავტონომიურობაში ვგულისხმობთ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ უნივერსიტეტი შეიძლება იყოს დამოკიდებული ასევე ბიზნესზე და რელიგიურ ორგანიზაციებზეც.

<sup>7</sup> [www.css.ge](http://www.css.ge).

ითხოვს, ვინაიდან მსოფლიო საზოგადოება ერთხმად თანხმდება, რომ განათლება და საგანმანათლებლო საქმიანობა არის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაზიარება.<sup>8</sup>

საქართველოში, სადაც ხდება სახელმწიფოს დემოკრატიულობის ზრდის პროცესი, ნებისმიერი ორგანიზაცია უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და ანგარიშგადლებული საზოგადოებისათვის. განსაკუთრებით კი უნივერსიტეტები, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ცენტრალური ორგანიზაციები, რადგან მათი ფუნქციაა ახალი ცოდნის გენერირება და არსებულის შენარჩუნება სწავლებისა და კვლევის გზით.

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის ლისაბონის 2007 წლის დეკლარაცია განსაზღვრავს ავტონომიის ოთხ ძირითად განზომილებას: 1. ორგანიზაციულ ავტონომიას; 2. ფინანსურ ავტონომიას; 3. კადრებით უზრუნველყოფის ავტონომიას; 4. აკადემიურ ავტონომიას.

საქართველო, როგორც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ორგანული ნაწილი, შემდეგი გამოწვევების წინაშე დგას: გლობალიზაცია და მისი თანმდევი მზარდი კონკურენცია („ბრძოლა“ საუკეთესო სტუდენტებისა და პროფესორებისათვის; საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდილი მასშტაბები და ა.შ.) დემოგრაფიული ცვლილებები (მოსახლეობის დაბერება, მიგრაცია, ინტელექტის გადინება) სწავლისა და კვლევის გაძვირება საჯარო დაფინანსების შემცირების ფონზე სწავლების ახალი მეთოდები, ამას ემატება პოსტსაბჭოთა ქვეყნის სპეციფიკა. საბჭოთა მემკვიდრეობა ყველაზე მეტად გამოიხატება იმაში, რომ უნივერსიტეტები მოუშხადებლები აღმოჩნდნენ დამოუკიდებლობისათვის. უმაღლესი განათლების სფეროში აქამდე განხორციელებული ყველა რეფორმა ინიცირებული იყო ხელისუფლების მიერ და უნივერსიტეტები, როგორც წესი, ამ რეფორმების პასიური შემსრულებლების როლში იყვნენ. ასეა დღემდე საუნივერსიტეტო საზოგადოება არაკორდინირებულია და თვითდინების რეჟიმშია. რეფორმების განხორციელება უნივერსიტეტებს ცალ-ცალკე უწევთ – არ არსებობს პორიზონტალური კავშირები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. მათ მიერ ერთობლივი მუშაობისა და ამ მუშაობის შედეგად კონკრეტული ინიცირება არ ხდება თუმცა სხვადასხვა ვიწრო თუ გაფართოებულ დონის სიბიებზე უნივერსიტეტის წარმომადგენლები საუბრობენ პრობლემებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე, მაგრამ საკითხის ამგვარი დაყენება კოორდინაციის არარსებობის გამო ასე რომ ვთქვათ „გულის მოქავებას“ უფრო ემსგავსება, ვიდრე მოსალოდნელი შედეგით დაინტერესებულთა მცდელობას ერთად მოიძებნოს პრობლემის გადაწყვეტის გზები.

განხილული მდგომარეობა მოწმობს, რომ ისეთი ფუნდამენტური პრინციპიც კი, როგორც არის უნივერსიტეტის ავტონომიურობა, მეტწილად ფურცელზე დეკლარირებულ შესაძლებლობად გვევლინება, ვიდრე უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების უმთავრეს ინდიკატორად. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევებში უნივერსიტეტებს საკუთარი დებულებით შეზღუდულიც კი აქვთ მათთვის კანონით მინიჭებული ავტონომიურობა.<sup>9</sup> განსაკუთრებით ხაზგასასმელია კერძო უნივერსიტეტების მიერ ამგვარი ქმედების პრეცედენტები, რომელთა უმრავლესობას ორგანიზაციის მართვაში სავალდებულოდ შემოაქვს ყველა ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც კანონით მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უნივერსიტეტებს აქვთ.

ზემოთ განხილული ვითარება დამაფიქრებელია, იმდენად რამდენადაც, აზრს კარგავს ნებისმიერი უმაღლესი განათლების სისტემის განმავითარებელი სარეფორმო პოლიტიკის შემუშავება, თუ ამ რეფორმის მონაწილე ინსტიტუციებს გააზრებული არ ექნებათ მათი ავტონომიურობისა და ამ პრინციპზე დაფუძნებული გამჭვირვალე და ეფექტური კორპორაციული მართვის სისტემის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობაში. ავტონომიურობა ეს უნდა იყოს უნივერსიტეტის პერსონალისათვის საქმიანობის წესი და არა ფურცელზე დეკლარირებული ფორმალური.

<sup>8</sup> www.css.ge. ლიკა დლონტი - იურიდიული სტატუსის ცვლილება და უნივერსიტეტები საქართველოში: სტატუს კვლევითი და სტრატეგიული გეგმის პერსპექტივები.

<sup>9</sup> ერთ-ერთი კერძო უნივერსიტეტის დებულების თანახმად, უნივერსიტეტის დამფუძნებელი, რომელიც ამავედროულად უნივერსიტეტის დირექტორიც იყო მისი რექტორად არჩევა ხდებოდა მის მიერ დანიშნული პერსონალის მიერ, ხოლო რექტორის ფუნქციებით შეზღუდული იყო დამფუძნებლისა და დირექტორის უფლებამოსილება, რომელიც არათუ უმაღლესი განათლების შესახებ კანონით არ არის შეზღუდული, არამედ მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად აბსოლუტურად დაცული უფლებაა. საქმე იმაშია, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტს და არა მხოლოდ მას, დუბლირებული აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სავალდებულო სტრუქტურა და ფუნქციები, სადაც რექტორს აკადემიური საბჭო ირჩევს და ა.შ.

## 2. უნივერსიტეტის მართვის საკანონმდებლო ასპექტები

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება ხდება სახელმწიფოს მიერ ავტორიზაციით.<sup>10</sup> ქართული კანონმდებლობის მიხედვით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამი სახე არსებობს, ესენია:

უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა).

კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას.

საქართველოში დღეს არის 74 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დიპლომს.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-4 თავით განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურა, მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები, კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) არიან: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

აღნიშნული კანონმდებლობის თანახმად:

ა. რექტორი არის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აგრეთვე აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აგრეთვე ერთ-ერთი კოლეგიური ორგანოს თავმჯდომარე;

ბ. აკადემიური საბჭო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;

გ. წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც:

ა) შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებას აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეთიკის კოდექსსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს;

გ) ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტის შედგენის წესსა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

დ) ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს;

ე) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ვ) ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ზ) ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის სტრუქტურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე;

თ) ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს;

ი) აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

<sup>10</sup> ავტორიზაცია არის გარე შეფასების მექანიზმი, რომელიც ადგენს დაწესებულების თვითშეფასების შედეგების შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან. ავტორიზაცია სავალდებულოა ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემისათვის.

კ) ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;

ლ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

მ) ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს აკადემიური საბჭოს წარდგინებით;

ნ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონით ასევე განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს ფორმირების/არჩევის წესი და მისი უფლებამოსილება, კერძოდ, აკადემიური საბჭო:

ა) შემოუშავებს და ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ბ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ან/და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;

დ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს;

ე) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას;

ვ) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;

ზ) წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;

თ) მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვაში;

ი) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების წარდგინებით;

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ამტკიცებს სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების წარდგინებით;

ლ) აწესებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების წარდგინებით;

მ) ადგენს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების წესს;

ნ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს ან/და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას;

ო) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას;

პ) ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ჟ) წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

რ) ირჩევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის/ბიბლიოთეკების ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს;

ს) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;

წარმომადგებლობითი და აკადემიური საბჭოს მსგავსად, რექტორისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ასევე ფაკულტეტის ფრომირება და ფუნქციები აგრეთვე დარეგულირებულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და თავად უნივერსიტეტის წესდებით. თუმცა ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მიუხედავად კანონით მინიჭებული უფლებისა, რომ ზემოთ განხილული მართვის ორგანოების ფუნქციები დამატებით განისაზღვროს უნივერსიტეტის წესდებით, რომელიც, ცხადია, იძლევა შესაძლებლობას უნივერსიტეტებმა გამოავლინონ ინდივიდუალიზმი და ხსენებული ფუნქციები განსაზღვროს უნივერსიტეტის საჭიროების შესაბამისად, უნივერსიტეტები ნაკლებად ან საერთოდ არ იყენებენ აღნიშნულ უფლებას. რის შედეგადაც საქართველოში სახელმწიფოს მიერ დაფუნქციონებული უნივერსიტეტების წესდებების შინაარსი განსაკუთრებით მართვის ორგანოების დამატებითი ფუნქციების განსაზღვრის ნაწილში იდენტურია.<sup>11</sup> აქვე უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ შიდა შეფასების დროს გამოყენებულ ანკეტა-კითხვარების შინაარსი არ ეძღვნება იმის იდენტიფიცირებას, რამდენად არის რელევანტური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ფუნქციები უნივერსიტეტის წინაშე არსებული გამოწვევების მიმართ?!

განათლების სისტემის მკვლევარნი ხაზგასმით მიუთითებენ უნივერსიტეტებსა და საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართულ პირებს, რომ უნივერსიტეტის ძლიერ ინსტიტუციად ჩამოყალიბებისათვის და მაღალი ხარისხის სწავლების განსახორციელებლად უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმისა და მართვის ორგანოების გააზრებული ფორმირება, უფრო მეტიც, ერთ-ერთი გერმანელი განათლების ექსპერტი, რომელიც წარმოადგენდა აკრედიტაციის სამსახურს, აპელირებდა სწორედ უნივერსიტეტის მიერ მისიის შინაარსზე და აღნიშნავდა, რომ მათი სამსახურის მიერ უნივერსიტეტის შემოწმების მეთოდის თანახმად, ექსპერტები პირველ რიგში იკვლევენ და აანალიზებენ უნივერსიტეტის მისიის შინაარსს, მისი შემუშავების პროცედურებს, თუ ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ მისია არ არის დაწესებულების მიერ გააზრებული და რელევანტური აღარ ხდება დაწესებულების დანარჩენ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება და დგება უარყოფითი დასკვნა.

საქართველოში უნივერსიტეტის მართვის ეფექტურობის შეფასების თვალსაზრისით აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ არა სახელმწიფოს მიერ დაფუნქციონებულ იურიდიულ პირებზე, რომელიც კერძო სამართლის იურიდიული პირის<sup>12</sup> სტატუსით საქმიანობენ. საქმე იმაშია, როგორც უკვე აღნიშნეთ სახელმწიფოს მიერ დაფუნქციონებული უნივერსიტეტის მართვის ორგანოები უმაღლესი განათლების მე-4 თავით გახლავთ განსაზღვრული და შესასრულებლად სავალდებულოა სახელმწიფო უნივერსიტეტებისათვის, ხოლო იმავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კერძო უნივერსიტეტებზე არ ვრცელდება ზემოთ აღნიშნული მე-4 თავით დარეგულირებული საკითხები. რაც ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტები თავის კორპორაციული ფორმისა და მის წინაშე არსებული საჭიროებიდან გამომდინარე თავად განსაზღვრავენ სტრუქტურასა და მართვის მოდელსა და პროცედურებს.

როგორ არის გამოყენებული აღნიშნული კანონისმიერი გონივრული შესაძლებლობა საქართველოში არსებული კერძო უნივერსიტეტების მიერ?! – საქართველოს კერძო უნივერსიტეტების სტრუქტურებისა და მათი ფუნქციების<sup>13</sup> შესწავლამ ცხადყო, რომ მათ უმრავლესობას ბრმად აქვთ დუბლირებული სახელმწიფო უნივერსიტეტების სტრუქტურა და მათი ფუნქციები, უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში ფუნქციების ამგვარი განსაზღვრით შეზღუდული აქვთ დამფუნქციონებასა და დირექტორებს ორგანიზაციის კანონით მინიჭებული აბსოლუტური მართვის უფლება.<sup>14</sup> სტრუქტურასა და მართვის მოდელზე მსჯელობისას, ასეთი კერძო უნივერსიტეტების

<sup>11</sup> ინფორმაცია მოპოვებულია სახელმწიფო უნივერსიტეტების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ წესდებებზე დაყრდნობით.

<sup>12</sup> სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით (მაგ: შპს, ან/და ა(ა)იპ).

<sup>13</sup> ინფორმაცია მოპოვებულია ავტორიზებული კერძო უნივერსიტეტების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალიდან.

<sup>14</sup> მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, რომელიც არეგულირებს კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუნქციონებასა და მართვის საკითხებს, უმაღლესი მართველობითი რგოლი, მაგ. შპს-ში



წარმომადგენლების რიტორიკა ეფუძნება იმას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებს ასეთი მართვის სისტემა აქვთ და მათ მიერ იგივეს დუბლირებით ფიქრობენ, რომ ავტორიზაციის დროს „პრობლემები არ შეექმნებათ“ და ცალსახად მოსაწონ ფაქტად მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურის დუბლირებას ახდენენ, მაშინ როდესაც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უნივერსიტეტში სწავლობს 25 000 სტუდენტი, არის ოთხი ფაკულტეტი, დეკანატი და ფაკულტეტის საბჭო და ა.შ., ხოლო ასეთი ტიპის კერძო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საბჭოს მიერ კანონით განსაზღვრული კონტიგენტი ხშირ შემთხვევაში 1000 არც აღემატება, ხოლო რეალურად ამდენი სტუდენტი არც ჰყავს დაწესებულებას, სახელმწიფო უნივერსიტეტის მსგავსად უნდა ჰქონდეს ფაკულტეტები, საბჭოები, სამსახურები, დეპარტამენტები. ზოგიერთ მათგანში უნივერსიტეტის პერსონალი უფრო მეტი ფიქსირდება ვიდრე სტუდენტი.

როდესაც ვმსჯელობთ კერძო უნივერსიტეტების მართვის პრობლემებზე, მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ მანკიერ შეხედულებაზე, რომელიც დაკავშირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის არსებობასთან დაწესებულებებში. საუნივერსიტეტო საზოგადოებაში, სამწუხაროდ დღემდე არსებობს დამკვიდრებული აზრი, რომ კერძო უნივერსიტეტებს მსგავსად სახელმწიფო უნივერსიტეტებისა ვვალდებულება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის არსებობა უნივერსიტეტში და მისი ხელმძღვანელობის უფლება აქვს მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ასეთ კანონისმიერ ვალდებულებას ადგილი არ აქვს კერძო უნივერსიტეტებთან მიმართებით, გარდა ამისა დამკვიდრებული მოსაზრება დოქტორის აკადემიური ხარისხის ქონასთან დაკავშირებით არა მხოლოდ კერძო უნივერსიტეტებისათვის, არამედ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულისთვის არ წარმოადგენს კანონისმიერ ვალდებულებას. ცხადია, ასეთი დამახინჯებული მოსაზრების დამკვიდრებას ალბათ აქვს ობიექტური მიზეზები, რომელიც გამოწვეული იყო განათლების რეფორმის განხორციელების პროცესში საზოგადოების არასათანადო ინფორმირებით. თუმცა წინამდებარე სტატია ორიენტირებულია განიხილოს მოქმედი კანონმდებლობით არსებული რეგულაციები უნივერსიტეტების მართვასთან დაკავშირებით, მოახდინოს ამ მხრივ პრობლემათა იდენტიფიკაცია და მოახდინოს დეკლარირება კანონმდებლობით არსებული შესაძლებლობების.

და მაინც ვვალდებულებათ თუ არა უნივერსიტეტებს ხარისხის უზრუნველყოფის, როგორც ცალკე სტრუქტურულ ერთეულად არსებობა?! – ასეთი ვალდებულება არცერთი საკანონმდებლო რეგულაციით არ არსებობს. რაც შეეხება თავად პროცესს ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს ფუნდამენტურ პრინციპს: დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე, არის აუცილებელი მექანიზმი არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არამედ ნებისმიერ კომპანიაში, რომელიც ორიენტირებულია მაღალ ხარისხსა და განვითარებაზე. სწორედ ამიტომ ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებით უნივერსიტეტებს მოეთხოვებათ პირველ რიგში შეიმუშაონ ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები და შემდეგ დაადასტურონ მისი განხორციელება. გამომდინარე აქედან, როდესაც ვსაუბრობთ ხარისხის უზრუნველყოფაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არა მასზე პასუხისმგებელთა სტრუქტურული ფორმა,<sup>15</sup> არამედ ხარისხის მართვის მეთოდები და მისი განხორციელების შედეგად დამდგარი შედეგი, რომელიც პირდაპირ აისახება უნივერსიტეტის როგორც ყოველდღიურ საქმიანობაზე, ასევე მის განვითარებაზე.

ზემოთ განხილული ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტების მართვის საკითხი, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე, პრაქტიკაში არ არის სათანადოდ მოწესრიგებული, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს უნივერსიტეტების მიერ კვალიფიციური კადრების მომზადებას. რადგან აღიარებულია, რომ არც ერთი ორგანიზაცია, რომელიც არ იმართება ადეკვატური სტრუქტურული ერთეულებით, ვერ უზრუნველყოფს მაღალ ხარისხს. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უნივერსიტეტების შემთხვევაში, რადგან თითოეული მათგანი პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე კვალიფიციური კადრების მომზადებაზე, რაც არაეფექტური მართვის შემთხვევაში ვერ განხორციელდება.

---

არის პარტნიორთა/დამფუძნებელთა კრება, ხოლო თავად კომპანიას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომლის უფლებამოსილება შეუზღუდავია.

<sup>15</sup> მაგ.: ბრიტანეთში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ, ესტონეთში რექტორის აპარატის მიერ, სხვადასხვა ქვეყნებში სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ.

## დასკვნა

ზემოთ განხილულის გაანალიზების შედეგად შეგვიძლია გამოვეყოთ ორი მოცემულობა:

1. საქართველოში მოქმედი როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უნივერსიტეტები სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებენ დაწესებულების მართვასა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გააზრებული ფუნქციების შემუშავებას.

2. საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტები არ გამოირჩევიან საკანონმდებლო ინიციატივით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პრობლემების ეფექტური გადაწყვეტა.

გამომდინარე აქედან და არსებულ პრაქტიკაზე დაფუძნებით, სადაც უნივერსიტეტები ყოველთვის გამოდიან სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების პასიურ შემსრულებლად და თავად არ არიან აქტიურად ჩართულნი უნივერსიტეტის საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმების შემუშავებასა და ინიცირებაში, მართებული იქნება თუ შემუშავებული იქნება „კორპორაციული მართვის კოდექსი კერძო უნივერსიტეტებისათვის“, რომელიც გააერთიანებს იმ ფუნდამენტურ პრინციპებსა და მეთოდებს, რომელიც აუცვლელია უნივერსიტეტების წარმატებული საქმიანობისათვის. აღნიშნული კოდექსი იქნება ერთგვარი სახელმძღვანელო უნივერსიტეტებისათვის, რომ შეძლონ საკუთარ ორგანიზაციაში დანერგონ ეფექტური მართვის მექანიზმები და იზრუნონ შიდა სტანდარტების ამადლებაზე.

**Eka luashvili**

### **Administration of higher education institutions: the legal aspects, problems and opportunities**

#### Resume

As a result of analyzing Universities of Georgia we can mention the following circumstances:

- Universities in Georgia, both state and private, don't give proper importance to the management of the establishment and working on the relevant functions for the specific structural unit.
- Universities in Georgia aren't known for the legislative initiative, which is supposed to ensure effective problem-solving ways.

Accordingly, based on the existing practice, where universities have passive function to obey the state and they are not involved in the process of working on new regulations and initiatives for the universities, it is advisable to think about "Corporate Governance Code for the private universities", which unifies the fundamental principles and methods, that is necessary for the successful functioning of the university. The above mentioned code is supposed to be a guide for the universities to implement effective mechanisms and establish high standards.

## სარჩევი

### ისტორია

|  |        |
|--|--------|
| როინ მეტრეველი, უნივერსიტეტის საკითხი.....   | 6-16   |
| გახტანგ გურული, მაკა კვარაცხელია, საქართველოს ხელისუფლების მოღვაწეობა ქუთაისის ოლქის ქლუხორის რაიონისა და თბილისის ოლქის ახალხევის რაიონის ათვისებისათვის (1943-1954 წწ.)..... | 17-56  |
| როზეტა გუჯეჯიანი, ისტორიის რეპრეზენტაცია – დიდგორის „ძველი საკვირველის“ მოტივები ტრადიციულ ქართულ ყოფაში – სვანეთი.....  | 57-63  |
| გვანცა ბურდული, მოსკოვის საპატრიარქოს დაარსება (მოკლე ისტორიული მიმოხილვა).....  | 64-70  |
| ლევან ჯიქია, მიხეილ ჯავახიშვილი საბჭოთა სამსჯავროზე (1925 წლის 18 ივლისი).....   | 71-84  |
| გახტანგ გურული, გენათელი მიტროპოლიტის ეფთვიმის წყევლა.....   | 85-86  |
| თამარ ანთაძე, მერაბ კალანდაძე, ნაპოლეონ ბონაპარტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები.....   | 87-93  |
| მამუკა ცუხიშვილი, ჩიხის სალოცავი.....  | 94-100 |

### ფილოლოგია

|  |         |
|--|---------|
| გიორგი ალიბეგაშვილი, წმიდა ნინოს და წმიდა მეფე მირიანის ბიბლიური პარადიგმები.....  | 102-107 |
| მანანა ტაბიძე, ფუნქციური სტილები – საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის შედეგი თუ მიზეზი.....   | 108-113 |
| ტარიელ ფუტყარაძე, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II – ქართველთა ერთიანობის სიმბოლო..... | 114-119 |
| ამირან არაბული, ქართული ციხე-კოშკები (ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით).....  | 120-130 |
| ლია კარიჭაშვილი, ზვიად გამსახურდიას რუსთველოლოგიური ღვაწლი (რამდენიმე ასპექტი).....  | 131-133 |
| ქეთევან შენგელია, სიმბოლოს ინტერპრეტაციები დრამატურგიაში (სამუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ და მორის მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი“).....   | 134-138 |
| თამარ სამსონიშვილი, პოეტური ლიცენცია (ოკაზიური ფორმები) გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისა.....  | 139-154 |
| ნანა აბულაძე, „დიარა“ ანუ საქორწილო ლხინი და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები სამეგრელოში.....  | 155-165 |

### თარგმანმცოდნეობა

|   |         |
|---|---------|
| ეკა დუღაშვილი, კოზმა იერუსალიმელის საუფლო დღესასწაულების კანონთა მიმართებანი ბიბლიურ წიგნებთან და მათი ასახვა იადგარისეულ ქართულ თარგმანებში..... | 167-178 |
| მარინა მამულაშვილი-ბოტკოველი, თარგმნითი თავისებურებები ჯიბრან ხალიდ ჯიბრანის „წინასწარმეტყველის“ სამი ქართული თარგმანის მიხედვით.....             | 179-190 |

### დემოგრაფია

|  |         |
|--|---------|
| ვაჟა ლორთქიფანიძე, კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული სტრუქტურა XX საუკუნის და XXI საუკუნის დასაწყისში..... | 192-205 |
|--|---------|

### სამართალი

|   |         |
|---|---------|
| ზაზა ვაშაყმაძე, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.....   | 207-210 |
| ეკა ლუაშვილი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვა: საკანონმდებლო ასპექტები, პრობლემები და შესაძლებლობები..... | 211-218 |

## Contents

### *History*

|   |        |
|---|--------|
| <b>Roin Metreveli</b> , The University Issue.....   | 6-16   |
| <b>Vakhtang Guruli, Maka kvaratskhelia</b> , Activities of Georgian authorities to integrate Klukhori district in Kutaisi region and Akhalkhevi district in Tbilisi region (1943-1954)..... | 17-56  |
| <b>Rozeta Gujejiani</b> , The Representation of the History – the Motives of the Admirable Victory in Didgori in the Traditional Georgian Life – Svaneti.....                               | 57-63  |
| <b>Gvantsa Burduli</b> , Establishment of Moscow Patriarchate.....  | 64-70  |
| <b>Levan Jikia</b> , Mikheil Javakhishvili in face of the Soviet court (July 18, 1925).....   | 71-84  |
| <b>Vakhtang Guruli</b> , Demnation of Genateli Mitropolitan Eqvtimi.....  | 85-86  |
| <b>Tamar Antadze, Merab Kalandadze</b> , Stages of Napoleon Bonaparte’s life and career.....  | 87-93  |
| <b>Mamuka Tsukhishvili</b> , Shrine of chikha.....  | 94-100 |

### *Philology*

|   |         |
|---|---------|
| <b>Giorgi Alibegashvili</b> , Biblical Paradigmes of Saint Nino and Saint King Mirian.....  | 102-107 |
| <b>Manana Tabidze</b> , Functional styles – result or the reason of social differentiation of society.....  | 108-113 |
| <b>Tariel Putkaradze</b> His Holiness and Beatitude, Catholicos-Patriarch of All Georgia, the Archbishop of Mtskheta-Tbilisi and Metropolitan bishop of Bichvinta and Tskhum-Abkhazia Ilia II – Symbol of Unity of All Georgians..... | 114-119 |
| <b>Amiran Arabuli</b> , Tell the Story, Castle Ruins.....   | 120-130 |
| <b>Lia Karichashvili</b> , Zviad Gamsakhurdia’s Contribution to Rustaveli Studies (Several Aspects).....  | 131-133 |
| <b>Ketevan Shengelia</b> , Interpretation of symbols in dramatic compositions („Waiting for Godot“ by Samuel Beckett and „The Blue Bird“ by Maurice Maeterlinck).....   | 134-138 |
| <b>Tamar Samsonishvili</b> , The poetic language of Galaktion Tabidze embodies the beauty of transcendental universe.....   | 139-154 |
| <b>Nana Abuladze</b> , „DIARA“ or Wedding Feast and verse-songs related to it spread in Samegrelo region.....   | 155-165 |

### *Translation Studies*

|  |         |
|--|---------|
| <b>Eka Dughashvili</b> , The relationship of Cosma Jerusalem’s Canons of the Lord’s Feasts to Biblical books and their reflection in Georgian translations of Iadgari..... | 167-178 |
| <b>Marina mamulashvili – Botkoveli</b> , Translation peculiarities of three Georgian translations of “The Prophet” by Gibran Khalil Gibran.....                            | 179-190 |

### *Demography*

|  |         |
|--|---------|
| <b>Vazha Lordkipanidze</b> , The popylation of Caucasus and national structure in the 20th century and in the beginning of the 21th century..... | 192-205 |
|--|---------|

### *Jurisprudence*

|  |         |
|--|---------|
| <b>Zaza Vashakmadze</b> , Freedom of Thought, Conscience and Religion.....   | 207-210 |
| <b>Eka luashvili</b> , Administration of higher education institutions: the legal aspects, problems and opportunities..... | 211-218 |